

**გაგრაბ უინქუბა**



**უკანასკნელი  
უბიხი**

**რომანი**



თბილისი, „პერანი“, 1987

ბაგრატ შინქუბას რომანი „უკანასკნელი უბიხი“ აფხაზებისა და ადიღეელების მეზობლად მცხოვრები ხალხის — უბიხების ტრაგიკული ისტორიაა.

1864 წელს უბიხებმა ირწმუნეს თავიანთი მთავრებისა და ისლამის მსახურთა რჩევა, დაუჭერეს თურქეთის სულთნის დაპირებებს და მიატოვეს მშობლიური მხარე.

თურქეთში დასახლებული უბიხები — მდიდარი და გმირული წარსულის-ნაკლები ხალხი, შიმშილის, ავადმყოფობისა და ძალდატანებითი ასიმილაციის მსხვერპლნი გახდნენ.

რომანის მთავარი გმირია ასი წლის ზაურყან ზოლაკი, რომელსაც კარგად ახსოვს თავისი ხალხის თურქეთს გადასახლება და ყოველივეს წერილად უამბობს მივლინებით ჩამოსულ აფხაზ მეცნიერს შარახ ქვაძას.

თარგმნა თამარ ჩიკვაძეაძემ

II. გამომცემს.

### წინასიტყვაობა

ამ ზამთრის დამდევს, ერთ შაბათ საღამოს, ქარბეი ბარჩანი მეწვია. ოდესღაც ერთად ვსწავლობდით პედაგოგიურ ინსტიტუტში, ახლა კი სოხუმიდან დიდი ხნის წასული იყო და სოფლის სკოლის დირექტორად მუშაობდა. რამდენიმე წელი არ გვენახა ერთმანეთი. მე ლაპარაკის ხასიათზე მოვედი, მინდოდა გამომეკეთხა ცისა და ბარისა, მაგრამ ქარბეი აჩქარდა, ნახევარ საათში რაიკომის მანქანა გამომივლის, რომელმაც აქ მომიყვანაო, და დრო აღარ დაუკარგავს, — გაქეჩილი ჩანთიდან საკმაროდ სქელი საქალაღე ამოიღო.

— ამაში ხელნაწერი დევს, ძალიან გთხოვ, წაიკითხო. რაც ადრე მოახერხებ, უკეთესია. ისედაც ოცდათერთმეტი წელი იყო ჩემი უფროსი მამიდის თათლის ზანდუკში. წინა კვირას დავეკრძალეთ მამიდაჩემი და ის ზანდუკიც გავხსენით, თვითონ რომ ~~აქ~~ ~~დღეს~~ გაუხსნია. და აი ეს ვიპოვეთ. ეს მისი შვილთ შარბან ქვაძბას ხელნაწერია. სწორედ ომის დაწყების წინ არის დაწერილი, მაგრამ დღემდე არ მოძველებულა. წაიკითხე და მითხარი, შეიძლება თუ არა მისი დაბეჭდვა. იმიტომ კი არ გეუბნები, ჩემი ნათესავი რომ არის; მოკლედ, — წაიკითხე და თვითონ მიხვდები.

ქარბეი წავიდა და ჩემს სინდისს მიანდო ხელნაწერის ბედი; დედის ზანდუკში ოცდათერთმეტ წელს გამოკეტილი შარბან ქვაძბას ხელნაწერის ბედი. საქალაღის გახსნამდე დამამძიმა პასუხისმგებლობის გრძობამ, უკვე ერთის კი არა, ორი განსვენებულის წინაშე.

პირველად სწრაფად ჩავიკითხე ხელნაწერი თავიდან ბოლომდე; შემდეგ კი რამდენჯერმე მივუბრუნდი, რომ კარგად გამეჩვენა ზოგი დაუმთავრებელი და ზოგი ძნელად დასაჯერებელი ადგილები.

თვითონ შარბან ქვაძბას არ ვიცნობდი, ისე კი ომამდეც ბევრი რამ მსმენოდა მასზე. ხუთი წლით უფროსი იყო ჩვენზე. სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა და შემდეგ ლენინგრადში

წავიდა. იქ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კავკასიური ენების ფაკულტეტზე ჩაირიცხა, აკადემიკოს ნიკო მარის ლექციებს ისმენდა, ასპირანტურაში დატოვეს და კავკასიური ენების ჩრდილო-დასავლეთის ჯგუფის შესწავლას მიჰყო ხელი, მათ შორის უბიხურისაც. რომლის ცოდნაც მეტად მნიშვნელოვანია კავკასიური ენების ისტორიული სიახლოვისა და ნათესაობის დასადგენად.

ისიც გამეგონა, რომ ქვაძბას განსაკუთრებული ლინგვისტური ნიჭი ჰქონდა და საზღვარგარეთაც დადიოდა სამეცნიერო მივლინებით, რაც მაშინ იშვიათად ხდებოდა. დადიოდა თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში. მისი მივლინების მიზანი იყო მოეძებნა ადამიანები, ვისაც შენარჩუნებული ექნებოდა უბიხური სალაპარაკო ენა. ეს ვანსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ამ ენას დამწერლობა არ გააჩნდა. ომის დროს ვილაციისაგან გავიგე, იქნებ ქარბეიძეც მითხრა, რომ ქვაძბა ლენინგრადიდან ჯარში გაიწვიესო. მალე ვიძივე დაიქრა, ჰოსპიტლიდან კვლავ ფრონტზე დაბრუნდა და 1942 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მხოლოდ თექვსმეტი წლის შემდეგ — 1958 წელს მოგვივიდა სოხუმში ცნობა, რომ შორეული იტალიის განაპირა ადგილას, ჩერმენატაში, კომოს ტბის მახლობლად იტალიელი პარტიზანების სამარის ქვაზე, რომლებიც ომის მიწურულს — 1945 წლის აპრილში დაეცნენ, ლათინური შრიფტით დაწერილი — შარახ ქვაძბას სახელიც იკითხება. საოცარია, როგორ მოხვდა იტალიაში?! ალბათ, სხვების მსგავსად გაიქცა იტალიის საზღვრებთან მდებარე რომელიმე ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკიდან. დაღუპვის თარიღი — 1945 წლის აპრილი — იმის დასტურია, რომ იგი თითქმის ომის დასასრულამდე იბრძოდა, გამარჯვებამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე დაიღუპა.

ასეთია შარახ ქვაძბას თავგადასავალი, უფრო სწორად, ის, რაც მის შესახებ ვიცი.

ხელნაწერის ისტორიის ზოგიერთი წვრილმანი კი ქარბეიმ გამიზიარა. ექვსი თვე მოვანდომე ხელნაწერის დასაბეჭტლად გამზადებას და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმეჯერ ჩამოვიდა ჩემთან ქარბეი. როგორც გამოირკვა, ეს ხუთასამდე გვერდი შარახს ერთი ჩაჯდომით დაუწერია. 1940 წლის ზაფხულში უცხოეთიდან დაბრუნებულა თუ არა, მაშინვე შეგებულება აუღია და თვენახევარი აფხაზეთში გაუტარებია დედანსთან. თურმე დილიდან დაღამებამდე იჯდა და წერდა. წასვლისას ნაწერი საქაღალდეში გამოუკრავს. სა-

ქალღმერთი ჩანთაში ჩაუდევს, დედისთვის ზანდუკის გასაღები გამო-  
ურთმევია, თვითონ შეუნახავს ჩანთა ზანდუკში, თვითონვე დაუქე-  
ტავს. გასაღები დედისთვის დაუბრუნებია და უთქვამს:

— ეს ქალღმერთი ზანდუკში იდოს. ჩემს ჩამოსვლამდე ზელი  
არ ახლო.

რა იცოდა, რომ ეს მისი უკანასკნელი მგზავრობა იყო, რომ ველა-  
რასოდეს ნახავდა ვერც დედას და ვერც თავის აფხაზეთს. სიკვდი-  
ლამდე არ უხლია ზელი დედას შვილის ნაწერებისათვის, არც არა-  
ვისთვის გაუხსნელია ეს ამბავი, არც მაშინ უთქვამს რამე, როცა  
უგზო-უკვლოდ დაეკარგა შვილი, და არც მაშინ, როცა უთხრეს —  
სადღაც ძალიან შორს, წარმოუდგენლად შორს, საძმო ზასაფლა-  
ოზე შარახის სახელიც ამოიკითხესო.

ეს რომ გაიგო, ჯერ თქვა — ნათესავეებმა და შარახის მეგობ-  
რებმა მთელი ჩემი ქონება გაყიდეთ და მის საფლავზე წამიყვანე-  
თო. რომ არ დაეთანხმნენ, გაჩუმდა და აღარაფერი უთქვამს. დუმ-  
და, იქნებ, შვილის საფლავი რომ არ უნახავს, არც მისი სიკვდილი  
სჯეროდა. ასე იყო თუ ისე, გალია მთელი სიცოცხლე, და ერთხე-  
ლაც არ ამოუღია ზანდუკიდან შვილის ხელნაწერი. ვინ იცის, ისევე  
ელოდებოდა მის დაბრუნებას.

როგორც გითხარით, შარახ ქვაძბას ხელნაწერი ზუთასი, უფრო  
ზუსტად, ოთხას ოთხმოცდარობი გვერდისაგან შედგებოდა. წვრილი  
ასოებით იყო ნაწერი; ხელნაწერის შუაში მანქანაზე ნაბეჭდი ორი  
ფურცელი იდო, 1940 წლის აგვისტოთი დათარიღებული. ეს შარახ  
ქვაძბას ომამდელი ავტობიოგრაფია იყო. აქვე იყო ხელით ნაწერი  
მოკლე თეზისები (ალბათ საზღვარგარეთის მივლინებიდან დაბრუ-  
ნებულმა გააკეთა ინსტიტუტში წარსადგენად) და აფხაზეთის სა-  
ხელმწიფო მუზეუმის მიერ შარახ ქვაძბასთვის მიცემული ხელწე-  
რილი, რომელიც იუწყებოდა, რომ მიიღო მისგან უცხოეთიდან ჩა-  
მოტანილი სპილენძის ბუკი და კავკასიური ხანჯალი. ხანჯლის შემ-  
დგომი ბედი არ ვიცი, ეს იშვიათი უბიბური ბუკი, ჩვენი მუზეუმის  
ფრიალ მნიშვნელოვანი ნივთი კი ხშირად მინახავს, თუმცა არ ვი-  
ცოდრი, რომ ეს შარახ ქვაძბას საჩუქარი იყო.

თავის თეზისებში ქვაძბა წერდა, მივლინებაში შეგროვებული  
მასალები შუქს მოჰყვენს უბიბი ხალხის ტრაგიკული ისტორიის  
შესწავლაში არსებულ ხარვეზებსო. შარახის მიერ შეგროვებული  
და ჩაწერილი მასალები ბაზა იქნებოდა მისი შემდგომი შრომისა.  
როგორც ჩანს, ზანდუკში შენახული ხელნაწერი მუშაობის ბო-

ლო დღეს იყო შეწყვეტილი, შინაარსის მიხედვით სულ მალე უნდა დასრულებულიყო. სანამ მკითხველს ჩემს მიერ ოდნავ რედაქტირებულ შარახ ქვაძბას ხელნაწერს მივაწვდიდე, მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო მის მოთხრობილ ამბავს.

ქვაძბას ხელნაწერში ჩვენს წინაშე ცოცხლდება უბიხების ისტორიის ფურცლები, იმ ხალხისა, ოდითგან რომ ცხოვრობდნენ დასავლეთ კავკასიაში, დაახლოებით იმ ზოლში, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მდინარეებით — შახეთით და ზოსტით რომ არის შემოსაზღვრული.

კავკასიის ომის დასასრულს, როდესაც უბიხების შეურიგებელ პოზიციას წააწყდა, მეფის მთავრობამ მათს ბელადებს ორი მკაცრი არჩევანი შესთავაზა: დაეტოვებინათ მთები და დასახლებულიყვნენ ჩრდილო კავკასიის დაბლობზე, ან თურქეთში გადასახლებულიყვნენ. უბიხების ბელადების არჩევანი შორსმჭვრეტელური არ აღმოჩნდა. 1864 წელს უბიხები, თავიანთი ბელადების კვალდაკვალ, თურქეთში გადასახლდნენ.

როგორც ქარიშხალს გადარჩენილი, ქანცაწყვეტილი ფრინველები ვერ ახერხებენ ერთად ყოფნას, ისე დაიფანტნენ უბიხები ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში.

მხოლოდ ერთი საუკუნე გავიდა და მდიდარი და გამირული წარსულის მქონე ხალხი ერთიანად აღიგავა პირისაგან მიწისა.

ცოცხალი უბიხური ენა მხოლოდ თითო-ორიოდე კაცის მეხსიერებასდა შემორჩა, და თუმცა ამ ენის ცოდნა და უბიხი ხალხის ისტორია ძალზე მნიშვნელოვანია მთელი კავკასიური მეცნიერებისათვის, სწორედ აქ არის „თეთრი ლაქები“.

თხუთმეტი წლის წინათ თვალი მოვკარი ერთი ევროპელი კავკასიოლოგის ცნობას. იგი წერდა, ახლო აღმოსავლეთში გადასახლებული უბიხების შთამომავალთაგან, ერთმანეთის ახლომდებარე ორ პატარა ლოფელში თექვსმეტი კაციდაა უბიხურ ენაზე მოლაპარაკეო. ეს თხუთმეტიწლისწინანდელი ცნობა უკანასკნელი იყო უბიხების ისტორიიდან. ამიტომაც უფრო მინდა მკითხველებს შეეთავაზო შარახ ქვაძბას ხელნაწერი, რომელშიც წერილადაა აღწერილი 1940 წელს ასი წლის უბიხის ზაურყან ზოლაკის ნაამბობი — მას კარგად ახსოვდა თავისი ხალხის თურქეთში გადასახლება. ზაურყანის სახლში გაატარა შარახმა თითქმის თვეზე მეტი.

მაშ ასე, გადავშალოთ ხელნაწერი, მინდა გაგაფრთხილოთ, რომ

ჩემს წინ ოთხას ოთხმოცდარი მკიდროდ ნაწერი გვერდია, არც სათაურები, არც ნაწილებად და თავებად დაყოფა, ის კი არადა, უაბზაცოდ არის ნაწერი. ეტყობა, ავტორი მის გამოქვეყნებაზე არ ფიქრობდა, უნდოდა, როგორმე ემყოფინებინა დრო და ბოლომდე გაესრულებინა ჩანაფიქრი. ხელნაწერს სათაურიც მე გაუუკეთე, თავებად და ნაწილებადაც მე დაყავი კითხვის გასაადვილებლად.

## მკვლრების სუფრა

აქეთ მომავალ საზიდარს გამოვყევი გზად. ჩამოვბტი და ედგავარ, აქეთ-იქით ვინედები, არ ვიცი საით წავიდე. ფერდებშელეწილმა ცხენმა ძლივს ამოგვიყვანა, ახლა კი ზრიგინ-ზრიგინით მიავლორებს საზიდარს მთის ძირში. მხოლოდ ბორბლების ხმაური თუ არღევს ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს. სიცხემ სადამოსკენ ოდნავ იკლო. თბილი ქარი ისე ხვეტავს მტვერს შარავგზაზე, თითქოს უხილავი ცოცხიაო. მარჯვნივ, მოშორებით სოფელი ილანდება, ძაღლების ყეფაც მოისმის. მარცხნივ მზისგან გამოფიტული შიშველი ბორცვია, წვიმის ამომშრალი ნიაღვრები შეუხორცებელ პრილობებივით რომ ატყვია ზედ. წინ კი, ჰორიზონტამდე, უსიცოცხლო დაბლობია, მეჩხერი ხეებით დაფარული. ედგავარ და გაოცებული ვუყურებ ამ უცხო მიწას. ნუთუ ამაზე გაცვალეს უბინებმა თავიანთი მთები? ნუთუ ამ მიწაში განისვენებს მათი ძვლები?

გრდემლზე ჩაქუჩის დარტყმის ზმამ მაფიქრებინა, რომ მეგზურმა სწორი მითხრა, სამკედლო აქვე უნდა იყოს. აი, ისიც, სულ ასიოდე ნაბიჯითაა ჩემს უკან. თურმე, როცა ჩამოვბტი, სწორად არ ამიღია გეზი. აი ეს კი მკედელია, ალბათ. სანამ მივიდლოდი, რამდენიმეჯერ კიდევ დააკაკუნა ჩაქუჩი და, თითქოს წინასწარ იცის, რომ სწორედ ის მჭირდება, შესახვედრად გამოვიდა. ნაჩქარევად მოწმენდილ გამურულ სახეზე მეჩხერი ულვაში მოუჩანს, ტანდაბალია, ხელში რაღაც ფუთა უჭირავს. იმის გაფიქრებაც მოვასწარი, იქნებ ეს სხვა ვინმეა და სულაც არ არის მკედელი-მეთქი, მაგრამ ის სწორედ მკედელი ბირამი გამოდგა. ამაზე მითხრეს, ის თუ შეგხვდა, შენი საქმე კარგად იქნებაო. ფუთა რომ უჭირავს, ესეც ხეირია ჩემთვის, იმიტომ რომ ეს ფუთა სწორედ იმ მოხუც უბინთან, ზა-

ურყან ზოლაკთან მიაქვს, ვისთვისაც რის ვაი-ვაგლახით მოვალწიე აქამდე.

მე და ბირამი მოტიტვლებული ბორცვის ძირს მივუყვებით. ეტყობა, ღვთისგან დაწყველილია ეს ბორცვი. ცალ მხარეს ღვარე-ბისგან არის დახერგილი, მეორე მხარე კი მხოლოდ დახეთქილი ქვებია, ბალახიც კი ამოუწვეავს მზეს ძირფესვიანად.

— მოვედით, ამბობს ბირამი, — აქაა მისი სახლი.

თითითაც მაჩვენებს, მაგრამ მე მაინც ვერავითარ სახლს ვერ ვხედავ.

— იქ კი არა, აი იქ, — ისევ თითით მიჩვენებს.

როგორც იქნა, დავინახე სახლი. ამ შიშველი ბორცვის ძირას მღვიმეა, შესასვლელთან ალიზის სამი დაბალი კედელია ამოყვანილი, ყავრის ფარდული ერთთავად კვამლისაგანაა გამკვარტლული.

— აქ მომიცადე, გავიგებ. შინ არის თუ არა ზაურყანი, ვკითხავ, თუ ისურვებს შენთან საუბარს, ხანდახან ისე განრისხებულია, რომ არავის ნახვა არ უნდა, ჩემიც კი. რას იზამ, ასი წლისაა!

ბირამი მხრებს იჩეჩავს, თითქოს მეუბნება, ასი წლის კაცს არ ეკითხებიან, რატომ ზარ გულმოსულიო.

— მგონი შინ არ უნდა იყოს, თორემ ძალი მაინც შეგვიყვება.

ამის თქმასაც ვერ ასწრებს ბირამი და მღვიმედან უზარმაზარი ძალი გამოობის ყუფით. ამაზრუნენ ხმა აქვს, თითქოს ძალი კი არა, ვიდაცის ძველთაძველი უბედურება ჰყუფს.

ბირამი მიწის რამდენიმე საფეხურს ადის და მღვიმეში უჩინარდება, შავ ხერელში შედის, კარის მაგივრობას რომ ეწევა. ძალღს კი ყუფა მობეზრებია, დგას და მდუმარედ მათვალეირებს.

მე კი ვიხსენებ, როგორ გამიჭირდა ეს მგზავრობა და შიშით ვფიქრობ: „მაინც როგორი იქნება ეს ასი წლის ბერიკაცი, ვისთვისაც აქ ჩამოვედი, რას მისცემს ეს შეხვედრა ენათმეცნიერებას, ან რას ეტყვის ჩემზე ბირამი, ამდენ ხანს რომ არ ჩანს. იქნებ ჯობდა, ბირამთან ერთად მიესულიყავი მოხუცთან?“.

აი ბირამიც გამოჩნდა. მხოლოდ კიბეზე ჩამოსვლისას შევნიშნე, რომ მაგრად კოკლობს.

— ზაურყანი შინ არის, წამოწოლილი იყო და ისვენებდა. ახლავე ადგება და შეგხვდება, — ამბობს ბირამი და ვგრძნობ, რომ ჩემს მაგივრად უზარია. ანლა უკვე ორნი ავღივართ საფეხურებზე და მღვიმის წინ ვჩერდებით.



ეზოაო, ვერ იტყვის კაცი, მაგრამ მღვიმის წინ მაინც არის მიწის მომცრო ტერასა, სადაც ოთხი დაბალი, ბებერი, მაგრამ ღონიერი ზე დგას. ერთ-ერთის ქვეშ გრძელი სკამია. მე და ბირამი ვსხდებით და ვაბოლებთ.

— ზოგჯერ ძალიან გაბრაზებულია, — მეუბნება ბირამი, — მაგრამ გაემტყუნება? ერთი თანატოლიც კი არა ჰყავს გარშემო. ვუთხარი, მოგიტანე, რაც მთხოვე-მეთქი, მან კი ხმა არ გამცა. ხშირად იცის ასე. მერე შენზე ვუთხარი, პატივსაცემი სტუმარია-მეთქი. არც ამაზე მიპასუხა. გამოსვლისას მომადხა, ახლავე ავდგებო. რისთვის მოხვედი არ მითქვამს, არ გაბრაზდეს-მეთქი. შენ თვითონ უთხარი, რომ შეხვდები, ასე აჯობებს. რაკი შეგხვდება, აღარც გააგებრუნებს. მე კარგად ვიცი მაგის ხასიათი. პატარა რომ ვიყავი, მამობა გამიწია, ეგ მარჩენდა, სანამ გავიზრდებოდი. მართალია, ცალკე ისურვა ცხოვრება, მაგრამ ჩვენ მაინც მამა-შვილად ვრჩებით. ჩემს მეტი არავინ ჰყავს. მე წავალ ახლა, შენ კი დარჩი. მაპატიე, რომ გტოვებ, მაგრამ ისეთი დროა, სწორედ ახლა შეიძლება მოიყვანონ დასაქველად ცხენები. შელამებისას ისევ მოვალ. ახლა ზაურყანი დარჩენასაც შემოვთავაზებს. დამე შეგიძლია აქ გაათიო. საქმელს კი მე მოგიტანთ.

მადლობას ვუხდი ბირამს და ვეუბნები, რომ ვეცდები სიკეთე გადავუხადო.

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, — მაჩერებს იგი, — ოღონდ ზაურყანს ფული ან სხვა რამე არ შესთავაზო. სტუმარი წმინდანად მიაჩნია, ჩვენ კი შევთანხმდებით.

მე მარტო ვრჩები. უფრო სწორად ორნი ვართ — მე და ძალი. ორივენი ჩემად ვართ და ვიცდით. ის წევს, მე ვზივარ და ვუხურობ ღია კარს, ეს ზერელი კი არა, მაინც კარია, შიგნით შეღებულნი. ველოდები, როდის გამოჩნდება უცნობი მასპინძელი, ადგომასა და შეხვედრას რომ დათანხმდა. ნეტავ რამდენი წელი ცხოვრობს აქ? მუდამ მარტოა? ან როგორ შეახვედრა ბედმა ბირამთან? რატომ ცხოვრობს ცალკე? ან ეს სამარის მსგავსი მღვიმე რატომ აირჩიბინდა?

მღვიმიდან ყრუ ზველა მოისპის, კიდევ რამდენიმე წუთი და კარში ზაურყანი გამოჩნდა. ის ძლიერ მძალი და ბეჭებგანიერია, ისედაც გრძელ სახეს კიდევ უფრო უგრძელებს მკერდზე დაფენილი თეთრი წვერა. ტანზე რაღაც ხალათის მსგავსი აცვია, გრძე-

ლი, მუხლებს ჩაცილებული, თეთრი, განიერსახელოებიანი და ხალვათი ჩასაცემელი. მარჯვენა ხელში მძიმე კვერთხი უჭირავს, რკინის ასევე მძიმე ბუნიკით. დიდხანს უძრავად დგას კარში და მომჩერება. ძალი ალერსიანად ეფათურება, ის კი უხმოდ იშორებს ფეხით და რამდენიმე ნაბიჯს დგამს ჩემსკენ. ნაბიჯი მსუბუქი აქვს. როცა დგამს, მარტო მაშინ კი არ არის წელში გამართული, — სიარულის დროსაც.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — მეუბნება თურქულად, ჩერდება და მარჯვენა ხელს მკერდზე იდებს.

— დღე მშვილობისა, — ვპასუხობ მეც თურქულად. ახლოს რომ დგას, ახლა ვხვდები, რა საოცრად წარმოსადეგია. ზემოდან დამცქერიან ცასავით ლურჯი, ოდნავადაც გაუხუნარი თვალები. შემდეგ ბეზრდება ზემოდან ქვევით ცქერა და ნელა ეშვება ასწლოვანი ხის გადანაქვრზე (ალბათ მოხრა უფრო ეძნელება, ვიდრე დგომა) და ხელით მანიშნებს სკამზე, სადაც მე და ბირამი ვისხედით. ვემორჩილები და ვჯდები. ღონივრად არკობს კვერთხს მიწაში და გიბიდან ქარვის კრიალოსანს იღებს.

— არნახული სიცხე იყო დღეს, აი ტოტიც კი გამხმარა, — რომელიღაც ტოტზე მითითებს, მე კი ვერ ვხედავ.

— დიახ, ძალიან ცხელოდა, — ვუპასუხებ მე.

ის დიდხანს დუმს, მხოლოდ კრიალოსნის წკაპაწყუბი ისმის.

„რით დავიწყო“, — ვფიქრობ მე, — ყველაზე უფრო მთავარიდან, იმითი, რისთვისაც ჩამოვედი თუ სხვა რაიმეთი?“ და უცბად მოულოდნელად ვეკითხები:

— რამდენი წლისა ხართ?

ზაურყანი იღიმება.

— ალბათ ჩემმა ასაკმა მოგიყვანათ ჩემთან, არა? ამის მეტი არაფერი საინტერესო აღარა მაქვს. თუ არ ვცდები, ზუსტად ასისა უნდა ვიყო.

— აქ დაიბადეთ? — ვეკითხები და ვიცი, რომ თუ „პო“ მიპასუხა, ყველაფერი წყალში ჩამეყრება.

— არა, — მპასუხობს იგი, — მე აქედან ძალიან შორსა ვარ დაბადებული.

ველოდები, რომ კიდევ იტყვის რაიმეს თავის თავზე, მაგრამ არაფერს ამბობს, მღუშარედ მარცვლავს კრიალოსანს, მერე უცბად ჩერდება და მეკითხება:

— შენ თვითონ ვინა ხარ, საღაური ხარ?

მე თვალეებში ვუცქერი და ვფიქრობ, რომ ამ მოხუცს ყველაფერი თავიდანვე გულწრფელად უნდა ვუთხრა. რაც იქნება, იქნება!

— შორიდანა ვარ ჩამოსული, სხვა სახელმწიფოდან, საბჭოთა კავშირიდან.

— საიდან? — ხელი ყურთან მიაქვს ზაურყანს.

— საბჭოთა კავშირიდან რუსეთი, კავკასია, აფხაზეთი, — ერთმანეთის მიყოლებით ვამბობ სიტყვებს, თანაც ისე წარმოვთქვამ, როგორც თურქეთში წარმოთქვამენ, იმ იმედით, რომ იქნებ რომელიმე მაინც გაიგოს.

ზაურყანს ესმის და იმეორებს:

— კავკასია... აფხაზეთი.

— დიახ, მე კავკასიიდან ვარ, აფხაზეთიდან. ზმამალა ვლაპარაკობ, მინდა კარგად გაიგონოს.

— რა ეროვნებისა ხარ? — ისე აჩქარებით შეკითხება, თითქოს შემძლია არ ვუბასუხო.

— აფხაზი ვარ, აფხაზეთიდან ჩამოვედი.

— აფხაზი ხარ?! ყოველშემძლე ღმერთო, ეს რა შესმის? — სუთთა აფხაზურით წარმოთქვა მოხუცმა და გაოგნებულმა ცისკენ ალაპყრო ხელები.

— დიახ, აფხაზი ვარ, აფხაზეთიდან ჩამოვედი, — ისევ ვუმეორებ მე, მაგრამ ახლა თურქულად კი არა, აფხაზურად.

— ო, რა ზიზარული მომიტანე, რამდენი წელია არც ერთი აფხაზი არ მინახავს. მკვდრების აღდგომას ვიფიქრებდი და აფხაზურს თუ გავიგონებდი, აღარ მეგონა.

ამას რომ ამბობდა, მოხუცი შორიდან წამოდგა, მიმიზიდა და რიკრიკობით ამომიკოცნა თვალები.

— იცოდე, მეც შენი სისხლისა ვარ, ჩემი საცოდავი დედა აფხაზი იყო შათიფას გვარიდან, წებელდიდან. სახელად რა გქვია?

მე ვეუბნები სახელს, მას კი ხელები ისევ ჩემს მხრებზე უწყვია. ცალ ხელში კრიალოსანი შენიშნა და თითქოს აღარ დასკირდებო, ჯიბეში იჩურთავს და აღარც ამოაქვს, სანამ სტუმრალა ვარ.

— დაჯექი, დაჯექი, — მეუბნება ზაურყანი, — შენ არ შეგეფე-

რება ფეხზე ჯგომა. მე მოხუცი ვარ, მაგრამ შენ ჩემი ბიძა! ხარ და წესის მიხედვით უფროსობა შენ გეკუთვნის. — ერთმანეთს ვსვამთ სკამზე. — დღეს რომ მოვეკვდებოდე, სამოთხეში მოვხვდებოდი, სადაც მთელი ჩემი ხალხი მელოდება, — შეუბნება იგი და ისევ ადგომას ლაპობს, მე მხრებზე ვკიდებ ხელს და ვაჩერებ, — მე ვუამბობ იმით, რომ აქ, დედამიწაზე კიდევ ცხოვრობენ აფხაზები.

ვერ იქნა და ვერ დაწყნარდა მოხუცი. მისი ლელვა მეც გადამეღო. ხან ადგება, ხან დაჯდება, ხან მღვიმეში შევა, ისევ გამოვა გარეთ. დაბნეულად მიდი-მოღის ერთი ხიდან მეორესთან. ხელს უსვამს, თითქოს ამოწმებს, ისევ იმ ადგილას დგანან თუ არა. მერე ისევ ჩემთან მოღის და ამ ასაკისათვის დაუჯერებლად ღონიერი ხელებით სკამზე მსვამს.

— დაჯექი დაღ<sup>2</sup> შარახ, დაჯექი, შენ ბიძა ხარ; ფეხზე არ უნდა იდგე. ჰო, ჰო, უბიხებმა იცოდნენ სტუმრის დახვედრა, მაგრამ ახლა ვინდა ამის გაშკეთებელი ჩემს გარდა? მარტო მე კი რა შემიდლია? როგორ უნდა დავხვდე ღირსეულად შენნაირ სტუმარს?

მოხუცი შეუმჩნეველად მიდი-მოღის აქეთ-იქით, ხან მე მელაპარაკება და ხან თავის თავს. ზოგჯერ შეშლილს ჰგავს.

ღამდება, მოხუცი შინ შედის და კერიაზე ცეცხლს აჩაღებს. აღის შუქი გარეთ იჭრება. მოხუცი გამოდის, შინ მეპატიყება, ცეცხლთან მსვამს და ისევ მიდის. იქაურობას ვათვალისწინებ, კერიასთან რამდენიმე დაბალი სკამია, კედელთან ტახტებზე ბამბის საბნებია გაშლილი, იატაკზე ძველი საშინაო წულები აწყვია. მეორე ოთახში გასასვლელი კარიც ჩანს. ყველგან წესრიგი და სისუფთავე სუფევს. ეტყობა ვიღაც ზრუნავს მოხუცზე, მაგრამ ვინ?

ზაურყანს ერთი იღლია ფიჩხი შემოაქვს და ნახევარს ცეცხლს აყრის.

— აი ასე, ჩემო ძვირფასო შარახ, აი ასე, — ამბობს იგი და მხარზე მადებს ხელს, რომ არ ავდგე.

— უყურე ამ ცეცხლს, უბიხების უკანასკნელ კერას. კიდევ კარგი, აფხაზური რომ არ დამავიწყდა, რომელიმე სიტყვას თუ ვერ გავიხსენებ, უნდა მაპატიო. დიდება ალაჰს, ჩემმა საწყალმა დედამ შემასწავლა თავისი ენა, დღესაც მიღვას ყურებში მისი ხმა.

<sup>1</sup> ძველი აფხაზური ადათის მიხედვით, ყველა ნათესავი და მოგვარე (დედის მხრიდან) ბიძალ ითვლებოდა. რა ასაკისანიც უნდა ყოფილიყვნენ, მათ ადათის მიხედვით უფროსებად მიიჩნევენ. ეს ადათი უმეტესად კაცებზე ვრცელდებოდა. დედის თანამემამულეებზე.

<sup>2</sup> ალერსიანი მიმართვაა, ყველაზე მეტად „ძვირფასოს“ უახლოვდება.

უკვე კერძასთან ვზივარ, მაგრამ მოხუცი მაინც ვერ მშვილდებამ, ხან გარეთ გადის, ხან შინ შემოდის, ბოლოს მეორე ოთახში გადის და ერთი ათ წუთს ყოვნიდება. მინდა ჩემოდნიდან უბის წიგნაკი და ფანქარი ამოვიღო, მაგრამ მერიდება, ჯერ არ მითქვამს რისთვისა ვარ მოსული. მითხრა, უკანასკნელი უბიხი ვარო და ეს სიმაართლე უნდა იყოს. ორი თვე ვიხეტიალე თურქეთსა და სირიაში და ამ ასი წლის მოხუცის გარდა კაცი არ შემხვედრია, უბიხი ვარო რომ ეთქვას. ზაურყან ზოლაკის სახელი კი ზხვებისგანაც მსმენია.

აი მეორე ოთახიდან გამოდის ზაურყანი. ველარც ეცნობ კაცი, თითქოს უფრო გამაღლებულა. ახლა შავი ჩოხა აცვია და მალალი ბოხოხი ჰხურავს. მოვერცხლილ, ჩაშავებულ წვრილ კავკასიურ ქამარზე ბრძოლისთვის მოხერხებული დიდი შავტარიანი, ასევე ჩაშავებული ვერცხლისქარქაშიანი ხანჯალი ჰკიდია. მოხუცს ხელში დიდი სპილენძის ბუკი უჭირავს, მეტრი იქნება სიგრძით. არც კი დაჰჯდარა, ისე მიამბობს ამ ბუკის ამბავს.

— აქ დარჩენილი უბიხებიდან ყველაზე უფროსმა საულაჰმა ეს ბუკი და ქამარ-ხანჯალი გადმომცა სიკვდილის წინ. ქამარ-ხანჯალი თავისი იყო, ბუკი კი ხალხის საკუთრებაა. ახლა ეს ბუკი მე მაქვს, ჩემი სიკვდილის შემდეგ კი ვინ იცის ვისი იქნება. კავკასიაში რომ ეცხოვრობდით, სწორედ ასეთი ბუკი ჰქონდა მამაჩემს და როცა წებელდიდან დედაჩემის ძმები გვეწვეოდნენ, ამით მოუხმობდა მეზობლებსა და ნათესავებს. მის ზმას რომ გაიგონებდნენ, ყველამ იცოდა, რომ ჰამირზას შორიდან მოსული სტუმრები ჰყავდა. მოდი, ამალამაც გაიხშიანოს ამ ბუკმა, შორიდან მოსული, ძვირფასი სტუმრის პატივსაცემად, დედაჩემის მხრიდან ბიძად რომ მეკუთვნის, იმ სტუმრის პატივსაცემად. დაე, ყველამ გაიგონოს და გვეწვიონ!..

მოხუცს გარეთ გააქვს ბუკი. მე გაოვნებული მივყვები უკან. სახლის წინ ამართულ ოთხივე ხეს ჩაუარა, ხრამთან შეჩერდა და ბუკს ჩაჰბერა.

ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმის ასეთი ბუკის ხმა, ერთსა და იმავე დროს საშიშიცა და საწყალობელიც, დაპირილი მხეცის ხმის მსგავსი. ხმები ხან მალლა მიიწევს და კვამლივით ედება სახურავებს, ხან ქარისაგან გატაცებული საღდაც შორეთში ლევს

სულს საცოდავად. ვესმენ ამ ხმას და ვფიქრობ, რატომ უფრო ძლიერად არ გაჰყვიროს ეს ბუკი, უფრო საწყალობლად, ყველა რომ აატიროს. რატომ ყველამ არ უნდა მოიხადოს ქუდი და გაიხსენოს ისტორიას ჩაბარებული ხალხი.

გაჰყვიროს უბიხების უკანასკნელი ბუკი...

მე ნაღვლიანად ვფიქრობ, ბუკი კი გაჰყვიროს, გაჰყვიროს და ბოლოს დუმდება.

მე და ზაურყანი შინ შევდივართ და აქეთ-იქიდან ვუსხდებით ცეცხლს. უბიხების უკანასკნელი ბუკი დადუმდა, უკანასკნელი კერა კი ისევ ღვივის. ვუცქერი ჩემს წინ მჯდომ უკანასკნელ უბიხს, ღრმა ნაოჭებით დასერილ სახეს, ძლიერ მუხლებზე დაწყობილ დიდ ხელებს, მის ფართო მხრებს, დანაოჭებულ, მაგრამ ღონიერ კისერს და ვფიქრობ, რა გოლიათი იქნებოდა ახალგაზრდობის წლებში.

— მიგიხვდი, შენ შორიდან ხარ მოსული, — სვენებ-სვენებით მეუბნება ზაურყანი, თითქოს გადავიწყებულ სიტყვებს იხსენებს, — ეხვდები, რომ საქმისთვის ხარ მოსული. ვიცი შეკითხვებს მომცეპ და მე უნდა გაიასუხო, მაგრამ გთხოვ, დღეს მოისვენე და პური გატეხე ჩემთან.

ამის დაშთავრებას ძლივს ასწრებს მოხუცი და ზღურბლთან ბირამი ისვეტება უხმაუროდ. ჩვენი, ბავშვობიდანვე ძვალსა და რბილში გამჯდარი აფხაზური ჩვევა ფეხზე მაყენებს მის შესახვედრად.

— დაჯექი დად, დაჯექი, მაგას ასეთები არ ესმის, — მეუბნება ზაურყანი და ბირამზე მანიშნებს.

ის კი ხმას არ იღებს, ისე ხსნის მოტანილ ფუთას და მაგრძაზე აწყობს საკმელს. ხანდახან ზაურყანისკენ იხედება და რაღაცას ეუბნება თურქულად, ისე ეჩურჩულება, არც მესმის. ალბათ ვახშმის თაობაზე ეთათბირება მოხუცს.

სანამ ბირამი ფუსფუსებს, მოხუცი უძრავად ზის, შუამკერდზე დაფენილ თეთრ წვერს იფარცხავს და თვალეში მიყურებს. მის თვალეში ერთდროულად ირეკლება სიკეთეცა და სიმძიმეც. მერე თვალს მაშორებს და სიბნელეში შეღებულ კარს აჩერდება. ხმამალლა და მხიარულად ლაპარაკობს. თითქოს იქ, კარს მიღმა მართლა ხდებოდეს რაღაც.

— დიახ, ტყუილად როდი გაჰყვიროდა ბუკი, დად შარახ, აი უკვე ყველა ნათესავი და მეზობელი შეგროვდა მის ხმაზე. თითო-

ეული თავის საქმეს აკეთებს: ზოგმა თიენები დაკლა და შამფურზე წვაეს, ზოგმა ხარი წამოაქცია და დიდ ქვაბში ხარშავენ ხორცს, ზოგი კი ღომს აკეთებს. ახლა ჩვენი უბინი უბუცესებიც გვეწვივნიან, რათა დედაჩემის ქვეყნიდან მოსულ ჩემს ძვირფას სტუმარს მოგესალმონ, აქ ნახავ ქილებიან ჩოხებში გამოწყობილებს, მორკალული ხმლები და ხანჯლები რომ ამშვენებთ. დიდი ხანია შეერთანხმდით: ვის ეზოშიც გამოჩნდება კავკასიელი სტუმარი, იქ უნდა მოვიყაროთ თავი ყველამ.

მე ვუსმენ და ხანდახან მდუმარედ გადავხედავ ხოლმე ბირამს, ისევე მშვიდად რომ ალაგებს მაგილაზე საჭმელს. ან აფხაზური არ ესმის და ან უკვე შეჩვეულია ამას.

ზაურყანი ფეხზე დგება, მუგუზლით სანთელს უკიდებს და ბირამის გაწყობილ მაგიდას კუთხეში დგამს. მერე შუა ოთახში დგება და მხიარულად ამბობს:

— აბა, ჭაბუკებო, ქალიშვილებს უთხარით დოქები და თასები მოიტანონ. ნადიმი იწყება და დროა ხელი დააბანინონ სტუმრებს, — თითქოს ვიღაცას გვერდი აუქციაო, ისე გავიდა ზაურყანი კარში.

გარეთ ბნელა და სიწყნარეა, უღრუბლო ცაზე უძრავი ვარსკვლავები კაშკაშებს.

— ღრმად პატივცემულო სით, დაუთ, საულაჰ, თათლასტან, ზოსჰან, აჰმეთ, ხელები დაიბანეთ და ჩვენი სტუმარი სუფრასთან მოიწვიეთ. ყველაფერი მზად არის, — ამბობს ზაურყანი, და ისე იხედება აქეთ-იქით, თითქოს ყველანი მის გარშემო იდგნენ. მერე რამდენიმე ნაბიჯს დგამს, ბებერ ხესთან მიდის, ხელებს ხევს და ვიღაცისკენ იხრება, ხის ქვეშ რომ დგას უჩინრად.

— ჩემო ძვირფასო დედა, რატომ ხარ დღეს ასე მოწყენილი? ახლოს მოიწი და დასავით გადაეხვიე ჩვენს სტუმარს. ის ხომ შენი მშობლიური აფხაზეთიდან არის ჩამოსული. ხომ მახსოვს რა მწარედ ტირილი და მოთქვამდი ჩვენს ნამალევედ აფხაზურად, ტირილი იქ დარჩენილ ძმებზე. მართალია, ეს შენი ღვიძლი ძმა არ არის, მაგრამ აფხაზია. ხმა გაეცი, იქნებ რაიმე იცის შენი ძმებისა.

ზაურყანი წელში სწორდება, ვისაც ახლა ელაპარაკება, მისი სიმაღლისა უნდა იყოს:

— მინდოდა გამეხარებინე მამაჩემო! მახსოვს, აფხაზი რომ გვესტუმრებოდა, სულ ერთი იყო, ახალგაზრდა იქნებოდა თუ მოხუცი, უმასპინძლდებოდი, მეზობლებს მოუწვევდი და მერე მდი-

ნარე მზიმთამდე აცილებდი. ღღეს შარახ ქვაძბაა ჩვენი სტუმარი, ახალგაზრდაა, მაგრამ ჩვენი სირცხვილი, საკადრისად თუ ვერ ვუმასპინძლეთ! ალბათ შორიდან მოვიდა, რომ გაეგო რა დაგვემართა, რატომ აღვიგავეთ უბიხები პირისაგან მიწისა.

ზაურყანი სახლისკენ მოდის, ზედ ზღურბლთან ჩერდება და ხმას უწევს:

— ენც ხელი დაიბანა, სუფრასთან ვიწვევ ჩვენს ძვირფას სტუმართან ერთად.

მოხუცი აღარაფერს ამბობს, ხელით მეპატიჟება შინ.

ზღურბლთან ბირამი გვხვდება, უჭირავს დოქი და ხელს გვაბანინებს.

— აი ეს არის, რაც ღმერთმა მოგვცა ღღეს, — ამბობს ზაურყანი და სუფრას ვუსხდებით.

ყველაფერი, რაც სუფრაზე დევს თუ აწყვია, მჭადის გარდა, არაფრითა ჰგავს კავკასიურს. მოგზაურობის დროს ბევრჯერ მიგვმია თურქული კერძები, ისეთი, ახლა რომ მოგვართვა ბირამმა: პაკლა ჩარბასიც — ლობიოს სუპი, და ბუღლი-ბუღლამაც — ორთქლზე მომზადებული კატლეტი.

ზაურყანი მიმასპინძლდება, ბირამს კი თვალები მიუღულავს და ისე წყნარად მიმჯდარა კუთხეში, თითქოს სძინავსო.

კერაზე ცეცხლი იფერფლება, სუფრაზე წვრილი სანთელი ბუტავს. მე კი ამ სიბნელეში უცნაურად ვგრძნობ თავს. თითქოს მჯერა კიდევ და არც მჯერა, რაც ჩემს გარშემო ზდება.

ზაურყანი ჩემს პირდაპირ ზის, ნელა ჭამს და დროდადრო უკმაყოფილოდ იხედება ჩემს გვერდით ერთსა და იმავე ადგილას; შემდეგ მუხლებზე ხელისგულებს აჭერს, ნელა დგება და ვიღაცას ეძახის:

— ნარჩოუ, ეი, ნარჩოუ, ყველა ზის, ვინც უნდა დამჯდარიყო? დასხდნენ? ყველას დაუსხით ღვინო? სუფრაზე ყველგან არის მოხარშული ზორცი? ყურადღებით იყავით, ნარჩოუ, და როცა დრო მოვა, მე მგონი იცი, ვისაც უნდა მიართვა ბეჭი.

ზაურყანი წამოიმართა.

— ახლა კი, ჩემო ძვირფასო სტუმრებო და ძვირფასო მეზობლებო, მართალია, არავეითარი ღირსება არ გამაჩნია ასაკის გარდა, მაგრამ მაინც მე მხვდა წილად სუფრის ხელმძღვანელობა. ღმერთმა ყველა ბედნიერი და ჯანმრთელი გამყოფოთ. ღღეს ისეთი პა-



ტივსაცემი სტუმარი გეყავს, რომ მგონი ამაზე უფრო ძვირფასი ვინმე აღარასოდეს გვეწვევა. ეს ჩემი ბიძაა, დედაჩემის ძმაა. იგი გაცილებით მეტის ღირსია, ვიდრე იმისა, რაც ამ ღარიბულ სუფრაზე მივართვით, მაგრამ რაცა გვაქვს, კეთილი გულით არის მიძღვნილი.

ზაურყანს თავი აუწევია და ისე დგას სუფრასთან. მარჯვენა ხელი ისე მოუხრია, თითქოს ღვინით სავსე ჭიქა ეჭიროს.

მივჩერებივარ მოხუცს და თითქოს მჯერა, რომ ირგვლივ ხალხი ახვევია, ისე დარწმუნებული ესაუბრება. სიცარიელეს. ერთი წუთით ყველაფერი მავიწყდება: ეს ქვეყანაც, სადაც ჩამოვედი, ის უდაბნოც, აქ ჩამოსვლამდე რომ გამოვიარე, ის შიშველი ბორცვოც, აქ რომ ამოვფორთხდი და მღვიმეც, სადაც ახლა ვზივარ. ყველაფერი მავიწყდება და მგონია, რომ აქ კი არა, კავკასიაში ვარ და ახლა კი არა, ასი წლის წინათ უბიხების ხალხმრავალ სუფრას ვუზივარ.

ზაურყანი მოცელილივით ეშვება სკამზე. იგი ჩემს პირდაპირ ზის, უკან გადაწოლილა და დაღლილი მიყრდნობია კედელს. ვქამთ. ზაურყანი დუმს. ხუთი, ათი წუთი არ იღებს ჭმას. ბირაში ყავას აღუღებს ნაკვერცხლებზე და ფინჯნებში ასხამს. ყავას ვსვამთ, მოჭუცი კი ისევ დუმს. როცა ვამთავრებთ, ნელა დგება და მეუბნება:

— დად შარახ, ამაღამ აღარ შეგაწუხებ, ნამგზავრი ხარ და დადილი იქნები. დაწეკი და დაისვენე, — ხელით მანიშნებს ბამბის-საბანგაფარებულ ტახტზე, ოთახში შემოსვლისთანავე რომ შევნიშნე.

— ღამე მშვიდობისა, — მეუბნება იგი, კართან მიდის და თავს ხრის გამომშვიდობების ნიშნად. კედელზე მიყუდებულ კვერთხს იღებს და ჩემსკენ აღარც რხედება, ამაყად გადის მღვიმიდან. ბირაში კი მოხუცის მობრუნებამდე მიჩვენებს, სად უნდა დავწევი — აქ კი არა, მეორე ოთახში, სადაც მოხუცმა მითხრა.

იმ ღამეს ძილი არ მომკარებია. ჯერ აყო და მესმოდა, როგორ დადიოდა მოხუცი და თავის თავს ელაპარაკებოდა. როცა ინათა და მოხუცმა დაწოლა ინება — მე აღარ დამეძინა. ჩემოდნიდან უბის წიგნაკი ამოვიღე და რამდენიმე საათი ვწერდი ყველაფერს, რაც განსაკუთრებით დამამახსოვრდა მოხუცის ნაამბობიდან. ვწერდი და შემფოთებული ვფიქრობდი: „როგორი იქნებოდა იგი ზვალ-

გრძნობების ასეთი აფეთქების შემდეგ, რისი მოწვევა თვითონ გახლდათ? მოეგება კი გონს? დამწვრილება? ვამოგვივა საუბარი?“ მაგრამ შიში ამას გამოვლდა.

დილით ამ ოთხ-ხიდან ყველაზე უფრო ბებერი ხის ქვეშ დაჯდა თავისსავე გაკეთებულ სკანზე და მკითხა, რის გაგება გაინტერესებსო.

მე ავლხსენი, ჯერ შენი ცხოვრების ამბავი მაინტერესებს, შემდეგ კი მინდა უბიხური ენის შესწავლაში დაქმნარო, რადგან სხვა აღარავინ ლაპარაკობს უბიხურ ენაზე და დახმარებაც არავის შეუძლია-მეთქი. ორივეჯერ უსიტყვოდ დამიქნია თავი თანხმობის ნიშნად.

იმ დღეს ძალზე დაღლილი ჩანდა და არ ამიჩქარებია. მეორე დღეს კი დილიდანვე შევეუდექით საქმეს. ყოველდღე დილით, შუადღით თუ საღამოთი რამდენიმე საათს ველაპარაკებოდით. ასე გაგრძელდა მთელ თვეს. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ოცდაათობმეტი დღე ვიცხოვრე მასთან, ზუსტად იმდენი, რის უფლებასაც ჩემი ვაზა მძღვედა. ვიზის გაგრძელება რომ მესინჯა, მთელი მოგზაურობა უნდა მომეწყყო, გარდა ამისა, შედეგაც საეჭვო მეჩვენებოდა და ველარ გავბედე.

ბირამს მოხუცის ფარულად მოველაპარაკე, მცირე თანხაზე შევუთანხმდი და დღეში ერთხელ, ხშირად ორჯერაც მოდიოდა და მოქონდა ჩვენთვის მოკრძალებული საქმელი, რასაც თავისუფლად ვერეოდით.

დილიდან შუადღემდე ეზოში ვისხედით. მოხუცი ხის ქვეშ, თავის ნაკეთებ სკანზე იჯდა, მე კი — ხელში წიგნაკი მეჭირა და ჩინარის მსხვილ, გადანაჭერზე ვიჯექი.

ყოველ დილით, შუადღემდე, ზაურყანი ჩემი თხოვნით უბიხურად ველაპარაკებოდა, მე დაძაბული ვუსმენდი, ვიწვრდი და ხელახლა ვეკითხებოდი, მხოლოდ ბოლო კვირას გავვადვილდა საქმე, პირველად ძალზე მიჭირდა.

ბეღმა გამიღიმა. ასი წლის მოხუცს, რომელსაც ოცდაათი წლისას დაეტოვებინა კავკასია, უბიხური კი არა, აფხაზური ენაც ახსოვდა, მშობელი დედის ენა. საუკუნის სამ მეოთხედში კი თავისუფლად შეესწავლა თურქულიცა და არაბულიც. ასე რომ, სადაც

ვამიჭირდებოდა, ერთი ენაღან მეორეზე გადავდიოდი და უბიხური სიტყვის ზუსტ მნიშვნელობას ვაძგენდი.

ამ ენა-ს შესწავლა სულ თავიდან მიზღებოდა, თუმცა მის ლექსიკაში აფხაზური სიტყვების ფესვებიც უხვად იყო. ცეცხლს აფხაზურად „ა-მცა“ ეწოდება. უბიხურად — „ა-მეძი“, წვიმას აფხაზურად „ა-ყუა“ ეწოდება, უბიხურად — „აყ-ყუ“, წყალს აფხაზურად — „ა-ძი“ ჰქვია, უბიხურად — „ბზი“, თვალი აფხაზურად — „ა-ბლა“, უბიხურად — „ა-ბლია“, მარილი აფხაზურად — „ა-ჯია“, უბიხურად „ჯი“. ფონეტიკაშიც ბევრი მსგავსება იყო, მაგრამ არც სხვაობა იყო ნაკლები. ასეა თუ ისე, მე ორი თანხმოვანი დავადგინე, რომელთა წარმოთქმაც მკვეთრად განსხვავდება აფხაზური წარმოთქმისაგან.

ზოგჯერ, ჩვენი დილის საუბრის დროს, ზაურყანი აფხაზეთზე წელაპარაკებოდა, თავისი დედის სამშობლოზე. და ამ დროს, უკეთესად რომ გამეგო, უბიხურიდან აფხაზურზე გადადიოდა. ყველაზე მეტად ნათესაეები და დედის მოგვარეები აინტერესებდა. უკვე ბევრჯერ მქონდა ნათქვამი, რომ წებელდაში, საიდანაც დედამისი იყო, არასოდეს შევხვედროდი შათ-იფას გვარის კაცს. მას კი არაფრით არ უნდოდა ამის დაჭერება და ისევ და ისევ მეკითხებოდა.

— ნუთუ ვინმე ბრმა, კოჭლი ან ხეიბარი მაინც არ შეგხვედრია შათ-იფას გვარისა? იქნებ ერთი კაცი მაინც იყოს წებელდაში!

— არა, წებელდაში ახლა ამ გვარისა აღარაინ არის, — მოთმინებით ვუთმეორებდი მე. — სამაგეროდ, აფხაზეთის სხვა კუთხეებში ცხოვრობს შათ-იფას გვარის ხალხი. მოხუცებიც არიან და ახალგაზრდებიც, უსწავლელებიც და ნასწავლებიც. ჩემი ნაცნობებიც არიან.

შემდეგ გამომიტხა, რომელ სოფლებში ცხოვრობენო, ზღვასთან ახლოს არიან თუ შორს, და როგორ ცხოვრობენო.

ვცდილობდი მეამბნა, როგორ შეიცვალა აფხაზეთი, ვესაუბრებოდი ჩვენს ქალაქებზე, რკინიგზებსა და გზატკეცილებზე, ჰაობების ამოშრობაზე, ციების წინააღმდეგ ბრძოლაზე, საავადმყოფოებზე, სკოლებზე, სწადაც ბავშვები აფხაზურ ენაზე სწავლობენ, და საერთოდ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებაზე.

ცდილობდა გულისყურით ესმინა ჩემთვის, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ყოველივე ეს ძალზე უცხო იყო მისთვის. ჩემს მონათხრობსა

და მის მეხსიერებაში შემორჩენილ ახალგაზრდობას შორის ძალზე დიდი, თითქმის გადაუღალავი მანძილი იყო — საუკუნის სამი მეოთხედი.

სალამოობით აშინდის შესაფერისად ხან ისევ გარეთ ვისხედით ხეების ქვეშ. ხან კიდევე შინ და ზაურყანი აფხაზურად მყვებოდა თავისი ცხოვრების ამბებს. უმეტესად თურქულ სიტყვებს ურევდა ლაპარაკში, ზოგჯერ — არაბულსაც. როგორც გოთხართ, აფხაზურად თავისუფლად ლაპარაკობდა, მაგრამ საუკუნის მეოთხედმა ათასობით თუ არა, ასობით ახალი სიტყვა მოიტანა, რომელიც მაშინ აფხაზურ მეტყველებაში არ იხმარებოდა და ეს სიტყვები ზაურყანმა მხოლოდ თურქულად ან არაბულად იცოდა.

ამის გამო ზოგჯერ ჩემიც არ ესმოდა კარგად. ეს სწორედ მაშინ ხდებოდა, როდესაც მე თვითონ ვხმარობდი აფხაზურ ლექსიკაში შემოსულ ახალ სიტყვებს, ან ძველ სიტყვებს, რომლებსაც უკვე სავსებით სხვანაირი მნიშვნელობა ჰქონდა. რასაც ზაურყანი თავის ცხოვრებაზე მიაგებდა, იმის ჩაწერას ვასწრებდი, მით უმეტეს, რომ დაუზარებლად მიმეორებდა ხოლმე ერთხელ ნათქვამს. დამე, მოხუცის დაწოლის შემდეგ იმას ვწერდი, რის ჩაწერას საუბრის დროს ვერ ვასწრებდი... ზოგ ადგილას კი, სადაც ვგრძნობდი, რომ საჭირო იყო კომენტარები, აღნიშვნებს ვაკეთებდი, შემდეგში რომ არ დამეჩივებოდა. მთავარი მაინც, რა თქმა უნდა, ზაურყან ზოლაკის ნაამბობის ჩაწერა იყო, ზაურყანისა, რომელსაც ქეშმარიტად შეურყეველი სიცოცხლის ძალა ჰქონდა და ასეთივე შეურყეველი მეხსიერება.

### როცა შინ ვიყავით...

— ტყუილად ამბობენ, ჩემო ძვირფასო შარახ, რომ აღამიანს ენის დავაწყება შეუძლია, იმ ენისა, ძუძუსთან ერთად რომ შეუწოვია. არა, არ შეუძლია, ისევე, როგორც მე არ შემიძლია დედაჩემის დავიწყება. სამი ენა ვიცოდი ახალგაზრდობაში. ისე თუ დადგები, რომ ზღვას უყურებდე, ჩვენგან — უბიხებისგან მარჯვნივ აღიღელები ცხოვრობენ, მარცხნივ კი — აფხაზები. ჰოდა, აფხაზურის გარდა აღიღეურიც ვიცი, მართალია, ცოტა ნაკლებად, მაგრამ მაინც ვიცი. ჩვენ ისეთი ახლო მეზობლები ვიყავით, რომ არ

შეძლებოდა ერთმანეთის ენები არ გვეცოდნოდა. უბიძური ჩემი დედაენაა, ყველგან და ყოველთვის მესმოდა დაბადებოდაწვე, შინ და გარეთ და აბა როგორ შემეძლო მისი დავიწყება? აფხაზური დედაჩემისგან ვიცოდი, აღიღეური კი ბებია იცოდა კარვად. ის მიყვებოდა აღიღეურ ზღაპრებს, ენის გასატეხებს, გამოცანებს. მახსოვს: წისქვილში მიდის ბებია და თავზე ხორბლით გატენილი გუდა აღევს. მიდის და თან ძაფს ძახავს. ენასაც არ აცდენს ბებია უსაქმოდ: აღიღეურ ზღაპრებსა და მოსწრებულ სიტყვა-პასუხებს მიყუება. ერთი ზღაპარი დამახსოვდა. ჩვენი მეზარეობა საწურივით არის — ნაწილი გაღის, ნაწილი შივ რჩება. ეს აღიღეური ზღაპარიც ჩარჩა ხსოვნაში და გაიბოზბო:

„ოდესღაც ერთი კაცი ცხოვრობდა. ყველა ენა იცოდა: მგლისა, კურდღლისა თუ ჭიანჭველისა. ერთხელ ტყეში მიდიოდა და უნებლიეთ ჭიანჭველას დააბიჯა ფეხი. გაბრაზებულმა ჭიანჭველამ შესძახა:

— ვინ არის ეს უკეთური, რომ მიდის და ძირს არ ჩხედება?

ეს რომ გაიგონა კაცმა, ჭიანჭველა ხელისგულზე დაისვა და გაოცებული ათვალერებდა.

— ეს რა დიდი თავი გაქვს?

— ეს იმიტომ, რომ ტვინი შევიანხო შივ.

— ასეთი წვერილი წელი რატომღა გაქვს?

— იმიტომ კი არ ვცხოვრობ, რომ ვკამო, იმიტომ ვკამ, რომ ვიცხოვრო.

— რამდენის ჭამა შეგიძლია ერთ წელიწადში?

— ერთ წელიწადს ხორბლის ერთი მარცვალი მეყოფა, — უბაღსუხა ჭიანჭველამ.

— მაშ კარგი, ვნახოთ გეყოფა თუ არა ერთ წელიწადს ხორბლის ერთი მარცვალი, — უთხრა კაცმა. ჩასვა ჭიანჭველა ყუთში და ხორბლის მარცვალი ჩაუგდო შივ.

გავიდა ერთი წელი. გაახსენდა კაცს ჭიანჭველა, გახსნა ყუთი და გაოცდა — ჭიანჭველას მხოლოდ მარცვლის ნახევარი შეეჭამა.

— ნახევარ მარცვალზე მეტი რატომ არ შეგიჭამია?

— იქნებ იმ სულელ კაცს, ვინც ტყუილუბრალოდ გამომამწყვდია დიღეგში, ერთი კი არა, ორი წლის შემდეგ გავხსენებოდი. ჰოდა, მეც ყოველ შემთხვევისათვის შემოვიინახე ეს ნახევარი მარცვალი, — უთხრა ჭიანჭველამ“.

აღბათ იმიტომ მახსოვს ეს ზღაპარი ასე ვარჯღ, რომ ჩემი ცხოვრების დიდ ვხაზე ხშირად ვიხსენებდი იმ პატარა ჭინჭელას. მართალია, მე ჭკუას კი არა, ღონესა და ამტანობას გამოვეყავდი ვაჭარებელთან. ისეთი ჭკუა რომ მქონოდა, როგორც ღონე, სულ სხვა-ნაირად აეწყობოდა ჩემი ცხოვრება. დედაჩემი, როგორც გითხარა, აფხაზი იყო, შათ-იფას გვარისა. არ მახსოვს, მასწავლიდა თუ არა აფხაზურს, რაც თავი მახსოვს, აფხაზურად ვლაპარაკობდი. ბავშვობაშიც და, რომ წამოვიზარდე, შემდეგაც. დიდი ხნობით ვცხოვრობდი წებელღაში ჩემს ბიძებთან. დიდი და სტუმართმოყვარე ოჯახი მქონდათ. ზამთარში თუ ვიყავი სტუმრად, ხშირად ვისწავნიდი ზოლზე ზღაპრებსა და სიმღერებს ამ საქმის ოსტატებისაგან. სწავლებით რომ მოდიოდნენ ჩემს ნათესავებთან.

აქ მოვიღმინე თქმულება აბსკრილზე, თვით ღმერთს რომ ერკინებოდა, თქმულება ბებერ გოლიათებზე — ნართებზე. მახსოვს, ვინმეს შექება თუ უნდოდათ, კარგი თხრობისთვის იმ ნართს ადარებდნენ, თავისი ოქროპირობით წყალი რომ ააღულა ქვაში.

დედაჩემის ძმების სახლში ჯერ სტუმართმოყვარეობა და შემდეგ მშვერმეჭყველება ფასობდა ყველაზე მეტად.

დღეს რაღაც ხშირად მიხამხამებს თვალი, აღბათ იმიტომ, რომ გარდასულებს ვიხსენებ. ყველაფერი, რაც ბავშვობაში ვიცოდი, ისეა ჩემს გულზე ამოტვიფრული, როგორც წარწერა სამარის ქვაზე. წლები გადის და არც წვიმას, არც თოვლს, არც ქვიშას არ ძალუძს მისი წაშლა.

ნუ გაგვიკვირდება, შარბ, ჩემი ბავშვობისდროინდელი ენები რომ მახსოვს. მე ის გამიკვირებოდა, რომ დამვიწყებოდა.

მერმე ცხოვრებამ თურქული და არაბული მასწავლა, ამიტომ მაღლობელი ვარ ცხოვრებისა. მართალია, მძიმე ცხოვრება გამოვიარე... ენების ცოდნას ბედნიერება არ მოუნიჭებია ჩემთვის, მაგრამ სიცოცხლე კი შემინარჩუნა.

გუშინ მითხარი, ვერც თურქეთში და ვერც სირიაში კაცი ვერ ენაზე უნის გარდა, უბიხურ ენაზე რომ ლაპარაკობდესო, არც კავსიაშია ვინმე ამ ენაზე მოლაპარაკეო. იქნებ კარგად ვერ გავიგე, მაგრამ იმის თქმა გინდა, რომ უბიხური ენა აღარ არსებობს, მოისპო, შეიძლება მართალს ამბობ, მაგრამ მე არ მჯერა ეს სიმართლე.

თურმე ბევრჯერ ყოფილხარ უბიხების ქვეყანაში. ის იქვეა, თქვენს გვერდით, საკმარისია, მდინარე ხოსტაზე გადახვიდე და

მდინარე სოჭს მიუახლოვდე. ახლა არ ვიცი როგორია, მაგრამ მაშინ წყალუბვი მდინარე იყო. მითხარი, იქ რომ იდექი, ნუთუ სოჭი არ გელაპარაკებოდა? ან იქნებ გელაპარაკებოდა, მაგრამ შენ არ გესმოდა მისი ენა? რაკი მიეღონება, ესე იგი ლაპარაკობს კიდევ და ნაოლოდ მაშინ დაღუპდება, მის კალაპოტში წვეთიც რომ აღარ დარჩება.

უბიხების ქვეყანაში თუ დადიოდი, არ შეიძლება ჩვენი წმინდა აუგილი არ გენახა, სადაც ყოვლისშემძლე ბიძა ინახებოდა. მაღალი ბორცვის ქვეშ მწიანე მდელი იყო გაშლილი, ბორცვებზე კი შეიდი უზარმაზარი მუცა იდგა და თავიანი ჩრდილით იფარავდა ჩვენს წმინდათაწმიდას. მათი ტოტები ერთმანეთს წვდებოდა და ფოთლებიც შრიალით ესიტყვებოდნენ ერთმანეთს. იქ იდექი და არ გაგეგონა, როგორ საუბრობდნენ ჩვენს ენაზე? არც მუხების ტანზე შევიჩინევა უპირავი ნაკრილობევი — ანთებული სანთლების კვალი, ყოველ გაზაფხულზე რომ ამაგრებდა ზედ სალოცავად მოსული ხალხი?

იმ შეიდი მუხის ქვეშ მარად უშრობი, ნაკურთხი წყარო არ გინახავს? თუ ნახე და ახლოს იდექი, როგორ ვერ გაიგონებდი მის ხმას?

ერთიც მინდა გკითხო: მაცესტაში არ ყოფილხარ, სადაც ცეცხლოვანი წყალი მოჩქაფუნობს, სადაც მღულარე ცრემლებს ღვრის მიწა, არც მიწიდან ამოხეთქილმა ამ ქაფქაფა წყალმა გითხრა რამე? არაფერია რომ არ შეგენიშნოს და არაფერი გაცეკონოს, ზღვას მაინც ნახავდი, ჩვენი ქვეყნის ნაპირებს რომ ლოკავს. არც იმას უთქვამს რამე?

ახლა ჩვენი წინაპრების საფლავები და სამარის ქვები? ტყუილია, ქვები არ ლაპარაკობენო. ლაპარაკობენ, თუ შენსიერება არ გაგყინვია, თუ შევწევს უნარი სიჩუმეს უსმინო.

იმ ფრინველების გალობაზე რაღას იტყვი, მხოლოდ იქ რომ ცხოვრობენ და სხვაგან არა? ვერც იმათი ენა გაიგე? არა, ჩემო ძვირფასო შარახ, ენა ასე ადვილად ვერ მოკვდება, როგორც შენ გკონია. ენა მარტო ადამიანის ენის წვერზე კი არ ცოცხლობს, თვითონ ადამიანშია, წყლის, მიწისა და ქვის გულში. მე მჭერა, რომ იქ უბიხების მიწა-წყალზე ტოტი ტოტს. ქვა ქვას, წყარო წყაროს ახლაც იმ ენაზე ელაპარაკება, მე რომ გესაუბრები.

მამაჩემიც და პაპაჩემიც გლენები იყვნენ. პაპაჩემი ჩემს დაბა-

დღეპამდე მოჰყვარა. მამბობდნენ, მწყემსი იყო, ბატონის ნახირს მწყემსავდა და ამით არჩენდა ოჯახსო. მამაჩემი ჰამირზა კი მიწის მუშა იყო, ფეტვი და სიძინდი მოჰყავდა და შუალამეზე გაღვიძებულს თუ მინახავს მწოლიარე, დამჯდარი მამა არ მახსოვს.

პირველად ჩემს დედ-მამას ჩემი უფროსი და აიშა შეეძინათ, შემდეგ — მე, ჩემს ვერე უმცროსი ძმა — მატა, შემდეგ კიდევ ორი და — ჯუნა და კუნა — ტყუპები.

თურქეთში გადმოსახლებამდე ყველანი ერთად ვცხოვრობდით, მხოლოდ აიშა ცხოვრობდა მეზობელ სოფელში, იქ იყო გათხოვილი. გარუნი ერქვა მის ქმარს.

რამდენიმე სკა ფუტკარი გვეყავდა და შემოდგომით მთელ თაფლსა და ცოტაოდენ სიძინდსაც ვყიდდით. სანაცულოდ მარილს, საპონსა, და, რაც მთავარია, თოფის წამალს ვყიდულობდით.

როცა ან გვალვა იყო, ან ხშირი წვიმები და მოსავალი არ გვივარგოდა, მე და მამაჩემი შინ უმცროს ძმას ვტოვებდით და მდინარე სოკს ავუყვებოდით. იქ ბზას ვჭრიდით, გზა არ იყო და მოქრილ ბზას ხარებით მივათრევდით ნაპირამდე და თურქ ვაჭრებზე ვყიდდით ხოლმე. იმათ ხომ იაფად მიჰქონდათ და მიჰქონდათ, ახლა შარდინისთვის, ალოუს ძისთვის უნდა მიგვეცა წილი; რაკი ის იყო ბზის ხეობის პატრონი. კაცმა რომ თქვას, შარდინს უფრო ცოტას ვაძლევდით, ვიდრე სხვასთან დაგვეჭირდებოდა; ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. ჩვენში — უბეხების ქვეყანაში, როგორც თქვენში — აფხაზეთში, ძველთაგანვე არსებობდა ერთი კარგი ჩვეულება — ძიძეშვილობა. გლეხებს თავადების ოჯახებიდან აღსაზრდელად მიგვეყავდა ხოლმე ბავშვები. ზოგჯერ გლეხები ბავშვის დაბადებამდეც უთანხმდებოდნენ მომავალი აღსაზრდელის მამას, სოფლის ღირსეულ კაცებს უგზავნიდნენ და თხოვდნენ ნება დაერთოთ, მისი ფერხთა მტვერის ღირსნი გამხდარიყვნენ, — ეს მათთან დანათესავებას ნიშნავდა.

თუ თავადი გლეხს შვილს გაუგზავნიდა აღსაზრდელად, თანაც ეს თავადი მდიდარი თუ იყო, ოჯახის მფარველად შიამნდათ.

მაგრამ თავადებიც ჰაიპარად როდი გასცემდნენ ხოლმე შვილებს, ათასნაირად სწონიხდნენ, რომელი გლეხის ოჯახთან დანაშვება უფრო სახირო იყო, ვინ უფრო გამოადგებოდათ, ვისი იმედი უნდა ჰქონოდათ გაჭირვების დროს.

აი ასე გვენათესავებოდა თავადი შარდინი, ალოუს ძე — ბები-



აჩემის გაზრდილი. მის ხეობაში ეპრიდით ზხას და შელავათიანად ვუბდიდით საფასურს. ხანდახან მარტო საჩუქრების გაგზავნას ვჯერდებოდით. შარდინი კი, მარტო ჩვენი ოჯახისთვის კი არა, მთელი ზოლაკების გვარისათვის ძუძუმტედ ითვლებოდა. საჭიროების დროს ჩვენი გვარის ყველა წევრი მის დასაცავად უნდა აღმდგარიყო.

შარდინი, ალოუს ძე, როგორც ყველა უბიხი თავადი, წაბლას ხის შავარ სახლში ცხოვრობდა, რომელიც თავიდან ბოლომდე საგანგებოდ შერჩეული ფიცრებით აეშენებინა. მიწაც ჰქონდა, ტყეც-საძოვრებიც და დახნული მიწებიც. ჩვენი სოფლები მის საძოვრებზე მწყემსავდნენ თავისსაც და შარდინის, ალოუს ძის ნახირსაც, ერთად ხნავდნენ, თესავდნენ და მოსავალსაც ერთად იღებდნენ. ყურძენსაც გლეხები უკრეფდნენ და უწურავდნენ.

მახსოვს, დღესასწაულებზე მთელ ჩვენს საგვარეულოს ძღვენი მიჰქონდა: თიკანი, კრავი ან მოზერკი. კაკალიც მიჰქონდათ, თაფლიც და ღვინოც — ვისაც რა შეეძლო.

ჩემს მეხსიერებაში შარდინი, ალოუს ძე მეომრად დარჩა. ეზოში დღე და ღამე შეკაზმული ცხენი ება და არც მახსოვს სხვა რავე გაეკეთებინოს ბრძოლის, თარეშისა და მტერზე თავდასხმის გარდა. ზოგჯერ, გამარჯვებული თუ ბრუნდებოდა თარეშიდან, ზღვაზე მიდიოდა და თურქეთიდან გემებითა და ფელუკებით მოსულ ვაჭრებზე ჰყიდდა ტყვეებს. რამდენიმე მონას ყოველთვის იტოვებდა მსახურად. რაკი ტყვედ ჩაიგდებდა, თავისი საკუთრება იყო: გინდა გაყიდდა, გინდა მოკლავდა და გინდა გამოსასყიდზე დააბრუნებდა.

როცა მეზობლებთან ან თაიადების საგვარეულოსთან დავა გვექონდა — ეს კი ხშირი იყო — შარდინ ალოუს ძე თავყრილობაზე მიდიოდა, სადაც საღავო საკითხები წყდებოდა. ასეთ დროს ჩვენი გვარის კაცები მუდამ თან ახლდნენ, რათა დაეცვათ ან შური ეძიათ, თუ ვინმე გაბედავდა მასზე ხელის აღმართვას. თანმხლებნი იცვლებოდნენ — ხან ერთი მიჰყვებოდა, ხან მეორე, მამაჩემი ჰამირზა კი — შარდინის ძიძიშვილი განუშორებლად ახლდა თან. გამივონია, რომ ძველად, როცა აფხაზეთს მეფეები განაგებდნენ, უბიხების ქვეყანაც თურმე აფხაზეთის ნაწილად ითვლებოდა. ჩემ დროს კი ასე არ იყო, არც აფხაზეთზე ვიყავით დამოკიდებული და არც ჩვენი ერთი რომელიმე თავადი გვეყოლია ბატონად. რამდენიმე ძლიერი თავადი გვყავდა და, თუმცა ხშირად ედავებოდნენ ერთმანეთს და

ლაუფლებსათვის, მაინც ერთად განაგებდნენ უბიხების ქვეყანას. ამას შემდეგ ვამბობ, ჩემს უბედურებას რომ მოვიყვები.

მამაჩემი მამობა კეთილი და სამართლიანი კაცი იყო. თუ სოფელში ერთმანეთს წაეჩხუბებოდა ვინმე, მამაჩემს მოაკითხავდნენ, სამართლიანად და დინჯად რომ გაერჩია საქმე. ბრძოლასა და თარეშში კი მამაჩემი უშიშარი და მროსხანე იყო და სხვებისასაც მამაობას აფხანებდა ყველაფერზე მეტად.

მე და ჩემს ძმას ბავშვობიდანვე გვასწავლა ხმლის ქნევა და მიზანში სროლა, უშიშარი ცხენოსნობა. ზამთრობით მთებში დავდივართ: ვნადირობდით და ხაფანგებს ვაგებდით. დიდთოვლობისას თბილამურებს ვხმარობდით, ესეც გვეჩერებოდა. ზღვა ახლოს იყო ჩვენთან და მამას ხშირად დავყავდით ხოლმე, ცურვაც ვიცოდით, ნიჩბოსნობაც და იალქნების დაჭიმვაც.

უბიხები ხანდახან თევზის საჭერად გადიოდნენ ხოლმე ნაუბით. ზოგჯერ კი აფხაზეთისა და ჩერქეზეთის სანაპიროებთან თურქების ფელეკებს ძარცვავდნენ.

დედაჩემი ნასი, ტყულების შეძენის შემდეგ, ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც არაფრისა ეშინოდა და, როგორც ახალგაზრდობაში, ხშირად მიდიოდა ხოლმე წებულდაში ძმების მოსანახულებლად. შეირადებული ამხედრდებოდა და მარტო მე წამიყოლებდა — ბატარა ბიჭა. ახლაც, თვალებს რომ დავხუჭავ, ახალგაზრდა დედა მელანდება. მაღალი იყო და წარმოსადეგი, წაბლისფერი ნაწნავები კი თითქმის ქუსლამდე სცემდა.

ღარიბები ვიყავით, გვიჭირდა, მაგრამ ის ღირს მაინც ისე მახსენდება, როგორც ჩემი ოჯახის უბედურების დღეები. ექნებ იმიტომ, რომ შემდეგში, ასეთი უბედურება გვეწვია!

ახლა მგონია, რომ ბავშვობა ყველაზე ხანმოკლე დროა ქვეყანაზე. გუშინ ბავშვები ვიყავით მე და ჩემი ძმა, და აი, უკვე მეომრები ვართ. მართალია, ყველაზე უმრწემესნი, მაგრამ უკვე გვევალება თან ვახლდეთ უფროსებს ლაშქრობაში. სამჯერ ვიყავი სათარეშოდ ჩემს ძმასა, მამაჩემსა და სხვა კაცებთან ერთად. პირველად ახლოს, აფხაზეთში ვიყავით, მეორედ და მესამედ კი შორს გავითარეშეთ ჩრდილოეთისკენ, მთებს გადაღმა. ეს გათარეშება უკვე შავბნელ დროში იყო, როცა რუსი მეფე საბრძოლველად გამოემართა უბიხებისკენ.

ომი ერთი და ორი წელი როდი გრძელდებოდა, ხანგრძლივი

იყო. აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიბრძოდით. ისე კი, რამდენჯერმე შეცვალა ზამთარმა ზაფხული, ომი კი ისევ გრძელდებოდა. ზოლოს ქულზე კაცი გამოდიოდა საომრად, მოხუცებისა და ავადმყოფების ვარდა. განსაკუთრებით ზაფხულში გვიპირდა; ყანაში მტემაობდი და გვერდით ხარალი და რამდენიმე დღის საგზალი უნდა გქონოდა, განგაშისთანავე შეკრების ადგილას რომ მისულიყავი. ჰო, ჩემო ძვირფასო შარახ, შეუბნელო დრო იყო. ვერაზა ცხენი ვერ გადა-  
ცურავდა იმ სისხლის მდინარეს, მაშინ რომ დაეღუარეთ. სისხლი ბევრი დაიღვარა, მაგრამ ომმა არაფერი მოგვიტანა უბიბნს, უბე-  
დურების ვარდა. ყველაზე ნწარე სისხლი კი ტყუილდებრალოდ დაღვარალი, სისხლია.

მაშინ ჩვენ არც რუსი მეფის ძალა ვიცოდით, არც მისი კარსკა-  
ცების სიძრავლე და არც თურქეთის სულთანის განზრახვა ომის და-  
საწყისიდანვე. ეჰ, დად შარახ, მოტირლები სახეაა და მკერდს რომ  
იხოკავენ, მხოლოდ ჭირისუფალს უმსუბუქებენ ნაღველს, თორემ  
მიცვალდებულს აღარაფერი შეეღის. ჩემი მონათბრობიც ასეა.

მაჰჩეშაძე, მეც და ჩემმა ძაშაძე იარაღს მოგვიდეთ ხელი და მე-  
რე აღარც დაგვიბებებია თავი. სიმაართლე გოთსრა, ჩვენთან, უბიხე-  
ბის ქვეყანაში არც როდის ყოფილა ჭაწმუიდე. თარეში და ძარცვა,  
მონების გაყიდვა თურქეთში, მტრობა საგვარეულოებმა და მეზო-  
ბელ ტრემებს შორის, ქალების გატაცება და სისხლის აღება ყოველ-  
თვის იყო და სხვაწაირად ცხოვრება ვერც წარმოგვედგინა. მაგრამ  
როცა საფრთხე დამუქრა უბიხების ქვეყანას, ყველაფერი დაგვა-  
ვიწყდა.

უბიხებმა ოღითგანვე იცოდნენ თავისუფლების დაცვა მომბ-  
დურთაგან, სულ ერთია, ვინც იქნებოდნენ — მეზობლები თუ უცხო  
ქვეყნებიდან მოსულნი; ბერძნები თუ რომაელები, არაბები თუ  
თურქები. ზოგნიერთ მეომარზე თქმულებები იყო შემორჩენილი,  
ზოგი მოხუცებს ახსოვდათ. ვერც კი წარმოვიდგენდით უარი ეთქვა  
ვინმეს ბრძოლაზე, იარაღის დაჭერა თუ შეეწლო ხელში. ასეთი მა-  
ხინჯი თუ გამოგვერეოდა, სისხლს ვართმევდით და სამშობლოდან  
ვაძევებდით.

ყოველთვის, ზაფხულშიც კი ალოობის დროს, ყველა ოჯახი ვალ-  
დებული იყო, განგაშისთანავე ერთი მაინც გავეზავნა სალაშქროდ.  
ათი კაცი ათისთავს ირჩევდა, ათეულები — ასისთავს, ასეულები —  
ათასის თავს. როცა სალაშქროდ რამდენიმე ათაიი კაცი მიდიოდა,

მაშინ წინამძღოლს ირჩევდნენ, გამოცდილს, მომთმენსა და მამაცს, ვისთვისაც უცხო არ იყო ხმლების წკრალი. მისი ბრძანება კანონი იყო ყველა მებრძოლისთვის, სულ ერთია, გლესი იქნებოდა თუ თავადი. ის ნიშნავდა შეკრების ადგილსა და დროს; ის ანაწილებდა, რამდენი უნდა ყოფილიყო ქვეითი და რამდენი — ცხენოსანი, ყველას, წინამძღოლის გარდა, თან უნდა ჰქონოდა სალაშქრო მარაგი: თაფლიანი ცომი, დაშაშხული ხორცი და შებოლილი ყველი, მოქნილი ტყავის ორი წყვილი ქალამანი, შალის წინდები და ნაბადი. ზოგერთს კი ხერხების, ნაჯახების, ნიჩბებისა და თოკების წაღებაც ევალებოდა (წყალზე გადასაგდებად). სიცოცხეში კარგებიც უნდა გაეშალათ ღამის გასათევად.

ლაშქრობის დაწყების წინ სპილენძის ბუქს აახმიანებდნენ, სწორედ ისეთს, მე რომ მაქვს.

### ჰაჯი ბერზეკ კერანტიხი

ჰაჯი ბერზეკი, ადავვას ძე მთელი ოცი წელი წინამძღოლობდა უბიხებს. მრავალ სისხლიან შეტაკებაში განიმარჯვა და რუსის ვენერლებმა ძალით რომ ვერათფერი მოუხერხეს, გადაწყვიტეს უშმაკობით მოეღოთ ბოლო. ათას ვერცხლს დაჰპირდნენ, ვინც უბიხების ურჩი წინამძღოლის თავს მოუტანდათ. მაგრამ ჰაჯი ბერზეკს ამის შემდგვაც სწყალობდა ბედი. მოღალატე არავინ აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, თავისი ნებით მოიხსნა წინამძღოლის მოვალეობა.

ახლაც არ ვიცის ამის ნამდვილი მიზეზი. შეიძლება ხანდაზმულობა, ან მოვლენათა მსვლელობა იყოს, უფრო და უფრო რომ ითრევდა უბიხებს იმ გზაზე, ძალზე სახიფათოდ ეჩვენებოდა ძველსა და გამოცდილ მებრძოლს, თუმცა წინააღმდეგობის გაწევაც აღარ ძალუძდა. ასე იყო თუ ისე, მან უარი თქვა საბრძოლო ხელმძღვანელობაზე, საქმეებს ჩამოშორდა და მალეც მოკვდა. ეს რუსეთ-თურქეთის დიდი ომის დამთავრების მეორე წელს მოხდა. წინამძღოლის ადგილი მისმა ბიძაშვილმა ჰაჯი ბერზეკ კერანტიხმა დაიკავა. კერანტიხმა ძალაუფლების აღებისთანავე გამოავლინა სიმტკიცეცა და მამაცობაც, თუმცა აღრე ამბობდნენ, დამპალი კბილივით ირყევა აჭეთ-იქით. მიზეზიც ჰქონდათ ამის სათქმელად. ომის დაწყებამდე

ცოტა ხნით ადრე მეფის გენერლებს შეურიგდა და სამხედრო ჩინიც მიიღო მათგან (ვერცხლით უხდიდნენ), და შემდეგ ბიძამისი რომ მეფის გენერლებს ეოჰებოდა უბიხებთან ერთად, ის ხალიჩაზე იყო დაბრძანებული და ნარდს თამაშობდა.

ვერ გეტყვი, ძვირფასო შარახ, როგორ აეწყობოდა უბიხების ბედი, ეს ყირიმის ომი რომ არ დაწყებულყო. როცა რუსეთის არმიამ აფხაზეთისა და უბიხეთის სანაპიროებიდან დაიხია, დიდი ვეზირი ომარ-ფაშა მოადგა მეომრებით სოხუმს. ჩვენს სოფლებში თურქებთან ერთად მოსული დაღესტნელი მოლები გამოჩნდნენ. ყველა ერთხმად გაიძახოდა: რუსები დამარცხდნენ და პირს აღარ იზამენ ჩვენი მიწა-წყლისკენ, ჩვენ კი სამუდამოდ თქვენთან ვიქნებით, ალაჰის მოციქულის — დიდი სულთნის. წმინდა დროშა აღვმართოთ თქვენი მთების მწვერვალებზე. აი მაშინ გადაიხარა ჩვენი ჰაჭი კერანტიხი წეფიდან სულთნისაკენ, ჩოხას სამხრეები მოავლიჯა და ვერცხლის აღებაზეც უარი თქვა.

მეფისა და სულთნის ომში აფხაზეთის მთავარი თავადი ჰამუთბეი ჩაჩბა ისევ მეფის მხარეს დარჩა, ჩვენი ჰაჭი კერანტიხი კი სულთნის მხარეს გადავიდა. სწორედ მაშინ გახდა ის ჩვენი წინამძღოლი. არც მაშინ შეუცვლია თავისი გადაწყვეტილება, როცა თურქები გემებში ჩასხდნენ და კვლავ თურქეთისაკენ აიღეს გეზი.

მეფის გენერლები უკან დაბრუნდნენ და ერთმანეთის მიყოლებით დაიკავეს მიტოვებული ციხე-სიმაგრეები. აი მაშინ გამოავლინა ჰაჭი კერანტიხმა სიმტკიცეცა და ზიამაცეც, რასაც ბევრი არ მოელოდა მისგან. თურქები წავიდნენ და ჰაჭი კერანტიხი მარტო განაგრძობდა მეფის გენერლებთან ბრძოლას. მეფის სამხედრო ზომალდები ხან დაუბზესთან გადმოსხამდნენ ხოლმე ჯარისკაცებს, ხან აღღერის ახლოს და ხან სოჭის შესართავთან. მეფის გენერლები უბიხების ქვეყნის შუაგულში შემოჭრას არ ჩქარობდნენ, სადაც გადმოსხდებოდნენ, იქვე აშენებდნენ ან აღადგენდნენ სიმაგრეებს, მაგრამ ყველამ იცოდა, ამას არ დასჯერდებოდნენ. ეს ჩვენმა ჰაჭი კერანტიხმაც კარგად იცოდა და, როგორც შეეძლო, ხელს უშლიდა მეფის ჯარისკაცების გადმოსხდომას, ციხეებს ვამაგრებამდე ესწმოდა თავს.

გვეამაყებოდა ჩვენი გამძლეობა, მაგრამ სიძარტლე რომ გითხრა, ძვირფასო შარახ, ხალხი უკვე არაქათგამოცლილი იყო ომისგან.

სიცოცხლეს მშვიდად ზღვას აღარებენ და ეს სწორი შედარებაა. ზოგჯერ ყველაფერს იავარყოფს და სიცოცხლეს უსპობს ხოლმე ყოველნაირ სულღვამულს შეუბრალებელი ტალღები, ზოგჯერ კითხვის მკირე ნადავლით კმაყოფილება და ასწრაფად იხევს უკან. მაგრამ საცა ეს ტალღები მოხეთქებულა და უკუქცეულა, სიცოცხლე ქვიშაში ჩარჩენილი წყალივით გამჭრალა. ასეა ცხოვრებაშიც.

ყოველთვის მასხენდება ხოლმე ეს, როდესაც უბიხების თავადასავე ვიკონებ. ღმერთმა შეჰაძლებინოს, ყველაფერი ისე გაიანსო, როგორც მოხდა, თანმიმდევრობით.

მოულოდნელად ჩვენს სოფლებს კარგი ამბავი მოედო: რუსებს ზაფხულის დადება უნდათ და ერთ კვირაში მდინარე მზიპთასთან ბორანის ახლოს მეფის გამოგზავნილი გენერალი ჩვენს წინამძღოლს ჰაჯი კერანტიხს შეხვდებაო; მოლაპარაკების შუაგაცი უბიხების გაზრდილი აფხაზი თავადი ჰამუთბეი ჩაჩბა იქნებაო.

სხვა ახალგაზრდა უბიხებივით მეც მოხიბლული ვიყავი ჰაჯი კერანტიხის მამაცობითა და გამბედაობით... სამი წელი ვიყავი მისი მცველი და ვცდილობდი ყველაფერში მიმებაძა: მასავით ჩამემაგრებინა ბეშმეთის ბოლოები ქამარში, ოდნავ მარცხნივ გადახრილი ვიჭაბოყავი ცხენზე და მათრახიანი ხელი ძირს მქონოდა დაშვებულად. ახლა, როდესაც წლებმა ცხოვრების სიბრძნე შემძინა, ვხედავ, რომ ჰაჯი კერანტიხი ძალზე თავდაპყრილი, ძალზე პატივმოყვარე, ძალზე მოუთმენელი იყო და, რაც მთავარია, სრულად არ გააჩნდა შორსმჭვრეტელობა. მაშინ კი, ამას ვერ ვამჩნევდი.

ოჰ, ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა! ყველაზე ძვირფასი სწორედ ის არის ახალგაზრდობაში, რომ დაღლა არ იციის და არც უკან იხედება.

უკვე ბევრჯერ ვიყავი თარეშებსა და შეტაკებებში, შიშველი ხმლითაც ბევრჯერ გამიკაფავს გზა ომის ქარცეცხლში და ერთხელაც არ მიმიხედავს ადევნებული სიკვდილისათვის. ახალგაზრდა და უღარდელი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, უფსკრულზე გადაკიდებულ ტოტის ბოლოზე რომ ვიყავი გასული.

ის დღე კარგად დამამახსოვრდა. ჩვეულებრივზე უფრო ციოდა, თუქცა გაზაფხული იწურებოდა. სალაშქროდ გამზადებულ ათას ხუთას მებრძოლს აღვირით ეჭირა ცხენები. ჰატუქუნოვანი შვიდნი

მუხის ქვეშ ჰაჭი კერანტიხი ეთათბირებოდა ჩვენში ყველაზე უფრო გავლენიან პირებს. დიღხანს ისჯნენ და კამათობდნენ. ყველამ არ იცოდა რაზე დაობდნენ, მაგრამ მე, როგორც პირადი მცველი, სხვებზე უფრო ახლოს ვიდექი და ყველაფერი მესმოდა. ჰაჭი კერანტიხი ცხარობდა — არ უნდოდა, ამდენი მებრძოლი ხლებოდა მეფის გენერალთან მოლაპარაკებაზე.

— არ ეგონოს, რომ მეშინია მისი, — ამბობდა ჰაჭი კერანტიხი. — მხოლოდ ათ კაცს ვიანსებ, დანარჩენები აქ დამელოდონ.

სხვები არ ეთანხმებოდნენ, ამბობდნენ, შეიძლება შეხვედრას ზავი კი არა, ომი მოჰყვესო. თანაც მეფის გენერლის ნდობა არ შეიძლება, რამდენჯერ წაუყვანიათ ტყვედ თითო-თითოდ მთიელთა ბელადები და შორეულ ციხეში გააუქსახლებიათ! ამ შეხვედრასაც ასეთი ბოლო თუ ელის, უბიძგის ბელადს გვერდით უნდა ჰყავდეს მებრძოლები!

როგორც იქნა, დაყოლიეს ჰაჭი კერანტიხი. დაამთავრეს თუ არა კამათი, ყველანი წამოდგნენ, ჰაჭი კერანტიხი ცხენს მოახტა და ათას ხუთას მებრძოლს მდინარე მზ-მთასკენ გაუძღვა. ჩვეულებრივად ასეთი მხედრობი უსიძღვროდ არასოდეს წასულა, იმ დილას კი მთელი რაზმი მღუმარედ მიდიოდა. ჩვენ მზად ვიყავით ბრძოლისთვის, მაგრამ უკან გვრჩებოდა სახლები და ოჯახები და ომიანობის გამო სარეველამოდებული ყანები. ამიტომ გვინდოდა, ბოლოს და ბოლოს დასრულებულიყო ეს სისხლისღვრა. იქნებ გადაწყვეტილება მზის ჩასვლამდეც მიეღოთ.

უცბად წინ მიმავალმა კერანტიხმა ცხენი ადგალზე გააქვავა, ჩამოქვეითდა და ცას მიაშტერდა. ჩვენც მაშინვე მალა ავიხედეთ და ნახშირციფით შავი ყვავების უზარმაზარი გუნდისგან ჩაბნელებული ცისკიდური დაეინახეთ. ფრინველები დასავლეთისაკენ მიფრინავდნენ. ყველანი საშინლად შევშფოთდით, მაგრამ ვაღუმარედ ველოდით, რას იტყოდა ჰაჭი კერანტიხი.

— სახათყერი მომკვარეთ! — არც მობრუნებულა და არც ცისთვის მოუწყვეტია თვალი, ისე ბრძანა მან.

წაშში გაარღვია მეომართა რიგები სახათყერამ და წინ წარსდგა. ძალზე მაღალი იყო, გამხდარი, გრძელი მეჩხერი ულვაშები ჰქონდა და თეთრი ჩალმა ეხურა. ის ჩვენთან, უბიძგის ქვეყანაში, მთავარი მოლა იყო და ერთადერთი მოდიოდა ლაშქარში უიარაღოდ.

— მითხარი, რას ნიშნავს ეს? — ჰკითხა ჰაჭი კერანტიხმა და თითი უკვე გადაფრენილი ფრინველებისკენ გაიშვირა.

— უბედურების მომასწავებელა, — თქვა სახატეკრიმ ისე, რომ მასაც არ მოუშორებია თვალი ცისთვის და დაამატა — არ ვიცი, ღირს თუ არა გზის გაგრძელება. ყვავებმა დღეს დაგვიბნელეს მზის სინათლე, ვიარები კი, რომელთაც ახლა უნდა შეხვდეთ, ხვალ არ მოგვეცემენ სიცოცხლის საშუალებას. ალაჰმა უკვე გვირჩია ამ მიწის დატოვება და სხვაგან გადასახლება და რაც უფრო მალე აღვასრულებთ ალაჰის ნებას, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის.

ჰაჯი კერანტიხმა თვალი მოაშორა ცას და დიდხანს იდგა თავი აქინდრული. ათას ხუთასი მეომარიც მღუშარედ იდგა და ელოდა გადაწყვეტილებას. მხოლოდ ცხენები ფრუტუნებდნენ.

ჰაჯი კერანტიხი ისე სწრაფად მოახტა ცხენს, რომ უზანგების დაჭერაც ვერ მოვასწარი. განვაგრძეთ გზა.

ყველანი მდგომარეობაში კარვის ახლოს შევროვდნენ და აფხაზების მთავარი ჰამუთბეი ჩაჩბა პირველი მიუახლოვდა ჰაჯი კერანტიხს, დაჩბარა და მკერდზე ეამბორა. ისე მოიქცა, როგორც უბიხურ ოჯახში გაზრდილს შეშვენოდა. მოლაპარაკების დროს, მე, როგორც პირადი მცველი, ჰაჯი კერანტიხის უკან ვიდექი და თითოეული სიტყვა მესმოდა.

— ნუ გაგიკვირდება, დად შარახ, უამრავი დღე რომ მიმიცია დავიწყებისთვის, ამ დღისა კი თითოეული წუთი მახსოვს თავიდან ბოლომდე. ამ დღეს წყდებოდა ჩემი ხალხის ბედი. შემდეგშიც იყო ასეთი დღეები, მაგრამ ეს დღე მაინც პირველი იყო. ყველაფერი მახსოვს იმდღევანდელი, ყველაფერი, ფეხქვეშ მოყოლილი სიმინდის ხმელი ღეროები. მტკრევის ხმაც კი მახსოვს. ისიც კი მახსოვს, მზე ხან ღრუბელს რომ ეფარებოდა და ხან გამოაჭყიტებდა; ღროდაღრო ზღნაურა წამოიჭროლებდა და წვიმას მოგვაშხეფებდა. მახსოვს, რა დიდხანს გაგრძელდა დავა, ისიც მახსოვს, თანდათან რომ უწყევდნენ ხმას. ჰაჯი კერანტიხი გაუხედნელ ცხენზე ამხედრებულს ჰგავდა: ვერც თავს ერეოდა, წარამარა ეცვლებოდა სახე, შუბლზე ძარღვი ამობერვოდა. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ ძლივს იკაებდა თავს, შიშველი ხანჯლით რომ არ დარეოდა ყველას.

კარგად ვიცნობდი ჰაჯი კერანტიხს, ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო და მზად ვიყავი, მყისვე მივშველებოდი.

უბიხების მხრიდან მოლაპარაკებაში აჰმეთიც იღებდა მონაწილეობას, ბარაკაის ძე, მთელ კავკასიაში სახელგანთქმული კაცი. სი-



ჰაბუკეში სტამბულში, სწავლობდა, რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა და როდესაც წინამძღოლად ჰაჯი ბერზეკი გვყავდა, ყველა საქმეს აჰმეთი, ბარაკაის ძე აგვარებდა. სულთანთანაც იყო, ლონდონშიც და პეტერბურგშიც. ფიცხი კაცი იყო, მაგრამ ეშმაკიც, უკიდურესობამდე მოსვლა იცოდა, მაგრამ თავშეკავების უნარიც შესწევდა, როცა არაფერი გამოსდიოდა. ისე რომ, როგორც ხედავ, აჰმეთი, ბარაკაის ძე შემთხვევით არ მონაწილეობდა ამ მოლაპარაკებაში.

პირველად მეფის გენერალმა დაიწყო ლაპარაკი. მისი მკვეთრი სიტყვები იმდენად არ შეეფარდებოდა მის მშვიდ სახეს, რომ პირველად მეგონა, გენერალი სხვას ამბობს და თარჯიმანი სხვას გვეუბნება-მეთქი.

— შენ, ჰაჯი კერანტიხ, — ეუბნებოდა გენერალი, — ბერზეკების ბრწყინვალე გვარიშვილი ხარ და არ გეკადრება დღეს ერთი და ხვალ მეორის გაკეთება. მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა ჩინი და ხელფასი გიბოძა. შენ კი იმპერატორის წყალობის ღირსი არ აღმოჩნდი — ომი რომ დაიწყო, უარი თქვი იმპერატორის ბოძებულ ჩინსა და წოდებაზე; რუსეთის ერთგულების ნაცვლად თურქეთს დაუახლოვდი. ეს შენი სურვილით ჩაიდინე და არა იმათი ძალდატანებით. მას შემდეგ გამუდმებით არღვევ ჩვენთან დადებულ პირობებს, დღენიადაც იარაღსხმული გყავს მოსახლეობა, თავს ესხმი ჩვენს სიმაგრეებს, ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებ თურქებთან და იარაღს იღებ მათგან.

— ბატონო გენერალო, შენ ცოტა ფრთხილად უნდა მელაპარაკებოდე, — უთხრა ჰაჯი კერანტიხმა. — შენი მწვერებისაგან ჩინში მომწყვდეული კურდღელი ხომ არ გგონივარ; მე ჩემს მიწაზე მიდგას ფეხი და ბორკილები კი არ მადევს, იარაღი მაქვს ასხმული!..

ჰაჯი კერანტიხს სისხლი მოაწვა სახეზე. გენერალს ნირი არ შეცვლია, ისე უსმენდა, სანამ ბოლომდე არ უთარგმნა ტოლმაჩმა.

— მაგრამ შენთვის ესეც ცოტაა, — მშვიდად განაგრძობდა გენერალი, თითქოს ჰაჯი კერანტიხის ნათქვამი არც გაუგონიაო. — შენ ისევ თურქეთის სულთანზე ამყარებ იმედს. ვიცით, რომ საომარ დახმარებას სთხოვ მას და ამის იმედიც გაქვს. მართალია, შენ უძლეველი გგონია თურქეთის სულთანი, მაგრამ მარტო იმისი დახმარება გეცოტავენა. ისიც ვიცით, რომ აჰმეთი, ბარაკაის ძე, ახლა გვერდით რომ გიდგას, სამი წლის წინათ ლონდონს გაემგზავრა შენი სახელით და ინგლისელებს ჩვენს წინააღმდეგ საომარი დახმა-

რება სთხოვა. ამას თვითონ ინგლისური გაზეთები წერდნენ და არც საიდუმლოდ დარჩენილა. ცოტა ხნის წინათ კი წერილი გაუგზავნე ინგლისის კონსულს სოხუმში, არც ეს არის საიდუმლოება. წერილი ჩვენს ხელთ არის და შეგვიძლია გიჩვენოთ. არ მინდა შეურაცხყოფა მოგაყენო, მაგრამ შენი საქციელისთვის სხვა ვერაფერი გვიწოდებია, თუ არა ღალატი.

პირველად რომ შეაწყვეტინა ჰაჯი კერანტიხმა ლაპარაკი გენერალს, მეგონა, ახლა დააძრობს-მეთქი ხანჯალს. იმ პირველი აფეთქების შემდეგ კი მშვიდად იდგა და უსმენდა — ცალი ხელით დოინჯი ჰქონდა შემოყრილი, მეორე კი ხმლის თეთრი ძვლის ვადაზე ედო. გენერალს არ უყურებდა, მის თავს ზემოთ გასცქეროდა ღრუბლებშემოჭარულ მთის მწვერვალებს. თითქოს არც რაიმე ესმოდა და არც არაფერს ხედავდა. ტოლმაჩი მღელვარებისაგან იბნეოდა და ბლუქუნებდა. ჰაჯი კერანტიხს რუსული ესმოდა. მოსწყინდა ყოველივე ეს და ბოლომდე აღარ მოუსმენია თარჯიმნისთვის, მრისხანე ღიმილით გადახედა გენერალს:

— მე მართლა მოღალატე ვიქნებოდი, კავკასიის ზოგიერთი მძლავრი თავადივით თქვენს ჩინებსა და ვერცხლის მანეთიანებზე რომ გამეყიდა ჩემი ხალხი. მაგრამ დიდება ალაჰს, როგორც ხედავთ, ვერაფერმა მაცდუნა. შენ კი, ბატონო გენერალო, ამას ღალატს უწოდებ. მაშ შენს საქციელს რაღა დავარქვათ, ურიცხვი მეომრებით რომ მოსულხარ და უბიხების გაძევება გინდა თავიანთი მიწა-წყლიდან. მითხარი, რა პასუხს გასცემდა შენი მეფე, მთელი ქვეყნის ხელმწიფეები რომ შეკრებილიყვნენ და ეკითხათ: რა დაგიშავათ უბიხებმა, რა ბრალი მიუძღვით, რატომ ანადგურებთო.

შენ სწორი სთქვი: ჩვენ ოდესღაც მივიღეთ თქვენი ქვეშევრდომობა, გვჯეროდა, კარგად ვიცხოვრებდით, მაგრამ იმედი გაგვიცრუდა. ჩვენ შეჩვეული ვიყავით საზღვაო ვაჭრობას, არავის ვეკითხებოდით, რისი გაყიდვა შეგვეძლო და რისი — არა. თქვენ აუკრძალეთ სხვა ქვეყნის გემებს ჩვენს სანაპიროებთან მოდგომა. ყაჩაღებს უწოდებდით ჩვენს თავადებს, აგვიკრძალეთ ტყვეების მონებად გაყიდვა. ჩვენ ჩვენი კანონები გვაქვს და თქვენ — თქვენი. არ გვინდა თქვენი კანონები უღალად რომ დაგვედგას კისერზე. თქვენ გინდათ ისლამის რწმენაც დაგვაკარგვინოთ. ისიც კარგად ვიცით, რომ თქვენს ხელში აღმოვჩნდებით თუ არა, ძალით მონათლავთ ჩვენს შვილებს. თურქეთთან ომის დროს ჩვენი დაცვა არ შე-

გიძლიათ, მიდინხართ და ბედის ანაბარა გეტოვებთ. მობრუნდებით და მოლაღატეებს გვიწოდებთ. ჰოდა, როგორღა შეიძლება ჩვენს შორის ზავი?

გენერალს არაფერი უპასუხნია. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლით დაცვარული თეთრი შუბლი მოიწმინდა, ხელები უკან შემოიწყო, ჰადართან მივიდა და ისე დაუწყო თვალთვლება, თითქოს ფიქრობს, როგორ მოიჭრება უფრო ადვილად. მერე უცებ მოტრიალდა და აჰმეთს, ბარაკაის ძეს მიმართა:

— პატივცემულო აჰმეთ, ბარაკაის ძევ, შენ რაღას იტყვი; მინდა შენი ხმაც გავიგონო დღეს.

აჰმეთი, ბარაკაის ძე გაჭიმული იდგა, არც განძრეულა. ყველას ეგონა, არაფერს უპასუხებსო, მაგრამ მან წუთით დააყოვნა და თქვა:

— თქვენ ჩვენი არ გესმით, ბატონო გენერალო, და ჩვენ თქვენი!

ჰაჯი კერანტიხმა ბოროტად დაკვესა თვალები, ეტყობა არ მოეწონა აჰმეთის ზედმიწევნით მშვიდი პასუხი.

გენერალმა კი გაიღიმა:

— შენ ძალზე ბრძენი ხარ, აჰმეთ, ბარაკაის ძევ; არც მწველი გინდა დასწვა და არც შამფური, მაგრამ ეს სიბრძნე ომისთვის არ გამოდგება. ომში ასე არ ხდება!

გენერალმა უკან შემოიწყო ხელები, დინჯად გაიარ-გამოიარა წინ და უკან, ჰაჯი კერანტიხის წინ გაჩერდა და ხმამაღლა მშვიდად თქვა:

— თქვენ თვითონ აიძულეთ მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი, უკიდურესი ზომებისათვის რომ მიემართა. სხვა მთიელები უფრო წინდახედულები აღმოჩნდნენ: დაბლობებზე გადასახლდნენ, იარაღი დაყარეს და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგნენ. თქვენ კი ისევ იბრძვიდით და ისევ ჭულთნის იმედი გაქვთ. მისმა უდიდებულესობამ, ხელმწიფე იმპერატორმა ჯერ კიდევ შარშან, კავკასიაში ყოფნის დროს გონივრული გადაწყვეტილება მიიღო. მოვალე ვარ, კიდევ ერთხელ და ალბათ უკანასკნელად გაგახსენოთ იგი: უბიხებმა გადაწყვიტონ, სურთ თუ არა ყუბანში გადასახლება, სადაც სამუდამო კუთვნილებად გადაეცემათ მიწები და შეინარჩუნებენ თავიანთ წყობილებასა და სასამართლოს. თუ არადა, მაშინ თურქეთს უნდა გადასახლდნენ.

გენერალი გაჩუმდა, აღარაფერი დაუმატებია მეფის ამ საბედისწერო სიტყვებისათვის, რაც ახალი არ იყო მოლაპარაკებაზე დამსწრეთათვის.

— შორეული ყუბანის მიწები რომ კარგი იყოს საცხოვრებლად, უკვე დიდი ხნის დასახლებული იქნებოდა ხალხით, — უპასუხა ჰაჯი კერანტიხმა. — ჩვენ ზღვის პარას ვცხოვრობთ და ვაჭრობას ვართ შეჩვეული, მთებში ნადირობასა და ნახირის მაღალმთიან საძოვრებზე გარეკვასა ვართ შეჩვეული. აქა ვართ ცხოვრებას შეჩვეული და არა — იქ. არა, ბატონო გენერალო, თავს ვერ გავყოფთ თქვენს ხაფანგში. როგორც კი ამ მთებს მოვშორდებით, შენგან რომ გვიცავენ, და ტრიამელ ყუბანში გადაესახლდებით, რაც მოგეპრიანებათ. იმას გვიზამთ. ღმერთმა იცის, რა მიწებს მოგვცემთ ამ მიწების სანაცვლოდ. თქვენ გინდათ, რომ გადასახლების შემდეგ გლეხებმა ჩვენ დაგვიწყონ ჩხუბი, თავიანთ მფარველებს, გინდათ, რომ აღარ დაგვემორჩილონ, პატივი არა გვცენ. თქვენ მოუწონებთ ამ განხეთქილებას, უფრო ადვილად რომ მოგვერიოთ. |

ახლა კი ველარ მოერია ჰაჯი კერანტიხი თავს. ცხარედ, სხაპასხუათა და აბნეულად ლაპარაკობდა. გენერალი ჩუმად იდგა და ელოდებოდა, როდის დაამთავრებდა.

ჰაჯი კერანტიხმა რომ დაამთავრა სათქმელი, გენერალი კი არა, აფხაზეთის მთავარი ჰამუთბეი ჩაჩბა ალაპარაკდა:

— უღელტეხილზე მხოლოდ ერთი გზაა, გვინდა თუ არ გვინდა, ამ გზით დავდივართ. ნუ მიწყენ და ახლა უბიძგებს მერყეობის დრო არა გაქვთ...

ჰამუთბეი ჩაჩბამ ჩუმად თქვა ეს. ეტყობოდა, თითოეული სიტყვის თქმა უჭირდა.

— რაც უნდა გავგივირდეს, მარტო დაგვეტოვე რუსებთან, შენი შუაქაცობა აღარ გვჭირდება, — ყვირილით შეაწყვეტინა ჰამუთბეის ჰაჯი კერანტიხმა, მაგრამ ჰამუთბეი ჩაჩბა არ შეეპუა:

— მე უბიხური რძითა ვარ გაზრდილი და ვალდებული ვარ, — დავიცვა ისინი უბედურებისაგან. მე იმასვე ვუსურვებ უბიხებს, რასაც აფხაზებს ვუსურვებდი, არც მეტსა და არც ნაკლებს, არც უკეთესსა და არც უარესს. ამას დავამტკიცებ კიდევ, თუ საჭირო გახდა, და არც ვინანებ.

მაგრამ ჰაჯი კერანტიხმა არ დაამთავრებინა, ისევ შეაწყვეტინა:

— მე მიჭირს შენი სიტყვების დაჯერება, უბიხებს გვახსოვს.

ჩვენთან ერთად რომ იბრძოდი მეფის გენერლების წინააღმდეგ. შენ რძე გაიხსენე, მაგრამ ახლა ის უკვე სისხლთან არის შერეული. უკერც აფხაზების წინაშე მოიწონებ თავს. შენ თვითონ არ მორწყე მიწა იმათი სისხლით, ვისაც მეფის მორჩილება არ სურდა? ვითომ გებრალეებით, მაგრამ შენ ხომ შენი ხალხიც არ შეგებრალებია. განა საკუთარი კბილებით არ ღრღნიდი საკუთარსავე სხეულს?

ჰამუთბეი ჩაჩბა თავჩაქინდრული იღვავ, ხმას არ იღებდა, ჰაჯი კერანტიხი კი გაცოფებული მადი-მოდოდ და მის წინ და სეტყვასავით აყრიდა შეურაცხყოფელ სიტყვებს.

ბოლოს ჰამუთბეის თავი ანება და გენერლის წინ გაჩერდა:

— ეს მიწა ჩვენთვის არავის უჩუქებია და ვერც ვერავინ წავგართმევს, სანამ ცოცხლები ვართ. ჩვენ დაზაფებას ვთხოვთ, უარს თუ გვეტყვი, ვიომებთ.

ჰაჯი კერანტიხი მარცხენა ხელს ხმლის ვადას უჭერდა, მარჯვენა კი ისე გაიქნია წინ, თითქოს იარაღი იშიშვლაო.

თარჯიმნები ძლივს ასწრებდნენ თარგმნას, მე კი თვალს არ ვაშორებდი გენერალს და მის უკან მდგარ ოფიცრებს, რათა საჭიროების დროს ხმალი მეშიშვლა.

გენერალმა მღუმარედ უცქირა ჰაჯი კერანტიხს, უცქირა, მერმე გაეცინა, ისევ გაჩუმდა და ბოლოს თქვა.

— კარგი! ომი თუ გინდა, ომი იყოს. მე მაინც მინდა გერთხო შენ, ვისაც ხალხის ბედის გადაწყვეტა გიკისრიია; მთელი ქონების გაყიდვა რომ დაგპირდეთ, ვიცი მაინც იარაღს რყიდით თურქი ვაჭრებისა და ინგლისელი კონტრაბანდისტებისაგან. ჭერჯეობით იარაღი გაქვთ. ისიც ვიცით, ცოტა ხნის წინათ ექვსი ზარბაზანი რომ გამოგიგზავნის ინგლისიდან, ორი ინტრუქტორიც გამოაყოფეს, სროლა რომ ასწავლოს თქვენს მეომრებს, მაგრამ ვაიგე, მთელი შენი ხალხი მაინც ერთი მუჰაა და ნუთუ ვერ ხვდები, ამ ერთი მუჰა ხალხით რომ ვერ გვძლევ? თუ ხვდები, მაშინ რატომ დუჰავ ხალხს, როცა გამარჯვების არავითარი იმედი არა გაქვს?

ყველა ველოდებოდა, რას უპასუხებდა ჰაჯი კერანტიხი.

— ჩვენზე ნუ სწუხხარ, ბატონო ცენერალო, — რაც შეიძლება ხმამაღლა, თითქმის ყვირ-ლით თქვა ჰაჯი კერანტიხმა, რათა ყველას გაეგონა, — ქვერ არავის ვაუზომია ხალხის სიჩამაყე მათი სიმრავლით. ჩვენ საქმარისი იარაღიცა გვაქვს და ხალხიც გვყავს, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია. მეომრები თუ შემოგვაკლდება, ხანჯ-

ლებით დავუფატრავთ მუცელს ჩვენს ფეხშიშვე ქალებს და ახალ მემორებს ამოვიყვანთ იქიდან.

ესა თქვა თუ არა, ჰაჯი კერანტიზი ჩემსკენ მოტრიალდა და დაიძახა:

— ცხენები! — ისე დაიყვირა, თითქოს მე ვყოფილიყავი რაიმე-ში დამნაშავე.

გენერალს არაფერი უპასუხია, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და აფხაზეთის მთავარს ისე გადახედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „აი, ახლა ხომ დარწმუნდი, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა“.

ჰაპუთბეი ჩაჩბა ამ გამოხედვაზე არც შეტოკებულა, მაინც არ უნდოდა წასვლა. გულზელი დაეკრიფა და იდგა.

— ჩემო ძიძიშვილო ჰაჯი კერანტინ, ერთხელ კიდევ გთხოვ, მომისმინე. არც ერთ ჩვენგანს არ ეკადრება აჩქარება, როცა სიკვდილსიციოცხლის ბედი წყდება. სანამ ისევ ხმაღს იშიშვლებდე, გაიხსენე, რომ დამთავრდა დაღესტნის ომი, დამთავრდა ჩეჩნეთის, მთელი ჩრდილო კავკასიის ომი. კავკასია რუსეთის იმპერატორის სამფლობელო გახდა. ვინც არ დაემორჩილა, ზღვის იქით მიდის დასასახლებლად. მათ იქ, მე მგონი, კარგი არაფერი მოელოთ. წინ მაინც მშვიდობა, ცუდია თუ კარგი, მაინც მშვიდობაა, და ის მთელ კავკასიაში გამეფდება. იქნებ მუხლამდე სისხლში მდგარ უბიხებს ჯერ არ გაგივიათ, რომ ომს ბოლო მოელო და ახლა ბრძოლის გაგრძელება თავის დაღუპვას ნიშნავს!

ჩემო ძიძიშვილო, ჩემი გამზრდელი ჰაჯი ბერზეკის, ადაგვას ძის ხსოვნის პატივსაცემად გთხოვ, თქვენთან მოსვლის ნება დამრთე. შეკრიბე შენი ხალხის ყველაზე უფრო ბრძენი კაცები, დანიშნულ დროს მარტო მოვალ; მინდა, სანამ დავემორღებოდეთ, შენი პასუხი გაუაგო.

— ეს ჰაჯი ბერზეკის, ადაგვის ძის ხსოვნის პატივსაცემად რომ მთხოვე, ამით ხელ-ფეხი შემიკარი. მოდი და მოისმინე იმ ხალხის აზრი, ვისი რძითაც ხარ გაზრდილი. ოღონდ იმ კვირას არ გადააცილო, დიდხანს ვერ დაგიცდი. მშვიდობით.

ჰაჯი კერანტიზმა გულზე მიიღო ხელი, წამით დახარა თავი და ცხენისკენ გაემართა.

უკან მივიხედე და დავინახე, როგორ შედგნენ ბორანზე გენერალი და აფხაზეთის მთავარი. ეს ალბათ მეორე ნაპირზეც შენიშ-

ნეს: დაფაფების ხმა მოისმა. დასასვენებლად ხეებს შეფარებულს  
ჯარისკაცები რიგებად ეწყობოდნენ.

ჩვენ კი, ჰაჯი კერანტიხის წინამძღოლობით, უკვე ცხენებზე  
ვისხედით. მან მათრახი ასწია და იმწამსვე დაიგუგუნა ბუქმა. ეს  
იმის მაუწყებელი იყო, რომ საზავო მოლაპარაკება შეწყდა და ყვე-  
ლას, ვისაც ძალა შესწევდა, მზად უნდა ჰქონოდა იარაღი. ამას გას-  
ძახობდა ბუქი.

## როგორ შეხვდნენ უბიხები თავიანთ ძიძიშვილს

— რაც ახლა უნდა გაიმბო, ჩემი თვლით არ მინახავს... ჰამუთ-  
ბეი ჩაჩბას ამ სტუმრობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ მაშინაც და შემ-  
დეგშიც, უკვე გადასახლებაშიც ხშირად იხსენიებდნენ: ყველაფერს  
მოგახსენებ, რაც ჩემს ხსოვნას შემოუნახავს.

ის დღე, უბიხების მიწას მათი ძიძიშვილი ჰამუთბეი ჩაჩბა რომ  
ეწვია, ალბათ ის უქანასკნელი დღე იყო, როდესაც კიდევ შეიძლე-  
ბოდა სხვა არჩევანი.

იმ საღამოს ზაურყანმა მართლაც ყველაფერი გაიხსენა, გაიხსენა  
არა მარტო ის, რაც თვითონ ჰქონდა ნანახი, არამედ გაგონილიც;  
მან მოიგონა ამ ამბის გამო გავრცელებული ლეგენდებისა და სიმ-  
ღერების ნაწყვეტები. ამიტომ ჩემს დაპირებას მეც გადაუხვევ და  
მარტო ზაურყანის ნაამბობს კი არ გადმოგცემთ, ყველაფერს გაიმ-  
ბობთ, რაც ზაურყანთან მისვლამდე შევისწავლე აფხაზებისა და  
უბიხების ისტორიის ამ მეტად საინტერესო საკითხის გარშემო არ-  
სებული წყაროებიდან, ცხადია, ყოველივე ამას ზაურყანის ნაამბო-  
ბის ზოგიერთი წვრილმანითაც შევაესებ, რაც მეტნაკლებად დამა-  
ჯერებლად მივიჩნე. დასასრულს კი სიტყვასიტყვით მოვიყვან ზა-  
ურყანის ნაამბობის ბოლო ნაწილს, რაც ლეგენდას ჰგავს, მაგრამ  
ზუსტად ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებს.

იმ მარცხით დამთავრებული მოლაპარაკების შემდეგ ჰამუთბეი  
ჩაჩბა მალე გაემგზავრა უბიხებთან. ჩაჩბამ გადაწყვიტა თან წაეყ-  
ვანა თავისი ერთგული კაცები, აფხაზეთის გავლენიანი პირები,  
რომლებსაც შეეძლოთ უბიხებზე გავლენა მოეხდინათ. მან თან იახ-  
ლა სამურზაყანოელი ემხაა ალგითა, აბუჟელი გირგულ ჩაჩბა და

ბზიფელი ოთხმოცდაათი წლის მან კაცი — მოხუცი, მაგრამ კვლავ მთავრის მრჩეველი ყოველგვარ რთულ საქმეში.

მან კაცის წაყვანა, ცოტა არ იყოს, სარისკო საქმე გახლდათ, რადგან ის, როგორც თვითონ მთავარიც, მეფის გენერლებთან ერთად ხან წებელდებების წინააღმდეგ იბრძოდა, ხან საზებისა და ხან უბიხებისა. და ახლა მის გამოჩენას შეიძლებოდა უბიხებისათვის ეს სისხლიანი საქმეები ვაეხსენებინა. მაგრამ ამ ძნელ გზაზე უიმისოდ წასვლა კიდევ უფრო სახიფათოდ ეჩვენებოდა მთავარს. საქმე ის იყო, რომ მისი მამინაცვლის შვილი, ორმოცდაათი წლით რომ იყო მასზე უმცროსი, ჰაჯი კერანტიხის ცოლი გახლდათ და ფიქრობდნენ, რომ იგი საშიშროებასაც შეანელებდა და იქნებ საქმის მოგვარებაშიც დახმარებოდათ.

ჰამუთბეი ჩაჩბას კიდევ ორი კაცის წაყვანა უნდოდა, ჰავრამ არ მოეჩრება; წებელდელი მარშან აღმაშაიტი განზრახ წაეიდა სანადიროდ, სახელი თავადი გეჩბა რაშიდი კი ავად გახდა.

მთავარმა კარგად იცოდა, რომ ამ ორი კაცის დახმარებით უფრო ადვილად დაიყოლიებდა უბიხებს საქმის მშვიდობიან მოგვარებაზე და ახლა მთელი გზა დარდობდა. მდინარე მზიმთა გადაიარეს და საუკეთესო ბედაურებზე ამხედრებულებმა სწრაფად გასწიეს ჩრდილოეთისაკენ. გზის მარცხენა მხარეს ზღვა ხან გამოჩნდებოდა და ხან თვალს ეფარებოდა. უცბად ნაპირიდან სწრაფად გაბრუნებული ფელუკა შენიშნეს.

მთავარმა ცხენი შეაჩერა და წამოწეულ მხედრებს ჰკითხა, ნეტავ ვისი იქნება ეს ფელუკაო.

— ძალზე ჩქარობს, ეტყობა რუსებისა არ არის, — უბასუხა მან კაცმა და უზანგებზე წამოიწია, რომ უკეთესად დაენახა.

— ალბათ, თურქი ვაჭრები არიან, — თქვა გირგულალ ჩაჩბამ, — კაცმა რომ თქვას, ჰაჯი კერანტიხი მართალია, ვინმესთან ხომ უნდა ივაჭროს.

— ისევ ინგლისური იარაღი მოიტანეს, — თქვა მთავარმა. იგი ახლა ზღვას კი არა, ბორცვზე მიმავალ ბილიკს გასცქეროდა, ტყისკენ რომ მიიკლავებოდა. ბილიკზე იარაღით მძიმედ დატვირთული ოცდაათამდე ცხენი გამწკრივებულყო. მთავარი დიდხანს იდგა, აღგილიდან არ დაძრულა, სანამ უკანასკნელი ცხენიც არ გაუჩინარდა ტყეში.



— ცუდი ამბავია, ძალზე ცუდი. უბიხებს სისხლით აზღვევინებენ ამას. უბედურება დატრიალდება.

წინასწარმეტყველურად ნათქვამი ეს სიტყვები კარგად დაახსომდათ მთავრის თანამგზავრებს. ამას ასე იგონებდნენ ძველად მოხუცები.

აფხაზეთის მთავარ ჰამუთბეი ჩაჩბას იმ დროისათვის რუსეთის არმიის გენერალ-ადიუტანტის წოდება ჰქონდა და რამდენიმე რუსული სამხედრო ორდენით იყო დაჯილდოებული. ჯილდოებიც და წოდებაც იმით მოიპოვა, რომ მეფის გენერლებს ეხმარებოდა მთელთა დამორჩილებაში, რომლებიც არც რუსეთს სცნობდნენ და არც მთავრის ძალაუფლებას. მაგრამ ახლა ჰამუთბეი უბიხებთან მიდიოდა, არა როგორც მეფის გენერალი, არამედ როგორც მთელი მთიელებთან. მას უბრალო სამგზავრო ჩოხა ეცვა. ყველაფერი ეს ჩაწერილია ამ ამბის უშუალოდ მოწმეთა ნაამბობის მიხედვით. ისინი ამბობენ, რომ ჰამუთბეი მთელი გზა ხმას არ იღებდა, ცუდ ხასიათზე იყო და რაღაც მძიმე საფიქრალს გაეტაცა.

ჯერ კიდევ ყირიმის ომამდე გადავიდა ჰამუთბეი ჩაჩბა რუსი გენერლების მხარეს მთიელებთან ომში და თავისი ძალაუფლებაც განამტკიცა. ყირიმის ომის დროს კი ძალზე ცუდ დღეში ჩავარდა. რუსეთის სამხედრო ნაწილები გემებზე სხდებოდნენ და შავი ზღვის სანაპიროს ტოვებდნენ, ცხადია, დროებით, სტრატეგიული მოსაზრების გამო. აფხაზეთის მთავართან კი სტამბულიდან მოუხშირეს სტუმრობას, რათა თურქეთისაკენ ვადაეძალათ იგი.

ჰამუთბეი ჩაჩბას თანამედროვე იარაღსა და საუკუნის დიდებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიყოლიეს. ის კი არადა, მაშინაც კი ვერ აცდუნეს, აფხაზეთის სანაპიროზე რომ დაიწყეს გადმოსხდომა თურქეთის სამხედრო ნაწილებმა.

ჰამუთბეის ამ სიმტკიცეს ორი მიზეზი ჰქონდა: მან სხვებზე უკეთ იცოდა რუსეთის ჰემმარიტი ძალა და თუმცა ყირიმის ომში წარუმატებლობა კარგად მოეხსენებოდა, მაინც არა სჯეროდა, რომ რუსეთი საბოლოოდ დათმობდა აფხაზეთს. ამიტომ, შექმდგომშიც რუსეთის ერთგული, რუსეთის იმპერიას აფარებდა თავის სამთავროს, თვალუწვდენელ თავის მამულებს. თანაც ყოველწლიურად ათი ათას მანეთს (ვერცხლით) იღებდა იმპერატორის ხაზინიდან.

მეორე მიზეზი შემდეგი იყო: ჰამუთბეი ჩაჩბამ იცოდა, რომ აფხაზების ერთი ნაწილი არ იწონებდა მის რუსულ ორიენტაციას..

მაგრამ ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ აფხაზების უმრავლესობას არც თურქეთის მორჩილება უნდოდა, რაკი საკუთარ ზურგზე ჰქონდათ ნაწვენევი სულთნის სამასი წლის ბატონობა. ჰოდა, ამის გამო შეიძლება აჯანყებულიყვნენ კიდევაც, თურქები კი, ღმერთმა იცის, მხარს დაუჭერდნენ თუ არა. ვინ იცის, იქნებ, მის ნაცვლად თავიანთი უფრო გამოსადეგი ვინმე შეერჩიათ.

დაუფასდა მთავარს ის სიმტკიცე, ყირიმის ომის დროს რომ გამოიჩინა: რუსები აფხაზეთში დაბრუნდნენ და, ამის შემდეგ, პირველ ხანებში ჰამუთბეი ჩაჩბა მართლაც ნამდვილ მთავრად გრძნობდა თავს.

კავკასიის ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა. შამილი დაეცა. ღასავლეთ კავკასიის გარდა ყველგან მინელდა საომარი მოქმედება და მეფის მთავრობა ისე დიდად აღარ აფასებდა იმ მთავრობის თანადგომას, წარსულში მხარს რომ უჭერდნენ რუსებს ქედუხბრელი მთიელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1862 წელს აფხაზეთი უკანასკნელი სამთავრო იყო მთელ კავკასიაში და, ალბათ, იმასაც მაშინვე გააუქმებდნენ, მეფისნაცვალს, თავად ბარიატინსკის, ასეთი წერილი რომ არ მიეწერა იმპერატორისათვის: „თავადის დევნა ვნების მეტს არაფერს მოგვიტანს. როგორც ჩემთვის ცნობილია, მისი გავლენა აფხაზეთსა და მეზობელ ტომებზე კვლავ მნიშვნელოვანია. ამიტომ მისი ჩვენდამი კეთილგანწყობა ძალზე სასარგებლოდ მიმაჩნია“.

მაგრამ ორი წლის შემდეგ დრო შეიცვალა, მდგომარეობა გაუარესდა. კავკასიის ახალი მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ფიქრობდა, რომ აფხაზეთის სამთავროს უკვე აღარ შეეძლო რაიმე ახალი სარგებლობის მოტანა, ამიტომ უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა და შეუქმნევლად გაეუქმებინა ეს უკანასკნელი სამთავრო, რომელიც თუნდაც მხოლოდ სახელწოდებით ახსენებდა თავის ოდინდელ დამოუკიდებლობას.

ჰამუთბეი ჩაჩბამდეც მოაღწია შემაშფოთებელმა ხმებმა ამ გეგმებსა და გლეხთა იმ რეფორმებზეც, რუსეთში რომ ხდებოდა და, არავინ რომ არ უწყოდა როდის და რაგვარად, აღრე თუ გვიან, აფხაზეთშიც რომ დაიწყებოდა. აფხაზეთის მთავარს თავის თავზე ნაკლებად როდი აწუხებდა თავისი მემკვიდრის გიორგის ბედი, რომელსაც დიდი ხანია აფხაზეთის მომავალ მთავრად სახავდა ოცნებაში. ჰამუთბეი ჩაჩბას დროის მოგება უნდოდა, სურდა რამდე-

ნიმე წლით მაინც გადაეწია უკან ახალი მეფისნაცვლის მიერ დაგეგმილი სამთავროს გაუქმება. შემაშფოთებელი ხმები კი უფრო და უფრო იზრდებოდა.

ჰამუთბეი ჩაჩბას რუსეთის ძალა გონივრულად ჰქონდა შეფასებული და უბიძგებს გულწრფელად ურჩევდა სისხლისღვრისა და უიმედო ბრძოლის შეწყვეტას.

ჰაჯი კერანტიხს სიმამაცე არ აკლდა, მაგრამ ჰკუთისა და შორსმჭვრეტელობისა რა მოგახსენოთ! ჰამუთბეი ჩაჩბა უბიძგებთან მოსალაპარაკებლად მხოლოდ იმიტომ კი არ მიდიოდა, რომ იმათი ბედი აწუხებდა. არა, საკუთარი მდგომარეობით უფრო იყო შეშფოთებული.

მას უსაფუძვლოდ როდი მიაჩნდა, რომ ჰაჯი კერანტიხის შეურიგებლობა და სიჯიუტე აფხაზებსაც ალაგზნებდა. განსაკუთრებით წებელდებებს, ახლო მეზობლობა რომ ჰქონდათ უბიძგებთან. მას სწამდა, თუ უბიძგები რუსებს დაუზავდებოდნენ, ეს მის ქვეშევრდომებზეც მოახდენდა გავლენას, რომლებსაც ქვეშევრდომები ერქვათ, თორემ პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე განუდგებოდნენ ხოლმე რუსეთს.

ჩაჩბას ეგონა, უბიძგებთან შედევიანი მოლაპარაკება დაეხმარებოდა ურჩი აფხაზების დამორჩილებაში. ეს კი რუსეთის თვალში მის ავტორიტეტს განამტკიცებდა და ამით ჰამუთბეი ჩაჩბა იმას მიადწევდა უბიძგებთან, რაც ორი თვის წინათ რუსეთის გენერალმა ვერ შეძლო, ეს წარმატება ისე აამაღლებდა მეფისნაცვლის თვალში, რომ სამთავროს გაუქმებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, გაუქმების ამბავი დიდი ხნით მაინც გადაიდებოდა.

თუ რით დამთავრდა ჰამუთბეი ჩაჩბას გამგზავრება და მოლაპარაკება, და რაც მთავარია, როგორ შემორჩა იგი მის თანამედროვეთა მენსიერებას, ამაზე ზაურყანის ყველაზე უფრო დალაგებული ნაამბობის ბოლო ნაწილი მოგვცემს წარმოდგენას, სიტყვასიტყვით რომ ჩავიწერე.

— გინდა დამიჯერე და გინდა ნუ დამიჯერებ, ძვირფასო შარახ, მაგრამ ერთმა ან ორმა როდი მიაბზო, ან ერთხელ და ორჯერ როდი მიაბზეს ეს. შინიდან წამოსული ჰამუთბეი უბიძგებთან მისვლამდე ორ დღესა და ღამეს მუნჯივით იყო დადუმებული, ერთი სიტყვაც არ უთქვამს ვინმესთვის.

მღუპარედ მიუძღოდა წინ თავის მხლებლებს, სანამ ის ტრიალი მინდორი არ გამოჩნდა, სადაც შვილი უზარმაზარი მუხის ქვეშ ჩვენი წმიდათაწმიდა ბითხა ინახებოდა. პირობის თანახმად აქ უნდა შეხვედროდნენ უბიხები ძიძიშვილს. მაგრამ მინდორზე, ვეება მუხების ქვეშ კაციშვილი არ ჰქანებდა.

— რა მოხდა, რატომ არავინ ჩანს? — მიიხედ-მოიხედა და იკითხა ჰამუთბეიმ. პასუხისთვის არც დაუცდია, ცხენი დასძრა.

მინდვრის შუაგულამდე არ იყო მისული, რომ მოპირდაპირე მხარეს თავისკენ მიმავალი რაღაც გაურკვეველი შავი რამ შენიშნა. ერთი-ორი წუთი იარა გაოგნებულმა და მერე მიხვდა: ასამდე თმაგაშლილი, თავიდან ფეხებამდე შავით შემოსილი ქალი მოდიოდა, სწორედ ისე, დაკრძალვაზე რომ იციან ხოლმე წასვლა.

ჰამუთბეი ჩაჩბამ და მისმა მხლებლებმა ცხენები მცველებს დაუტოვეს და ქალების შავი გუნდისკენ გაემართნენ. მიდიოდნენ და შემოფოთებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს:

— სად მიდიან, ან ამდენი რატომ შეგროვილან, ნეტა ვინ მოკვდა?

ქალები თანდათან უახლოვდებოდნენ და ბოლოს ჰამუთბეიმ დაინახა, წინ თმაგაშლილი და შავებით მოსილი ძიძა მიუძღოდათ, ჰაჯი ბერზეის ქვრივი.

იცნო თუ არა ჰამუთბეიმ თავისი ძიძა, ფეხს აუჩქარა და მიეახლა, მაგრამ ქალმა ზედაც არ შეხედა. ძიძა მიდიოდა და მოთქვამდა. დანარჩენები ბანს აძლევდნენ. ჰამუთბეიმ ყური მოუგდო მოთქმას და ისეთი რამ გაიგონა, რის გაგონებასაც სიკვდილი ერჩია:

მგზავრო გამვლელი, მწუხარება გსმენია  
ჩემი?

გსმენია ჩემი უბედურება?

ჩემი გაზრდილი, დედობილის ძუძუნაწოვი  
ცოცხლად მკვდარია, ჰამუთბეი ცოცხლად

მკვდარია,  
ვაი, ასეთ მკვდარს თითონ მიწაც არ  
მიიბარებს.

მოკვეთილ ჰქმნას... ლაფდასხმული და  
შეჩისხული.

ასე დაკარგეს უბიხებმა თავის ძუძუმტე,  
ასე დაკარგეს აფხაზებმა პირმშო მთავარი.

შემდეგ ქალებს კოქებადღე ნაწნავებგაშლილი ჰამუთბების ძი-  
ძიშვილი გამოეყო, თავში ხელები წაიშინა და ისე აკივლდა, რომ  
თავისი დედის ხმაც კი დაახშო:

ო, ჰამუთბეი, ეს რა ჰქენი, რა ჩაიღინე,  
შენს ღობილს თავი რატომ მომპერი,  
ო, ნუთუ, მეფის ოქრო-ვერცხლზე და  
ჩინ-მედლებზე  
შენი გამზრდელი უბიხების მიწა გაჟიღე?  
ო, ძმაო, ძმაო, მენანები და მებრალები,  
რა საშინელი სიკვდილით მოკვდი.

ქალები უფრო და უფრო ხმამაღლა ქვეთინებდნენ. მათ შორის  
თავჩაჩინდრული იღვა ქვასავით გაშეშებული ჰამუთბეი. ბევრი რამ  
ჰქონდა გადატანილი, მაგრამ ასეთი უბედურება და შერცხვენა  
არასოდეს ენახა.

ჰაჯი კერანტიხი უბიხების მიწაზე შებვედრას შეჰპირდა, მაგრამ  
ისე შეხვდა, როგორც მოსისხლეს და არა როგორც ძიძიშვილს.

ჰამუთბეი ძლივს მოეგო გონს, ქალებს გაშორდა, ცხენს ეცა და  
უნაგირა მოევლო:

— იტირე, ჩემო ძიძავ, — დაუძახა აცრემლებულმა, — იტირეთ,  
ჩემო ძიძიშვილებო, თქვენი გაზრდილიც თქვენთან ერთად ვტირი.  
იტირეთ, იტირეთ, თორემ მერე გვიან იქნება. იტირეთ, რადგან  
დაიღუპა უბიხების ქვეყანა. შენ კი, ჰაჯი კერანტიხ, ახლა რომ  
აღბათ დასცინი ჩემს ცრემლებს, დაიხსომე: მე კი არა, შენ გიწევს  
შენი ხალხის წყევლა-კრულვა!

ცრემლებისა არ რცხვენოდა ჰამუთბების, არც მოუწმენდია, მათ-  
რახი გადაუჭირა ცხენს და შეშლილივით გააჰქენა, თითქოს უნდო-  
და, რაც შეიძლება ჩქარა მოეტოვებინა უკან ქალების მოთქმა-გო-  
დება. მისი თანზხლებნიც გიყებივით მიქროდნენ, კენებით მიჰ-  
ყვებოდნენ უკან, ერთმანეთს უსწრებდნენ.

## შარდინ ალოუს ძე

იმ საშინელ დღეს მთელი ჩვენი ოჯახი შინ იყო, უმცროსი ძმის  
გარდა. ის კვლავ რუსებს ებრძოდა. არ ვიცოდით სად იყო და რა  
სჭირდა. მამაჩემი ჰამირზა სამი დღის წინათ მკლავში დაიჭრა, ჰრი-

ლობა უჩირქდებოდა და ტეხავდა, მაგრამ ლოგინს გაურბოდა. კრილობაზე ტკივილის გამაყუჩებელი ბალახები დაიფინა, შეიხვია და დილიდან საღამომდე აფორიაქებული ბოლთასა სცემდა შინ და ეზოში. დედაჩემი და ჩემი ორივე და, სოფლის სხვა ქალებთან ერთად, მაუდს ქსოვდნენ მებრძოლებისათვის და მხოლოდ შუადღისას მოიცალეს საოჯახო საქმეების მისახედავად.

მე ყველაზე ბოლოს მივედი; რამდენიმე დღე განუშორებლად ვახლდი ჰაჯი კერანტიხს ხელჩართულ ბრძოლებში.

იმ დღეს ხალხის რჩეულთა კრება უნდა ყოფილიყო, უნდა გადაეწყვიტათ, რა გზას დასდგომოდნენ. მე ჰაჯი კერანტიხთან ერთად დაებრუნდი. მან შინ გამიშვა ღამის გასათევად.

ცივი დღე იყო. საღამოედებოდა. დილიდანვე ხვავრიელად თოვდა, ის-ის იყო, გადაიღო, რომ ჩვენს ჭიშკარს ღონიერ ჯორზე ამხედრებული ბებიჩემის გაზრდილი, მამაჩემის ძუძუმტე შარდინ ალოუს ძე მოადგა.

პირველად მე წამოვხტი აღვირის დასაჭერად, მერე კი ნთელი ოჯახი გარს შემოეხვია.

— რას შერები, როგორ ხარ, რას შერება შენი კრილობა? — კითხა შარდინმა მამაჩემს.

— რა მიშავს, კრილობა რა სათქმელია! — უპასუხა მამაჩემმა. რცხვენოდა, ვერ გაემხილა, კრილობა რომ აწამებდა და მტკივანი ხელი ზურგს უკან დამალა.

— ჩვენო ძვირფასო ძმაო, ჩვენო იმედო, ღმერთმა გაშოროს უბედობა და ავადმყოფობა, შენს ნაცვლად მე შემეყაროს შენი ჭირი, — უთხრა დედამ, სამჯერ შემოუარა გარშემო, ყველა ავადმყოფობა რომ მოეშორებინა, და მკერდზე ეამბორა, ჩემმა დებმაც მორცხვად გაიმეორეს იგივე.

შარდინი შინ შევიდა: ჩვენც შევეყვიეთ. მე ნაბდისა და ბოხოხის მოხდაში მივეშველე, ქუდიც და ნაბადიც დავფერთხე და კედელზე ჩამოვკიდე.

შარდინ ალოუს ძე დაბალი, ბეჭებგანიერი და ძალზე ღონიერი იყო. წელი გამსხვილებოდა, ღიპი დაედო. შავი წვერი ფართო მკერდზე დაჰფენოდა.

დედამ აღუღუნებული კერიის წინ, სკამზე ტყავის ბალიში დადო და შარდინიც ზედ დაბრძანდა. ამ ბალიშს მხოლოდ საპატრო სკუმრებს დაუდებდნენ ხოლმე სკამზე.

უმცროსებს არც კი გვიფიქრია ჩამოსხდომა, ის კი არადა, დედა და მამა შარდინზე უფროსები იყვნენ, მაგრამ ფეხზე იდგნენ ესოდენ ცნობილი ნათესავის სტუმრობის გამო.

დედაჩემმა ჯაკვზე ქვაბი ჩამოჰკიდა ღომის ჩასადგმელად. ასე იცოდა ყოველთვის, როცა შარდინ ალოუს ძე გვეწვეოდა ხოლმე. მამამ თვალთ მანიშნა, ცხვარი დაკალიო, ასეთი საგანგებო შემთხვევისთვის რომ გვყავდა ნაპატივები.

შარდინი მიუხვდა მამაჩემს და თქვა, ძალიან მეჩქარება და ვახშმად ვერ დავრჩებიო. მერე დაუმატა:

— ვიცოდი დაჭრილი იყავი და გადაწვევით ვინახულე-მეთქი. ჩემი ნათესავეები ხართ და თან მოსალაპარაკებლადაც მოვედი. მოგეხსენებათ, ჰირის დღე დაგვიდგა და ამ ღროს თქვენზე ახლობელი ვინღა მეგულება, ჰოდა, რჩევის მოსაცემად მოვედი. — ასე ლაპარაკობდა შარდინი, მე კი ვუსმენდი და ჩემთვის ვფიქრობდი: ნეტა რის თქმა უნდა, იქნებ რაიმე სასიკეთო გვირჩიოს-მეთქი.

— მართალია, — უთხრა მამაჩემმა, — უბიხებს არასოდეს დავტყდომია თავს ასეთი მძიმე განსაცდელი. მარტო ჩვენ კი არა, ყველანი იმედით შემოგვცქერიან. ბედნიერი ვართ, ჩვენი კერა რომ აირჩიე, რომ მოისურვე ჩვენთან ერთად ჩამოქდე და ააუბრო ამ უკუღმართ დროში.

შარდინ ალოუს ძემ ბეშმეთიდან შავი სიგარა ამოიღო. ასეთი სიგარები აღრეც ჰქონდა, თურქ ვაჭრებს ჩამოჰქონდათ ხოლმე შისტვის. კერიიდან ნაკვერცხალი ავიღე და შარდინს მივუტანე. მან სიგარას მოუყიდა და თქვა:

— ალბათ იცით, რომ ჰაჯი კერანტიხმა დღესაც შეჰყარა საბჭო, რათა გადაეწვეცია, რა გზას დაადგნენ უბიხები. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ბჭობა. ჯერ კი არაფერი გადაუწყვეტიათ და სანამ ბჭობა გრძელდება, მინდა გაუწყო თვითონ მე რას ვფიქრობ. [სულ ერთია, მეფის გენერლები აქ, ჩვენს მიწა-წყალზე ცხოვრების უფლებას აღარ მოგვცემენ. ბრძოლის ხაზი კი მთებისკენ იწევს, უფრო და უფრო გვიახლოვდება, სანამ ყველა ხიშტებზე არ ავუვივართ, სჯობს თავის გადარჩენაზე ვიფიქროთ.]

თურქეთის სულთანნი — ალაჰის ნაცვალნი დედამიწაზე — გვიხსნის განსაცდელისაგან, თუ დავთანხმდებით და მის ქვეშევრდომობას მივიღებთ. ამ რამდენიმე დღის წინათ თურქი ვაჭარი მესტუმრა სტამბულიდან. დიდი ხანია ვიცნობ და მჯერა კიდეც მისი. მდი-

დარიც არის და სულთნის დაახლოებულ პირებსაც იცნობს. როგორც შეკრულება, ის ახლა ჩვენთან მარტო სავაჭროდ არ ჩამოსულა. ჩვენი მეზობლების — ნათუხაელების ამბავს მიაშობდა, უკვე თურქეთში რომ არიან დასახლებული. სულთანმა შეასრულა ნათუხაელებსათვის მიცემული სიტყვა — იქ დაასახლა, სადაც თვითონ ისურვებს. თურმე ნამდვილი სამოთხეა. არც ძალიან ცხელა და არც ძალიან ცივა. ყოველთვის ისეთი ამინდია, ჩვენთან რომ იცის გვიან გაზაფხულზე. ყველაფერი ხარობს, რაც ადამიანს სჭირდება. ჩხიკვს რომ სიძინდის მარცვალი გაუეარდეს ნისკარტიდან, ერთ თვეში ამოვა და დატაროვდება. იქ თურმე კამეჩებს მარტო სახნავში ამუშავენ, წველით კი არ წველიან, რადგან რძე არ სჭირდებათ, თურმე მურყანივით არის მოდებული რძის ხეები. მიხვალ ხესთან, ცოტას გაჭრი დანით და დოქში ქაფქაფით ჩაევა. სქელი რძე. მაწვნის შედედება თუ გინდა, ამ ხეს ერთ ფოთოლს შეაწყვეტ, რძეში ჩააგდებ და შინ მისვლამდე ისე შედედდება, რომ ვერ გაჭრი. გოგრები და, — იმხელა იზრდება, რომ ნაჯახით თუ არ დაჩხებ, დანით ვერაფერს დააკლებ.

ისეთ სასწაულებს ყვებოდა, რომ პირველად არც კი დავიჯერე, მაგრამ ჯიბიდან წერილი ამოიღო, იქაური ნათუხაელის მუსათის წერილი იყო. ჩვენ კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, სტუმრად ვყოფილვართ ერთმანეთთან. პოდა, სწორედ ის მუსათი იწერებოდა ყოველრეე ამას.

აი ის წერილიც, — თქვა შარდინმა და ჩოხის შიდა ჯიბიდან რამდენჯერმე დაკეცილი ქალაღი ამოიღო, გაშალა, გაასწორა და ყველას გვაჩვენა.

აბა ვის შეგვეძლო წაკითხვა? ჩვენს ოჯახში კი არა, მთელ აულში არ მოიძებნებოდა კაცი, თუნდაც ერთი ასო რომ სცოდნოდა რომელიმე ენაზე. მე მგონი მამაჩემის ძუძუმტემაც, შარდინმაც არ იცოდა წერა-კითხვა. ცოტა ხანს ეჭირა წერილი ხელში, მერე შეინახა და ისევ თავისი სიტყვებით დაიწყო იმის თხრობა, რაც მუსათმა მოსწერა. აღრე არასოდეს გავგეგონა მისი სახელი, ახლა კი ძალზე გვიქებდა შარდინი.

— მუსათი აქაც დაფასებული კაცი იყო. თურქეთში კი იმხელა თანამდებობა მიუღია, თვით დიდ ვეზირებთან ყოფილა დაახლოებული. თურქ ვაჭარს შეიძლება მოვეტყუებინე, მაგრამ მუსათი ზომ არ მომწერდა ტყუილს. რაც გინდა იყოს, ჩვენი მთების შვილია და მასპინძლობაც ბევრჯერ გამიწევია მისთვის.



აქ კი რისი იმედი უნდა გვექონდეს, ველოდოთ რუსი გენერლები როლის გადაგვასახლებენ ყუბანში? მშობლიური ტყეებიც ვერ დაგვიფარავს ისეთი ცივი ზამთრისაგან, ახლა რომ არის. იქ შიშველ სტეპებში ბუზებივით დავიხოცებით სიცივისაგან. სარწმუნოებასაც დავკარგავთ, ჩვენს. შეილებსაც ჯარისკაცებად წაასხამენ და მიწის ყიდვაც ჩვენ თვითონ მოგვიწვეს, რადგან რუსეთში მემამულეები უკვე აღარ ზრუნავენ გლეხობისათვის, ეს უფლება უკვე ჩამორთმეული აქვთ. რით უნდა იყიდოთ მიწა? არ იყიდით და როგორ იცხოვრებთ? ჩემო ძიძიშვილო ჰამირზა, მე ყველაფერი გითხარი, რასაც ვფიქრობ, ახლა შენი აზრი მინდა გავიგო.

— ასე უთხრა შარდინმა მამაჩემს. მამაჩემი გამაძარ ხესავით გაშეშებულიყო. საღი ხელით მტკივანი ხელი ეჭირა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ხმელი შეშის ტყაცატყუცი ისმოდა, გაფთვებული რომ ნთქავდა მშიერი ალი. ამ შუა ზამთარში ჰექს-ქუხილიც კი არ გაგვავიწყებდა ისე, როგორც შარდინის სიტყვებმა გაგვავიწყებდა, თუმცა ის სასწაულებს გვიყვებოდა და სამოთხეს გვიპირდებოდა.

მამაჩემი იმდენ ხანს დუმდა, მოლოდინით ყელი გამიშრა და მოშეჩვენა, რომ ენა ჩამივარდა. ძლივს გავიგონე მამაჩემის პირველი ლიტყვები, ისე ჩუმად და წყნარად დაიწყო ლაპარაკი:

— ჩვენო გაზრდილო, შენ ხარ ჩვენი იმედი. შენ ჩვენზე ჰკვიანია ხარ, ჩვენზე მეტიც გინახავს და უკეთესად იცი, როგორ უნდა მოვიქცეთ. სადაც უნდა წახვიდე, ჩვენც შენთან ერთად ვიქნებით და ისე გემსახურებით, როგორც გემსახურებოდით. სხვა რა უნდა გითხრა იმ კაცმა, რომელმაც ხვნისა და თესვის მეტი არაფერი ვიცი. მაგრამ ნებას თუ დამრთავ, ერთი რამ მინდა გკითხო. რა გადაწყვიტა საბჭომ, ყველა უბინი იმ გზას ადგას, რომელზეც ჩვენ ჟინდა გამოგყვით?

— ჯერ არ გადაუწყვეტიათ. არც ის ვიცი, სხვა უბინები რას იზამენ, მაგრამ მე თქვენზე ახლობელი არავინ მყავს და თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ ჩემი განზრახვა გამეზიარებინა. — უპასუხა შარდინმა და მე მის თვალებში ჩამდგარი შიში დავინახე.

— მაშინ, ჩვენო ძმაო და ჩვენო იმედო, უკეთესი ხომ არ იქნებოდა საერთო ბედი გაგვეზიარებინა? — ჰკითხა მამაჩემმა ჰამირზამ. — როცა ერთნი იბრძვიან, მეორენი როგორ დაყრიან იარაღს და ზღვის იქით როგორ გაემგზავრებიან. პირველნი როგორ ჩაუქრობთ საკუთარი ხელით წინაპართა კერას? პირველნი როგორ

მევატოვებთ მამაპაპათა საფლავებს? პირველნი როგორ გამოვემ-  
შვიდობებით ჩვენს სალოცავ ბოთხას! ან ამ მიწას რა ეშველება?  
იქნება კი თურქეთში ისეთი მიწა, ამას რომ სჯობდეს ან ამისთანა-  
რომ იყოს? მიწებს ჩვენ ხომ არ გვაყიდვინებენ? — მამაჩემს კიდევ  
უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ დედაჩემის ქვითინმა შეაწყვეტინა.

— მე საცოდაუს რა მეშველება, რა გაეგო, როგორ იქნებოდა.  
ჩემი ძმები წებელდამი? ისინი აქ როგორ დავტოვო და მე ზღვის-  
იქით როგორ გავემგზავრო? რა ბედნიერია, ვინც მოკვდა და ამ-  
დღეს არ მოესწრო! — დედაჩემი მწარედ მოთქვამდა, ჩემი დები კი-  
უკან იდგნენ, ზურგზე აკვროდნენ და ტიროდნენ.

დედაჩემს ტირილი არ უყვარდა. შარდინმა პირველად გაიგო-  
ნა მისი ქვითინი და დამშვიდება დაუწყო.

— ჩემო დაო, უნდოდა ყოველთვის აოცებდი კაცებს სიმამაცით და  
ცრემლის ღვრა არ შეგშვენის. შენი ძმები ვაჟაკები არიან და  
ვერ შეეგუებიან მეფის გენერლების ჩექმებით გათელვას. ისინი  
ალბათ, ან ჩვენ გველოდებიან, ან უკვე გამგზავრებული იქნებიან  
თურქეთს. მალე ნახავ ცოცხლებს და ჯანმრთელებს აღთქმულ მხა-  
რეში. შენ კი, ჰამირზა, — მიმართა. მან მამაჩემს, — ნუ გეშინია,  
იქ არავინ მოგთხოვს მიწის სასყიდელს. ამას მე გეუბნები, შარ-  
დინო, ალოუს ძე! აქ კი ვინ იქნება იმის თავლები, რომ მეფის გე-  
ნერლები ყუბანში კი არა, უფრო შორს არ გადაგვასახლებენ! მოგ-  
ვატყუებენ, გვეფერებიან, სანამ ჩარადი გვიჭირავს ხელში, შემ-  
დეგ კი ვინ დაუშლით, იქნებ ციმბირშიც გვიკრან თავი. სარწმუ-  
ნობასაც წაგვართმევენ, ბავშვებს ძალით მოგვანათვლინებენ.

სწორედ ამ დროს შორეული სანაპიროდან ზარბაზნების ქუხი-  
ლი გაიშა და შარდინს სიტყვა გაუწყდა. ეს ისე მოულოდნელად  
მოხდა. თითქოს ეშმა ამომბტარიყოს ჩვენი კერიის წინ.

— შენ კი ასე მშვიდად რა გაჩერებს, გაკაწრული ხარ, მეტი  
ხომ არაფერი! არ გეხმის ზარბაზნების ქუხილი? იქნებ სწორედ ამ  
ზარბაზნით განგმირული დაეცა ჩვენი შვილი! — წამოიძახა დედა-  
ჩემმა.

ზარბაზნის ხმა რომ გაიგონა, დედამ ტირილი შეწყვიტა და გან-  
რისხებული მოგვიჩერებოდა კაცებს.

— რა დავემართა, — უსაყვედურა მამამ, — დაწყნარდი და  
მოთმინება იქონიე.

დედა გაჩუმდა, მაგრამ მაინც ისეთი თვალებით გვიყურებდა,  
რომ მიწას ვაკლდომას ვნატრობდით.

ზარბაზნების გრიალი კი ისევე ისმოდა სანაპიროდან.

— თავის დაღუპვა თუ არ გინდათ, გირჩევთ ამაღამიდანვე შე-  
ვუღუპოთ გამგზავრებასათვის მზადებას. — თქვა შარდინმა და შე-  
მომიბრუნდა, — ნუ ღვაკვიწყდება, ზაურყან, რომ ბევრ ახალ-  
გაზრდას უნდოდა ჰაჯი კერანტიჩის პირადი მცველობა, მაგრამ ეს  
პატივი ჩემი წყალობით შენა გხვდა წილად. მიხარობდა დამეხლო-  
ვებრნე მასთან, აზნაურობა რომ მიეღო თქვენს გვარს, მაგრამ  
უბედურება უბედურებაზე დაატყდათ თავს უბიებებს და ხელი  
შეგვეშალა. მე თვითონ დაგაახლოვე ჰაჯი კერანტიჩს, ახლა კი გე-  
უბნები: უნდა ჩამოშორდე! ჭერჭერობით არ ამხელს, მაგრამ ვიცი,  
თვითონაც აპირებს თურქეთში გადასვლას მთელი თავისი ნათესა-  
გებითა და ქვეშევრდოკებით. და მე არ მინდა, ჩემმა ძიძ-შვილმა  
ბრძოლის ველი მიატოვოს და სამშობლოდან გაქცეულს მონასაკით  
ემსახურებოღეს გზაში. უნდა ჩამოშორდე კერანტიჩს, ამერიადან  
მე ვიქნები შენი მფარველი.

ეს რა თქვა, თითქოს ხანჯლის წვერი გამიყარა გულში.

— არა ხარ მართალი! — წამოვიძახე მე, — ჰაჯი კერანტიჩი  
სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლებს. ის მხდელი არ  
არის და მეც არასოდეს დავარღვევ ჩემს ფიცს; განსაცდელის ქამს  
არ მივატოვებ.

— რა მოგვიდა, — შემაწყვეტინა შარდინმა, — როგორ შელა-  
პარაკები!

მე მაინც განვაგრძე:

— მაპატიე, ხმის ამოღება რომ გავბედე შენს წინაშე — დიდე-  
ბული ნათესავის წინაშე, მაგრამ გაოცებული ვარ: განა შენ არ მო-  
დიოდი ხოლმე ბრძოლაში პირველი? განა შენ არ გვეუბნებოდი,  
რომ ყველა, ვინც კი გრაჟრის ტყვიით დაეცემა, პარდაპირ სამო-  
თხეში მოხვდება? ახლა კი, იარაღს თუ დაუკრით, მაშინ მოხვდენ-  
ბით სამოთხეში? ეს სამოთხე თურქეთია და შენ გვირჩევ იქ გადა-  
სახლებას? ან შენ და ან სხვა შენისთანა დიდებულები აღრე რას  
ფიქრობდით? ასე აღვილი თუა სამოთხეში გაქცევა, იქ, ცაში  
ვინდა დააფასებს ბრძოლებში დაღვრილ სისხლს, ვინ გაუხსნის სა-  
მოთხის კარს ომში ტყუილუბრალოდ დაღუპულთ? შენ კი, მამა-  
ჩემო, რატომ გავგზარდე ვაჟყაყებად, რატომ გვასწავლავდი სიკვდი-  
ლისა არ შეგეშინდეთ; როცა საკუთარ კერას იცავთ?

თვითონ არ ვიცოდი რა ჩემს რთებოდა, მაგრამ არაფერს აღარ

შეეძლო ჩემი გაჩერება. მანამდე კი არამცთუ ჩვენი სტუმრის წინაშე, ღმერთად რომ მიგვაჩნდა, არამედ მამაჩემთანაც კერ ებე-  
ლავდით ხმის ამოლებას.

— გაჩუმდი! — გამაწყვეტინა მამაჩემმა, — შენს მაგივრად მე  
მრცხვენი! მეც კი ზედმეტად ხმაალალი მეჩვენება შენი ლაპარა-  
კი, სირცხვილი გვაქვამე, ისე თავხედურად ელაპარაკე ჩვენს ძვირ-  
ფას ნათესავს. განა ასე შორიდან ზამთრის ასეთ სუსხიან დღეს  
მოვიდოდა ჩვენთან, რომ არ ვუყვარდეთ ეს უბრალო და უგუნური  
ხალხი? — გამამათრახა მამაჩემმა და შარდინს მიუბრუნდა.

— გვაპატიე, უტბად რომ ვერ მოვისაზრეთ, რა გიპასუხოთ. თუ-  
კა შენ, ჩვენს ყველაზე უფრო ახლობელ მთარველს გჯერა, რომ  
თუ შენთან ერთად თურქეთს გავემგზავრებით, იქ კარგად ვიცხოვ-  
რებთ, მთელი ჩემი ოჯახი წამოვა და მულამ შენთან იქნება განუ-  
ყრელად.

ამას რომ ამბობდა, მამაჩემი დამნაშავესავით იდგა შარდინის  
წინაშე თავჩაჭინდრული. ეშინოდა, ვაითუ, გაგვიბრახლო, მაგრამ  
ჩვენი ხტუპარი პირიქით, უფრო გამხიარულდა. ტახტიდან წამოდ-  
გა, ჩექმებზე მათრახი გაიტკაცუნა და ისე დაიწყო ლაპარაკი, თით-  
ქოს არც შეკამათებოდეს ვინმე.

— ახლა დრო არ უნდა დაკარგოთ. ბარგი შეაგროვეთ გასამ-  
გზავრებლად. საკმელზეც იზრუნეთ. აბა, მივდივარ, მეც მოსამზა-  
დებელი ვარ! თქვენი დახმარება თუ დამჭირდა, შეგატყობინებთ.  
ჯერჯერობით კი, ჰამირზა, შენი ჭრილობა ალაპის წყალობით სა-  
შიში თუ არ არის, ჩვენს ნათესავებსა და მეზობლებს ჩამოუარე.  
მართალია, ჯერ მოხუცი არა ხარ, მაგრამ დიდ პატივს გცემენ და  
ბარემ შენგან გაიგონ ჩემი სათქმელი. ტყუილუბრალოდ ნულარ  
დაღვრიან სისხლს, გასამგზავრებლად მოემზადონ და ნურათრის  
დარდი ექნებათ. დაუმტკიცე, რომ შარდინ ალოუს ძე ყველგან და  
ყოველთვის თქვენთან იქნება. თუ ვინმე ყუბანში გადასახლებას  
ურჩევს, არ დაეთანხმონ.

ასე გადაწყვიტა ყველაფერი ჩვენს მაგივრად შარდინმა, დრო  
ალარ დაუკარგავს, ჯორზე შეჯდა და წავიდა.

მაშინ ასეთი წესი იყო: ჩვენი თავადები სალაშქროდ თუ არ  
იყვნენ წასული, ან სხვა თავადებთან თუ არ იმყოფებოდნენ სტუმ-  
რად, ჩვენთან — თავიანთ გლებებთან მოდიოდნენ ხოლმე ჯორებ-

ზე ამხედრებულები. მთის ბილიკებზე ჯორით სიარული უფრო მოსასერხებელია, თუკი არ გეთაკილება. ჯორზე ჯდომა.

გავაცილეთ შარდინი. მღუშარედ ვიდექით და ისე მივჩერებოდით ცეცხლს, თითქოს იმწუთას დავებრუნებულიყავით დაკრძალვიდან. ვიდექით, ვიდექით და, როგორც იქნა, ჩამოვსხედით.

ღედაჩემმა ღომი აღარ ჩააღვა. ის კი არადა, ქათმებიც აღარ დაუმწყვდევია საქათმეში. ჩუმაღ იჯდა და ცრემლებად იღვრებოდა. არც მამაჩემი გასულა ძროხების მოსაწველად. იჯდა ჩაფერფლილ ცეცხლთან და მღუშარედ ფიქრობდა. რამდენჯერმე დაეცვარა შუბლი ოფლით და ყაბალახის ბოლოთი მოიწმინდა. არც მაშინ ამდგარა, ძალი რომ აყმუვლდა ეზოში. ეტყობა, ქარის მოტანილმა ხარბახნების ყრუ გუგუნმა შეაშინა. მამაჩემმა არც კი შეუყვირა ძაღლს, თუმცა რცოღა, რომ ყმული უბედურებას მოასწავებდა.

გარეთ მოუწველავი ძროხები ზმოღუნენ. უცბად მამალმაც იყიღლა. თითქოს ვათენებას ვეღარ დაუცაღა და მთელ აულს უნდა მოჰფინოს, ოჯახის პატრონი კერის ჩაქრობას აპირებდა.

მე მამაჩემის პირდაპირ ვიჩქეი და ხან ჩვენი ფაცხის კედელს შევეყურებდი, ხან გაცქვარტლულ ქერს და ხან კიღვე ბაბუაჩემის გამოჰქედიღ ოჯინჯალს. ყოველივე ამას ბავშვობიღანვე ვიყავი შეჩვეული, მაგრამ ახლა განსაკუთრებით ლამაზი და საყვარელი მეჩვენებოდა და მენანებოდა მიტოვება.

ქერ კიღვე იმაზე ვოცნებობდი, რომ მომავალ შემოღგომაზე აქ, ამ სახლში ჩვენი მეზობლის ქალიშვილს ფელდიშს მოვიყვანდი, ისინი ახლო მეზობლები არ იყვენენ, მეორე აულში ცხოვრობდნენ, პირველად შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, შემდეგ კი ხშირხშირად ვხვდებოდით ჩვენი აულიღან მისი აულისაკენ მიმავალ ტყას ბილიკებზე. ვიცოღი, ჩვენები ყველაფერს ხვდებოდნენ და ქორწიღს თაღარაგს იქერღდნენ. ახლა კი რა უნდა ვქნა? როგორ მოვიყვანო ფელდიში სახლში, როცა სახლი აღარ მექნება? — მწარედ ვფიქრობდი გუნებაში.

ღავქორწინღებით კი საერთოღ? — ვეკითხებოღი ჩემს თავს. რაც უფრო ღიღხანს ვიჩქეი და ვფიქრობდი, მით უფრო მეჩქარებოდა ვათენება. ცხენს მოვახტებოღი და ფელდიშისაკენ გავქანღებოღი.

ღეღაჩემი ღროღაღრო ამოღოხრებღა, ხოღმე და ჩურჩულით

წარმოთქვამდა ჩემი ძმის სახელს. დებიც ხან ოხრავდნენ, ხან ტიროდნენ.

არ კერა რამდენ ხანს ვიქნებოდი ამ ყოფაში, უცბად ძალღს რომ არ ატეხა ყეფა. ვილაც სახლს მოუახლოვდა. გადავაბიჯე თუ არა ზღურბლს ფეხი, ჩემი ძმა დავინახე. კი არ მოჰყავდათ, თითქმის შოთარევედნენ. მეც მივეშველე, შემოვიყვანეთ და სკამზე დავაწვი-  
ნეთ. მთლად სისხლში იყო მოსვრილი. დედა და დები წივილ-კივი-  
ლით მოსცივედნენ. ერთმა კაცმა მითხრა, შენი ძმა თქვამდა დაჰ-  
რილიო. ჭორობა საშიში არ არის და ნუ გეშინიათ, განიკურნებო-  
მეტა არაფერი უთქვამს.

ცეცხლი დაანთეთ და წყალი აადუღეთ — გვიტხრა მამამ. ტან-  
ზე ვაჯივრეთ მატას. ბევრი სისხლი დაედვარა და დასუსტებული  
იყო. ჭორობა. დიდი იყო, საშიში კი არ ჩანდა. მამამ ჭრილობის  
კარგი მოვლა იცოდა და ამ საქმეში სახელიც ჰქონდა გავარდნრი.  
ახლაც სწრაფად მოუარა მატას. სისხლის დენა შეუჩერა და მავ-  
რად შეუხვია ჭრილობა. ჯერ წყალგარეული მაწონი დაალევიანა:  
შემდეგ კი ძალით აქამა თაფლის თხელი ფაფა. მერმე მამა გვერ-  
დით მიუჯდა და ამ ხნის განმავლობაში პირველად გახსნა კრიკა.

— ალაჰმა შეგვიწყალა ჩვენცა და შენც ცოცხალი რომ დაბრუნ-  
დი, შეილო.

— ნეტავ არ დაგბრუნებულყავი, — თითქოს ჰაერი არ ჰყოფ-  
ნისო, მოვუღული ხმით უპასუხა მატამ. — ყველაფერი დაიღუპა,  
მამა. ყველაფერი, გაგვანადგურეს. სადაც ჩვენ ვიბრძოდით, მთელი  
შიწა მკვდრებათ არის მოფენილი. რამდენიმე მხედარიღა გადავ-  
რჩით ცოცხალი და ჩვენც ტყვია და თოფის წამალი გამოგველია.  
ყვირილით ვეკეთეთ ჯარისკაცებს და რკალი გავარდვიეთ. იორ-  
გლივ ისეთი ცეცხლი ბრიალებდა, რომ ცხენების ფაფარიც კი  
ბრჩოლავდა. როგორც ექნა, მოვახერხეთ ზღვის ნაპირისაკენ გაღ-  
წევა, მაგრამ მტრის ტყვია წამომეწია, თეძოც გამიხვრიტა და ცხე-  
ნიც მომიკლა. ზემოდან დამეცა ცხენი. მიწაზე ვეგდე და ვუყუ-  
რებდი, როგორ მიაჭენებდნენ ცხენებს უფსკრულისაკენ ცოცხლად  
გადარჩენილი მებრძოლები და პირდაპირ ზღვაში ხტებოდნენ. გა-  
უმადლარი ზღვა კი ცხენებიანად ნთქავდა მათ. სად არიან ჩემი ამ-  
ხანაგები? რატომ ტყვიამ არ მომიღო ბოლო, რა მიინდა, აქ რომ  
შევივარ კერიის პირას, რატომ შეგირცხვინე სიბერე?

— დაშვილდი, — უთხრა მამამ. — ბრძოლაში ყველა როდი

იღუპება. ვინმე ხომ უნდა გადარჩეს ცოცხალი, ხელახლა რომ შე-  
ებას მჭერს და მორიგ ბრძოლაში დაეცეს.

მამა თავზე ხელს უსვამდა და ისე ელაპარაკებოდა მათას. მერე  
გაჩუმდა და უსმოდ ეფერებოდა. მათას ძალი მოერია. ჩვენ გარ-  
შემო ვესხედით და თვალი არ მოგვიხუჭავს, სანამ მზე არ ამოიწ-  
ვერა თოვლიანი მწვერვალრიდან. საღლში გლოვა გვექონდა, მზე კი  
ისე ჩახჩახებდა, თითქოს ღღესასწაულიაო. მამამ დედასა და ჯებს  
საქმლის მომზადება დაავალა. ყველანი მაგრად გვასაუბნა, მათა-  
საც კარგად ავამა, მათამ ძლიერ გამოიღვიძა და ახლა ვუშინდელ-  
ზე გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს.

მამამ თავისი სატყეთესო ტანსაცმელი ჩაიცვა, სუფრის თავში  
დაჯდა და ყველანი სათითაოდ შეათვალიერა.

— ყველანი, კაცებოც, ქალებიც მხნედ იყავით, არ დაძაბუნდეთ!  
ამას თუ მოვესწრებოდით, არ გვეგონა, მაგრამ ჩვენი ძუძუმტე  
შარდინი მართალია. წამ მიწა-წყალზე დარჩენა არ შეიძლება, ყვე-  
ლას დაგვხოცავენ. ისეთი მიწა უნდა მოვძებნოთ, სადაც ომი არ  
იქნება. ჰოდა, დროა გასამგზავრებლად მოვემზადოთ.

— სად უნდა გავემგზავროთ, რას ამბობ? — წამოიძახა ჩემმა  
ძმამ და წამოჭდა. ტკივილებმა მოკაცვა საწყალი. ჩვენ მთელი დამე  
ჯვანამებდა განგზავრების ფიქრი, მათას კი პირველად ესმოდა ეს  
ამბავი.

— დაწყნარდი, ჩვენ მუსულმანებისათვის აღთქმულ ქვეყანაში,  
თურქეთში უნდა გავემგზავროთ. სულთანი შევეცდარება და მიწა-  
საც მოგვცემს. ჩვენი ძუძუმტე შარდინ ალოუს ძე დაგვიპირდა,  
თურქეთშიც არ მოგაკლებთ შორუნველობასო. სხვა გზა არა ვვაქვს,  
უნდა გავყვეთ. — ისე მორჩილად თქვა მამამ, თითქოს მართლა  
აღარ ყოფილიყოს სხვა საშველი.

— რას ლაპარაკობ! — იყვირა ამის გამგონე მათამ, — სულ  
ერთი კვირის წინათ ხომ რუსებთან საბრძოლველად გამგზავნე,  
შენც ხომ, სამი დღეა, რაც დაგვრებს. გაბნენე, რამდენ ბრძოლაში  
ყოფილხარ, ნაჭრილობევი მაინც დაითვალე!

— დაწევი, სიცხე გაქვს, შვილო, — უთხრა მამამ და აიძულა  
დაწოლილიყო. — შენი ყვორილი არ შეიძლება. კვლავაც თუ გან-  
ვაგრძებთ ბრძოლა, ერთი უბიხიც აღარ დარჩება ცოცხალი.

— არა მგონია, ყველა ასე ფიქრობდეს. — უუთხარი მამას, —  
არა მგონია, იარაღი დაყაროს ჩვენმა წინამძღოლმა ჰაჯი კერან-

ტიხმა. არა მგონია, კარგი ცხოვრება გველოდეს თურქეთში გაქცეულლებს. არა მჯერა შარდინის ნაამბობი. თავს ნუ მოიტყუებ, მამაჩემო!

ხან მე და ხან მატა რიგრიგობით ვცდილობდით გადაგვეთქმევი-ნებინა მამაჩემისათვის შარდინთან ერთად გამგზავრება. ის კი იჯდა და გვისმენდა. არც გვედავებოდა და არც გვეთახმებოდა. მერე კვერთხი აიღო და კარის ზღურბლიდან მოგვიბრუნდა:

— კარგი, ხალხის გადაწყვეტილებას დაველოდოთ. შენ კი, ზაურყან, ჰაჯი კერანტიხთან წადი. რაკი გუშინ შეყარა საბჭო, დღეს ან ხვალ რაიმეს გადაწყვეტენ. მე მეზობლებს ჩამოუყვლი და შარდინის სურვილს გადავცემ.

— არ წახვიდე, მამა! — იყვირა მატამ და კინალამ წამოხტა სკამიდან. — არ წახვიდე! როცა სხვები ისევ იბრძვიან, როცა ისევ იშმის ზარბაზნების ქუხილი, როგორ შეგიძლია კარიკარ იარო და ხალხს ურჩიო, მიატოვეთ ის მიწა-წყალი, რისთვისაც ისევ იღვრება სისხლი.

— გაჩუმიდი — დაუყვირა მამამ.

— კი გაჩუმიდება, მაგრამ მატა მართალს ამბობს! არსადაც არ უნდა წახვიდე, მამაჩემო! — ჩავერიე მე.

— მოვკვდები და არ გაგიშვებ! წამოიძახა ჩემმა ძმამ, მოიშორა ყველაფერი, რაც ეხურა, ფეხზე წამოდგა, შექანდა და, მიშველებაც ვერ მოვასწარი, უგონოდ დაუცა.

დედა და დები ჩემთან ერთად მისცვივდნენ მატას, მამა შებრუნდა და გარეთ გავიდა.

## უკანასკნელი ბოზა წაგლის ხის სახლში

საბჭო, ან, როგორც შემიძებ, თურქეთში შევეჩვიეთ, მჭელისი, ჩვენთან, უბიხების ქვეყანაში ცამეტი კაცისგან შედგებოდა. ამათ ემატებოდა კიდევ ორი წარმომადგენელი აფხაზი ტომების — სახებისა და ახჩიფებისაგან, რომლებიც მაშინ ჩვენ უფრო გვემხრობოდნენ, ვიდრე აფხაზებს.

თვით უბიხების ქვეყანა ცამეტ ნაწილად იყოფოდა თურქეთის



ვილაეთებოვით. ვინც თითოეულ ამ ნაწილს განაგებდა, ის საბჭო-  
შიც შედიოდა. ჩვენგან შარდინ ალოუს ძე იყო წარმომადგენლად.  
ამათ გარდა კიდევ ორი კაცი შედიოდა საბჭოში: პაპატქერი და მუ-  
სა. მუსა აშშინ ყველაზე უფრო ნასწავლი კაცი მეგონა. ახლა კი  
ვხვდები, უბრალოდ, უბიხებს შორის წერა-კითხვის ყველაზე უფ-  
რო კარგი მცოდნე იყო მხოლოდ. იქდა და ყველაფერს წერდა, რაც  
საბჭოზე გადაწყდებოდა. მისი ხმა არასოდეს გამეგონა, მუდამ ჩუ-  
მად იყო. თავჩაღუნული მიუჯდებოდა პატარა სამკუთხა მაგიდას,  
უამრავი კალამი რომ ეწყო ზუდ, ხან ერთს აღებდა, ხან მეორეს  
და არაბული ასოებით, მარჯვნიდან მარცხნივ პირწმინდად იწერდა  
ყველაფერს.

საბჭო სოფელ მითხაში იკრიბებოდა, სადაც ჰაჯი კერანტიხი და  
ბერზეკების მთელი საგვარეულო ცხოვრობდა. ზაფხულობით საბ-  
ჭო ნახევარწრედ შემოჭარული მუხების ჩრდილში იკრიბებოდა,  
ზამთრობით, კი შეერთებული ძალით აშენებულ წაბლის ხის სახლში.

ამ წაბლის სახლში გადაწყდა უბიხებს თურქეთს ვადასახლება,  
რამაც ბოლოს და ბოლოს იმ ზომამდე მიგვიყვანა, რომ მე უკანას-  
კნელი ვარ, ვისაც შეუძლია უბიხურ ენაზე გელაპარაკოს.

გაზაფხული ახალი დამდგარი იყო, წინა ღღეს ისევ ყინავდა.  
დამე კოკისპირული წვიმა მოვიდა და ისე წვიმდა, რომ დილას აქა-  
იქ, ხრამებშიღა თუ იყო შემორჩენილი ქუჩკვიანი თოვლის ხაგლე-  
ჯები. წვიმის მერე ცა მოკრიალდა, მაგრამ სანამ ჰაჯი კერანტიხი  
და მე წაბლის სახლთან მივიდოდით, ისევ დაიწყო თოვლშერეულმა  
წვიმამ ცრა.

სხვა დროს ასეთ ამინდში ცხვირსაც არავინ გამოჰყოფდა გა-  
რეთ, იმ დილას კი წაბლის ხის სახლის გარშემო ასობით კაცი ირე-  
ოდა, ისეთი ნაღვლიანი სახეები ჰქონდათ, თითქოს დაკრძალვაზე  
არჩიანო.

წაბლის სახლს რომ მივხახლოვდა, ჰაჯი კერანტიხი აჩქარდა.  
საბჭოს სხვა წევრები უკვე ელოდებოდნენ და ყველანი უკან მიჰ-  
ყვნენ.

ყველაფერი კარგად მახსოვს და ყველაფერს დაწვრილებით გი-  
ამბობ, რაც იქ მოხდა. ჰაჯი კერანტიხი ცალკე იქდა დიდ საჯარ-  
ძელში, დანარჩენები კი გრძელ სკამებზე იხსდნენ მარცხნივ და  
მარჯვნივ. ზურგს უკან უსწავლელი, მაგრამ ჰკვიანური სიტყვითა  
და ბრძნული რჩევებით სახელგანთქმული კაცები ედგვნენ. მათ შო-  
რის საულაპიც იყო, ჩვენი სალოცავის — ბითხას მცველი.

ჰაჯი კერანტი-ხი დიდი ხანია, ყველასგან საბჭოს თავმჯდომარედ იყო არჩეული და აღიარებული და მეც, როგორც მის პირად მკველს, უფლება მქონდა დავსწრებოდი სხდომაა. მოშორებით ვედქი ხოლმე უკან.

იმ დღიას ყველაზე ბოლოს მოლა საპატქერი შვიდა წაბლის სახლში. ნელა მიდიოდა, ისე ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს თავზე მაღალი ჩაღმა კი არა, წყლით სავსე თასი დევოდეს. ისე ჩაიარა, არავისთვის შეუხებდას და ჰაჯი კერანტისს გვერდით დაჭდა.

საზებისა და ახჩიფსების წარმომადგენელთა. ადგილები ცარიელი იყო, საბჭოზე არ მოვიდნენ. სამაგიეროდ იქ იყო ყველა: ბრძენი. მოხუცი და ვისაც საერთოდ სიტყვის წარმოთქმის უფლება ჰქონდა. ისინი ჯგუფად იდგნენ საბჭოს წევრების უკან. ჰაჯი კერანტისს უცქეროდნენ და მღუშმარედ ელოდნენ, რით დაიწყებდა სტეკობას. ჰაჯი კერანტისმა რაც სწრაფად იცოდა ხოლმე სხდომის დიწყება, თითქოს თოფის გასროლა უნდა მოასწროსო ყველას. იმ დღით კი დიდხანს დუმდა, ხელისკულებით მუხლებს დაყრდნობოდა და იატაკს ჩასტქეროდა. უძილობისაგან თვალები შეშუპებოდა. როგორც იქნა თავი ასწია, ყველასი შეათვალიერა, სწრაფად წამოვდა, შავი ბოჭოტი კეფაზე გადაიწია, ორივე ხელი თავისი დიდი ხანჯლის ტარს ჩამოადო და თქვა:

— ომის ამბავი როგორაა, უკვე იცით და გუშინდელ ნათქვამს ველარაფერს დავამატებ. რუსები ყოველი მხრიდან გვიტყევენ. ახლა მარტო ზღვიდან კი არა, ჩრდილოეთიდანაც სულ ახლოს მოვიდნენ. ეს უკვე დამით მომახსენეს ჩვენმა მზვერავებმა. თქვენი თანხმობიდან მესამე დღეს გენერალ გეიმანთან გავგზავნე მოსალაპარაკებლად ჩემი მკვიდრი ბიძა და დღემდე არაფერი ვიცი მის შესახებ, ვინ იცის, იქნებ, მოკლეს კიდევ ან ტყვედ წაიყვანეს. ცარიელ ადგილებს კი თვითონაც ხედავთ, საზები და ახჩიფსები, ალბათ, იმიტომ არ მოვიდნენ, რომ მერყეობენ.

ჩვენმა მეზობელმა შეფსილებმა, როგორც უკვე ნახეთ, აქდენი ხნის ბრძოლის შემდეგ იარაღი დაყარეს. ნატუხელები ზღვის იქით უსახლებიან, დანარჩენები კი მერყეობენ. ვიპედოვნებ, რომ ფსტუხები, დალელები და წებელდელები მოცემულ სიტყვას არ უღალატებენ და მოსაშველებლად მოვლენ, თუ ჰამუთბები ჩაჩბამ არ შეუშალათ ხელი. განა საჭიროა იმის გახსენება, რომ ასეთი მძიმე

დღე უბიჯებს არასოდეს ჰქონიათ? უბიჯები გველოდებიან, რას გადაწყვეტთ, საით წავიყვანთ მათ. პოლა, გადაწყვიტოთ, როგორ მოჭიქცეთ, დაგვიანება აღარ შეიძლება, დრო არ ითმენს.

ჰაჯი კერანტიხმა ძლიერი და ქუში მზერა მოავლო ყველა იმ მყოფს და ისევ დაჯდა. ხელისგულებით ისევ მუხლებს დაეყრდნო და იატაკს ჩაატყურდა. ყველანი დოღხანს დუშდნენ და მე ეცლილობდით გამომეცნო, ვინ ამოიღებდა პირველად ხმას. ეფიქრობდი, იქნებ, შარდინ ალოუს ძემ დაწყოს-მეთქი ლაპარაკი, მას ხომ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა თურქეთს გამგზავრება, მაგრამ გაბედავდა კი, ხმამალა ეთქვა ეს აქ, ჰაჯი კერანტიხთან? თუ იტყოდა, ალბათ, სისხლიც დაღვრებოდა. ასე ეფიქრობდი და შარდინს, ალოუს ძეს მივჩერებოდი. ის კი ისე მშვიდად იჯდა, ვითომც აქ არაფერიც და თითებით შავი წვერის ბოლოს იჩეჩავდა.

მოკლედ ვერ გამოვიცანი, ვინ ამოიღებდა ხმას პირველად.

პოლა სპატიქერი წამოხტა უცბად. ჯერ ხელისგულები შეაწება ერთმანეთს, მეჩხერა წვერის წინ დაიკავა და აკანკალებული ხმით ლოცვასავით წაიმღერა:

— ო, ალა! ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას, დაგვლოცე შენი ცოცხელი მონები. — შემიღვე კულხელი დაიკრიფა და ყველას თვალი მოავლო. კისერი დაიგრძელა, რათა ისინიც დაენახა, ვინც უკახ იჯდნენ. — ბედნიერა დედი, ალაპისაგან გეაწერია შებლზე. შეიძლება სამხედამოდ არა, მაგრამ დროებით ამ მიწის მიტოვება უწერია ჩვენს ხალხს. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი და ბედის ურჩობა, როცა ის ალაპის სურვილია — დიდი ცოდვაა! გიაურები გვაიძულებენ ამ გზას დავაღვეთ და ეს გზა უკიდევანო ზღვის გავლით თურქეთში მოვიყვანა, ნახევარი მსოფლიოს მკაცობელი სულთნის კურთხეულ საბრძანებელში. ეს აღთქმული ქვეყანა სულთნის ბრძანებით ხელვაშლილი იწვევს ყველა მთელიმანს. მინდა გკითხოთ პატივცემულ საბჭოს წევრებო, რაკი ასეა, რაღას ვუდგავართ აქ? რას ველოდებით? რუსეთის გენერლების ვერავალი განზრახვა — ჩვენი ყუბანში გადასახლება მხოლოდ ზიზღს იწვევს. როგორ გავძლებთ ჩვენ მართლმორწმუნენი გიაურების იმ ბუნჯეში? ვის ემლოპება ჯოჯოხეთში შთავარდნა, როცა წინ ქეშპარიტი სამოთხის გზა გვაქვს გახანილი?

წაბლის სახლში შეკრებილთაგან ბევრისთვის ახალი არ იყო სპატიქერის სიტყვები. ასე აშეარად და ხმამალა მას არასოდეს

ეთქვა საბჭოზე, მაგრამ ხან ერთთან და ხან მეორესთან, რა ხანია, თურქეთში გადასახლებას ეჭვადგება.

შევნიშნე, რომ ზოგიერთს, კისაც აღრე ამის გავგონებაც კი არ უნდოდა. ვმყოფილება გამოეხატა სახეზე, მაგრამ ყველა როდი იზიარებდა ამ აზრს.

პირველი ნაუროზ ბარაკის ძე წამოხტა გველნაკებნივით, დაუოკებელნი სასიათით რომ იყო ცნობილი. დაბალი იყო, მაგრამ ღონიერი და მკერდფართო. ბოხოხი მოოგლიჯა და იატაკზე დაახეთქა, შავი, სქელი თმა უკან გადაეყარა და გულის გამგმირავედ წამოიძახა:

— ეს მამაკაცების კრება კი არა, ბებრუხანებისა და მკითხავეების თავყრილობაა. რა გვინდა სამი დღე რომ ვზივართ აქ და ვმკითხაობთ, როცა ნამდვილი ვაეკაცები მომბენ? ბრძოლის ნაცვლად ესევ თუ უნდა ვიმარჩიელოთ, მაშინ შარვლები გავიხადოთ და ქალის კაბები ჩავიცვათ, ღომი გავაკეთოთ და გიაურების სუფრას ვემსახუროთ. გლეხები უარს გვეუბნებიან გადასახალზე და იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ — თავადები მეომრები აღარა ვართ. ცხენის პატრონი სხვისაგან არ ითხოვს ცხენს. ჩვენ ჩვენი მიწა გვაქვს და სხვისი რატომ უნდა ვითხოვოთ? ჩვენი სახლი აქაა და არა თურქეთსა და ყუბანში, მხდლებს საცა უნდათ იქ წავიდნენ, მამაკები კი აქ დარჩებიან და იომებენ, სანამ, თუნდ, უკანასკნელ უბიხს ეღგებება სული.

იატაკიდან ბოხოხი აღო, გაბერტყა და გვერდით მოიღო.

— ნაურიზი სწორია, — ფაიქმა რამდენიმე ხმამალალი წამოიძახილი.

— მონები არც როდის ვყოფილვართ და არც ვიქნებით, — დაიძახა მურათმა, ხირიფის ძემ, მალალ-მალალმა და გამხზარმა კაცმა. მას შავი წვერი და პირწმინდად გაპარსული თავი ჰქონდა, — ჩვენ თუ არ დავნებდებით, ყველა გამოგვყვება ბრძოლაში.

— მოითმინეთ, ვინც დაუფიქრებლად წყვეტს საქმეს, ტყვიის გასროლასაც ვერ ასწრებს, ისე იღუპება, — მშვიდად და ხმამალლა გაიძმა მოხუცი სითის სიტყვები. სითი ჩვენი ნათესავი იყო, — ჩემი უფროსი მამილის ქმარი. გლეხები ჰკვიან და სამართლიან კაცად მიიჩნევენ. მიწის საკითხისა და მკვლელობის ყველაზე საშინელი დავის გადასაწყვეტადაც კი იწვევდნენ ხოლმე. თვით ჰაჯი კერახ-

ტიხიც კი უწყვედა ანგარაშს მას აზრს. სითის ხმა რომ გაიგონეს, ყველამ მოსკენ მიიხედა, მაგრამ მას აღარაფერი დაუმატებია.

— შენ ბრძენი კაცი ხარ, სით, — უთხრა ჰაჭი კერანტიხმა, — და რაკი დაიწყე, განაგრძე, გაგვაგებინე რა აზრისა ხარ.

— ჩემი მოკლე ჰკუა ასეთ საქმეს ვერ გადაჭრის, — თქვა სითმა, — ჩემი სამი ვაჟი რუსებს ებრძვის და არ ვიცი რა სკირთ, მაგრამ ცოცხლები თუ დაბრუნდნენ, ოთხივენი თქვენი გადაწყვეტილების მომხრენი ვიქნებით, როგორც არ უნდა იყოს იგი. ერთს კი გთხოვთ: ნუ აჩქარდებით, დაფიქრდით, არ შეცდეთ! ალიონსა და მწუხრს ერთმანეთში ნუ არევთ. ჩემს თვალებს ვარდისფერი ალიონის ხილვა სწყურიათ და სისხლისფერ ცას კი სკვრებენ, ცივად რომ იცრემლება.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ჩავუფიქრდი მოხუცი სითის ამ სიტყვებს. მაშინ მათთვის არ მცხელოდა, ორ კაცს შივიერებოდი, ვისზეც ყველაზე მეტად იყო დამოკიდებული ჩვენი ბედი, ერთზე საერთოდ უბინების ბედი და მეორეზე — ჩვენი ოჯახის ბედი.

შარდინი, ალოუს ძე ჩუმად და მორიდებულად იჯდა. მისთვის თითქოს ყველაფერი სულ ერთი იყო, რაკილა დიდი ხანია ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა.

ჰაჭი კერანტიხიც დუმდა. ის აულბებელ ცრხესიმაგრულ შეჩვენებოდა, არასოდეს რომ არ ჩაბარდებოდა არავის. ამს თქმა ცოდვაა, მაგრამ იმ დღეს მე ალაპზე უფრო ჰაჭი კერანტიხის მკეროდა...

მოხუცი სითის სიტყვების შემდეგ ერთ წუთს დუმილი ჩამოწვა. მერმე აჰმეთი წამოდგა, ბარაკაის ძე, დაუოკებელი ნაურზის უმცროსი ძმა. ისიც ძმასავით ბეჭებუანიერი იყო, მაგრამ ისეთი შობდენილი, რომ მაკრატლით გადაჭრიდა კაცი მის ვიწრო წელს. წვერი მოკლედ ჰქონდა შეკვეცილი და შავი მაუდის ჩოხიდან თოვლივით ქათქათა ახალუხი მოუჩანდა. ვიცოდი, რომ ჰაჭი კერანტიხს სძულდა ეს კაცი, მაგრამ ფარაქლა ამ სიტუაციას, ეშინოდა, ერთმანეთს რომ შეჯახებოდნენ, აჰმეთი შეიძლება რუსების მხარეს გადასულიყო.

აჰმეთმა, ბარაკაის ძემ უცბად არ დაიწყო ლაპარაკი. ჯერ ხანჯლის მოვერცხლილ ქარქაშს გადაუსვა ხელი, შემდეგ ოქროს საათი ამოიღო, დახედა, სახურავი გაატკაცუნა, ისევ შეინახა და მხოლოდ შემდეგ დაიწყო დახვეწილი, მაღალი და მკაფიო ხმით:

— უკვე დიდი ხანია ვდაობთ, როგორ მოვიქცეთ და იქამდე მივალწეთ, რომ ხმელ ტოტზე ვკოლივართ უფსკრულს, თავზე და უკვე ამ ტოტის ქირალიც ვკვებამს. ვინ არის დამნაშავე? ყველაზე მეტად თვითონ ჩვენ. მე არ მეშინია და ხმამაღლა ვიტყუო, რაც ყველაშათვის ცხადია. არ უნდა დაგვეწყო ომი რუსეთის მეფის ურიცხვი ჯარის წინააღმდეგ. ჩვენი წინაპრებიცა და ჩვენც თვალმდახსუქული ვიბრძოდით, გვეშინოდა მტრის ძლიერების დანახვა და მისი შედარება საკუთარ ძალებთან.

— შენ რა, დღეს გარღვიე ამბეთ, ბარაკაის ძე? — ფეხზე წამოხტარმა უყვირა ჰაჯი კერანტიხმა. — შენ არ იყავი ჯერ კიდევ ჰაჯი ბერზეკის წინამძღოლობის დროს ყველაზე ხმამაღლა რომ მოუწოდებდი ხალხს ომისკენ? თვითონ შენ არ იყავი ინგლისსა და თურქეთს დახმარებრს სათხოვნელად? შენ არ მოგჭონდა ჩვენთვის გემებით ხარბახნები და იარაღი? დღეს კი რა ჩვილი ბავშვივით ლაპარაკობ?

— კურღლევივით იქცევა, თავისი კვალის დაფარვას რომ ცდილობს! — დაიძახა საპატქერიმ.

ამბეთი, ბარაკაის ძე გაუნძრევლად იდგა, სანამ არ შეწყდა ყვირილი და ბუზღუნი.

— შენ სწორი ხარ, ჰაჯი კერანტინ, — თქვა მან, — მეც ისე ვცდებოდი, როგორც თქვენ. არც თქვენზე იშვიათად გამიშიშვლებია ხმალი რუსების წინააღმდეგ და მიუხედავად ჩვენი სიმამაცისა, ყოველივე ეს მაინც დაღუპვას გვიქადის. პირველი გასროლას დღიდანვე დაღუპვას გვიქადდა. ქვას ვახლიდით თავს. ქვა შრთელი დარჩა და თავი კი გაგვიტყდა. არ შეიძლება, ყველაფერი მართო მეფის გენერლებს რომ დავაბრალოთ. იყო დრო, როცა ჩვენ, უბიხების ბელადებს მშვიდობიანი ურთიერთობა გვქონდა, მათთან. მათგან ვიღებდით ოფიცრების ჩინსა და ბელფასს. შემდეგში კი სულთნის ძლიერების იმედით თვითონ დავიწყეთ რუსების წინააღმდეგ ბრძოლა. უბედურებაც სწორედ ისაა, რომ თვითონ სულთანს, ვინც თავისი უმღევლობის რწმენა ჩაგვიწერა და ვინც თავისი ვულისთვის გვადრევივნებს სისხლს, ეშინია, ჩვენს დასაცავად რუსებთან ომის დაწყებისა. აი რატომ ვართ ასეთ განსაცდელში. ეს დიდი ხანია ვიცით და უნდა შევირგებოდით რუსებს.

აქ ნათურჩმა ველარ მოითმინა და შეაწყვეტინა თავის უმცროს ძმას:

— ჩვენში თუ ვინმეს გატეხია თავი, ეს შენა ხარ, — დაუყვირა მან, — შენ მოხვედი თავგატეხილი და უბედურე რჩევას გვაძლევ— პატიება ვთხოვთ გააუტრებს. იქნებ აქ დამსწრეთაგან სხვამაც შოიწონოს ევ ლაჩრული რჩევა, მაგრამ ამაზე ვიპასუხე, ეჰო აჰმეთ, მე და შენ, ერთი დედისაგან შობილნი როგორ უნდა შევეურიგდეთ რუსებს? ვინ ააგო ჩვენი ორი ძმა ხიშტზე? ვინდა აიღოს იმათი სისხლი, თუ ჩვენ გააუტრებს დავუმეგობრდებით? მამის სულს ვფიცავ, კიდევ თუ იტყვი გააუტრებთან შერიგების მომხრე ვარო, ჩემი ხელით აგჩეხავ! ძმის სისხლში ნუ გამასერვეინებ ხელს. წა-  
დი, დაეჯტოვე!

ნახევრად ამოწვდილი ჰქონდა ხანჯალი ნაურობს და ძლივს და-  
აშოშმინეს...

— დამასრულებინე სათქმელი, — მიმართა ჰაჯი კერანტიბს აჰ-  
მეთმა, ბარაკაის ძემ. ისევ გაუნსრტყლად რომ იდგა და ეშპაკენ  
არც მიუხედავს. — სიკვდილიც რომ მქონდეს მისჯილი, წუნის თა-  
ნახმად, საბოლოო სიტყვის თქმის უფლება მაინც მაქვს.

— შენ უყვე ყველაფერი თქვი! — დაიძახა ნაურობმა.

— მოითმინეთ, ბოლომდე მოვეუსმინოთ, — უთხრა ჰაჯი კერან-  
ტიბმა.

— კარგად მოვესწენებათ, ქართველები გაცილებით მეტნი არიან  
ჩვენზე და მაინც არ ეომებიან რუსეთის მეფეს, — აჰმეთმა, ბარა-  
კაის ძემ დაჩუმიება აღროვა შეკრებილთ — დაიბ, ისინი შეურიგ-  
დნენ რუსებს, მეფის ქვეშევრდომები გაჩუნდნენ, მაგრამ თავიანთი  
მიწა და ენა შეინარჩუნეს. ვინ იცის, იქნებ თავისუფლებაც დაიბ-  
რუნონ ოდესმე.]

— მე ყველაფერს მოველოდი შენგან, აჰმეთ ბარაკაის ძე, მაგ-  
რამ ის კი არ მეგონა, რწმენის შეცვლა თუ შეგეძლო. — უთხრა  
მოლა საპატქერიმ, — ვინ გვადარებ? ქართველები და რუსები  
ქრისტიანები არიან, ერთი სარწმუნოება აქვთ და აპიტომაც შე-  
რიგდნენ. ჩვენ კი მუსლიმანები ვართ, ოღითგანვე გააუტრების მტრე-  
ბი ვიყავით და ასეც დავრჩებით.

მოლა საპატქერი ფეხზე წამოდგა ამის სათქმელად. თქვა თუ  
არა, მაშინვე დაჯდა, თითქოს საწინააღმდეგო პასუხის გაგონება  
აღარ უნდაო.

მაგრამ აჰმეთი, ბარაკაის ძე მაინც შეეპასუხა:

— ღრმად პატივცემულო საპატქერი, შენ ჩემზე უკეთ მოგებ-

სენება, რომ ასი წლის წინათ ქრისტიანული სარწმუნოება მივიღეთ. ეს დღემდე ახსოვს ხალხს. | თუმცა დიდი ხანია მუსულმანებად ვთვლით თავს, მაგრამ შობასა და აღდგომასაც ვდღესასწაულობთ. ჩვენ საუკუნო მტრობა არ გვქონია წარსულში გიაურებთან და შეგვიძლია არც მომავალში ვიქონიოთ იგი.

ახლა კი ძირს დაახეთქა ნაურჩხმა ბოხოხი და ხანჯალი იშიშვლა:

— ჰაჟი კერანტიხ, ხომ გაიგონე, როგორ დაეფიცე ძამის სული? ახლაც თუ არ გააგდე აქედან, იცოდე პირუტყვივით დავკლავ, აქვე, ამ სახლში. დღეიდან შენ, აჰმეთ, მამაჩემის შვილი არა ხარ და არც ჩემი ძმა. შენ რუსების მონათლული ხარ და სარწმუნოების უარმყოფელი. შენ მოლაღატე ხარ და ცოდვილი. გავკმორ-  
ღი!

ნაურჩხს ყოველი მხრიდან მისცვივდნენ და ძლივს გააჩერეს. ჰაჟი კერანტიხი კი ადგა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა. შემდეგ ნელა მივიდა აჰმეთთან, ბარაკაის ძესთან.

— კიდევ რას გვეტყვი, აჰმეთ, რაო, გაცდუნეს რუსმა გენერლებმა? ინგლისში რომ იყავი, მოოქრული ხმალი მოგართევს, რუსებმა კი რითი მოგისყიდეს? ინგლისიდან რომ დაბრუნდი, დაგვაიძევე, ინგლისელები დაგვეხმარებიანო და რუსების წინააღმდეგ წაგვაქეზე. დღეს კი, შენი აზრით, გამხმარ ტოტზე ვკიდევართ და შენ არაფერ შუაში ხარ, არა? მართლა მოსულა შენი აღსასრული.

— ყველას აღსასრული მოვიდა და პირველ რიგში. შენი, — კვლავინდებურად მშვიდად, ხმის აუწყევლად განაგრძო აჰმეთმა, ბარაკაის ძემ. — განა ჩემი ბრალია, რომ ინგლისელებმა მოგვატყუეს? დიახ, მე ბევრი ინგლისური იარაღი ჩამოვიტანე, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო ვხვდები, რომ ისინი ჩვენი გულისთვის რუსეთს ომს არ დაუწყებენ. ვინა ვართ ჩვენ მათთვის? ერთი მუჟა გელურები? ლონდონში რომ ვიყავი, ისინი ჩემს უცნაურ ჩაცმულობას უფრო აქცევდნენ ყურადღებას, ვიდრე ჩვენს უბედურებას. ნურც რუსი გენერლებით მაშინებ. ძალით დაპყრობილ ადგილებშიც კი არ მოუკლავთ არაფერს; ვინც დანებდათ, არც მათი ცულ-  
შვილი აუწიოკებიათ. შათ შამილი და მისი ცოლებიც კი დაინდეს, კი არ რაუხოცავეთ, რუსეთში წაიყვანეს მხოლოდ. დაღესტნელე-  
ბი რუსებს დანებდნენ, მაგრამ კი არ დაღუპულან, თავიანთ სახ-  
ლებში ცხოვრობენ კვლავ. ჩვენი მეზობელი შაფსილებიც არაფერს



დაურბევია, ცხოვრობენ თავისთვის. მე შენზე ნაკლებად როდი ვიცი რუსი გენერლების სიმკაცრე ომის დროს, მაგრამ მე ისიც გავიკე, რომ მათ შორის ვიღაცას ჩვენთვის, მთიელებისთვის ასოები გამოუფონია და ანბანის გამოცემა უნდა. მე მხოლოდ ორ გამოსავალს ვხედავ ჩვენი ხალხისთვის: ან უკლებლივ ყველანი ბრძოლაში უნდა დავიხრცოთ, ან უნდა შევივგნოთ, რომ შტერმა გვძლია და დაე, ისე მოიქცეს, როგორც უნდა, როგორც სინდისი უკარანახებს. მე იმათი უფრო მჯერა, ვინც ხვალამოწედილი მოდიოდა ჩვენზე, ვიდრე იმათი, ვინც იარაღს კი ვაძლევდა ფარულად, მაგრამ თუნდ ერთი წვეთი სისხლის დაღვრაც კი არ უნდოდა ჩვენთვის. ბევრჯერ ვყოფილვარ თურქეთში და ვიცი, ჩვენ, მამაკაცებს არაფერი ყარგი არ გველოდება იქ. ჩვენ ვაუკაცები გვქვია და არ ძალგვიძს ჩვენი დებევით პარამხანის ხარკებზე ვიქცეთ. ვინც მშობლიურ მიწას მიატოვებს, მთელი სიცოცხლე ტანჯული იქნება. მე ერთი რამ მჯერა, თუ უბიხები მშობლიურ მიწას წყალს მივატოვებთ, ჩვენი ჯიშიც გადაშენდება. ახლა კი რაც გინდათ ის მიქენით. გინდ გამაძევეთ და გინდ მომკალით.

ეს რომ თქვა, აჰმეთი, ბარაკის ძე თავის ადგილს არ დაუბრუნდა, გარშემო შემოჭარულ ხალხს შეუერთდა. უკვე თვითონვე აღარ თვლიდა თავს საბჭოს წევრად.

მისი ბოლო სიტყვები ისეთი ძლიერი გრძნობით ითქვა, რომ ხმას ვერვინ იღებდა. უცბად გარედან ცხენის თქარუნი და აჩქარებული ნაბიჯების ხმა მოისმა და ჰაჯი კერანტინის ბიძა ბერზეკ არსალან ბეი შემოვიდა. არც მიბრუნებულა, ისე მიუვდო სველი ნაბადი პირად მცველს და თავჩაქინდრული დადვა საბჭოს წევრების წინაშე. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, თითქოს მხოლოდ ასე გაუძლებდნენ იმ საშინელ სიმძიმეს, ახლა რომ უნდა დასწოლოდათ მხრებზე.

— რა ამბავი მოგვიტანე? — ჰკითხა ჰაჯი კერანტინმა.

— ცუდი, — უპასუხა ბერზეკ არსალან ბეიმ. — გენერალმა გეიმანმა დიდხანს არ მიგვილო და ჩვენც პატიმრებით ველოდებით. ბოლოს როგორც იქნა ჯარისკაცმა მიგვიყვანა, მაგრამ მან ჩვენი მოსმენაც კი არ ისურვა, ისე თქვა:

— უკვე გვიანაა, ჩვენს შორის მშვიდობა ვეღარ იქნება. ვისაც ყუბანში გადასვლა უნდა, გზა ხსნილი ექნება. იმათთვის კი, ვინც თურქეთში აპირებს გადასვლას, სამ გზას ვათავისუფლებთ. ამ სამი

გზით გაემგზავრონ და გემებში ჩასხდნენ, რომლებიც უკვე ელო-  
დებიან. ამ მიწა-წყალზე კი, სადაც ოდითგან ცხოვრობდით, კაცი-  
შვილს არ მივცემთ დარჩენის ნებას.↓

ჩვენ გამოგვაბრუნა, თვითონ კი ბრძოლა განაგრძო. წვავს და  
ანაღვურებს, რაც გზაზე ხედება. სწრაფად მოიწევს წინ და ორ-  
სამე დღეში აქამდეც მოაღწევს.↓

მე კიდევ არ მქონდა შეგნებული რა მოხდებოდა, მაგრამ  
ვერძნობდი, რაღაც საშინელება გველოდა და უკანასკნელი იმედით  
შევცქეროდი ჰაჯი კერანტისს. ის მოწყვეტილი დაეშვა სკამზე,  
თითქოს რაღაც უხილავი ძალა ქვევითკენ ექაჩებოდა, და თავზე ხე-  
ლები შემოიჭირა. ზოგიერთები დასხდნენ, სხვები კი გაოგნებული  
იდგნენ. ალბათ გინახავს ქარიშხლით დაღეწილი ტყე, აი ისეთი  
სანახავი იყვნენ იმ დღეს საბჭოს სახლში შეკრებილი უბიხები.

გარედან ისევ მოისმა ცხენის თქარუნი და სახლში აქომინებუ-  
ლი მხედარი შემოვარდა. ხელში, სველი ყაბალახი და მათრახი  
ქონდა ჩაბლუჯული.

— ჰაჯი კერანტიხ, თურქეთის გემების უფროსმა კაპიტანმა  
ეფენდი სულეიმანმა დაგვაგალა გადმოგვეცა შენთვის — უკვე სამი  
დღეა ნაპირთან გელოდებით და ამის საფასურს არაფერს გვაძლევს.  
ამალამაც თუ არ შეგვატყობინეთ, საჭირონი ვართ თუ არა თქვენ-  
თვის; ჩვენი გემები ინგლისელი კონტრაბანდისტების გემებთან  
ერთად გავლენო ზღვაში.

— აქედან მოწყდით — იყვირა გაცეცხლებულმა ჰაჯი კერან-  
ტიხმა.

იმომარი თავჩაქიხნდრული გამოვიდა. მან დაამთავრა, ყველას თან-  
დასწრებით რამ თქვა ის, რაც მხოლოდ ჰაჯი კერანტიხისათვის  
უნდა ეთქვა. მან გაამთავრნა, რომ ჰაჯი კერანტიხს საბჭოს შოწვე-  
ვამდე ჰქონდა ყველაფერი გადაწყვეტილი.

მამინ ვერ მივხვდი, რას ემართლებოდნენ იმ კაცს, ეს მხოლოდ  
შემდეგ გავიგე.

— საბჭოს წევრების გარდა ყველანი გარეთ გავიდნენ. — თქვა  
ჰაჯი კერანტიხმა. — შენც გადი ახმეთ, ბარაკაის ძე, აქ უკვე აღა-  
რათერი გესაქმება.

ჯერ უფროსებს დავუთმეთ გზა, მერე ყველანი ერთმანეთს მივ-  
ყვიეთ. ყველაზე ბოლოს ახმეთი, ბარაკაის ძე გამოვიდა.

უკვე მოსალამოვდა, ღრუბლები გაიფანტა, მაგრამ ისეთი სუს-

ხიანი ქარი ქროდა, თითქოს თვითონ შვეც კი სიცივეს აეტანა. მთელი მინდორი გაჭედილი იყო ქვეითებით თუ ცხენოსნებით, მამაჩემი არ შეშინიშნავს. მხარზე რომ მომკიდა ხელი და ხალხიდან გამომიყვანა, მაშინლა დავინახე.

— რა გადაწყვიტა საბჭომ, მიედივართ თუ ვრჩებით? — მკითხა მამამ.

— ჯერ კიდევ კამათობენ, — ვუბასუხე მე.

— ვის რაში სჭირდება ეს კამათი, დრომ უკვე გადაჭრა ყველაფერი, — თქვა მამამ, — ჩვენი ძუძუმტე სწორი იყო. შენ აქ დაიცადე საბჭოს წევრების გამოსვლამდე, მე კი შარდინთან წავალ სახლში, უკვე ვიყავი და გასამგზავრებლად ემზადებიან, მოხმარება მთხოვეს, მეზობლებსაც ველაპარაკე, ზოგიერთები არ არიან თანახმა, მაგრამ ახლა თვითონ შარდინი, ალოუს ძე მოელაპარაკება მათ.

გაოგნებული ვიდექი. მამა ისე მელაპარაკებოდა, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი ყოფილიყოს. ნუთუ მართლა ყველაფერი გათავდა? შეშფოთებული ღობეზე ვიყავი მიყრდნობილი, სახლიდან საბჭოს წევრები რომ გამოვიდნენ, წინ ჰაჯი კერანტიხი მოუძლოდათ:

ხალხი სახლებისკენ დაიძრა.

— მოისმინეთ ჩვენი გადაწყვეტილება, — თქვა ჰაჯი კერანტიხმა. მისი ნაცნობი ომახიანი ხმა რომ მომესმა, მეგონა საბრძოლველად მოგვიწოდებდა, ისევ ბრძოლა ეწადა. — დღეს შუალამისას რუსებთან ომს ვწყვეტთ, გვძლიეს და დაე, დაეუფლონ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენ კი ვერ ვემონებოდ. ხვალ შუადღისას ჩვენს სალოცავ ბითხასთან შევიკრიბებით და ფიცს დავდებთ, რომ ყველანი ერთად ვიქნებით, დაე, შეჩვენებული იყოს, ვინც სხვა გზას აირჩევს. ცხენები შეკაზმეთ და ჩვენი გადაწყვეტილება უბიხების ყველა სოფელს შეატყობინეთ. ჩვენ მალე მსრბოლელს ვაგზავნით ახჩიფოსში, პოხაში, დალში და წებელდაში. დიდხანს ვიბრძოდით გვერდიგვერდ, ახლაც ჩვენთან ერთად წამოვლენ. ხვალ დავდებთ თუ არა ფიცს, ზღვისკენ დავეშვებით და გემებზე დავსხდებით.

სიმართლე ვითხრა, სიკვდილს უფრო ადვილად შევზვდებოდი, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას. სად არის ის ჰაჯი კერანტიხი, მამაცთა შორის უმამაცესი, მუდამ წინ რომ მიგვიძლოდა სისხლმღვრელ ბრძოლებში; ვისიც გვწაბდა, რომ არასოდეს დაიჩოქებდა მტრის

წინაშე, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. გოლიათის პირადი მკვე-  
ლი მეგონა თავი, ახლა კი ჩემ წინ ჩვეულებრივი კაცი იდგა და  
გვიჩვენდა მტერს კავქეოლით.

უცბად ვილაყამ ხალხში გზა გაიკვლია, მხარი გამკრა და ჰაჭი  
კერანტიზის წინ დადგა. ეს რუსი ათანასე იყო. ასე ვეძახდით.  
ოღესლაც მართლა რუსი ჯარისკაცი იყო, მაგრამ ოცი წლის წინათ  
თავისი სურვილით გადმოვიდა ჩვენთან, უბინი ქალი შეირთო ცო-  
ლად და ჩვენი ენა და ჩვენი ადათები შეისისხლხორცა. მან ნაბღის  
ქული მოიხსდა და მდაბლად დაუქრა თავი ჰაჭი კერანტიზს.

— მხოლოდ ერთი სიტყვის თქმის ნება მომეცით! — როცა ჰაჭი  
კერანტიზმა არც „პო“ უთხრა და არც „არა“, შოხუცი სალდათი  
ჩვენ მოკვაჩერდა და სუფთა უბინურ ენაზე გვითხრა:

— სისხლითა და სარწმუნოებით მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ,  
ვინც ამჟამად გეომებათ. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ, როცა  
რუსი გენერალი მოვა, პირველად მე ჩამომკიდებს ამ ხეზე, ამი-  
ტომ უნდა მერწმუნოთ. თქვენთან ომი რომ არ მინდოდა, იმიტომ  
მივატოვე რუსეთის მეფის არმია, თქვენი და ჩემი ცოლი გახდა და  
ორი ვაჟიშვილი გამიჩინა. ამათი გულისთვის ამ ცისა და მიწის  
გულისთვის, ღვთისა და ყველა წმინდანის გულისთვის, ნუ აჩქარ-  
დებით, ნუ წახვალთ თურქეთში. ჯერ ხომ არ იცით რა გელოდებ-  
ბათ იქ... ნუ წახვალთ, რაც მოხდება, მოხდეს.

— გაჩუმდი, ვიარო! — დაუყვირა შოლა საპატქერიმ და ისე  
მომუშტა ხელები, თითქოს უნდა დაარტყასო.

— ეგ რუსია, და უნდა, რომ ხიშტებზე აგვაგონ სალდათებმა, —  
დაიძახა ხალხიდან ვილაყამ.

ჩემს გვერდით პატარა რკალივით მოხრილი კაცი სველ მიწაში  
ღრმად ჩარჭობილ კვერთხს დაყრდნობოდა. მან მძიმედ ამოიოხრა  
და ჩაიჭურჩულა:

— ბედნიერი არიან ჩვენი წინაპრები, ამ საშინელ დროს რომ  
არ მოესწრნენ.

— თივა მოიტანეთ! — ბრძანა ჰაჭი კერანტიზმა და რამდენიმე  
ახალგაზრდა ცხენის საბმურის ფარდულისკენ გაიქცა თივის მოსა-  
ტანად.

ჰაჭი კერანტიზი აჩქარებდა მათ და ისინიც გარბი-გამორბოდნენ  
თივის ბლუჯებით. როცა თითქმის მთლიანად მოზიდეს თივა, ჰაჭი  
კერანტიზი სახლში ავიდა და თივას ცუცხლი წაუკიდა.

ჰაჭი კერანტიხი ც დაბრუნდა და შესქელებული ბოლიდან ცეცხლის ენები ამოვიზგიზდა. გაშეშებული ხალხი ამოძრავდა და ახმაურდა.

— ამ სახლმა რაღა დააშავა?

— აბა ვის უნდა დაუტოვოთ?

— ო, ალაჰ, შეგვინდე!

— აქ სიკვდილი გვერჩიენა ზღვაში დაბრჩობას.

— ასე მამაცი თუ ხარ, აქ რას უდგახარ? იარაღი აისხი და გენერალს - დახედი.

უცებ ამ ყაყანში ერთი ხმაც გაისმა, განმგმირავი და განწირული:

— ჩვენი სახლებიც დაეწვათ?

ხანძარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ეზოებში ჭერ აყეფდნენ, მერე კი აყმუვლდნენ ძაღლები.

ჰაჭი კერანტიხი ცხენსაბმურისკენ წავიდა, სადაც თავისი ცხენი ეგულდებოდა და შუა გზაზე გაჩერდა. ალბათ, იცლიდა, ეგონა, როგორც ყოველთვის, სასწრაფოდ მოვეგვირდი ცხენს და უზანგებს დავექვრდი.

მაგრამ მე ადგილიდან არ დავძრულვარ, ვიდექი ხალხში და ვუცქეროდი, როგორ იწვოდა წაბლის სახლი. ალბათ, სხვა ვინმემ მართვა ჰაჭი კერანტიხის ცხენი, ხანძრის შუქზე დავინახე, როგორ მიქროდა სახლი კი ისევ იწვოდა. ცეცხლის ალს სახურავისთვის თავი დაეღწია და ბინდლაკრულ ცას ბლუჯა-ბლუჯა აფრქვედა ნაპერწკლებს.

ხალხი არ იშლებოდა. თითქოს უნდოდათ, ამ მოვიზგიზე ხანძრის ერთი ბეწო სითბოც არ დაეტოვებინათ და თან წაეღოთ უცხო მხარეში. მე კი მეჩვენებოდა, თითქოს უძირო უფსკრულისკენ მივექანებოდი. ხანდახან შიშისა და ტკავილისაგან დასახიჩრებული სახეები, დაბნეული თვალები, აჩურჩულებული ბაგეები და აცახცახებული ნიკაპები გაიღვებდა ხოლმე ცეცხლის შუქზე.

ვილაც მხარზე შემეხო, მოვეტრიალდი და შარდინი დავინახე, ალოუს ძე, თავის ჯორზე იჯდა.

— ჩქარა შეჩვექი ცხენზე და გამოძყევი. ძაღლობა ალაჰს, ბოლოს და ბოლოს, რომ გაიგე შენი ბატონის ჰაჭი კერანტიხის ფასი, ვისთვისაც მაგ სულელი თავის გაწირვას აპირებდი, — ბოროტად გადაინახარხარა და ყორი დაძრა.

„აბა შენ გული გაქვს, ასეთ დროს სიცილი რომ შეგიძლია?“ — გავიფიქრე მე. სასოწარკვეთილებებისაგან სისხლი შეყინებოდა. უკვე აღარ მიყვარდა. ჰაჯი კერანტიხი, შარდინ ალოუს ძე კი იმ წუთებში მძულდა.

## ერთი მუჰა მიწა

მეფის ცენერლები რომ დარწმუნდნენ, უბიხები თურქეთში მიდიანო, ბრძოლა შეწყვიტეს. თურქები კი ახალი ვემების გამოგზავნას შეეკვირდნენ. ჩვენმა გადასახლებამ თითქმის ორ კვირას გასტანა. არ ვიცი ასე სჯობდა თუ არა. მე კი საშინელებად მეჩვენებოდა. თუკი იცი, რომ სიკვდილი არ აგცდება, უცბად სიკვდილი სჯობია წამებით სულს ამოხდომას.

იმ დღეს ჩვენი სალოცავი ბითხას მინდორზე რომ შევეგროვდით, ბითხას მცველმა საულაჰმა რამდენიმე თეთრი თხა დაკლა. თხილის შამფურზე ახალი მოხარშული ოხშივრიანი გულ-ღვიძლი წამოაგო და ლოცვა დაიწყო. ჩვენც მის გარშემო დავიჩოქეთ და გლოცულობდით. საულაჰს ხანდახან ხმა უწყდებოდა და დაწვებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. ის ჩვენს სალოცავს არ უმეღავებდა, მშობლიურ მიწა-წყალს რომ ვტოვებდით, მაგრამ თვითონ წუთით არ ავიწყდებოდა ეს, ცრემლებად იღვრებოდა.

— დასაღუბად ნუ გაგვწირავ, ბითხა! — ტირილით შესძახა მან ლოცვის დასასრულს.

— ამინ, ამინ! — რამდენჯერ გავიმეორეთ ყველამ ერთად.

შემდეგ რიგრიგობით მივდიოდით სალოცავთან და ფიცს ვდებდით, ვინც ჩვენთან ერთად არ წამოვიდოდა, შეჩვენებული ყოფილიყო უკუნითი უკუნისამდე, შეჩვენებული ყოფილიყო მისი შთამომავლობაც.

ლოცვის შემდეგ მსხვერპლად შეწირული თხების მოხარშული ხორცი რომ შეგუჰამეთ, საულაჰმა გვითხრა:

— ჩვენ ყველანი უცხო ქვეყანაში მივდივართ, ამ სალოცავზე კი ვიღამ უნდა ილოცოს? აგანა შეიძლება უპატრონო წისქვილივით რომ მივატოვოთ? მე გთხოვთ, ნება მომცეთ; თან წავიდო მისი

მცირე ნაწილი, რათა შორეთში გადასახლებულებს მისი ძთარვე-  
ლობა არ მოგვაკლდეს.

ჩვენი უხუცესები ჯერ არ თანხმდებოდნენ სალოცავის შეხებას,  
ცოდვად მიაჩნდათ, შემდეგ კი დაფიქრდნენ და დაუჯერეს საუ-  
ლაჰს. ისამმა ასწლოვანმა მოხუცმა საულაჰთან ერთად ამოიღო ბითხა  
მისი მიწისქვეშა სავანიდან, მას აქამდე არავისი ხელი არ შეხებო-  
და.↓

შირველად და უკანასკნელად ვიხილე მაშინ იგი. ქვისაგან იყო  
გამოკვეთილი და არწივს მიაგავდა. თვლები ოქროს ფირფიტებისა  
ქჳონდა, ნისკარტი, ფრთები და კლანჭები კი — ვერცხლისა.↓

ლოცვის შემდეგ ისევ მიწისქვეშა სამყოფელში ჩავსვენეთ ბით-  
ხა. ეს იყო დიდი, ანუ, როგორც საულაჰი უწოდებდა, უფროსი  
ბითხა. იქვე, მასთან ერთად იღო პატარა ბითხაც. ისიც ოქროსი და  
ვერცხლისა იყო, ოღონდ მტრედისხელა თუ იქნებოდა.↓

მოხუცებმა და საულაჰმა კარგად გაახვიეს იგი გასანთლულ ტი-  
ლოში და გამძლე ტყავის ჩანთაში ჩადეს. გადასახლების დღეს ეს  
ჩანთა საულაჰმა ქაპარზე გამოიბა და ყველგან, ყოველთვის, რა გა-  
ჭირვებაც არ უნდა გვდგომოდა, უმცროსი ბითხა ჩვენთან იყო. მრავალი  
წლის შემდეგ კი უბედურება დაატყდა თავს, მისი გულის-  
თვის დაიღუპა კაცი, ვინც ჩვენი ხალხის იმედად გვეგულებოდა.  
მკვრამ წინ არ გავუსწრებ ამბებს, როცა ამისი დრო მოვა, მაშინ  
მოგითხრობ...

... იმ საღამოს შუაზე გაწყვიტა ზაურყანმა სიტყვა, ლაპარაკი  
აღარ ისურვა და მეორე დილაჰაც კარგა ხანს იყო ჩუმად. ზის კუნ-  
ძზე იჯდა და მდუმარედ ფშვნიდა ბირამის მოტანილ თუთუნს. მე  
უკვე შევამჩნიე, რომ თუთუნთან ჩალიჩი უყვარდა: ჯერ გრძელ-  
გრძელად დაჰრიდა, შერე მზეზე გაახმოზდა და ბოლოს დაფშვნი-  
და. ზაურყანი თუთუნს ფშვნიდა, მე კი მის გუშინდელ ნაამბობს  
ვიხსენებდი, რაც ადრე გამეგონა თუ წამეკითხა მის მსგავს სხვა  
სალოცავებზე, ვადარებდი და ვიწერდი ჩემს მოსაზრებებს.

↓ სიტყვა „ბითხა“ მარტო იმ სავანს კი არ აღნიშნავს, რომელზეც  
ლოცულობენ. რა თქმა უნდა, სავანს ის თავისთავად მოიცავს, მაგ-  
რამ მასშივე იგულისხმება ყველაფერი, რაც ხალხისთვის ძვირფა-  
სია: ადგილი, სადაც ის ინახება და ის ცივი წყაროც, აუცილებლად  
რომ უნდა მორაკრავებდეს იქვე. ყოველივე ეს მთლიანი და განუ-  
ყოფელია. ამიტომაც არ მოსვლიათ აზრად არც საულაჰს და არც

სხვა უხუცესებს უფროსი ბითხას თან წაღება. უფროსი ბითხა ხელუხლებლად დატოვებს, უმცროსი წაიღეს და ეს უმცროსი ბითხა გახდა მათთვის უფროსი ბითხას სიმბოლო, ყოველივე იმის სიმბოლო, რაც მშობლიურ მიწაზე დარჩა.

ახლა რაც შეეხება „ბითხას“ ეტიმოლოგიას, ნაწილებად თუ დავშლით ამ სიტყვას, მისი მეორე ნაწილი „თხა“ შეიძლება ადრეულ სიტყვას „თხას“ — ღმერთს აღნიშნავდეს. მაგრამ რას უნდა აღნიშნავდეს მაშინ მისი წინა ნაწილი „ბი“? მოხუცისთვის არ მიკითხავს ეს, ან შეძლებდა კი ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემას?!

ჩვენ, აფხაზებსაც ცვყავდა ასეთი უძველესი ღვთაებები და მათი სახელები იმ ადგილებთან იყო დაკავშირებული. სადაც ისინი იყვნენ დასვენებული: ლიძაა, ლიხნი, დიდრიფში, ინალ-ყუბა, ილორი, ლაშკინდარი...

თვითონ ღვთაება აფხაზურად ასე წარმოითქმის „ანიზა“. „ან“ — ღმერთი და „ზა“ — თავი... „ღვთის თავი“. ეს სიმბოლოები ფორმით ღვთის თავს არ ჰგავნან. ერთ შემთხვევაში ეს ქვეები მთის არწივს წააგავს, მეორეში — თხის თავის ქალას, მესამეში კი რაღაც გაურკვეველ არსებას.

ბიზანტიელმა მისიონერებმა, ჯერ კიდევ IV საუკუნეში რომ აგრელებდნენ ქრისტიანულ საარწმუნოებას, თავისი მიზნისათვის გამოიყენეს ძველი წარმართული წმინდა ადგილები და სწორედ იქ ააგეს ქრისტიანული ეკლესიები: ლიძაში, ბიჭვინთაში, ლიხნიში და ილორში. ეტყობა უბიხებთანაც ასე იყო. ძველი წარმართული რელიგიის გვერდით ქრისტიანულიც არსებობდა თავისი აღდგომით. მოგვიანებით კი, როდესაც მუსულმანური რელიგია ოფიციალური გახდა, ბოლომდე არ აღმოუფხვრია ორი წინანდელი რელიგიის ნაშთები.

რატომ შევროვდნენ უბიხები „ბითხასთან“ და არა მეჩეთთან, უკანასკნელად რომ ეთხოვებოდნენ მშობლიურ მიწა-წყალს? — ვფიქრობდი მე. იქნებ იმიტომ, რომ მათ ცნობიერებაში ალპი შორს იყო, ეს სალოცავი კი იქვე? უხსოვარი დროიდან მოდიოდნენ აქ უბიხები წელიწადში ორჯერ სალოცავად. მოდიოდნენ ერთად თუ ცალ-ცალკე, ლოცვა-კურთხევა რომ მიეღოთ გრძელ გზაზე დამდგარ ადამიანებს. აქ, ბითხას წინაშე იმართლებდა ხოლმე თავს უწმინდურ საქმეში ბრალდებული კაცი. აი, რატომ ვერ წავიდნენ უბიხები მუსულმანურ აღთქმულ ქვეყანაში უმცროსი ბითხას გარე-



შე. მე არ ვიცოდი, რას მიაბობდა მოხუცი შემდგომ მოვლენებზე, მაგრამ წინასწარ ვხვდებოდი, რომ ჰაზვათის იდეებს უბიზების მიწაზე არც მაინცა და მაინც მყარი რელიგიური ნიადაგი უნდა ჰქონოდა. ეს იდეები სულთნის თურქეთიდან მოდიოდა და სწორედ ამ იდეებმა წაიყვანეს უბიზები თურქეთში.

ახლა, ათეული წლების შემდეგ, უაზრობად გვეჩვენება, რაც მაშინ მოხდა; ოქროსა და ვერცხლის ფირფიტებიანი ქვის გარეშე ვერ წავიდნენ უბიზები თურქეთში და საკუთარ სისხლით მრავალგზის მორწყული წმიდათაწმიდა მიწა კი მიატოვეს.

ზაურყანმა თამბაქო დაფშვნა, პაპიროსი გაახვია და შომიახლოვდა. დაინტერესებული მიყურებდა, რა სწრაფად მიმოდიოდა ფანქარი ქალაღზე. მოუთმენლობა არ ეტყობოდა, იღგა და მიცქეროდა, მაგრამ როგორც კი შევჩერდი, მაშინვე დაიწყო ლაპარაკი, თითქოს მხოლოდ ამას უცდილაო.

— მე უკვე გითხარი, ჩემო ძვირფასო შარახ, რომ უბიზი თავადებიდან ყველაზე ადრე შარდინს, ალოუს ძეს ჰქონდა თურქეთს გადასახლება გადაწყვეტილი. მაგრამ განა შეეძლო მარტოღმარტო წასვლა ისეთ კაცს, როგორც შარდინს იყო? რაკი მიემგზავრებოდა, ჩვენ უნდა ვავეოლოდით — ძიძიშვილები, ჩვენი ხათესავებიც უნდა ვაპოლოდნენ, მეზობლებიც და ის გლეხებიც, მის ხელქვეითებად რომ ითვლებოდნენ და ისინიც, ვინც დავალებულნი იყვნენ შარდინისაგან. ჩვენ სულში ვიმარხავდით მშობლიურ მიწას, ფეხქვეშ რომ გვეცლებოდა, ჩვენი თავადები კი ერთმანეთს ედავებოდნენ, ვინ ვის უნდა ვაპოლოდა თურქეთში.

ჰაჯი კერანტიხს მისი ხელქვეითი ოთხას შვიდი გლეხის გარდა, კიდევ ორმოცდაჩვიდმეტი კაცის წაყვანა უნდოდა, მათ შორის ჩვენი ოჯახისაც. ეტყობა, არც მაინცღამაინც სჯეროდა თურქეთზე გაგონილი ზღაპრებისა და უნდოდა, რაც შეიძლება მეტი ხალხი ჰყოლოდა იქ სამსახურის გასაწევად თუ დასაცავად. ორჯერ გამომიგზავნა შიკრიკები და მისი დანაბარები გადმომცეს: „რატომ მიმატოვა ჩემმა პირადმა მცველმაო“.

მამინ ლონიერი ვიყავი, ძვირფასო შარახ, მთელი თავით მაღალიც ვიყავი სხეებზე. ბევრჯერ დავუმტკიცე ჩემი სიმაჰაცე ჰაჯი კერანტიხს ბრძოლებში, და ამიტომაც მიგზავნიდა შიკრიკებს; ამის მიხვედრა ძნელი არ იყო, მაგრამ თვითონ ჰაჯი კერანტიხი მკვდარი

იყო ჩემთვის იმ დღიდან, შე რომ გიამბე. არ მინდოდა მასთან ერთად წასვლა...

შარდინი, ალოუს ძე მიუხვდა ჰაჯი კერანტიხს და არც ჩვენს თავს უთმობდა და არც სხვა ხელქვეითებისას.

იმ დღეებში ორივენი გლეხების ეზოებთან დაძრწოდნენ, თანაც მოსისხლეებივით ერიდებოდნენ ერთმანეთს, ეშინოდათ, სისხლი არ დაღვრილიყო.

ხან ერთი მიდიოდა გლეხთან და ემუქრებოდა, ჩემთან უნდა წამოხვიდყო, ხან მეორე უბრძანებდა გინდა თუ არა, მე უნდა გამომყვეო. თავგზააბნეულმა გლეხებმა აღარ იცოდნენ, ვის უნდა გაჰყოლოდნენ ბოლოს და ბოლოს.

ერთხელ შუადღისას, როცა მთელი ოჯახი სადილად დავსხედით, თავისი ფიცხი ცხენი შემოაგველა ეზოში ჰაჯი კერანტიხმა. მართოდმართ იყო, მხლებლების გარეშე. მამა და მე წამოვხტით და უხანგები დავუჭირეთ, ჩამოქვეითებაში რომ შევშველებოდით, ჰაჯი კერანტიხს არასოდეს უცია ამხელა პატივი, ჩვენი კარის ზღურბლისთვის რომ გადმოებოციებინოს და მამაჩემი ჩემზე უფრო გაოცებული იყო მისი სტუმრობით. ჰაჯი კერანტიხი როგორც ჩანდა, ჩამოქვეითებას არ აპირებდა, ცხენი ადგილზე ბრუნავდა და ლაგამს ღრღნიდა. ჩვენ კი ისევ უხანგები გვეჭირა ხელში და ცხენთან ერთად ვტყეპნიდით მიწას.

— სულ ცოტა ხნის წინათ ხმლებს ატრიალებდნენ ერთმანეთში, ჩემთან სამსახურის უფლება რომ მოეპოვებინათ, — თქვა ჰაჯი კერანტიხმა, ისევ რომ ბრუნავდა თავის ბედაურთან ერთად. — ახლა კი, როგორც ხედავთ, მართოდმართ ვარი ყველა ყველაა და, შენ არ გეკადრება, ზაურყან, ჩემი მიტოვება! განა შენ არ დადე ფიცი: სანამ ჩემი ბატონი ცოცხალი იქნება, გვერდიდან არ შრევშორდები, ხოლო სიკვდილი თუ უწერია, უწინამც მე მომეღოსო ბოლო?!

ჰაჯი კერანტიხი მსაყვედურობდა და, მის ხმაში წყენა და გაღიზიანება იგრძნობოდა. მამაჩემი კი თითქოს ვერაფერს ატყობდა, თხოვდა ჩამოქვეითებულიყო და შინ გაწვეოდა.

— არასოდეს ყოფილხარ ჩემთან. პატივი დასდე ჩვენს ოჯახს. ღომი ამოხელილია უკვე. უარს ნუ გვეტყვი ღარიბულ პურ-მარჩილზე.

მე ხელი შევეუშვი ჰაჯი კერანტიხის უხანგს, მამაჩემს კი ისევ ვჭირა და ისევ ერთი და იგივე ადგილს ტყეპნიდა, თან მე მიყურებდა.

„თუ ჩამოქვეითდა, იმწამსვე გაიქეცი და ცხვარი დაკალი, ვერა ხედავ, როგორი სტუმარი გეყავს?“ — მეუბნებოდა მისი თვალები.

ვერ გეტყვი, ჩამოქვეითდებოდა თუ არა ჰაჯი კერანტიჩი, მაგრამ სანამ მამა ეაჭებოდა, ეზოში შარდინი შემოვიდა, ალოუს ძე. როგორც ყოველთვის, თავის ჯორზე იჯდა. ის შინაურად თვლიდა თავს და შეპატივებისათვის არ დაჟუცდია, სწრაფად ჩამოხტა ჯორიდან და ჰაჯი კერანტიჩთან მივიდა.

— შენ ჩემი ძიძიშვილის ეზოში არაფერი გესაქმება. რა გზითაც მოსულხარ, იმ გზით წაბრძანდი, თავი დაანებე ამ ოჯახს.

ჰაჯი კერანტიჩმა გაბრაზებულმა ჩამოხედა შარდინს, ალოუს ძეს:

— სადაც არ უნდა მივიდე, კვალში მოძდე. შიფრთხილდი, შარდინ, ალოუს ძე! გეტყობა დაგაუიწყდა, ვინა ვარ მე და ვინ შენ. მე უფლება მაქვს იქ ვიყო, სადაც მომესურვება და ჩემი სიტყვა ისევ კანონია.

— შენ საკუთარი ხელით დასწვი ის, რაც შენს სიტყვას კანონად აქცევდა. — გკვახედ მიახალა შარდინმა, ალოუს ძემ.

— აქამდე ყველაფერზე კვერს მიჭრავდი და ახლა გზაზე ჭეღობები? იცოდე, ამ ოჯახს ჩემთან ერთად უნდა წამოსვლა და თუ სი-ცოცნლე არ მოგბეზრებია, ჩვენ შორის ნუ ჩადვები.

შარდინი, ალოუს ძე დათმობას არ აპირებდა.

— სინდისი რომ დიდი ხანია დაკარგული გაქვს, ვიცი, მაგრამ ალაპის მაინც შეგეშინდეს! ჰამირზა ჩემი ძიძიშვილია და ისიც და მისი ოჯახიც მხოლოდ მე გამყვება. ასე გვავალებს მეც და მაგასაც დედის ძუძუსადმი პატივისცემა.

აქ კი ვეღარ მოვიტმინე. იმ წუთებში ორივენი ერთნაირად მეზიზღებოდნენ.

— თოქაბმულ პირუტყვსაც კი არ უშლიან თავის შიბრუნებას იქითკენ; საითაც უნდა, — დაუუყვირე მე იმათ, — და ჩვენ ხომ პირუტყვები არა ვართ, ადამიანები ვართ. ცოდვად არ ჩაგეთვლებათ, თუ გვეითხავთ, რომელ მხარეს გვირჩევნია თავის შიბრუნება.

— გაჩუმდის როგორ ბედავ ასეთი ხალხის წინაშე... — დამიყვირა მამაჩემმა.

— შენს ოჯახს თუ არ უნდა, ძალას ვერ დავატან, მარტო შენ გამომყევები, — ჩამომძახა ჰაჯი კერანტიჩმა ცხენრიდან.

პირის გაღებაც ვერ მოვასწარი, შარდინმა, ალოუს ძემ დამასწრო პასუხის გაცემა:

— ჰაჯი კერანტიხ, შენთვის პირველი არ არის დედებისა და შვილების დაშორება. ერთი მითხარი, რამდენი ჰაჯი გყავს თურქეთში გაყიდული და რა ფასად?

— აშას ნამუსიანი კაცი მაინც აშბობდეს! — ფაციონა ჰაჯი კერანტიხმა, — იქნებ შენ გვითხრა, რამდენი ბიჭი გაყიდე თურქეთში, ჩვენი კი არა, აღილელები და აბაზინელებიც, ჯერ რომ იყიდე და მერე გაყიდე. რამდენი გაყიდე-მეთქი, მიპასუხე.

ორივენი გაჩუმდნენ. ეძებდნენ უფრო უარესი რა ეთქვათ ერთმანეთისათვის.

— ვიპეორებ, გზაზე ნუ მიდგები, — დუმულის შეძღვე უთხრა ჰაჯი კერანტიხმა.

— კაცმა არ იცის, სად გადაეყრები. — უთხრა შარდინმა, ალოუს ძემ. — მზესუმზირასავეით იქითკენ ატრიალებ თავს, საიოკენაც სათბოა.

— გაჩუმდი, სისხლი არ დაშადვრევიწო!

— მართლა? რაღაც ვერ ვხედავ აქ ასეთ ვაჟაკს, სისხლის დაღვრა რომ შეეძლოს, — უპასუხა შარდინმა, ალოუს ძემ და უტიფრად გაუსწორა თვალი ჰაჯი კერანტიხს.

— შენ ეი, გაღაგვარებულო, ახლა ვხვდები, რატომ უფრთხილდებოდი თავს მტერთან ბრძოლაში, ალბათ მე უნდა დაძლევარა შენი სისხლი. — დაიძახა გაცოფებულმა ჰაჯი კერანტიხმა. ცხენიდან ჩამოხტა, ხანჯალი იშვიშვლა და შარდინ ალოუს ძისკენ გაიწია.

შარდინ ალოუს ძე არც განძრეულა, ისე დააძრო ხანჯალი, მაგრამ სანამ მე და მამაჩემი ჩავდგებოდით შუაში, დედაჩემმა იყვირა:

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ორივენი ქალისაგან ხართ ნაშობი! — თავსაფარი მოიძრო და სწრაფად ჩაუგდო შუაში მოჩხუბარათ.

წუთის წინ მზად იყვნენ სასიკვდილოდ კვეთოდნენ ერთმანეთს, ახლა კი ზიზღი ჩასდგომოდათ თვალეზში და ზმას არ იღებდნენ. ჩონჩის ქილები შიშივე სუნთქვისაგან ზევით-ქვევით აუღიოდათ და ჩაუდიოდათ.

— იცოდე, ინანებ, ზაურყანი! — დამიყვირა ჰაჯი კერანტიხმა, უზანგის დასაქერად რომ მივედი. ცხენს მოახტა, ყალყზე შეაყენა და გაფრინდა. შარდინ ალოუს ძე კი კიდევე კარგა ხანს მიდი-მოდიოდა ეზოში წინ და უკან.

— ასე... მზად ხართ გასამგზავრებლად? — ჰკითხა ბოლოს მამაჩემს.

— რა მომზადება გვინდა, — მამამ სახლს გადახედა, — ამას, ხომ ვერ წაივლებთ თან. როცა შეგვატყობინებ, ჩვენც შენთან ერთად გამოვემგზავრებით.

— ჩვენ თურქეთის დიდი გემით „ნესრედ-ბახრით“ წაყალთ. აზბოზენ იმხელა გემია, ოთხი ათას კაცს დაიტევსო. კაპიტანი იაფად წაყვანას დაგვიბრდა. — სულზე ექვს მანეთს გვჯერდება, მაგრამ ფულს წინასწარ ითხოვს. ფულის საქმე როგორა გაქვს? — ჰკითხა შარდინმა მამაჩემს.

— არ ვიცი, შევძლებ ამდენს თუ არა, მაგრამ ვეცდები, — უბასუბა მამამ.

— სხვა დროს თქვენს მაგივრად მე გადავიხდიდი, მაგრამ თვითონ უფულოდ დავრჩი, — ხელები გაშალა შარდინმა და ჯორისკენ წავიდა.

დღეა თხოვდა სადილად დარჩენილიყო, მაგრამ საქმეები მაქვსო — თქვა.

— ჰაჯი კერანტიხი ახლა ცოფიანი ძაღლივითაა, — თქვა მან, ჯორზე რომ ჯდებოდა. — ვშიშობ, შენი მეზობლები არ გადაიბროს. თავი მოუყარე ყველას ამ საღამოს ვინმესთან და მეც შოვალ... — უკვე ჰიშკარს გასცდა, მაგრამ მაინც მოაბრუნა თავი, უკანასკნელი დავალება რომ მიეცა მამაჩემისათვის: — საღამოსთვის ვისაც შეუძლია, ფული შეაგროვონ. — დაიძახა და წავიდა, ჩვენ კი შუა ეზოში ვიდევით აღდგებულები. გონზე ვერ მოესულიყავით, იმის გამო, რაც ენახეთ და რაც გავიგონეთ.

ქირს ისევ ევლო დედაჩემის თეთრი თავსაფარი. მამამ აიღო, გაბერტყა და დედას უთხრა:

— დაე, მუდამ ფარავდეს შენს ჰალარა თავს ეს თეთრი მანდილი, ნუმც ვაგზავებოდეს იგი. მან სულ ახლახან იხსნა ორი ჩვენი სტუმარი სისხლისღვრისაგან. მართალია, სისხლი არ დაღვრილა, მაგრამ მე მაინც მეშინია: მშობლიურ მიწა-წყალს. ეტოვებთ და გრძელ გზას ვადგებით, რომლის ბოლოც არაგინ უწყის როგორი იქნება. ჩვენი მფარველები კი ისე ჩხუბობენ ერთმანეთში ჩვენი გულისთვის, თითქოს პირუტყვს იყოფდნენ. კინაღამ აჩვენეს ერთმანეთი. ო, ალაჰ! ნუთუ ასე გაგვიჩირე?!

მამა ნელა მიუახლოვდა დედას და თავსაფარი მიაწოდა. მე კი ჰაჯი კერანტიხის სიტყვები მედგა ყურებში: „იცოდე, ინანებ, ზაურყან!“ და შეშფოთებამ გული შემიკუმშა, მთელი საღამო და მთელი ღამე ვერ დაეაღწიე თავი ამ შეშფოთებას. ინათა თუ არა, წყა-

როსკენ გავეშურე, სადაც ფელდიში მოდიოდა ხოლმე დილდილობით წყლის წასაღებად. ჩვენი სახლიდან ძალზე შორს იყო წყარო, სამაგიეროდ ფელდიშის სახლთან იყო ახლოს და ვიცოდი, როდის და სად უნდა დავლოდებოდი. უკვე ორი წელი ვხვდებოდი ერთმანეთს იმ ადგილას. ახლაც იქ შევხვდით წყაროსთან დიდი წაბლის ქვეშ. თითქოს მწვანე კარავიანო, ისე ვეფარებოდი ხოლმე ამ ხეს — არც წვიმის გვეშინოდა და არც მზის. ახლა კი ხეს ფოთოლი დასცვენოდა და ერთნაირად გვიჟაპუნებდა წვიმა ჩვენცა და მის გალუმპულ ტოტებსაც. მაინც არ გვინდოდა წასვლა. ფელდიშმა რამდენიმეჯერ თქვა — შინ მელოდებიანო. მაგრამ მე ძაშინვე ხელეში ვწვდებოდი და ისიც იცდიდა.

— როგორ მოვიქცეთ, ფელდიშ? — ვეკითხებოდი მე, — ძართალია, რასაც თქვენს მფარველ ჰაჯი კერანტიხზე ამბობენ?

— მამამ მითხრა — მართალიაო. გუშინ ძეზობლებს ეუბნებოდა, რომ ჰაჯი კერანტიხმა მეფის გენერლების თანხმობა მიიღო და სახელმწიფო ხარჯზე გადაიყვანს მის ქვეშევრდომ გლეხებსო.

— სხვა რა გაიგე კიდეც?

— ისიც გავიგე, რომ ჰაჯი კერანტიხს გაუნაწილებია, ვინ რომელი გემით უნდა ვაემგზავროს. ყველას აუკრძალა გამგზავრებამდე თავისი სოფლიდან სხვა სოფელში სიარული. ქალიშვილებს სხვა სოფელში გათხოვება აუკრძალა, ჰაბუკებს კი სხვა სოფლიდან ქალის თხოვა.

— კიდეც რას ინებებს ეგ შეჩვენებული! — წამოვიძახე სასოწარკვეთილმა.

ფელდიშმა ნაზად მომიჭირა ხელი.

— დღეს მამა დამპირდა, რომ ჰაჯი კერანტიხთან წავა და დაჩოქილი შევედრება, თქვენთან ერთად წასვლის ნება რომ დავკრთოს, მამას არ უნდა ჩვენი დაშორება.

როგორ უნდოდა ჩემი დამშვიდება! როგორ მტკენდა გულს იმის მოსვენა, რომ მამამისი მზად იყო მუხლი მოეყარა და ამოეხვეწნა მუდარა დაეწყო ჰაჯი კერანტიხისთვის.

— მამაშენს უთხარი, ტყუილუბრალოდ ხუ დაიმცირებს თავს. ჰაჯი კერანტიხი არაფრით არ დათანხმდება ჩვენი ძუძუმტის შარდინის, ალოუს ძის ჯიბრზე.

ფელდიში ხმას არ იღებდა, ჩემმა ნათქვამმა თავზარი დასცა. ამდროს დედამისის შეშფოთებული ხმა გაისმა, ქალიშვილს უხმობ-

და. ფელდიში შეერთა, სურას წამოავლო ხელი და წყაროსკენ წავიდა.

— არავის არაფერი სთხოვო, — დავეწიე და ვუთხარი მე. — ზეგ მზის ამოსვლამდე აქ მოდი, წაბლის ხესთან. მშობლებს გავაფრთხილებ და ცოლად წავიყვან. ზეგ ერთად გავემგზავრებით აქედან.

— მერე ჩემს მშობლებს რა მოუვათ? — ტირილი დაიწყო ფელდიშია.

პირველად მივიკარი იგი მკერდზე და ცრემლები შევუმშრალე. ფელდიში გამისხლტა და სურას დასწვდა, მაგრამ დავასწარი და თვითონ ავუყვებ წყლით. ჩვენი ადათის მიხედვით საესე სურა სიკეთის მომასწავებელია. რა ვიცოდი მაშინ, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი ბედნიერი დღე იყო!

სურა მე თვითონ შევუდგი მხარზე, უკან არ გავყოლივარ, ისე ვუყურებდი, როგორ შეუყვებოდა ბილიკს, როგორ ირხეოდა მისი მოქნილი ტანი, როგორ სრიალებდა ზურგზე დაშვებული ორი წაბლისფერი ნაწნავი.

— სადა ხარ, ფელდიში? — მოისმა ზემოდან დედამისის ხმა.

— მოვდივარ, მოვდივარ, ნუ გეშინია, დედა! — გაეხშიაბა იგი. რა ვიცოდი, რომ უკანასკნელად შესმოდა მისი ხმა!

თუმცა არა, ერთხელ კიდევ გავიგონე მისი ხმა, მაგრამ ამაზე შემდეგ, შემდეგ, ჩემო ძვირფასო შარახ! მანამდე ჯერ ბევრია საამბობი.

გამგზავრების წინა ღამე თეთრად გავათენეთ. ყველაფერი ჩავაწყვეთ, რაც უნდა წაგველო და მღუმარედ ვისხედით კერიის წინ, უკანასკნელად რომ გიზგიზებდა. მამამ დედაჩემს ტირილი აუკრძალა, სჯეროდა, რომ გამგზავრების წინ ცრემლებს უბედურება მოაქვს, დედა თავს ველარ აკავებდა.

— ოჰ, ალაჰ, რამდენი ცრემლი დაღვარა იმ ღამეს დედაჩემმა. მაინც სად ეტეოდა ამხელა ზღვა? დედაჩემი ჩვენზეც ტირილი, თავის წებელდელ ძმებზეც, თავის გათხოვილ შვილზეც, უკვე გემით რომ მიცურავდა თურქეთისაკენ.

ასე გავიდა ის ღამე. დილას ეზოში გავედით. ჩემი ძმაც გამოვიდა, მამამ ძალად გვასაუშმა. ქალები კი ისევ გააფრთხილა, რაც შეიძლება მეტი საგზალი წამოეღოთ. ძროხები არც მოგვიწველია და არც გავკირეკია, ეზოში დავტოვეთ. სანამ ჩვენები უკანასკნელ

საქმეებს აწესრიგებდნენ, მე პირობის თანახმად წყაროსკენ გავე-  
შურე ფელდიშის შესახვედრად.

არც არავინ შევუჩერებია და არც არაფერი უკითხავთ. წინა  
დღით ვაცნობე დელას და მამას, ფელდიში რომ უნდა მომეყვანა  
და ვიცოდი მზად იყვნენ ამისთვის.

ისე სწრაფად გავბოდი ტყე-ტყე, რომ ალბათ ცხენიანი კაციც  
ვერ დანეწოდა. ახალგაზრდობა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც  
იმედითაა სავსე და მეც თავქუდმოგლეჯილი გავბოდი, არად მი-  
ვიჩნევდი ტოტები რომ მიკაწრავდა ტანს. უკვე წარმოდგენილი  
მქონდა, როგორ მივიყვანდი ფელდიშს ჩვენს სახლთან, დავეძა-  
ხებდი დებს და ვეტყვოდი: „აი, თქვენი რძალი“.

ვიცოდი, რომ პაჯი კერანტიხს ბევრი საქმე ჰქონდა: ოთხასი  
ოჯახის თავისმოყრა და გამგზავრება არც ისე ადვილი იყო. და  
სწორედ იმის იმედი მქონდა, რომ ამ არეულ-დარეულობაში გა-  
დავარჩენდი ფელდიშს.

მივირბინე ჩვენს წაბლის ზესთან. მაგრამ არავინ დამხვდა. სასი-  
კვდილოდ დაკრილივით ეჭრიალებდი ერთ ადგილას და არ ვიცო-  
დი, საით წავსულიყავი. წყაროს წინ ახლად ამობიბინებულ ბალახ-  
ზე დამსხვრეული სურა ეგდო.

„რამ დამსხვრია სურა? იქნებ, მხარზე რომ იდგამდა, მაშინ  
დაუვარდა? ან იქნებ, ამით მანიშნა, რომ ველარასოდეს შევხვდე-  
ბით“? მივხვდი, რაღაც საშინელი და გამოუსწორებელი მოხდა.  
უკვე აღარ მრცხვენოდა ფელდიშის მამის და დედის და მათი სახ-  
ლისკენ გავიქეცი. ერთ წუთში ჭიშკართან ვიყავი.

ეზო ცარიელი დამხვდა, არც პირუტყვი იყო შიგ და არც ძაღ-  
ლები. სახლი მაგრად ჩაეკეტათ. სიჩუმე და სიცარიელე შეფობდა  
ირგვლივ. მხოლოდ სახურავზე ამძვრალმა შავმა კატამ დაიკნავლა,  
როცა შემამჩნია. თითქოს მეუბნებოდა: „აქამდე სად იყავი, ახლა  
რაღა იცინდა, როცა ყველაფერი გათავდა?“

ისინი უფრო ადრე გადავმოღნენ ვზას, ვიდრე მე მოველოდი.  
ყველაფერს მივხვდი და მზად ვიყავი კბილებით დამგვლიჯა პაჯი  
კერანტიხი, ვისთვისაც სიცოცხლესაც ვი გავწირავდი ცოტა ხნის  
წინ. ახლა რა უნდა მექნა, როცა გემი, რომელზეც ფელდიში იმყო-  
ფებოდა, შუა ზღვაში მიცურავდა ალბათ.

შინ დაებრუნდი და ჩემი ცხენი ბზოუ გამოვიყვანე. ერთადერთი  
ესღა გეყავდა, მამაჩემისა და ჩემი ძმის ცხენები ბოლო ბრძოლებ-



ში დაინოცნენ. წყაროზე ჩავიყვანე ბზოუ, დავბანე და უკან დავბრუნდი. უკანასკნელად ვაჭამე სიმინდი და ისევე გავიყვანე ეზოდან. ეს რომ დაინახეს, დედაჩემმა და ჩემმა დებმა თვალეზზე ხელები აიფარეს და აქვითინდნენ. ჩემმა ბზოუმ კი არაფერი იცოდა, მზიარულად მოაბიჯებდა ჩემს გვერდით და ხანდახან ალერსიანად გამიხახუნებდა თავს მხარზე, თითქოს მეუბნებოდა: შემაჯექიო.

— ჩემო ერთგულო ბზოუ, რამდენჯერ ვადამარჩინე დალუპვას და ახლა ჩემი ხელით უნდა მოკვდე, — ვუთხარი მე, კისერზე მოვეხვიე და ავტირდი. მერე აღვირი შევხსენი და მინდორზე მივუშვი. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ჩვენი ცხენები მტრისათვის არ ჩაგვეგდო ხელში. ასე რომ, ყველას თვითონ უნდა მოეკლა თავისი ხელით გამოზრდილი ცხენი.

ნაგანი ფეხზე შევყენე და ჩახმახს თითი გამოვდე. ბზოუ არ მშორდებოდა, იქვე ძოვდა და კმაყოფილი აქნევდა თავის გრძელსა და ლამაზ კუდს. „მერჩია, მგლებს დაეგლიჯე,“ — გავიფიქრე მე. გასროლას ვერა და ვერ ვახერხებდი. ბოლოს, როგორც იქნა ყურში დავუმიზნე და ჩახმახს თითი გამოვკარი, მაგრამ შიშტყუნა, არ გავარდა.

ყველაზე უარესი ნაგანის ფეხზე მეორედ შეყენება იყო. სასიკვდილოდ დაჭრილი ცხენი რამდენჯერმე შეხტა, თითქოს სიკვდილს უნდა გადაახტესო და მინდორზე დაცემულს ჩემსკენ მოედრიცა თავი. შორიდანაც მოისმა სროლის ხმა — იქაც ცხენებს ხოცავდნენ. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი, რომ შეუბრალებელი ვიყავი.

მერე ჩემივე ხელებით დავმარჩე ბზოუ, ქვა დავადე და ჩვენი სასაფლაოსკენ გავემართე. ვიცოდი, ჩვენი ოჯახი იქ იქნებოდა. შორიდანვე მომესმა ხალხის მოთქმა და გოდება. ყველა თავისი ახლობლის საფლავს ეთხოვებოდა. მამაჩემი თავისი დედისა და მამის საფლავების წინ დაჩოქილიყო, ჭალარა თავი დაეხარა, ტიროდა და მჯიღს იცემდა მეკრდში. გვერდით ჩემი ყავარჯნებიანი ძმა ედგა, ჭრილობა დაჩოქების საშუალებას არ აძლევდა. დედაჩემი და დები პატარა საფლავს დადგომოდნენ თავს. იქ ბავშვობაში გარდაცვლილი ჩემი უფროსი ძმა იყო დამარხული. თმა გაეშალათ, მოთქვამდნენ და თან ვაზაფხულზე მომძლავრებულ სარეველას გლეჯდნენ საფლავიდან. ჩემიანებს ბავშვობაშიც იშვიათად ენახათ

6. ბაგრატი შინჭუბა.

ჩემი ცრემლები, მაგრამ გვერდით ამოვუდექი და იმ დღეს მეორედ ავტირდი.

ძვირფასო შარახ, გინახავს ოდესმე ერთად ატირებული შოხუცები და ბავშვები? თუ არ მოგისმენია, ღმერთმა ნუმც მოგასმენინოს, ამაზე საშინელი ქვეყანაზე არაფერია. მიკვირს, ან მთებმა როგორ გაუძლეს, როგორ არ ჩამოიქცნენ! ან ჩვენი მდინარეები და წყაროები როგორ არ დამლავდნენ იმ დღეს დაღვრილი ცრემლით?!

ტირილით რომ გული ვიჭერეთ, საფლავებზე მიცვალებულთათვის მიტანილი ღვინიანი ღოჭები და საჭმელები დავტოვეთ. რაღაცნაირად თითქოს გულზე მოგვეშვა და ყველანი ჩვენ-ჩვენი სახლებისაკენ გავემართეთ.

სახლში ციოდა. კერაზე, ცეცხლი ჩაბუთულიყო. მამამ ცივი ღომიანი ქვაბი აიღო, ეზოდან გავიდა, ძაღლებს დაუძახა და სახლს უკან დაუყარა მთელი ღომი, უკან რომ არ აგვდევენებოდნენ. მამა შინ შემობრუნდა. ყველანი გაშეშებული ვიდექით. ვიცოდით, რომ ახლა იქით წაღვდი, საიდანაც ვეღარასოდეს დავბრუნდებოდით. რა საცოდავია კაცი, როცა არ იცის რა მოეღის!

— აბა, დროა, — თქვა მამაჩემმა. — მეზობლები უკვე გადაიხეობებიდან.

მამამ თავი მოიშინებლა, სახლის შუაგულში გაჩერდა და ისე ახედა ქერს, თითქოს ცას უცქერისო.

— ო, ალაჰ, შეგვეწყალო გაკირვებულები.

შემდეგ კერასთან მივიდა მამა.

— შენ ათბობდი ჩემს წინაპრებს, ჩემს დედას და მამას, შეცა და ჩემს შვილიშვილებსაც შენ გვათბობდი. მამატიე, რომ ჩაგაქრე. — ეს თქვა, გამჟვარტლული ოკინჯალი შიიწია და ეშთხვია. მერე ხანჯლით კერიის წინ მიწა ამოკრა და მუჭით ჩაიყარა ქამარზე გამობმულ ტილოს პარკში.

— როცა მოგვდები, ეს მიწა დამაყარეთ გულზე, — გვითხრა მე და ჩემს ძმას, — ახლა კი წასვლის დროა.

მამა ბოლოს გამოვიდა სახლიდან. გამოხურულმა კარმა ისე გულგამგმირავად დაიჭრიალა, თითქოს ჩიოდა: „რას სჩადიხართო“.

— ეს ჭრიალი კეთილს არ მოასწავებს, — თქვა მამამ და ისევ ლოცვა დაიწყო.

— ო, ალაჰ, უსახლკაროდ ნუ დაგვაგდებ, სახლის კარი გამოკეტილი ნუ დაგვხვდება, სადაც ახლა მივდივართ.

რაც უფრო ვშორდებოდით სახლს, მით უფრო მეტი ხალხი

გვერთდებოდა. ჩვენს მეზობლებს ავადმყოფი დედა შიშყავდათ ურმით, ხუთი წელი საწოლს მიჯაჭვული მოხუცი.

— რისთვის მიგყავართ? — იცრემლებოდა და კვხესოდა იგი, — აქ დამმარხეთ და ისე წადით.

ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა გზაზე, ბოლო არ უჩანდა. მოდიოდნენ ჩუმად და თავჩაქინდრული. რამდენიმე საათის შემდეგ გზების შესასყართან ყვირილი შემომესმა. მე და რამდენიმე ახალგაზრდა წინ გავიქეციით, მოხუცებსა და ქალებს გავუსწართ. გზაზე შეტბორებული უამრავი ხალხის წინ ხმალამოწვდილი აპმეთი იდგა, ბარაკაის ძე. მძისი თეთრონი კი იქვე ხეზე იყო გაშობმული და ტორებს სცემდა.

— თუ გინდათ მომკალით, ცოცხალი თავით კი აქედან არ გავიშვებთ! — ყვიროდა იგი და ხმალს იქნევდა. — სანამ გვიანი არ არის, დაუბრუნდით თქვენს დაობლებულ სახლებს, გააჩაღეთ კერიები, სადაც ისევ ცხელია ღაღარი.

— გზიდან ჩამოგვეცალე აპმეთ, ბარაკაის ძე, გემები გველოდება.

— გემები კი გელოდებათ, მაგრამ როცა გაიგებთ, რომ მოგატყუეს, უკან ვეღარ დაგაბრუნებენ ეს გემები. ბევრჯერ ვყოფილვარ თურქეთში და ვიცი, იქ შიმშილი, მონობა და სიკვდილი გელით. სულთანნი ვაჟიშვილებს წაგართმევთ, იარაღს დააჭვინებენ ხელში და სამომრად გაუშვებენ. მორჩა, ველარასოდეს იხილავთ მათ. ამისთვის გიხმობთ იგი, მხოლოდ ამისთვის სჭირდებით.

აპმეთი, ბარაკაის ძე ყვიროდა და ხალხიც რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იდგა, მოსმენით კი არავინ უსმენდა.

— რას მოითხოვ ჩვენგან, გინდა რომ გიაურებმა ძალად მონათლონ ჩვენი შვილები? ჩვენ მუსულმანები ვართ და მუსულმანების მიწაზე მივიღივართ.

— უფსკრულში მიექანებით, უფსკრულში, — შეშლილივით გაპყვიროდა აპმეთი, ბარაკაის ძე.

— ხალხო, ნუთუ ამ გიყს პატრონი არა ჰყავს, რომ დააწყნაროს?

— მაგისი ძმა ნაურიზი უკვე კარგა ხანია, ზღვაში მიცურავს.

— არ მომეკაროთ! — ისევ ხმალს იქნევდა აპმეთი, ბარაკაის ძე, — სულ ერთია, სანამ არ მომკლავთ, არ გაგიშვებთ. ვინც წავიდა, წავიდა, მაგრამ თქვენ მაინც დარჩით, ნუ გადააშენებთ უბიძგების მოდგმას.

— ეი, აჰმეთ, ბარაკაის ძე, შენ რომ ჩვენი სიკეთე გინდოდეს, განა შენ ხალხს ჩამორჩებოდი? განა მათთან ერთად არ წახვიდლოდი?

— ნუთუ თქვენში ვინმე ვაყვაცი არ არის, რომ მომკლას და ჩემი თვალით არ ვუყურო, როგორ იღუპება ჩემი ხალხი? — ერთი ნაბიჯითაც არ იხევდა უკან აჰმეთი, ბარაკაის ძე.

ხალხმა ქალები და ბავშვები წაიძლოლია წინ, აჰმეთმა ახლა კი დაიხია უკან; ვერ შეეხო მათ. ხალხი მიაწვა და ნელა დაიძრა. ისე ჩაუარეს, ზედაც არ შეუხედავთ აჰმეთისთვის, ბარაკაის ძისთვის.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით ზღვას, მით უფრო იზრდებოდა ჩვენი რიცხვი. ჩვენს ახლოს ბრმა საკუტს შვილიშვილები შედგომოდნენ მხრებში და ისე მოჰყავდათ. რაც თავი მახსოვს, დღესასწაულს არ ჩაუვლია ისე, რომ საკუტს არ დაეკრას თავის აფხიარცაზე. პირველად ვერ შევნიშნე იგი, მაგრამ ზღვას რომ მივუახლოვდით, ქაშირიდან აფხიარცა ჩამოიხსნა, ააწყო, და ქაშანი გაუსვა. ჯერ მხოლოდ უკრავდა, შემდეგ კი სიმღერაც წამოიწყო..

მიდიოდა და ფეხებს ძლივს მიათრევდა, ხმა კი ძველებურად ისეთი სუფთა და ძლიერი ჰქონდა, ვერც დაიჭერებდი, მოხუცი თუ მღეროდა.

ღმერთო, რა მწარე ხვედრი გვარგუნე!

ღმერთო, რა მწარე ხვედრი გვარგუნე!

შავი ზღვა ჩვენი დარდის ხელაა,

ჩვენი სამშობლო კი ერთი მუჰა.

მიუსაფარი და მარტოდმარტო.

გაიყინება ხეზე გუბული

და ვინ რამდენ წელს ვიცოცხლებთ კიდე,

ვის უმკითხოს, არავინ ვრჩებით.

ძმებო, მკვდრებს უნდა გამოვეთხოვით,

დავემშვიდობოთ ძვირფას საფლავებს

და გამოვუტყდეთ: მათ სანახავად

ველარასოდეს ვერ დაებრუნდებით.

ცოცხლებო, მკვდრები. არ მოვატყუოთ,

სიმატლე ვუთხრათ, მწარე სიმატლე!

ყველას ესმოდა საკუტის სიმღერა და აფხიარცის ხმა, ყველას, ვინც წინ იყო თუ უკან.

შეიჩერდეთ, ძმებო, და მთებს მივხედოთ,

მათ არ იციან, საით მივდივართ.

გამოვეთხოვით და დავუტოვოთ

ჩვენი სიმღერა და ჩვენი სუნთქვა.

როცა შვილები დედას ტოვებენ,  
განა მშობელი დამნაშავეა?  
განა ეს მიწა დამნაშავეა?  
დამნაშავეა განა ეს ზეცა?  
ჩემო შვილებო, რატომ მიღიხართ,  
რა დავიშავეთ, ჩემო შვილებო? —  
მოთქვამს, მოგვტირის მშობელი მიწა  
და გვივარდება ფეხქვეშ ქვითინით.  
ო, გვაპატიე, მიწავ ტანჯულო,  
გზააბნეულებს და უბედურებს.  
ველარ დავრჩებით, ბედით დევნილნი,  
ჩვენ სამუდამოდ გტოვებთ, გშორდებით,  
გტოვებთ, გშორდებით და სულს გიტოვებთ,  
ის სამუდამოდ დარჩება შენთან.

ო, ალაპ, რამდენსა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ და მე კი ისევ ყურებში მიდგას ის ტანჯული სიმღერა. ბევრჯერ მინახავს, მიწაში ჩაგდებული მარცვლისგან როგორ აპოიზრდება ხოლმე ღერო, ბევრჯერ მინახავს სიცოცხლის დაბადება, სიმღერის დაბადება კი ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნახე. ის იმ საშინელ დღეს დაიბადა, ზღვისკენ რომ ვადექით გზას და სამარადისოდ დარჩა ჩვენთან. როცა ჩვენი მხრები ნალველს ველარ ზიდავდა, წრეს შეგვკრავდით და ჩაეიყენებდით შუაში, ვინც ყველაზე უკეთესად იცოდა ეს სიმღერა და ვმღეროდით, ვმღეროდით სანამ არაქათი არ გამოგვეცლებოდა. და თუ დაიჭერებ, ძვირფასო შარახ, ეს დაღლილობას, დარდს გვიქარებდა.

სანაპიროზე რომ მივედი, ფეხის დასადგმელი ადგილი არსად იყო. ერთმანეთში არეულიყო ადამიანები და პირუტყვი. შარდინმა, ალოუს ძემ წინასწარ გაგვაფრთხილა რისი წაღება შეიძლებოდა და რისი არა, მაგრამ ზოგიერთებს მაინც ჰქონდათ იმედი, რომ პირუტყვის წაყვანასაც მოახერხებდნენ და სანაპიროზე მოერეკათ.

ზღვაში კლდოვანი სანაპიროს მოშორებით, ზომალდები და აფრიანი გემები იდგნენ, ნაგები აქეთ-იქით მიდი-მოდიოდნენ და ნაპირიდან ხალხი გადაყავდათ გემებზე.

ჩვენს ძუძუმტეს შარდინს, ალოუს ძეს თავისი ოჯახიცა და მთელი ბარგი-ბარხანაც ერთ აფრიან გემზე მოეთავსებინა. გვიპირდებოდა, თქვენც დიდი ზომალდით იმგზავრებთო, მაგრამ არ გამართლდა. თვითონ ნაპირზე მობრუნებულიყო, ბოლო წუთებში ქვეშევრდომთაგან ვინმე რომ არ მოეპარათ. გვიციოდა და თან კრიპლოსანს მარცვლავდა. თავზე უკვე ბოხობი კი არა, თურქული ფე-

სი ეხურა და მე მართალია, ხმაშალა ვერ ვუთხარი, მაგრამ გულში კი გავივლე: „აქვე თუ გვიჭირს შენი ცნობა, იქ როგორღა უნდა გიციონო?“

ნავებში ჩასხედითო, გვითხრა შარდინმა, ალოუს ძემ.

— ცოცხალი არაფერი წამოიყვანოთ ადამიანის გარდა, — ისევ გაკვიმეორა ნათქვამი.

ჩვენც საქმეს შევუდექით. ერთიმეორეს მიჰყებოდა ხალხით გაქედლი ნავები და უკან ცარიელი ბრუნდებოდნენ, ისევ მიდიოდნენ და ისევ ბრუნდებოდნენ. თურქები გვიყვიროდნენ და გვაჩქარებდნენ. ეპ, ძვირფასო შარახ, ხომ გახსოვს, როგორ ამბობენ თქვენში, აფხაზეთში: „ამყოლს აჰყევი და დამყოლს დაჰყევიო“, მარტო ლანძღვა-გინებას კი არა, პანლურსაც უსიტყვოდ ვიტახდით.

მზე რომ ჩავიდა, ნაპირზე უკვე ჯაციშვილი აღარ იყო, შიტოვებული მშიერი პირუტყვი ბლაოდა მხოლოდ. მე და რამდენიმე ახალგაზრდა უკანასკნელები წავედით. სანაპიროს ქვებს ვემთხვიეთ, ნავებში ჩავხტით და ზღვაში შევედით. რატომ მაშინ არ მოგკედი, რატომ მაშინ არ გამისკდა გული, როცა ცალი ფეხი ისევ მშობლიურ მიწაზე მედგა და ცალი ნავის ქიმზე! რამდენ უბედურებას ავცდებოდი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე!

ჩვენი უკანასკნელი ნავე ქანაობდა და უფრო და უფრო შორდებოდა ნაპირს. უცბად ნაპირთან თეთრცხენიანი მხედარი მოიჭრა, მაშინვე ვიცანი, აჰმეთი იყო, ბარაკაის ძე. ცხენიდან ჩაშობტა და აღვირი მიუშვა, თვითონ კი ზღვაზე გადაკიდებულ კლდის ქიმზე შედგა. ხელებს გვიქნევდა და რაღაცას ხმაშალდა გვეძახდა, მაგრამ ქარს ჩვენამდე არ მოჰქონდა მისი სიტყვები.

— მოდი, დავბრუნდეთ და წამოვიყვანოთ, მარტო ხომ არ უნდა დავტოვოთ კაცი, — ვთქვი მე.

თანამგზავრები სდუმდნენ, მერყეობდნენ, მაგრამ თვითონ აჰმეთმა გამოუტანა თავის თავს განაჩენი. ნაგანის გასროლის ხმა გავიგონეთ. ის კი არადა თითქოს პატარა ნაცრისფერი ბოლიც დავინახეთ. სროლის ხმა კი გავიგონეთ. მაგრამ აჰმეთი, ბარაკაის ძე ისევ იდგა კლდის შევრილზე, მერე შექანდა და ზღვაში გადაეშვა. დამფრთხალი ცხენი კი უკაცრიელ ნაპირზე შიქროდა. ჩვენ აღელვებულები ვიყავით. ვხა რომ გადაგვიღობა, მაშინ არც კი მოვუხსინეთ, ახლა კი მისმა სიკვდილმა შეგვაშფოთა და აგვაფორიაქა.

„რაკი ასე მოიქცა, ეტყობა ისეთი რამ იცოდა, რაც ჩვენ არ ვიცით“. — გავიფიქრეთ ჩვენ, მაგრამ ფიქრი უკვე გვიანდა იყო. უბიძგების მიწა უკაცრიელი დარჩა, აჰმეთის, ბარაკაის ძის საბრალლო სხეულს კი აქეთ-იქით ახეტქებდნენ ტალღები, თითქოს აქეთ ზღვა და იქით ნაპირი ექაჩებოდა.

ხალხით გატენილი ჩვენი აფრიანი გემი ცალ მხარეს გადაიბარა, შემობრუნდა და გეზი ზღვისკენ აიღო, რაც უფრო ვშორდებოდით ნაპირს, მით უფრო მკაფიოდ ისახებოდა მშობლიური მთების კონტურები ჰორიზონტზე. რა შეჩვეული ვიყავი ამ მთებს, მე ხომ მათ გულზე გავიზარდე. დღემდე ისე მახსოვს თითოეული მწვერვალი, როგორც იმ წუთებში ვიხილე.

რაც უფრო ღრმად შევდიოდი ზღვაში, მით უფრო სქლად ეფარებოდა მთებს საღამოს ცისფერი ბინდი. ცოტა კიდეც და სავესებით მიეფარნენ თვალს.

უსინათლო საკუტმა ისევ დაუკრა აფხიარცა. ახლა აღარ ძღეროდა, მხოლოდ უკრავდა. აფხიარცის ხმას ხან ზღვის ხმაური ახშობდა და ხან ანძის ჭრიალი, მაგრამ მე მყისვე ვივრძენი მისი დაღუმება, აფხიარცა გაჩუმდა და მეც რატომღაც გული გაქეყინა. მოხუცთან მივედი. ბაქანზე იჯდა. გაცვეთილი ჩოხა ეცვა, ხაზადი ქვეშ დაეგო. შვილიშვილებს აქეთ-იქით დაედოთ თავი პაპის მუხლებზე და ეძინათ. „ალბათ თვითონაც ჩაეძინა“, — გავფიქრე მე, მაგრამ უფრო მიეუხსლოვდი და... არ ეძინა, დაპალუპით ცვიოდა ცრემლები, ჭაღარა წვეწარს უსველებდა და მშობლიური მიწის ნაგლეჯივით გულში ჩაქრულ აფხიარცას ეწვეებოდა.

„ო, ალაჰ, — გავიფიქრე მე, — ნუთუ ის თავისი ჩინდაკარგული თვალებით ზღვის ნისლით დაფარულ მშობლიური მიწის ბუხლოვან გამოსახულებას ხედავს, სადაც აღარასოდეს გვიწერია დაბრუნება?“

## სად არის აღთქმული სამოთხის მიწა?

ღამე არ მიძინია და დილაღრიანად უბის წიგნაკითა და ფანქრით ხელში უკვე გარეთ ვიჯექი და მოხუცს ველოდებოდი. ნეტა რას მიამბობს დღეს?

ცა მთელი დღე ღრუბლებითაა დაფარული, გარშემო კი 'შიშვე-

ლი დაბლობია, ისეთი ჩუმი, თითქოს მისაც ჩემსავით სწყუროდეს უკანასკნელი უბიხის ნამბობის მოსმენა, გაიგოს, რა ბედი ეწიათ უცხო მხარეს გადახვეწილებს.

რას წარმოვიდგენდი, რომ სადღაც, თურქეთის განაპირას 'შევხედებოდი უბიხურ ენაზე მოლაპარაკე ერთადერთ კაცს. კიდეც კარგი, რომ დედა აფხაზი ჰყავდა; ჩემი მშობლიური ენა ის წვრილი ძაფი გამოდგა, რომელმაც ერთმანეთს დაგვაკავშირა. რაკი უბიხური ენა სუსტად ვიცოდი, ისევ თურქულსთვის უნდა მიგვეძარტა, სხვა რა გზა გვქონდა. აქაც მწარედ დაგვეცინოდა ბედი.

ო, ეს მუჰაჯირობა, მუჰაჯირობა! ბავშვობიდანვე მესმოდა ეს სიტყვა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდეც არ ვიცოდი მისი მნიშვნელობა.

ამ წყევულმა სიტყვამ სამჯერ გაატიალა აფხაზეთი. როცა ჩვენი მოხუცები წარსულის რაიმე საკითხზე კამათობენ, ერთი ამტკიცებს, ეს პირველი მუჰაჯირობის დროს იყო, ქორე ამტკიცებს — მეორე მუჰაჯირობის დროს. მამაჩემს ლუშანს რომ ჰკითხოთ, როდის დაიბადეო, უსათუოდ გიპასუხებთ, მესამე მუჰაჯირობის მეორე წელსო.

ჰო, მაგრად გაგვიჯდა მეხსიერებაში ეს სიტყვა! ხალხი მუჰაჯირობაში მოჰყვავო, რომ ამბობდნენ, ჩემი ბავშვური გონება ასე წარმოიდგენდა ამას: ვითომც რაღაც საშინელი მღვრიე წყალი მოვარდა, ხალხი გაიტაცა...

ამ მღვრიე წყალმა მართლა შთანთქა ათიათსობით აფხაზი, მაგრამ ჩვენი ხალხის ბედი ბოლოს და ბოლოს მაინც სხვაგვარად აეწყო. კი არ ჩამქრალა, უფრო და უფრო გიზგიზებს სამშობლოში დარჩენილი აფხაზების კერა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, სხვახაირადაც მომხდარიყო. ხომ შეიძლებოდა, ჩვენი ხალხიც, ვინ თავისი ნებასურვილითა და ვინ ძალდატანებით, უბიხების დაძლეველ გზას დადგომოდა.

საკითხავია, ვინ მოვიდოდა მაშინ ამ სისხლიან ნაკვალევზე უბიხური თუ აფხაზური ენების შესასწავლად? ვინ იქნებოდა ის კაცი? ყოველ შემთხვევაში მე არ ვიქნებოდი. ის კი არადა მე საერთოდ არც გავჩნდებოდი, ალბათ, ქვეყანაზე.

ყოველივე, რაც დღეს გამაჩნია — განათლება, პროფესია, ჩემი სამშობლო, ჩემი მასწავლებლები და მოსწავლეები უბრალოდ არ იარსებებდნენ და მეტი არაფერი.

რაც ამ მარტო შთენილი მოხუცისაგან მოვისმინე, ამ უკანასკნელი ცოცხალი უბიხისაგან, თითქოს მეუბნება, რომ უბიხების



დამღუპველი გზა განსაზღვრული იყო, რომ მათ არ ძალუძდათ სხვა არჩევანი. მეც ხომ მრავალტანჯული ხალხის შვილი ვარ, უბიწების მსგავსი წარსულის მქონე ხალხისა, მაგრამ სხვა ბედი გვარგუნა განგებამ. ისეთი ქვეყნიდანა ვარ აქ მოსული, რომლის წარსულიც დალადებს: დიახ, თითქოს ჩვენც ისეთივე ბედი უნდა გვწვეოდა, როგორც უბიწებს ერგოთ. შეიძლებოდა, მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა! და რაკი ეს ასეა, მაშინ ლოგია, რომელიც უბიწების გადაშენების აუცილებლობას ამტკიცებს, უაზრობას, ჩემთვის მიუღებელ რაღაც შეუსაბამობას შეიცავს.

მეხსიერებაში ვქექავ ყველაფერს ჩვენი ისტორიიდან, რაც უბიწების ისტორიის მსგავსია და არა და არა, არ შემიძლია დავიჭერო, რომ უბიწებსაც არ ჰქონოდათ სხვა არჩევანის საშუალება. ისიც კი, რომ მე — აფხაზი აქ ვზივარ, ამ უიმედო ლოგიკის უარყოფელია.

— რამ ჩაგაფიქრა?

მივტრიალდი და ზაურყანი დავინახე.

წამოვხტი, მივესალმე და კეთილსა და მშვიდ კითხვებზე ვუპასუხე: როგორ გეძინაო, მოხერხებულად თუ იწეპიო, ხომ არ მოგშივდაო.

შემდეგ ნელა დაეშვა თავის ნახელავ სკამზე და ხეს მიეყრდნო. მისმა მზერამ მაშინვე გადაინაცვლა შორეთში. არც ერთი სიტყვა აღარ დაუხარჯავს არც ჩემზე და არც არაფერზე, რაც ჩვენს გარშემო იყო, იქ დაბრუნდა, გასულ საუკუნეში, სადაც ისევ გახაგრძობდნენ სიცოცხლეს მისი ფიქრები.

ტალღები მთელი გზა მონღოლებით ერეკებოდნენ თურქეთის ხომალდებს, სამშობლოს საზღვრებს გვაშორებდნენ. არ დაგიძალავ, შარახ, და შიშთან ერთად იმედიც გვქონდა გულში ჩაბუდებული. უკან მოვიტოვეთ ზღვა და ყველამ, ვინც ასეთი ბედი ავირჩიეთ, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა უცნობ შიწაზე დავაბიჯეთ ფეხი. წარმოიდგინე და კაციშვილი არ დაგვხვედრია, თითქოს მოულოდნელად მოვსულიყოთ სულთანის თბილი მოწვევის გარეშე. მთელ სანაპიროს მოვედეთ უბიწები. გზაბნეული ფრინველების გუნდს ვგავდით, ქარიშხლით გაწამებულნი, არაქათამოცილინი რომ დაშვებულან უცხო მიწაზე.

შარდინის, ალოუს ძის შინაყმებში ჩვენი ოჯახიც შედიოდა. გე-

მიღან ვადმოკვდით თუ არა, ყურის მახლობლად ღაებანაკდით, ქალაქ სამსუნის განაპირას. ვცდილობდით, ჭგუფ-ჭგუფად ვყოფილიყავით, იმ ცხენების მსგავსად, საფრთხე რომ უყნოსავთ. ჩვენი ბარგი-ბარხანა ბევრს არაფერს წარმოადგენდა, აუცილებელი საგნებისაგან შედგებოდა. ამის შემხედვარეს სახლ-კარ დაქვარი ვეგონებოდით, ცეცხლიდან გამოვარდნილებს მხოლოდ ის რომ გამოგვეტანა გარეთ, რისი მოხელთებაც მოკვესწრო.

ო, ღმერთო ჩემო, რა უბედური და განწირულია კაცი, როცა განგება უცბო მიწაზე სიცოცხლესა და სიკვდილს მიუსჯის.

გაზაფხულის პირველი თვე ის-ის იყო იწყებოდა. მიწა, რომელზეც ფეხი დავადგით, უკაცრიელი და გაუღაბურებული იყო, თითქოს ჰაერი არ გვეყოფნისო, ისე გვიქირდა სუნთქვა. იქნებ იმისი ბრალიც იყო, რომ გულზე ლოდევით გვაწვა ნაღველი. როგორც კი ღრუბელს მიეფარებოდა მზე, სუსხავდა, გამოჩნდებოდა თუ არა — პაპანაქება იღვა. ცას ავხედავდი და ისე გამოთეთქვილი იყო, თითქოს გახუნებულიყო.

ო, ძვირფასო შარაბ, ჩვენი დაღუპვა იმ საბედისწერო ნაბიჯიდან დაიწყო, მწვანე ნახევარმთვარით შემკულ გემთან რომ მიგვიყვანა. წყეულიმც იყვნენ ეს გემები!

მე უკვე გითხარი, რომ ჩვენ გემით — „ნესრედ-ბახრით“ მივდიოდით. იმ დროისათვის ის დიდ გემად ითვლებოდა. ასეთი სამმილიანი გემები ცოტა იყო. რამდენი წელი გავიდა და მათი სახელები ისევ მახსოვს: „მაჰმედიე“, „ასსარი-შეფქეთი“, „ოსმანიე“, გემის კაპიტნებს გადაყვანისთვის სულადობის მიხედვით ვუხედიდით, როგორც პარტუტყვის გადაყვანისთვის. ტყუილად კი არ აშბობებ: ძუნწი კაცი ქვასაც კი გაადენსო წყალს. გემები ცოცხალი ტვირთით იქედებოდა. ჩვენმა კაპიტანმა სინანული გამოთქვა: „ჩაძირვის რომ არ მეშინოდეს, მეტს წავიყვანდიო“. დიდხანს ვცურავდით, წყლისა და სურსათის მარაგი გაგვითავდა. ზღვის ღელვა დაიწყო. ხალხი ზღვის ავადმყოფობამ გააწამა. მამაცებიც კი შიშმა შოიცვა. ლოცვას წყევლა-კრულვა ცვლიდა, წყევლა-კრულვას — ლოცვა. დახმარება კი არსაიდან ჩანდა. თუ ამტანი არ იყავი, უნდა შოქკვდარიყავი, მე შენ გეტყვი და დამარხვას დაქირდებოდა ხლაფორთი. საფლავის გათხრაც არ იყო საჭირო.

ქარი ისე როლი ქრის, როგორც შენ გინდა. აფრიანი გეძებითაც მოვეგზავრებოდნენ უბიხები აქეთკენ. ერთი ასეთი გემი ქარიშხალ-

მა შორს გაიტაცა, დასავლეთისაკენ. დიდხანს იყო გემი ზღვაში; წყლის მარაგი გამოელიათ, სიბინძურეც დაგროვდა ზედ და მუცლის ტიფმა იფეთქა. სიკვდილი ცელავდა ხალხს. როცა გემი სამსუნის ნავსადგურს მიუახლოვდა, ერთი მუქა ცოცხალი ადამიანებილა იყო ზედ. ნაპირზე ჩამოსვლის ნება არავის მისცეს, იმის შიშით, რომ სენმა ქალაქში არ შეაღწიოსო, გემმა ღუზა ჩაუშვა. საწყალი მუჰაჯირები! ნაპირზე ჩოხიანი ხალხი რომ დაინახეს, საშველად უხმობდნენ. რა უნდა გვექნა? მივცურდებოდით გემთან და ჩამოშვებულ თოკებზე წყლიან სურებს მივაბამდით, ეს იყო და ეს. სანაპირო დაცვა ამისთვისაც გვაგინებდა, ტყვიის დაშენით გვეშუქებოდა.

ადამიანი ყველგან ადამიანად რჩება, შარახ. საზღვის პატარა სოფელი ჩვენს კვალს გამოჰყვა თეთრი იალქნიანი გემით. ამოვარდნილი ქარიშხალი პატარა გემს კაკლის ნაჭუჭივით ისროდა აქეთ-იქით. აზვირთებული ტალღები ხმელეთთან მიაწლოვების საშუალებას არ აძლევდნენ. წყურვილისაგან გონდაკარგული ხალხი ზღვის წყალს დაეწაფა. პირველად ბავშვებს დაერია სიკვდილი. ისე იხოცებოდნენ, როგორც ფარვანები ავღრიან ღამეში. ძეზღვაურები პირდაპირ ზღვაში ყრიდნენ პაწია ვვამებს. გემზე ერთი ქვრივი ქალი იყო. დელამიწის ზურგზე არაფერი გააჩნდა ერთი პატარა ბიჭის გარდა. ამ საცოდავის ბიჭიკ ავად გახდა და მალე სულიც განუტევა. დედას კი ისევ გულში ჰყავდა ჩაქრული და უნანავებდა. მეზღვაურები რომ მიუახლოვდებოდნენ, იავნანას სიმღერას იწყებდა: „დაიძინე, ჩემო ბიჭო, იავ ნანიანო“. დაშორდებოდნენ თუ არა მეზღვაურები, სიმღერა გოდებდა იქცეოდა. ხალხმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. მესამე დღეს მეზღვაურებმა ცხედრის სუნი იყნოსეს, ხელიდან გამოგლიჯეს დედას შკვდარი ბავშვი და ზღვაში მოისროლეს. გონდაკარგული დედის შეჩერება ვერავინ მოასწრო და ის საცოდავიც ზღვაში გადაეშვა.

ცოცხალი კაცი გუგულივით გულმავიწყი როდია. ვინც ზღვაში სიკვდილს გადაუფრჩით, უკაცრიელ ნაპირზე აღმოვჩნდით და ჩვენდა საუბედუროდ მივხვდით, რომ ეს მიწა ღვთისგან დავიწყებული იყო, საჭურისის სახესავით დანაოჭებულ სანაპიროზე მცენარის ნიშანწყალიც არ ჩანდა.

არაფრით წააგავდა ეს მიწა ჩვენგან მიტოვებულ მარადმწყავზე სანაპიროს. ჭეშმარიტად მაშინ გაიგებ კაცი შენი ქონების ფასს, ჩემო შარახ, როცა დაკარგავ. აბა როგორ არ გავგნსენებოდა ჩვენი

ექიანი ხეობების ხელშეუხებელი ტყეები, სადაც თითოეული ჭადრის ფოთოლიც კი კვერნის ტყავივით ბზინავს, სადაც ყინულივით ცივი ნაკადულები მირაკრაკებენ, ტყის ნაპირებზე და შინდვრებზე კი ინებე, რამდენიც გინდა, სურნელოვანი მარწყვი, მოგვიანებით კი ეკლიან ბარდებზე მომწიფებული ყოლო და მაყვალი. შემოდგომის პირს ხომ ნულარ იკითხავ, რას აღარ გვაძლევს ჩვენი შადლიანი მიწა: ველური ლელვი გინდა თუ კაკალი და ლაპლაპა წაბლი. ხის ფულურობებში თეთრი სარაჭებიდან ველური თაფლი მოწვეთავს, კაცის შალსა და ღონის შემმატებელი. ყველაფერი შენია, აიღე და პირი ჩაიტკბარუნე, ღმერთმა შევარგოს! ახლა იარაღს თუ ატარებ და ხაფანგის დაგება შეგიძლია! ნადირობისთვის უკეთეს ადგილს დუნიახე ვერ შეხვდები. რა გინდა, სულო და გულო, იქ რომ არ იყო: ჭეირანი და შველი, გარეული ღორი და ღოძბა. კაობის ფრინველს მართლა ვერ აუხვალ კაცი, საითაც გინდა იქით გაიხედდე. თუ არ გინდა და ძალას ვინ დაგატანს. წყლის პირას კოცონი დაანთე და ხელით დაიჭერ ოქროსფრად დაწინწკლულ კალძახს. მზის ქვეშეთში არ მოიძებნება მსგავსი სამოთხე, მაგრამ კაცი თვითონ თუ ვარბის სამოთხიდან, მაშინ ყველა გზა ჯოჯოხეთში მიიყვანს მას. ეს აქ ჩამოსვლის მერე გავიგეთ, ძვირფასო შარახ, გავიგეთ და გონსაც მოვეგეთ, მაგრამ გვიანლა იყო. ჯოჯოხეთის კარი შეხვალ თუ არა, მაგრად მოგეკეტება ზურგს უკან. —

ღმერთმა ერთნაირი გააჩინა ადამიანები, ოლონდ ქისები. მისცა სწავლასხვანაირი. ჩვენმა ბატონმა შარდინმა, ჩამოვედით თუ არა, ადვილად იპოვა თავისი ნაცნობი მცირე აზიელი ვაჭარი და თბილი თავშესაფარიც იპოვა მის სახლში სამსუნის მახლობლად. ჩვენ კი უბრალო მოკვდავებს რა უნდა გვექნა? სად უნდა შეგვეფარებინა თავი ავდარში? გაკვირვება მიჩვენე და გაქცევის გიჩვენებო, ნათქვამია. შორიახლოს რიყის ქვით ხაშეხები ფარდულები დავლანდეთ, ერთი ათამდე იქნებოდა, კაცკასიის სახაპირლებიდან მოტანილ სიმინდს ინახავდნენ შიგ თურმე თურქი ვაჭრები, ერთი ფარდულის გარდა ყველა ცარიელი იყო. კუთხეებში იმსისქე აბლაბუდის ქსელები იყო გაბმული, რომ კაცის სიმძიმეს გაუძლებდა. სიბნელეში კედლებსა და ჭერზე კალის მსგავსი პეპლები დაბობლავდნენ და დაბორიალებდნენ. ყოველგვარი ნებართვის გარეშე დავიკავეთ ეს პირქუში შენობები და ესეც კი ბედის გაღიშებად ჩავთვალეთ. წვიმისა და ქარისაგან მაინც დავიფარავდით თავს.

ჩვენი ბატონი და კეთილისმყოფელი შარდინი, ალოუს ძე, გაოგნებული იყო, ასე გაჭირვებულები რომ გვნახა.

— ეტყობა რაღაც გაუგებრობაა, — გავაჰხნევა მან, — გავიგებ რა ხდება და ვეცდები, ყველაფერი მოვავარო. თქვენ კი გამაგრდით და ჩემს ჩამოსვლამდე მოთმინება იქონიეთ.

იმედის ნაპერწკალი ჩაგვისახა და სტამბულს გასაძგზაერებლად მოემზადა. მოგეხსენება, ქონებას უპატრონოდ არ ტოვებენ და შარდინმაც გამგზაურების წინ მკაცრად დაუბარა ცოლს: თვალყური გეჭიროს ჩემს მზეთუნახავ დაზეო, ალაპის ქვეყანაში ქალი ძვირფასი საქონელია. ვინმემ თუ აცდუნა ან მოიპარა, ცოტა ფულს როდი იშოვის. შანდას რომ რაიმე შეემთხვას, იცოდე, პასუხს აგებ...

შარდინს არ გაემტყუნებოდა: ჭერ კიდევ უბიხების ქვეყანაში მთასა და ბარს იყო მოდებული შანდას არნახული სილამაზის ამბავი. ბევრი აფხაზი, აღიღეელი თუ ყაბარღოელი ვაჟკაცი უგზავნიდა შუამავლებს. ზოგიერთი მოსწონდა კიდევ შანდას, მაგრამ ძმის სიტყვას ვერ გადავიდოდა, ამიტომაც ზრდილობიანი უარით ბრუბდებოდნენ უკან დარბაისელი შუამავლები. ზედმიწევნით აშაყი და პატივმოყვარე იყო შარდინი, ალოუს ძე. დის ბედს წყვეტდა და თავის ინტერესებსაც ვერ უვლიდა გვერდს. ყოვლისშემძლე სიძე ეზმანებოდა, ვისი ღიდებულების ანარეკლსაც ვერცხლზე ამოტიფრული საკუთარი სახელით ატარებდა. ბავშვობიდანვე განებივრებულ მომაჯადოებელ შანდას უყვარდა უბიხი თავადების წრეში კეკლუცობა. კოპწია იყო და სამკაულებს აღმერთებდა. თავისი ფასი კარგად იცოდა, მაგრამ თავგანისმცემელი შამაკაცების შიმართ საოცარი მიმნდობი იყო. ეს კი ძალზე აშფოთებდა რძალს, რომელსაც მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა ქმარმა.

შანდას სახელი კარგად დაიხსომე, ძვირფასო შარახ. მალე გიამბობ, როგორ უმტყუნა ბედმა. ბედნიერება და უბედურება ძმები არიან. ეჰ, შანდა, შანდა, მომაჯადოებელო შანდა! ვინ იფიქრებდა, რომ ის განდებოდა თავისი ღვიძლი ძმის დაღუპვის მიზეზი და ჩვენს ისედაც გამოუვალ მდგომარეობას კიდევ უფრო უსაძველოს გახდიდა.

სადაც სიცოცხლეა, იქ უკეთესის რწმენაცაა. წავიდა შარდინი, ალოუს ძე სტამბულში, ველოდებით ერთი კვირა, ორი, ის კი არა და არ ჩანს...

შიშლილი ჭვასაც დაღეჱავსო, — ამბობენ... რაც შინიდან გვეონ-  
და წამოღებული, პირველ დღეებშივე გაქრა. კიდევ კარგი, ცოტა-  
ოღენი ფული გაგვაჩნდა და ახლომახლო ფურნეებში პურს ვყი-  
დულობდით. ჯიბეები რომ ამოვიფხიკეთ, ოჯახის ძვირფასეულო-  
ბას მივაღეჱეთ. ცოტა ისიც მოგვეძებნებოდა. გროშებზე ვყიდდით,  
მოგეხსენება, მშვიერები არ ვაქრობენ. შეშინებულმა ხოქრებმა და  
მედუქნეებმა სავაქროები დაკეტეს; კარგად იცოდნენ, რომ შიმშილი  
მგელსაც კი ერეკება ტყიდან.

სულთნის მთავრობა რომ დარწმუნდა, მუჱაჯირები შეიარაღე-  
ბული არიანო, დაიბნა და უარი თქვა დაპირებაზე — თქვენი სურ-  
ვილით აირჩიეთ საცხოვრებელი ადგილებიო. შიმშია გადაწყვეტი-  
ლებაც უკარნახათ: დავექსაქსეთ და ქვეყნის სხვადასხვა ძხარეს  
დავესახლებინეთ. ადგილები კი შორიშორ იყო, უკაცრიელი, უხა-  
ყოფო და გამოფიტული. — სწრაფად გადახმა დაპირებული სამოთ-  
ხის ბუჩქები, სწრაფადვე აორთქლდა დაპირებული რძის მდინარე-  
ები. არც დაპირებული პირუტყვი მოუციათ და არც რაიმე დახმა-  
რება გაუწევათ.

უბიხები დელავდნენ: შეასრულეთ პირობა! შეთანხმებაში ხათ-  
ქვამი იყო, რომ ხუთი წლის განმავლობაში თავისუფალი ვიქხე-  
ბოდით მიწის გადასახადისაგან, თქვენ კი მოითხოვთ! ლამის ყურახ-  
ზე იფიცებდით, რომ ჩვენ შეილებს ჯარში არ გაიწვევდით, თქვენ  
კი ასკერებად მიგყავთ! ასე როგორ შეიძლება, ვის ძოვთხოვოთ  
პასუხი! „სულთნის ხელმოწერილი ქაღალდი სადა გვაქვს? სიტყვა  
მოვეცეს“. „სიტყვას ბაჱს არ ადებენ. სიტყვა საბუთი როდია“.

ერთი კი იგრძნობოდა, ეშინოდათ ჩვენი. შოდი და ნუ შეეშინ-  
დებოდათ, გამწარებული კაცი რას არ ჩაიდებს.

იქნებ ამის გამო იყო, რომ ზირველ ხანებში თავი შეგვანებეს;  
იფიქრეს, გაუვლით გაცოფება, დადუღდებიან და დაწყხარდებიანო.  
ჩვენი სულიერად დაცემის იმედი ჰქონდათ, ეგონათ თანძასავით  
დავვიხვევდნენ.

ერთ-ერთი ფარდული, როგორც გითხარით, სიმინდის მარცვლით  
იყო სავსე: ეჱ, ძაღლიც არ ინატრებდა ჩვენს ბედს. კარს ურდულები  
მოვაგლიჯეთ და საცავი დავაცარიელეთ. ვისაც რამდენი შეგვეძლო,  
იმდენი წავიდეთ. ახლომახლო წისქვილი არ იყო, შიმშილი კი ყვე-  
ლაზე უკეთესი მზარეულია. ზოგი ქვით ნაყავდა მარცვალს, ზოგი

კი უფრო იიოლებდა საქმეს — პირდაპირ ღომს ხარშავდა. შავრამ ნადავლი მალე გამოგველია და ახლომახლო სოფლებს. შოვედეთ. რაც მართალი მართალია, თურქი გლეხები, როგორც შეეძლოთ, ხელს გვიპართავდნენ. ძონძებში გახვეულ აცანცახებულ კაცს რომ დაინახავდნენ, ნახმარ ტანსაცმელს აძლევდნენ. პურსაც გვაძლევდნენ, მაგრამ ისე კი არა, როგორც მათხოვრებს, უბრალოდ გვიწილადებდნენ. მშიერი ხალხის ბრბო აღიდებულ წყალსა ჰგავს, კალაპოტში რომ ვერ ეტევა. ჩვენს უნებურად მძარცველებად ვიქეციოთ. თვითონ ჩამოძონძილები ვიყავით, იარაღი კი შოვერცხლილი გვექონდა. ახალგაზრდები ყაჩაღებს უერთდებოდნენ, წინაძლოლად შიმშილი ჰყავდათ. პირუტყვს იპარავდნენ და ხორცს თვისტომებს უნაწილებდნენ. ქალაქებში დათარეშობდნენ და ქსოვილებისა და ფეხსაცმელების ფარდულებს ძარცვავდნენ. რა დასამაღია, შარახ, და ორივე მხარეს სისხლი იღვრებოდა. ცუდი ხმა დაგვივარდა, ყაჩაღებად მოგვნათლეს. ბავშვებსაც კი აწიხებდნენ ჩვენით. მათხოვრებივით დაძრწოდნენ მთიელები სამსუნის ქუჩებში. დაფხრეწილი ჩოხებიდან გაძვალტყავებული მხრები და ლავიწები მოგვიჩანდა, დაგლეჯილი ქალაქნიბიდან კი ჩაბიხძურებული თითები. შეშლილებივით აცეცებდნენ თვალებს სასაუზმეებსა და კაფეებში შესულები და შიშის ზარს სცემდნენ შეპატრონებებსა და სტუმრებს. ავადმყოფები და მოხუცები ღონეგაჟოლეულები, დაუძლურებულნი და განწირულნი ხეების ჩრდილში იწვნენ დაგლეჯილსა და მტერიან ნაბდებზე. სახეები დაგრძელებოდათ, ყბები ჩაცვენოდათ და ბუზებსაც ძლივს იგერიებდნენ.

გადაფრენის დროს ერთი ფრინველი რომ დაკარგავს მეორეს, ისე დაკარგვე ფელდიში. ვინ იცის, იქნებ ზღვაზეც შოკვდა, უცხო ქვეყნისკენ რომ მიდიოდა გემით, ვინ იცის, იქნებ... ძწუხარე სურათები ერთმანეთს ცვლიდა ჩემს გავარჯარებულ გონებაში. აშოლტილი იყო ფელდიში, ნაწნავები კოჭებამდე სცემდა, თვალები ნუშივით წაგრძელებოდა და ასეთ მომხიბლავს აბა ვინ არ შენიშნავდა თურქეთის სანაპიროზე.

თურქი ფაშებისა და ვაჭრების ჰარამხანები უმეტესად უცხო ქვეყნების შეილებით იყო სავსე. ფელდიში უბიხი ქალწული იყო და ეს ბევრს ნიშნავდა. უბიხი გოგონებისა და ქალების მიძხიღველობისა და ღირსების ამბავმა ჩვენს ჩამოსვლამდე გაცილებით ადრე მოაღწია თურქეთის ნაპირებს. ვინ იცის, იქნებ შიმშილისაგან

გაწამებული, ჩამოძონძილი ფელდში აქვე, ჩემს ახლოს დაფარვა-ტებს და ეშმა არ მაძლევს მისი ხილვის საშუალებას.

„ფელდში, ჩემო საყვარელო, ზმა გამეცი, გამომეხმალურე“. — ვყვიროდი მე გუნებაში.

ვის ვკითხო, ვისგან გავიგო, ვის ეცოდინება მისი ამბავი, — ცფიქრობდი მე. ჩამოვედი თუ არა, იმ დღიდანვე, იმ დღიდანვე კი არა, იმ საათიდანვე მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი, გამეგო საით გავმგზავრა უბიხების წინამძღოლი ჰაჯი ბერზეკ კერანტიხი. ჯანდაბას კერანტიხის თავი, მისი ამბავი სულაც არ მადარდებდა, მე ფელდის ბედი მადლეებდა. იგი თავის დედ-მამასთან ერთად კერანტიხის ხალხში უნდა ყოფილიყო. ხმებს თუ დაუუჯერებდი, იგემი რომლითაც ჰაჯი კერანტიხი მოვიდა თავისი ყმა გლეხებით, ცოტა ხანს საშუსუნის ყურეში მდგარა, შემდეგ კი სტამბულისკენ აუღია. გეზი. ხშირად ვიდექი ხოლმე დაღონებული ზღვის სახაპიროზე. ერთხელ ნაპირს ფელუკა მოუახლოვდა, ბორტიდან ყვირილი მომესმა და დავინახე, ოთხმა თურქმა მეზღვაურმა როგორ გადმოაგდო გათოკილი ჩოხიანი კაცი.

— აღლია! — ყვიროდა ის და თან მაგარ გინებასაც. აყოლებდა ზედ.

ფელუკა ნაპირს მოშორდა. მივედი კაცთან და ადგომაში შევეშველე. რა უსაზღვრო იყო ჩემი გაოცება, როცა ჰაჯი კერანტიხის ძიძიშვილი საიდ დაშანი ვიცანი.

— რა ამბავია საიდ, რატომ გადმოგაგდეს ხაპირზე გათოკილი? რა დაგემართა?

— რა დამემართა? — ექოსავით გამომეპასუხა. იგი, სიბრაზეს კიდევ არ გაეცლო, — ის დამემართა, რაც ყველას დაემართა, ზაურყან, საშინელება.

ერთ დროს გოლიათი იყო საიდი; ზელის ერთი გაქნევით გაწყვეტდა ბავირს, რქაში წააველებდა ხელს და მიწაზე დაახეთქებდა ხარს. ახლა კი ძველი საიდ დაშანის აჩრდილიდა იყო და ფეხზე ძლივს იდგა.

— ყელი გამიშრა, — ენა მოისვა დაფიცებულ ტურჩებზე, — თუ კაცი ხარ, ერთი ყლუპი წყალი მინც მიშოვე.

— ახლავე, საიდ, ახლავე, — ვამხნევებდი და თან ხანჯლით თოკს ვჭირიდი, რითაც ხელები ჰქონდა გაკოჭილი. სანაპიროს გავუყვევით. საიდი მეყრდნობოდა და ისე მოდიოდა. შზე ჩავიდა. ბინდლებოდა.



ქალაქი უკან მოვიტოვეთ. საიღი უფრო და უფრო მძიმედ მაწვე-  
ბოდა მხარზე. მივხვდი, სულ მთლად გამოეცალა არაქათი და ფე-  
ხებს ძლივს მოათრევდა. მწირ ჩირგვნარში მივაწვინე და წყლის სა-  
ძებნელად წავედი. რის ვაივაგლახით ვიშოვე პურის ნატეხი და ერ-  
თი ბოთლი წყალი. ყოველ ყლუპზე აუღ-ჩაუღიოდა ხეინჩი, წყლის  
ბუყბუყიცი ისმოდა გამშრალი ხორხიდან. წყურვილი რომ მოიკლა  
და სულიც მოითქვა, ჰაჯი ბერზეკ კერანტიხის ძიძიშვილმა ნაღვლი-  
ანი თვალები მომაპყრო და ცრემლები აუკიაფდა.

— ჩვენი აღსასრული მოვიდა, ზაურყან, ყველა უბიხის აღსას-  
რული: თვითმკვლელები ვართ ყველანი, — ჩაიხურჩულა მახ.

საიღის სიტყვები ქამანდივით წამეკირა გულზე. შერედა ვიხ  
მეუბნებოდა ამას, ერთ დროს უმამაცესი ვაცი, არარა მღვთმარე-  
ობაში რომ არ კარგავდა იმედს.

შორს, ზღვისა და ცის შესართავთან მეწამულად დვიოდა უკა-  
ნასკნელი სხივი. და წამით ჩვენებასავეთ გამოშეცხადა ფელდიში,  
მაგრამ მისი ხატება მაშინვე კადნა და სივრცეს შეუერთდა. გამო-  
ვერკვიე, იმედის უწვრილესი ძაფი შეპყრა ხელთ და ამ ძაფს მოვე-  
ქიდე.

— საიდ, ვერ მეტყვი, სად იმყოფება ახლა შენი ძუძუმტე ჰაჯი  
ბერზეკ კერანტიხი?

— ამ კეთილი ქვეყნის სტუმართმოყვარე ხელისუფლებმა ცუხ-  
ძულ როდოსზე მისცეს მოწა. ჩვენი ოჯახის ვარდა, მთელი მისი ში-  
ნაყმები მასთან არიან, — მწარე ღიმილით მითხრა მან.

სისხლი მომაწვა საფეთქლებში, სული ამიფორიანდა, თითქოს  
მეშინოდა არ გაწყდესო, ისე ფრთხილად მოვწიე იმედის ძაფი.

— საიდ, ერთი ეს მითხარი გენაცვალე, კერანტიხის ხალხში ვიხ-  
მე აბიჯ ვარდანი ზომ არ ყოფილა?

— რა, შენი ძმობილია?

— ჰო, — გამიხარდა მე.

საიდმა ყურადღებით შემომხედა და თითქოს კრილობას მიხვევ-  
სო, აუჩქარებლად თქვა:

— მე რომ წამოვედი, აბიჯი ოჯახის წევრებიანად ცოცხალი და  
ჯანმრთელი იყო. ძალიან ლამაზი ქალი ჰყავს აბიჯს, ძალიან ლამა-  
ზია... ისინიც კუნძულზე გაემგზავრნენ... — მერე თავი ჩაღუნა და  
დაუმატა: — ლამაზი...

მაგრამ მე მოსი უკანასკნელი სიტყვები არ გამიგონია. ძხრები-

დან სიმძიმე მომშორდა. გაქირვებაში ჩავარდნილი კაცი დღევანდელი დღით ცხოვრობს, პატარა ნაპერწკალიც კი სიხარულით აახთებს. იმ სიბოროტესა და საშინელებას კი, რაც ხვალ უნდა "შეე"-თხვას, ვერ შეიგნებს, ან უბრალოდ არ უნდა, რომ "შეიგნოს, რადგან სულის მოთქმა უნდა გუშინდელს განცდილსა და იმას შორის, რაც ხვალ უნდა განიცადოს.

"ფელდიში, ჩემი საყვარელი ფელდიში ცოცხალია! ახლა ვიპოვი, ვიპოვი, თუნდაც ცურვით რომ დამჭირდეს კუნძულამდე მისვლა". — სიმტიცეს ვგრძნობდი და გახარებული ვიყავი.

საიღს თავი ჩაედუნა და ისევ ისე იჯდა ჩემ წინ, ეტყობა ჩემი მოულოდნელი საბრალო სიხარული ვერც კი შენიშნა. გაჰხმარ პურს ნამცეცებს აფშვნიდა და უაზროდ იყრიდა პირში. შევხედე და საკუთარი თავის შემრცხვა, არც კი მიკითხავს, რატომ გადმოაგდეს თურქმა მეზღვაურებმა გაკოჭილი აქ, როცა ჰაჭი ბერზეც კერანტიხის მთელი ხალხი სხვაგან იმყოფებოდა. ამის შესახებ რომ ვკითხე, საიდმა პურის ნამცეცების პირში ჩაყრას თავი ანება, დაჭრილი შევარდენივით აიფხორა და შორიდან დაიწყო:

— ხომ არ დაგავიწყდა, ზაურყან, ერთხელ ზანჯლები რომ ვიშიშვლეთ და თითქოს მოსისხლენი ვყოფილიყავით, კიხადამ რომ დავხოცეთ ერთმანეთი. ჩხუბის მიზეზი ჩემი გაბრაზება იყო. — საიდი მოხერხებულად დაჯდა, ისე, რომ ზურგით ბრეკს მიყრდნობოდა, ჩამავალი მზის მიმკრალ ნათელს შიამერდა და გახავრო: — პატივი დაგდეს და უბიხების წინამძღოლის, ჩემი ძუძუმტის ჰაჭი კერანტიხის ერთ-ერთ პირად მცველად აგირჩიეს, "შენ კი უარი თქვი. შენი უარი შეურაცხყოფას უდრიდა. სისხლი ამივარდა თავში და ძალით რომ არ დავეშორებინეთ ერთმანეთისათვის, არ გიცო რითი დამთავრდებოდა ყოველივე.

მე შევახსენე:

— შენ ხომ იცი, საიდ, რომ სიყრმიდანვე პატივს ვცემდი ჰაჭი კერანტიხს. ის ჩემი ღმერთი იყო. არც კი დავფიქრდებოდი, ისე გაქწირავდი მისთვის სიცოცხლეს, მაგრამ არ შეიძლება, საიდ, ერთსა და იმავე დროს ცად აღავლენდე ლოცვას და ფეხით თელავდე მიწაზე ყოველივე წმინდას. როცა ჰაჭი კერანტიხმა იარაღი დაჰყარა და თურქეთში გადასახლებას დათანხმდა, მისმა სიცოცხლემ ჩემთვის ფასი დაჰყარა. ამიტომაც ვთქვი უარი მის დაცვაზე. ჭვირველით თავს იმკობენ და არა ფეხებს. მამატიე და ეგ "შენი ძუძუმტე გაქცევის წინამძღოლია.

მაშინვე მოვეგე გონს, საიდი რა შუაში იყო, ის სულაც არ აგებდა პასუხს მათ ოჯახში გაზრდილ თავადიშვილზე, ვისაც აღძვრთებდა. ასეთი სიტყვებით შეიძლება მარტო გული კი არ მოუქლა, საერთოდ მოკლა უდანაშაულო ადამიანი. მაგრამ საიდმა გაქვავებული სახით მოისმინა ჩემი აგდებული ნათქვამი ჰაჯი კერანტიხზე, მხოლოდ ერთი წამით დაულრიჯა სახე მწუხარებაში.

— ჩემთვის კერანტიხი მოკვდა, — დაეუმატე მე და ჩემი ხმა შემრიგებლურად გაისმა. — ღმერთი იყოს მისი მსაჯული, ჩვენ კი წარსულს ნულარ ავაფორიაქებთ, — მაგრამ მოულოდნელად საიდმაც დამიკრა კვერი:

— ის ყველა უბიხისთვის მოკვდა. საფლავის პირას აგვეხილა ბრძმებს თვალები!..

მე დავიბენი კიდევ, ეს ვინმე ვიგინდარამ კი არ თქვა, არამედ საიდმა, ვისთვისაც ჰაჯი კერანტიხი ყველა ნათესავზე უფრო აზლობელი იყო.

— მომისმინე, ზაურყან, — წყნარად თქვა მახ. — ამას შეხს გარდა, ალბათ, არავის ეგეტყვი...

და თითქოს მათრახი ვადამიკირაო:

— მე ვიცი, რომ ჩვენ ყველანი სარფიანად გაგვეიდეს ცხვრებივით. უნდა გადავსახლდეთო და ყურები დავცქვიტეთ, სადაც წინამძღოლები, ჩვენც იქ... უგუნური ვირები ვიყავით და მეტი არაფერი!.. იმათში, ვინც გვარიანად მოიგო, ჩემი ძუძუმტე ჰაჯი კერანტიხიც იყო, კირსაც წაუღია მისი თავი.

— გეყოფა, საიდ, სიბერემდე სიქაჩლეს ელოდეთ, ესაა. ხატკებს გულს გაცეცხლება ვერაფერს უშველის, — მეშინოდა, არ დამაჯეროს-მეთქი და გავაჩერე საიდი.

ის არ დამნებდა:

— წმინდა ბითხას ვფიცავ, სიმართლეს ვაძბობ. ბევრ ჩახლართულ ამბავს აეხლება შენთვის ფარდა. შენ გგონია ამქვეყნიური გაქირვება მალაპარაკებს? არა, ზაურყან, არა, ვაეკაცობა მოიკრიბე და მისმინე. რა მოგივიდოდა, მამაცო მთიელო, რომ გაგეგო, რუსმა გენერლებმა უბიხების წინამძღოლი მოისყიდესო, ა?

შეძრწუნებული ვიყავი და მინდოდა ექვი დამომეთქვა, მაგრამ საიდმა ხმა არ ამოაღებინა:

— გაჩუმდი, გაჩუმდი! რუსებმა ასეთი რამ შესთავაზეს ჰაჯი კერანტიხს: „სისხლისღვრა რომ შეწყდება და შენს ხალხს თურ-

ქეთში გადასახლებაზე დაიყოლიებ, ჩვენი ზელმწიფისგან იმდენს მიიღებ, რომ შენს შვილთაშვილებსაც კი მთელი სიცოცხლის მახ-ძილზე ეყოფათ. ოწის შეწყვეტა ორივე მხარისთვის სიკეთეა და ყველაფერი ისე მოეწყობა, უკეთესს ვერც იხატებ“.

— ეს ვარაუდია, მაგრამ საბუთი სადა გაქვს? — ველარ შოვით-მინე მე.

— პირდაპირი საბუთი არ გამაჩნია, მაგრამ არც არაპირდაპირია ნაკლები. მე ჩემი ცნობილი ძუძუმტის პირადი მცველი ვიყავი და ერთი ნაბიჯითაც არ ვშორდებოდი არასდროს. იმ დღეს გემზე რომ ვსხდებოდით, რუსების შტაბიდან ორი ოფიცერი მოვიდა ჰაჯი კერანტიხთან და ჩემი თვალით დავინახე მეგობრული საუბრის “შეშდეგ როგორ გადასცეს ძვირფასი ყუთი. იმის მტკიცება არ შემძლია, გინდა თუ არა, იმ ყუთში ოქრო იყო-მეთქი, მაგრამ ვერც “შენ შე-ტყვი, ცხვრის კურკლი იქნებოდაო “შიგ. გარდა ამისა, ჩემი ყურით გავიგონე, ჩვენმა წინამძღოლმა როგორ სთხოვა მათ მადლობა გა-დაეცათ მეფის ნაცვლისთვის. იქნებ არც ეს გეჩვენება უცხა-ურაღ?..

ისეთი შეგრძნება მქონდა, შარახ, თითქოს მთის ბილიკზე ზევე-მა დამიტანაო, ჭერ ერთმა ქვამ გადამიარა თავზე და “შეშდეგ წაშო-ვიდა და წამოვიდა, საიდს უნდოდა ბოლო მოეღო ჩემთვის. კერან-ტიხის დანაშაული საიდის თითოეული სიტყვის “შეშდეგ უფრო და უფრო დამაჭერებელი ხდებოდა და მოვლენათა “შემთხვევითი მსვლელობით უკვე აღარ აიხსნებოდა.

— ჩვენს გემს, — განაგრძობდა საიდი, — როგორც ყველა და-ნარჩენს, პირველად ნამსუნიისკენ ჰქონდა გეზი აღებული. როცა რაჰ-დენიშე ვერსილა გვაკლდა სანაპირომდე, გეშზე თურქი ამოვიდა ფელუკიდან, პორტის ჩინოვნიკს ჰკავდა. ის სულთნის წარმომად-გენელი აღმოჩნდა. მანვე შესთავაზა ჰაჯი კერანტიხს, მთელი თავი-სი ხალხით სტამბულისკენ გამგზავრებულიყო. „იქ გელოდება დი-დი ვეზირი“, — აცნობა თურქმა. ბედი ქუთ არ გწყალობს, ხმე-ლეთზეც დაიხრჩობი კაცი. ბოსფორი გავიარეთ და ქალაქს მივადე-ქით, რომლის თავზეც ცისფერი მეჩეთის გუმბათი აღმართულიყო. ნაპირზე გადასვლის ნება მხოლოდ წინამძღოლს დართეს, მაგრამ ჩვენ მოვითხოვეთ, პირადი მცველები რომ ზლებოდნენ მათ. პირა-დი მცველები კი ჩვენ ვიყავით — სამივე ძმა, ვისმა დედამაც “შვი-ლივით აწოვა ოდესღაც ძუძუ ჰაჯი კერანტიხს.

დიდი ვეზირის მისაღები „არზ ადასი“ მომრგვალო ფახჯრებიანი მდიდრული სახლი იყო. კარებთან მცველები იდვნენ. ნაყშებიანი ხალიჩებით მოფენილ მოსასვენებელში მიგვიყვანეს... ხაბიჯების ხმაც კი არ ისმოდა, თითქოს ფრინველები მიფრინავენო. რბილ წითელ ტახტზე ფეხმორთხმული იჯდა შავწვერა მოხუცი. თავზე წოწოლა ფესი ეხურა. ჩვენ წინ დიდი ვეზირი იყო! არც ამდგარა, არც ხელი ჩამოურთმევია ჰაჯი კერანტიხისთვის. ხელისგულები შკერდის წინ ერთმანეთს მიატყუბა და ოღნავ დახარა თავი. საიდახლაც ჩრდილივით გამოვიდა მოხრილი მსახური, ფინჯნით ყავა შემოიტანა და დიდ ვეზირს დაუდგა წინ. პატარა შაკიდაზე. ერთი ყლუპი მოსვა დიდმა ვეზირმა, ქუთუთოები ნახევრად მოქუტა და ჰაჯი კერანტიხს მიუბრუნდა. ჰაჯი კერანტიხს თექვაქექქლიახი ჩოხა ეცვა, ხელისგული ვერცხლის ტარიან ხანჯალზე ედო.

—დიდი ალაპის მოციქული მიწაზე, ყველა მართლმორწმუნე მუსულმანის წმინდა მამა, გულმოწყალე სულთანი და ჩვენი ზალიფი თავის უღიღეს კმაყოფილებას გამოხატავს, რომ შენ გიაურების ზიზლი და ჯოჯოხეთის ცეცხლი ააშორე ხალხს და ჩვენი შეუდარებელი მბრძანებლის სამოთხეში მოიყვანე, მიიღე მისი მფარველობა და ქვეშევრდომობა...

დიდმა ვეზირმა სიტყვა შეწყვიტა და თვალები დახუტა.

ჰაჯი კერანტიხმა შუბლზე ხელი მიიღო და თაყვანი სცა დიდ ვეზირს, რომელმაც მელიასავით ოღნავ შესამჩნევად კალიმა და განაგრძო:

—რუსეთის ელჩმა თხოვნით მოგმართა, რომ შენ — კეთილ-შობილი ჰაჯი ბერზეკ კერანტიხი განსაკუთრებული პატივით მიგვედეთ. ყოველისშემძლე სულთანმა, მპყრობელმა ნახევარი მსოფლიოს, სულგრძელობა გამოიჩინა და თხოვნა შესარულა. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღო რა შენი დამსახურება, ხანგვარი მსოფლიოს მპყრობელმა ალაპისა და მოციქულის მაჰმადის სადიდებლად, გამოამჟღავნა, შენი პიროვნებისადმი კეთილგანწყობილება და თურქების ფაშის წოდება მოგანიჭა. ხელფასს შალალი ჩინის შესაფერისად ზაზინიდან მიიღებ. გარდა ამისა, გასაჩუქრებს მამულით კუნძულ როდოსზე. შენი გლეხებიდან ოთხას სულს წაიყვან თან და გაემგზავრები, რათა სიხარულითა და ნეტარებით ადავლინო ლოცვა დიდი სულთნის სიკეთისა და სულგრძელობის პატივისცემად.

ჰაჯი კერანტიხმა მადლობა გადაუხადა დიდ ვეზირს. ჩემმა უფ-

როსჲ ძმამ, როგორც მრჩეველმა, ჩურჩულით გააფრთხილა ჰაჯი კერანტიხი:

— თანამემამულის უფლებით გევედრები დაფიქრდი. ცოტა გასაჭირი როდი გადავიტანია ხალხის გულისთვის; ყოველთვის აბრეშუმის დროშასავით მიგვიძლოდი წინ და ასეთ დროს გულებელის დაკრეფა არ შეგფერის. უბიხები იმედის თვალით შემოგცქერიახ და მათი იმედის წარკვეთა დიდი ცოდვა იქნება. შენ უფლება არა გაქვს, პირადი კეთილდღეობისათვის თახამეშამულენი რომ გაწირო.

კერანტიხი გაბრაზდა, არ გამოუშეკლავებია, მასსა და ჩემს ძმას შორის განხეთქილება რომ ჩამოვარდა და ღიპილით გამოსცრა:

— მოეშვი ჰკუის სწავლებას. აქ მაგის ადგილი არაა! მკედარს უფრო ადვილად გააცოცხლებ, ვიდრე მე წინამძღოლობას დამიბრუნებ. ის ჯერ კიდევ იქ, ზღვის იქით დაიწვა შეჯლისთან ერთად. რაღა სხვისი ღმერთი და რაღა შენი ეშმაკი, ორივეს ერთი ფასი აქვს.

და თითქოს ჩემი ძმა მიახვედრა, რომ ვეფხვს თუ ეთაძაშეზი, არც ნაკაწრების უნდა გეშინოდესო. ჰაჯი ბერზეკ კერანტიხი მოწიწებით მიუახლოვდა დიდებულ ვეზირს, ცალი ხელი შუბლზე მიიღო, მეორე — გულზე და მდაბლად დაუკრა თავი.

— განუზომელია სულთნის წყალობა! ამ ღვთით კურთხეულ ქერქვეშ მინდა დაგარწმუნოთ, დიდო ვეზირო, რომ ჩემი რწმენით და სიმართლით აღმოსავლეთის პირველი ვარსკვლავის დიდებული სულთნისა და თქვენი მსახური ვიქნები.

დიდი ვეზირი გამოცოცხლდა, შავი თვალები გაუბრწყინდა.

— დიდებული სულთნის ფაშობა დიდი პატივია; — წარმოთქვა ვეზირმა, — ნახევარი მსოფლიოს მპყრობელის ხლობა და სტუმართმოყვარეობა რომ გაამართლო, ორი პირობა უნდა შეასრულო... — ტახტიდან იქვე მდგარ სავარძელში გადაჯდა და განაგრძო, — ისინი ჩვენს რწმენას შეენატყვისება.

კერანტიხმა ყურადღების ნიშნად თავი დახარა, მაგრამ არ უკითხავს რა პირობებია...

ჰკვიანმა ვეზირმა უბიხების მეთაურის სიფრთხილე შეაფასა და წარმოთქვა:

— არა არს ღმერთი თვინიერ ერთიანი ღმრთისა და მისი მოციქულის მამადისა. ვისაც ფაშის წოდება აქვს ბოძებული, მან ყუ-

რანის შესაფერისი სახელი უნდა ატაროს. ჩვენ ქრისტიანებისაგან განსხვავებით გვარი არა გვაქვს. დღეიდან შენ ჰაჯი ბერზეც კერანტიხის ნაცვლად ჰაჯი სულეიმან ფაშა დაგერქმევა. სახელმწიფოს ფაშების წიგნში შენი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება. ეს ერთი! ყოველ ფაშას იმისი წოდების, შესაფერი სამოსი უნდა ეცვას, აქითმ თქვენებურ ტანსაცმელთან ვანშორება მოგიწევს, ეს შეორე.

ჰაჯი ბერზეც კერანტიხი გაფითრდა. იგრძნობოდა, რომ უბიხების წინამძღოლის სულში ქარიშხალი ბობოქრობდა. წინ ვეზირი ედგა და უკან ჩვენ — მშობლიური ხალხის სამი ვაჟიშვილი. ჩვენგან უფროსმა ველარ მოითმინა:

— სიძველითა და დიდებულებით ვერც ერთი თავადის გვარი ვერ შეედრება შენს გვარს და მისი რაღაც ზედმეტი სახელით შეცვლას გეთავაზობენ? ვონს მოდი! მოახსენე მაგას, რომ შენ არც მონა ხარ და არც ტყვე...

— გაჩუქდი! — ძლივს გასაგონად გამოსცრა ჰაჯი კერანტიხმა.

ჩემი უფროსი ძმა არ დაემორჩილა.

— გაიხსენე, როგორ გიბოძა შენემ პოლკოვნიკის წოდება, მაგრამ შენ გეყო სიამაყე, უარყავი ასეთი პატივი და ცეცხლში შოისროლე ოქროს ეპოლეტები. ახლა კი მებრძოლი შეგარდენი ბატად უნდა გადაგაქციონ, ვაი, სირცხვილო! შენ ჰარამხანის მძევალი კი არა ხარ, თურქული შარვალი რომ ატარო. მაგათ თუ დაუთმე, ჩაღრსაც დაგხურავენ. უთხარი მაგ შავწვერას, რომ მაშაკაცისთვის ჩობახე უკეთესი ჩასაცმელი არ არსებობს.

დიდ ვეზირს უბიხური არ ესმოდა, მაგრამ ალბათ ჩემი ძმის სახემ მიახვედრა, რომ მისი სიტყვები თოფის წამლით საესე კასრთან მიტანილ ცეცხლს ჰკავდა. სულთნის პირველი მინისტრი ბებერი მელა იყო და შეშფოთება დაფარა, პირიქით, არხეინად მარცვლავდა ქარეის კრილოსანს.

— მე ვუცდი შენს გადაწყვეტილებას, — წარმოთქვა ვეზირმა.

მაგრამ ვისაც ეს კითხვა ენებოდა, მან არაფერი უპასუხა, თითქოს ვერ გაიგონა ნათქვამიო.

ვეზირმა თვალეზი მოწყურა:

— წინასწარმეტყველის წმინდა წიგნში ნათქვამია: „შესძელ სა-მაგიერო გადაუხადო მას, ვინც ზედნიერება გარეუნა“. — და უცბად მისმა ხმამ სიმკაცრე შეიძინა, — მე მინდა ვიცოდე, შენს ხალხთან დათათბირების შემდეგ, — ვეზირმა ფამანადგურებელი მზერა

გვესროლა, — დებულობ თუ არა ყოვლადმოწყალე სულთხის წინადადებას, თუ მაგათ უნდა გადაწყვიტონ, როგორ შოიქცე.

ჰაჯი კერანტიხმა სიბრაზის კოპები შეჰყარა, კბილები გაახრკიალა, და სწრაფად შებრუნდა კედლისკენ, მაგრამ თავს შოერია და დიდ ვეზირს მიუახლოვდა:

— მე მინდა, თვით სულთანი ვნახო, ვისი ქვეშევრდომობაც მივიღე ჩემს ხალხთან ერთად.

— ახლა მუსულმანური კალენდრის შეცხრე თვეა, რაძახანი, დიდებული დღესასწაული. ალაპის შოცოქული, ბრწყინვალე სულთანი ამ დროს მიწიერ საქმეებზე ხელს იღებს, ლოცვებს ადავლებს მხოლოდ. ლოცვები განწმენდს ადამიანს. ლა ილლაჰა, ილალაჰი ვა მუჰამედ რასულლაჰი!

ვეზირის ხაფანგს რომ დაძვრომოდა, ჰაჯი კერანტიხმა გაახსენა:

— დიდებული სულთნის დედა წარმოშობით ადიღელია, სისხლითაა ახლოს უბიხებთან, ის უფრო ადვილად გაიგებს ჩვეს დარდსა და ადათებს. დიდ ვეზირს შეუძლია მოახერხოს, რომ ამ წმინდა ქალმა ერთი წუთით მაინც მიმიღოს.

დიდმა ვეზირმა ხელისგულები შეაწება ერთმანეთს და თითქოს ნამაზს ასრულებსო, ისე წარმოთქვა:

— დადებით ლოცვად და განიწმინდებით და თავყვანი ეციო ალაჰს. როცა მთელი მუსულმანების მბრძანებელი ალაჰთან საუბრობს, მისი ახლობლებიც თავს ანებებენ ამქვეყნიურ საზრუნავს და მთელი გონება ცისკენ აქეთ მიმართული!

დიდმა ვეზირმა ისევ დახუჭა თვალები. თითქოს ჩასთვლიძაო.

ჰაჯი კერანტიხი მიხვდა, რომ მოხუცი არ დაუთმობდა, სიჯიუტე კი, და ისიც ჩვენი თანდასწრებით, წინდაუხედობა იქნებოდა.

— თქვენ წადით, პირისპირ რომ დავრჩები, უფრო მოვდრეკ. ამ მელას, — გვითხრა ჰაჯი კერანტიხმა.

— გულისწყრომას ადვირი ამოსდე, ნუ აიწყვეტ! — განრისხება ვერაფერიშეილი მრჩეველია, — გაავფრთხილეთ ჩვენ.

— ნუ გეშინიათ, მე თავს არ წავაგებ და მხოლოდ ღირსეული პირობებზე დავთანხმდები, — დაგვამშვიდა ჰაჯი კერანტიხმა.

წავედით და მთვარის ამოსვლამდე ეუცდიდით ხავსადგურში. დამიჯერე, ზაურყან, ეს ყველაზე უფრო შავბნელი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

შენი აზრით როგორ მოიქცეოდა ჰაჯი კერანტიხი, კაცი, რომელ-



ლიც ისეთ ვაჟკაცებს უძლოდა წინ, გენერალ ევლოკიმოვის მთელ არმიასაც რომ არ უხრიდნენ ქედს, ვისი სახელიც ამდენ ხანს პირზე ეკერა ყველა უბიხს, ვისზეც უმღეროდნენ დედები აკვანში ჩაერულ ბიჭუნებს. გვიღალატა! მლიქვნელურად შეიცვალა სახელი, თურქეთის ფაშა გახდა და თურქული შარვალი ჩაიცვა. დედაჩემს რომ ეს ღალატი გაეგო, ზღვაში გადახტებოდა გემიდან, თავის თავს დააბრალებდა, ღირსეულად ვერ გამიზრდია შეილობილიო.

მეორე დღეს, ნაშუადღევს გემი სტამბულის სანაპიროს გაშორდა და კუნძულ როდოსისკენ აიღო გეზი. გემზე, რომელსაც დიდი ცეზირის ქათქათა აფრებიანი ხომალდი მიაცილებდა. ყველანი იყვნენ ჩვენი ოჯახის გარდა. საწყალი დედაჩემი წიხასწარ გადავიყვანეთ ნაპირზე, როდოსისკენ გამგზავრებულ უბიხებს ეგონათ, რომ უკან დიდებულ ხომალდზე მათი აბრეშუმის დროშა — ჰაჯი კერანტიხი მოჰყვებოდათ. არვინ უწყოდა, რომ მის ნაცვლად ახლადგამოცხვარი ფაშა ჰაჯი სულეიმანი მიდიოდა როდოსზე. დედაჩემმა არაფერი იცოდა ამის შესახებ, ვერ გავებდეთ თქმა: წარამარა ერთს გვეუბნებოდა საბრალო:

— შეილებო, ნუ მიატოვებთ ჰაჯი კერანტიხს. როცა მოკვდები, ის მიმაბარებს მიწას პატივით.

ყოველივე ამის შემდეგ ერთი აზრი მიბურღავდა ტვინს — სამშობლოში დაბრუნება. ამას თუ ვერ მღვახერხებ, თავს მოვიკლავმეთქი. განზე გავიხმე ძმები და ვთხოვე თადარიგი დაეჭირათ, არ დამეთანხმნენ.

— თუ სიკვდილია, ერთად მოკვდეთ, — ასე მიპასუხეს ძმებმა.

მაშინ ჩუმად მივატოვე ისინი. სამსუნისკენ მიმავალ გემზე ასვლა მოვახერხე, ერთი მეზღვაურისგან შევიტყვე, რომ სამსუნიდახ მეორე დღეს უნდა გასულიყო რომელიღაც გემი აღღერისაკენ. ერთი მუჟა აჩხიპსელები უნდა გაღმოეყვანა იქედან. შუად ვიყავი, თუნდაც თოკებით მივბმოდი ამ გემის-ანძას, ოღონდ შინ დავბრუნებულეყავი. მაგრამ თურქმა ჩაფრებმა იყნოსეს, ოქროს რქიდახ გასულ გემზე რომ ავძვერი, გამკოჭეს და ნაპირზე გაღმომავდეს. მრგვალი მთვარე მოჭრილი თავივით იწრიტებოდა სისხლისგან და უფრო და უფრო მალლა იწვედა.

საიდის ნაამბობს ყრუ ღმუილით უკრავდნენ კვერს ტალღები.

— იცოდე, ტყუილუბრალოდ დაიღუპავ თავს, ისევ თუ იფიქრებ გემზე აძვრომას. ჩვენ შემოგვიერთდი, ღვთის წყალობით უკე-

თუ სი დრო დაგვიდგეს იქნებ. — ვეუბნებოდი საიღს, მაგრამ მას ჩემი ღარიგება არ ესმოდა. ყაბალახი შემოიხვია, წამოდგა და მითხრა:

— აჰმეთი, ბარაკის ძე ვაჟაკურად მოიქცა. სწორედ განჭვრიტა მომავალი. მშვიდობით, ზაურყან, იქნებ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს... — და მოკვიანებით დაუმატა, — სამშობლოში, უბიხების ში-წა-წყალზე...

საკუთარ ჩრდილში გამდნარი ჰაჭი კერანტიხის ძძუძუმტე ხავში-სადგომისკენ წავიდა.

ღიღი ხნის შემდეგ, ჩემს უნებურად ჩემი ხელით დაიღუპა სა-ღიღი. შთელი სიცოცხლე სულს მიმძიმებს ეს უნებური ცოდვა. ამა-საც გაიგებ, როგორ მოხდა...

## მთები იწვის

სწორედ აზიის შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპიზონიდან სტამბუ-ლამდე ყველა სოფელში იყვნენ დაბანაკებული შიმშილისაგან თვა-ლებანთებული, ჩამოძონძილი მუჰაჯირები. სანაპიროს ქარქვეტასა-ვით მოდებულ ამ ხალხში უბიხების გარდა ნათუხაელებიც იყვნენ, ბჟეთუხელებიც, შათსილებიცა და ყაბარდოელებიც, შართალია, ოდესღაც დამოყვრებოდნენ რუსეთის მეფეს, მაგრამ მაინც კარგა ბლომად მოეყარათ აქ თავი. აფხაზების შონათესავე სახეები და ახ-ჩიფსები პირწმინდად გადმოსახლებულიყვნენ.

ჩრდილოეთიდან გადმოსულების თვლას ვეღარ აუვიდნენ თურ-ქები და აფორიაქდნენ. ხალხის შემოსევის შეჩერებაც კი სცადეს, მაგრამ გვიან იყო, ვისაც ჩვენი გაჭირვება არ ეწვებია, არ იცოდა, რა უბედურება ტრიალებდა იქ. სიკვდილმაც მოცდა არ იცის... მში-ერი კაცი ავადმყოფობასთან ისევე უძღურია, როგორც უიარაღო — მტრის წინააღმდეგ. ტიფი და ქოლერა სამართალს არ დაგიდევდათ, შავი ღრეობა ჰქონდათ გამართული. ხანდახან იმდენ ხალხს ცელაფ-დნენ, რომ დამტირებელი და დამმარხველი აღარ იყო. და განა გა-საკვირია, რომ ამ უცხო მიწაზე უპატრონო ძალღივით გახწირუ-ლებს მშობლიურ მიწას მიბარებულნი ადამიანებისა შურდათ? სიკ-ვდილს ვერავინ გაექცევა, მაგრამ სიკვდილი სიკვდილს გააჩნია. ბრძოლის ველზე დაცემული ვაჟაკი სახელს ტოვებს ქვეყანაზე —

ტყუილად კი არ მღეროდა სასიკვდილოდ დაქრილი კუბინი ვაჟაკურ სიმღერას. მშობლიური კერიის ახლოს სიკვდილი კი, როცა ახლობლებს ემშვიდობები და ხანგრძლივსა და ბედნიერ სიცოცხლეს უსურვებ, კეშმარიტად ბედნიერებაა, შარახ!

საცოდავ მუჰაჯირებს ოცნებაც არ შეეძლოთ სიცოცხლის ასეთ დასასრულზე. ერთსა ფიქრობდნენ საცოდავები — მიწისთვის მიეზარებინათ და ტურებისა და ყვაების საჯიჯგნი. არ გაშხდარიყო მათი ძვლები. ქვის ფარდულში განწირულად შექუქულებმა სხვებზე აღრე აღმოვაჩინეთ საბედისწერო სენი. მოხუცების აზრით, ქოლერა თავის ცურკლით დაბინძურებულმა, დაობებულმა სიმინდმა გაგვიჩინა. სასწაული მეგონა, მსახვრალი-სენი ჩვენს ოჯახს რომ არ ეხებოდა. დედა, მამა, მატა და ორივე და ჭერჯერობით ჯანმრთელები იყვნენ. ეს იყო, რომ ცრემლი არ უშრებოდა დედაჩემს, სანთელივით დნებოდა ჩემი უფროსი დის აიშას დარდით. „ვაი ჩემი ბრალი, — შიშისგან დაფეთებული გაიძახოდა იგი. — გული მიგრძნობს, რომ საბრალი აიშა ჩვენს თავზე დატეხილ უბედურებას ვერ გადაიტანს. ნეტავი იქ მოვმკვდარიყავი, ჩემს სახლში და შვილის უბედურებას არ მოვსწრებოდი. ფეხშიძე შახიც არ იყოს“.

მართლაც, აიშა ბავშვს ელოდა. აბა იფიქრე, შარახ, გარშემო სიკვდილი და უბედურება ტრიალებს და ქალი დღე-დღეზე მოსალოგინებელია. ამაზე მძიმე ხვედრს თვით ეშმაკიც ვერ შოისაზრებდა. აიშა და მისი ქმარი ჩვენსავით სამსუნის ახლოს ჩამოვიდნენ, მაგრამ შემდეგ ფეხით გაუყვნენ სანაპიროს დასავლეთისკენ. სად დაბინავდა, სად იყო ახლა ჩვენი ძვირფასი წყვილი, არ ვიცოდით.

სანამ სიცოცხლეა, იმედიც ცოცხლობს. დედაჩემის ცრემლებს ველარ გავუძელი და გადავწყვიტე აიშას საძებნელად წავსულიყავი. მამაჩემსა და ჩემს ძმას ასე შევეუთანხმდი: თუ აიშასა და მის ქმარს ვიპოვიდი, ვეცდებოდი ჩვენთან მომეყვანა. გავუდექი გზას ზღვის სანაპიროს გასწვრივ. მზე ჩემს ზურგს უკან იწვერებოდა.

რაც გზაში ვნახე, მისი აღწერა შეუძლებელია, ძვირფასო შარახ! პურის მადლს გეფიცები, რაც არ უნდა სანდო ბაგეთაგან გამეგო ასეთი ამბავი, არ დავიჯერებდი. არც ისე დიდი ხნით ვიყავ წასული და ქალარა დავბრუნდი უკან. საწყალი მუჰაჯირები, მიმნდობი მუჰაჯირები. ყველა უბედურებაზე უფრო მწარე იყო ის ხვედრი, რაც იმათ არგუნა განგებამ. მომაკვდინებელი სენი, საქმელსა და წყალთან ერთად რომ აღწევდა ადამიანის სხეულში, ბოზოქრობდა.

მთებში შობილი უბიხები მდინარის წყალსაც ზიზღით არიდებდნენ ხოლმე თვალს, მხოლოდ წყაროებით იკლავდნენ წყურვილს, ღოძს არ შეაზელდნენ. ფქვილს, ორჯერ თუ არ იქნებოდა გაცილი. გაფუქებულად თვლიდნენ, გოვრას ყუენწი თუ ექნებოდა შოშქვრალი. ახლა კი მაწანწალა ძაღლებივით დაძრწოდნენ აყროლებულ ხაყარ-ნუყარებთან. ჩამოძენძილი ცოგოხები და ქალები თვალს რომ მომკრავდნენ, ზურგს მაქცევდნენ და თვალებზე ხელს იფარებდნენ, თავიანთი სიშიშვლისა და უმწეობის რცხვენოდნენ. ფეხშიშველა და ქუქყიანი ბავშვები — ცოცხალი ჩონჩხები ჩემს შესახვედრად მობოდნენ და ხელს მიწვდიდნენ:

— პური მოგვეცი, პური.

ქვის კაციც ვერ გაუძლებდა ამ ბავშვების ცოდვას, მასაც კი გული შეუქანდებოდა. ერთხელ ჩემი დისა და სიძის ძებხაში ბაზარში აღმოვჩნდი, არ დამიჯერებ, შარახ და იქ აღამიანებს ჰყიდდნენ. ჩემი ძველი ნაცნობის კაზირჰანის ქვრივი დასიებული ფეხებს ძლივს მიათრევდა, ხელი ორი მოზარდი შვილისთვის ჩაევლო და გაჰყვიროდა:

— ბიჭებს ვყიდი, ბიჭებს!

შედრწუნებულმა ხელი ხანჯლის ტარს ჩავავლე და შივევარდი:

— ღმერთმა დაწყევლოს შენი სიბერე, შვილების გაყიდვას როგორ ბედავ...

მან მწუხარებით აღსავსე ჩალურჯებული თვალებით ამომხედა და თითქოს მაპატიო ჩემი გაცეცხლება, თავი გადააქნია:

— სიბერეს ვინ ეღირსება, ზაურყან? რას ამბობ! — ბავშვებზე მიმითითა და დაუმატა: — ნეტავ იყიდდეს და გამოკვებავდეს ვინმე. ეს არ ჯობია, ჩემ თვალწინ შიმშილით სიკვდილს?

ხანჯლის ტარზე ჩაბლუჯული ხელი დარცხვენილი გაიშალა.

— მეხი დაეცეს, ქოლერამ მოუღოს ბოლო ჰაჯი კერახტისს, უბიხების მოდგმის დამლუპველს! — მესროლა ქვრივმა გამომშვიდობებისას და ბავშვებიანად გამშორდა.

— ბიჭებს ვყიდი, ბიჭებს, ბიჭები ვის უხდა!

სული არ ენანებოდა თავისი ბიჭებძათვის საწყალებს და თუ გაჰყიდდა, ერთ დღესაც ვერ იცოცხლებდა უმიათოდ ალბათ. აყაყახებულ ბაზარში ბაჯბაჯით შემოვიდა ცასიებული ტყირპივით ჩალურჯებული ღონდროხა ბეი. უკან კაფანდარა, თაყვანისცემის ნიშნად წელში მოხრილი მსახური მოჰყვებოდა. ბეი კაზირჰანს შიუახლოვ-

და, ანიშნა, გაჩერდით და ბიჭებს დაუწყეთ სინჯვა. შერე თითებით ფაი აჩვენა. კაზირპანი არ ევაკრებოდა, ამიტომ მყიდველმა ჩიბიდან ფული ამოიღო და ფეხებთან მიუვლო ქალს. კაზირპანს მიწისფერი ტუჩების კუთხეები აუცახცახდა. აკანკალებული ხელით აკრიფა ფული და მხოლოდ ერთხელ შეხედა თავის სანუკვარ ბიჭებს სამუდამო განშორების წინ. მაკრამ ნუ იტყვი, რა გამოხედვა იყო ეს, შარახ! მხოლოდ დედას შეუძლია, ასეთ სატანჯველში ჩაიგდოს თავი შვილების გულსთვის. ბეის მსახურმა ბიჭები წაიყვანა და თითო-თითო ნაქერი პური მიაჩეჩა ხელში. თვალეზზე იდაყვეში მოხრილი ხელი ავიფარე და ისეთი ტკივილი და დარღი მეტაქა გულში, თითქოს შიგ თურქული იატაკანი გამიყარესო.

თავისუფალი უბიხები, ამაყი უბიხები! ოჯახში ბიჭი რომ დაიბადებოდა, ბედნიერი მამა მთებს, მზეს და ყველა მეზობელს ატყობინებდა, რომ მემკვიდრე შეეძინა. ექოსავით გაისმოდა პასუხად: „ღმერთმა ამრავლოს უბიხთა მოდგმა“.

დაჭრილივით ბარბაცით გამოვედი ბაზრიდან, სამჯგის წყეულიმც იყოს იგი. ოტომანთა პორტა ცოცხალი საქონლით ვაპრობდა და იმ წყეულ ღროში ყველაზე უფრო ლამაზი მთიელი ასულის ფასიც კი არაფრით აღმატებოდა ცხვრის ფასს. გაყიდულ ასულებს ტყვეობა ელოდათ სტამბულის, ანგორის, ტრაპიზონისა და ზხეა ქალაქების პარამხანებში. ბიჭების ფასი კიდევ უფრო დაბალი იყო. ოპ, ხეტაე არც გაჩენილიყვენ ეს უბედური უბიხი ბიჭები. გული მეტყინება ყელში, როცა მახსენდება, როგორ ექცეოდნენ მათ. არამზადა ჩარჩები კოდავდნენ ბავშვებს და შემდეგ იმათი ხვედრი საქურიაობადა იყო ამ ქვეყნის დიღი თუ პატარა მპყრობელების პარამხანებში.

გზაზე შეხვედრილი თანამემამულენი ჩრდილებსდა ჰგავდხეს. ზოგიერთს იმისი თავიე აღარ ჰქონდა, ჩემს სალამზე რომ ეპასუხა. უსახლკაროდ შთენილები ფაციფუცით იშენებდნენ კარებს, ქარისა და წვიმისაგან რომ დაეფარათ თავი. ცოცხლების ტირილი და გოდება, მომაკვდავების სიციხიანი ბოდვა ისმოდა ყველგახ. იქაურობა მოდიავებულ ჯოჯოხეთს ჰგავდა, სადაც უამრავი ხალხი შთავარდნილიყო. ზოგიერთი ნაცნობი შირჩევდა შინ დავბრუნებულყავი: „შენი სიკვდილი დედაშენს არაფერს შემატებს და სანამ სიარული შეგიძლია, უკან დაბრუნდი“.

ყურს არ ვათხოვებდი მათ გაფრთხილებას. ჩემი დისა და მისი ქმრის ბედი მალელებდა. სიკვდილი მუსრს ავლებდა ჩემს თახამე-

მამულებს. შიშისაგან დამფრთხალი თურქები ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს დაეჭირათ თავი მათგან და სავაჭროებს კეტავდნენ, მაგრამ ხარბებს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ. მსუცელი კია მამლარი, მაგრამ თვალზეა მშიერი. კაფეების, ღუქების და ქარავნის ფარდულების მეპატრონეებმა წამსვე იყნოსეს, რომ გაჭირვებაშიც შეიძლება ხელის მოთბობა. ყველაზე უფრო ბინძური სამუშაოებისათვის ქირაობდნენ ისინი ერთ ღროს ამაცსა და ქედმოუზრელ კავკასიელებს და მხოლოდ წყალწყალა შეჭამანდით უხდიდნენ საფასურს. არაქათვამოცლილი მშიერი ხალხი მზად იყო, დილიდახ დაღამებამდე ემუშავა ამ უბადრუკი კერძისათვის. ძაღლობასაც უხდიდნენ დამჭირავებლებს, როგორც მწყალობლებს. სიძლიდრე მაღას აღვიძებს, ჩემო შარახს მახრის მარჯვე უფროსები ბაზრიდახ ბაზარში დაეხეტებოდნენ და ჯიბეს ისქელებდნენ უბიხი გოგონების ყიდვა-გაყიდვით. მუეძინი კი დღეში ხუთჯერ აღიოდა მეჩეთის მიწარეთზე და ნამაზის შესასრულებლად მოუწოდებდა ძართლმორწმუნე მუსულმანებს: „დიდად მოწყალე და მწყალობელი ალაჰისათვის“.

მუეძინის ომახიან ხმას არ ძალუძდა მოტყუებული და გახკიცხული უბიხების კენესისა და წყევლა-კრულის დახშობა. ასე შეგონა, შარახ, რომ ქალების კოხვრა ღრუბლებად ქცეულიყო და ზღვაზე მიცურავდა დაობლებული სამშობლოსაყენ, რათა ცხარე ცრემლებით დაეტირა თითოეული ჩამჭრალი კერა.

რაც უფრო მეტად ეშორებოდლი ქალაქ სამსუნს, მით უფრო აუტანელი ხდებოდა ჩემი ხალხის უბედურების სურათები. უკვე გზადაგზა ჩემი თანამემამულეების გახრწნილი გვამებიც მხედებოდა. ჰაერში მყრალი სუნი ტრიალებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აქ დაზანაკებული მუჰაჯირები ერთიანად ამოწყვეტილიყვებენ. ავისმამუწყებელი წინათგრძნობა უფრო და უფრო ცხადად შეპარებოდა გულში. კენჭებით დაფარული მაღლობი გადავიარე, დაბლობზე დავეშვი და მღვრიე მდინარესთან გავედი. დაღლილობისაგახ ისე დამიმძიმდა ფეხები, თითქოს ფუთიანი ვირები მეკიდა ზედ. მანძილი კი არც ისე დიდი მქონდა გავლილი. სხვა ღროს ასეთი მანძილის გავლას არად მივიჩნევდი, ისეთი ძეხვები მქონდა, ქურციკსაც კი შეშურდებოდა. ჩავიმუხლე, ხელები დავიბანე, პირზეც შევისხი წყალი და მაინცა და მაინც არ მწყუროდა, მაგრამ მაინც შევანე ტუჩები მდინარის თბილ ნაკადს. ყველა წყალი ერთნაირი არ არის,

შარახს! სადაც ჩვენ წინათ ვცხოვრობდით საუკუხოვანი ქადრების ქვეშ, ცუდად თუ გახდებოდა ვინმე, თიხის დოქით ყინულივით ცივ ანკარა წყაროს წყალს მიუბრუნებდნენ და მორჩა, უკვე ფეხზე იდგა მთიელი. და ასეთი სასწაული სასწაულად არ ითვლებოდა. ყაბალახში გახვეული გაძხმარი კვერის ნატეხი ამოვიღე. წყალში დავასველე და წავიხემსე. ხახმოკლე იყო ჩემი ჩაფერხება. ყაბალახი ზურგზე მოვიგდე და დამძიმებული გულით 'განვაგრძე' გზა. ძალე მოშორებით უბაღრუკი ქოხი გამოჩნდა. ეტყობოდა მეთევზის ქოხი იყო — ზღურბლთან ბადეები შრებოდა. ქოხისკენ გავეჭართე და უცბად ბილიკის პირას პირქვე დაწოლილი ქალი დავინახე, გულში ბავშვი. ჰყავდა ჩაკრული. იქვე ჯერ კიდევ ამოუშორალ გუბეში დოქი ევდო. ადვილი მისახვედრი იყო, ქალს მდინარის წყლით აევსო დოქი და უკან რომ ბრუნდებოდა, წაქეუულიყო. თავქუდმოგლეჯილი მივეარღი, წამოდგომაში რომ შევშეშვებოდი და ძოულოდხელობისაგან შევეყვირე. ჩემ წინ აიშა იყო, ჩემი და.

— ო, ღმერთო ჩემო, რა დაგემართა, თვალი გაახილე, ხმა ამოიღე.

ხელში ავიტატე აიშა და გამაცივა, მივხვდი, ცოცხალი აღარ იყო. ეტყობა ახალი ამოსული ჰქონდა სული, ისევე, თბილი იყო. ბავშვი ცოცხალი იყო, არ ტიროდა და ხარბად წოვდა შიცივალებულის ძქძქს. ერთი წამით სულიერად დავეცი, არ ვიცოდი რა მექნა. შუბლი ტყვიასავით მძიმე ოფლით დამეცვარა და ხელები უღონოდ ჩამომიცივიდა დამბლადაცემულივით. როგორც იქნა თავს მოვერიე და ფრთხილად მოვწყვიტე ბავშვი დედის მკერდს. ტუჩებზე თეთრად უბრწყინავდა რძის წვეთი. ო, შარახ, მას შემდეგ შგონი საუკუნე გავიდა, მაგრამ ჩვილის ტირილი, დედის რძის უკანასკნელი წვეთი კიდევ რომ არ შემშობია ტუჩებზე, დღემდე მიდგას ყურებში. იცი, ძვირფასო, დღეს ვიფიქრე, რომ აზრი ჰქონია ჩემს ასე საოცრად ხანგრძლივ სიცოცხლეს. ვიდაცას უნდა გაეძლო შენს მოსვლამდე, რომ უბიხების დაღუპვის ამბავმა იცოცხლოს დედაძიწაზე. გემი ნაპირამდე აღწევს, სიმართლე კი აღამიანებამდე.

ეტყობა სენი ყმაწვილსაც გადასდებოდა, სიცხით იყო გათახგული. მომუშტული პაწია თითები ორ კაკალს მოუგავდა და ისე ტიროდა, საცაა გაიგუდებოდა. ბავშვი გულში ჩავიკარი და თითქმის გავიქეცი. თიხით ნაშენები ქოხისაკენ. ზღურბლთან არ ვიყავი ძი-სული, რომ შველა ვითხოვე:

— გამომხედეთ ვინმემ!

მაგრამ არც არავინ გამოძახებულა და არც ვინმე გაძოსულა გარეთ. ზღურბლს რომ გადავაბიჯე და დაქონილ თავშესაფარში შევიხედე, გატანჯული კენესა მომესმა. ფეხი გადავდგი და სწორედ გაღებული კარიდან შესული შუქის პირდაპირ კედელზე შეყრდნობილი და წელში სამად მოკაკული ჩემი სიძე გარუნი დავიხახე. ხელები გადაეჯვარდინებინა და მაგრად იჭერდა შუცელზე. თვალები ანთებული ჰქონდა და ქუთუთოები ჩანახშირებული. კეხიანი ცხვირი წაწვეტიბოდა და გაუპარსავი ღაწვები ჩასცვენოდა. შუბლზე სიკვდილის ჩრდილი ედგა. ოდესღაც მთელ უბიხეთში ცხოვრილი ცხენოსანი, სწრაფი, ღონიერი, ხახურად ველური ცხენების გამხუნელი, იბლიანი და ჩაუქი ჰაბუკი იყო გარუნი. ახლა კი ხაკლულ, მომჩეარულ ტომარას დამსგავსებოდა.

ძლივძლივობით მიცნო და წამოდგომას შეეცადა.

— ო, ზაურყან, მაპატიე, წამოდგომის დავიც არა ძაქვს, რომ მოგესალმო. აიშა წყალზე წავიდა, საცაა მობრუნდება, — დახშული კენესა ლაპარაკს აწყვეტინებდა, ძაფზე ეკიდა მისი სიცოცხლე. დაბინდული გონება პირველად ვერ მისწვდა, ხელში მისი ბიჭი რომ მეჭირა, შემდეგ ყველაფერს მიხვდა და ამოიხრიალა:

— ვაჟაკი თუ ხარ, ზაურყან, გამათავე! სიკეთე ჰქენი და გამათავე! აიშა აღარ არის და მეც გახვითქული ცხენივით გავიგულები. ცოცხალი რომ გადავრჩე... არა, არ მინდა... მე შეხზე უფროსი ვარ... და გიბრძანებ, გამათავე... მესროლე.

სახე მოეკრუნჩხა, ფეხები დაეჭიმა, ტუჩებზე კი სისხლი აუქაფდა... მაპატიე, შარან, ალბათ დაგდალე ჩემი ძწუნარე ხაამბობით, მაგრამ ბოლომდე თუ აპირებ ჩემს მოსმენას, მაშინ ნუ დაშეძღურები და ჩემი მონათხრობი სისხლიან ჭრილობასავით იქნება, ბოროტი ხელი მარილს რომ აყრის ზედ. ძველ დროში ამბობდნენ ხოლმე: წამალი მწარეაო.

მოკლედ, ჩემი სიძე გარუნი მოკვდა და ხელში ავადმყოფი და მშვიერი ჩვილი შემრჩა.

ბავშვი ტახტზე დავაწვინე, სიძეს თვალები დაუხუტე და აიშასკენ წავედი. ფრთხილად ავიყვანე ხელში, კუპრივით შავი ნაწახავები ფეხებამდე ჩამწვდა. გახსენებაც კი შეშხარავია. ხამცეცა დისშვილი, ვისი სახელიც კი არ ვიცოდი, სულ ცოტა ხნის წინ რომ ჩხაოდა და ტირილით იფხრიწებოდა, უცბად ჩაჩუმდა. საცოდავი, უგუნური პაწია, ვისი სიცოცხლაც სანთლის ალივით ფარფატებდა ქარ-



ში, გაყუჩდა. სიცხისაგან გავარვარებულ სახეზე ხვითქი გადასდიოდა. ჩემი მზერა ბავშვის თვალებს წააწყდა და ვამაყრეოლა. ახრინად იხედებოდა და თითქოს შველას მთხოვდა. აიშას რომ დავარდნოდა, იმ დოქით მდინარის წყალი შოვიტანე, ბიჭს დავალევი-ნე, მერე რალაც ჩვარი დავასველე და სახე მოვწმინდე. ხელისგული გახუტრებული ლოყის ქვეშ ამოიღო და დაიძინა.

— რა ვქნა? — ვფიქრობდი შიცვალელებებს თავთან გაჩერებული. იქნებ მსახვრალმა ბედმა ეს ახალშობილი შინც შეზრალოს და ძიძის შოვნა მოეახერხოს სადმე, მაგრამ სად? მანამდე კი შიცვალელები უნდა მივაბარო მიწას — წესი შოითხოვდა, რომ დამარხულიყვნენ და ახლობლებს დაეტირათ. სად მომეძებნა მაცხე, აიშასა და გარუნის სიკვდილი რომ შეეტყობიხებიან ხათესავებიანათვის? ნუთუ კაციშვილს ვერ ვნახავ ახლომახლო? ქოხის კარს ჯოხი გავუყარე, ძაღლები რომ არ შესულიყვნენ და ზღვის ხაიბრისკენ წავედი. ცოტა რომ გავიარე, დავიძახე, მერე სამჯერ დავცალე ჰაერში ნაგანი.

— ჰოუ, — მომესმა პასუხი ცოტა ხნის შემდეგ და დამტვერილ ბუჩქნარიდან სამი კაცი და ხანშიშესული ქალი გამოვიდა. ყველანი გატანჯული იყვნენ და ფეხებს ძლივს მოათრევდნენ. კაცებს ბარები გაედოთ მხარზე, ქალი კი თავიდან ფეხებამდე შავებში იყო გახვეული და თმა გამლილი ჰქონდა. მაშინვე მივხვდი, რომ ესეხი-მორწმუნენი იყვნენ და თავისი ნებასურვილით ეტვირთათ შიძმე მოვალეობა — შიწისთვის მიებარებინათ. უპატრონო შიცვალელები. უვამბე ჩემი დისა და სიძის სიკვდილი, სიცხისაგან ერთიანად გათანგულ ბავშვზეც მოვუყვები.

— ეპ, ჩემო ძვირფასო, — მითანაგრძნო ქალმა, — შეხი კეთილშობილი ნათესავების ბედი ბევრს არჯუნა განგებამ. — თითი ცისკენ აიშვირა და თქვა, — ჩვენ, უბიხებს, ღმერთმა ზურგი შეგვაქცია. სამშობლოს მიტოვება დიდი ცოდვაა და აი, გვიწია კიდეც ამ ცოდვამ.

— ვიზიარებთ შენს მწუხარებას, გენაცვალე, შიცვალელებების დაკრძალვაში დაგეხმარებით, სხვა კი არაფერი შეგვიძლია. — და ბარი დაჰკრეს მიწას კაცებმა.

ქოხთან მივედი, ბავშვი ისევ ტიროდა, ტუჩებს აწყლაპუნებდა და სუნთქვა ეკეროდა. ქალმა აიყვანა, გულში ჩაიკრა და მწუხარედ გადააქნია თავი:

— არც ამას აქვს სასიცოცხლო პირი.

8. ბაგრატ შინქუბა

ქალი ბავშვის ნანაობით გავიდა გარეთ. კაცებმა მოხერხებულად დააწვინეს მიცვალებულები. მე ყაბალახი მოვიხალე, გულში ძვილს ვიციმდი და ვტიროდი. ჩემი, დედაჩემის, მამაჩემის და ჩემი დების სახელით დავიტირე საცოდავები, უბიხების დაობლებული საქმობლოს სახელით დავიტირე. მზე ჩადიოდა, შუბის ტარზელა იყო, ბორცვის ძირას რომ მივიყვანეთ მიცვალებულები. იმათ დამარხვამდე ბავშვმაც დალია სული, თითქოს უდღემამოდ დარჩენა არ უხდოდა ამ ეშმასაგან გამორჩეულ მიწაზე. ბიციც იქვე დავმარხეთ, მშობლების გვერდით.

— მშვიდობით, ზაურყან, — მოთხრეს კეთილმა ადამიანებმა, — ღმერთმა გაშოროს ასეთი უბედურება, რაც დღეს დაგატყდა თავს, უკანასკნელი იყოს. მეტი ვერაფრით დაგენმარებით, ჩვენ თვითონაც ვანწირულები ვართ. ვერსად გავექცევით სიკვდილის ცელს. — ახალ საფლავებზე მიმითითეს და თითქოს შურიით მოთხრეს, — ბედნიერები! ჩვენ უფრო მწარე ხვედრი გველის, დაძმარხველიც არ გვეყოლება და ყვავები ამოგვკორტნიან თვალებს, წაათრევენ ჩვენს ძელებს. ჩვენი სულების სახსენებლად ილოცე, ზაურყან!

ყველანი წავიდნენ და მარტოდმარტო დავრჩი საძმარხებურ სიჩუმეში. მზემ პორიზონტი სისხლისფრად შეღება და ჩაესვენა. ცა დაიბინდა, ჩრდილები დაგრძელდა. გადავწყვიტე, პირველი ღამე გამეთია, როგორც ჩემმა წინაპრებმა იცოდხენ, რომელიმე მხეცს საფლავები რომ არ წაებილწა.

რომ დაღამდა, კოცონი დაევანთე მიცვალებულების თავთახ. ძალე მცხრალი მთვარე ამოვიდა. მიწაზე უფრო ხათელ ცაზე სავანებივით მიცურავდნენ ღრუბლები. დადლილობისაგან თითოეული კუნთი მიბუზუნებდა, ფიქრები მერეოდა და თვალები თავისთავად მეხუჭებოდა. ყაბალახი თავქვეშ ამოვიდე და მაშინვე დამეძინა. ბაბუაჩემი დამესიზმრა. ბაბუა ცოცხალი არ შინახავს, ჩემს დაბადებამდე მოკვდა, მაგრამ მამაჩემი ხშირად მიაშობდა ხოლმე მასზე და ვიცანი ბაბუა იყო. თეთრი ჩოხა ეცვა, ისეთი ქათქათა, თითქოს პირველი თოვლისგან შეუქერავთო. თავიც თეთრი ჰქონდა ბაბუასხელში უზარმაზარი შავი ქვაბი ეჭირა. ქვაბი წყლით იყო პირაძდე საცსე.

— ზაურყან, — საყვედურით მოთხრა მან, — ვინ მოგცა ნებივრობის უფლება, როცა მთელი ხალხი ფეხზეა, რათა ხიფათი აიცილოს.

— რა ამბავია? — ვკითხე ქ.

— შენ რა, დაბრმავდი? მიიხედ-მოიხედე, მთები იწვის, — ხელი მწვერვალებისკენ გაიშვირა და ჰაერში რკალი მოხაზა.

მის შემოხაზულ სივრცეს გავხედე და დავინახე, მთები ცწვოდა გაწეწილი ცეცხლი ცოცხლად გატყავებული დომბების ნახირივით მიუყვებოდა ფერდობებს. მისი შუქი მარად თოვლიან მწვერვალებსაც წვდებოდა უკვე და ანათებდა. ღრუბლები წითლად იღებებოდა და ცა ხმელი ფიჩხივით ტკაცუნობდა, არანაშული სიდიდის იაქნიანი გემები ნაპერწკლებს აფრქვევდნენ.

— რა ხდება, რა ამბავია? — ჩაეიჩურჩულე შეძრწუხებულმა.

— ღვთის წყრომაა. ღმერთმა ხელი აიღო ჩვენზე და გადაწყვიტა პირისაგან მიწისა აღვავოს უბიხების მოღვა. მთელი დამე თქის თოვლი მოღლიდა. იმდენი მოთოვა, რომ მთები დაიფარა. შერე ღმერთმა უწყის საიდან და მეხიც გავარდა და ცეცხლმაც იფეთქა, გაიქეცი, ზაურყან, გაიქეცი, ჩემო ბაღიშო, გადაარჩინე მთები.

მოხუცს უზარმაზარი ქვაბი გამოვტაცე და ცეცხლის ჩასაქრობად გავიქეცი. ამ დროს გამომეღვიძა კიდეც. უცბად ვერ გამოვრკვიე, სად ვიყავი, შემდეგ დილის ბინდბუნდში ახალი საფლავები დავინახე და ყველაფერი გამახანგნდა. ზურქს უკან რაღაცამ დაიწყებუტუნა. მივიხედე და ძალლი დავინახე, ნეკნებს დაუთვლიდა კაციბირკებით იყო გაბურძგნილი, კული დაეშვა და წკაფწკაფებდა.

— მოშორდი აქედან! — დავუტყვინე და ხელიც ავუქნე, თითქოს ქვას ვესროლი. შეშინებული ძალლი იქით გაიქცა, ჩაცუცქდა და ყმუილი დაიწყო. რამდენჯერ არ ვცაღე მისი გაგდება, მაგრამ ამაოღ. ძალლი რამდენიმე ნაბიჯით გაიქცეოდა და ისევ გაბშით ყმუოდა. „იქნებ, მეთევზის ქოხის პატრონების ძალლია, — გავეფიქრე მე. — მაშინ ესაა აქ მასპინძელი და მე — სტუმარი“.

ჩემი აზლობლების დასაფლავება, საშინელი სიზმარი, ძალლის ყმუილი, ყველაფერი ამერ-დამერია თავში. „ნეტავ ისინი მაინც თუ არიან ცოცხლები, ვინც შინ დავტოვე? რომ აღარ დამხვდხენ?“

თვალეები დავხუჭე და თითქოს მზეს ვუყურებდი: ყველაფერი სისხლივით წითელი იყო. წამოვდექი და ჩქარა გავბრუნდი უკან.

ჩვენს ბენას როჲ მივეუახლოვდი, შორიდანვე შევხიშნე მუჰაჯირების რუხი ცროვა. ყაყანიც შემომესმა. თავჯრლობისკენ მიჰაეალ მოხუცს დავეწიე და კვითხე:

— რა ყროლობაა, რატომ არიან შევროვილი?

— სამსუნის გუბერნატორი ომერ-ფაშა უნდა მობრძანდეს, ჩვენთან ლაპარაკი ვანუზრახავს, — კვერთხით გაქვეავებულ შიწას ჩიჩქნიდა და ისე მპასუხობდა მოხუცი, ბრბოს გაუუსწორდით. შარდინას, ალოუს ძის ხალხის გარდა, იქ უცნობი მთიელებიც იყებხ. აღეღებული ლაპარაკობდნენ, კამათობდნენ, ხელებს იქხევდნენ. ზოგი უიმედოდ იყო განწყობილი, ზოგი — იმედიანად. თვალები კი ყველას კოცონის ნაპერწყლებივით უელავდა, ცეცხლში ქვის ჩავდებით რომ ამოჩინჩხლულან. კაცების გვერდით შაოსანი ქალები იდგნენ. მოხუცებს პირი თალხი თავსაფრების ბოლოებით დაეფარათ და წამდაუწუმ ოზრავდნენ. ხალხს თვალი შოვავლე და მაჰაჩემი დავინახე, ბზის ჯოხს დაყრდნობოდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს წააწყდნენ. „ყველაფერს მიხვდება ჩემი შემხედვარე“, — გავიტიქრე მე.

— ჰამირზა! — დაუძახა ვრლაცამ მამაჩემს და იმანაც იქით მიაბრუნა თავი. ქოშინით მოვარდა ჩემთან მატა.

— მადლობა ღმერთს, ცოცხალი და ჯანსალი რომ დაბრუნდი, — წამოიძახა მოსალმების ნაცვლად. მხარზე ამეკრა, თვალეში ჩაძხედა და მკითხა:

— აიშა ნახე?

პირდაპირსა და მოუთქენელ შეკითხვაში ცუდად დაფარული შიში იმალებოდა. ვაითუ იმედი მოვეუკლა?

— ვნახე, ვნახე, — კეთილად ვიცრუე. — ყველაფერი რიგზეა. — და ახალი შეკითხვა რომ არ მოეცა, თვითონ დაეასწარი:

— თქვენ როვორღა ხართ?

— არა გვიშავს, ზაურყან. დედა ძალიან წუხდა, რომ დაიკარგე. სამი დღე ლოგინიდან არ ამდგარა. დღეს წამოდგა მხოლოდ. თითქოს გულმა უგრძნო, რომ დაბრუნდებოდი.

ხალხი ქადარაშერთულმა, მაგრამ შინც ახალგაზრდა, შხარბეკიანმა, დაბეტილ ჩოხიანმა მთიელმა გაარღვია და გესლიახად იკითხა:

— ერთი ეს მითხარით, სად დაიყარა ჩვენი სულიერი შოძლევარი, ღვთისმოსავი საპატქერი? — ყველას ერთად შიშართავდა მთელი, — გადმოსახლებამდე ჭერ კიდევ დიდი ხნით ადრე ეს წმინდა მამა სოფელ-სოფელ დადიოდა და ჩვენ, სულელებს ღამაზ ზღაპრებს გვიყვებოდა, წამოსასვლელად გვაქებებდა. — საპატქერის ხმას მრბაძა და ნეტარებითა და ტკილად წარმოთქვა: — გაიგეთ, კეთილო ხალხო, თურქეთი ეს მწვანე გიულისტანია, წმინდანთა სამოთხის ბაღია. ამ სურნელოვან ბაღში არც სიცხე იცის და არც სიცივე. ბაგეთაგან არავის დასცდება იქ წყევლა-კრულვა, მხოლოდ სამადლობელ ლოცვებს წარმოთქვამენ, სად არის ახლა ეს საზიზღარი მატყუარა? ხელში თუ ჩავიგდე, წაძში ამოვხდი სულს! — და გოლიათმა ისე გაიქნია ჰაერში ნომ-მუშტული ხელები, თითქოს უხილავი საპატქერი უჭირავსო.

— მიღი და სდიე ქარს მინდორში!

— ჩამოვიდა თუ არა გეშიდან, ისე გაქრა, ძისი აღი-კვალი არავინ იცის.

— ამბობენ მექას წავიდა მოსალოცალო.

შავი ქვა დაეცეს იქას! — მოხუცმა ჰამილამაც შეაწია ხმა კაცების ყაყანს და თავსაფრის წვერით ცრემლები მოიწმინდა.

— თურქეთი დიდი ქვეყანაა... იქნებ სამსუნთან გადმოძხდარიანი ქათამივით ჩვენი საკუთარი ქანდარის გარდა ვერაფერს ვხედავთ? ვინ იცის, იქნებ, საპატქერი მართლა წავიდა ჩვეხთვის აღთქმული მიწის საძებნელად? ჩვენი წინამძღოლი შარდინი, აფლოუს ძეც ხომ არ ჩანს, — ხაჯსს ჩაეჭიდა კეთილი საზი შრინი.

— ვისაც ფული აქვს, იმისთვის ჭოჯობეთიც საძოთზე იქნება. ჩვენ სულს ვღაფავთ, კეთილო შრინ, შენ კი იმედოვნებ, რომ შოვლენ ჩვენი კეთილისმყოფელები და სამოთხის ბაღში წაგვიყვანენ. თავს ნუ იბრმაჟებ! — მათრახით გადაჰკრა შრინის ძეგლის ვარდისფერ ტოტს გაცეცხლებულმა შთიელმა, გაიძვერა საპატქერიზე რომ ლაპარაკობდა.

აქეთ იხედებოდა, თითქოს ვიღაცას ეძებსო და ხალხს მიაჩნდა ვეგდა ძიაშშ ნაურბი, ბარაკის ძე. ის ყოველთვის ფიცხი იყო, ფეხზე შეყენებულ ნავანს ჰგავდა. ძიაშშ ხაურბი ფეხზე კი არ დგებოდა, წამოხტებოდა ხოლმე და ისე აწყვეტილებდა სიტყვას მოსაუბრეს.

— ლოვინიდან ადგა, — მითხრა მათამ. ბარაკაის ძე მართლა მო-  
შაკვდავივით ფერწასული იყო და ისე იკაკვებოდა, სიბრალულის  
გარეშე ვერ შეხედავდი კაცი.

— იმაზე დავა, თუ ვინაა ჩვენი უბედურების მიზეზი, ხერის  
ვერ მოკვიტანს, — დაიწყო მან ჩახლეჩილი, თითქოს გაცივებული  
ხმით, — ერთი რამ კი ცხადია, ცხვრებივითა ვართ მოტყუებული და  
გაყიდული. სად გაქრა ჰაჯი კერანტიხი? ა? არ იცით, არა? დაეი-  
ფიცებ, რომ ის ახლა განცხრომაშია. ასეთი კაცისთვის უცხო ქვეყა-  
ნაც სამშობლოა. აქ მეჭლისი არაა, სადაც ენას იფხანენ და ხარის  
შუბლს უჯახუნებენ ერთმანეთს. მოკლედ გეტყვით: ნათესავენს, ძი-  
ძიშვილებსა და მეზობლებს განვეუცხადე, რომ მზადა ვარ სათა-  
ვეში ჩავუდგე იმათ, ვისაც სამშობლოში დაბრუნება სურს. ამ საქ-  
მეს მშვიდობიანად თუ ვერ მოვაგვარებთ, იარაღს მოკვიდებთ  
ხელს. მე მგონი ჯობია ისე დავეცეთ, რომ სამშობლოსაკენ გვქოხ-  
დეს პირი, ვიდრე აქ უცხო მხარეში შიმშილით ამოვწყუდეთ. დროა,  
ვიმოქმედოთ! — ხელი ზღვისკენ გაიქნია და დაიძახა: — ზვალ  
გზას გავედგებით!

უმრავლესობისთვის ნაურჩხის, ბარაკაის ძის სიტყვები მოუ-  
ლოდნელი იყო და თუმცა შეჩვეულნი იყვნენ ნაურჩხის ნაჩქარევ  
გადაწყვეტილებებს, „ზვალ გზას გავედგებით“ — ამ სიტყვებმა  
შაინც ჩააფიქრა ისინი. ყველას ჰყავდა ქალები, მოხუცები და ბავ-  
შვები. ადვილი სათქმელია, მთელი ოჯახი წამოიყვანეო, ბედის ახა-  
ბარა კი ვინ მიატოვებდა ჯალაბს უცხო მხარეში? ძიააშუ ნაურჩხმა  
იცოდა ეს.

ხალხი ყოყმანობდა, მაგრამ ნაურჩხმა ისიც კარგად იცოდა, რომ  
პური მანამ უნდა მიაკრა თონეს, სანამ ცხელია.

— თქვენშიც იყვნენ წესიერები და მამაცები, რომლებიც გვა-  
ფრთხილებდნენ, ხაფანგში არ გავებათო, მაგრამ ვინ დაუჯერათ.  
ცხვრებივით გამოვყევით გზააბნეულ კაცს ამ ქოლერიან სოროში  
ცოლდებოთა და შვილებით.

— რაც მართალი მართალია, ძვირფასო ნაურჩხ, — ვერ მოით-  
მინა მოხუცმა სითმა და ყაბალახი უკან გადაიგდო, — შენი ძმა აჰ-  
მეთი ცდილობდა შეეჩერებინა ზალხი, უშლიდა დამღუპველი ნაბი-  
ჯის ვადადგმას, მაგრამ მამინ ხომ შენც...

— ფაშა მოდის, ფაშა!

ამ ყვირილმა აღარ დაამთავრებინა მოხუც-სითს სათქმელი.

სამსუნიდან მომავალ გზაზე ათი აკერისაგან შემდგარი ბაღრავის თანხლებით მხედარი გამოჩნდა. მალე ხალხს გაუსწორდა. შეგუფუფულებები გაიყვნენ და ფაშა ხალხის შუაგულში გაჩერდა. უზარმაზარი კაცი იყო, შავგვერემანი. ასპიდის ფოჩიანი ფესი ეხურა. ზეთისხილივით მოლურჯო თვალებით შეგვათვალიერა. ზორბა სისვ ბედაურზე იჯდა. უზანგები ბოლომდე ჰქონდა ჩაშვებული და ვრძელფეხება მხედარი თითქმის მიწას წვდებოდა ფეხის წვერებით. ზევრმა უბიხმა იცოდა თურქული, დად მარაბ, ჩვეულებრივად კი თავადებმა, მათმა შინაყმებმა, ვაჭრებმა და კონტრაბანდისტებმა. ჩვენნაირ უბრალო ხალხთან ლაპარაკი უთარჯიმნოდ არ შეეძლო ამერ-ფაშას. ამიტომ მარცხენა უზანგთან გოხიერი ახალგაზრდა, წერა-კითხვის მცოდნე მზაუჩ აბხუბა დაუდგა ფაშას თარჯიმნად. იგი საზ-აფხაზი იყო, გაგრიდან.

მოსალმების შემდეგ ფაშამ იკითხა:

— აქ ყველანი მუსულმანები ხართ?

— ყველანი მუსულმანები ვართ, გუბერნატორო! — უპასუხა შიხუცმა სითმა.

— თუ მუსულმანები ხართ, რატომ მეჩეთში არ დადინართ? რატომ არ ასრულებთ ხუთ ნაშახს, როგორც მართლმორწმუნეთა წესია?

საუბრის საყვედურით დაწყება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ თავაზიანი საქციელი არ იყო.

— პატივცემული ფაშა, ნება შიბოქეთ, აღვნიშნო, რომ ალაჰმა შიშველი კაცი საცვლების რეცხვის აუცილებლობისაგან გაათავისუფლა. მეჩეთში კი წავიდოდით, მაგრამ იქ პური არ არის, შიშვილი რომ მოვიკლათ, წამალი არ არის, სახადის ცეცხლი რომ ჩაქაქროთ, რომელიც ასე უწყალოდ გვფერფლავს.

მე თვითონ გამიკვირდა ჩემი ხმა, ფოლადივით უღერდა, მარჯვენა ხელი კი ხანჯლის ტარს ბლუჯავდა. თითქოს ბურანში ვიყავი, ისე იდლაბნებოდა ჩემ წინ ფაშას სახე. ზედ მოჩვენების ჩრდილივით შიცურავდა მკედარი აიშა, მკერდზე მიკრული ჯერ კიდევ ცოცხალი ბავშვი ძუძუს სწოვდა. აიშას კუპრივით შავი ხაწნაგები ცხების ფეხებს სცემდა, რომელზეც ფაშა იყო ამხედრებული. მატა მყისვე წინ ამეფარა. თარჯიმანმა გამხეცებული ხარი თვინიერ ცხვარად აქცია:

— ჩვენ გვშია, ბატონო ფაშა, — ასე გაღასცა მან ჩემი ხატკვამის შინაარსი.

— ხვალღან თითოეული ოჯახი ერთ გოდორა პურს მიიღებს. — ისე ღიდის ამბით გამოაცხადა ომერ-ფაშამ, თითქოს ხვალღან სამოთხის კარს ველეზდა.

ვერ გაიგონა ფაშამ მხიარული შეძახილები. პირიქით, ავადმყოფი ფრინველივით მიხანხალდა მასთან მოხუცი ჰაშიდა და ჩაიჩიფჩიფა:

— მარტო გამხმარი პური რას გვიშველის, ბავშვები გვეხოცება ურძეოდ.

„უმაღურები“ — უკმაყოფილებამ გაიელვა ფაშას თვალეზში.

— ეს მუსულმანური წესი არ არის. სადაც მამაკაცები იკრიბებიან, იქ ქალებს არაფერი ესაქმებათ და ისიც უჩადროდ. დროა, დაიფწყოთ ვიაურების აღათები. აქ რუსეთი არ გევნოთ, აბა, ახლავე წავიღნენ ქალები აქედან!

— მოიღეთ მოწყალეზა და მოძისძიხეთ, ბატონო, — კაღარა წვეროსანმა საულაჰმა ხელისგულები ერთმახეთს მიადო და თაყვანი სცა ზორზოზა მხედარს. — ჩვენ, უბიხებს გვაქვს ყოვლისშემძლე ბითხა. მე პატივი მაქვს, მისი ქურუმი ვიყო. ჩვენი წძიდათაწმიდას სადიღებლად რომ ვლოცულობთ ზოლმე, ქალებიც ჩვეზ გვერდით დვანან. ასეთია ჩვენი აღათი. წინაპრებისაგან გვაქვს ეს ნანაღერძევი.

როცა მზაუჩ ანხუბამ სიტყვა-სიტყვით უთარგმნა ქურუმის ნათქვამი, ფაშამ მათრახი უნაგირზე გადაღო, ხელები ცისკენ აღაპყრო და ლოცვა აღავლინა:

— ლა ილლაჰა, ილლა-ლ-ლლაჰი! — შემდეგ ლოცვა შეწყვიტა და მუქარით დაუყვირა ხალხს: მეჩეთში წადით უწმინდურებო, ყველანი მეჩეთში წადით! ლოცვით გამოისყიდეთ თქვეზი ცოდვებისხვანაირად სამოთხის ნანჯვას ვერ ეღირსებით.

ბრაზი მომაწვა ყელში.

— ამ მიწაზე ადამიანური ცხოვრების სამუალეზა მოგვეციოთ და სამოთხე თქვენთვის დავკითშია.

მატა ისევ დაიძაგრა და ისევ ამეფარა. მამაჩემის უკმაყოფილო მზერაც დავინახე: „სად არის შენი თავდაქერა, შვილო?!“

ომერ-ფაშამ, ვისი მკვერმეტყველებაც მე შევწყვიტე, მოიხედა ასკერმა მათრახის ტარით ჩემზე მიუთითა.



— შაითან!.. — შეიგინა სამსუნის გუბერხატორმა, ქველშოქმედის ნილაბი მიიშორა და გამოაცხადა: — დედამიწაზე ალაპის ერთადერთი ნაცელის სულთნის სახელით ვბრძაბე, სიაში 'შეეტახათ ანაღგაზრდები, ვისაც სამხედრო სამსახური შეუძლიათ. სიაში მოხვედრილებს ჭარში გაიწვევენ, ვინც მოხალისედ წავა, ჭილდოს მიიღებს, მისი ოჯახი კი — მთავრობის მფარველობას.

სიჩუმე გაქეფდა. პირველმა 'მამაჩემმა დაარღვია იგი:

— ჩვენი შვილებს წაყვანას აპირებენ, ყოველგვარი იმედი და საყრდენი უნდათ გამოგვაცალონ.

— ეჰ, ჰამირზა, — სულმოკლეობა გამოიჩინა ვილაცამ, — დღეს თუ შენი ნებით არ მიეცი, ხვალ ძალით წაგართმევენ. ძალა აღმართსა ხნავს...

ხალხი გაოგნებული იყო, მაგრამ ამ დროს ომერ-ფაშას წინ ნაურჩი აღიმართა. მოკლე კვერთხი მიწაში ჩაარჭო, ზედ ქუდი ჩამოჰკიდა და პირდაპირ, გადაკრულ-გადმოკრულის გარეშე ჩაუქიკიკა თურქულად:

— მოვისმინე, უფროსო, ჩვენ თქვენი სამოთხის შიწის ღირსხო არა ვართ, ან თქვენი მიწა არ არის ჩვენი ღირსი. აქ ჩამოსულების ნახევარი უკვე მიწაში წევს. დანარჩენებსაც ეს ბედი ელით. იცორა, უფროსო, ჩვენ სამშობლოში დაბრუნება გადაუწყვიტეთ. შოგვეცით გეშები! თუ არადა... ფეხით წავალთ, ოღონდ საზღვარი გაგვიხსენი. გამოიჩინეთ ასეთი მოწყალება და მთელი საუკუნე თქვენი სულთნის ჭანმრთელობისათვის ვილოცებთ.

ხალხი გაისუსა. მაგრამ ნაურჩის, ბარაკის ძის სიტყვებმა ომერ ფაშა არ შეაშფოთა. ეტყობა მზად იყო მუჰაჯირების ასეთი მოთხოვნისათვის და არც დაფიქრებულა იმე უპასუხა:

— ეს შეუძლებელია, ჩემი ნება რომ იყოს, 'კი ბატონო, მაგრამ განა მე შემიძლია ორი დიდი სახელმწიფოს — თურქეთისა და რუსეთის შეთანხმების პირობებს შეცვლა? ნუ გეშინიათ, ჩვენი ნახევარი მთვარის ქვეშ არ ვაგვიპირდებათ. ლა ილლაჰა, ილა-ლ-ლლაჰი! არ დაგავიწყდეთ, ყოველ პარასკევს მეჩეთში იარეთ, გახიწმინდეთ თქვენი სულები... — ასეთი ღალოცვის 'შემდეგ ცოტა გაიხავარდა ჩვენ წინ, მერე მათრახი უცხუნა ცხენს და თოხარიკით გაგვშორდა. ბადრაგიც უკან მიჰყვა. მტერის კორიანტელმა დაფარა მნედრები. დაღონებულმა ხალხი დაიშალა. მალე მე, მამაჩემი და ჩემი

ძმა პირისპირ აღმოჩნდით. მამამ პირდაპირ შემომხედა, ვერ გავუქმელი და თავი დავღუნე.

— თვალუბზე გატყობ, რომ აიშას თავს უბედურებაა... — ხელი მატას დაადო მხარზე და დაუმატა, — სანამ შარტო კაცები ვართ, ყველაფერი ისე მითხარი, როგორც არის.

და მეც ყველაფერი დაუფარავად ვუამბე. შამაჩემს ყბა აუცახცახდა. ეს იყო და ეს. ამ საშინელმა ამბავმა გული რომ გაუგმირა, სხვა რაიმეთი არ გამოუხატავს. ის კი არადა ხელიც კი მოაშორა მატას მხარს და მხოლოდ ბზის კვერთხზედა იყო დაყრდნობილი. ჩემი საცოდავი ძმა კი, ცხადია, სიყმაწვილის გამო, პატარა ბიჭვით აღზარდა. ვაცალეთ ცრემლის ღვრა და შემდეგ მამამ, უბედურება გადატანილი კაცის ხმით გვითხრა:

— კბილი კბილს დაჰკირეთ და ეს საშიხელი დარდი საიდუმლოდ შეინახეთ. არც დედათქვენმა და არც თქვენმა დებმა არაფერი გაიგონ. თუ გაიგეს, იცოდეთ, ეს განდება მათი დაღუპვის შიზეზი. შენ კი, ზაზურყან, წადი და ეცადე იმედის ნაპერწკალი გაუღვივო მათ. წადით, ჩემო ბიჭებო!

მამამ დაგვტოვა მე და მატა. ის ჩემს უკან მოლოდიალობდა. აღარ სლუჯუნებდა, თხრავედა მხოლოდ. ჯერ კიდევ ადრე, სახამ აიშას საქმებნელად წავიდოდი, შევნიშნე, რომ მატა ვახდა, სიმშვიდე დაკარგა და ხშირად წამოიყვირებდა ხოლმე ძილში. ვხვდებოდი, რომ მას ხორცი კი არა, სული ტკიოდა... ჩვენი მთები, ჩვენი ეზო, ჩვენი მიწა, — მხოლოდ ეს ეკერა პირზე.

— ბოლო დროს, — გამომიტყდა მატა, — ცუდი სიზმრები მაქვს. წუხელ მესიზმრა, ვითომ გამთენიისას სიმინდით სავსე ტომრით მივედი ჩვენს ძველ წისქვილში. ვხედავ კარი ღიაა, ზღურბლთან კი ვიდაცის რუხი ძაღლია. საცაა დამეტაკება და ყელში მწვდება. ყუფს წყეული, მაგრამ ხმა არ ისმის; შუნჯია. ქვას ვტაცე ხელი და ძაღლს ვესროლე, ძაღლი გვერდზე განტა. წისქვილში შევედი და გავვოცდი: ქვედა ბორბალი გამწვარებული ბრუხავს, ღოლაბები კი უძრავადაა და სამი თითის დადება მტკერი ადევს ზედ. ხის გობის ნაცვლად სადაც ფქვილი უნდა იყრებოდეს, შავი კუბო დგას, შიშმა ამიტანა და გარეთ გამოვვარდი. გარეთ კი ვხედა, თუმცა წუთის წინ მზე ჩახჩახებდა. თოფის წაშალივით შავ ცაზე მზის ნაცვლად შებოლილი წითელი ყველის მსგავსი დაბინდული წრე ჩანს... ალბათ ვყვიროდი ძილში და მამამ გამაღვიძა...

„ერთს ბრძოლაში ხელი წააცალეს, იმას კი ერვენებოდა, თითები მოძრაობსო და ტკიოლა კიდეც“. — გავიფიქრე მე.

— მოითმინე, მატა, იქნებ ყველაფერი გამოსწორდეს.

— ზაურყან, — მითხრა მან ცოტა ზნის სიჩუმის შემდეგ, — იცოდე, სამშობლოში დაბრუნება თუ ვერ მოვახერხებ, შოგვედები. სიცივემ დამიარა, ვიცოდი, ეს ლიტონი სიტყვები არ იყო.

— ნუ სულელობ და მოეშვი სულათათანას, — შევარცხვინე მე.

მაგრამ მატამ ჩემს ნათქვამს ყური არ ათხოვა:

— ნაურზი და მისი მეგობრები უკვე ემზადებიან სამშობლოში დასაბრუნებლად, ვიცი; დედა და მამა სიკვდილს ამჯობიხებებს ჩემს გაშვებას, მაგრამ გეხევეწები, ზაურყან, მიშუამდგომლე! ამბობენ, ეს სარისკო საქმეაო. შეიძლება ტყუილბრალოდ წავაგოთ თავი, მაგრამ გაჭირვებამ კანონები არ იცის. ყველაფერი იღბლის საქმეა, ძმაო, მართალია, ცოდონი არიან დედა, მამა, დები, მაგრამ თუ დავიღუბე, შენ ხომ მაინც იქნები მათთან. თუ გაშიმართლა და ჩვენს მიტოვებულ სახლამდე შივალწიე, გაცივებულ კერას გავაჩაღებ, მეურნეობას მოვკიდებ ხელს, დავხნავ, დავთესავ, მოსავალს მოვიწიე; შეჩვეული ვარ შრომას. პირუტყვეს შოვაძრავლებ, ვინადირებ, შემდეგ კი რაღაც არ უნდა დამიჭდეს, სანდალს დავიჭირავენ და თქვენს წასაყვანად ჩამოვალ.

ჩემ წინ შევარდნის მსგავსი მთიელი ჭაბუკი ოღვა, ვისაც თავისუფლება წაართვეს, მაგრამ ცაში აჭრის ოცნება კი — ვერა.

— სულ ახლა მოგისპო ომერ ფაშამ ეგ შენი იმედი. მისი ბაგით თურქეთის ხელისუფლება ღალატდება. შერედა, რომ დაბრუნდით კიდეც ჩვენს მიწა-წყალზე, მოგცემენ კი იქ ცხოვრების უფლებას? ასჯერ უნდა გაზომო. მე კი ხელს არ შეგიშლი, შენი ნებაა... — ამ დროს მე თვითონ ვგრძნობდი უსაზღვრო სურვილს, ნაურზის, ბარაკაის ძის გულად ბიჭებში ვყოფილიყავ და ჩემი წარმოსახვა ნაირ-ნაირ წარმტაც სურათებს ხატავდა: ჩვენს კერიაზე ცეცხლი წითელი მამალივით აფათქუნებს ფრთებს, კარი სტუმართმოყვრულადაა მოღიაებული. მაგრამ ჩემი გრძნობები არ გამომიმყლავნებია, ერთი კუნთიც კი არ შემრხვევია სახეზე. სამსუნის გუბერნატორმა, ალბათ, სწორი თქვა ორი სახელმწიფოს შეთანხმების შესახებ და ეს დასაღუპავად სწირავდა იმათ, ვინც ხაურზის მიჰყვებოდა და იმათაც, ვინც აქ რჩებოდა. როგორ უნდა დაგვეღწია თავი ამ ჯადოსნური წრისათვის? ვის, რომელ ადამიანს შე-

ედლო იძულებული გაეხადა რუსეთის მეფე და სულთახი, ეს ძველ-ლისძველი მტრები, მუჰაჯირებს საქმისათვის რომ გადაეხედათ. თავი სკას მიიგავდა, საიდანაც ფიქრები ფუტკრებივით გამოდიოდნენ. მაგრამ თათლი არ მოჰქონდათ. სინამდვილე ძალზე შწარფ იყო. როდესაც ჩვენს ბინას ვუახლოვდებოდით, აკლდამას რომ წაავადდა. მათა შემეხო მხარზე:

— მოიცა, ზაურყან, ნუ ჩქარობ...

— რა იყო, დაიდალე?

მან თავი ვააქნია და მთხოვა:

— წამოღი, მოხუც საკუტს მოვესმიხოთ, ცოტა ხნით წამოდი...

— კი მაგრამ, დედაზე და დებზე ხომ უნდა იფიქრო...

— მოესწრები ლამაზი ზღაპრის მოყოლას. თანაც მე კიდევ ვერ მოვსულვარ გონს, შემატყობენ...

— ახლა ჩვენ მუსიკის მოსასმენად არ გვცალია, მათა!

— არა, ზაურყან, სწორედ ახლაა საჭირო. მხოლოდ აფხიარცა თუ გაგვიქარწყლებს ნალველს, ოდნავ მაინც დაგვაშშვილებს. წამოდი, ძალიან გთხოვ.

ზღვისპირად მარტოდ მარტო მდგარი ხისკენ გავემართეთ. ქაღალაწვერიანი საკუტი ხეს მიყრდნობოდა და უსინათლო თვალები თეთრფაფარიან ტალღებისთვის მიეშტერებინა.

საკუტს გარშემო თავყრილობიდან დაბრუნებული ხალხი შემოხვეოდა. ერთი თხუთმეტი კაცი იქნებოდა. ბრმა შოძღერლის გვერდით გახუნებულ ასალზე აფხიარცა და ქამანი იღო. ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო, რომ ყოველდღე, მზის ჩასვლისას ასტანს თავისი ბაბუა ამ ერთადერთ ხესთან მოჰყავდა ხოლმე. მალე შეგროვდა ხალხი აშუღის სიმღერის მოსასმენად, ჩუქად რომ დაეღვარათ ცრემლი და ოდნავ მაინც გაექარებინათ გულზე მოწოლილი ნალველი. საკუტი თავის სიმღერას ორჯერ არასოდეს იძღვრებდა. ყოველთვის ახალ სიმღერას მღეროდა მხოლოდ. თითქოს ხალხს ასაჩუქრებდა და ერთსა და იგივე საჩუქარს, მოგეხსენებათ, ორჯერ არავის უძღვნიან. მოხუცი საკუტი თვალის ჩიხის დაკარგვის შემდეგ ადამიანებს ხმით ცნობდა, ვინც არ უნდა მისალმებოდა, საკუტი სალმითვე უპასუხებდა და სახელითაც მიმართავდა...

— დღე მშვიდობისა, საკუტ, — მიევუახლოვდი მე.

— ო, ზაურყან, ღმერთმა გაუმარჯოს ჰაშირზას უფროს ვაჟი-

შვილს. დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, და! კარგი ქეხი, რომ მოხვედი, რაღაც უნდა დაჯავალო. ჩემი შვილიშვილი ასტანი ძალზე ყმაწვილი და გამოუცდელია, დანარჩენი ხათესავეები კი დაიხოცნენ. სიკეთე ქენი და ჩემი სიკვდილია შეძვევ კეჟა დაარბე ხოლმე. უფროს ძმააჟით ემე. მე ცოდვილი კი ამ ხის ქვეშ ღამმარხეთ. უკვე სხვებსაც ვუთხარა. პირი შშობლიური შთებრსაქენ მაქნევინეთ. ამ ქისაში, — მან ქმარზე გამოძმულ ტყავის ქისაზე მიმითითა, — ერთი მუჟა შშობლიური მიწა ძაქეს, საძარეში რომ ჩამიშვებთ, გულზე დამაყარეთ. ჩემი აფხიარცა კი ამ ხეზე ჩამოკიდეთ. ხანდახან ქარი ჩამოკრავს ხოლმე სიმებს და ჩემამდეც მოაღწევს ხმა. შენი ძმა სადღაა, ზაურყახ?

— იგამარჯობა, ბაბუა! — წყნარად გამოხეხმურა მატა.

— აბა ჩემენ მოჩი! მოიხარე, მოიხარე.

მატა დაიხარა და მოხტემა შკრინობიარე თითები სახეზე მიუჟე-მოუსვა.

— იტირე, ბიჭო?

— ჰო.

— არა უშავს, ნუ გრცხენია, ცრემლები სირცხვილი არაა. ღმერთმა ვაჟკაცობით შეგიცვალოს ეგ ცრემლები.

საკუტმა ხელები მოაფათურა და აფხიარცა და ქამანი აიღო. ჩვეულებისამებრ საკრავი მკერდზე მიიღო და რამდენიმეჯერ შეეხო ცხენის ძუისაგან გაკეთებულ სიმებს ასაწყობად. საკუტი არ ჩქარობდა. თვალები ცისთვის მიებჯინა, თითქოს შუქსაც ხედავდა, ღრუბლებსაც, მონავარდე ფრინველებსაც და უძირო და უსაზღვრო სიმალღესაც.

— დღევანდელ დღესაც თავისი სიმღერა აქეს, — გამოაცხადა მან.

ხალხი გაირინდა. საკუტის ხელს დამორჩილებული ქამანი ჯერ რბილად დაეშვა სიმებზე, შემდეგ კი ასხლტა...

ურაიდა... გაზაფხულზე  
ყურს დაეუგდებ მოლაღურებს,  
აფხიარცავ, ეგ იმედი  
ნაბადივით მომახურე;

ფრთებს დაკრავდე ჩემს საფლავზე,  
როგორც ჩიტი მგალობელი,  
ჩემს სამშობლოს მახსენებდეს  
ყველა გამგულე-გამომგულეო.

— დედა, დედა, წყურვილი მკლავს  
და უხემსოდ დავიმშვევი.

— შეილო, ცოტა მოითმინე,  
წყაროზეა დაი შენი.

— დედა, დედა, წყურვილი მკლავს  
პურის ყუა მომაშველე.

— შეილო, ცოტა მოითმინე,  
წისკვილშია მამაშენი.

აფხიარცავ, ეგ სიმღერა  
ნაბადივით მომახურე,  
ურაიდა... გაზაფხულზე  
მეც ყურს ვუგდებ მოლალურებს.

## შპან, უზიხების ჰმეხნისაკენ

რუსეთის კონსული ტრაპიზონში იმყოფებოდა. გვარად მოშინი გახლდათ. ვიცოდი, რომ ამ კაცმა დიდი გულმოდგინება გამოიჩინა უზიხების თურქეთში გადმოსახლებისათვის. მოშინისა და მისთანანის ვარაუდი მარტივი იყო: შეიარაღებულ ძოვილებს თავიანთი ცის ქვეშ შეყუყუული მიწიდან თუ აუკრავდნენ გუდა-ნაბადს, მაშინ კავკასიის სისხლისდაუღვრელად დამორჩილება აცხადდებოდა. ამ ოდითგან შფოთიან მიწაზე ფეხის მოკიდება კი თეთრი მეფის დიდი ხნის ოცნება იყო. როდესაც მეფის ნაცვალის და მისი დაახლოებული პირები მუჰაჯირების გადასაცვანი გემების სიმცირემ გააოგნა, ისევ მოხერხებული და გაბედული მოშინი მოელაპარაკა პორტის ხელისუფალთ დამატებითი იალქიანი გემების მოცემაზე. მოშინი ცდილობდა სხვის მიერ მოწოდებული ცნობებით არ ესარგებლა, პირადად დარწმუნებულიყო იმ მოვლესათა უტყუარობაში, რაც აინტერესებდა. მუჰაჯირების სიღუბნის ამბავი რომ გაიგო, რამდენიმე ხელქვეითის თანხლებით ფეხით გაუყვა ზღვის ზანაპირს. საკუთარი თვალთ ხახახმა დაადარდიხა და სინდისმა ქენჯნა დაუწყო. გარდა ამისა, როგორც გინდა თქვი

და მუჰაჯირები მაინც რუსეთის იმპერიიდან იყვნენ. და აი მოშ-  
ნინმა, ღმერთმა აკურთხოს მისი სახელი, მიღება სთხოვა ვუბერ-  
ნატორ ომერ-ფაშას. მან უკმაყოფილება გამოთქვა თურქ ხელისუ-  
ფალთა მიერ სულთნის მფარველობაში გადმოსული ათასობით  
კავკასიელის მიმართ არაადამიანური დამოკიდებულების გამო.

— ისინი ავაღმყოფობისა და შიმშილისაგან იღუპებიან, თქვე-  
ნი მდიდარი თანამემამულენი კი ჩალისფასად ყიდულობენ მათ  
შვილებს, განსაკუთრებით ლამაზ გოგონებს, — უთხრა მან ომერ-  
ფაშას. — თქვენ სტუმართმოყვარე მასპინძლობას ჰპირდებით  
უბიზ წინამძღოლებს. სულთნის სიტყვა თქვენს ქვეყანაში კახოხი-  
ვითაა, გულმოწყალება კი განგებამ მოგანიჭათ...

— ბოდის ვიხდი, ბატონო კონსულო, ძავრამ ჩემდა საძწუნა-  
როდ დღეს არა მაქვს საკმარისი დრო, საფუძვლიანად რომ ვისა-  
უბროთ მუჰაჯირებზე, — ბრაზი დაიოკა და ისე უპასუხა ომერ-  
ფაშამ. — მე შეევხვდი მუჰაჯირებს, თქვენო ბრწყინვალეზე, უმა-  
ღური და ჭიუტი ხალხია. იმ ქვეყნის კანონებსაც კი არ სცემენ  
პატივს, რომელმაც ისინი შეიფარა... თვითნებობენ, უარს აძბო-  
ბენ შვილების ჯარში გაწვევაზე, ყაჩაღობენ... ახლა მათ უძრავლე-  
სობას სამშობლოში დაბრუნების უსაზღვრო სურვილი გაუჩნდა. არ  
ვიცი, როგორ შეხვდება ამას თქვენი მთავრობა? — ომერ-ფაშამ  
გამარჯვებულად გაიღიმა.

მოშინის შეხვედრამ ვუბერნატორთან არაფრით შეცვალა მუჰა-  
ჯირების ხვედრი. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, ჩემო  
ძვირფასო შარახ. ამბობენ თვითონ ომერ-ფაშას ჰყავდა ორმოცდა-  
ათამდე ათფად ნაყიდი მთიელი ქალწული. ზოგი მსახურად ჰყავდა  
და ზოგი ხარჭად. და მაინც რუსეთის კონსულის ჩვენდამი თანა-  
გრძნობა ცოტას როდი ნიშნავდა, სამშობლოში დაბრუნების მცირე  
იმედს მაინც გვაძლევდა. მზაუჩ აბხუბა სამჯერ იყო ტრაპიზონში  
მოშინთან შესახვედრად იმ უბიხების დავალებით, სამშობლოში  
დაბრუნება რომ სურდათ. მახსოვს, უკანასკნელად რომ დაბრუნდა  
ტრაპიზონიდან, ყველა შევიკრიბეთ. შეკრებას უბიხების გარდა სხვა  
ხალხის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. იცი, შარახ, სიბერეში  
უფრო შორსმკვრეტელი ხდება კაცი. ღმერთო ჩემო, წარმდენი წე-  
ლი გავიდა და თითქოს ყველაფერი გუშინ მომხდარიყოს, ისე ცოც-  
ხალივით მიდგას თვალწინ მზაუჩ აბხუბა — მხარბეკიანი, შავულ-  
ვაშებიანი. მისი სახლი და ყანა გაგრის ციხე-სიმაგრის ახლოს დარჩა.

ისიც ჩვენსავით ნანობდა თურქეთში საბედისწერო ვადმოსახლებას და ერთადერთი იმედოვანი ასულდგმულებდა. — სამშობლოში დაბრუნება. ნაურბიზი, ბარაკაის ძე მზად იყო თუ საჭირო იქნებოდა, იარაღისთვის მოეკიდა ხელი, მზაუჩი კი ორივე ქვეყნის ხელშეწყობისთვის მშვიდობიანი მოლაპარაკების მომხრე იყო. "შეკრებილთ გვიმტკიცებდა, რუსეთის კონსულის, გავლენიანი და კეთილშობილი ინვატიევის დახმარებით უნდა ვიმოქმედოთო.

— მას თვით მეფე უწევს ანგარიშს. ეს თურქებაც კარგად მოეხსენებათ. მოდი, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელზე არზა დავწეროთ და მოვახსენოთ, რა უბედურებაც დაგვატყდა თავს. არზას თქვენი ამორჩეული სამი კაცი წაიღებს სტამბულში რუსეთის კონსულთან. ასე გვირჩია კონსულმა მოშინიშნა. ღმერთმა ადღევრძელოს, თავისი პირადი წერილიც ვადმომცა, რომელიც ჩვენს თხოვნას უნდა დაერთოს, რათა საკონსულოში მიიღონ... ნულარ დავკარგავთ ძვირფას დროს...

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა და მერმე ომახიანი ხმა გაისმა:

— ნებას თუ მომცემთ, გაგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ გუშინ თქვენ თვითონ უღობავდით გზას რუს ჯარისკაცებს და გაიძახოდით: „სიკვდილი გიაურებს!“ — წარმოთქვა საზმა თავადმა, უბიხების ყოფილი მეჭლისის წევრმა უახსით რიღბამ. მისი წერილი ვერცხლისფერი წვერი ფერდობიდან დაქანებულ ნაკადულს ჰგავდა, ხმელ-ხმელი რიღბაც უფრო მაღალი ჩანდა. მის კეთილშობილურ წარმოშობაზე მისივე გარეგნობა მეტყველებდა. ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ თავადი სამშობლოში დაბრუნების მსურველებს არ ეთანხმებოდა, იმასაც ამტკიცებდნენ, იმათ წინაშელოლობს, ვინაც სამშობლოში დაბრუნება არ უნდათო.

— ჩვენ თვითონ ვარჩიეთ თურქეთი კავკასიის ველებს. ხან მეფეს ვაქცევთ ზურგს და ხან ახულთანს. აბა ვინლა გვცემს პატივს? რომ დავბრუნდეთ კიდევ, რალა დაგვხვდება სამშობლოში? ჩემს მამულში თურმე კაზაკები დასახლებულან... იქნებ გინდათ, რომ წკეპლით ხელში კაზაკების ბატები ვმწყემსოთ? — წერილი თითები მოკლე წვერზე ჩამოისვა და თავადმა ამაყად მოავლო თვალი შეკრებილთ.

თავადის ზურგს უკან ბორბტი ხითხითი გაისმა.

— ერთი ამ სულთნის წყალობათა ერთგულ კაცს დამიხედეთ. დიდად პატივცემულო უახსით, შენ რალა მიიღე ამ ალაპის კურთხეულ ქვეყნიდან, სამოთხის მიწა? მშვიდობა?



— დიახ, მშვიდობა. უკან თუ დავბრუნდებით, კვლავ იარაღის ხელში აღება მოგვიწევს. ომი კი მაშინაა კარგი, სერიოზით თუ უყურებ შორიდან. აქ ტყვიების ზუზუნნი მაინც არ გვესმის, — უპასუხა რიღბამ.

— მოიცა, მოიცა, თავალო, ვინ გითხრა აქ ტყვიები არ ზუზუნებსო, ხმა არ იმის, თორემ დღეში ორას კაცს მაინც ასალმებებს სიცოცხლეს. ცოცხლებს იმის ძალა აღარ შესწევთ, მკვდრები რომ დამარბონ. ეს ომზე უარესია, ეს მკვლელობაა... — ნაურჩხს სუდარასავით გათეთრებოდა სახე. დაახველა, მზაუჩმა ისარგებლა ამით და შეახსენა, რომ კონსულმა მოშინმა თხოვნის დაწერა ურჩიათ და ჰკვიანური იქნებოდა, საქმეს თუ შეუდგებოლნენ.

— ეჰ, ნაურჩხ, სადაა თავადიშვილური თავმოყვარეობა, ვინც გუშინ ცხვრებს მწყემსავლა, დღეს მოლაპარაკებას აწარმოებს, ნეტავ ხვალ რაღა იქნება? — დაცინვით იკითხა თავადმა.

თითქოს მათრახი ვადაუჭირესო, ისე შეკრთა მზაუჩი, მაგრამ თავი შეიკავა.

მოულოდნელად ქალების ჩგუფს მოხუცი ჰამიდა გაძოყყო, მგლოვიარე იყო და თავიდან ფეხებამდე ძაძა ემოსა. ნაღვლიახი თვალები ამოშავებოდა. შავი თავსაფარი მოიგლიჯა, თავი მალლა ასწია, ჭალარა თმა მხრებზე ჩამოუცვივდა და დიძახა:

— რა დაგემართათ? ყველანი მკვდრები ხართ და გვარიშვილობასა... და დაკარგულ სიმღიდრეზე სალაპარაკოდ გვალათ? საფლავები მაინც დაითვალეთ სანაპიროზე. გვაპატიონ თავადებმა, მაგრამ ეს საფლავები მათს სინდისზეა, სად ჰქონდათ ჰკუა ჩვენს გაზრდილებსა და წინამძღოლებს? სად ჰქონდათ-მეთქი, ვეკითხებით. თქვენ უნდა აგოთ პასუხი კეთილშობილო თავადებო! ისევ ყოყორობთ და დაკარგულ მამულებზე ზრუნავთ. ბატების მწყემსვა არ გინდათ, ჩვენთვის კი ეს უცხო არ არის. ნეტავ ჩემს შვილიშვილებს ემწყემსათ ბატები, ოღონდ სამშობლოში ყოფილიყვნენ. ოთხიდან ერთიღა დამრჩა. სამი შვილიშვილი მომიკვდა. — ჰამიდას ხმა ჩაუწყდა, მაგრამ ყელში მოწოლილი ბურთი გადაყლაპა და განაგრძო, — უკანასკნელი შვილიშვილის, სანუკვარი ტაპირის გულისთვის ვებლაუტები სიცოცხლეს. რას არ ვიზამდი, იმას მაინც რომ ეღირსებოდეს სამშობლოში დაბრუნება, — ისევ გაუმკაცრდა ხმა ჰამიდას. — მე მთიელ ვაჟაკებს ვეღარ ვცნობ, თითქოს თავსაფრები დაგებუროთ. იქნებ მე მოვიხადო... და სამშობლოსკენ წაგიძღვ...  
9. ბაგრატი შინქუბა

დვით?! გეყოფათ ლაპაოაკი, საქმეს მოჰკიდეთ ხელი. არხა თუ უნდა დაიწეროს, დაწერეთ! მე პირველი მოვაწერ ხელს. თხოვნაა საკირო? ვითხოვთ. მე პირველი დავუწოქებ მეფეს. ახლა დიდგულობისა და ყოყოჩობის დრო არა გვაქვს. ახლა მხოლოდ ერთი საზარუნაჲი გვაქვს — სამშობლოში დაბრუნება.

ჰანიდას შემდეგ არავის აღარ უნდოდა ლაპაოაკი. ჩამოწოლილი ღუმილი სითმა დაარღვია:

— ძვირფასო მზაუჩი. მწერალი ტიფვა მოვეიკლა და წერილს ვინდა დავეწერს? გახსვენებულმა რუსული წერა-კითხვა იცოდა, მეორე ვინაა ჩვენში ასეთი. არც აქ დავვინდო ბედმა.

— არის ასეთი კაცი! — უპასუხა მზაუჩმა და ვილაცას ანიშნა.

ხალხს ქალაქურ ტანსაცმელში გამოწყობილი შეუხედავი მოხუცი გამოეყო. ცხვირზე უხაგირივით ედგა სათვალე. უკან გადავარცხნილი ქალარა თმა მწრებამდე სცემდა. გულის ჭიბიდან ოქროს საათის ძეწკვი მოუჩანდა.

— ეს პატივემული ბატონი წარმოშობით ბერძენია. თავის დროზე თარჯიმნად იყო და მთელი რუსეთი აქვს შემოვლილი ვაჭრებთან ერთად. აქამად მთარგმნელად მუშაობს რუსეთის საკონსულოში. ჩვენ თურქულად ვუთხრათ ყველაფერი, რაც გვაწუხებს და ის რუსული სიტყვებით ჩაწერს. — ასე წარმოგვიდგინა მოხუცი მზაუჩმა. მოხუცმა გაქეპილი ტყავის ჩანთიდან ქალალდი, კალმის-ტარი და მელანი ამოიღო და ღმერთმა უწყის საიდან გაჩენილ მაგრდაზე დააწყო. სათვალე ცხვირსახოცის კილით ვაწმინდა, მაგრდის წინ დაიჩოქა და ისე შეხედა მზაუჩს, თითქოს ეუბნებოდა — „მე მზად ვარ!“

თავადმა უახსით რიღბამ გაიცინა:

— ჩვენს მუსულმანურ სადარღებელზე რა უნდა დაჩხანოს ქრისტიანულმა ხალხმა? ეს საქმე ზეირს ვერ მოგვიტანს.

— რას დაგვიჩხავი, თავადო! — მოუტრა ჰამილამ.

მოხუცი კაცები და ხნიერი ქალები გარშემოუსხდნენ მწერალს, ახალგაზრდები კი ოდნავ მოშორებით ვიდექით. არზის პირველი სიტყვები სითმა წარმოთქვა. ზოგმა რალაც დაუმატა, ზოგმა რალაც მოაქლო და რაც გამოვიდა, მზაუჩმა თურქულად თარგმნა. ბერძენმა კალამი ჩაბლუჯა და რუსულად დაწერა. რაკი ბერძენი წერდა, ისეთი სიზღუმე ჩამოვარდა, რომ კალმის წრიბინიც ისმოდა. მერე მეორე მთიელმა უთხრა თავისი მოსაზრება მთიელებს. ამ მოსაზრებაზეც იმჯელეს, თარგმნეს და ჩაწერეს. ასე გავეორდა რამდენჯერმე. რო-

გორც ნაკადულები უერთდებიან ერთმანეთს, ისე შეერთდნენ ჩვენი ფიქრები ერთ იმედად და არზის სტრიქონებად ჩამოწიქვიცდნენ. აიღებდა თუ არა ბერძენი ხელში კალამს, ხალხი სუნთქვასაც კი აჩერებდა, კისრებს იძაგრაჯდნენ და მზით გაჩახახებულ ფურცელს ჩასტკეროდნენ. ამ ფურცელზე ეკიდა ახლა იმათი ბეღი.

შავი ზღვა რომ შელნად გადაიქცეს, მისი ორივე სანაპიროს ხეები კალმებად და მთელი დედამიწა ქალაღდის გრაგნილად, მაინც არ გვეყოფოდა არც მელანი, არც კალმები და არც ქალაღდი მღჰაჯირებრს უბედურების აღსაწერად, — ჩავჩერებოდრ არზას და ასე ვფიქრობდრი. — მანგრამ რატომ არ უნდა გვეჯროდეს სასწაულის, — ვრწუგეშებდრი თავს, — განა ცოტა საწაული მომხდარა ქვეყანაზე? ვინ იცის, იქნებ, ეს ქალაღდი თეთრი მტრედრივით აუფროდეს ხელისუღლიდან ეღჩს, გადალახოს ზღვები, რუსეთის ველები და ტყეები და მეფის სასახლემღე მაღწროს პეტერბურგში. რატომ არ შეიძლება სასწაული მოხდეს, რატომ? ბევრი ფანჯარა აქვს თეთრი ქვით ნაგებ სასახლეს, შაგრამ ფრთათეთრა მტრედად გადაქცეული ფურცელი საქირო სარკმელს ამოარჩევს და ზუსტად იმპერატორის მავიდაზე დაეშეება. ვინ იცის, იქნებ, ნახევარი მსოფლიოს მბრძანებელმა იმ დიღით ხალისით, სიკეთითა და სღღგრძღლობით აღწაიღმა გაიღვიძოს, ხელში აღღოს ჩაჭიკჭიკებული ხელით ნაწერი ჩვენი თხოვნა, აღიუტანტი გამოიძახოს და ჰკითხოს:

— რა არის ეს?

— უბიხების არზაა, თქვენო უღიდებულესობავ, — დიბრიღით უპასუხებს ოფიცერი, მასაც სხვებივით რომ გადასღება ნეფრს შესანიშნავი გუნება და ხასიათი.

„აჰ, უბიხები? მამაცი ხალხია, მამაცი, — გაიხსენებს იმპერატორი და პატივისცემით წარმოთქვამს: ასინი ხომ შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ და კავკასიაში მეფის ნაცკლის მოწაენების მიხედვით ქედუწრელნი იყვნენ.“ „სწორია, თქვენო აღმატებულესობავ!“ — ქუსლს ქუსლზე მიარტყამს აღიუტანტი — „გმირულად გვებრძოდნენ, ჩვენგან შეთავაზებული პირობები არ მიიღეს და თურქეთში გადასახლდნენ. ღირსეული მოწინააღმდეგენი იყვნენ, ღირსეული. რას იტყვით გენერალო, პატივისცემის ღირსია თუ არა ასეთი მოწინააღმდეგე?“ „უსათუოდ, თქვენო აღმატებულესობავ!“ უპასუხებს აღიუტანტი, მეღალი რომ უმშვენებს მკერდს, „ოჰ, უბედურები! — თანაგრძობას არ მალავს მეფე, — ვერც კი წარმო-

ვიდგენდი ასეთ გასაკვირში თუ ჩავარდებოდნენ. მუჰაჯირებში ხომ ბევრი პოხუცი, ქალი და ბავშვია. მართალია, დამნაშავენი კი არიან, მაგრამ ჩემს მოწყალეობას მაინც ვერ მოვაკლებ“. თეთრი ხელით კალამს აიღებს მეფე და ჩვენს არზას ორად ორ სიტყვას წააწერს — „თხოვნა დაკმაყოფილდეს“. ჰოდა, სამართალი იზეიმებს. გემები მოკვაითხავენ და ჩვენც სამშობლოში დაკბრუნდებით, უბიხების მიწაზე.

გაიღება ჩვენი მიტოვებული სახლების კარები. ისევ გავა მიხედვრად მხენელი და მთესველი, სიხარული და მხიარულება გამედდება ირგვლივ, ისევ გაჩაღდება ქორწილები, ისევ გაჩხუბებიან ბავშვები.

ჰო, მაგრამ ყველაფერი პირიქით რომ მოხდეს? მეფე ცუდ ხასიათზე გაიღვიძებს, მოქუშული და გაბრაზებული იქნება. უბიხებზე რომ ჩამოვარდება ლაპარაკი, ადიუტანტიც ცუდ რჩევას მისცემს მეფეს: „ამ ყაჩაღების დანდობა გონივრული საქციელი არ იქნება, თქვენო უმაღლესობავ, გარდა ამისა, ჩვენ თურქეთთან ვართ შეთანხმებული“. თვითმპყრობელი თეთრი ხელით კალამს აიღებს და არზას ასე წააწერს: „საკითხი გადაჭრილია, გადახედვას არ საჭიროებს“. დავიღუპებით უბიხები, დედაბუდიანად ამოვწყდებით. ჩვენი ბედი მეფის კალმის წვერზე ჰკიდია, მთელი ხალხის სიცოცხლე თუ სიკვდილი ახლა შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, მეფის ხასიათზე, ერთი ხელის განკარგულებაშია, მეფური კალამი რომ აქვს ჩაბღუჯული.

სანამ უბიხების თხოვნასა და მის ქვეშ დასმულ მეფის ხელმოწერაზე ვფიქრობდი, მწერალმა და თარჯიმანმა — მოხუცმა ბერძენმა მოამთავრა კიდეც თავისი საქმე.

მას შერე მგონი საუკუნე გავიდა, შარახ, მე კი დღემდე სიტყვა-სიტყვით მახსოვს მეფესთან გაგზავნილი ჩვენი თხოვნის შინაარსი. თითქოს ჩემი მეხსიერება სამაროს ქვა იყოს, არზის სიტყვები კი ზედ ამოკვეთილი სულის სახსენებელი. არზაში ჩვენი გასაკვირი იყო აღწერილი. ნათქვამი იყო, რომ თურქეთის მთავრობამ არც ერთი დაპირება არ შეასრულა. ვიმყოფებით რა გარდაუვალი. დაღუპვის პირას, გულწრფელად ვინანიებთ და ვალიარებთ ჩვენს მიერ ჩადენილ შეცდომებს. ყველა უბიხი, ვინც კი ცოცხალი დავრჩეხილვართ, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, თავს ვხრით თქვენი იმპერატორობის უდიდებულესობის წინაშე და ცრემლის ფრქვევით

გვედრებით, ნება დაგვრთოთ დაუბრუნდეთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს დაობლებულ კერებს. ფიცსა ვლებთ, რომ თუ სამშობლოში დაბრუნების ნებას გვიწყალობებთ, არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი შთამომავალნიც სამარადისოდ დაიხსომებენ თქვენს მეფურ წყალობას და რწმენითა და სიმართლით ემსახურებიან რუსეთის სახელმწიფოს. მუხლზე დაჩოქილი ვეაჭებით თქვენს უდიდებულესობას: ნუ დაუშვებთ უბიხების აღგვას პირისაგან მიწისა. აი, ეს სიტყვები იყო, დად, იმ თხოვნაში. თხოვნის ტექსტი რომ წაიკითხეს, მზაურ აბხუბამ ყველანი ხელის მოსაწერად მიიწვია. პირველად თვითობ მოაწერა ხელი. მოხუცმა ჰამილამ ერთი ასოც კი არ იცოდა და მელანში დასველებული ცერი დაჭირა ქალალს. მოხუცი ჰამილა კი არადა, ჩვენი პატივცემული ქურუმი საულაპიც წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ჰოდა, მანაც ჰამილას მიბაძა. უნდა გითხრა, დად, რომ ძალიან ცოტანი იყვნენ, ვისაც ხელის მოწერა შეეძლო, ალბათ, ერთი-ორი კაცი, ეგ არის და ეგ ყველა, ვინც ხელი მოაწერა ქალალს თუ თითის ანაბექდი დაუსვა, კარგ ხასიათზე დაღვა, თითქოს ჯგვე საჩიხარჯლო ამბავი გაიგესო. მამაჩემის—ჰამირზას ჯერმაც მოაღწია, ის კი მერყუობდა.

— ჰამირზა, შენ რაღა გაყოყნანებს? — გაუკვირდა სითს.

— რაც ხალხის თანხმობით გადაწყდა, ჩემთვისაც კანონია. მაგრამ აქ ჩემი გავრდილი და ბატონი შარდინი, ალოუს ძე არ ესწრება, მის გარეშე კი ანაბექდს ვერ დავუსვამ ქალალს.

მე და მატამ ერთმანეთს გადავხედეთ და ორივენი ერთად მივედით მაგიდასთან.

— მამაჩემის ნაცვლად ჩვენ მოვაწერთ ხელს.

როგორც უფროსმა ჯერ მე და მერჰე მატამ ცერის ანაბექდები დავსვით ქალალზე.

— შენ რაღას ელოდები ნაურაზ, თუ რიღბას მხარესა ხარ? — ჰკითხა მზაურჩმა.

ნაურაზმა ჩაქინდრულად თავი ასწია და ჩვეულებისამებრ, მოკლე კვერთხის მიწაზე კაკუნით დაიწყო:

— სულ პატარა იმედი მაინც რომ მქონდეს, აქედან რაიმე გამოვინება. დამიჯერე, ათჯერ მაინც მოვაწერდი ხელს, მაგრამ ეს წამოწყება არც რაიმე სარგებლობის მომტანია და არც ზიანის. გვეყოფა ღრუბლებით ციხე-კოშკების აშენება! აი ხვალ საულაპი დაგვლოცავს წმინდა ბითხასთან და მაშინ მეცოდინება რა უნდა გავა-

კეთო. ღღეპ კი რაკი თქვენი სურვილია... — და ნაურჩხმა, ბარაკაის ძემ თავის გვარც მიაწერა ჩვენი თათების ანაბეჭდების გვერდით.

სმართლე რომ გითხრა, თავად უახსოვ რიღბას მომხრეები საკმაოდ აღმოჩნდა. ისინი ცალკე იღვინენ, მაგრამ ყრილობის დატოვებასაც ვერ ბედავდნენ. ეს უკვე ჩვენი უმრავლესობის გამოწვევა იქნებოდა. შეფის ელჩის იგნატიევისთვის თხოვნის გადაცემა სამკაცს დაავალეს მზაუჩ აბხუბას მეთაურობით. ისინი დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყვნენ სტამბულს.

სალოცავი ავგალი ჩვენი წმინდა ბითხასთვის თურქეთში ვერ მოიხიციეთ. ხალხი წუხდა, რომ ის ქურუმის დატაკურ ბინაში იყო შენახული, თითქოს ერთი უბრალო სურათი თითისტარი ყოფილიყოს. ქოლერა რომ ვაჩნდა, ზოგიერთი შიშმა აიტანა, გამწყრალი ბითხა აღარ გვმფარველობსო. ხალხი რომ სულიერად არ დაცემულიყო, ქურუმი საულაპი ბითხით ზელში მიდიოდა ყველასთან, ვინც კი ამ საშინელ სენს წაეყცია და მათი გამოჯანსაღებისათვის ლოცულობდა. ხალხს სწამდა ბითხას სასწაულმოქმედი ძალა და ბევრი სძლევდა კიდევ ამ საშინელ დაავადებას. აღამიანებს რაღაცის უნდა სწამდეთ, შარახ...

ყველა მუჰაჯირი, ავადყოფების გარდა, ზღვის ნაპირთან შეგროვდა მარტოხესთან, სადაც ცოტა ხნის წინათ საკუტი იჯდა. ყველამ კარვად იცოდა, რომ დღევანდელი ლოცვა საგანგებო იყო. თვით ბითხას უნდა ეყურთებინა ისინი, ვინც ნაურჩხის, ბარაკაის ძის წინამძღოლობით სანშობლოში მიემგზავრებოდნენ, უბიხების მიწაზე. თეთრებში შემოახილმა საულაპმა ლოცვა მოათავა, ტყავის შალითიდან ბითხა ამოიღო და ხის ძირზე მიაყუდა. ყველამ დავიჩოქეთ.

— ო, ყოვლისშემძლე და ყოვლად ძლიერო ბითხა! გვაკურთხე! ქურუმის ლოცვა ბითხოს აახიჯებდა და ჩვენს გულებში იჭრებოდა. თითქოს ჩვენი მიტოვებული კერების ტყბილი კვამლი იყნოსეს ნესტოებმა. სანატრელი ჩვენებები დაგვიღვა თვალწინ. ვიხსენებდით სამშობლოს, ვიხსენებდით ჩვენგან საუკუნოდ წასულებს, და მამაკაცებსაც კი გვისველებდა ცრემლი დაწვებს. საულაპს ხელები ცისკენ აღეპყრო და განაგრძობდა:

— ო, ყოვლად მოწყალეო ბითხა! ახლა ბევრი ჩვენგანი სამშობლოში მიემგზავრება. აშორე მათ ცუდი გზა, ხიდები გაუღე უფ-

სკრულზე, ზურავს ქარი ამოუყვანე ზღვაზე. დაიფარე ისინი, მწედ  
ეყავ, ვაამხნევე სულღერად.

— ამინ, ამინ! — შეეძახეთ დაჰოქილებმა.

ლოცვის შემდეგ ხალხი საოცრად გამხნეებული იყო. მამაკა-  
ცებმა ხანჯლები შეიბეს, ნაგანები და შაშხანები აიღეს ხელში, ლოც-  
ვის დროს გვერდით რომ მოეწყოთ.

— აბა, ღვთით კურთხეულნო, კეთილი მგზავრობა გვექონოდეს,  
ღმერთი იყოს ჩვენი შემწე, — დაიძახა ნაღრიხა. ბარაკაის ძემ.

ხალხს წინასწარ დაეჭირა თადარიგი: თან წამოეღოთ ბოხჩები,  
ჯიბის ფული და დოქები. კაცები და ქალები გუნდად გაყენენ ნაღ-  
რიხს უკან. მოსტყე ჰამიდას პატარა შვილ-შვილისთვის, ტაპირის-  
თვის ჩაველო ხელი, ისე მიდიოდა, უკან არც იხედებოდა. ლტოლვი-  
ლები ტრაპიზონის მხარეს გაემართნენ, იმედი ჰქონდათ, რომ გემს  
იშოვიდნენ და სოხუმ-ვალეს მიმართულებით გაემგზავრებოდნენ.  
თუ არადა, მაშინ ფეხით უნდა მისულიყვნენ საზღვრამდე. ღმერთია,  
იარაღის და ბედის წყალობით ფიქრობდნენ უბიხების ქვეყნამდე  
მიღწევას. მთელი ჩვენი ოჯახი სანაპიროზე იყო გამოფენილი. გამო-  
ვემშვიდობეთ მატას. მისი ბარგი-ბარხანა ავიკიდე და კარგა ხანს  
მივეყვებოდი გვერდით. მერე ერთხელ კიდევ გადავეხვიეთ ერთპა-  
ნეთს და ხრამის პირას გაჩერებული დიხხანს გავეჭეროდი სამ-  
შობლოთაქენ მიმავლებს, ღვიძლი ძმის შური რა საკადრისია, მაგ-  
რამ მატასი მწურდა. რა ბედნიერია, სამშობლოში მიღის, მე კი...  
ღმერთია მოწმე, გავიქცეოდი და დავეწეოდი კიდეც იმათ, დედა,  
მამა და დები რომ არა. და განა მარტო ისინი? თვალწინ იღუმალი  
კუნძული როდოსი დამიდგა. ამ კუნძულზე იყო ჩემი საყვარელი  
ფელღაში. ნაკუს-ნაკუს მეფლითებოდა გული დარღისაგან.

\* \* \*

შრომას შეჩვეული კაცისთვის იძულებითი უსაქმობა სენივითაა.  
აბა რა უნდა ექნა ჩვენს ოჯახს? მიწის ნასახი არ გაგვანდა, სულ  
პატარა ბოსტანი მაინც რომ გავვეკეთებინა. ძროხა კი არა, ერთი  
ქეციანი თხაც არ გვეყავდა, რომ მოვემწყემსა. რისთვის უნდა მოგ-  
ვეკიდა ხელი? მაღლობა ღმერთს, რომ მამაჩემმა ბადე წამოიღო  
თან შინიდან. მთელი დღეები ზღვაზე იყო დაკარგული. თევზილა  
იყო ჩვენი ერთადერთი საკმელი. მე ხომ პირველ ხანებში პირ-

დაპირ მკლავდა უსაქმობა. შემდეგ კი სოფლებსა და ქალაქებში ხეტიალს შევეჩვიე. რას არ ვაკეთებდი, ერთი გოგორა პური რომ მიმეტანა შინ: ტვირთს ვეზიდებოდი პორტში, ხან შეშას ვუჩხვავდი რომელიმე მდიდარ თურქს, ხან კიდევ ბოსელს ვუსუფთავებდი. არაფერს ვთაკილობდი, მაგრამ რა უნდა მეზონა. როცა ასე გაუფასურებული იყო მუშახელი? შენ, ალბათ, არ იცი, ჩემო შარახ, რა არის შიმშილი. როცა მარტო შენა გაქვს ცარიელი მუცელი, ეს ნახევარი უბედურებაა, მაგრამ როცა მთელი შენი ოჯახი შიმშილობს, ეს უკვე უბედურებაა. მაშინ, გინდა თუ არა, ყველაფერს ჩაიღენ კაცი. გინდა დამსაჯე და გინდა შემიწყალე, მაგრამ იცოდე, მეც ვიტვირთე ცოდვა ჩემს უნებურად. როცა ორმოცდაათამდე შეიარაღებული ჭაბუკი „სანადიროდ“ წავიდა, მეც გავყვი. როგორც უკვე გითხარი, მუჰაჯირებზე ცუდი ხმები ღადიოდა მთელ თურქეთში. ჩოხიან კაცს რომ დაინახავდნენ, ცხვირწინ მიუჯექავდნენ ხოლმე კარს. ბევრჯერ შეეჯახნენ ერთმანეთს პოლიცია და შეიარაღებული მთიელები. ის კი არადა, თუ პოლიცია ვერაფერს გახდებოდა, ჯარი იყო მზად, ვცდილობდით შორს, უგზო-უკვლო ადგილებში გვემოქმედა, სადაც ჯერ არ ჰყავდათ შეხიშნული ჩვენი თანამომენი. გლეხებს არაფერს ვუშავებდით, ან რას წავიღებდით მათგან; ისინიც ჩვენსავით დატაკები იყვნენ. ჩამოსულ ვაჭრებსა და ნოქრებს კი ვატყავებდით გვარიანად. პირწინდად ვართმევდით ფულს, ქსოვილებსა და ფეხსაცმელებს. ცხენებსაც მივრეკავდით ხოლმე. შენ თერთონ წარმოიდგინე, უცხენოდ როგორ გავიღოდით იოლად. რა დესამალია და პოლიციასთან შეტაკების დროს ორივე მხარეს იყო მსხვერპლი. ცოცხლად თუ ვინმეს ჩაივლებდა პოლიცია ხელში, საშინლად აწაჩებდნენ.

ამ გულად ბჭებს სწორედ მაშინ შევუერთდი, მატას რომ ვაცილებდი. ყველა თარეში როდი იყო იღბლიანი. ერთხელ პოლიციელებმა გადაწყვიტეს ალყა შემოერტყათ ჩვენთვის. ბევრნი იყვნენ ის წყეულები. ორ-ორმა და სამ-სამმა ძლივს დავადწიეთ თავი მათ ხაფანგს, დამღამობით ჩრდილებივით მივძვრებოდით უღრან ტყეებში, კლდე-ღრეებზე მივბლოტივდით და სანაპიროსაკენ ვეშვებოდით. ჩვენს არყოფნის დროს სამსუნის ახლოს დაბინავებულ მუჰაჯირებთან შარღინი დაბრუნდა, ალოუს ძე. ბევრი ელოდებოდა შარღინს, ალოუს ძეს სულმოუთქმელად, მათ შორის მაშაჩეშიც.



ჩვენი ბატონი მხიარულად აცემციმებდა თვალებს, ნალვლის პაწია ღრუბელიც კი არ უჩრდილავდა შუბლს. ჩოხის ნაცვლად თურქული ტანსაცმელი ემოსა. თავზე შავფოჩიანი წითელი ფესი ეხურა. ქარვის კრიალოსანს მარცვლავდა შარდინის სიარულსა და ხმას ქედმაღლობა და თვითქმაცოფილება შეეძინა, მოძრაობას კი სიზნატე. იკითხა: როგორ ცხოვრობდით უჩემოდო, რა ამბები იყო და ხალხმაც, ძველი ჩვეულებისამებრ, უსაყვედუროდ უამბო რა საშინელი ბედი არგუნათ განგებამ.

— ომში არ გაწყვეტილა ამდენი ხალხი, ნახევარ წელიწადში რომ იმსხვერპლა უცხო ქვეყანამ.

ამ ცნობას არც მაინცდამაინც დაუნალვლებია ჩვენი ძუძუმტე, იმან უფრო გაუფუჟა ხასიათი, რომ გაივო თხოვნა გავუგზავნეთ მეფესო. არც ის მოეწონა, ნაურისს, ბარაკაის ძეს რომ გაჰყვა ბევრი ჩვენგანი.

— სადაა თქვენი გამძლეობა? — იძახდა შარდინი, — წარღვნა დაიწყო თუ მიწისძვრა? ეჰ, თქვე უგუნურებო! თითქოს პატარა ბაღლები იყოთ, ერთი წუთითაც არ შეიძლება თქვენი უმეტეალყურედ მიტოვება. ვინ ოხერმა ჩაგაკონათ მეფესთან თხოვნის დაწერა? თუ დაგავიწყდათ, როგორ გიშენდნენ რუსები ტყვიებს? გიურების მონობა მოგენატრათ? ვაი სირცხვილო! ერთი რამ გახსოვდეთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მუსულმანები ვართ და მარტლ-მორწმუნეთა მიწაზე ვიმყოფებით! თვით ალაპის მოციქული, უკეთილშობილესი სულთანი ამ ქვეყნის პირველი ქვეშევრდომია. როცა ასეთ პატივზე ფიქრობ, გულს შევარდენივით მალლა აკრა სურს სიამაყისაგან. არ დაგიმალათ და მე დიდი სულთნის აბულლაზიზის დედასთან წარმადგინეს. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ის ადიღეელია. მისი და ჩემი წინაპრები ნათესაეები იყვნენ. ერთი სისხლი გვიდგას ძარღვებში! სულთნის დედაჩემი ბედი და, მაშასადამე, თქვენიც, ისეთ კაცს მიანდო, ვინც ქვეყნის მმართველის მარჯვენა ხელად ითვლება. ახლა ტყეებით, მინდვრებითა და წყლით მდიდარ ნაყოფიერ მიწებს გვაძლევენ. იქ ეს გადატანილი უბედურება აღარც ვაგახსენებებთ, გასამგზავრებლად მოემზადეთ, სანამ აცივდება, იქ უნდა ვიყოთ.

შარდინის, ალოუს ძის დაბრუნებას სხვისი ნაამბობის შიხეღვით გიყვები, დად. მე ხომ ამ ღროს ექვდაც კი არაფერი ვიცოდი.

უიღბლო თარეშის შემდეგ სანაპიროსაკენ ვიკვლევდით გზას. გზის უმეტესი ნაწილი ვაკლილი გვექონდა, აღმოსავლეთიდან ჩვესიკებ მოშავალი მუჰაჯირების ჯგუფი რომ შევნიშნეთ. ფეხებს ძლივს მოათრევდნენ, უკან კი შანხანიანი ჯარისკაცები მოჰყვებოდნენ. რომ წარმოვიდგენია, შარახ, რა დაგვემართებოდა, თვალნათლივ რომ დაინახეთ და დავრწმუნდით, რომ ეს გატანჯული, არაქათგამოცლილი ფეხშიშველი უბიხები იმათი მცირე ნაწილი იყო, ვინც სამშობლოსაკენ ვაემგზავრა.

— მატა, — შემლიღვით ვიყვირე და ხალხში გადავეშვი.

მატა მოხრილი მოდიოდა, ჯოხს ეყრდნობოდა და მკერდზე პატარა ბიჭს იკრავდა. ბიჭი ხელად ვიცახი, ჰამიდას სვილიშვილი იყო — ტაპირი. ჯარისკაცების ყვირილისათვის ყური არ გვიხლოვებია. საქმლის მსგავსი თუ რაიმე გვებადა, ხურჯინებიდან ამოვფერთხეთ და შიმშილსაგან ღონეგამოცლილ და სულიერად დაცემულ ხალხს ვავუნაწილეთ. ჩვენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ვიყავით და ჯარისკაცებს კარგა გვარიანად შეეშინდათ. ამიტომაც მიატეს ჩაფერხების ნება მუჰაჯირებს. შესვენების შემდეგ დაკრილი და ილაჯაწყვეტილი ლტოლვილები ცხენებზე შეესვით და ჩვენც მათ შევერიეთ.

მატა და ტაპირი ჩემს ცხენზე შევსვი. მატამ მიაჩხო, როგორ ნილაწიეს ტრაპიზონამდე. რომელიღაც გემის პატრონი დაპირებული იყო კარგა მოზრდილი თანხით კავკასიის სანაპიროზე ვადაყვანას, მაგრამ ბოლოს შეშინდა და ისე გავილა ზღვაში, კაციშვილი არ წაღყვანია. მამინ, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდათ, ფეხით გაეპართნენ საზღვრებისაკენ. ღღიხარე ჩუბუქს-უბუქ. თურქმა შესახლევრებმა ზიშტები შეაგებეს. ორი კვირა ეძებდნენ მთიელები ფონს მეორე ნაპირზე ვადასახლელად, მაგრამ ამოდ: საზღვარს ფხიზლად იცავდნენ. თავზეხელადებულებმა გადაწყვიტეს ბრძოლით ვაკაფათ გზა. დაიწყეს სროლა. პირველი ნაურიზი დაეცა, ბარაკაის ე, გული გაუხვრიტა ტყვიამ.

— მშურს მისი, — ჩაიჩურჩულა მატამ, — ეჰ, რატომ იმ ბიჭებში არა ვარ; იქ რომ დაეცნენ სამშობლოდან ნახევარი ვერსის დაშორებით! — მატამ საბერველიღვით ამოიქმონა და დაუმატა, — უბედური ჰამიდა კი მღინარეში გადავარდა, თავისი პატარა სვილიშვილიც არ შეიბრალა. ჯერ კიდევ გზაში მიშვილა ჰამიდა და ბიჭის

ბელიც ჩამაბარა. ტაპირი ახლა ჩემი და შენი ძმაა, ზაურყან. მე თუ რაიმე შემემთხვა, შენ უნდა იზრუნო ჰასზე.

კარგ აზბავს ყველა გვიან გეზულოძს ხოლმე. ცული კი ქარსაც გაასწრებს და ქვეყანას მოედება. სამსუნის მიდამოებში ღარჩენილ-მა უბიზებმა, ღმერთმა უწყის საიდან და უკვე იცოდნენ, რომ ნა-ურიზთან ერთად წასულმა თანამემამულეებმა საზღვარი ვერ გადალახეს და ბევრი მათგანი დაიღუპა. მოჩვენებლს შავავსი მუქაჯარების ჯგუფი რომ დაბრუნდა, ნაპირზე გულგამგმირავი წიველ-კვილი ატყდა. ერთმა დაბრუნებულებში ძმა ველარ დინახა, მეორემ — შვილი და მესამემ — ახლო ნათესავი. სწორედ ამის ბრალი იყო ალბათ, მზაუჩ აბხუბა იმედგაცრუებული რომ დაბრუნდა ტრაპიზონიდან, მხოლოდ მწუხარე ღუმილით შეხვდა ხალხი. პასუხი უმკაცრესი იყო: ჩვენს თხოვნაზე შეფეს თავისი ზელით წაეწე-რა: „უბიზების საკითხი გადაჭრილია, გადასინჯვას არ საჭიროება“.

— ხომ გეუბნებოდით, ასე იქნება-მეთქი, — მზარული ხიშხის მოგებით იძახდა შარდინი, ალოუჟ ძე, მეფის გადაწყვეტილება რომ გაიგო. მან იცოდა, რომ უხდოდით თუ არა, ახლა ხალხი მის ნება-სურვილს დაემორჩილებოდა. ერთადერთი, რაც ჩვენს წინაშე დგოდა ხასიათს უწამლადა, ჰაჯი კერანტიზი იყო, — ეშმაკსაც წაუღია მისი თავი! — წამოიძახა შარდინმა. „მე ვარ უბიზების ერთადერთი შთა-ვარი მგზავრი“. — ეს გამოსკვიოდა მისი სიტყვებიდან.

მალე მოადგნენ ნაპირს გემები, იმ კურთხეულ მრწახე რომ გადაეყვანეთ, შარდინი, ალოუჟ ძე რომ გეუბნებოდა. ორი დღის შემდეგ სამსუნის მიდამოებში არც ერთი უბიზი აღარ დარჩენილა, იმათ გარდა, ვინც მისწავი იწვა უკვე.

ორი გრძნობა შეეჯახა ჩემს სულში ერთმანეთს: ერთი მათგანი ნაღვლიანი იყო — ჩვენ ხომ კრდე უფრო ეშორებოდით უბიზების მიწას. მეორე კი ნათელი გრძნობა იყო — ჩვენი გემები ხომ კლბ-ძულ როდოსს მიაღებოდნენ და ღვთის წყალობით, იქნებ, ფელ-დიშისათვის მომეკრა თვალი. გემბანზე ვიდექი და სანაპიროს გავ-ცქეროდი, სადაც ერთადერთი ხე მოჩანდა მხოლოდ. ხის წინ საკუ-ტის სამარის თეთრი ქვა ლაპლაპებდა, სამარის თავზე კი ხის ტოტ-ზე გამობმული აფხიარცა ჭანაობდა, სულ ცოტა ხნის წინ გულებს რომ გვითრთოლებდა ხოლმე. უცბად მომეჩვენა, თითქოს აფხიარ-ცის სიმებმა გაიწკრიალა და ბრმა მომღერლის უკანასკნელი სიმ-ღერის სიტყვებიც მომესმა: -

ჰეი, ძმებო, სად მყავს ცხენი,  
ჩემი ფიცხი ბედაური?  
გულმოკლული ცხენზე მჭდარი  
ვიშვიმებდა მეთაური.

თვალზე ცრემლი შევიწურე,  
ცხენს ლაგამი ამოვდეთ...  
ვაი, ჩემო სამშობლო,  
დაკარგულს სამოთხეთ.

გემებს კურსი სტამბულისაყენ ჰქონდათ აღებულნი. მესამე დღეს სტამბულის რეიზზე ჩაუშვეს ღუზები; მავრამ ნაპირზე არავინ გადაუშვეს, რადგან პორტის ხელისუფალთ ემინოდათ ტიფი ან ქოლერა არ შეგვეტანა ქალაქში. გემებთან მღუღარესავით კვარჩხალებდა წყალი, ტალღებიც გამწარებული ეხეთქებოდა გემბანს. თურქმა მეზღვაურმა ათუხთუხებულ წყალს გადახედა და თქვა: — შაითან აქინთასი!

ცრუმორწმუნეებს ეს ცუდად ენიშნათ. სტამბულიდან გემებმა იზმიდისაყენ ვაწაწიეს, მავრამ არც იქ დაგვრთეს ნაპირზე გადასვლის ნება. ერთადერთი, ვისაც ეს არ ეკრძალებოდა, შარდინი იყო, ალოუს ძე. მან კარგა ხანს დაჰყო ქალაქში და რომ დაბრუნდა, ღიმილით წაიჭრაბანა:

— პატივცემულებო, აქ ჩემი მეგობარი, თქვენი მხსნელი სელიმ-ფაშა ცხოვრობს, სანამ მისი მფარველობის ქვეშა ვართ, ნურაფრის შიში გექნებათ.!

გემებმა ბანდირმის მხარეს გაუხვიეს. გემები გემსაბმელებით მიაბეს თუ არა, ჩამოვედით და ფეხით გავუყევით გზას ოსმან-ქოისაყენ, უკან მივყვებოდით ფორანს, რომელზეც შარდინის ჯალაბობა იყო მოთავსებული.

შემდეგში ადგილობრივი მცხოვრებლები გვიამბობდნენ, თქვენს ჩამოსვლამდე კარგა ხნით ადრე ერთი უბიხი ჩამოვიდა, სახელად ოსმანი ერქვაო. დადიოდა, აქაურობას ათვალიერებდა და რაღაცას ინიშნავდაო. მერე კი ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდაო. შევიძლება ეს უბრალოდ მოგონილი ამბავია და მეტი არაფერი, ან ვინ იცის, იქნებ ის ოსმანი შარდინი იყო, ალოუს ძე?

სალამო ხანი იყო, მხარზე სიმინდით საესე ტომარა გადებული რომ შევედი ეზოში. მოცისფრო კვამლი მსუბუქად იჩეჩებოდა ალიზის ქოხის თავზე. ჩვენი წითელფორაჯებიანი თეთრი ძაღლი გამოიქცა და ფეხებში დამიწყო ლაქუცი. აკრიახებული ქათმები ქანდარაზე შეფრენას აპირებდნენ. დედაჩემი ნასი ტაპირს ტუქსავედა, კუღზე ნუ ეპორწიალები ხბოსო. მისი ალერსიანი და თბილი ხმა მალამოდ მომედო გულზე. მამაჩემი პატარა სკაშზე ჩამომჯდარიყო და ჩვენს ურქო ძროხას წველიდა. მოგუდული ჩხრიალით ჩადიოდა რძე ხის დერგში. კუნას მწვანე ხახვის კონა ჩაებლუჯა და ბოსტნიდან მოიჩქაროდა, ეშინოდა ღომისთვის დადგმული წყალი არ გადმოსულიყო ქვებიდან. უმცროსი და ჯუნა კი გამზეურებულ ლეიბებს ბერტყავდა. „ღმერთო, შენი სახელის ქირიშე, — გავიფიქრე მე, — იქნებ შენი წყალობით ისევ წინანდელივით აეწყოს ჩვენი ცხოვრება“.

ყველა თავის საქმეს აკეთებდა. ვახშად რომ დავჯექი, მატაც მოვიდა, რაღაც ვერ იყო ხასიათზე.

— ხომ არაფერი მომხდარა, შეილო? — ჰკითხა მამამ ნავახშემეს.

— ბატონის მამულში აღარ წავალ, — უპასუხა მატამ და სუფრიდან ადგა. — იქიდან რომ მოვდიოდი; ჩემს თავს სიტყვა მივეცი: მორჩა, აქ მომსვლელი აღარ ვარ-მეთქი.

— აჩქარებულხარ, დად, — ამშვიდებდა მამა.

— საკუთარი ყანა ვერ გაგვითოხნია დროზე. რა ხანია დავაკვირანეთ, სარეველამ სიმინდი გამოახჩჩო. აქეთ კიდევ თამბაქო კვილებება, მარტო დები ვერ აუდიან კრქვას.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ რას ვიზამთ. ეს ჩვენი კი არა, ჩვენი წინაპრების დადგენილია — თითოეული ოჯახიდან ერთმა კაცმა თავადის მამულში უნდა იმუშაოს ორ დღეს. გარდა ამისა, შარდინი, ალოუს ძე ჩვენი ყველაზე უფრო ძვირფასი და ახლო ნათესავია.

მამამ სანთელი აანთო და ქალამნების ამოსასხმელად დაჯდა.

— მარტო მე კი არა, ვინც იქ დღეს მუშაობდა, ყველამ დაიფიცა, ზვალ არ მოვალთო, — წამოიძახა მატამ.

— ყველამ ასე თუ გადაწყვიტა, მაშინ, ალბათ, მართალი ხართ, — ვთქვი მე.

— როგორც ვხედავ, შენ ცეცხლზე ნავთის დასხმა გენერხება. მაგას ტვინი ისედაც შექანებული აქვს, — მამამ შატასაკენ გაიქნია თავი, — და კიდევ შენი ბიჭვი უნდა? თუ დაგავიწყდათ, რომ შარდნი ჩემი ძუძუმტეა? სინდისი უნდა ჯქონდეთ, სინდისი! მართო ჩვენ კი არაა რამან-ქოიში დასახლებული ყველა უბიხი მაღლობელი უნდა იყოს იმ სიკეთისათვის, რაც შარდინმა გაგვიკეთა. იქნებ დაგავიწყდათ, რა დღეში ვიყავით სამსუნის ახლომახლო? აეთი უმადურობა ცოდვაა, იცოდეთ!

— როგორ გვონია, შენი ძუძუმტე თავის კეთილდღეობაზე არ ფიქრობდა, აქ რომ გადმოუყავდით? ასე რომ არ მოქცეულიყო, ვინ იმუშავებდა მის მამულში? თანაც უგლებებო თავადიშვილი ვერაფერიშვილი თავადია. ახლა კი არხეინად ცხოვრობს. გუშინ საღამოდან სელიმ-ფაშა ჰყავს სტუმრად... გუშინდელი ნაქეიფრები ამ დილას მზის ამოსვლის მერე ადვნენ და მაშინვე ნარდს მიუსხდხებ. ფულის გროვა წაავო შარდინმა, ალოუს ძემ. თვალებს არ ვუჭერებდით. ლირებს რომ ითვლიდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ ვიშოვი იმდენს. ჩვენ მარილის საყიდელი გახვეტილი კაპიკიანი არ გავაჩნია და ეს უქნარა კი ჩვენი ოფლით მოგებულ ფულს უბრალო ქალღირვით აბნევს აქეთ-იქით. ჩემი ყურით გავიჯღნე რა სიტყვებით ლაპარაკობდა თავის ძმაკაცთან ქალბატონთან მოსაყითხით მოსულ გოგოებზე.

— შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, შვილო და არავინ გეკითხება. ვის რიბი უფლება აქვს. ერთნი იმიტომ გაჩენილან, რომ სხვებს უბრძანონ, მეორენი კი იმიტომ, — რომ დაემორჩილონ. ეს კაცის სურვილი კი არაა, ალაპის ნებაა. და ორივემ დაიმახსოვრეთ: — შამა თითით დაგვემუქრა, — ჩვენ უცხო მხარეში ვართ და ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ რაიმე რომ გავვიჭირდეს, შარდინის, ალოუს ძის გარდა პატრონი არა გვყავს, ისაა ჩვენი მფარველი.

მამამ საკერავი გვერდზე გადადო, სანთელს სული შეუბერა და დაუმატა:

— ზეგ პარასკევია, მეჩეთში წასვლა არ დაგავიწყდეთ.

— უჩვენოდაც იოლად წავლენ, — თავი ვერ შევიკავე მე.

— ალაჰმა შეგინდოს, — ჩაიჩურჩულა შეშინებულმა დედამ.

დადლილები ვიყავით და აღრე დავწეკით, მაგრამ ძილი არ ქე-

კარებოდა. თვალებგახელილი ვიწეკი და მამაჩემისა და მატას საუბარზე ვფიქრობდი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მართლა მივიღეთ მიწის პატარა ნაკვეთი და ბინაც ავიშენეთ, რიგიანად მაინც ვერ ვცხოვრობდით; გვიკირდა. თუ უბიძებოს მიწაზე ერთი ბატონი ვყავდა და მარტო მას ეუბნოდით გადასახადს, აქ ორი ბატონისათვის უნდა გადაგვეხადა. ერთი შარდინი იყო, ალოუს ძე, მეორე კი მიწის მფლობელი სელიმ-ფაშა. ჩვენ მხოლოდ მოსავლის მესამედით ვკარგებოდა. მე-რედა ვანა ისეთი ყანა გვქონდა როგორც უბიძეთში? აქაურ მიწის ნაკვეთს ხარის ტყავი გადაწვდებოდა. აბა მიდი და მთელი ოჯახი ამ მესამედით არჩინე. არც სახელმწიფო გადასახადისაგან ვიყავით თავისუფალი. იმ ღანებს გვიან დამეძინა და ცუდი სიზმარიც ვნახე.

მეორე დღეს შუაღლისას დედა სადილისათვის რომ შლიდა სუფრას, გაცეცხლებულმა შარდინმა ეზოში არაბული ბედაური შემოყვალა. ცხენი გაქაფული იყო. ეტყობა, მწედარი დაუზოგავად მოაქენებდა. ცხენი ლაგამს ღრღნიდა, ცერად იხედებოდა და ოფლით შენამულ წვრილ ფეხებზე ტრიალებდა.

მხედარი არც ჩამოქვეითებულა და არც მოგვსალმებია, ვაბრაზებულმა დაიღრიალა:

— ეი, ჰამირზა, გამაგებინე, რატომ ამომიძულე ასე?

— რა მოხდა, ჩემო ძვირფასო ძემაო? — შეშინდა მამაჩემი.

— იქნებ არ ხცი, რომ შენი დიდგულა ბიჭი, — შარდინმა ხელში ჩაბღუჯული მათრახი მატასაკენ გაიშვირა, — ბუნტს მიწყობს? მაგის მიბაძვით დღეს კაციშვილი არ მოვიდა ჩემს ყანაში სამუშაოდ. აი, შენი გაზრდილი შვილი, ჰამირზა. — შარდინმა მათრახი აიქნია და ცხენი გაფითრებულ მატასკენ დაძრა.

— არ გაბედო! — ვზა გადავუქერი და ცხენს აღვირში ვტაცე ხელი.

გაცეცხლებულ შარდინს, ალოუს ძეს უნდოდა ჩემთვის გადაეწინა მათრახი, მაგრამ როგორც ჩანს ჩემმა გამოხედვამ შეაჩერა, მათრახი ხელზე ჩამოეკიდა.

ორივენი ვქოშინებდით.

— მომისმინე შარდინ, ალოუს ძე, — სული რომ მოვითქვი, პირველმა ამოვიღე ხმა, — სამგზის ნათესავეც რომ იყო, მაინც არა გაქვს ჩვენზე მათრახის აღმართვის უფლება. ფრთხილად იყავი! — ცხენს აღვირში ჩავკიდე ხელი და კიშკრისკენ წავიყვანე, — შშვილობით, შარდინ, ალოუს ძე!

— ჩემს სიცოცხლეში არ დავეცი წყებ ამას, — ამოიხრიალა მან, ცხენი გაახურა და გააქენა.

— ეს რა ჩაიდინე, — აცახცახებული ტუჩებით ბუტბუტებდა მამაჩემი, — როგორ გაბედე იმ კაცის ეზოდან გაგდება, ვინც ბები-  
აშენის რძითაა გაზრდილი?

ერთ საღამოს სამკედლოსკენ გავეშურე, გასალესად მიბარებუ-  
ლი თოხები მქონდა წამოსადები. თანაც ჩემს მეგობართან, მკედ-  
ლის შვილთან დურსუნთან მიხლოდა წასაუბრება. სამკედლო ახლოს  
იყო ჩვენთან, რაღაც ერთი ვერსით თუ იქნებოდა დაშორებული.  
წვიმდა და ბევრს ვადაზე ადრე დაემთავრებინა სამუშაო. რამდენ-  
იმე გლახს სამკედლოს წინ ფარდულისთვის შეეფარებინა თავი.  
მიეთმოეთობდნენ, ახალ ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს; ზოგი თა-  
ვის მოსაზრებებს გამოთქვამდა, ზოგი ვილაცას ქირდავდა. ღმერ-  
თმა უწყის, რა გზით მოდის ხოლმე ხალხამდე ახალი ამბავი, არ ვი-  
ცი საიდან და ყველას გაეგო ჩვენი შარდინთან წაკინკლავება, ბევ-  
რსაც მოჰფონებოდა გულზე.

— გამარჯობა, ზაურყან, — შემომეგება კეთილი ოძარი, — მარ-  
ჯვედ დახვედრიხარ იმ თქვენს ნათესავს.

— ახია იმაზე, — ამოიღრინა მოხუცმა რაშიდმა, ტარს რომ  
უგებდა თოხს, ცეცხლზე ნავთის დასხმა აღარ მიხლოდა და სხვა  
რაზე ვიკითხე.

— დურსუნი არ გამოჩენილა?

მკედელი დავითი წარმოშობით ქართველი იყო. მისი წინაპრე-  
ბისთვის ოდესღაც იძულებით მიუღებინებიათ მუსულმანობა და  
რაკი საქართველოს სამხრეთი ნაწილი თურქებს დაუპყრიათ, აქეთ  
გადმოუსახლებიათ. დავითი თურქეთში დაბადებულა. ცოლი ადრე  
მოჰკვდომია და ერთი ვაჟიშვილი დაუტოვებია ქმრისთვის — დურ-  
სუნი. ბიჭი გაიზარდა და მამას ამოუდგა მხარში. ორივენი გულის-  
ხმიერი და შრომელი ადამიანები იყვნენ. ვინ მოთელის ოსმან-  
ქოიში ჩამოსულ რამდენ მუჰაჯირს გაუწია დახმარება მამა-შვილმა.  
უფასოდ უქედავდნენ თოხებსა და ნაჯახებს, პურს უწილადებდნენ,  
ავადმყოფი ბავშვებისთვის კი რძე მოჰქონდათ. არ-ჯიცი როგორ და,  
მკედელი და ჩვენი ოჯახი საგანგებოდ დავმეგობრდით ერთმანეთ-  
თან. რით აღარ გვეხმარებოდნენ. გადასახადის გასასტუმრებელი  
ფული რომ არ ჰქონდა, დავითი დაუზარებლად აძლევდა ხოლმე  
მამას სესხს. მე და დურსუნი კი განუყრელი ძმაკაცები გავხდით.



ერთი ღლე რაა, ერთი ღლეც არ გაივილიდა, ერთმანეთს რომ არ შეეხებოდნენ. ღურსულის მამას მოსწონდა ჩვენი მეგობრობა.

— თქვენ ორივენი იმ ხალხის ნაწიელები ხართ, ჩოხას რომ ატარებდნენ, — გვითხრა მან ერთხელ, — ამიტომ ისე განუყოფელი უნდა იყოთ, როგორც ერთი ხანჯლის ორივე პირი.

ღურსუნი მოხერხებული ბიჭი იყო. ასეთებისთვის ცეცხლიდან თავის დაღწევაც არაფერია. მიუხედავად სიყმაწვილისა და ვითის ბიჭის მთელი თურქეთი ჰქონდა შოვლილი. „მარტო ეშმაკის რქებზე არ ვყოფილვარო“, უყვარდა ზოლმე თქმა. ერთხელ გულში საუბრის დროს ფელდიშზე ვუამბე. მითანაგრძნო და ჩემი იმედის პაწია გემზე აფრაც აღმართა.

— კუნძულ როდოსზე წაიყვანესო, ამბობ? — მან ხელი ზღვისკენ გაიშვირა, — ეს აქედან არც ისე შორსაა. ნუ დარდობ, მოვიფიქრებთ რამეს... „იცოდე ღლეიდან შენი ერთგული თანამონაწილე ვარ“. — ამას ნიშნავდა მისი სიტყვები მეგობრობის ენაზე.

ბინდებოდა. წვიმამ იკლო. სამქედლოს წინ ჩამომსხდარი, ლაპარაკით გულმოჭერებული გლეხები უკვე სახლებსკენ აპირებდნენ წასვლას, წვიმით გალუმპული ჟანტემირი რომ მოვიდა ქალაქიდან.

— აბა რა ამბები მოგვიტანე, ბერიკაცო! — ჰკითხა ომარმა.

— ცუდი. სულთანი ბალკანეთის ომში ჩაება. ღლეს თუ არა, ხვალ სოფლის თავები სახლებში დაიწყებენ წანწალს და ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, ჯარში გაიწვევენ.

გაგონილმა შეშფოთებული ღუმელი ჩამოაგდო გლეხებში. ფარღულის სახურავიდან ჩამოვარდნილი წვეთების წკარუნიც კი ისმოდა.

— ჩვენი შეილები თუ წაიყვანეს, ყველაფერი დაგველუპება, — თქვა მწუხარედ ჩაფიქრებულმა საატმა.

— ისე ზომ ცოტა რამ გადავიტანეთ და ეგლა გვაკლდა!

— ხელმწიფეები მიწას იყოფენ ერთმანეთში და სხვისმა შეილებმა სიცოცხლე უნდა გასწირონ ამისათვის.

აფორიაქებული იყვნენ მეზობლები. ამ ამბავმა შეც ადგილზე გამაშეშა, თითქოს ურო დამარტყესო ზურგში. ჩემი პირველი ფიქრი ისევ ფელდიშს მისწვდა: „ჯარში თუ წამიყვანეს, გათავდა, ფელდიშს ვეღარასოდეს ვნახავ.“ მეგობარი ჭირში უფრო საჭიროა, ვინემ ლხინში. ერთად იმსჯელებთ, ასწონ-დასწონით საქმეს და გა-

მოსავალსაც იპოვი კაცი. სწორედ იმ ღამეს ღურსენი შინ არ დაბრუნდა.

უძირო ცაზე სავსე მთვარე ეკიდა. ციაკობდა შომწვანო ვარსკვლავები. ნიავის წამოჭროლებზე შრიალებდა ფოთლები. ჩემმა აფორიაქებულმა სულმა და დაუქცხრალმა სიყვარულმა იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ გამხელა მრცხვენოდა და, ნიავქარს დაეუწყე ლაპარაკი: „სიკეთე მიყავ, ქარო და კუნძულ როდოსისკენ ვაიქროლე. მოძებნე იმ კუნძულზე ჩემი სატრფო და ისე მიელამუხე, რომ არ გააღვიძო. თუ ცხელა, მხურვალე შუბლი გაუგრილე, ხოლო დაწვები, ცრემლით თუ აქვს დანამული, შეუშშრალე. სიკეთე მიყავ, ქარო, კუნძულ როდოსისკენ ვაიქროლე! როცა ცისკარზე ჩემი თვალისჩინი გაიღვიძებს და წაბლისფერი აბრეშუმის თმის დაწვნას დაიწყებს, ყურში ჩასჩურჩულე: იმედს ნუ გადაიწყვეტ, ზაურყანი შენსკენ მოდის და ვერც მთა და ვერც ზღვა ვერ დაუღება წინ. ელოდე...“

აწრიალებული დავებეტებოდი აქეთ-იქით, თავზე კი ისევ დაქნათოდა მცხრალი მთვარე, რამდენჯერ შივედი ჩვენი ეზოს ჭიჭკართან, მაგრამ ვერ იქნა და ზღურბლს ვერ გადავაბიჯე. ძილი მაინც მომრეოდა, ლოგინში ჩავწვებოდი, მაგრამ იმ ღამეს ძილიც გამირბოდა.

მალე მამაჩემი შარდინთან, ალოუს ძესთან გაემართა, ისე რომ ჩვენთვის არაფერი გაუმხელია. დამნაშავესავით ჩაუვარდა იგი ფეხებში თავის ჭუჭუმტეს:

— გევედრები, დად, აპატიე ჩემს უგუნურ ბიჭებს. მართალია გაწყენინეს, მაგრამ სამავიერო მიიღეს ჩემგან. იყავი მოწყალე, ნუ გაგვირისხნდები, ჯერ იმათ ქარი უქრით თავში.

— ისინი პატიების ღირსი არ არიან, ჰამირზა, მაგრამ შენდამი პატივისცემის გამო ვეცდები დავივიწყო მათი დანაშაული, — უპასუხა შარდინმა, ალოუს ძემ.

— ჩემი ბიჭები ნამდვილი უბიხები არიან, ბრძოლის ველი სახნავ-სათესი მინდორივით მიაჩნიათ. ზაურყანმა საქმით დაამტკიცა ეს. არც მათაა მხდალი... ხმა დადის, მალე ახალგაზრდა უბიხებს ჯარში გაიწვევენო...

— ასეთი მამაცი ბიჭების ადგილი სწორედ იქაა...

— ეგ მართალია, მაგრამ მე აღარ შემიძლია, დავუძღვლო, ცოლიც ავადმყოფობს. ამ უცხო მიწაზე ბიჭები თუ არ მეყოლა

გვერდში, უსაკვებოდ დარჩენილი ბებერი ცხენებივით დაეხოცებოდა. დედაჩემის ხსოვნას გაფიცებ, ორივე ერთი ძუძუთი რომ გაგვზარდა, დამეხმარე, ერთი შვილი მაინც დამიტოვონ.

— მე რა, ჯადოსანი ხომ არ გგონივარ? შენ ადვილი გგონია, ჰამირზა, რეკრუტის დახსნა გაწვევისაგან?

— განა არ ვიცი ძნელი რომაა, მაგრამ შენ...

— გარდა ამისა, ჩემი ძუძუმტის შვილები ასეთ მფარველობას არ იმსახურებენ.

— ცეცხლს ნავით ვერ ჩააქრობ, წყენას რისხვით ვერ გააქარწყლებ, დად.

— გეყოფა ჰკუთის სწავლება. ნათესაობა მაინც ნათესაობაა, მის პატივსაცემად მოვიფიქრებ რამეს, შენს თავხედ ბიჭებს ომში თუ გაიწვევენ.

მამაჩემი ცუდ დახვედრას ელოდა, შარდინი, ალოუს ძე კი პირიქით, თავაზიანად და სტუმართმოყვრულად შეხვდა. გაუმასპინძლდა, ნარდი ეთამაშა და ბოზოხიც კი აჩუქა. გამომშვიდობებისას მასპინძელმა, ვითომ შემთხვევით, უთხრა:

— შენი ბიჭები ჩემს მამულში მუშაობისგან გამითავისუფლებია, თავის კარმიდამოს მიხედონ. საშაგეიროდ შენ იარე, ძეგო, ჩემთან უფრო ხშირად და მოსამსახურეებს ადევნე თვალი. ჩემიანი ხარ და ვიცი, ჩემი ერთგულიცა ხარ. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ქალბატონმა გთხოვა, ცვირაში ორჯერ რიგრიგობით გამოუშვას ჩემთან ქალიშვილებიო. თავისი ოთახის დალაგება და თეთრეულის რეცხვა ახლობლებს უნდა ჩააბაროს.

აბა, ასეთ სიკეთეზე უარს როგორ ეტყოდა მამაჩემი? თითქოს გაანაღვარდადებულნი დაბრუნდა შინ. ეგონა მთელი ოჯახი გააბედნიერა. რა იცოდა საბრალომ, რომ შარდინის, ალოუს ძის მოჩვენებით გულკეთილობაში შავბნელი ვერაგობა იშალებოდა.

ამ დღიდან მოყოლებული ჩემი დები კუნა და ჯუნა კვირაში ორჯერ, რიგრიგობით, დადიოდნენ თავადის სახლში და დილიდან საღამომდე ქალბატონს ემსახურებოდნენ. ახლა მამაჩემიც ბატონების მამულში ატარებდა დროის უმეტესს. თავადის თითოეული სიტყვა კანონი იყო მისთვის.

კუნა და ჯუნა კარგი გოგონები იყვნენ, გულლიები და გულკეთილები. კუნა თეთრი იყო, ოქროსფერნაწნავებიანი. დიდი ნაც-

არისფერი თვალები დღენიადაგ ჩაფიქრებული ჰქონდა, დინჯად და ნაღვლიანად იცქირებოდა. იშვიათად თუ გაიცინებდა ხოლმე. ჩუმი და საბჭალო იყო, ყველაფერი გულთან მიჰქონდა, სულ პატარა საწყენაც კი ცრემლს ჰკვრიდა. მტრედით დაგოვმანებდა. ჯუნა კი პირიქით. შავგვრემანი იყო, ყორნისფერი ხვეული თმა ჰქონდა, თანაც ისეთი სქელი, რომ წვიმაც ვერ გაატანდა შიგ. თვალები მაყვალავით შავი ჰქონდა. მხიარული გოგო იყო, სულ კისკისებდა და ცეკვავდა. საიდუმლოს შენახვა არ ეხერხებოდა და თუ რაიმეზე წყდებოდა გული, მაშინვე იტყოდა. ორივე და წარმოსადგეგობითა და სიმაღლით გამოირჩეოდა. თუ არ იცნობდი, ვერ იტყოდი დები არიანო. ჩვენი ოჯახის მთელი სინარული ეს გოგონები იყვნენ.

ერთხელ ჯუნა დათქმულ დროზე არ დაბრუნდა ბატონის სახლიდან. გვიანობამდე სხვა დროსაც რჩებოდა ხოლმე, მაგრამ ღამეს ყოველთვის შინ ათევდა. მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. მოგეხსენება, მდიდრების სახლი დიდი პატიოსნებით არ გამოირჩევა. ქალიშვილი კი, როგორც აფხაზებს გიყვართ ხოლმე თქმა, კიქასა ჰკავს, ხელიდან თუ გაგივარდა, მორჩა...

ის-ის იყო ჯუნას ამბის საკითხავად წასვლა გადავწყვიტე, რომ ჩვენს კიშკარს წითელი ფაეტონი მოადგა. ეყვნების უღარუნით. შიგ სამი ჩალისფერი ცხენი იყო შებმული. „ნეტა ვინ არიან, იქნებ გზა აებნათ და საკითხავად მოვიდნენ?“ — გაიკვირვა დედამ. და აი საშინელება, ფაეტონიდან ჯუნა გადმოვიდა...

— რა ამბავია, შვილო? — შესძახა დედამ და შესახვედრად გაიქცა.

— არაფერი, რა ამბავი უნდა იყო. შარდინს, ალოუს ძეს ძალზე პატივსაცემი სტუმრები ეწვივნენ და მთელი ღამე ქეიფობდნენ. მომსახურება ხომ უნდოდათ სტუმრებს და მე დამტოვეს. ძალიან დავიღალე და ქალბატონმა სტუმრების ფაეტონით გამომიშვა.

საღამოს, ვახშმად რომ დავსხედით, შევნიშნე, რომ ჯუნა მოწყენილი იყო და ხმას არ იღებდა. იქნებ მართლა ფეხზე ძლივს დგას დალილობისაგან? — ვავიფიქრეთ ყველამ ერთნაირად.

მეორე დღეს, ვაგანია შუადღისას, სადილად რომ ვაპირებდით დასხდომას, ეზოში არაბული ცხენი შემოიყვანა შარდინმა ნავარდნავარდით და აუჩქარებლად ჩამოქვეითდა. რაც ეს საჩინო მხედარი მივბარძანე ჩვენი ეზოდან, ფეხი აღარ გადმოუბიჯებია ზღურბლისთვის. ახლა კი ისე იქცეოდა, ვითომ არც ახსოვდა ის წყენა, ვითომ

არც არაფერი მომხდარიყოს. შარდინი, ალოუს ძე გულდიად იღიმებოდა, ყველანი გადაგვიკოცნა, მეგობრულად დამკრა ხელი მხარზე და — აფერუმ, აფერუმო, — თქვა.

„უცნაურია, — გავიფიქრე მე, — რითი დავიმსახურეთ ასეთი ყურადღება? არც ის გამომპარავია, რომ ჯუნა, როგორც კი სასელოვანი სტუმარი გვეწვია, შინ შეიყუთა. „არა, აქ რაღაც ვერაა საქმე კარგად“, — ყურები ვცქვიტე მე.

— ალაჰს მადლობა შესწირე, ჰამირზა, ალაჰს მადლობა შესწირე! — ნაძალადევი სიხარულით თქვა შარდინმა, ალოუს ძემ, დედაჩემის მირთმეულ ტყავის ბალიშზე რომ იჯდებოდა.

— მადლობის თქმა ძნელი არ არის, მაგრამ გამაგებინე, რისთვის?

— შენს გოგოს, ჯუნას, ისეთი ბედი ეწვია, რომ მთელი მისი ცხოვრება ოქროს სხივებით იქნება ნაფერები, ის კი არაა, თქვენც, ჩვენც — მისი წათესავები და იქნებ მთელი უბიხებიც ბედნიერი ვიყოთ.

— კეთილი სტუმრისაგან კეთილ ამბებს ელოდებიან მხოლოდ.

— მაშ მომისმინეთ. სამი დღე იყო ჩემთან სტუმრად პატივცემული ვალი სელიმ-ფაშა, აი, ცინც ეს მიწა გეიწყალობა. ის რომ არა, გაფიქრებაც მიჭირს, რა დღეში ვიქნებოდით ახლა. სულთახევით შევხვდი. დაინახა თუ არა, ვალი სელიმ-ფაშამ ჩვენი ჯუნა, თავბრუ დაეხვა, შეიყვარა და ინდომა...

დედაჩემი გაფითრდა, შარდინი, ალოუს ძე კი ისე განავრძობდა ლაპარაკს, თითქოს დიდი სამამულო საქმე გაეკეთებინოს.

— აბა, დაფიქრდით, თვით სულთნის მეგობარმა, აურაცხელი სიმღერის პატრონმა ჰკუა დაკარგა ჩვენი ჯუნასთვის. ლამის დაჩოქილი მევედრებოდა, გადმომეცა შენთვის, ჰამირზა, რომ შენი მზეთუნახავი ჯუნას ცოლად შერთვა სწაღია. ღაე, სასახლის ყველა ქალი მისი მორჩილი იყოს, მთელი ჩემი განძეულობის სალაროს გასაღები მაგას ეპყრას ხელთ, ოღონდ ჩემი აიცოცხლის დაისი გამიცისკროვნოსო. არც თქვენ დავიწყნიხართ. ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულხართ, იზმიდში ვადმოვიდნენ საცხოვრებლადო. თუ ურჩევნიათ, სადაც არიან იქ დაარჩენენ, დღეიდან მაგათზე ზრუნვა ჩემი ვალიაო.

შარდინის, ალოუს ძის გარდა არავის შეტყობია სიხარული.

— რას გაჩუმებულხარ, ჰამირზა, სიხარულმა წაგართვა ენა?

მამაჩემს გადაეხედე, სახე მოქუფვროდა, ტუჩები ჩათეთქვოდა. ხმისთვის არ აუწყვია, ისე თქვა ნაღვლიანად და მტკიცედ:

— არა, ჩემო ერთადერთო, შენს რჩევას ვერ მივიღებ, სიძარ-  
თლე ვითხრა, გაფიქრებაც მიჭირს — რამ მოვასახრა საკუთარი  
ძმისშვილის გაყიდვა ბებერი თურქის პარამხანაში? არა, ამისთვის  
არ გაგვიზრდია ჩვენი შვილი. ის სასახლეცა და განძეულობაც მისი  
იყოს, ნურც თავის ცოლებს გაშორდება. ჩვენი შვილი კი ჩვენს  
ღარიბულ ქოხში დარჩება.

შარდინი, ალოუს ძე ნერვულად იწიწკნიდა ულვაშს. სხვა დროს  
აფეთქდებოდა, მაგრამ ახლა თავს იკავებდა.

— შენი ნებაა, პამირზა, მეგონა გაგახარებდი და გაწყეხიხე,  
მაგრამ ამბის მომტანს პასუხს არ აგებინებენ. ერთი კი გახსოვდეს—  
ქალმა თუ ვინმე შეიყვარა, დიღეგშიც რომ გამოამწყვდიო, მაინც  
ვერ დააკავენ. ასე თუ მოხდა, ჩემი ბრალი არ იყოს.

ესა თქვა შარდინმა, ალოუს ძემ, ცხენზე შეჯდა და წავიდა.

მეორე დღეს მარტო დედაჩემი იყო შინ. ჭიშკარს ისევ მოადგა  
ის დასაწვავი წითელი ფაეტონი. ორმა კაცმა მძიმე სკივრი და მდი-  
დრული ზარდახშა ჩამოიტანა ფაეტონიდან, დედას დაუდგეს წიხ,  
თაყვანი სცეს და უთხრეს:

— ეს სელიმ-ფაშამ მოგართვათ.

დედამ უარი თქვა საჩუქარზე, მოითხოვა უკან წაეღოთ ყველა-  
ფერი, მაგრამ მათ ისევ თაყვანი სცეს, ჩასხდნენ იმ წყეულ ფა-  
ეტონში და თვალს მიეფარნენ.

პატარა ტაპირი თოხარიკით მოვარდა ყანაში:

— ბებომ დაბაბარა, — ყველანი ახლავე წამოდიოთ შინ, — ძლივს  
ამოიქოშინა ტაპირმა.

ცუდად გვენიშნა ეს. მოვევადით შინ. დედა თავზე დადგომოდა  
სკივრსა და ზარდახშს და ცრემლებს იწმენდა. გავხსენით სკივრი  
და მდიდარი დუქანივით რალა არ ვნახეთ შიგ: მაუდი გინდა, ხავერ-  
დი თუ ფარშავანგივით მონატული აბრეშუმი. სკივრის ძირას კი  
თეთრი ქურქი იყო ჯუნასთვის. ყუთშიც ჩავიხედეთ და ღმერთო  
გვიხსენი, უამრავი ძვირფასეულობა იყო: ბაჯაღლო ოქროს ბეჭე-  
დი და სამაჯურები, მარგალიტის საყურეები, მემშხეის ფირუზის  
ყელსაბამი. ეს რომ ჯუნამ დაინახა, ჯერ გაშეშდა, მერე კი იყვირა:  
„მომეცოთ, ჩემოაო“, — ყუთს ხელი დასტაცა და თავის ოთახში შე-  
იმალა. ჯუნან საქციელმა ყველა გაგვაოცა. მალე ჩვენი მეზობელი

უზამატი შემოვიდა, საკუთარ ყურებს არ დაუჭერეთ, რაც იმან გვითხრა:

— ჯუნა მორცხვი გოგოა, როგორც ყველა უბიხი ქალი. გაბედულება არ ყოფნის დედასა და მამას თავისი ხეაშიადი რომ გაუძხილოს, — სელიმ-ფაშას უნდა ცოლად გაჰყვეს. ჰოდა, აი მე ამომირჩია უზამაველად, რომ შეგატყობინოთ — არა, ვინ აიძულებს სელიმ-ფაშას ცოლობას, ეს თავისი სურვილია და ხვალ ნიშნობაც იქნება.

ფეხები მოშეკეცა.

— რა ნახა ამ ავხორც ბებერში, იმდენი თითიც კი რომ არა აქვს ხელებზე, რამდენიც ცოლი ჰყავს? — ვიკითხე ნაღვლიანად.

— ეჰ, სიყვარულისას რას გაიგებ, — თითქოს მამშვიდდებო, ისე შენიშნა უზამატმა. — ჩემი ბებრუხუნა რომ შემეიყვარდა, ამხანაგები დამცინოდნენ, თვალები სად გაქვს, სულელოო. მაგას ზედაც არ შეეხედავთო, მაგრამ ჩემი თვალები რომ მეთხოვებინა მათთვის, გეფიცები, მეტოქეებად გადამექცეოდა ყველა. შენ შენი მინარეთიდან ნუ იყურები. სელიმ-ფაშა, მართალია, ხანდაზმულია, მაგრამ ჯერ ისევ მხნედაა. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ფულია ცხოვრებაში ზედმეტი რამ. სადაც მდიდარს ცოტა გაუჭირდება, იქ ღარიბი სულს დაღვეს. ჯუნას კი ნუ უსაყვედურებთ, ვინ იცის, იქნებ მარტო თავის თავზეც არ ფიქრობდა, ქორწინებას რომ დათანხმდა.

ვაშეშებული ვისხედით და ხმას არ ვიღებდით. ერთმანეთს თვალს ვარიდებდით, დედა თავს აქნევდა, სლუკუნებდა და შავი თავსაფრის წვერით ცრემლებს იმშრალებდა.

— ძალა აღმართს ხნავს. თვითონ გადაწყვიტა და გადათქმევიება უკვე გვიანაა. — წამოდგა მამა, ცელი აიღო და მინდვრისაკენ წაასლასდა.

„იქნებ ბატონების სახლში სიმდიდრით მოხიბლეს? ან მოსაფერებელი სიტყვებით აუბნიეს თავჯნა? ერთი პირისპირ და გულლიად უნდა ველაპარაკო,“ — გავიფიქრე და დისკენ გავემართე. კარი გამოვალე და რას ვხედავ: ჯუნას მორთმეული კაბა აცვია, სარკის წიხზის და ბრჭყვიალა საყურეებს ისინჯავს. თითებზე ოქროს ბეჭდები უბრწყინავს. ისე გაბანგულა თავისი საქმიანობით, რომ კარის კრიალზეც არ მოუხედავს. საქციელწამხდარს ერთი სიტყვაც არ მითქვამს დისთვის, ისე გავცილდი იქაურობას.

შარდინი, ალოუს ძე სწორი იყო. მეორე დღეს მზის ჩასვლისას

ფაეტონები და ღია ეტლები მოგრიალდა ჩვენს სახლთან მხედრიონის თანხლებით. უაზამატი სახლში შემოვიდა, ჯუნა უკვე ელოდებოდა. გამოპრანქული და მომღიმარე გაჰყვა იგი უაზამატს ქუჩაში, ჩაჯდა წითელ ფაეტონში და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა მტერის კორიანტელში.

ღრმად დამწუხრებულებმა თავები ჩავქინდრეთ. თითქოს აიშას ჩრდილი შემოდგა ზღურბლზე...

მალე ნათესავები, ყოხალები და მეზობლები შემოლავდნენ მოსალოცად. მათი მხიარული შეძახილები ისე უაღგილოდ მეჩვენებოდა, როგორც სიცილია ხოლმე სასაფლაოზე.

— გვიხარია, ძალიან გვიხარია!

— ყოჩაღ, ჯუნა! კარგად გათხოვდა, კარგად!

— ისე იცხოვრებს, როგორც სამოთხეში. მდიდარი და სახელგანთქმულია სელიმ-ფაშა.

— ბედნიერი!

„ღმერთო ჩემო, — მიევირა მე, — ჩემი და ერთი ბებერი ავხორცის ხარკა გახდა და ესენი კიდევ გვილოცავენ. ბევრს, ალბათ, შურს კიდევ ჩვენი“. რატომღაც ძველი აფხაზური სიმღერის სტრიქონები ამეკვიატა:

ძერამ თუ ყვაილი წაიღო ცაში,  
რალა გაახარებს იმ ყვაილს მაშინ.

სწორედ იმ დროს გამოჩნდა მოულოდნელად ოსმან-ქოიში საპატქერი. უკვე დიდი ხანია უგზო-უკვლოდ დაკარგულად ვთვლიდით, გვეგონა უცხო მხარეში დაიდუშა და ალაჰს მიაბარა სული. ის კი უცბად არ აღსდგა მთელი თავის ჯალაბით?! თანაც მაწანწალასავით ჩამოძენძილი კი არ გამოეცხადა თავის თანამემამულეებს, მოხეტიალე დერავშად კი არ მოგვევლინა, მდიდარი ჰაჯის საშოსი ეცვა და თავიც ქათქათა ჩალმით ჰქონდა შემეკული.

— მექას მოვილოცე, პატივცემულნო, ქააბის შავი ქვის წინ დავიჩოქე და თქვენს გადასარჩენად ლოცვა აღვაველინე. როგორც ჩახს, მისმინა უზენაესმა და მშვიდობიანი ცხოვრება მოგივლინათ ამ სამოთხის კუთხეში, იდიდოს მისმა სახელმა. არა არს. ღმერთი თვინიერ ალაჰისა, მაჰმადია მისი წინასწარმეტყველი!

მალე ოსმან-ქოიში ახალი შეჩეთი გაიხსნა და მთავარ მოლად საპატქერი მოგვევლინა. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასს ხაზინა უზდიდა, მან თვითნებურად დააკისრა თითოეულ ოჯახს „მეჩეთის“



ბეგარა. ძნელადღა იცნობდა ვინმე მთავარ მოლაში ძველ საპატქერის. გაიბღინძა, გაყოყოჩდა და გადიდგულდა. ხალხი გუღლიად კი არადა, საერთოდ აღარ ელაპარაკებოდა.

\* \* \*

საპატქერის დაბრუნებას ორთაბრძოლის მსგავსი ამბები მოჰყვა. ახლად მოვლენილ იმამსა და ქურუმ საულაპს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახება მოხდა. თითოეული მათგანი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მეტოქეს აღმატებოდა. საქმე იქამდე მივიდა, ძვირფასო შარახ, რომ ორივენი ნაგანებით შეიარაღდნენ ჩუმად. თითოეულის ოცნება იყო, სადმე, მოწმის გარეშე გაეხვირტა ტყვიით შუბლი მეტოქისათვის. იარაღის ტარება კი, როგორც მოგეხსენება, სასულიერო პირისათვის მიუღებელია, მაგრამ ორივე ფიქრობდა, წმინდანად გახდომას იმ ქვეყანაშიც მოვესწრებო. განხეთქილება უფრო და უფრო იზრდებოდა, ფარულიდან სააშკარაოზე გადავიდა და ნებით თუ უნებლიეთ ოსმან-ქოიში დასახლებული თითქმის ყველა უბიხი ჩაითრია.

როცა სამსუნის მიდამოებიდან ოსმან-ქოიში გადმოვსახლდით, გვეგონა, როგორც იქნა, ღმერთმა კეთილი თვალით გადმოგვხედაოქო. საკუთარ თავზე კი ვფიქრობდით, მაგრამ არც წმიდათაწმიდა ბითხა დაგვეიწყნია. მწვანე ბორცვი შევარჩიეთ მისთვის, გვირგვინივით რომ ედგა თავზე ტოტებგაშლილი რცხილა. თხა შევწირეთ და საზეიმო ლოცვაც აღვაკლინეთ. სალოცავი მიტოვებულ სამშობლოზე მოგონებებით გვაერთიანებდა, გვაკავშირებდა თანამემამულეებს, ამქვეყნიურ საზრუნავს გვაკოფიყებდა. უბიხეთში ბითხას წინ სალოცავად დაჩოქილებს გვეცხადებოდა ხოლმე.

საპატქერის, ალაპის ქვეყანაში, ალაპის გარდა რაიმესადმი თავყვანისცემა დიდ ცოდვად მიაჩნდა. მან შეჩეთში მიიწვია ქურუმი საულაპი და უბოდიშოდ მოახსენა:

— რას სჩადიხარ, თუ იცა, თხაწვერავ, კერპთაყვანისმცემლობისაკენ მიგყავს ხალხი?

— ჭეშმარიტებას ღალადებ, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, — შეაწყვეტინა იმამმა, — მიწაში ჩამარხე ეგ შენი ქორისმაგვარი ჭვა — შენი ბითხა და იმ ბორცვზე აღმართული ხეც მოქერი.

ქურუმი შეძრწუნდა:

— აბა რას ამბობ, საპატქერი, წმიდათაწმიდას მიწაში ჩამარხვა როგორ შეიძლება, როცა წინაპრებმა გვიანდერძეს, საკუთარ სიცოცხლეზე უფრო მეტად გაუფრთხილდითო მას. იცოდე, მისი რისხვა არ ავცდება!

— ნუ მაშინებ!

— რამ გათქმევინა: სალოცავი მიწაში ჩამარხეო, — არ ცხრებო... და საულაპი, — საკუთარ გულს უფრო ადვილად ამოიგლეჯენ უბიხები, ვიდრე ბითხას მიაბარებენ მიწას.

— დიდი უგუნური ვინმე კი ხარ, მოხუცო, — არ უთმობდა იმამი, — წინაპრების ძელები ზღვის იქით დარჩა, სხვა მიწაში, აქ კი ყველასთვის ერთი კანონი არსებობს — მუსულმანური კანონი და მას უნდა მორჩილებდეს ყველა.

— შენი განზრახვა რომ ჩვენმა თანამემამულეებმა გაიგონ, იცოდე, კარგი დღე არ დაგადგება.

— ეგ არადა, ალაპის ნაცვლის, დიდი სულთნის ყურამდე თუ მიადწია ხმამ, რომ უბიხები მეჩეთზე უფრო რალაც ქვას სცემენო პატივს, ცუდად წაგივათ საქმე, საულაპ!

სწორედ ამ დღიდან დაიწყო მათ შორის ბრძოლა.

იმამი საპატქერი არაფრის წინ არ იხევდა, ოღონდ უბიხების ერთადერთი სულიერი წინამძღვარი გამხდარიყო. რამდენჯერ გამგზავრა იზმიდს სელიმ-ფაშასთან და ამბები მიუტანა თანამემამულეებზე. მრავალი ღირსეული მთიელის სახელი მოხვდა მისი წყალობით საშიშ პირთა შავ სიაში. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქურუმი იყო მოხსენებული.

როცა უბიხებმა შარდინს, ალოუს ძეს მოახსენეს საპატქერი მეჩეთის გადასახადს უკანონოდ გვახდევინებსო, მან ერთ ყურში შეუშვა ეს და მეორედან გაუშვა.

მაგრამ არც ქურუმ საულაპს ეძინა: არ დაუმალა ხალხს, რომ იმამმა წმინდა ბითხას მიწაში ჩამარხვა და სალოცავზე აღმართული ერთადერთი ხის მოჭრა მოითხოვა. თითქოს თოფის წამლის საწყობის ახლოს ხმელ თივაში ნაპერწყალი ჩააგდო ქურუმმა. უბიხებას სულში კვლავ აგიზგიზდა ქედუხრელობის ცეცხლი.

— მაგათი წყალობით სამშობლო დაგკარგეთ, ათასობით კაცი ჩახადისაგან დაიღუპა და ახლა ჩვენი მფარველი და მოწყალე წმინ-

და ბითხა მკვდარივით უნდა ჩავმარხოთ მიწაში? ამას არ ღაუქმ-  
ვებთ.

— სალოცავის შეხებას თუ გაბედავენ, მეჩეთს გადავწვავთ!

ასე გაიძახოდნენ უბიხი ჭაბუკები, რომელთა თანდაყოლილმა სიამაყემ და მეომარმა სულმა სიფრთხილე არ იცოდა, ისე გასწი-  
რავდნენ თავს, რომ შედეგზე არც დაფიქრდებოდნენ. „მეჩეთის გა-  
დაწვა აღვილი საქმეა, მაგრამ მერე იცით რა მოჰყვება ამას?“ —  
აფრთხილებდნენ ახალგაზრდებს ამ საბედისწერო ამბით ჩაფიქრე-  
ბული საღად მოაზროვნე ადამიანები.

საპატქერი რომ სულიან-ხორციანად თურქებმა მოისყიდეს, ეს  
ჩემთვის დღესავეით ნათელი იყო. მე სხვა რამე შაოცებდა: როგორ  
ბედავდა იგი უბიხების თავმოყვარეობის შელახვას? ბოლოს და ბო-  
ლოს, თვითონაც ხომ უბიხი იყო? რატომ გვიბიძგებდა იმ განწი-  
რული ნაბიჯისაკენ, რომელიც მუსულმანთა ქვეყანაში ბევრ ჩვენს  
თანამემამულეს დაღუპავდა? და მე სურვილი გამიჩნდა, პირისპირ  
შევეყროდი იმას.

\* \* \*

მეჩეთის კარს ღვთისმსახურების დასასრულს მივადექი. დავე-  
ლოდე, სანამ უკანასკნელი შლოცველიც არ წავიდა და როცა დავრ-  
წმუნდი, რომ საპატქერის გარდა არავინ იყო, ჩუმაღ, მალულად შე-  
ვიბარე მეჩეთში.

საპატქერი ორ ანთებულ სანთელს შორის იდგა და ფულს ით-  
ვლიდა. უცბად იგრძნო, ვიღაც რომ უახლოვდებოდა, ფული ჯიბე-  
ში ჩაიტენა და ყურანზე დაიხარა. მე პირდაპირ ზედ მივადექი და  
თვალი თვალში გავუყარეთ ერთმანეთს.

— დაიგვიანე, მსახურება დამთავრებულია, — მითხრა მან ნაძა-  
ლადევი საყვედურით, სანთლების მოფარფატე. „შუქზე კი დამ-  
ფრთხალი თვალები დააცეცა, — ხანჯალი რატომ გარტყია წელზე,  
თუ არ იცი, რომ ალაჰის სავეანში იარაღით შესვლა აკრძალულია? —  
მკაცრად შეითხა საპატქერიმ, თვალები კი ისევ აქეთ-იქით გაურ-  
ბოლა შიშისგან.

— მე კი შეიარაღებული ვაპირებ სამოთხეში გამგზავრებას, ისე,  
ყოველ შემთხვევისათვის, — აჯღებულად ვუთხარი და კიდევ უფ-  
რო ახლოს მივიწიე მისკენ.

— რა გინდა ჩემგან?

— აჲ, რა მინდა! — ქარქაშიდან ხანჯალი დაეძრე და გულზე მივაბჯინე იმამს.

— ქეუაზე არ ხარ? ყაჩაღო! ეი, ვინა ხართ მანდ, მიშველეთ, — ამოაქნავლა მკვლარივით გაფითრებულმა.

— ნუ ღრიალებ, კაციშვილი არ არის აქ, ყოვლისშემძლე კი ძალზე შორსაა და ვერ გაიგონებს. — მე ოდნავ მივაწექი ხანჯალს.

საპატქერიმ უკან დაიხია და რაღაც დაუნაწევრებელი ამოიხმეულა.

— მორჩი ზმუილს, შენ არც ალაპი გწამს და არც შაითანი, ძაღლო! თანამემამულეებს ჰყვითი, არა? მოლალატე!

იმამი უკან-უკან იწევედა და გაიძახოდა:

— გონს მოდი. რა გინდა ჩემგან, მიშველეთ, ხალხნო!

— რატომ უნდა გიშველონ, რომ მთატყუე? აქ გადმოსახლებას რომ ურჩევდი? სად არის ის მუსულმანური გიულისტანი, სადაც არც მტრობა, არც გაჭირვება, არც სიციხე, არც სიცივე, არც სიღარიბე და არც შიმშილია? სად არის-მეთქი, გეკითხები, სამსუნის სანაპიროზე რომ გადმოსხედით, სად დაიკარგე, სად წახვედი, საუკუთარი ტყავის გადასარჩინად არა? — ხანჯლის წვერი კიდევ უფრო მიებჯინა მკერდზე.

— რისთვის მკლავ, მე ზომ მამაშენის შეგობარი ვარ, — კბილების კაწკაწითა და ბლუკუნით მკითხა მოლაპ.

ის თითო ნაბიჯით იხევდა უკან, მე კი თითო ნაბიჯით მივიწევედი წინ.

მალე კედელს მიაწვა ზურგით, ხანჯალმაც ტანსაცმელს გაატანა და წვერი მარცხენა ძუძუს ქვეშ მიეჭირა.

საპატქერის ფეხები მოეცელა.

— გამოტყდი, — ვუბრძანე მე, — იცოდე, შენი აღსასრული მოვიდა, ბებერო მატყუარა, გამოტყდი, სად და ვისთანაა შენი შავი სია, — ცოტა კიდევ მივაწექი იმამის მკერდზე მიბჯენილ ხანჯალს.

შიშისა და ტკივილისაგან გაფითრებულმა საპატქერიმ ძლივს ამოიბლუკუნა:

— სია სელიმ-ფაშასა აქეს. მე მიბრძანეს და... მე თვითონ... მე არაფერ შუაში ვარ. ერთიც იცოდე, მე თუ მომკლავ, სხვას დამიშნავენ.

გულწრფელობისთვის შევიწყნარე და ხანჯალი ქარქაშში ჩავაგე. საპატქერის ფეხებზე მოეკეცა და ჩაჯდა. ყურანი მივუტანე.

— მისმინე იმამო, რა გითხრა: დღეს წმინდა ბითხასთან თავს მოვიყრიტ და იმედი გვაქვს, შენც მოხვალ.

— სხვა რალა დამრჩენია, — ჯერ შიშს არ გაველო და ისევ კანკალით მიპასუხა იმამმა.

— მოხვალ და მონინაიებ. რაც იყო, იყო, რალაც გაუგებრობა მოხდა, თორემ მეცა და თქვენც ერთი სისხლისანი ვართ, თქვენც უბიხები ხართ და მეცა-თქო. არავითარ მოთხოვნებს აღარ წამოგოყენებთ, როცა გინდათ მაშინ ილოცეთ თქვენს ბითხაზე, დაე, მწედ გეყოთ-თქო იგი!

— როგორც შენ იტყვი, ზაურყან, — დამეთანხმა იგი.

— სამწუხაროა, რომ შენი შავი სია სელიმ-ფაშას ჩაუვარდა ხელთ და ველარაფრით დაიბრუნებ.

— სამწუხაროა, — კვერი დამიკრა მან, — ველარ დაიბრუნებ.

— ყურანზე დაიფიცე, რომ რასაც დამპირდი, შეასრულებ.

— გვედრები, ზაურყან, ყურანზე ნუ დაძაფიცებ, — ფეხზე წამოდვა მოხუცი, დაწვებზე ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი.

— მშვიდობით, საპატქერი, ენახო, როგორ შეასრულებ სიტყვას! მინდა მკეროდეს, რომ შენში ისევ ჩქეფს უბიხური სისხლი. ეცეც დაიხსომე: მე მეჩეთში არ ვყოფილვარ და არც არაფერი მომხდარა.

ხელი ხანჯლის ტარს დავადე და მოლა მარტოდმარტო მივატოვე.

მალე საპატქერიმ ავადმყოფობა მოიმიზეზა, იმამის მოვალეობა მოიხსნა და იზმიდს გადასახლდა. მას მერე აღარ შევხვედრივარ და არც არაფერი გამიგონია მასზე.

მესამე დღე იყო, რაც ქალაქ იზმიდიდან ჩამოსული ოფიცერი ახლომახლო სოფლებში დადიოდა და მოედნებზე შეგროვილ ხალხს ომახიანი ხმით უკითხავდა სულთნის ბრძანებას. ოფიცერს ზეპირად ჰქონდა დამახსოვრებული ბრძანების სიტყვები, მაგრამ მაინც მედიდურად ატრიალებდა აქეთ-იქით ქალაქს და ძაცნესავით გაიძახოდა:

— ალაჰის ნაცვალს დედამიწაზე, დიდ სულთანს მიზნადა აქვს დასახული დაიცვას მუსულმანების წმინდა უფლებები მთელ ქვეყანაზე! გიაურების ვერაგობის გამო ის იძულებულია, ჭიხადუში გაიწვიოს მართლმორწმუნენი. სულთნის ყველა ქვეშევრდომი, ვინაც კი იარაღის ტარება შეუძლია, ალაჰის წინაშე ვალდებულია,

თავისი წმინდა ვალი მოიხადოს — აღსდგეს ისლამის დასაცავად და გაანადგუროს მისი მტრები!.. — ოფიცერს ხახა გაშრობოდა და ხრინწიანი ხმით ლაპარაკობდა. ბრძანების მიხედვით ყველა იქ მოხსენიებული პირი დილით მოედანზე უნდა გამოცხადებულიყო შესაფერისი ტანსაცმლითა და საგზლით. ომში გაწვეულების ოჯახებს მთავრობა დახმარებასა და სახელმწიფო გადასახადებისაგან გათავისუფლებას ჰპირდებოდა. იუწყებოდა, რომ ვინც სამხედრო სამსახურზე უარს იტყოდა, სიკვდილით დაისჯებოდა, ჩამოახრჩობდნენ. დიდება ალაჰს, ქვეყნის მეუფეს!

დადგა მეორე დღე. ცვარმა კი არადა დედების ცრემლმა დანამა მიწა. იმ დღეს ბევრი სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის ახლობელს, ბრძანებაში არც ჩემი და არც მატას სახელი არ ყოფილა მოხსენიებული.

სინდისი მქენჯნიდა ომში მიმავალთა წინაშე, მაგრამ ამავე დროს ისეთმა საოცარმა სიხარულმა ამიტანა, როგორც დიდი ხანა აღარ განმეცადა. თვალწინ კუნძული როდოსი მედგა. ჩემი ერთგული ღურსუნნი ეშაადებოდა ამ კუნძულზე გასაყოლად, მაგრამ აი, დაგვაშორეს ერთმანეთს. აფრიანი ნავის პატრონთან გავეშურე, ღურსუნმა რომ გამაცნო. მეთევზემ საკუთარი ხუთი თითივით იცოდა გზა აღთქმული კუნძულისკენ, ჩვენ ხელი მივეცი ერთმანეთს.

სწორედ იმ წელიწადს, ღვთის წყალობით, კარგი თამბაქო გვექონდა. უდანაკარგოდ თუ ავიღებთ, — ვფიქრობდი მე, — გადასახადებსაც გადავიხდით და იმდენი კიდევ დამრჩება, რომ მენავე გავისტუმრო. დავიწყე დიდი ხნის ნანატრ მგზავრობისთვის მზადება. აბა იფიქრე, ოთხი წელი გავიდა, რაც სხვადასხვა მხარეს გაგვრიცხებოდა მე და ჩემი საყვარელი ფელდიში და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი სურვილი მასულდგმულებდა, მხოლოდ ერთი რამ მქონდა ოცნებად გადაქცეული — ფელდიშთან შეხვედრა. ნათელიც ბნელი იყო ჩემთვის უიმისოდ.

სამი თვე გავიდა ჯუნას წასვლიდან. წავიდა და წავიდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ეს იყო, რომ ხანდახან შარდინი, ალოუს ძე გადმოგვეცემდა ხოლმე მის მოკითხვას, რასაც სელიმ-ფაშა გვითვლიდა ვითომ შარდინთან გაგზავნილ მეგობრულ წერილებში. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ფოსტალიონმა წერილი მოგვიტანა. ჩვენ გვარში წერა არავინ იცოდა და მაშინვე მივხვდით, ეს ჯუნას წერილი იქნებოდა. არც ჯუნამ იცოდა წერა, მაგრამ ვიფიქრეთ, ალბათ, ვისმეს დააწერინა-თქო. კითხვაც არ ვიცოდით, მით უმეტეს რომ თურქულად იყო ნაწერი. ნასწავლ მოხუცს მზაუფ აბხუბას მივმართეთ და სახმარებლად. ჯუნა გვატყობინებდა, ჯანმრთელადა ვარ და ბედის კმაყოფილი ვარო, ოღონდ ესაა ყველა ძლიერ შენატრებით და განსაკუთრებით კი ჩემი საყვარელი კუნა. „რა კარგი იქნებოდა, რომ კუნა ჩამოსულიყო იხმიდში?! — არ ფარავდა სურვილს ჩემი და, — ერთი-ორი კვირა დაარჩებოდა, თვითონაც გაერთობოდა და მეც გამახარებდა“. წერილი ზაფხულის დამესავეთ მოკლე იყო, მაგრამ ჩვენ კი დიდი სიხარული მოგვიტანა და დაგვამშვიდა.

მალე ჭიშკარს მდიდრულად მორთული ეტლი მოადგა. შუკ ორი შოსანი მანდილოსანი იჯდა. სახეზე ჩადრი ეფარათ. შინ შემოვიდნენ და მოგვესალმნენ:

— მშვილობა თქვენს სახლს!

შემდეგ კი თავიანთი თავი წარმოგვიდგინეს:

— ჩვენ თქვენი ქალიშვილის ჯუნას მსახურნი ვახლავართ. ჩვენი კეთილისმყოფელი ხანუმი სიყვარულით მოგიკითხავთ და სიკეთეს გისურვებთ. ალაჰის წყალობით ქალბატონი განცხრომაშია და მისი სილამაზე, თქვენდა საბედნიეროდ, მთელ სასახლეს ასხივოსნებს. ერთი რამ აღარდებს მხოლოდ, თქვენგან განშორება! თუ არ გინდათ, რომ მისი რისხვის მსხვერპლნი გავხდეთ, გვედრებით, კუნა მაინც გაგვატანეთ მის მოსანახულებლად. ჩვენი მშვენიერი ქალბატონი ნამდვილადაა ასეთი სიხარულის ღირსი:

ესა თქვეს და მეეტლემაც შემოიტანა მოზრდილი ყუთი.

— ეს კი ქალბატონის მორთმეული საჩუქრებია.

ჯუნას შინამოსამსახურეების მოულოდნელმა გამოჩენამ და მათმა ნათქვამმა ძალზე გაგვახარა, კუნამ კი თვითონ დაგვიწყო ხვეწნა: ჯუნასთან წასვლის ნება დამართეთო.

დღეა და მამა გულის კანკალით დათანხმდნენ და გამოპრანკული კუნა, ჯუნას შინამოსამსახურეების თანხლებით გაემგზავრა. რას ვიფიქრებდით, რომ ეს გამგზავრება საბედისწერო იქნებოდა.

გაღოდა დღეები, კვირეები, კუნა კი არა და არ ჩანდა. ჩვენს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა.

— ღმერთო ჩემო, ვინ იცის რა უბედურება გეპირს, თქვენ კი სამ მამაკაცს გულზელი დაგიკრეფიათ და ზიხართ. ანჩხლობდა დედაჩემი.

შეშფოთებული მამაჩემი შარდინს ეცა; ალოუს ძეს. მან კი საყვედურებით აავსო:

— ატეხე რა ალიაქოთი, ბებერო მამალო! თითქოს ზღვაში იხრჩობოდნენ შენი ქალიშვილები, ან უღრან ტყეში აბნეოდეთ გზა. ისინი თეთრ მარმარილოს სასახლეში ატარებენ დროს. მხიარული არიან და ბედნიერი, რა გინდა ინატრონ და არ აუსრულონ. შენ კი არიქა, მიშველეთო — იძახი. თურმე ნუ იტყვი და რა მომხდარა — კუნას რამდენიმე დღე დაუგვიანია, დიდი ამბავი! როგორ არ დაიგვიანებდა, როცა დებდ ისე ერთობიან, რომ გათენებასა და დაღამებას ვეღარ გებულობენ. იცი რა გითხრა? ეგ კი არადა, ყოველ ცისკარზე ილოცე და ალაჰს მაღლი შესწირე, სელიმ-ფაშა რომ მოგვივლინა. აბა შეხედე რა საჩუქრები გამოუგზავნა ამას წინათ ჩემს ცოლს: აი, ის ხალიჩაც ზედ რომ ზიხარ, მისი მოძღვნილია. აი ის ლარნაკიც თავის ოქროს ლანგრით ფასდაუდებელი რამ არის. ახლა კი დამშვიდებული დაბრუნდი შინ. ამ დღეებში სტუმრად ვეწვევი ჩვენს ნათესავ სელიმ-ფაშას და ჩემი ზელით ჩაგაბარებ შენს სანუკვარ კუნას. შენი ბიჭები კი ნუ დაივიწყებენ, რომ სელიმ-ფაშას დახმარებით გავანთავისუფლე ისინი ჯარიდან. ჰო, წადი, წადი!

\*\*\*

შარდინი, ალოუს ძე ყოველნაირად ცდილობდა ხაზი გაეხვა სელიმ-ფაშასთან ახლობლობაზე. ეს ხელს აძლევდა, რადგან ზოგიერთები პირფერობით ეძებდნენ უბიხების ბელადის მფარველობას, ზოგიერთებს კი უბრალოდ ეშინოდათ მისი და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. ასეთ კაცს ვერც ეურჩები და ვერც უჩივლებ სადმე.

თვითონ შარდინს კი, ალოუს ძეს მიუწვდომელი სურ-



ვილი ჰქონდა, თვით სელიმ-ფაშაზე მაღლა აქრილიყო. მას 'შემდეგ, რაც ჰაჯი კერანტიხი თითქოს ჩრდილში მოექცა, უბიხების სახელით სიღყვა ყოველთვის შარდინს, ალოუს ძეს ეძღოდა ხოლმე. მდიდარი იყო შარდინი, ალოუს ძე, მაგრამ აბა რას წარმოადგენდა მისი ქონება სელიმ-ფაშას აღრაცხელ განძეულობასთან? ვერც მისი ძალაუფლება მივიდოდა იზმიდის გუბერნატორის ძალაუფლებასთან.

და აი, დიდგვაროვანმა მუჰაჯირმა ფრთხილად დიწყო დიდების მწვერვალისაკენ მიმავალი შორი, მაგრამ საიმედო გზის ძებნა. გადასახლების პირველსავე წელს მოახერხა მან სულთნის დედის სასუფეველში შეღწევა. მე უკვე გითხარი, შარახ, რომ სულთნის დედა აღიდგელი იყო. რაც მართალი მართალია, შარდინმა მოახერხა ამ ქალის კეთილგანწყობა ჩვენდამი: მისი მეშვეობით მივიღეთ უბიხებმა მიწა ოსმან-ქოიში. შარდინს, ალოუს ძეს უტყუარი ყნოსვა ჰქონდა, მერსე უღებდა ალღოს სასახლის კარზე ყოველგვარ აღზევებასა და დაცემას და ექოსავით სწრაფად ეპასუხებოდა ხოლმე. სულთნის დაახლოებული პირებივით ანგარებასა და ხრიკებს მიმართავდა და შურით აღავსებდა მათ. თვალსაც არ დაახამხამებდა, ისე დააგირავებდა ყველა მუჰაჯირს, ოღონდ თვითონ თუნდაც ერთი საფეხურით. მაღლა მაინც აეწია.

სელიმ-ფაშამ კარგად იცოდა თავისი კავკასიელი ყონაღის პატიემოყვარეობა, მაგრამ იმას კი ვერ წარმოიდგენდა, რომ შარდინი, ალოუს ძე თავს არ დაიზოგავდა, ოღონდ სელიმ-ფაშასთვის გაესწრო ღიღებაში. შარდინმა უფრო და უფრო მოუხშირა ჩტამბულში სიარულს. ხანდახან თვეობით რჩებოდა თურქეთის დედაქალაქში და სულთნის დედის მონახულებას ახერხებდა. ის სძებნას უტკობდა წარჩინებულ მანდილოსანს, ვის სილამაზეც დრო-ყამსაც კი ვერ წარეზოცა. შარდინმა, ალოუს ძემ თავისი ცოლი და შანდა წარუდგინა სულთნის დედას. დაწყება ძნელი თორემ... იმ დღიდან მოყოლებული არც ერთი მიღება არ ყოფილა სასახლეში ქალბატონსა და მის მულს მოსაწვევი ბარათი რომ არ მოსვლოდეს. პირველად რომ ნახა შანდა, სულთნის დედა ქალწულის საოცარმა სახიერებამ მოხიბლა, უსაყვედურა შარდინს, ალოუს ძეს:

— რაო, პატიეცემულო, განა ასე უნდა დავემალა ჩვენთვის შენი დის მშვენიერება?

მოგესხვნება: ერთი ქალი ხმამაღლა თუ აფასებს მეორის მშვენიერებას, თუნდაც ის ასაკით უმცროსი იყოს, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

თურქეთის მბრძანებლის დედა მიესალმა შანდას, მოეფერა, თავისი ბეჭედი აჩუქა და „კავკასიის ალმასიც“ შეარქვა ბოკობეის ნიშნად. შანდა მართო ციური სილამაზით როდი ბრწყინავდა. მიწიერ ჩვევებსაც შეანიშნავად ფლობდა. არ შეეწლებოდა საღ და როდის უნდა გამოემყდარებინა თავმდაბლობა, თვინიერება და ღვთისმოსაობა. ახლა შარდინის და სასახლის ხშირი სტუმარი შეიქნა. თან ახლდა ხოლმე სულთნის დედას სეირნობის დროს, გულდასმით უსმენდა მის საუბარს ქარგვაზე, უმღეროდა უბიჭურ სიმღერებს.

ავიდა თუ არა ტახტზე აბდულ-აზიზი, ადვილად დაამარცხა შეთქმული მოწინააღმდეგენი — „ახალი ოსმანები“ და ომის მიუხედავად ისე ცხოვრობდა, როგორც ესიამოვნებოდა განსვენებულ მამისგან განსხვავებით, ქვეყნის ახალ მმართველს დაახლოებულ პირებთან საქვეყნო ამბებზე ქაქანი არ უყვარდა, წიგნებში ჩახედვა ჭირივით ეზარებოდა და მოწვევების ზედქეტი ლაპარაკი ღლიდა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ყველა სახელმწიფო საქმეს მინისტრებს გადააბარებდა და თვითონ მამლებს ჩხუბითა და ცხენოსნობით გაერთობოდა, ინადირებდა და ქალებთან ყოფნით ინეტარებდა.

შანდა ღირსეულად შეაფასა სულთანმა და მალე მესამე ცოლადაც შეირთო. შარდინს სიზმარში ევონა თავი. თვით თურქეთის სულთნის ცოლისძმა რამ გახდა, ისეთ მიყრუებულ ადგილას ცხოვრება, როგორც ოსმახ-ქოი იყო, იუკადრისა. ბედის ნებიერი მთელი ჯალაბითა და ერთჯული ხალხით სტამბულს გადავიდა საცხოვრებლად. რკინა მანამ უნდა გამოიკვეროს, სანამ ცხელია.

აბდულ-აზიზი ახალ ცოლთან სიამტკბილობდა და ნეტარებდა. ცნობილია, რომ ქმრები არასოდეს არ არიან ისეთი დამთმობნი, დამჯერნი და გულუხვნი, როგორც თავლობის თვის. ჰოდა, შანდასაც არ ვასკირვებია, ოფიცრის წოდება და მაღალი ხელფასი რომ ებოძებინათ მისი ძმისთვის. სიზმრის მსგავსი სინამდვილე გრძელდებოდა. დიდმა ვეზირმა თვითონ წაიკითხა უმაღლესი ბრძანებულება შარდინისათვის, ალოუს ძისთვის ოფიცრის წინის ბოძების შესახებ. რაც ჰქონდა, იმას როგორ დაეუკარგავ მაჰაჩემის ძუძუმტეს: მოხერხებული იყო, ეშმაკი და ბაქია. მან ცალი ხელი შუბლზე მიიღო, მეორე გულზე და მადლობა მოახსენა ალაჰის ნაცვალს დეამიწაზე და იქვე, ყველას გასაგონად გამოთქვა საომრად წასვლის სურვილი.

— საქებარი და მისაბაძი საქციელია, — შეესალმა მის გადაწყვეტილებას დიდი ვეზირი.

— შარდინს, ალოუს ძეს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ შანდას მომხიბვლელობით შორს ვერ წავიდოდა, მით უმეტეს, რომ აბდულაზიზი მარადიული სიყვარულით არ გამოირჩეოდა. გარდა ამისა შურიანი კარისკაცები ენას კბილს დაჰქერდნენ და აღარ ილაპარაკებდნენ: შარდინის წარმატება შანდას მოპოვებულა საქორწინო სარეცელზეო. სისხლის დაღვრა ან სულთნისთვის თავის განწირვა კარგი კოზირი იყო ამ დიდ თამაშში და შარდინიც არმიაში წავიდა, მაგრამ ბედი არ გინდა? სწორედ ბრძოლის წინაღულს მოხვდა წახა ხაზზე და სწორედ ამ ბრძოლაში დაიფრინეს რუსებმა წითელთ-კათურკები დიდი ქალაქიდან.

შტაბის ხელმძღვანელები თავს იმტრევდნენ, როგორ ეცნობებინათ სტამბულში ეს უსიამოვნო ამბავი. ბრძოლაში იტაცებით გადაშვება უფრო ადვილია, ვიდრე სულთანთან ცუდი ამბის შეტანა. ამას მხოლოდ ისე, სიტყვის მასალად ამბობენ ხოლმე: ცუდი ამბის მაცნე პასუხს არ აგებსო. შავი ამბის მიმტახი შეიძლება ცოცხალი არ გამოსულიყო სასახლიდან. სწორედ ამ დროს ვიღაცამ შარდინი, ალოუს ძე ახსენა. მოფიქრებაც ამას ჰქვია: შარდინი რომ თვით სულთნის ცოლისძემა! შარდინმა, ალოუს ძემ თავის დაპყრენა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რას იზამ, ფრონტია. უარა იტყვა და გადაგიხდიან. საქუთარი დანით გამოიჭრი ყელს. „რაც იქნება, იქნება!“ გაიფიქრა მან და სტამბულისაკენ გააქენა ცხენი.

სტამბულში ჩასული შარდინი მაშინვე როღი გამოცხადდა სასახლეში. თავისი ყონადის — კაფეს პატრონის სახლში დაიშალა და მისივე მეშვეობით შანდა დაიბარა. ქალი შეჰპირდა, რომ მოცბნინა სამსხვერპლოს, ვინც შარდინს დაასწრებდა სასახლეში ბალკანეთზე მომხდარი უბედურების ამბის მიტანას. სისხლით მოსვრილმა ცრუ მაცნემ ძლივს გამოათრია ფეხები სასახლიდან. შარდინმა კი, ალოუს ძემ რბილი ხალიჩა გაიარა და მანუგეშებლად მოველიხა სულთანს, მალამო წასცხო მის ჭრილობას. ბევრ კარისკაცს ეგონა, რომ სასახლიდან თავმოკვეთილ უბიხს გამოათრევდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ალაჰის ნაცვალი ნაღვლიანი, მაგრამ ნათელგადანჯრული სახით მოველინა დარბაზს. ხელი საბრძოლო აბჯრით შემოსილი ცოლისძემისთვის ჩაეჭია. წელში მოხრილ დიდებულებს მიუბრუნდა და წარმოთქვა:

— რაკი დიდებული შარდინი, ალოუს ძე მძიმე ბრძოლის შემდეგ ცოცხალი და უვნებელი გადარჩა, გმირობის ნიშნით ვაჯილდოვებ...

სულ ცოტა ხნის წინათ კარისკაცები მეტიჩარას, მაწანწალასა და ვადაშთიელს უწოდებდნენ შარდინს, ახლა ზურგაშტანაც კი ეწოდნოდათ მისი უდიერად ხსენების. მით უმეტეს, რომ პოლიციის მინისტრმა თავის ადიუტანტად დანიშნა. ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა თუ არა, ვერ გეტყვი, დად შარახ, იმას გოყვებრ, რაც გამიგონია შარდინზე, ალოუს ძეზე. მოკლედ, როგორც მომეყიდეს, ისე მოგყიდე.

ოსმან-ქოიში დარჩენილი უბიხები სხვადასხვანაირად მსჯელობდნენ შარდინის სულთანთან სიახლოვეზე. ერთნი ამბობდნენ, უბიხებისთვის ეს პატარა ამბავი არ არისო:

— თუ რაიმე გაგვიქირდება, შეიძლება პირდაპირ შარდინს მიემართოთ, ალოუს ძეს. ჩვენს თავს არავის დააჩაგვრინებს. — ამბობდნენ ისინი.

— შეარქვეს რაღა ქორს არწივი. მან საკუთარი დედ-მამა მიატოვა და სხვისთვის აიტყივებს აუტყივარ თავს? ჯობია ვილოცოთ და ღმერთს ვევედროთ, რომ შარდინის გულისთვის სუყველა არ დაწიწუნოთ, — ფრთხილობდნენ სხვები.

მამაჩემი ნაღვლობდა თავის ძუძუმტეზე, ენატრებოდა იგი. მე კი მიხაროდა, სტამბულს რომ გადავიდა საცხოვრებლად — ხეტა ჩემს სიცოცხლეში არ მენახა.

F

\* \* \*

დიღდილობით მოხუცის დახმარებით უბიხურ ენას ვსწავლობდი, ნაშუაღღვეს კი მის ნაამბობს ვწერდი. დასაწყისში ასე აეწყო ჩემი მუშაობა, მაგრამ მალე დაირღვა ეს წესრიგი. ზაურყან ზოლაკი ისე გაიტაცა თავისსავე თხრობამ, რომ ზოგჯერ დილიდანვე ამბების მოყოლას იწყებდა.

სანთლით რომ მეძებნა, ზაურყან ზოლაკისნაირ მასწავლებელს მაინც ვერ ვიპოვიდი, მაგრამ რაც არ უნდა საინტერესო ყოფილიყო მისი ნაამბობი, მაინც ენახულობდი დროს ჩემი უბიხურ ლექსიკონის შესავსებად, რომლის შედგენაც ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე დავიწყე. გუშინ და გუშინწინ ნათესაობის აღმნიშვნელი.

სახელები ჩავიწერე, დღეს კი — საოჯახო კურკლისა და იარაღების სახელები, რაც გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე აღრე შეგონა. აღმოვაჩინე უბიხური და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სხვა ენების სიტყვათა საერთო ფუძეები.

დღეს დილიდანვე ცუდ ხასიათზეა ზაურყანი, რალაცით აღელვებულია და გაუთავებლად ეწევა. დილსა, შუა საუზმის დროს ტყუილუბრალოდ გამოლანძღა ბირამი და ქაძასაც თავი მიანება. არც მოსასვენებლად დაწვა შუადღისას, წინ და უკან დადის ეზოში. გავეფიქრე თუ არა: „დღეს ამის შეწუხება არა ღირს-ჰეთქი“, უცებ დაჯდა და მეც მიმიხმო.

გვერდით მივუჯექი და ჩასაწერად მოვემზადე. ზაურყანმა დიდხანს ვერ დაიწყო თხრობა. ხელისგულით ისრესდა ნაოქებით დასერილ შუბლს, თითქოს მესხიერებაში ყველაფრისთვის ერთად უნდა მოეყარა თავი.

თხრობის დროსაც უღალატა ჩვეულებას — ერთი ამბიდან მეორეზე ხტებოდა. რალაც შინაგანად აწუხებდა, შფოთავდა, ამიტომაც მოხვდა ბირამს ტყუილუბრალოდ.

დღესაც მოვახერხე რალაცების ჩაწერა. ზაურყანმა მიაჩბო, როცა იმამი საპატქერი ოსმან-ქოიდან წავიდა, მის ნაცვლად ახალი მოლა გამოგვიგზავნეს. სახელად ორხანი ერქვა, თურქი იყო. პირველ ხანებში ორხანმა თითქოს გამონახა საერთო ენა ხალხთან, იმასაც ამბობდნენ, ეს ალაჰის ქეშმარიტი მსახურიაო. მაგრამ თანდათანობით ფრთხილად და ეშმაკურად დაიწყო თავისი ხაზის გატარება. ქორწილი და ტირილი ისე კი აღარ უნდა გადაეხადათ, როგორც უხსოვარი ქროიდან იყვნენ. შეჩვეული ჭბიხები, არაძედ მუჟღულმანური მკაცრი წესების მიხედვით. მოლა უფრო და უფრო ხშირად იწვევდა ხალხს მეჩეთში და ასწავლიდა როგორ უნდა შეესრულებინათ აზკიოი, რომელიც ღაღაღებდა „ალაჰს ესმის ხმა, ვინც მას აღიდებს“. ბავშვი რომ დაიბადებოდა, ორხანის ნებართვის გარეშე სახელს ვერ დაარქმევდნენ. ქალებს მკაცრად აეკრძალათ უჩადროდ სიარული. ერთხელაც რომ არ წასულიყო ვინმე მეჩეთში, ჯარიმა უნდა გადაეხადა. მეჩეთში შესვლამდე მთიელებს გარეთ უნდა ჩამოეკიდათ თავიანთი იარაღი.

საპატქერის სახელს რომ ახსენებდა, ზაურყანს ცახცახი იტანდა ხოლმე ზიზღისაგან. სხვა მოლებს აგდებულად და გულგრილად უყუ-

რებდა. მუსულმანურ ზნე-ჩვეულებებზე ცოტას ლაპარაკობდა და ეპყობა ცუდად იცნობდა მათ.

— არავისი არ მჯერა, ვინც ალაპის სახელით უდარდელად ცნობრობს და წვეთი რა არის, წვეთ ოფლსაც არ ღვრის. ეპ, საყვარელო შარახ. ლოცვებს რომ მართლა რაიმე მოჰქონდეს ხალხისთვის. ყველაზე ადრე მამაჩემი გამდიდრდებოდა. თუ ლოცულობდა, ის ლოცულობდა, მაგრამ: იმაზე უბედური კაციშვილი არ იყო დედამიწის ზურგზე.

მამა რომ ვაინსენა, მოხუცმა თავი ჩაქინდრა, დიდხანს სდუმდა. შერე კი უცბად ალაპარაკდა იმ სიძნელებებზე, ახალ, "შეუმჩნეველ ავჯილებში რომ წააწყდნენ უბიხები. მისი სიტყვით, მიწა ბევრად უფრო პატარა ჰქონდათ, ვიდრე სამშობლოში, გადასახადები კი ბევრად უფრო მეტი. ჩიოდა: აქ ზაფხულობით მაგარი სიცხეები იცის, ზამთარში კი ისე ცივა, რომ უბიხებმაც სხვა გლეხებივით თიხითა და ნაკელით შეთითხნეს სახლები. ეს კი სამშობლოში თავის მოჭრა იყო.

ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ თურმე აქ ვაზის გახარება შეიძლებოდა, მოჰქონდეს კიდევაც ამას ხელი უბიხებმა, მაგრამ ყურანი მხოლოდ ქიშმიშის მომზადების ნებას აძლევდათ, ღვინო კი სასტიკად იკრძალებოდა. ვინმესთვის ღვინო რომ აღმოეჩინათ ოჯახში, სოფლიდან გააძევებდნენ.

— აბა, წინათ უბიხი და უღვინოდ ვის გაეგონა? ვინ გადაიხლიდა ძეობას უღვინოდ? ის კი არადა, კაცი რომ მოკვდებოდა, მამონაც ღვინით სავსე ჭიქებს ავწევდით და ისე მივაცილებდით უკანასკნელ გზაზე. თუ დამიჯერებ, საყვარელო შარახ, ახლა ღვინით სავსე ჭიხვის ყანწი რომ მომაწოდო, სადღეგრძელოსაც ვერ ვიტყვი, ზადღეგრძელოც ისევე დაჰავიწყდა, როგორც ღვინის გემო.

დღეს ამით დაამთავრა ზაურყანმა და დილაჰდე დაეშორდით ერთმანეთს.

პარასკევი იყო, ზეენს კაცებს იარაღი მეჩეთის წინ ჩამოეკიდათ და ნამაზს ასრულებდნენ. ახალი მოლა! ორხანი დადადებდა:

— არა არს ღმერთი თვინიერ ალაპისა! შეგვიწყაღე, უფალო! გვატარე სწორი გზით! ნუ აგვადებ ხელს!

— ამინ, ამინ! — ეხმიანებოდნენ მლოცველები.

— ჰეშმარიტ მართლმორწმუნეს უზენაესის: იმედი უნდა ჰქონ-

დეს! ვისაც სწამს, საკმარისია თქვას „იყავნ“ და წმინდა საქმე აღსრულდება.

— ამინ, ამინ!

მეჩეთის ღია კარიდან ზღურბლთან ვიღაც ფაფახიანი ახალგაზრდა შეენიშნე. „რაკი მეჩეთში არ შემოვიდა, აქაური არ უნდა იყოს“, — გავიფიქრე მე. სახე კი მეცნაურა. ლოცვა დამთავრდა, ხანჯალს ვირტყამდი წელზე, ხმა რომ შემომესმა:

— გამარჯობა, ზაურყან!

სუფთა ადიღეური იყო. მოვიხედე და...

— მაჰმად! საიდან სადაო?

ჩემ წინ ბებიაჩემს ერთ-ერთი ძმიშვილი იდგა. მე ღომ ვითხარი, ბებიაჩემი აღიღეღეღი იყო-მეთქი. რაც მუჰაჯრობაში მოვხვდი, მე და მაჰმადს ერთმანეთი არ გვენახა. ყური კი მქონდა მოკრული, საღდაც იზმიდის ახლოს დასახლდაო. მამა და მათაც მოვიდნენ, გაუხარდათ მაჰმადის ნახვა, გადაეხვივნენ, გადაკოცნეს.

— რას გავჩერებულვართ, აბა სახლისაკენ, ჩქარა! — აფუხტუხტა და მამაჩემი.

— არა მცალია, ამალამევე უნდა გავბრუნდე... იქნებ ჯობია კიდევ, მარტონი რომ ვართ. ჩემს ნათქვამს მამაკაცები თუ ვაუძლებენ...

მივხვდით, რომ მაჰმადს ავის მაუწყებელი მაცნეს ხველრი რგებოდა.

— გეხეწებით, გამავრდით!

— რა მოხდა? — ჩაიჩურჩულა მამაჩემმა ჩატეტკვილი ტუჩებით.

— კუნა სელიმ-ფაშამ შეირთო ცოლად.

ჩვენ განზე გავხტით. თითქოს წინ ყუმბარა გამსკდარიყო. მაჰმადი კი დამწუხრებელი განაგრძობდა:

— მე იმ დაწყველელი ფაშას სასახლის დარაჯი ვარ. ერთხელ დებმა ჩუმად დამიძახეს და ცრემლები ყლაპვით მითხრეს: „თავის განწირვაც რომ დაგვირდეს, ჩვენო ძვირფასო ნათესავო, როგორმე ჩვენს ძმებს უნდა შეატყობინო, რომ ვიღუპებით. უთხარით, არ დაიჯერონ, რომ ბედნიერად ვცხოვრობთ. მოგვაცყუეს, ნამუსი აგვხადეს. თუ ჩვენი გამოხსნა არ შეუძლიათ ამ ცოდვილი სასახლიდან, გამოგვემშვიდობონ მაინც“.

„ალაჰი თუ არსებობს, ასეთი საშინელება როგორ დაუშვა“, — გავიფიქრე გაცეცხლებულმა და მეჩეთს შევხედე.

— ჩემი იმედი გქონდეთ!

მამპალმა ავეიხსნა, როგორ უნდა მოგვეძებნა იზმიდში და წავი-  
და. თვალბში სისხლი ჩამიდგა. ო, როგორ შინდოდა ელვის სის-  
წრაფით გადამეწვა მეჩეთი, რაკი ჩემთვის ალაპი უკვე აღარ არსე-  
ბობდა.

შინ დაბრუნებულებმა ნათესავები მოვიწვიეთ და ყველაფერი  
გავანდეთ. რაც ვიცოდით. ჩვენს დარდასა და წუხილს ნათესავებიც  
იზარებდნენ. დედაჩემმა კი შვილებს კაბები საწოლზე გაშალა და  
მწარედ მოთქვამდა. მე და მატამ ასე გადავწყვიტეთ: „სიკვდილი  
გვიჯობს თავსაღის დასხმას, ხალხში ვერ გამოვჩნდებით, ჩვენს  
შეპარცბვენელზე შური თუ არ ვიძიეთ“.

მამაჩემმა ისევ შარდინთან, ალოუს ძებთან და შანდასთან გადა-  
წყვიტა ნუგეშის ძებნა: მაგრამ ტყუილად კი ზრია ნათქვამი — უბე-  
დურ კაცს ქვა აღმართში დაეწვეაო. პირში ჩალაგამოვლებული დაბ-  
რუნდა მამაჩემი შარდინის სახლიდან. მისი ძუძუმტე სწორედ მაშინ  
იმყოფებოდა ბალკანეთის ფრონტზე. ცოლი და ვაჟიშვილი კი საფ-  
რანგეთში მოგზაურობდნენ. შანდა თვეში იდგა და არავის ეჩვეხე-  
ბოდა. მამაჩემს ყველა იმედი გადაუწყდა. ერთადერთი გზადა  
გვჩრებოდა: ჩვენ თვითონ უნდა მოგვევლო ჩვენი საქმისთვის. რაც  
მთავარია, გულხელდაკრეფილი ღგომის დრო არ იყო. მე და მატა  
გზას ვავუდექით. ნათა თუ არა, სახლიდან გავედით. მოსახვევამდე  
სულ უკან ვიხედებოდით, ერთხელ კიდევ რომ მოგვეკრა თვალი  
დედაჩემისა და მამაჩემისთვის. დედაჩემი შავ თავშალში იყო გახ-  
ვეული და კვერთხს ეყრდნობოდა. დანის პირივით იყო საწყალი  
გათხლებული. მამაჩემს გულხელი დაეკრიფა და ჭიშკარს მიყ-  
რდნობოდა, ფეხზე ვეღარ იდგა უბედური. ნალველი მიწიწკინდა  
გულს: „ნუთუ, ვეღარასოდეს ვნახავ ამათ?“ სახურავის თავზე  
კვამლის ბოლქვი ერთ ადგილას გაყინულიყო, თითქოს გრძნობდა,  
რომ ჩვენი კერა სამუდამოდ ჩაქრებოდა მალე. ჩექმები, ტანსაცმე-  
ლი და სახეები ერთნაირად ვეჭონდა გადათეთრებული ჩვენი ნაბი-  
ჯებით ამდგარი მტკრის ბუღისაგან. ეჰ, — სინანულით გავიხსენე ჩე-  
მი ფიცხი ბზოუ. — აი, ცხენი ის იყო! ნახევრად ველური სამი წლის  
კვიცი, მერე რა გახედნილი! ქარივით მიმაჭროლებდა ახლა იზმი-  
დამდე. ერთს დავუსტვენდი და ელვასავით გადაეველებოდა სელიმ-  
ფაშას ბადის ზღუდეს.

იმ ნეტარ დროში სამშობლოში რომ ვცხოვრობდი, უკანასკნელი



ლატაკიც კი არ დაადგებოდა გზას ფეხით. ლხინი იყო თუ ჭირი, ან ცხენზე ამხედრებულები მოდიოდნენ, ან კიდევ ოთხთვალეებით. პატარძლები ფატიონებით მოჰყავდათ, ექვსი ერთნაირი ჭიშის ცხენი რომ იყო შიგ შებმული. ბიჭი დაიბადებოდა თუ არა, მის სახელზე კეცს ზრდიდნენ ოჯახში, მზედარი რომ გამოსულიყო ბავშვი. გარდაცვლილი მთიელის წინ მის ცხენს გააჩერებდნენ. ზედ მისსავე იარაღს გადაჰკიდებდნენ და ისე მოსთქვამდნენ. ტყუილა კი არ ამბობდნენ, ძვირფასო შარახ, ჩვენი წინაპრების ცხენის ქარღვებში ადამიანის სისხლი ჩქეფსო. ასეც მღეროდნენ:

ცხენი და კაცი დასაბამიდან  
არ ვარგებულა უერთმანეთოდ.

უცხო ქვეყანაში კი უცხენებოდ დავრჩით. ცხენის ადგილი ვირმბდაიკავა. ვისაც ვირი ჰყავდა, მზიდარიც ის იყო.

• • •

იზმიდის გარეუბანში, ბაზრის მახლობლად უკვე მთელი კვირავცხოვრობდით ადიდეელი მაჰმადის სახლში. ყოველდღე წყეული სელიმ-ფაშას სასახლის ახლოს ვწრიალებდით, მაგრამ ვერ იქნა და დებს ხმა ვერ მივაწვდიხეთ. სწორედ ჩვენ ჩამოსვლის წინა დღეებში პარამხანა გაუძარცვავთ, ამიტომ დაცვა გაწლიერებული იყო: და ქალებს სეირნობა ეკრძალებოდათ. შეწუხებულმა მატამ მითხრა:

— მივიღეთ ფაშასთან და ვთხოვთ თავისი ნებით დაგვიბრუნოს დები.

— რა ჰქვიანი ხარ! — ნაღვლიანად გაიცინა მაჰმადმა, — კუზიახს. სამარეც ვერ გაასწორებს! ნახა რა, ვის მოთხოვოს სამართალი!

მე კი ერთი რამე ვერ მპატიებია ჩემი თავისთვის — ყელი როგორ არ გამოვლადრე შარდინს, ალოუს ძეს. სახამ აქ, ოსმან-ქოიში იყო. ვერარა მტერი ვერ გვიზამდა იმას, რაც ჩვენმა ნათესავმა გვიქნა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენი დები რაღაც სამსახურის საფასურად მიჰყიდა შარდინმა სელიმ-ფაშას. აბა, ამას გაბედავდა უბიხეთში? იქნებ სამშობლოს დამკარგავი ხალხი თანდაყოლილ ღირსებებსაც ჰკარგავს? მთელი სამყარო სიცრუესა და ორპირობაში იწაფლულიყო, სისხლი არეულყო და გულმოწყალებისათვის აღარავის ეცალა.

უპოქმედობა გვტანჯავდა. დღეები გადიოდა, ჩვენ კი ჯერ მის-  
ტლის ოდენაც არაფერი გვქონდა ვაკეთებულის. და აი, მაჰმადმა  
დრო იხელთა და ჩემს დებს გააგებინა, რომ იზმიდში ვიყავით. დებ-  
მა კი შემოგვიტყალეს, რომ ჯუნას არავითარი წერილი არ გამოუგ-  
ზავნია ჩვენთვის და არც ის ქალები მოსულან მისი დავალებით,  
კუნა რომ წაიყვანეს.

ისიც გავიგეთ, რომ ჯუნა თავის თავს აბრალებდა კუნას უბე-  
დურებას და მინის ნატებით ყელის გამოჭრა უცდია.

მაჰმადმა შეგვატყობინა: ხვალ ხარკებს ბაღში გასეირნების ნება  
დართესო. საქმე ჩვენს სასარგებლოდ ეწყობოდა — მაჰმადი დღით  
დაღვა დარაჯალ. ისიც ვიცოდი, რომ შუადღისას სელიმ-ფაშა შაღ-  
რეენის ახლოს დაბრძანდებოდა სავარძელში მაგნოლიების ჩრდილ-  
ში და პარამხანის მხეველები გაართობდნენ.

ასე გადავწყვიტეთ: მე შუადღისას ბაღში გადავქვრებოდი, მატა  
კი ეტლს დაიჭირავებდა და მახლობელ მოსახვევში დამელოდებო-  
და. მთავარი იყო ეზოდან გამომეყვანა დები, მერე ყველაფერს მო-  
ვახერხებდით. შეუმჩნეველად თუ ვერ მოვახერხებდი მათ გაპარე-  
ბას, მაშინ იარაღით ხელში გადავუღებოდი მდეუარს. მაჰმადიც  
იმათ უნდა გაჰყოლოდა. იზმიდში მისი დარჩენა უკვე შეუძლებელი  
იქნებოდა. ნაპირზე ერთი ყოფილი კონტრაბანდისტი გვიცდიდა ხა-  
ვით. იზმიდიდან ერთ ათიორე ვერსს გავცურავდით და მთებში  
დავიმალებოდით. ასე ვვქონდა განსაზღვრული. მე და მატა სის-  
ხლის მძიებლებს ვვავდით, ვისთვისაც შურისძიების საათს დაეკრა  
უკვე.

გაზაფხულის ბაღი თითქოს პატარ-პატარა ღრუბლის ქულებში  
იყო გახვეული. ყველაფერი ყვავოდა ირგვლივ. „ნეტა როგორ უნდა  
უზაროდეს ვაზაფხულის მოსვლა ამ ბაღს, როცა იქ ცრემლად იღ-  
ვრებენ ჩემი დები? ან ბლუბული როგორ უნდა გალობდეს, ნუთუ  
ესე სმენადახშულია, რომ ჩემი დების კენესა არ ესმის, ან მეხმა  
რატომ არ დაიტანა ამდენ ხანს თვით სელიმ-ფაშა?“ — ვჩიოდი ბუ-  
ნების გულგრილობით შეძრწუნებული და თან ბაღის კედელს ვე-  
პარებოდი.

მაჰმადმა რკინის ქიშკარი გამიღო და ბაღში შევძვერი.

— აი, ამ ბილიკისკენ წადი, — ჩურჩულით დამილოცა მან ვხა.

მონადირესჭრით ფრთხილად მივაბიჯებდი. თითქმის სუნთქვაც  
შეჩერებული მქონდა. აქეთ-იქით ვაცქცებდი თვალებს. ბაღის სილ-

რმეში სამსართულიანი შენობა ქათქათებზე თეთრად. სასახლე დაცარიელებული, მეჩვენა. არც ფანჯრებიდან ისმოდა ხმები და არც კარებიდან გამოსულა ვინმე. უფრო ახლოს მივედი სასახლესთან და ბუჩქებს მოვეფარე. მარჯვნიდან წყლის ჩქაფუნის მესმოდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ იქვე, ახლოს შადრევანი ჩქეფდა. უცბად განაპირა კარი გაიღო და ორი ხანდაზმული კაცი გამოვიდა. ტანსაცმლის მიხედვით ერთი ყოვლად-ალა უნდა ყოფილიყო. ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და აქეთ-იქით წავიდნენ. თვალს მიეფარხებოდა არა, ქალიშვილებიც გამოჩნდნენ. თითო-თითო ან წყვილ-წყვილად ჩამოდიოდნენ მარმარილოს კიბეზე და დაბურულ ბაღში უჩინარდებოდნენ. თქმა არ უნდა, რომ ისინი ფაშა ხარკები იყვებენ. ყველა ახალგაზრდა და ლამაზი იყო. ისე კი სახის ფერით მღვიმეში აზოსულ მცენარეს მოგაგონებდნენ. ჩემს დებს ვერსად მოვკარი თვალი. ორმა მათგანმა გვერდით ჩამიარა, ჩემთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ. უცბად შესამეც დავინახე, მარტოდმარტო მოყვებოდა უკან. დავინახე და თვალთ დამიბნეწდა, გულიც გამეყინა და თბიქოს უფსკრულში ჩამიქანდა. ფელდში იყო.

— ფელდში! — არაადამიანურად დავიყვირე მე.

ჩემმა მოულოდნელმა გამოჩენამ ისე გააოგნა, რომ სიტყვები ყელში გაეჩხირა, გაშეშებული და პირდაღებული მომჩერებოდა. ეს სულ ერთ წამს გაგრძელდა. მერე კი თბიქოს ჩემი გამოჩენა არც გააკვირვებიაო, უსინარულოდ მკითხა:

— შენა ხარ, ზაურყან!

— ნუ გეშინია, ფელდში, უსათუოდ დაცხანია!

— აღარ მეშინია, ზაურყან, დიდი ხანია ყოველგვარ შიშს ვძლიე. შენ ალბათ დებს ეძებ, არა? ჯუნა ისევ სუსტადაა, მინის ნატეხი გამოისვა ყელში. კუნაც მასთანაა — მარტო არ დატოვა... ყველანა ერთი შაითნის მსხვერპლნი ვართ, ზაურყან!

— ო, ღმერთო ჩემო, აქ საიდან ვაჩნდი?

— ოთხი წელია აქა ვარ. ზღვია გაღმა ნაყოფ ხეს იქ როდი რგავენ, სადაც თვითონ უხდა.

ხელები მხრებში ჩავკვიდე, ახლოს მივიზიდე და სიმტკიცე დაბრუნებული გმით ვუთხარი:

— ჩემი მოვალეობა შენი და ჩემი დების აქედან გაყვანაა.

— შენს დებს ვეტყვი, რომ გნახე. ჩემი გამოხსნა უკვე გვიანაა...

ფელდშიმა თავი ჩააკიდა და ტირილი დაიწყო.

— მე უკვე მკვდარი ვარ, ზაურყან... დაგაგვიანდა... ნუ მომეკარები, მე ახლა კეთროვანზე უარესი ვარ. მშვიდობით, ზაურყან!

სახვზე ხელები აიფარა, მიბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია იქვე მოსეირნე ქალებისაკენ.

თითქოს მთელი ძვლები დამილბა და დამეშალა: თავგზააბნეული ტოტს ჩაპოვეკიდე, ნელ-ნელა მხედველრბა დამეწმინდა და სასახლესა და შადრევანს შორის მორიალე მსახურები დაეინანე. ხშირ ხეებში შევიმალე და ფერადი ქვებით მოკირწყლული აუზიდან ავარდნილი შადრევანიც დავლანდე, აშხეფებულ წყალზე ცისარტყელა მორკალულიყო. შადრევნის ახლოს ფოთლოვანი კარვის ქვეშ ხაოიანი ხალიჩა გაშალეს და ბალიშებით მოფინეს. შუაში რბილი სავარძელი დადგეს. შემდეგ სანოვავით დახუნძლული დაბალი მაგიდები მოიტანეს. სუფრას ვერცხლის წერწეტა სურები ამშვენებდა.

მალე თვით სელიმ-ფაშაც შობრძანდა ორი მსახურის თანხლებით. შარდინის, ალოუს ძის მამულში მყავდა ერთხელ ნანახი და მაშინვე ვიცანი. მოკლე, კუნძივით კაცი იყო, მეჩხერი წვერი ჰქონდა. წარბები თითქმის არ აჩნდა და შესიებული ქუთუთოები კუებს მახსენებდა. გოგრასავით მოტვლეპილ თავს წითელი ფესი უფარავდა. ხანღუმული იყო, მაგრამ სხეული მაინც ძლიერი მოუჩახდა. ცქიცტად მიცუნცულდა სავარძელთან და შიგ ჩაეშვა. ორი, აღბათ ყველაზე უფრო სანდრო მსახური, აქეთ-იქით ამოუღვა. ერთ-ერთმა მათგანმა ქალადი და რადაცის კითხვა დაუწყო სავარძლის საზურგეზე მისვენებულ ფაშას. ცალი ხელი, ქარვის კრიალოსანი რომ ჰქონდა ჩაბღუჯული, გაბერილ მუცელზე ედო, მეორეთი კი მეჩხერ წვერს იწიწქნიდა.

რაც უფრო დიდხანს ვუყურებდი ფაშას, მით უფრო მერეოდა ზიზლი.

მსახურმა ბოლომდე ჩაიკითხა ქალადი და დაიხარა. ფაშამ რაღაც სიტყვა მიუგდო და ხელი ჩაიქნია. მსახურმა ქალადი დაახვია და სასახლისკენ გაემართა. მეორე მსახურმა სურა აიღო, სირჩა შეავსო და პატარა ლანგრით ფაშას მიართვა. ის კი სავარძელში გადაწოლილიყო და ტკბილად თვლემდა. მსახურმა სირჩა მაგიდაზე დადგა. უვუნურმა გაბედულებამ თითქოს მიბიძგა და ისე მოულოდნელად გაჩნდი ფაშას წინ, როგორც ქუხილია ხოლმე მოულოდნელი კარვ ამინდში. შეიარაღებული კაცის გამოჩენამ გააოგბა.

ფაშა და სავარძელში აცქმეტდა, თვალები გაღმოეკარკლა და გაფითრებული სახე ოფლით დაეცვარა.

— აქ გამოჩენა როგორ გაბედე, ყაჩაღო! — ცუდად დაფარული შიშით იყვირა ფაშამ.

— მე ყაჩაღი არ გახლავარ, მე შენგან ნაშუსახდილი ორი დის ძმა ვარ! სიკვდილი თუ არ გინდა, ახლავე გაანთავისუფლე ჩემი ღებები!

ფაშა აქეთ-იქით აცეცებდა შიშით დამფრთხალ თვალებს. დაინახა ხელი ხანჯლის ტარს რომ ჩაეჭვიდე და დაიღრიალა:

— მიშველეთ!

გვერდით მღვარმა მსახურმა, თითქოს თავში ჩაარტყესო, ისე წამოიყვირა რაღაც დღე კარს ეცა.

მივხვდი, ცოტაც და სასახლის მცველები მოცივდებოდნენ: ფაშა გვერდულად ჩამობოხდა სავარძლიდან და კიბორჩხალასავით უკან-უკან გაფოფხდა აუზისკენ. მე ყანყრატომში წაველე ხელი ფაშას და შიგ გულში ტარამდე გავუყარე ჩემი კავკასიური ხანჯალი. მოხუცმა ამოიხრიალა; ხელი კვარი და აუზში გადაეუძახე, სადაც ოქროსფერი თევზები დასრიალებდნენ. წყლის ზედაპირი შეწამული ნაყშებით დაიფარა და რატომღაც ზღვა, გადასახლების შავ-ბნელი ღლები და ნაპირთან გარიყული მუჭაკირების გვაშები გაშახსენდა.

მსახურთა ყვირილი თანდათან ახლოვდებოდა.

ჩემთვის უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო. რაღაცნაირი გულგრილობა დამეუფლა. გასისხლიანებული ხანჯალი ხელიდან გამივარდა, არც მიცდია აღება. იქნებ მომეხერხებინა კიდევ მღვერები-საგან თავის დაღწევა და მაჰმადის დახმარებით გაქცევა, მაგრამ მაშინ არც მომგონებია ეს. ჩაფრები შემომესიენ, მე კი წინააღმდეგობაც არ გამიწევია. ხელებგაკოჭილმა და თოფის ლულებმოშვერილმა გადავადიჯე ციხის ზღურბლს.

• • •

მესამე დღეა, რაც ჩემს ჩანაწერებს ვაწესრიგებ. ზატურყანი კი ისვენებს. თუმცა, მე მგონი დასვენების სურვილი არა აქვს. ის საერთოდ ძალზე დიდხანს დუმდა და თავისი ასწლიანი ცხოვრების ჩანებუარიც არა აქვს ნაამბობი. ორი კვირა ვარ მასთან და ხანდახან

მეჩვენება, რომ თითქოს ეშინია, არ მოკვდეს და უთქმელი არ დაარჩეს. რაც მ-ს მეხსიერებას შემოუნახავს. როცა გუნებაში მის ნაამბობს ხან ერთ და ხან მეორე ისტორიულ თარიღს ვუდარებ, ვხვდები, რომ რაღაცას ურევს მოხუცი, ძველსა და ახალ ამბებს ადგილებს უცვლის, მაგრამ მეხსიერება მაინც ვასაოცარი აქვს, გონება ცოცხალი, ვნებათა დელვა კი ჭერაც არ ჩამჭრალა მის აწლოვან, ხანდაზმულ, მაგრამ კვლავ ღონიერ სხეულში.

ესეთი გრძნობა მაქვს, რომ მარტო ეს ორი კვირა კი არა, საოცრად დიდი ხანია ბირამის გარდა არავის ვადმოუბიჯებია მისი სახლის ზღურბლისთვის. ასე მარტოდმარტო რომ ცხოვრობს, შეიძლება იმტომაც არ არსებობს მისთვის არც ახალი დრო და არც ახალი სიტყვები. თითქოს სასაფლაოზე ცხოვრობს და თავის წარსულში დააბიჯებს, ვიწრო ბილიკებით დადის საფლავებს შორის. ერთადერთი ცოცხალი ადამიანია ამდენ გარდაცვლილს შორის...

დაღლილობისგან ხელები მტეხავს, ვზივარ და დაბუყებულ თითებს ჰაერში ვამოძრავებ. ფიქრებით კი შორსა ვარ, შინ, აფხაზეთში. მისმა ნაამბობმა მთიელ ქალებზე შაიძულა განსაკუთრებული სიცხადით გამეხსენებინა ჩვენი უარდის სკოლა. ახლა თეთრი, ქვის საპსართულიანი შენობაა, მაშინ კი, პირველ კლასში რომ შევედი, პატარა, ოროთახიანი ხის სახლი იყო, ისეთივე პაწია, როგორებიც ჩვენ თვითონ ვიყავით ჩვენი სკოლის ოცდაათი გოგო და ბიჭი.

ახლა ამ სკოლაში ხუთასი ბავშვი სწავლობს. მანსოვს, სკოლის დირექტორმა ქარბეი ბარჩანმა, ჩემთან ერთად რომ იჯდა პირველ კლასში, აწყად დამისახელა ეს რიცხვი. მაშინ სკოლის დამთავრებინა თხუთმეტი წლის აღსანიშნავად შევიკრიბეთ. ცხადია, ყველახი არა, მაგრამ მაინც საკმარისი ვიყავით. ორი აგრონომი, სამი მასწავლებელი, ერთი სამთო ოსტატი ტყვარჩელიდან, მე — ლინგვისტი და ჩვენი გამოშვების ყველაზე უფრო გამოჩენილი პიროვნება ნატაშა ლოუბა — მთელ აფხაზეთში პირველი შფრინავი ქალი. შფრინავი რომ ვამხდარიყავი, რა თქმა უნდა, მტკიცე ხასიათი იყო საჭირო, მით უმეტეს, რომ ნატაშას მამა ისლამი, თითქოს ჯიბრზე, ჩვენი სოფლის სალოცავის — კიაჩის ყველაზე უფრო გულმოდგინე მლოცველი იყო. კიაჩი ჩვენთან ისევე სასწაულმოქმედად ითვლებოდა, როგორც უბიხებში ბითხა. ისლამი ირწმუნებოდა: ჩემი თვალით მაქვს ნახი, როგორ დაფრინავს დამლამობით კიაჩი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი დღესასწაულების დროს და შემდეგ ისევ

თავის ადგილს უბრუნდებო. მაგრამ მფრინავი სალოცავი ერთია და მფრინავი ქალიშვილი — მეორე. მერე როგორი შვილი, ერთხელ კინალამ რომ გამოაგდეს აერო-კლუბიდან, აქაოდა, დღისით-შხისით სოფლის თავყრილობის დროს, იქვე დიდ მინდორზე „უ-2“-ით დაშვება როგორ გაბედო. ბოროტი ენები კი დიდხანს კორაობდნენ: ისლამს თავისი ქალიშვილი მორიგი გაფრენიდან დაბრუნებული წმინდა კიაჩი ეგონაო. რა თქმა უნდა, მოხუცს ცილს სწაშებდნენ, მაგრამ უარდელებს ხომ ქილიკში ბადალი არა ჰყავთ, მით უმეტეს ხუმრობა თვითონ რომ არ ჩერდება ენაზე. გამოჩნდებოდა თუ არა ცაში თვითმფრინავი, „არიჟა ჩქარა, ჩქარა, შეხედე, წმინდა სალოცავი მოფრინავსო“ — ეძახდნენ ისლამს. ნეტავ სად არის აგლა ნატაშა ლოუბა? აქედან ხმას ვერ მივაწვდენ, ძალზე შორს გადმომტყორცნა ბედმა უბოხური ენის ძებნაში. ხანდახან გაოგნება მიპრობს — ეს რამსიშორეს ვარ...

### უღაბნოს ჰვითელი გვით

ჩვენი ოცდაათაქლედიანი და ოციოდცხენიანი ქარავანი უღაბნოში მიიწლანებოდა. ისმოდა ზანზალაქების განუწყვეტელი ჟღარუნი. ორმოცდაათამდე მექარაენე ვიყავით. მთელი თვე იყო გასული, რაც ხალხმრავალ და ხაუურიან კაიროდან გამოვედით და გზას დავადექით.

ახლაც ვხედავ, დად შარახ, ყველაზე წინ შავ არაბულზე ამხედრებულნი თეთრ ყაბალაჯა და მოხასხაში გამოწყობილი ქარავახ ბაში — ისმაილ საბახი მიდის. ხმელ-ხმელია. მჩატე. და ამტახი. წარმოშობით ბედუინია და ბარქანებში ისე გრძნობს თავს, თითქოს შინ იყოს. ოდნავ მოშორებით, ორივე მხარეს მისი პირადი მცველები ირწყვიან უნაგირებზე. მათ უსიტყვოდ ესმით ქარავან ბაშის. საქმარისია ანიშნოს „მოკვდიო“, და არც დაფიქრდებიან, ისე მოკვდებიან.

უღაბნოში ისმაილ საბახი ჩვენთვის ღმერთიც არის და მეფეც. ყველას თავის მბრძანებელი ჰყავს და ისმაილ საბახსაც ჰყავს ასეთი მბრძანებელი — ქერიმ-ეფენდი, კაიროელი სახელოვანი ვაჭარი,

ცნობილი მდიდარი კაცი, ვისთვისაც შავი საქმეების კეთება უცხო იხილი არ არის. პირველად რომ შეეხვდი ისმაილ საბახს, უკვე თავისი ცხოვრების მეორე ნახევარში იყო გადამდგარი. მაღალი იყო, შავკვრემანი. შავი მბზინავი უღვაშები ჰქონდა — და ვეფხვივით მწვანე თვალები. მწვანე თვალები ჰქონდა-მეთქი ვთქვი, მაგრამ მთლად სწორი არ არის, რადგან მის თვალებს ერთი უცნაური თვისება ჰქონდათ — დღეში რამდენჯერმე იცვლიდნენ ფერს. მე პირადად ქარავენის წინამძღოლის გულდია და უდარდელი სიცილი არ გავიგია. სიცილის დროს ყვითელ კბილებს აკრაქუნებდა და მცეცის ყმთილეცით ხმას გამოსცემდა, სახეზე კი სიხარულის ნიშანწყალიც არ ეხატებოდა. „მოთმინება თუ დაკარვე, სიკვდილს იპოვიო“ — ნათქვამია, დაღ შარახ. ეტყობა, ჩემდა საუბედუროდ, განგებამ საოცარი მოთმინება მარგუნა, რაკი აქამდე ცოცხალი ვარ. მთებში დაბადებული და ვაზრდილი ქაბუკი, სადაც მწვანედ ბიბინებს ყველაფერი, კაჟის ნამტვრევით მისროლა განგებამ უნაყოფო უდაბნოში. ჩაწერას ვერ ასწრებ არა, ძვირფასო. მაშინ უფრო ღინჯად მოგიყვები. ან იქნებ მოგებზრდა კიდევ ჩემი ლაქლაქი? თუ არადა, მაშინ იაეგ მომყვეს შენი ფანქარი...

ქარაბურუნის კონცხის განაპირას ერთი ციხე იდგა, სადაც პირატებს ჰკიდებდნენ თოკზე. ვანაჩენი გამოტანილი მქონდა და ხუთ თვეს ველოდი მის სისრულეში მოყვანას. ეს კი იცი რას ნიშნავს? ყოველდღე ვკვდებოდი ამ ხუთი თვის განმავლობაში. „ოჰ, ნეტავი მალე დამთავრდებოდეს ყოველივე“, — იხვეწებოდა ჩემი გაწაქეზებული ნული. სელიმ-ფაშას მოკვლით გამოწვეულ სინანულს კი არ ვკრძნობდი. ეს არც დილეგში გამომწყვდეულს მიგრძენია და არც შემდეგ, მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. ბორკილებგაყრილი და სასიკვდილოდ განწირული შავი კრილოსანივით ვმარცვლავდი ბოლო წლებში მომხდარ ამბებს და ღმერთზე კი არა, ჩემს დებზე, ფელდიშზე, დედასა და მამაზე ვფიქრობდი. ნეტავ ცოცხლები არიან? მატასა და მაჰმადის ბედიც მალეღვებდა. ნეტა რა დაემართათ? ციხის კედლები კი მუნჯი იყო და აბა რას მეტყობდნენ? ხანდახან ზღვის ყრუ ხმაური მესმოდა ხოლმე. ტალღებისათვის მაინც მეკითხა რაიმე, მაგრამ იმათი ენა რომ არ ვიცოდი?

და აი, ერთხელ შუაღამისას, როცა სიზმრის ღრუბლებმა უბიხეთში გადაიყვანეს, კრიალით გაიღო რკინის კარი. ზღურბლზე



ციხის ზედამხედველი იდგა და თან ვილაცა უცნობი მეზღვაური ახლდა. ორივეს მოპარპალე სანთლები ეჭირათ ხელში.

— აბა, შეხედე, კაცი კი არა, კამეჩია. კარგად რომ გააძლო, უღელშიც შეაბამს კაცი.

— აბა, შემობრუნდი, ხელი მოხარე! კისერი მოდრიკე! — მსინჯავდა მეზღვაური. „მამოწმებენ, გამიძლებს თუ არა მარყუჟი“, — გავიფიქრე და გული გავეყინა. საიდანღაც შეიარაღებული ჩაფარც მოვიდა და მიბრძანა:

— გამოდი!

ბორკილების ჩხარუნით გამოვადიჩე ციხიდან. კოკისპირულად წვიმდა. ზღვაზე წემოჯართლი ღრუბლები ბორგავდა.

ელვის შუქზე ჩახრამულ კლდოვან სანაპიროსთან აფრიანი ნავი შეენიშნე. მალე მის ტრიუმში აღშოვჩნდი კიდევაც. ის მეზღვაური, საკანში რომ მანჯავდა, კაპიტანი გამოდგა. მაშინვე მიეხვედი, რომ ციხის ზედამხედველმა პირუტყვივით მიმყიდა კაპიტანს. სიკვდილმისჯილის ჩამოწერას რა დიდი ამბავი უნდა: ვიფიქრებ თავი ჩამოიბრჩო და გეპი ზღვაში გადააგდეს. ასეთი რამ ხშირად ხდებოდა... თითქოს უნდა ვანხარებოდა ბედის ასე უცებ შემოტრიალება, მაგრამ წინ ხომ მონობა ძელოდა?! მონა კი, მოგეხსენება, აღამიანი არ არის; როგორც მოებრძანება, ისე ექცევა პატრონი. პატრონის სურვილი კანონია. სანამ ჩანი გაქვს და ხარივით მუშაობ — პურს გავმეცს, ღონე გამოგელევა და ტყვიით ვაგიმასპინძლებდა. ვინაა გამკითხავი. სანდალმა ფრთხილად აიღო გეზი კაიროსაყენ. კაპიტნისაგან ვაჭარმა ქერიმ-ეფენდიმ მიყიდა. ქალაქკარეთ სახლის აივანზე იჯდა სავარძელში ქერიმ-ეფენდი. მოწყურული თვალებით შემათვალისწინებდა და თურქულად მითხრა:

— შენი წარსული დაწვრილებით ვიცი. ვიცი, რომ შენთვის სულ ერთია, გინდ კაცი ნოგოკლავს და გინდ მამლისათვის წავიგდებიანებია თავი. ოტომანის ფაშა ეტყობა პირველი არ არის შენთვის. რამდენი გყავს გამგზავრებული იმ ქვეყანაში არ გეკითხები. ეგ შენს სინდისზე იყოს. შენ მკონი კავკასიელი ხარ, არა?

მე პასუხად თავი დავუქნიე.

— ევკიბტე იცნობს აფხაზებს. ოდესღაც, ძველად თორმეტი აფხაზი ქალი გამხდარა სახელგანთქმული კაიროელი ვაჭაკების ცოლი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ვანაგებდნენ ევკიბტეს. მათმა შთამომავლობამ აბაზის გვარი მიიღო. ამ გვარის ხალხი ახლაცაა

ეგვიპტეში. — ვაქარმა ცბიერად გაიღიმა, — თუკი აფხაზ ქალებს სახელმწიფო საქმეების გონივრული განსჯა შეეძლოთ, მათი თანაშემწილე, ალბათ, კბილებით ამოიყვანს თევზს ზღვიდან. შენ ბედი გეწერა ჰაბუკო, თავი უნდა მოეკეთათ, ის კი ისევე ზედ გაპია; მე გიყიდე, მაგრამ თუ არ დამემორჩილები... არ გამოგადგება, იცოდე, შენთვის ვამბობ.

ჭერიმ-ფენდომ რამაილ საბახს ჩამაბარა. ასე გაცხდი მექარაზე-იმ დღიდან „აბაზი“ დამერქვა, რაც არაბულად აფხაზს ნიშნავს. პირველ ხანებში აქლემების დარწყულება და გამოკვება შეგაღებოდა. ტვირთის აკრება და ჩამოხსნა. უბრები ოდითვან ცხენებთან ვიყავით შეზრდილები, აქლემები კი ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. რა უნდა მექნა. შევუღდე უჩვეულო შოვალეობის შესრულებას. ჯერ ზიზლით ვუყურებდი ამ კუზიან სიმაწინჯეებს, მაგრამ ყველაფერს ერევვა კაცი და მეც შევეჩვიე. ის კი არადა, პატრიის-ცემითაც კი ვეპყრობოდი ამ თვინიერ, ჭკვიან და ამტან ცხოველებს. მათ არაერთხელ ვუხსნივართ უდაბნოს გრიგალისაგან და სიკვდილსაც გადავურჩენივართ.

ღმერთო ხემო, რა უმწეო, პატარა და სუსტია ადამიანი მღუშმარე და უნაყოფო უდაბნოში, სადაც ქვიშის მეტს ვერაფერს იხილავს თვალი. ქარი სტვენს და ტალღებად გრავნის ქვიშას, ბასრი ხმალივით რომ ვისერავს სხეულს. ვინ მოთვლის, რვა წლის განმავლობაში რამდენჯერ გადამივლია უდაბნო, სადაც უთვალავი ადამიანი ჩამარბული. დამარხავენ კაცს და ერთ საათში საფლავის ბორცვიც აღარ ჩანს; ერთნაირად გასწორებულია. აღმოსავლეთი დილიდახვე დაფჩენს ცეცხლოვან ხახას და დაღამებამდე ისეთი პაპანაქებაა, რომ ამის გამომცდელ კაცს ჯოჯოხეთის აღარ შეეშინდება. წარის ტყავის ტიკებში ჩასხმული წყლის თითოეული წვეთი აღრიცხულია. დამე კი ისე აცივდება, ძვალსა და რბილში ატანს. კოცონს კი ვერ გააჩაღებ. რისგან უნდა დაანთო?

უსიცოცხლო დაბლობი, სადაც მახრჩობელა გველები იცვლიან პერანგს, თავისი ზუთი თითივით იცოდა ისმაილ საბახმა. მას არაერთხელ ვაღაუკვეთავს ქვიშის ოქროს ურდოები კაიროდან აფრიკის სხვადასხვა კუთხეებისაკენ. შენ გაინტერესებს, რა საქოხელი გადაგვექონდა ბარდანებით? ზემოდან სხვის დასანახავად, აბრწეში, ქურკლეულობა და ხალიჩები გვეწყო ნამაზის შესასრულებლად. მთავარი ტვირთი კი ფუთებსა და ხურჯინებში იყო დამალული. ეს

ობიუმი და თოფის წამალი გახლდა. ასეთი საქონლით ვაჭრობას კანონი კრძალავდა, მაგრამ ქერიმ-ეფენდისა და ისმაილ საბახისთვის ეს დაბრკოლება არაფერს ნიშნავდა. თუ ვინმე წაასწრებდათ. თავის გამოსხნაც შეეძლოთ. ერთხელ უკვე გითხარი, შარახ, რომ ჭარავან-ბაშის თვალები დღეში რამდენჯერმე იცვლიდა-მეთქი ფერს. ეს კიდევ არაფერა; მთავარი ის იყო, რომ თვითონ ისმაილ საბახიც რამდენჯერმე იცვლებოდა დღეში, ხან მოღუღუნე მტრედს ჰგავდა, ისე რომ უბეში ჩაისვამდი კაცი, ხან კი გაათრებულ ჯიქს. მზად იყო საკუთარ ტყავში გამძვრალიყო, ოღონდ იაფად ეყრდა ძვირფასი ალმასი, ოქრო და ამბრა. უფრო თავაზიანი მყიდველი, ალბათ, მთელ აფრიკაში არ ეგულებოდათ.

— კარგ ფასს ვაძლევ, ჩემო ბატონო, კარგ ფასს. შენი სატყევარი შემეყაროს, რაც ღირს იმაზე ნაკლებს თუ ვაძლევდე! — იყო-ლებოდა ის გაჯიუტებულ გამყიდველს.

როცა ხელსაყრელ ფასად შეიძენდა ძვირფასეულობას, იმეტი ბედნიერებას განიცდიდა, რასაც, ალბათ, მისი გარდაცვლილი ახლობლებსაც გაცოცხლებაც ვერ მიანიჭებდა. მაგრამ თუ გაბრაზდებოდა, მტრისას, მხეცზე უარესი იყო, მით-უმეტეს მისი რისხვის მიზეზი ვინმე დაბალი წარმოშობის კაცი თუ იყო.

ერთხელ ყავის მოსაღულღებელი სპილენძის თუნჯიანი ტყავის ჩანთა დაიკარგა. ისმაილმა ერთ მექარავნებზე მიიტანა ექვე:

— სად არის ჩანთა?

— არ ვიცი, მბრძანებელო!

— გაყიდე, არა, ძაღლო!

ჩვენ ვეხვეწებოდით ქარავან-ბაშის, უდანაშაულო კაცი რომ არ დაესაჯა. მუხლებზეც კი დაუწიოქეთ.

— ერთი ჭუჭყიანი ღორი ყველას დასვრის, — დაიღრინა მან.

ქამრიდან თურქული დანა დააძრო და პირდაპირ გულში გაუყარა ბრალდებულს. საბრალო მონამ ერთი ამოიხრიალა და უსულოდ გაიშლართა თავის მბრძანებლის ფეხებთან, ის კი იქვე გაშლილ ქეჩაზე დაჯდა და ცხვირის ბარკალს დაუწყო ღრღნა. გემრიელად ჰამდა და პირს აწკლავუნებდა, ტუჩები უბზინავდა, მოკუტულ წითელ თვალებს კი უკვე ყვითელი ფერი გადაჰკვროდა.

ისმაილ საბახმა აუჩქარებლად გამოღრღნა ძვალი, მერე ადგა, მკერდიდან დანა ამოაძრო მოკლულს და აქლემების წამოყენება გვიბრძანა.

— აბა, გზას გავუდგეთ!

ცახე შესაფლავე არწივები გამოჩნდნენ.

ვიანახავს როდისმე, ძვირფასო შარახ, ნამდვილი სპილოს ძვალი? ის რომ ნიამე სენისაგან კურნავდეს კაცს, ხვატიანი უდაბნოს გადავლაც არ დავეზარებოდა, მაგრამ სპილოს ეშვი მხოლოდ სამკაცულია მღვდრებისათვის. ის ისე მაგარია, ტყვიითაც ვერ გახვრიტავ, ხერხსა და სალესაჲს კი ადვილად ემორჩილება.

სიმდიდრე ათასხარ მოთხოვნილებებს ბადებს სოლმე. ჭადრაკის ფიგურები, სიყვარულით რომ გადაჰქონდ-გადმოჰქონდა სანდალის თეთრ და შავ უჯრებთან დაფაზე ქერიმ-ეფენდს, სპილოს ძვლისა იყო, მის ხელჯონსაც სპილოს ძვლის ტარი ჰქონდა და თოფის კონდაზიც სპილოს ძვლით იყო მოჭედული. ქერიმ-ეფენდამ იცოდა ძვირფასი ნივთების ფასი და ამიტომაც შეუწყვეთა სპილოს ძვლის სავარძელი და სასტუმრო მაგიდა. რატომაც არა? მდიდრის ოჯახში მამალიც კი კვერცხს დებს. გაგონილი მქონდა, ქერიმ-ეფენდის კაბინეტში უზარმაზარი ეშვისაგან გამოთლილი შიშველი ქალი დგასო. ქერიმ-ეფენდი უყურებდა, უყურებდა ამ ქანდაკებას და ამოიხიზრებდა — ახალგაზრდობა ახსენდებოდა. ქალბატონსაც უხლოდა სპილოს ძვლის საპუდრე და ბრილიანტების შესანახი კოლოფი.

და აი, ჩვენ ციებ-ცხელებასავით ყვითელი უდაბნოდან, სიცხით, წყურვილითა და ქინქლებით გაწამებულნი კაუჭალ ტყეებში შეედოდიოდი, სადაც ჰაერი არ გვეოფნიდა და სული გვებუთებოდა. ანე ვალწევდით ნიანგებით გადაუსებულ მდინარეების ნაპირებს, სადაც იაფად უნდა გვეყიდა შაკვანიანებისაგან სპილოს თეთრი ძვალი.

ყველაზე უფრო ძვირად მაინც აღმასი ფასობდა. სწორედ მიანგან აკეთებენ ბრილიანტს, ოქროზე ძვირი რომ ღირს. ოღონდ აფრიკელებისაგან აღმასი ჩაეგდო ხელში ისმაილ საბახს და მექარავენებიცა და აქლემებიც თუნდაც ჭირს წავედეთ, არც თვითონ იზოგავდა თავს — ცხრა პირ ტყავს იძრობდა. ხარბი კაცის ყნოსვასთან ვერც ერთი ძაღლის ყნოსვა ვერ შოვა. ცხრა შთის იქიდან მოაწყუნენ თეთრკანიანი გაღამიელები უდაბურ ადგილებს, რომლის სიღრმეებში აღმასები ინახებოდა. მოაწყუნენ ჯარით, არაყითა და საკუთარი მღვდელმსაჯურებით. ჩემი თვალით ვნახე, ძვირფასო შარახ, როგორ მოუშაოქუნენ აღმასის საბადოებში მონებად ქცეული შაკვანიანი ადგილობრივი მცხოვრებლები. უარეს კატორღას ვერც მოიფიქრებს კაცი. საშუალო ღღის დამთავრების შემდეგ ზედამხედ-

ველები ჩხრეკდნენ მონებს: ყურებს, ნესტოებსა და პირს უთვალიერებდნენ. ვინმე თუ გადამაღავდა ძვირფას ქვას, მტერს უარესი, უპოვნოდნენ და სიკვდილი არ ასცდებოდა. ზოგჯერ შაჯახიანებს სული აუჯანყდებოდათ ხოლმე და მაშინ მშვილდისრებით შეიარაღებულნი შიშის ზარს სცემდნენ დამმონებლებს, მიუხედავად იმისა, რომ ძინი შაშხანებით იყვნენ შეიარაღებული. დამტრთხალ ბატონებს ყალყზე უჯვებოდათ ხოლმე კორპის ჩაფხუტები.

გახსოვს, რომ მოგიყევი იდეადა ჰამიდას შვილიშვილი ვიშვილეთ-მეთქი? ჰამიდამ ხომ წყალში დაიხრჩო თავი. და აი, შარდინმა, ალოუს ძემ მოინდომა, რომ ეს გონიერ ბიჭი მის მემკვიდრეს ხლებოდა სტამბულში. ბიჭები წლის მოზიარენი იყვნენ. ჩემი აფრიკიდან დაბრუნების დროს ტაპირი სწავლას ამთავრებდა და ისევ სულთნის ცოლისძმის სახლში ცხოვრობდა. ბევრი საიდუმლო ამბებიც იცოდა. სწორედ მისგან ვავიგე, რომ როცა პოლიციის მინისტრმა დიდ ვეზირს ვალი სელიმ-ფაშას სიკვდილი მოახსენა, ბებერმა მელამ პირველად თქვა ის, რასაც ფიქრობდა:

— ამ უბიხმა ქაბუქმა თავადაც არ იცოდა, ისე გაგვიწია სამსახური.

არც დაუხანებია, მყისვე აცნობა სულთანს, ეცოდა, რომ ეს მჭარე ამბავი ვულს დაუთავებდა. არც შეეცდარა. სკივრი ავჯილად იქსნებოდა. სელიმ-ფაშა ახლოს იყო „ახალი ომანების“ შეთქმულებასთან, ვისაც სულთანის შეცვლა ჰურჯდათ. სულთანა საქტთი აკლდა, ღალატისათვის თავიდან რომ მოეშორებინა იზმიდის გუბერნატორი. ნდობით კი ველარ ენდობოდა და აი, სწორედ ამ დროს ვავუტარე ვულში შერქსულ ფაშას კავკასიური ხანჯალი. შეიძლება ამიტომაც აკიანურებდა აბდულ-აზიზი სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას. ამით თითქოს აფრთხილებდა ყველა თანამოაზრეს: „ვინც ჩემს წინააღმდეგ წავა, კანონგარეშედ ჩაითვლება, ჩემი მოწინააღმდეგეებს მკვლელებს კი მე მკაცრად არ ვსჯი“.

ტაპირის აზრით შარდინს, ალოუს ძეს ციხის ზედამხედველისა და სანჯლის კაპიტნის საქმისწობაში ერია ხელი. რაიმე მოგებას თუ ელოდა, არც ამ ამბავს გაუშვებდა ხელიდან. ვითომ ისე შემთხვევით ვაავებინებდა მის უმადლესობას პორტის შბრძანებელს:

— ის უბიხი ყმაწვილი, ფაშა რომ მოკლა, ჩემი ჭუჭუბტის შვილია. საცოდავმა შერცხვენილი დებისთვის იძია შური.

შარდინს, ალოუს ძეს ის არ უთქვამს სულთნისათვის, თვითონ

რომ მიმართავდა ხელს, მაგრამ მის სიტყვებში არც ეს იყო გამო-  
რიცხული.

ჩვენი ქარაუნის ხანზალაკების ხმა შრავალტომოვანი აფრიკოს  
რომელ კუთხეს ადარ მისწვდა! ერთხელ, ძლივს რომ გადავიარეთ  
ცოფიანი მგლის ხახსავით გავარვარებულნი უდაბნო, იძობარების  
ტომის ხალხს წავუწყდით. კაცები მალღები, ბეჭებანიერნი და  
წარიღწელიანნი იყვნენ. ქამარზე ხანჯლები ეკიდათ. ქალებს ზეთის-  
ხილისფერი სახე და თვალის ლამაზი ჭრილი ჰქონდათ და გული-  
თადად გვხვდებოდნენ, თუმცა ოდითგან მოსდგამდათ თავდაპერი-  
ლობა და თავშეკავება.

აზნაღეს ხმა რომ გავიგონე, აფხიარცა გამახსენდა და კავკასია  
დამიღვა თვალწინ მემომარი ვაუკაცებით და უშეშენიერესი ქალებ-  
ბით. ხალხი ხალხისკვან განსხვავდება, მაგრამ ტირილი და სიცილი  
ყველამ ერთნაირი იცის. ჩემი გლეხური გული მიდნებოდა, როცა  
ვხედავდი, როგორ წველიდნენ ძროხებს მავრები თუ ბერბერები. რაჟ  
ჩხრილით ჩაჟიოდა უზარმაზარი გოგრებისაგან გაკეთებულ ჯამებ-  
ში. მე კი ჩვენი უბიხური ზის დერგები მახსენდებოდა. ოხშიერი-  
ანი რძის და ბოსლის სუნიც მშობლიურ მხარეს მახსენებდა. ძრო-  
ხებიც ისე ზჟუოდნენ, მამლებიც ისე ყიოდნენ და თხაც ისე ეპოტი-  
ნებოდა ზეკერს, როგორც ჩვენში. საქორწილო თამთამების ხმა კი  
დოლის ბავუნს მაგონებდა. ზოგი ტომი ალაჰისათვის ალაველენდა  
ლოცვას, ზოგი — ქრისტესათვის, წარმართები კი მზეს სცემდნენ  
თაყვანს.

ერთხელ საქარაუნო გზის მახლობლად ადამიანების ძვლები შევ-  
ნიშნე. ზოგიერთს ისევე ელო ზედ ჯაჭვიანი ბორკილები. ალაგ-ალაგ  
შაჯანიანი მონების ძვლებიც ქათქათებდა. განა მე კი მონა არ ვი-  
ყავი? თეთარი მონა, რომელიც იგივე ისჟილ საბაჰს ძალღივით შე-  
ეძლო მოეკლა. არც დამცველი მეყოლებოდა და არც დამტირებე-  
ლი სიკვდილის შემდეგ.

საბალზე აკიდებული აქლემებოს თანაბარ ნაბიჯსა და ხანზალაკი-  
ბის გულსგამაწვრილებელ უღარუნს ბოლო არ უჩანდა. ზოგჯერ  
საქარაუნო გზები ჯვარედინდებოდა, ერთმანეთს ერწყმოდა, ისევე  
ცალკევდებოდა. დღეები ხან ბარქანებივით უშფოთველად გადიოდა,  
ხან კი უდაბნოს ყვითელი ქარიშხალივით აღმუშვლავდებოდა.

მახსოვს, ერთხელ ლამის გასათევად გავჩერდით. აქლემებს ბარგი-

ბარხანა ჩამოეხსენით, ღარიბულად ვივახშმეთ და დარაჯობის დრო იგავინაწილეთ, ღმერთმა დაიფაროს და იოლი ცხოვრების მოყვარულები რომ დავესხმოდნენ თავს. ამ დროს ჯუთის თოკებით ერთმანეთზე გადაბმული შავი მონებზე ქარავენიც გამოჩნდა. ჩვენგან ოდნავ მოშორებით გაჩერდნენ. ბადრაგის უფროსი ისმაილ საბახის ძველი ნაცნობი გამოდგა. უმთვარო ღამე იყო. კუპრით ჩაშავებული ცა კარგს არას გვიქაღდა. ბადრაგის უფროსმა ჩვენს ქარავენ ბაშს რამდენიმე კაცი სთხოვა ბადრაგის გასაძლიერებლად, რადგან შვეკანინი მონების განთავისუფლებას ხშირად ცდილობდნენ ხოლმე თანამემამულენი. ვასამრჯელოსაც დაჰპირდა. ფული რომ უხსენეს. ისმაილ საბახს კოკმანი აღარ დაუწყია, პირიქით, დიდი სიამოვნებით გამოჰყო ექვსი კაცი, მათ შორის მეც. მცველები სამ ნაწილად ვავიყავით. მე და ჩემი მეწყვილე მეორე ცვლაში მოვხვდით. მესამე ცვლა ისმაილ საბახის ორ მუქთაქვამელს შეხვდა, წარამარა რომ მიჰქონდათ ხოლმე ამბები სხვა მექარავენებზე. შეაღებეს ჩვენი წყვილი დავექით სადარაჯოზე. მხოლოდ ერთს ვოცნებობდი, მალე მომეთავებინა ჩემი, საქმე და სულ ცოტა ხნით ჰაისც მომეტყულებინა თვალი. ცოტა ხნის შემდეგ ქარმა დაუბერა და ღრუბლებიდან სავსე მთვარემ ამოჰყო თავი. მთვარის შუქზე ქვიშაზე მიფენილი მონები უძველესი და იღუმალი ტაძრის კოლონების შავი მარმარილოს ნატეხებს ჰგავდნენ. უცბად ჩემი თვალები ერთ-ერთი მათგანის თვალებს წააწყდა. პირველად ამ თვალებმა სიძულვილის ცეცხლი მესროლეს, შემდეგ კი ჯიქურ მკითხა:

„შენ დედა და მამა გყავს?“

„მყავს“. — თავი ვერ აარიდა პასუხს ჩემმა მზერამ.

„ძმა?“

„ძმაც მყავს“.

„სად არიან?“ — მეკითხებოდნენ ნაღვლისაგან მოწყლიანებული თვალები.

„არ ვიცი, ბედმა დაგვაშორა ერთმანეთს“, — მწუხარედ აღიარეს ჩემმა თვალებმა.

„იქნებ შენს ახლობლებსაც ჩვენსავეთ მონებად ერეკებიან და ჩემი ძმა კი დარაჯად ჰყავთ?“ ჯიუტად ჩამაგონებდნენ მისი თვალები, როგორც შავი მაგიის ქურუმები. მე თვალს ვხრიდი, მაგრამ რაღაც იღუმალი ძალა მაცოუნებდა და ისევ მის სულში ჩამწყვდობ, მოლაპარაკე თვალებს ვუსწორებდი მზერას.

„დამიჯერე, — იახუნენ ეს თვალები, — ჩემი ძმა შენს ახლობ-  
ლებს თუ დარაჯობს. ვაჭკვევაში დაეხმარება, იმტომ რომ მან იცის  
თავისუფლების და სამშობლოს ფასი“.

მე ვუძალიანდებოდი მის მზერას, მაგრამ ის გარდუვალი იყო,  
როგორც ბედისწერა და მიმზიდველი, როგორც თავისუფლება.

„ნუ მთხოვ! მეც შენსავით მონაწიარ და შენი დახმარება არ  
ძალძის!“ — დარცხენილმა ვაჭკიე ზურგი, მაგრამ შევებრუნდი თუ  
არა. მამაჩემის, დედაჩემის, ჩემი ძმისა და დების ხმები მომესმა:  
„უშველე მაგ ბიჭს, უშველე!“ ცისკიდურს სინათლე ეპარებოდა, მა-  
ლე მესამე ცვლა დაიკავებდა პოსტს და გავბედე, — ბიჭის წიხ,  
თოკით რომ იყო გადაძმული სხვა მონებთან, უხმაუროდ დაეცა  
თურქული დანა. მე და ჩემი მეწყვილე შევკვალეს. აქლემებთან  
მივებრუნდი და ქეჩაზე მივეგდე. ამხანაგს მკვლარივით ჯაფძინა,  
მე კი ლოდინად ვჩქეცი: „რა მოხდება?“ ვამთენიისას სროლა და  
ზანჯების საბრძოლო შეხახილები ვაისმა, მონები ნაცრისფერმა ბუ-  
რუნმა შთანთქა. ქეჩაზე, სისხლის გუბეში სამი მკველი ეგდო:  
ორი ჩვენი მექარავენე და მესამე — მონებით მხოვაჭრის დაქორავე-  
ბული კაცი.

ვის არ მოსვლია, შვილო, რომ შეხვდება ვილაცას, ან გარემოს  
მოაულებს თვალს და გაოცდება, ისე ჰგავს რომელიღაც ნაცნობს,  
ან დედამიწის იმ კუთხეს, გულს რომ ეფინება...

ღიღი ჯერს თანავარსკვლავედი ზედ თავზე ევადჯა, როცა  
ღვთათ შეჩვენებული საპარს უდაბნო უკან მოვიტოვეთ და სამ-  
ხრეთისაკენ ვაქნევირეთ პირი ქარავანს. მალე ჩვენს უკან მზემ ამო-  
ანათა და უცბად მის აციკებულ სზივეში მთები დავლანდე. სუნ-  
თქვა შეშეკრა. მას შემდეგ, რაც უბიხეთი დავტოვეთ, ნაძღვრი  
მთები აღარ მ-ნახავს. ისე გამიხარდა, თითქოს ძვირფასი ნათესავი  
შემხვედროდეს. მთების ფერდობები ამწვანებულიყო, ქედი კი თეთ-  
რი იყო. ღმერთო ჩემო, ნუთუ ყოველივე ეს ცხადია? მომეჩეხა,  
ვითომ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ვიდექი და კავკასიის  
მთების ცქერით ვტკბემოდი. ხელში წინგაშვერილი თოფი მეჭირა  
და ჩაჩოქილი ვეწაფებოდი წყაროს წყალს. მერე მაყვლის ბარდე-  
ბით გადაბურულ სამართებელივით ვიწრო ბილიკს დავადექი. მივ-  
დოვარ და ცხაკენ მივიწევე. გარშემო ყველაფერი ჩიტების გალო-  
ბითაა გაყრუებული. მახვილი თვალი ჯიხვისა და გარეული თხის



ნაკვალევსაც შეამჩნევს. ხავსნოდებულ ლოდზე ჩამოვკეჭი და სქე-  
ნად ვიქეცი. ქარისაგან აშრილებულ ფოთლესიდან გავიკვირებთ.  
და აი, ზედიც! მარადიული. თოვლით დაფარულ მწვერვალთა,  
კლდის შვერილზე ჯიხვი ვადქომდვარა...

ნეტავ ისმიალ საბახისათვის მეთხოვა, მთებში ნადირობის ნება-  
რომ დაერთო. მაგრამ აბა რას ვამბობ, წინასწარ უციცი, არ გამიშვებ-  
და. ის კი არადა, თოფსაც ჩამოპართმეფდა. ჯერ ცვარი არ შეშრო-  
ბოდა მიწას და მე კი, რაც მოხდება მოხდეს-მეთქი და შაშხანით  
ხელში უკვე ქეიდან ქვაზე ვხტებოდი და მთებისკენ მივიწევი.  
ცაში არწივები ბორობდნენ. „ეჰ, იმათ სიმაღლეზე რომ ამიყვა-  
ნა?! — გაუფიქრე მე. — იქნებ უბიხეთის მწვერვალებისათვისაც  
მიმეწვიდინა მხერა, რომელთა ხატებაც დღემდე დამაქვს გულთა“.  
შბუთოდა მთის მდინარე და ნაწნავეებივით გრავნოდა ტალღებს. მდი-  
ნარის მაღალა და ციცაბო ნაპირზე ორი არჩვი გადმოვდა. ქარი  
იმათ მხრიდან ქროდა და ხიფათი ვერ იცნოაეს. მონადირულმა  
ჟინმა ამაყახცახა. ქვას აფეკარი, ცალ მუხლზე ჩავიჩოქე და დავუ-  
მიზნე. მთის ექომ სამგზის გაიმეორა სროლის ხმა. მთები ისე შეკ-  
რთნენ, თითქოს ჩემამდე არავის გაესროლოს თოფი. დაკრილი არ-  
ჩვი, შვერილის ქვეებს ეხეთქებოდა და მდინარის ნაპირისკენ მოკო-  
რავდა. მეორე არჩვი თოფს ქუხილმა რომ დააფრთხო, თითქოს  
ცაში გადნა. ქვევითკენ დავეშვი ნადავლის გამოსაწივნაევად და უც-  
ბად შორიახლო მდგარი შავკანიანი ქაბუცი შევნიშნე, მშვილდი  
ძირს დაეშვა. მეგობრულად მივესალმე. როგორც ჩანს ადგილობ-  
რები ნონადირე იყო და ჩემთან ერთად აწოელო მიხანში არჩვი,  
მაგრამ ჩემმა ტყვიამ გაუსწრო მის ისარს. ნადირთა მეფისაგან გა-  
მოკვანნილი ნადავლის წინ ჩაეტყუდა და თავი ნოვატერი. თუ ერ-  
თი კაცი ჩაციებით მიჩერდებოდა მეორეს, ის უსათუოდ მოუხედავს.  
მეც ასე მომივირდა: მოვიხედე და მოშტერებული აფრიკელი დავი-  
ნახე.

— მოდი აქ, — დაუუბანხე და ხელი დავუქეხიე.

სწრაფად მომიახლოვდა და თავის ენაზე რაღაც მძევობრულად  
მოთხრა, რაც ალბათ ამას ნიშნავდა: „ღმერთმა ხელი მოგიპართოს!“  
დანა იმიშვლა და გაბოშიგუნაში დამეხმარა. მე კი წინაპართა მოხა-  
დირული წესი დავიცავეი და ნანადირევი შუაზე გავყავი.

— ეს შენი წილია, წაიღე, — და ნახევარი წინ დავუდე. ის მი-  
მიხედა, საჩუქარი მიიღო, ქათქათა კბილები გამოაჩინა და მადლო-

ბა ვადამიხადა. მერე დაჯუნთული კისრიდან აქატის მძივები შეიხსნა და ჩამოშავდა.

— ნგუტი! ნგუტი! — ამბობდა და საჩვენებელ თითს მკერდზე იღებდა.

ახლა მე მვიდღე თითი მკერდზე და ვთქვი:

— ზაურყან! ზაურყან!

შაკანინაჲა ჭაბუკა მხიარულად დამიქნია თავი და გაიშეორა:

— ზაურყან!

ხელად მოიტანა ხმელი ფიჩხი და თვალის დახამსამებში ცეცხლი გააჩაღა. თავისი წილიდან ორი ნაჭერი ზორცი ჩამოჭრა, ქაძრიდან ტყავის ქისა ჩამოიხსნა, მარილი ამოიღო, ორივე მხრიდან მოაყარა ხორცს, რომელიდაც სურნელოვანი ხის ტოტი შამფურივით ვაშთაღა, ზედ ხორცი ააგო და ცეცხლს მიუფიცხა. როცა შეიწვა, ხორცის დიდი ნაჭერი მომაწოდა, გემრიელად გეახლებოდით, თან ერთმანეთს ვაქებდით და სიტყვებს ხელებსაც ვაშველებდით. წგუტი ჩემს თოფს არ ამორებდა თვალს, მივაწოდე. შექმდე შიგ ვახხა ჩავდე, საკეტი ჩაგვეტე და გავსროლე. ხვუტიმ აღტაცებისაგან ცეკვა დაიწყო; ეტყობა, არასოდეს სჭეროდა ხელში ასეთი თოფი. ვატყობდი, მასაც უნდოდა ასეთი იარაღი. ვინ იცის, იქნებ სანადიროდ უნდოდა, ან თავის დასაცავად, ან იქნებ, სულაც, სამშობლოს დასაცავად? ჩემი დაბრუნების დროც მოვიდა. ნგუტიმ უმოკლესი გზით წაშოყვანა. გამომშვიდობებისას შაშხანა მხრიდან მოვიხსენი და სუაზნესთან ერთად ნგუტის გავუწოდე.

— სამშობლოდაკარგული მუჰაჯირისგან გქონდეს სახსოვრად. სასიკეთო სამსახური ვაგიწიოს ამ თოფმა! — ეუთხარი ჟებიხურად. ჩემი სიტყვები ვერ გაიგო, მკვრამ აზრს, დარწმუნებულნი ვარ, ჩასწვდა. ერთმანეთს გადავეხვიეთ. ნახევარი ვერსი რომ გავიარე, უკან მოვიხედე. ნაჩუქარ თოფს ლაპლაპი გაჰქონდა მზეზე, ნგუტის მალა აეწია იგი და მადლობას მიხდიდა.

შენ ალბათ გიკვირს; არა, დად, ასე რომ მოვიქეცი. მთების ბრალი იყო, დად, იმათ ამიფორიაქეს ისედაც აჯანყებული სული, დამავიწყებინეს, რომ თვითონ მეც მონა ვიყავი.

ქარავენის ადგილსამყოფელთან რომ დაებრუნდი, და მხრიდახ ვერ ისევ თბილი ხორცი ჩამოვიღე, ამხანაგები სიხარულით ცას ეწვიენ. აბა რას იზამდნენ, როცა მთელი ორი თვე მხოლოდ შაშხით,

ვამხმარი პურით და ბანაბების ჩირით გაგვექონდა თავი. ისმაილ საბახს თვალები ჩაუსისხლიანდა, ეს კი ცუდს ნიშნავდა. თხელი ტუჩები გაჭიმა და კბილები გააბრჭიალა:

— შაშხანა და სავაზნე რა უყავი?

— ნადირობიდან რომ ვბრუნდებოდი, ყაჩაღები დაძვინდნენ თავს და წამართვეს, — მოუხერხებლად ვიცრუე მე.

— თოფი რატომ არ ისროლე?

— ისინი ბლომად იყვნენ, თანაც ყველას იარაღი ჰქონდა.

— ბრიყვი ნუ გგონივარ. შაშხანაცა და სავაზნეც სქელტუჩა ყაჩაღს მიჰყიდე ალბათ.

— გამჩხრიკე და ფულს თუ მიპოვნი, თავი მოშუერი.

— ფული უკვე გადამალე ალბათ, გაიძვერავ! ახლა ღმერთმა იცის, ის შენი შაშხანა რომელს გავვიხვერიტავს გულს. — და მექარავენებს უბრძანა, გათოკეთო.

ხელად დაივიწყეს ახალი ხორცი და ათი-თორმეტი ბედუნი მეცა, ვამთოკეს და ქარავან ბაზრის ფეხებთან დამავდეს, მიწაზე დგოდე და განძრევის თავიც არ მქონდა, ისმაილ საბახმა კი ქეჩაზე მოიკეცა და მორთმეულ ყავას გეახლებოდათ. ნება-ნება სვამდა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის. ჭიქა გამოსცალა და უდაბნოს ვეფხვი ფეხზე წამოდგა. მათრახი აიღო და მომიახლოვდა.

— მათრახს ნუ დამკრავ, მირჩენია მესროლო, — დავიკლავნე და შევევედრე მე. მაგრამ გაიშხულია მათრახმა და დარტყმას დარტყმა მოჰყვა. ეჰ უბიძების მიწაზე რომ ვყოფილიყავი, სხვაგვარად წავიდოდა საქმე. მე კი არადა, ჩემს ცხენს რომ შეხებოდა მისი მათრახი, საკუთარ ნაწლავებს დავათვლევივინებდი. პირველად მცემდნენ მათრახით, თანაც სხვების თვალწინ! სხეულის ტკივილს თითქოს აღარ ვგრძნობდი, მაგრამ ჩემი უმწეო სიბრაზე იყო აუტანელი. ეს მიბურღავდა ტვინს და სუნთქვას მიკარგავდა.

— გეყოფა, თორემ ცოცხალი თუ გადავრჩი, იცოდე მოგკლავ! — ვხრიალებდი მე და გველივით ვიკლავებოდი. ისმაილ საბახი გაცოფებული იყო და უშლილივით მცემდა. შენ არ დაიჯერებ, დად, და სწორედ მაშინ დავიძახარე და თოკები დავწყვიტე. ფეხზე დავდექი თუ არა, ჯიქივით ვეცი ისმაილ საბახს, მათრახი გამოვტაცე. გადავუტეხე და თვითონაც არ ვიცი საით მოვისროლე. მექარავენები რომ არა, ჩემი ხელით დავაბრჩობდი ისმაილ საბახს. რამდენიმე კაცი შეცა და ხელახლა გამოთქეს. ახლა უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო

ჩემთვის. ქარაჯან ბაშიც დაცხრა. ასე ხელ-ფეხ შეკრული ვეკდე დილაშდევ, მაგრამ არც ისმაილ საბახი და არც სხვა ვინმე არ მომკარგებია. დღით ვითოშვიდა არაფერი მომხდარაო, ქარაჯნის წინამძღოლი ჩემკენ დაიხარა და ხორცში ჩამეჭდარი თოკები შემაჭრა.

— ადექი, საკმელი ჭამე და საქმეს მიხედე! — მეგობრულად მიახარა მან.

იმ დღიდან მოყოლებული ისმაილ საბახი უფრო ყურადღებთანა და მიქცეოდა: ზუზუყიან საქმეს არ მავალბდა, ზოგჯერ რჩევასაც მეკითხებოდა. ხმის აღმადლებლად იძლეოდა განკარგულებებს. მაგრამ კარვად ვიცოდი, როცა მოეპრიაებოდა, მაშინ გამოყრდა სწორედ იმ დანას შიგ კულში, რომლითაც ვათოკილი ხელ-ფეხი გამინთავისუფლა...

ერთხელ ბირამმა დაიკვირანა, დათქმულ დროს არ მოიჭანა სადილი. მზე უკვე დასაკლეთისაყენ იხრებოდა და ის არა და არ ჩახდა.

— რა დაემართა? ასეთი რამ ჯერ არ უქნია. მე რა მიშავს, მაგრამ წენ იწევაც სტუმრისთვის შეუფერებელ საქმელს გაჭმევთ და... — ბუზღუნებდა ზაურყანი და ვაჭყობდი, რომ მიუხედავად ჩემი დამშვიდებისა, უფრო და უფრო დელავდა.

რამდენჯერმე მოვიდა ხელი კვერთხს და ბოლოს წამოდგა კიდევ:

— წავალ და გაგიგებ, რა დაემართა.

მაგრამ ჭრეკართან მივიდა თუ არა, ბირამიც გაჰოჩნდა ფუთით ხელში. მოხუცი მობრუნდა. ხმის ამოუღებლად დაჯდა და კვერთხს დაეყრდნო.

ბირამი ჩემთან მოვიდა.

— მამატიე, ძვირფასო შარახ, — მითხრა მან, — ცოლი ავად გახდა და დაღობზე ვერ მოამზადა სადილი.

— რა დაემართა? — ვკითხე მე.

— გუშინ თავის ტკივილი დაეწყო და მთელი ღამე გააწამა. დღეს ცოტა უკეთაა.

ზაურყანი ისმენდა საუბარს და დუმდა, თითქოს პირი წყლითა აქვს სავსე. ნასადილევის, კურკელი რომ აალაგა ბირამმა, მივედი და ფუთხარი:

— ცოტა კიდევ რომ დავეგვიანა, ზაურყანი წამოვიდოდა შენთან, ძალიან სწულხდა.

— აფსუს! — თქვა ბირამმა, — ეგ რომ მცოდნოდა, ცოტას კიდევ დავიგვიანებდი განგებ.

— რატომ? — ვკითხე მე.

— ალბათ ათი წელი იქნება გასული, რაც შამა არ ყოფილა ჩვენთან.

კიდევ უფრო ხმადაბლა თქვა ბირამმა, რომ მისი სიტყვები მოხუცს არ გაეგონა.

— რატომ?

— არც შეზობლებთან დადის და არც ჩემთან. ალბათ იმიტომ, რომ ჩემს ცოლზეა გაბრაზებული, აკი გითხარი, შვილი არ გვყავს-მეთქი. ჰოდა, მეუბნება: „ვითომ ის არაფერია, მე რომ ვარ მარტოლმარტო, მაგის მიზეზით შენც ჩემსავით რომ დარჩეო“. არც კი ვიცი რა ეუბასუხო; ძალიან ძნელია მაგასთან ხასიათის შეწყობა, — ბირამმა ნაღვლიანად გადააქნია თავი და წავიდა.

მე და ზაურყანი კი ერთმანეთის პირისპირ დავჯექით და უკვე შეჩვეულ სამუშაოს შევუდექით.

მზე ჩავიდა. ეზოში ჩამობნელდა. მე შინ შევედი და ქრაქი ავანთე. დავსხედით და ზაურყანმა საუბარი განაგრძო.

ის მიამბობდა, რაც აფრიკაში მოგზაურობის დროს გადაიტანა. ცდილობდა აღედგინა მეხსიერებაში, სად იყო და რომელ ხალხს შეხვედრია. ზოგჯერ იმ უცხო სიტყვებსაც იხსენებდა, მოგზაურობის დროს რომ გაეგონა. უფრო მეტად უდაბნოზე მიამბობდა, მაგრამ ზოგჯერ აფრიკის ულრან ტყეებსა და წყალუხვ მდინარეებზეც მომითხრობდა, რომლებზეც გემებია დადიოდნენ.

ხანდახან ყველაფერი აერეოდა ხოლმე და თავიდან იწყებდა. „მოიცა, არ ჩაიწერო, მგონი ასე არ იყო, — მაჩერებდა ხოლმე ზაურყანი. — ეს ოხერი, ყველაფერი გაქრა ამ გოგრიდან?“ — შუბლზე ირტყამდა ხელს.

მაგრამ მიუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, მაინც მივხვდი, რომ ასე რვა-ცხრა წელიწადი დაჰყვებოდა ქარავანს აფრიკის თვალუწვდენელ უდაბნოებში...

ხუმრობაა? ცხრა წელიწადი ხომ მთელი სიცოცხლეა. დღეს რომ საწოვარას წოვს, იმ ბიჭს ცხრა წლის შემდეგ რომ გამოუდგე, ვერ დაეწვი!

საქონელი რომ გავყიდეთ და აქლემებს შეძენილი ავლადიდება აგვიდეთ, რაშიც ოპიუმიც იყო დამალული, ჩვენი ქარავანი ისევ კაიროსკენ მიმავალ გზას დაადგა. უნდა გითხრა, დად შარახ, რომ ზოგიერთი ჩვენთაგანი, ვისაც ეგვიპტეში სახლი და ოჯახი ჰქონდა, გახარებული იყო. მე კი რა უნდა გამხარებოდა, რა მელოდა? ცოდვილი შრომის საფასურად აღებული ფული. ეს იყო და ეს. ის კი არაა, თავიც რომ გამოიმესყიდა და თურქეთში დავებრუნებულიყავი, სადაც ჩემი ახლობლები დავტოვე, ვიცი, სელიმ-ფაშას მკვლევლობისთვის გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანა არ ამკვდებოდა. ისმაილ საბახი ჩქარობდა. შესვენებები მოკლდებოდა და საჯალი გზები გრძელდებოდა... უცნ მოვიტოვეთ ქალაქი სივა. უდაბნოს ვეფხვი ყურდაცქვეტილი იყო. წარამარა გვახსენებდა, რომ დღედაღამ ფხიზლად ვყოფილიყავით და ოთხი თვალი გამოგვესხა. თვითონ კი თითქოს ჰაერს ყნოსავდა მეძებარევით.

— ამ გზაზე არაერთხელ გაუძარცვავთ ყაჩაღებს ქარავნები, — გავაფრთხილა მან და ყველას ორმაგი რაოდენობით დავვირიგა გზნები. უმთავრო დამე იყო. ერთი ჰის მახლობლად დავბანაკდით და მცველების დაყენება ძლივს მოვასწარი, რომ მოულოდნელად, თითქოს უდაბნოში გრიგალი ამოვარდაო, უკუნი სიბნელიდან ცხენოსნები დაგვესხნენ თავს. სროლით შემოგვეკრტყნენ და ირგვლე ტრუსის სუნი დააყენეს. წყვილადი, ტყვიების სტვენა, დაჭრილი აქლემების ბლავილი, ცხენების ჰიხინი და თავდამსხმელების ყიფინი ერთმანეთში აირია. ერთი მხედარი ჩემკენ გამოქანდა, უნაგირიდან გადმოიწია და ხმალი ახწია, მაგრამ დავასწარი და ვესროლე... ქვიშაზე დაეხეთქა და სუფთა უბიხურ ენაზე ამოიგმინა:

— მომკლეს უთვისტომო და უჭირისუფლო!

თმა ყალყზე დამიდგა. ყველაფერს მოველოდი, სიკვდილსაც კი, მაგრამ მშობლიური ენის გავონება აქ, ბარქანებში, — სადაც შაითანიც კი ვერ გაძლებდა, საოცრად დაუჭერებელი და მოულოდნელი იყო. გარდა ამისა, დაჭრილის ხმა მეცნო. თავდამსხმელება კი, რაკი მარჯვედ დავხვდით, მიხვდნენ აქ ვერაფერს გამოვრჩებითო და ისევე ელვისებურად გაქრნენ, როგორც გამოჩნდნენ. მე დაჭრილთან მივირბინე. თავდებოდა კაცი. თავზარი დამეცა. საიდი იყო, ჰაჯი კერანტიხის ძუძუმტე. თავზე ვტაცე ხელები და ბლანტე სისხლი შევიგრძენი.

— საიდ, ღმერთო ჩემო, საიდ, ნუთუ ეს შენა ხარ? — გაოგნებული ვბუტბუტებდი მე.

თვალეებში უკვე სიკვდილი ჩადგამოდა. როგორც ჩანს მიცნა, რალაც გაუგებრად ჩაიჭურჩულა და ქუთუთოები დაუშვა. გარშემო ამხანაგები შემომერტყნენ, ხელში ანთებული მამსალები ეჭირათ. ყველა გახარებული იყო, ცოცხლები რომ გადავრჩით, და გავგნებული მიცქეროდნენ. მოკლულის გვაშზე დამხობილი რომ ვქვითი-ნებდა.

მე მთლად გადავირიე, სიკვდილი მინდოდა, სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა ჩემთვის და არც არაფრად მჭირდებოდა. თოფის ლულა მკერდზე მოვიბჯინე და ეს იყო ჩახმახისთვის. ზელი უნდა გამომეკრა, რომ საიდანაც გაჩენილმა ისძაილ საბახმა ფეხი გაჰკრა თოფს და ხელიდან გამაგდებინა. მერე ქარქაშიდან დანაც ამოაქრო.

— გათოკეთ ეს გადაარეული! — დაუყვირა მან მექარავენებს, მაგრამ სანამ ისინი მსხალეებს ქვიშაში ამაგრებდნენ, დაეუძვერი და უკუნ ღამეში გადავეფი. ისე გავრბოდი, თითქოს ჩემი ხელით მოკლული საიდის სულის დაწევა და შეჩერება მინდოდა. ისე მივქრდი, საკუთარ ფეხებსაც კი ველარ ვგრძნობდი. მივრბოდი, სანამ მთლად არ გამომელია ძალ-ღონე და მიწაზე არ დავენარტყე.

საწყალი საიდი!.. სამსუნის ახლოს დავშორდით ერთმანეთს. სამშობლოში დაბრუნებას ოცნებობდა და მეგონა, სადღაც უბიხეთის მთებისკენ მიმავალ გზაზე დავლია-მეთქი სული. საიდან გაჩნდა ფრიკაში? რომელმა ბოროტმა ძალამ შეგვახვედრა ერთმანეთს? რომელ ბოროტ სულს ეწადა, ჩემი ხელით მომეკლა თავისუფლები მოყვარე ჩემივე თანამემამულე?

დილაზე მკვდარივით ვეგდე ქვიშაში ამოგანგლული უკაცრიელი უღაბნოში. დილით თითქოს საფლავიდან წამოვდექი, სახიდან მტვერი ჩამოვიფერთხე და მივიხედ-მოვიხედე. ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ორი ტურა ჩაცუცქულიყო. ბანცალ-ბანცალით პირდაპირ მათკენ წავედი. განზე გაბტნენ და წაუტყულებდნენ, თან წარამარა უკან იხედებოდნენ. ნეტავ ამ საზიზღარმა არსებებმა რატომ არ შემქამეს მკვდარ-ცოცხალი, არაქათგამოცლილი და უიარალო? ვინ იცის, იქნებ, იმათაც ვეზიზღებოდი თანამომძმის მკვლელო? ფეხქვეშ უღაბნო მერწეოდა, როგორც გემის ბაქანი ზღვის ღელვის დროს. მთლად გამოფიტული ვიყავი, მზე კი უფრო და უფრო მალ-ლა იწევდა. მალე აქა-იქ ამოსული ხეები დავინახე, არა, ეს მირაჟი არ იყო, ოაზისს ვუახლოვდებოდი...

რა უნდა მექნა? ავდექი და სხვა ქარავანს მივეკედლე. ქარავანი კაიროში მიდიოდა. მექარავნებმა მასპინძლობა გამიწიეს: მასმეკედნენ, მაკმეკედნენ და მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ მმფარველობდა, ვინმე მონებით მოვაჭრისათვის მიყიდვა და ფულის მოგება არ უფიქრიათ, არც ძველი ქარავან ბაშისთვის დაბრუნება მოსულიათ აზრად. საქონელი, ქარავნით რომ მიჰქონდათ, სომეხ ვაჭარს ეკუთვნოდა, გზამივე გავიგე, რომ ტვირთი კაიროდან ზღვია ვაღიგსავენებოდა სტამბულში. კაირო დიდი ქალაქია, მაგრამ მე მშვირ-მწყურვალ მაწანწალას ერთი ახლობელიც კი არ გამაჩნდა. გული თურქეთისკენ მიმიწევდა, ნათესაებისა და თანამემამულეებისაკენ. ერთი დღე მაინც გამეტარებინა ოჯახში, ერთ დღეს მაინც გამეგონა გულის დამაამებელი უბიხური ლაპარაკი და მერე თუნდაც ბლავი ნაჯახით დავეჩეხე, ვისაც უნდოდა. სომეხი ვაჭრის დაქირავებულ მტვირთავებს. ვეხმარებოდი საქონლის გემზე გადატანაში, რომელიც სტამბულში მიდიოდა. კავკასიელიაო რომ გაიგო, ვაჭარმა ჩამაცვა, დამახურა და ფულიც შომცა საკმელ-სასმელისთვის. ეს კაცი მდიდარიც იყო და გულუხვიც. მასთან შეხვედრამ დამარწმუნა, რომ სიმდიდრე გულუხვობას არ გამოორიცხავს.

და აი, სომეხი ვაჭრის თანაგრძნობისა და სიკეთის წყალობით სტამბულში ჩამოვედი, ამ ქალაქზე ჯერ კიდევ ბავშვობაში მქონდა ბევრი რამ გაგონილი. უბიხებს ამაზე უფრო დიდებული და მდიდარი ქალაქი მთელს დუნიაზე არ ეგულობოდათ. როცა ვინმეზე რეცოდნენ: „სტამბულში მიდისო“, გვეგონა, ქვეყნის დასასრულს დადის კაციო. მთიან სოფელში ძვირფას ხანჯალს ან ფაქიზად ნაკეთებ ქალის სამკაულს თუ ნახავდნენ, სტამბულში გაკეთებული ეგონათ. ის კი არადა სიმღერებში ლამაზი გოგოს თვალებს სტამბულის ქარავას ადარებდნენ.

კონსტანტინოპოლმა, როგორც ზოგიერთები უწოდებდნენ თურქეთის დედაქალაქს, გამოაცა: მწვანეში ჩაფლული მარმარილოს სასახლეები, თავზე ნახევარმთვარის გვირგვინდადგმული მეჩეთები, და მათ შორის ყველაზე მეტად გასაოცარი აიასოფიის ტაძარი — ზეცასავით ცისფერი. ყველა ქვეყნის გემების თავშესაყარი ოქროს რქის ყურე, აყაყანებული ბაზრები, სადაც რაღა არ იყიდებოდა: ოქროს ძვირფასი სამკაულებიდან დაწყებული უბრალო



სასტვენებამდე, ცხერის ხორციდან დაწყებული ზღვის გარეული ნადავლით გათავებული. გამყიდველების მიპატრუება, ყავახანების ამო სურნელი, მათხოვრების მუდარა, ვაჭრების გინება, კონტრაბანდისტების ჩურჩული, ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული და როცა ბაზარს ომანიანი ხმა გადაუვლიდა თავზე: „აბა, უკან დაიწით, გზა მოგვეციო“, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბაზარში ფაშა ან მდიდარი მყიდველი შემოვიდა, ვისი მსახურიც მაცნესავეთ გასძახოდა ხალხს: „გზა მოგვეციო“.

საიქიოს ყველანი თანასწორი ვართ, აქ კი მიწაზე ყველას თავისი ადგილი გვაქვს. მე პორტის კართან, გემების მისადგომთან დავბინავდი. მსოფლიოს რომელ ენას არ გაიგონებდი იქ, მაგრამ მტვირთავეებსა და მეზღვაურებს უთარჯიმნოდ ესმოდათ ერთმანეთის. აქ არავინ არ ეკითხებოდა არავის: სადაური იყო, რატომ ჩამოვიდა და დიდხანს აპირებდა თუ არა აქ დარჩენას. ზურგი მაგარი გამომადგა — გადამქონდა ბარდანები, კასრები, ყუთები და ვინ იცის რა აღარ. მეზღვაურებისგან გავიგე, რომ ქალაქში ბევრი მთიელი გამოჩენილიყო.

რა ხალხია?

— აფხაზები არიან.

„ღმერთო ჩემო, შემაჯრეოლა მე, — ისევ დაიწყო მუჰაჯირობა? ნუთუ აფხაზებმაც დამღუპველი ნაბიჯი გადადგეს?“

გულმა ქალაქისაკენ გამიწია. მზის ჩასვლის შემდეგ და პარასკეობით სტამბულის ქუჩებში სახეტილოდ მივდიოდი, იქნებ წებელდელ აფხაზებს გადავეყარო-მეთქი, დედაჩემის ძმების თანა-სოფლელებს, ან ვინმე ნაცნობს. კვამლი უცეცხლოდ არ იქნებოდა და მართლაც მეჩეთის ეზოებში, კაფეებში და ბაზრის ალყაფთან უფრო ხშირად ვხვდებოდი იარაღასხმულ. ჩოხიან კაცებს. ისინი აფხაზურად ლაპარაკობდნენ. ვუსმენდი მათ და ტკბილ-მწარე გრძნობა მეუფლებოდა. ტკბილი იმიტომ, რომ სმენას ენალბუნებოდა ენა, რომელზეც ოდესღაც იავნანას მიმღეროდა დედა. მწარე კი იმიტომ, რომ ისევე მწუხარედ ლაპარაკობდნენ ახალი მუჰაჯირები, როგორც უბიხები სამსუნის მიდამოებში.

სადამოვდებოდა, ბაზრის ახლოს მიყრილ-მოყრილი ქვეები კი ისევ თბილი იყო. ერთ-ერთ მათგანზე დაბებკილ ახალუხიანი მოხუცი იჯდა. დაგლეჯილი ჩექმებიდან ქუქუყიანი თითები მოუჩანდა,

ჩაქინდრულ თავზე ხელები შემოეკლდა და გაშეშებულიყო. მოკლულად, საფლავის ქვას ჩამოჰგავდა. გვერდით მიიჯექი და ვკითხე:

— რა დაგემართა, ძიაკაცო?

— მოხუცმა გოცნებით შემომხედა, ეტყობა ვერ წარმოედგინა, რომ უჩოხო და უყაბალახო კაცი აფხაზურად დაილაპარაკებდა.

— ერთი ეს მითხარი, დად, ვინა ხარ, სადაური ხარ?

— მე ძველი მუჰაჯირი ვარ, უბიხი.

— თუ, თუ, — თანაგრძნობით ამოიოხრა მან, — უბიხები თვითონა ხართ თქვენი უბედურების მიზეზი, დაუფიქრებლად რომ გადმოსახლდით აქ. ჩვენ კი ძალით გამოგვრეკეს.

— რუსეთის მეფემ?

— არა, თურქეთის ჯარებმა. ამათ ხომ აფხაზეთის წართმევა მოუნდომეს რუსეთს. სოფლები გადასწვეს. ვინც წინააღმდეგობას ვაუწყებდათ, თავს ჰკვეთდნენ. გაუკაცრიელდა აფხაზეთი, ძმარ, გაუკაცრიელდა და დანახშირდა, — ცრემლიანი ხმა უკანკალებდა მოხუცს.

— მითხარი, ბიძაჩემო, ხომ არ იცი, წებელდელებს რა მოუვიდათ? დედაჩემის ძმები ცხოვრობდნენ იქ.

— თქვენი უკეთუო გადმოსახლების სამი წლისთავზე, ისევე დაიწყო მუჰაჯირობა, რამაც თურქეთის სანაპიროზე გარიყა ხალხი წებელდიდან, გუმიდან, აბუაქუდან და მაჩარადან. ჩვენებურები კი, როგორც უკვე მითხარი, იანიჩრებმა ძალით გარეკეს, წყუელიმც იყვნენ. გაუკაცრიელდა აფსნი. მიწა დარჩა შხოლოდ, სული კი ზღვის იქით გააძევეს. დანახშირებულ ნასახლარებზე ძაღლები ყბუიან. მე ამბუელად ვარ, გვარად რაცბა, თამიშების ტომისა. მშვიდობით იყავი შვილო.

მოხუცთან ორი ახალგაზრდა მოვიდა, ეტყობა შვილები იყვნენ: ადგომამი შეეშველნენ და ისიც მათი დახმარებით სადღაც წაჩანჩალდა.

თუ რაიმე არ ეშლებოდა, მოხუცის ნათქვამის მიხედვით წებელდელები სწორედ იმ წელს გადასახლებულან თურქეთში, მე რომ ციხეში ამოვყავი თავი. დედაჩემს შვიდი ძმა ჰყავდა და ჩემი ვარაუდით ერთ ადგილზე თუ არ დავიწყებდი ტყეპნას, რომელიმე მათგანს მაინც გადავეყრებოდი სადმე.

იმ ღამეს ისევ დამესიზმრა მთები, გაზაფხულის წყალდიდობა ბზიფის ხეობაში; თითქოს ათას დაფდაფს უკრავნო, ისე გრგვი-

ნავდა მდინარე, მაგრამ მის გაცოფებულ ღრიალსა და ქეხილზე ჩემი ხელით მოკლული ცხენის ჭიხვინიცი მესმოდა. ივლაჩქებოდა ცეცხლი უბიხების თავკაცთა სახლის სახურავზე და გმირების სახეებს ამელავნებდა. ყველაზე ხშირად აქმეთის სახე ისახებოდა. ბარაკაის ძე გვევდრებოდა: სამშობლოს ნუ მიატოვებთო...

ჩრეულ-ჩრეული კავკასიელი ვაჟაკები სულთნის საბრძანებელში რომ მოხვდნენ, ასკერებადა და პირად მცველებს ვაჟაკებს მათრახით ნაწვენევი მწარე გამოცდილება ბევრის გვედროა, ტყილი ფახლავათი კი — ცოტასი. ერთნი შეაშინა, მეორენი კი მოატყუა. ნოყიერი მიწებითა და მფარველობით მოისყიდა. აფხაზეთში თავადებსა და გლეხებს შორის ოდითგან არსებული ნათესაობა თურქეთის მთავრობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ისეთები, როგორც შარდინია, ალოუს ძე, პატივით მიიღეს; მიწაც უწყალობეს და არც წოდების მინიჭებაზე გამოუჩენიათ სიძუნწე. თავადებს ბარაკაიანად მიუზომეს ადგილ-მამულები, მათ ქვეშევრდომებს კი ნაფორტივით მიუგდეს თავშლისხელა პოსტნები. ჰოდა, ხეირიც ნახეს: გლეხის ბიჭები არმიში გაიწვიეს და ალაჰის სახელით პირდაპირ ომში უკრეს თავი. მერე რა ბიჭები, სულ ერთმანეთზე უკეთესები. ისე კი ვისაც ნალველი და დარდი უნდა გაიქარვოს, ბრძალაზე უკეთესი საშუალება არ არსებობს. ჩამდენი დაპრუნდა იმ ომიდან დასახიჩრებული და ხეიბარი, ეს მე და ღმერთმა ვიცით. არ ვიცი, შვილო, გაგიგია კაც მანის ამბავი? თქვენი ფესვისა იყო — აფხაზი. თავის დროზე ცოტა სამსახური როდი გაუწია ამ კავკასიელმა მეფეს, რისთვისაც გენერლის ჩინიც მიიღო. მაგრამ მას შემდეგ, რაც უბიხები თურქეთში გადმოსახლდით, როგორც იტყვიან, მისი მზეც ჩაესვენა: მოკვდა ნაცადი მეომარი. მისი ერთი შვილი მამის გზით წავიდა და რუსეთის არმიის ოფიცერი გახდა. გენერლის მეორე ნაშიერი ქამლათი, აფხაზეთში თავადობა რომ გააუქმეს და ბატონყმობაც ზედ მიაყოლეს, რუსეთის მმართველობას არ დაემორჩილა და მთელი ოჯახით თურქეთს გადასახლდა. ოსმანები თავიანთი მტრის მოძულეს პატივისცემით შეხვდნენ: სტამბულის ცენტრში სასახლე მიუჩინეს, პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს და ჯარში გაწვეული აფხაზი მუჰაჯირების მეთაურად დანიშნეს. კარგად მოგეხსენება, ჯარისკაცებს მუქთად არაფერს აქმევინ. ჰოდა, ქამლათიც, თავისი ჯარით მეზობელ არაბეთის ქვეყანა-

ში გააგზავნეს, ვისი იმამიც თავნებობდა და პატივმოყვარე თურქებს ეურჩებოდა.

ბევრმა აფხაზმა წააგო ამ ბრძოლაში თავი, მაგრამ იმამის არმა ქაშალთმა გაანადგურა. თვითონ იმამი კი ტყვედ ჩაიგდო. არაბეთიდან დაბრუნებული გმირი პირდაპირ ქორწილში მოხვდა. მის მზეთუნახავ ასულს ნაფიზას ცოლად ირთავდა თურქეთის ტახტის მემკვიდრე აბდულ-ჰამიდი. ქორწილი გადაიხადეს თუ არა, ახალი სიხარული ეწვიათ, ქაშალთ მანანის სიძე სულთანი გახდა. მკაცრი იყო ახალი სულთანი, შეუბრალებელი და დამსახურებულადაც შეერქვა „სისხლიანი“. თვალები შურიანი ჰქონდა და ხელები — ხარბი. სამი რამ არის, დად, ქვეყანაზე საშინო: დანა ბავშვის ხელში, მლიქვნელის ქება და ძალ ეფლება განდიდების მანიით შეპყრობილი კაცის ხელში. აბდულ ჰამიდს თავისი ტარსიკონის ჩემის ქვეშ ესიზმრებოდა კავკასია და გადაწყვიტა ეს მაცოფნებელი სიზმარი აეცხადებინა. ქაშალთ მანანს პოლკოვნიკის წოდება უბოძა და მუჰაჯირების და თავზეხელაღებული თურქებისაგან შემდგარ ჯარს დაუყენა მეთაურად. გეზი აფხაზეთისაკენ ჰქონდათ აღებული. სანამ გემებში ჩასხდებოდნენ, ქაშალთ მანამა გზა დაულოცა მეომრებს:

— ჩემო ძმანო, ჩვენმა საათმა დაჰკრა! ალაჰის ნაცვალმა დედამიწაზე, ოტომანის იმპერიის დიდმა სულთანმა დახმარების ხელი გამოგვიწოდა, რათა მშობლიური მიწა გიაურებისაგან გავანთავისუფლოთ. როგორც კი მშობლიური აფხაზეთის მიწაზე დავდგამთ ფეხს, ყველა აფხაზი, ვინც თეთრი მეფის მპყრობელობის ქვეშ ეწამება, აჯანყდება და ჩვენ შემოგვიერთდება, გავანთავისუფლებთ აფსნს! წინ, ჰაზავათის დროშით! ფადიშახინ ბინ იაშა!<sup>1</sup>

შეიარაღებულებმა შავი ზღვა გადალახეს და სოხუმის ციხე-სიზაგრესთან გადასხდნენ. ქაშალთ მანანი ჩქარობდა. მთელ აფხაზეთს მოედნენ მისი მაცნეები და გაერთიანებისკენ მოუწოდებდნენ ხალხს.

— ვისაც თავისუფლება სწადია, ქაშალთ მანანის ჯარს შეუერთდეს — აფხაზეთის გადამრჩენლის მებრძოლებს. ის წაგიძღვებათ ენგურისაკენ გიაურების გასანადგურებლად.

მაგრამ ისე არ გამოვიდა, როგორც ქაშალთს ეგონა. რამდე-

<sup>1</sup> გაუმარჯოს ფადიშახს!

ნიმე კაცი თუ აცდინა გზას, თორემ მწყემსები და მხენელ-მთეს-  
ველი გლეხები არ გამოენამაურნენ ფაშას მემამბოხე მოწოდებას.  
რუსეთის ქვეშევრდომობამიღებულ ხალხს გადაწყვეტილების შეც-  
ვლა აღარ უნდოდა. ის კი არადა, მშობლიურ მიწაზე დაადგეს  
თუ არა ფეხი, ქამლათის მომხრეებიც კი მიმოიფანტნენ აქეთ-იქით.  
მუხლი მოიყარეს, მიწას კოცნიდნენ და ჩურჩულებდნენ: „გვაბა-  
ტრე, აფსნი!“ მათმა ნაამბობმა თურქეთში გადატანილ საშინელ გა-  
ჭირებებაზე სხვებიც გამოათხიზლა.

თავისი ერთგული ხალხითა და თურქთა რაზმებით ქამლათ მაანი  
ენგურისკენ დაიძრა. მაგრამ რუსებმა გაანადგურეს იგი. სულთნის  
დაქირავებულმა კარგად იცოდა, რომ ასეთი მარცხის შემდეგ თავი  
არ შერჩებოდა მხრებზე. შერცხვენილი რომ ბრუნდებოდა, ეს  
კიდევ არაფერი; ბევრი მეომარი დაკარგა. ზოგი გაიქცა, ზოგი და-  
ხოცეს, დანარჩენები კი რუსებმა ჩაიდგეს ტყვედ. აი სწორედ მა-  
შინ მოიგონა მან თავის ვადასარჩენად ვერაგული გეგმა. უკან რომ  
იხევდა, მთიან სოფლებს წყავდა და ცრუ ქორებს ავრცელებდა  
რუსების სასტიკ შურისგებაზე. იარაღითა და დაშნებით აიყვანა  
მან თურქეთის გემებზე ათასობით აფხაზი, თითქმის ორჯერ მეტი  
ვიდრე მისი ჯარი იყო, რომელსაც აფხაზეთის დასაპყრობად მიუ-  
ძლოდა წინ. ბევრს ეცადა ქამლათ-ფაშა, მაგრამ მთელი აფხაზეთის  
გარეკვა ვერ მოახერხა, მწყემსები თავის ფარებიანად მთებში და-  
იმაღლნენ. მთელი ოჯახები ტყეებში გაიხიზნენ ან რუსების მხარეც  
გადავიდნენ. და აი, ფერფლიდან კვლავ აღსდგა აფსნი! განა შენი აქ  
მოსვლა ამის საუკეთესო დასტური არ არის? მოდი, გულში ჩაგეკრა  
ჩემი ცხოვრების დაგვიანებულ სიხარულო!

გული მელეოდა ახლობლების უნახაობით. და აი, ერთ ღღესაც  
ავდექი და გზას გაუდდექი. ხელში კვერთხი მიჭირავს და ფეხით  
მივეუყვები გზას ოსმან-ქოისკენ. შორი გზ მღღევს წინ. შემოდ-  
გომის ქარი ქრის და ხანდახან მეჩვენება, რომ კერიის კვამლი მო-  
აქვს ჩემამდე, იმ კერიისა, ზედ დედაჩემი რომ გადახრილა.

გზის კიდებთან მოუვლელი საფლავები მხედებოდა. ვკითხავდი  
ვინმე შემხვედრს ვისი საფლავია-მეთქი და „ჩერქეზისო“ — მა-  
შინვე მპასუხობდა.

მე არ მოთქვამს შენთვის, შარახ, რომ ყველა მუჰაჯირს თურქეთ-  
ში ჩერქეზს ეძახდნენ. ეს ზედმეტი სახელი ღღემდევა შემორჩენილი.

ჩემს ახალგაზრდობაში „ჩერქეზი“ იგივე იყო, რაც ყაჩაღია. ორი თურქი რომ წაიხუებებდა, „აი შენ ჩერქეზო“. ეძახდნენ ერთმანეთს. ჭერ კიდევ სტამბულში გავიგე სულთან აბდულ აზიზის ტანტიდან ჩამოგდების სისხლიანი ისტორია. ისიც გავიგე, რა როლი შეასრულა ამ ამბავში შარდინმა, ალოუს ძემ, მაგრამ ამაზე შემდეგ ვიამბობ.

აი დაბალ ბორცვებში შეყუყუელი ოსმან-ქოიცი. შუაღამე კადასული იყო. ქროდა შემოდგომის ნესტიანი ქარი და წვრილად თოვდა. ისმოდა ძაღლების ყეფა. მე წმინდა ბითხას წინ ამართულ ბორცვზე გავჩერდი, გარშემო ყველაფერი ეკალბარდს დაკეთარა. ერთადერთი რცხილაც მოეჭრათ. მის ადგილას თოვლით დაფარული კუნძილა მოჩანდა.

გულდამძიმებული შევედი სოფელში და პირველი, რაც თვალში მომხვდა, აბხუბას ნასახლარი იყო. ჭიშკარი ისევ ძველ ადგილას იყო, სახლი კი აღარ ჩანდა. კარმიდამო გადაეხნათ, და კიდევებში თამბაქოს დამპალი ძირები ეყარა. თვალთ დამიბნელდა, თითქოს შავი ნაბადი ჩამომაცვესო თავზე. ფეხები ძლივს მივთარიე სახლამდე, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. ჩენი სახლი ხელუხლებლად იდგა. ესაა, რომ ცოტა შეძველებული და ოდნავ დაწეული იყო. აიკანზე ბავშვები თამაშობდნენ, სიცივეს არ დაგიღვედნენ. ჰაერი შევიყნოსე და სუნით მივხვდი: აქ ახლა სხვა ოჯახი ცხოვრობდა. ღიღმა ბებერმა ძაღლმა მოირბინა, უნდა დაეღრინა, მაგრამ თითქოს დაფიქრდაო და შორიახლოს ჩაეუცქადა. სიცივე თანდათან უჭერდა. გზაზე გავედი და გრდემლის წკრიალი მომესმა. ჰო, ეს ალბათ მჭედელი დაუთი ურტყამს ასე გულმოდგინედ — გავიფიქრე და საშველოსკენ გავემართე. ორკარედი ნახევრად ღია იყო და შორიდანვე დაეინახე კაცი, რომელსაც ცალი ფეხი ხისა ჰქონდა. გრდემლს უროს სცემდა და ყოველ დარტყმისას სკის ნაყარივით ჩიალებდა ჩინჩხლები. მჭედელს თავზე ყაბალახი ჰქონდა მოხვეული. მე კარს მივეუახლოვდი.

— შემოდი, ცეცხლთან გათბი. მაგრად მოუჭირა ყინვამ! — ისე მითხრა, არც კი შემოუხედავს.

ყელში მოწოლილ ცრემლებს ვძლფე.

— გამარჯობა, დურსუნ!

გრდემლზე დასარტყამი ურო თითქოს ჰაერში გაიყინა. დურსუნი სწრაფად შემოტრიალდა.

— ზაურყან, ღმერთო ჩემო, ზაურყან, — და ხის ფეხის კაკუნით ჩემსკენ წამოვიდა. ერთმანეთს გადაეხვიეთ. გაბურძენულ ლოყებს ცრემლი გვისველებდა. რკინის წითელი ნატეხი გრდემლზე ჩაშავდა, ღურსუნი კი ნაზად მითათუნებდა ღონიერ ხელს მხარზე, ცრემლის არ რცხვენოდა და ილიმებოდა.

— ციდან ხომ არ ჩამოხვედი, ზაურყან, ჩემო საყვარელო ძმავო? მშობლებს თავმოკვეთილი ეგონე და გამოვიტირეს, შენ კი ცოცხალი ყოფილხარ. მითხარი, მითხარი რაიმე, ხმა ამოიღე: დააჯერე ცალფეხა ღურსუნი, რომ ეს სიზმარი კი არა, ცხადია.

ღურსუნმა სახე ჩემს მეგრდში ჩამალა. მე კი თითქოს ყელზე შემოჭერილი თოკი მოვიხსენი და ვკითხე:

— ფეხი ომში დაკარგე?

— ტუნისის უღაბნოში დავუტოვე მშიერ მგელს. როგორც იქნა მოვალწიე აქამდე კოჭლობით და მალე მამაც დავმარხე. ახლა მარტოღმარტო ვტრიალებ ცალ ფეხზე.

— დიდსულოვანი კაცი იყო მამაშენი, მის სიკეთეს სიკვდილამდე არ დავივიწყებ.

მამამ დიდხანს სიცოცხლე გვისურვა. — დაე, დღევანდელი დღე მომავალი დიდი სიხარულის საწინდარი იყოს.

— ნუ მაწვალებ, ღურსუნ; მითხარი, ჩემებს რა მოუვიდათ?

— სელიმ-ფაშა რომ მოგიქლავს იზმიდში, მატა უნებელი დაბრუნებულა შინ. როგორც მამაჩემმა მითხრა, ჰამირზა, მატა და დედაშენი სადღაც წასულან. მის მერე მათი ამბავი არ გამიგია, ზაურყან. უბიხების აქედან გადასახლებაში კი შენ არავითარი ბრალი არ მიგიძღვის. ეს შარდინს, ალოუს ძეს ადევს ცოდვად, ამაზე მერე გაიმბობ, ახლა კი ნამგზავრი ხარ და წაიხეძსე.

სუფრას მიუჯექვით. ზედ თევზი, შუაზე გადატეხილი მჭადი და დაჭრილი ხახვი იდო. ცეცხლზე სპილენძის ყავადანი იდგა. გარეთ ჩამობნელებდა. თოვდა და ჭოტივით გაკვიოდა ქარი. ჭრაქის ფითილი ბეუტავდა და ღურსუნმა რამდენჯერმე მოაცილა ჭვარტლი. მკრთალი შუქი ანათებდა ჩვენს ღარიბულ სუფრას.

— მაპატიე, ზაურყან, ასეთი ღარიბული ტრაპეზი რომ გვაქვს. — რომ მცოდნოდა მოხვიდოდნი... მეზობლებისაგან კი ვერაფერს ისეხებ, ახალმოსახლეები არიან. შენნაირ სტუმარს ისეთი დაზვედრა უნდა, ჩემი პაპები რომ ხედებოდნენ ხოლმე სანატრელ სტუმარს საქართველოში. ხარი უნდა დამეკლა და ქვევრი მომეხადა, — ღურ-

„უხმა ხელები გაშალა — აი ამხელა ქვევრი. მეგობრები უნდა მომეპატოებინა საქეიფოდ. გვესვა, გვექამა, გვემღერა, ცეკვა-თამაში უნდა გვქონოდა მთელ კვირას, მაგრამ, — ღურსუნმა მწარედ ამოიოხრა, — სად არის მშვენიერი საქართველო და სად ჩვენ.“

— სიტყვა ისე ჰტარაა, ენის წვერზე ეტევა, ყველას გულს კი იპყრობს. მე ასეთ გემრიელ სუფრასთან რა ხანია აღარ ვმჯდარვარ.

ქარმა ღრუბლები მიმოფანტა. თოვლი ჰყავად იქცა. ცაზე მრმწანო ვარსკვლავები ციმციმებდა. ღურსუნმა შეშა შეუმატა ცეცხლს და კედელზე ყვითელი ლაქები აცეკვდა. ცეცხლთან მივწყვეით. ძილი მომერია. და ქუთუთოები დამიძიმდა...

გუშინ დაგპირდი. შვილო, დაწვრილებით მოგიყვები, რა ჩიბინა-მეთქი შარდინმა, როგორც სანდლის ხე არ არის წანაზარდების გარეშე, არც ხალხია. ერთი მახინჯი მაინც რომ არ ერიოს. თქვენ, აფხაზებს მაან ქანლათი გყავთ ასეთი, ჩვენ კი, უბიხებს, — შარდინი, ალოუს ძე. ამბობენ, ჯიშინი ხეები ღმერთთან მივიდნენ, ნაჯახზე საჩივრითო. ღმერთმა კი ასე მიუგო: „ისიც თქვენი ჯიშინია, ტარი ხომ ხისა აქვსო“.

აბდულ აზიზის ცოლისძმა თურქეთის დივანის გავლენიანი პირი კახლდათ. ძალაუფლება თვითდაჯერებას ბადებს. ხან სიტყვით და ხან საქმით დღითიდღე იმრავლებდა შარდინი, ალოუს ძე მტრებს. პირში უღიმოდნენ, ზურგს უკან კი მიწაში დებდნენ. თავის თანამემამულეებზე უბრალო ფიქრითაც კი არ იწუხებდა ზავს: ოსმანქოი მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდა, გლეხებისაგან გადასახადების წაგლეჯვის დრო რომ მოვიდოდა. ჩინოვნიკებთან და მოხელეებთან საქმეებს აკვარახჭინებდა, რისთვისაც სინდისის ქენჯნის გარეშე იღებდა ქრთამებს. ისე გამდიდრდა, ათი ფაშაც ვეღარ გაუტოლდებოდა. ისეთ გარყვნილების მორევში გადაეშვა, თვით ჰარამხანის მფლობელებიც კი გაცეცხლებული იყვნენ. მამბეზღარობდა, ერთმანეთზე აქეზებდა და მამლებივით აჩხუბებდა კარისკაცებს. ეშინოდათ კიდევ მისი და ეზიზღებოდათ კიდევაც. თვით დიდი ვეზირი — ბებერი მეფა საბაბს ეძებდა. სატახტო ქალაქიდან სადმე შორს რომ გაეგზავნა და თავიდან მოეშორებინა. ისიც კი მოახერხა, რომ სულთანს წარჩინებული უბიხისთვის ფაშის წოდება აბოძებინა, რათა ოცნება აესრულებინა და ჯარში გაემწესებინათ,



მაგრამ შანდა იცავდა ძმის ინტერესებს და დიდი ვეზირის მანევრებმა ამაოდ ჩაიარა.

ან შარდინს როგორ უნდა შეეკავებინა თავი ცდუნებისაგან, როცა თვით სულთანი ფლანგავდა სიცოცხლეს დოღებსა და სასიყვარულო პაემნებში, ქეიფსა და ნადირობაში. თაყვანისცემით, მდიდრული საჩუქრებითა და ნაირ-ნაირი ლამაზმანებით მოთენთილა სულთანი ერთ მშვენიერ დღეს ისე ჩამოაგდეს ტახტიდან, ერთი ტყვეიაც კი არ გაუსროლიაო. შორეულ მამულში გამოამწყვდიეს და მალე დაქირავებული მკვლელის ხელით სიცოცხლეს გამოასალმეს: აბდულ აზიზის ტახტიდან ჩამოგდებამ, შარდინის, ალოუს ძის წინააღმდეგ გააერთიანა კარისკაცები. ერთმანეთისადმი ყოველგვარი შუღლი, მეტოქეობა, მტრობა დაივიწყეს და ერთად შემჭიდროდნენ სულთნის ცოლისძმის სიძულვილით აღგზნებულნი. შარდინი შეიპყრეს, გაასამართლეს და შეაჩვენეს. მთელი მისი ქონება სტამბულში და მიწები ოსმან-ქოიში ჩამოართვეს და სახელმწიფოს გადასცეს.

ახალი სულთანი მურატი ავადმყოფი, ნახევრად სულელი უნებისყოფო კაცი იყო და სახელმწიფოს დიდი ვეზირი და ზედმიწევნით წარჩინებული ფაშები განაგებდნენ მისი სახელით. ქვეყანა შართლაც რომ ბორბალს ჰგავს. დღეს თავზე ხარ მოქცეული, მაგრამ აი, გიმტყუნებს ბედი და უკვე ქვეშ მოყვები მტვერივით. ის, ვინც გუშინ ცახცახებდა შარდინის, ალოუს ძის შიშით, დღეს თვალელებში აფურთხებდა და ძაღლს ეძახდა. ციხეში გამომწყვდეულა ყოფილი მთავარი მიხვდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, თავს მოერია, ბრაზი დაიოკა და შურის საძიებლად ხელსაყრელად დროს დაელოდა. დიდი ვეზირის სახელზე თხოვნა გაავზავნა, სადაც სურვილს გამოთქვამდა, რიგით ჯარისკაცად გაევზავნათ ომში.

„ეს კი დასაშვებია, — გადაწყვიტა დიდმა ვეზირმა, — იქ უღირსს სხვები თუ არა, შენინანებივე ავიგებენ ანდერძს“.

და აი, შარდინი, ალოუს ძე, უბრალო ასკერის ტანსაცმელში გამოწყობილი, ციხიდან გამოვიდა. დღემდე საიდუმლოდ რჩება, თავისი მოფიქრებული შურისძიებით მოქმედებდა ყოფილი პატიმარი თუ დაქირავებული მკვლელივით გამოიყენეს ტახტიდან ჩამოგდებულ სულთნის მომხრეებმა.

შუალამე გადასული იყო, როცა სტამბულის ცენტრში ტაუშანტაში მინისტრ-მინდატ-ფაშას სასახლის წინ შარდინი, ალოუს ძე

კამოჩნდა. მან წინასწარ იცოდა, რომ ამ დროისათვის აქ უნდა ყოფილიყო სერასკირი ჰუსენი ავნი-ფაშა და ოთხი მინისტრი საიდუმლო მოლაპარაკებისათვის. შარდინს, ალოუს ძეს ლაბადის ქვეშ ორი ნაგანი და ხანჯალი ეყიდა. არ ვიცი პაროლი იცოდა, დად, და არ ვიცი — საიდუმლო შესასვლელი. ეს კია, რომ უბიხი თავადი სწორედ იმ ოთახში აღმოჩნდა, სადაც სამხედროები თათბირობდნენ. პირველი გასროლისთანავე შარდინმა, ალოუს ძემ უსულოდ დასცა საეარძელში ფეხზე წამომდგარი სერასკირი. მეორე ტყვიამ კაპიტან აშმეთ კაისარლის გაუხვრიტა შუბლი. რაიტ-ფაშას კი ხანჯალი ჩასცა შარდინმა, ალოუს ძემ. შარდინი ფარეხში შევარდნილ მგელს ჰგავდა, თუმცა, დახოცილებიც მგლის ჯიშისანი იყვნენ. ორმა კაცმა მაგიდის ქვეშ შეძვრობა მოასწრო. მცველები არ დაიბნენ და მესამე გასროლა ვეღარ მოახერხა შარდინმა, ალოუს ძემ, მცველებმა ხიშტებზე წამოაგეს.

სამხედრო მინისტრისა და მისი დაახლოებული პირების მკვლელობის ამბავმა ქვეყანა შეაძრწუნა. ძმის სიკვდილი რომ გაიგო, შანდამ თავი მოიწამლა, რაკი მაშინვე იყნოსა, რასაც უქაღდა ყოველივე ეს. დაიწყო გამოძიება, კარგად მოგეხსენება, როცა მოპასუხე მკედარია, სხვის მოკლულ ძალსაც მას დააბრალებენ. ვილაცის წამება და ვილაცის შეწყალება, ვილაცის დაცემა და ვილაცის დაწინაურება; მოუყარეს ყველაფერს თავი. ერთმა კენჭი დადო, მეორემ — ტვირთი მოიტანა. მესამემ არ იძუნწა და მთელი ქალაქის მექორეები დაიჭირავა და ცოდვების გორა გაჩნდა, აიღეს და ყველაფერი შარდინს, ალოუს ძეს დაატეხეს თავზე.

ის არაკაცი, სელიმ-ფაშაც გაიხსენეს. არაკაცი ჩემთვისაა, თორემ სხვებმა ლამის წმინდანად აღიარონ. „ო, რა ღირსეული ადამიანი იყო. მერედა რა ჰკვიანი. ასეთებს სანთლით ვერ იპოვნი, ისიც უბიხის ხელით ჩავიდა სამარეში“.

ზღვის ღელვას ქარი იწვევს, ხალხისას — ყურმოკრული ამბები. „აბა, გაიხსენეთ, ვინ მოკლა სელიმ-ფაშა?“ — „ვილაც ჩერქეზმა ზაურყან-ზოლაქმა!“ — „ვილაც ჩერქეზმაო? ვილაც კი არა, ის შარდინის ძუძუმტის შვილი იყო და სელიმ-ფაშაც შარდინის, ალოუს ძის დავალებით იყო მოკლული. მერე მთელი მისი პარამხანის ქალები თვითონ წაიყვანა ხასებად“.

მართლაც თოფის არ უნდა გეშინოდეს ისე, როგორც ჭორის. იბიც გაიხსენეს, რომ სიკვდილი მქონდა მისჯილი და განაჩენის სისრულეში მოყვანა კი ჭიანურდებოდა.

„შარდინი, ალოუს ძე რომ არა, აბა ვინ დაიხსნიდა ზაურყან ზოლაკს ჭალათისაგან?“ „იმ ზაურყან ზოლაკის ციხიდან გაქცევაც შარდინის მოწყობილია. რა თქმა უნდა, ერთი ჯურისანი არიან!“ — „საინტერესოა, სად იმალება სელიმ-ფაშას შველელი?“ — „ვინ იცის, კამდენი კაცი მოკლა, რაც ციხიდან გაიქცა?“

მითქმა-მოთქმა ქვეყანას ანგრევს და აი, თურქეთის პოლიციამ ბრძანება მიიღო, მოეძებნათ ზაურყან ზოლაკი! სად არ მეძებდნენ, რომელ ქალაქსა და სოფელში, მაგრამ იმ დროს მე, ქერიმ ეფენდის ქარავანში ვიყავი უმისამართო საპარაში. და აი, ყველაზე საშინელო რამ მოხდა, სელიმ-ფაშასა და სერასკირის სიკვდილი მთელ უბიხ ბალხს აზღვევინეს. გამიგონია ასეთი რამ წინათაც მომხდარა ცისქვეშეთში.

„ვინ არიან ეს ჩერქეზები, თუ როგორც თქვენ უწოდებთ უბიხები?“ — „როგორც ამბობენ, ყველანი ყაჩაღები ყოფილან. წესიერები რომ ყოფილიყვნენ, არც რუსეთის მთავრობა აუკრავდათ გულა-ნაბადს“. — „ისლამის რჯული კი მიიღეს, მაგრამ მუსულმანებს არაფერი შემატებიათ ამით“. „კუდადაც არ მოწყობილან, მაგალითად, ოსმან-ქოიში“. — „მერე თქვენ იცით, რომ ოსმან-ქოი შარდინის, ალოუს ძის დამქაშების ბუდეა?“ — „მთავრობამ ყველა მუჰაჯირი ქვეყნის განაპირას უნდა გაასახლოს“, — „ყველას ერთად გადასახლება არ შეიძლება, საშიშია, სხვადასხვა ადგილას გადასახლება ვაცილებით საიმედოა. ზოგი დაიხოცება, ზოგი კიდევ თავის ენასა და ზნე-ჩვეულებას დაივიწყებს და ჩვენს გლეხებს შეერევა“.

ფაშები დავობდნენ, უბიხები კი განტყეების ვაცად იქცნენ. დააცალკევებს და ბადრაგის თანხლებით ვინ იცის, სად გარეკვს. რაც ზურგზე აიკიდეს, ის იყო და ის, სხვა რამის წაღების ნება არ დართეს, როცა მუჰაჯირები თურქეთისკენ მოდიოდნენ, რალაც იმედი მაინც გააჩნდათ. ახლა კი ცხენოსანი ასკერების ჩრდილებთან ერთად მხოლოდ უიმედობაღა სდევდათ თან.

ყველაფერი ეს მაშინ მოხდა, მე რომ აფრიკაში დავეხეტებოდი.

წუხელ ერთმანეთს რომ დავშორდით, ზაურყანი ისე დაღლილი იყო, რომ დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მეშინოდა კიდევ. მაგრამ დღეს ჩვეულებრივზე უფრო ადრე ადგა. ის კი არადა, თავის შავ ძალს რომ მოუხმო სტვენით და აქაშა, კიდევ დიდხანს

იღვა ეზოში, ეფერებოდა ძალს; ხან ზურგზე უსვამდა ხელს, ხან აიძულებდა, ამხტარიყო, ხან კიდევ ადამიანივით ელაპარაკებოდა, — ეს ბუზები რომ არა, აქეთ-იქით რომ გატრიალებენ, ალბათ, მოწყყენილობისაგან მოკვდებოდი, შე საწყალო! აბა, გეყოფა, ახლა მომშორდი. შე საცოდავო, თეთრი ფერის მაინც გაჩენილიყავი, იქნებ ღამეშიც დამენახე ამ ჩაბნელებულ სოროში, ჩემმა ბედმა რომ შემადლო.

ძალი წკმუტუნებდა და ფეხებზე ეტმასნებოდა პატრონს. აღარ შორდებოდა, თითქოს უხაროდა მისი დღევანდელი ენაწყლიანობა.

„სხვა დროს საკმელს მიუგდებდა თუ არა, ყვირილით იშორებდა თავიდან. დღეს ეტყობა, დილიდანვე კარგ ხასიათზეა მოხუცი“. — გავიფიქრე მე.

საუბმის შემდეგ სასაუბროდ რომ დავეჭვით, ჩემი ვარაუდი გამართლდა; ზაურყანი მართლაც კარგ ხასიათზე იყო. ხშირად ურთავდა თავის ნაღვლიან ამბავს ანდაზებსა და ხუმრობებს. თვითონაც იცინოდა და მეც მაყინებდა.

მისმა კარგმა ხასიათმა გამაბედვინა და როგორც იქნა ვკითხე: რისი ვაგებაც დიდი ხანია მინდოდა და ვერ ვახერხებდი:

— ამ ხნის განმავლობაში ქალები არ შეგხვედრიათ?

— როგორ არა, — მიპასუხა მან, — მე ხომ ვიამბე იმ ქალზე, რომელიც მიყვარდა, მაგრამ ორივეს ზურგი შეგვაქცია ბედმა. იმის მერე აღარავინ მყვარებია. ისე კი, რა თქმა უნდა, იყვნენ ქალები... რაზე ვიამბო? რაც იცი, თუ რაც არ იცი? თვითონ თუ არაფერი იცი ქალებზე, მაშინ მე ვიამბობ. თუ იცი და, გამეორება რაღად გინდა?

შემეშინდა, ჩემმა შეკითხვამ არ გააბრაზოს-მეთქი ჩემზე სამჯერ უფროსი კაცი. მაგრამ ზაურყანი ჩემს ცნობისმოყვარეობას ჩვეულებრივად შეხვდა. გაიხუმრა მხოლოდ, ეს იყო და ეს.

მისი დაძარღვული დიდრონი ხელები, ბებერი კაკლის ხის მიწიდან ამოშვერილ ფესვებს რომ ჩამოჰკაედა, მშვიდად განისვენებდა მუხლებზე. შემდეგ ჩაფიქრებულმა თითებით წვერს დაუწყყო წვალეობა; რამდენჯერმე ჩამოუსვა ხელი და ჩემი შეკითხვით შეწყვეტილი თხრობა განაგრძო:

გაზაფხულამდე მჭედელ დურსუნთან ვცხოვრობდი, მაგრამ პურს მუქთად არ ვჭამდი. შეშას ვეზიდებოდი ტყიდან, კერიახე

ცეცხლს არ ვაქრობდი, საქმელს ვამზადებდი, ვრეცხავდი კიდეც და ტანსაცმელსაც ვაკერებდი. არც ერთი საქმიანობა არ არის სათა-  
კილო, გინდ კაცის იყოს და გინდ ქალის. მჭედლის ხელობასაც შე-  
ვეჩვიე, ღურსუნის შეგირდი გაეხდი. ისე გამოვქვედავდი წალდს,  
ნაჯახსა თუ ბარს, რომ თვით ღურსუნიც კი მიქებდა ნახელავს.  
ახალგაზრდა ვიყავი და თანაც ჯან-ლონიანი, გაჯიუტებულ ცხენ-  
საც კი წამოვაქცევდი მიწაზე და ოთხივე ფეხს დავუქვედავდი. ღურ-  
სუნს უხაროდა ჩემი სიმარჯვე.

— სულთნის ყურამდე რომ მიაღწიოს შენმა ამბავმა, სასახლის  
კარის მჭედლობა არ აჯცდება და არაბული ბედაურის დაქედვა  
მოგიწევს.

როცა სამჭედლოში სამუშაო არ იყო, სოფელ-სოფელ დავდიო-  
დი: ვის შეშას ვუჩეხავდი, ვის საჩინბოსა და ზოსელს ვუწმენ-  
დდი, ვის კიდეც ბალახს ვუთიბავდი. წვერ-ულვაში გავიზარდე,  
რათა ყოველ შემხვედრს არ ვეცნე. ღურსუნის ბიძაშვილი ვარ-  
მეთქი ვამბობდი, ორდიდანა ვარ და თოუფიკი მქვია-მეთქი.

სამჭედლოში ყოველთვის ხალხმრავლობაა. ზოგი საქმისათვისაა  
მოსული, ზოგიც ისე შემოივლის, ზოგ ახალ ამბავს თვითონ იტყვის,  
ზოგს კიდეც სხვისგან გაიგებს. თუმცა ღურსუნი ბიძაშვილსა და  
თოუფიკს მეძახის, ვიცი მოვა დრო, ვილაც მიცნობს და მე რომ  
წამაძლიან თავს, ეს კიდეც არაფერი, დაუთის შვილსაც არ დაად-  
გება კარგი დღე ჩემი შეფარებისთვის. პოლიციის სიაში შეტანი-  
ლი ვარ, როგორც გაქცეული სახელმწიფო დამნაშავე და ბოროტ-  
მოქმედი.

გაზაფხულზე ყველაფერი იღვიძებს, ყველაფერი მზისკენ მიილ-  
ტვის. ყოველ ცოცხალ არსებას ახარებს სითბო და იმედით აღსავ-  
სე სინათლეს ეტანება. დახავსებული ბებერი კუნძიც კი ამო-  
იყრის ხოლმე წვრილ-წვრილ ყლორტებს: ფესვები სიცოცხლეს  
ვბლაუჭება. მე კი ვინა ვარ? ხალხის ფესვებზე ამოხუთქილი ტო-  
ტი ვარ. ჩემი ხალხი კი ოსმან-ქოიდან ამოუძირკვეათ და უნაყოფო  
მიწაზე გადაურგავთ. მე ამ ფესვებზე მოგლეჯილი და წყლიან სუ-  
რაში ჩადებული პატარა ტოტი ვარ.

ჯერ კიდეც ზამთარში, ცეცხლზე მიფიცებულები ვაწყობდით  
ქე და ღურსუნი გეგმებს, როგორ მიმეღწია ჩემიანებამდე უხიფა-  
თოდ. გადაწყდა, რომ ზღვა უფრო საიმედო იყო. მაშინ იზმიდამდე  
ფეხით უნდა მივსულიყავი. იქ ღურსუნის ერთგულ კაცთან გავჩერ-

დებოდი. მერე კი კონტრაბანდისტებს გაეყვებოდი იალქნიანი სანდ-  
ლით მერსინის ნახევარკუნძულისკენ. საზღვაო დაცვის თვალის ასა-  
ხვევად ნახევარკუნძულს გარშემო შემოვუვლიდი და ნავმისად-  
გომში ჩავიდოდი. მერე კი იქვეა... მაგრამ დამხრჩვალავით მწყა-  
ლობდა ბედი.

იზმილში შიმშილის მოსაკლავად სასაუზმეში შევედი. იქ ჩემნა-  
ირი ლატაკები დადიოდნენ. ჩაბნელებულ კუთხეში მივჯექი და  
იაფიანი შეჭამანი და ჭიქა ყავა შევუკვთეთ. წავიხემსე და მაგი-  
დებს შორის გასასვლელისკენ გავემართე. უცბად ვილაც შავგვრე-  
მანის თვალებს შევეფეთე. სახე თითქოს მეცნაურა, შეშფოთებულ-  
მა შეხსიერება მოვიშველიე, მაგრამ ის ვერაფერს მეუბნებოდა.  
გარეთ გამოვედი და ბაზრისკენ მიმავალ ბრბოში გავერიე. ქვეით  
ვგრძნობდი, რომ ვილაც მითვალთვალებდა. ცოტაც და ზურგს უკან  
ჩამამალე ყვრილი გაისმა:

— დაიჭირეთ, დაიჭირეთ! ეს ჩერქეზია! ამან მოკლა სელიმ-  
ფაშა!

მოვიხედე და ის შავგვრემანი დავინახე. ახლა კი ვიცანი: ის  
ერთ-ერთი იმ მსახურთაგანი იყო, ხელები რომ გამიკრეს სასახლის  
ბაღში, შადრევანის ახლოს, როცა იმათი ბატონი უკვე ცისფერი  
აუზის ფსკერზე ეგდო და სისხლიან ბუშტებს უშვებდა პირიდან.  
ხალხი განზე გახტა და სად იყო და სად არა, თითქოს მიწიდან  
ამოძვრნენო, პოლიციელები მეცნენ. უიარაღო კაცის ხელების გა-  
დაგრეხვას, მოგეხსენება, დიდი ამბავი არ უნდა და ერთ წუთში  
გამკოქეს.

## ბრილოვის საგალობელი

ჩემი დაჭერიდან ცოტა ხნის შემდეგ იზმილში სასამართლო შედგა,  
ოვითონ არ ვიცი, რამ შეარბილა მათი გადაწყვეტილება. ეს კია,  
რომ სიკვდილის ნაცვლად სამუდამო პატიმრობა მომისაჯეს.

საპყრობილე, სადაც ჩამსვეს, ძველ ციხესიმაგრეში იყო მო-  
თავსებული, რომელიც მარტოდმარტო და პირქუშად აღმართულ-

იყო მთის მწვერვალზე. ციხეს საში მხრიდან უფსკრული ერთკმოდა გარს. მეოთხე მხარეს რკინის ჭიშკარი ჰქონდა, საიდანაც წვრილი გზა მოდიოდა ქედის თხემისაკენ. საბედნიეროდ ციხის კედლები აგურით კი არა, კლდუვანი ქვებით იყო ნაგები და სიგრძელს გამოსცემდა. ისე კი კედლები ყოველთვის მშრალი იყო. ამ ციხიდან ცოცხალი თითქმის არავინ გამოსულა და ასეც უწოდებდა მას ხალხი: „მოუსავლეთი“.

ჩემი საკანი ერთადგილიანი იყო, მაგრამ თუ მოისურვებდნენ. მეორესაც დაატევდნენ. შუქი პატარა სარკმლიდან შემოდიოდა. უფრო სწორად, სარკმელი კი არა, პატარა ბავშვის თავისხელა ხერელი იყო დატოვებული კედელში კაცის სიმაღლეზე. ხერელის კიდები პატიმრების სახეებით იყო დატკეპნილი და აპრიალებული, ათეული წლობით რომ ეწებებოდნენ ზედ თავისუფლებისა და პაერის მონატრულნი.

პირველ ხანებში დღეებსა და ღამეებს ვანგარიშობდი, შემდეგ კი რიცხვიც ამერია და სათვალავიც. საკნის კედლებს ყურები რომ ჰქონოდათ, ვინ იცის, რამდენ გულისწამლებ ყვირილსა და წყევლა-კრულვას გაიგონებდნენ. ლაპარაკს არ გადავეჩვიო-მეთქი და ვინ იცის, რას არ ვიძახობდი. არც მოლა, არც ზედამხედველი და არც ნათესავი, ისევე ისე ამ ყრუ კედლებს ჰქონდათ მისჯული მომაკვდავის ჩურჩულისა და მისი ამჟარად აუხდენელი უკანასკნელდ სურვილის მოსმენა.

მხოლოდ ერთი რამ მანიჭებდა სიხარულს: სარკმელს აქეთ-იქით ჩაქუცლეთილი ადგილი ჰქონდა. ეს პატიმრების ხელისგული-საგან იყო, ზედ რომ ეკვროდნენ კედელში ჩატანებულ გრილ ხერელს, რათა მზისთვის მოეკრათ თვალი, ეგრძნოთ მისი ცხოველ-მყოფელი სითბო უსისხლო ტუჩებზე და აუჩქარებლად ჩაეწუროთ სუფთა პაერი დასუსტებულ ფილტვებში.

მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ხარბად მეცქირა გარემოსთვის და სანამ თვალები არ მეტკინებოდა, მეთვალთვალა, რა ხდებოდა ჩვენს მოშორებით...

როგორც წესი, ახალგაზრდა ადამიანის მზერას თუკი ის თავისუფალი არის, არ ძალუძს საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვება. ის თითქოს ყველაფერს ზედაპირულად უყურებს; აქ კი საკანში, ახალგაზრდა პატიმრებიც იძენენ უნარს შენიშნონ ისეთი წვრილ-მანიც კი, როგორც მაგალითად ჩიტის გაფრენა, ან კედლის ნა-

პრალში ყვაილის აღმოცენებაა. მე, ისევე როგორც ოდესღაც ჩემი წინამორბედნი, შუბლს მივყარდნობდი ხოლმე უჩარხოო სარკმლის ზედა კიდეს და ასე გამყავდა ღღეები.

ზაფხულის კარგ ამინდში, ნაშუადღევს, როცა მზე მთის მწვერვალის თავზე მოექცეოდა, საკანში მისი სხივები თითქოს თანაგრძნობით შემოიჭყიტავდა და მოპირდაპირე მხარეს, ერთ ქვას მიანათებდა ხოლმე. სანამ სხივი არ გაქრებოდა, მის წინ ვიდექი და ისე მათბობდა, როგორც ცეცხლიდან მონაბერი ჰაერის თბილი ნაკადი. შემდეგ კი მზის ჩასვლას ვაკვირდებოდი. მთის თავზე ცა არწივის სანადიმო ადგილად მეჩვენებოდა, რომელსაც ის-ის იყო ახალი მსხვერპლი გაეგლიჯა.

უძილო ღამეებში ჩანელბეული მწვერვალის თავზე მოციმციმე ვარსკვლავებს ვებასებოდი. ისინი ყოველთვის სხეანაირად ანათებდნენ. ხან კაშკაშებდნენ და ხან ბუტუტავდნენ. ხანდახან მოწყვტილი ვარსკვლავი გადახზავდა უკუნეთს და მაშინ ჩემი წარმოსახვა იმ აღამიანს ხატავდა, ვისაც იმ წუთებში განეშორა სული. „ღიდებული კაცი იყო“, — ნაღვლიანად ვფიქრობდი მე, რადგან მტკიცედ მჯეროდა, რომ ცუდი კაცის სიკვდილს ცა არავის ამცნობდა.

აბოლქვებული ღრუბლების საომარი მოქმედება კი შფოთიანსა და ვაკუატურ ლაშქრობას მაგონებდა, ღრუბლები შიგნიდან დატოტვილი ცეცხლით ნათლებოდა და ერთიანად ბუბუნებდა და გრიოლებდა. ხანდახან ქარიშხალი ქვის ხვრელიდან რამდენიმე წვეთს მომაშხეფებდა და მაშინ ცრემლიანი თვალებით ვლოცულობდი:

— ო, ყოვლისშემძლევ! თუ გასურს დედამიწა გამოაცალო ადამიანთა მოდგმას, თუ გასურს თავს დაატეხო მათ ცით მოვლენილი რისხვა, გვედრები, მხოლოდ აქ ჰქმენი ეს, რომ ეს ციხესიმაგრე და აქაური წამებულნიც და მწამებულნიც უფსკრულში შთაინთქან! მაგრამ უფალს დახშული ჰქონდა სმენა და ჩემი ლოცვა არ ესმოდა. ღმერთს თუ ვინმე დაავიწყდა, საუკუნოდ დავიწყებული იქნება.

დილეგში გამომწყვდევის პირველ ხანებშივე შეენიშნე უფსკრულის მეორე მხარეს მეჩხერი ხეებით გარშემორტყმული ერთადერთი ეზო. ეზოში პატარა, თიხით შელესილი სახლი იდგა. სახლს უკან ბელღლი ჰქონდა მიდგმული, ცოტა მოშორებით კი ბოსელი



მოჩანდა. მალე გავიგე, რომ სახლში ოთხი სულისაგან შემდგარი ოჯახი ცხოვრობდა: კაცი ასე ორმოცი წლის იქნებოდა. ქალებიდან ერთი ახალგაზრდა იყო, მეორე — ხნიერი. ერთი პატარა ბიჭიკ ჰყავდათ. უფროსები გულხელდაკრეფილი არ იყვნენ: ინათებდა თუ არა, მაშინვე იწყებდნენ მუშაობას, ბიჭი კი თავისთვის თამაშობდა.

გავიდა დრო. მე ამ თურქი გლეხის ოჯახის ყველა წვრილმანი ეიცოდი უკვე. თითქოს უჩინრად ვცხოვრობდი მათთან ერთად. ერთ ჰერქვეშ. დილით რომელიმე მათგანი გარეთ თუ არ გამოვიდოდა, ვღელავდი — ნეტა ავად ხომ არ გახდა? გამოვიტყდები, შარახ, იმ ოჯახს უნდა ვუმაძლოდე, იმდენ ხანს რომ გავძელ ქვის ტომარაში გამომწყვდეულმა. თითქოს ის ოჯახი მაწვდიდა სასმელსა და საკმელს, მაშხნეებდა, მარტოობისაგან რომ არ შეეშლილიყავი გრანიტის ხერელიდან ვაკვირდებოდი, მათ ცხოვრებას და მივხვდი, ორივე ქალი ოჯახის უფროსის ცოლები იყვნენ. წინათ, ალბათ, უფრო შეძლებული იყო და ორი ცოლის რჩენაც შეეძლო. ამ თურქული ოჯახის ყველა წევრს უბიხური სახელები დავარქვი. მსგავსი ოჯახი გავიხსენე კავკასიიდან: ოჯახის უფროსი, მისი ცოლი და პატარა ბიჭი. სწორედ იმათი სახელებით მოვნათლე ჩემი ნაცობები უფსკრულის მეორე მხარეს. კაცს შმათი დავარქვი, მის პატარა ბიჭს ნავეი, უფროს ქალს, ხმელხმელსა და შავგვრემანს — შამსია. ახალგაზრდას, მკერდსავსეს — რაფიდა. ის იყო ნავეის დედა.

უბიხებს მრავალცოლიანობა ოდითგანვე გვეკრძალებოდა. ცოლიანი კაცი მეორე ცოლს ველარ მოიყვანდა. ასეთი რამე თუ მოხდებოდა. პირველი ცოლი არასდიდებით არ გაჩერდებოდა ქმართან ერთ ჰერქვეშ, მშობლები ან ძმები წაიყვანდნენ უკან, ქმარს კი ამ შეურაცხყოფისათვის სიკვდილი ემუქრებოდა.

პირველად რომ დავინახე ნავეი, ასე ხუთი წლის თუ იქნებოდა. მკვირცხლი ბიჭი იყო, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა, ხან შავ ძაღლს ეთამაშებოდა ეზოში, ხან წითელ მამალს დასდევდა და ხან ჩეროში იჯდა და წკნელებისა და ქვებისგან რაღაცას ღობავდა და აშენებდა. უფროსები არ ერეოდნენ მის საქმიანობაში. დედამისი წყალზე თუ წავიდოდა, ბიჭი უკან მისდევდა. ყველაზე მეტად დედინაცვლის ეშინოდა. თუ დაეცემოდა, ან ფუტკარი უკბენდა, ღრიალს დაიწყებდა, შავრამ საკმარისი იყო დედინაცვლის ერთი შეყვირება და მაშინვე მოიწმენდა ცრემლებს და ჩუმად სლუკუნებდა.

ერთხელ, კობტად გამოწყობილი, დედამისს წაჰყვა საღლატ. შეიძლება სტუმრად წავიდა ვინმესთან ან ქალაქს გაემგზავრა. თუ დაიჭერებ, დად, ისე მოუთმენლად ველოდი მათ დაბრუნებას, თითქოს რაფიდას ქმარი ვყოფილიყო და ნავეის მამა.

შამსიას ყოველთვის შავები ეცვა და არასოდეს იღინებოდა. ეტყობა უშვილი ქალი იყო და ეს ადარდებდა. როცა შმათმა შინ ახალგაზრდა ცოლი მოიყვანა, მთლად გაუგრძელდა გული ქმრისადმი, მაგრამ უცხოდ მაინც არ თვლიდა თავს ამ ოჯახში, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა ეჩვენებინა, რომ პირველი დიასახლისის უფლებები მას ენიჭებოდა. ამას ადასტურებდა ხმამალალი აყალმაყალი, რაც იშვიათად თუ ატყდებოდა ხოლმე ოჯახში. შმათი განცალკევებით ცხოვრობდა. თითებზე თუ ჩამოითვლი დღეებს, როცა მის ეზოში რაიმე საქმეზე ან ისე საბაასოდ ვინმე შევიდოდა. ისინიც ალბათ მეზობლები იყვნენ მეზობელი სოფლიდან. როგორც დავასკვენი, შმათი ძვირად მოლაპარაკე და დინჯი კაცი იყო. ნელა დადიოდა, არც სამუშაოს ეცემოდა ხოლმე უცბად. მოსაწევად თუ დაქდებოდა, ყოველთვის რალაცაზე ფიქრობდა. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, დილიდან დაღამებამდე მუშაობდა.

მახსოვს, ახალი გაზაფხული იყო, მთის ფერდობები მწვანედ ბიბინებდა. შმათი კი რალაცით დანაღვლიანებული იყო და ხენას არ იწყებდა. გუნებაში ვაგინებდი: რას კარგავ-მეთქი ძვირფას დროს, აქეთ-იქით დადიხარ და მეტი არაფერი. თუ ვერ ხედავ, რომ გუთნის მოკიდების საუკეთესო დროა. თურმე საწყალს ხარები არ ჰყავდა და ელოდებოდა როდის დაამთავრებდნენ სხვები ხენას. გვიან დათესილი სიმინდი კი იშვიათად იძლევა კარგ მოსავალს.

მოახლოვდებოდა თუ არა ზამთარი, შმათი ნაჯახს გალესავდა. ოჯახის წევრებს დაემშვიდობებოდა, მხარზე ხურჩინს გადაიკიდებდა და შინიდან მიდიოდა. წავიდოდა და გაზაფხულამდე აღარ გამოჩნდებოდა. თუ დიდი თოვლი მოვიდოდა, შმათი ერთი ან ორი დღით გამოჩნდებოდა, სახლს გადათოვლავდა, ეზოს გაასუფთავებდა, შემას დაჩეხავდა, ერთადერთ ძროხისთვის საკვებს დაამზადებდა და ისევ წავიდოდა. ჩემი აზრით, საღლატ მთის გადაღმა ხე-ტყეს ამზადებდნენ და შმათიც იქ დადიოდა საშოვარზე.

როცა შმათი ცოლებთან ერთად სიმინდს თოხნიდა თუ თამბაქოს რგავდა, მეც განუყრელად მათთან ვიყავი. ნესტოებს ნახად ელამუნებოდა მიწის სურნელი და სისხლს მიჩქროლებდა ხოლმე თითქოს მავიწყდებოდა კიდეც. ციხეში რომ ვიყავი გამომწყვდელი, საიდანაც გამოსვლა არ მეწერა.

აღმართზე მიმავალი, მძიმედ დატვირთული ურემივით მიიზღაზნებოდა წლები. ჩემი დაპატიმრების დღეს მკერდამდე მოშვებულ წვერში ერთი თეთრი ბეწვიც კი არ მერია, ხოლო როცა ნავეიმ პირის პარსვა დაიწყო, თითქოს ფქვილი შეაყარესო, ისე მქონდა გაჭადარავებული. ციხეში გატარებულ წლებს შმათის ბიჭის ზრდის მიხედვით ვითვლიდი. ნავეი ჩემი კალენდარი იყო...

ლამის დარაჯმა განგაში ატეხა. ისმოდა სტვენა და ყვირილი, ისროლეს კიდევ. ალბათ ვინმე გაიქცა-მეთქი, გავიფიქრე.

დილით კი ფანჯარასთან რომ მივედი, შმათის ეზოში ხალხი დავინახე. მერე მოლაც გამოჩნდა. გული ჩამწყდა, მივხვდი რალაც უბედურება მომხდარიყო. მართლაც, იმ ღამეს რაფიდა მომკვდარიყო, ნავეის ცრემლებს არ რცხვენოდა, დედას დასტიროდა. მასთან რომ ვყოფილიყავი, როგორმე დავამშვიდებდი. ცოლის სიკვდილის მერე შმათი ძალზე მოტყდა. თავჩაქინდრული და ჯოხზე დაყრდნობილი დიდი ხნობით იჯდა ხოლმე ჩეროში. სადილზე ან ვახშამზე რომ დაუძახებდნენ, უხალისოდ წახანხალდებოდა სახლისაკენ.

ერთხელ შმათი და შამსია ეზოში იყვნენ. ჭიშკარში ცხენოსანი შევიდა. მოხუცები წელში მოიხარნენ და მიესალმნენ. ის კი მათრახს იქნევდა და რალაცას ხმამალა ელაპარაკებოდა, ეტყობა, ლანძღავდა. შემდეგ ცხენს მათრახი გადაუჭირა და პირდაპირ მასპინძელს ეცა. შმათი ისედაც ძლივს იდგა ფეხზე და ძირს დაენარცხა. შამსია ატირდა, საშველად უხმობდა ხალხს. მაგრამ ახლომახლო არავინ იყო. „ძალღისშვილო, — მომუშტული - ხელებით ვაწყდებოდი საკნის კედლებს, — ერთი მაგ ეზოში ვიყო და ნახავდი, როგორ დაგიმტვრევდი ძელებს!“ უძლური სიბრაზისაგან კედელს დავუშინე მუშტები. მეხსიერებაში ის შემთხვევა ამომიტივტივდა, ოსმან-ჭოიში შარდინმა, ალოუს ძემ რომ მოუქნია მათრახი მატას. მივაბრძანე კიდევ გარეთ. მივხვდი, რომ ცხენოსანი რომელიღაც ეფენდის მოურავი იყო და რალაც ბეგრის გადახდას თხოულობდა, „საიდან უნდა ჰქონდეს შმათს ფული, როცა რაფიდას სიკვდილის მერე ფეხებს ძლივს დაათრევს“, — ვფიქრობდი მე.

შამსია კარის ზღურბლზე იჯდა და რალაცას კერავდა თუ აკერებდა. იმ დღეს კაცები შინ არ იყვნენ. უცბად ეზოში შემოსული ოთხი უცხო კაცი დავინახე, წინ ნავეი მიუძღოდათ. ყველას შამ-

ხანა ეპირა ხელში. „უყურე შენ, უკვე იარაღი აუღია ბიჭს ხელში“, — გავიოცე მე. რაკი მეკონა. რომ სროლაც არ იცოდა ჭერ.

შამსიამ ყველანი შინ შეიპატიჟა, კაცები დიდხანს არ გამოჩინებულან ეზოში. ეტყობა, ღვთის ბოძებულ საქმელს გეახლებოდნენ. „ვაითუ ეს ოთხი კაცი ყაჩაღების ბანდიდანაა და ნავეიც ჩაიბრახის? — შეეშფოთდი მე. — მაგრამ პატიოსანი გლეხის შვილი ძარცვა-გლეჯას არ იკადრებს. ადამიანის აღსაზრდელად წლებია საქირო, გასაფუჭებლად კი ერთი წამი“, — მეკამათებოდა პირველი ხმა.

სტუმრები ეზოში გამოვიდნენ, მასპინძელს გამოემშვიდობნენ და ქიშკარში კი არ გავიდნენ, ღობეში გაძვრნენ. ნავეი გარეთ იდგა, სანამ ამხანაგები თვალს არ მიეფარნენ. შემდეგ მხარზე შამსიანა გადაკიდებული შინ შევიდა. „რას ნიშნავს ყოველივე ეს?“ — მაწვალებდა ფიქრები. სარკმელს სახეს არ ვაშორებდი, ვცდილობდი, გამეგო, რა ხდებოდა მოპირდაპირე ეზოში. ფეხები დამექანცა. კედელზე ჩაფრენილი ხელები დამიბუყდა, ღობიოს შეჭამანდი, თიხის ჯამით რომ შემოაცურა ზედამხედველმა კარში, გაცივდა. მე კი ისევ არ ვაშორებდი თვალს შმათის სახლს.

და უცბად ისევ ის მხედარი დავინახე, დასუსტებულ შმათს ცხენი რომ ატაკა და ძირს დააგდო. ეზოში შემოვიდა და რალაც ქითხა შამსიას. იქნებ ეკითხებოდა — კაცები სად არიანო, ცხენი შეაბრუნა და მდელოსაკენ გააქენა, სადაც ოჯახის ერთადერთი ზარჩენალი ძროხა ბალახობდა. საჩქაროდ მოხსნა პალოზე გამობმული თოკი, ისევ ცხენს მოახტა და მათრახის ტყლამატყლუშით ძროხა წინ გაიგდო. შამსია ხელებაწვდილი ევედრებოდა, ძროხას ნუ წაშართმევო, მაგრამ ცხენოსანმა ყურცი არ გააპარტყუნა.

ამ დროს სახლიდან ნავეი გამოვარდა შამსიანით ხელში. ჯერ ლულის პირზე კვამლი დავინახე და მერე სროლის ხმაც გავიგონე. ცხენოსანი წაბორძიკდა, თოკს ხელი უშვა და ცხენი გააქენა. ისევ გაისმა სროლის ხმა; ცხენის ფაფარზე გაკრული მხედარი უკან მოუხედავად მიქროდა. ნავეიმ იმავე პალოზე გამოაბა ძროხა და აცრემლებულ დედინაცვალს დაუყვავა და დაამშვიდა. მერე იმავე ხვრელით, საიდანაც მისი მეგობრები გაძვრნენ, მთებშისაკენ გაემართა.

„ყოჩაღ შვილო, მარჯვედ დახვდი მომხვედურს, ნამდვილი ვაჟ-კაცი ყოფილხარ!“ მიხაროდა და ხმამალლა ვაქებდი ნავეის. მეც, როგორც გალიაში მომწყყდეულმა ბებერმა არწივმა, ოცნებაში

ფრთები გავშალე და თავისუფლად განავარდების წყურვილი ვიგრძენი. ოჲ, ერთხელ მაინც რომ ავჭრილიყავ ცაში... აი, როგორ აღანთებს ზოლმე ადამიანის ჩაფერფლილ სულს სიმამაცის მაგალითი. აი, რა ძალა აქვს თავისუფლებასკენ მაკქერალ ჭუჭრუტანას.

ახლა ნავეი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა სახლში. მამასა და დედინაცვალს მოინახულებდა და მაშინვე საქმეს ჰკადებდა ხელს, დაამთავრებდა და სწრაფად ბრუნდებოდა უკან. სიმინდს თოხნიდა, შეშას ჩეხავდა თუ ბოსელს ასუფთავებდა, გვერდით მუდამ შაშხანა ედო. არც ისე დიდი ხნის წინათ კენჭებისა და წყირებისაგან სათამაშო ნაგებობებს აშენებდა ეს ბიჭი, ახლა კი მოხდენილი და ტანადი ჭაბუკი მზად იყო იარაღით დაეცვა მამის სახლი, მამის მიწდორი და საკუთარი ღირსება.

ზოგჯერ ნავეი ამხანაგებთან ერთად მოდიოდა. ისინი ყოჩაღი ბიჭები ჩანდნენ. ვუყურებდი და ვტყებოდი, ამ ჭაბუკებმა გამიღვიძეს იმედი. ჩემი წარმოსახვა უფრო ხშირ-ხშირად ხატავდა 'ერთსა და იმავე სურათს: ჭაბუკების რაზმი ნავეის მეთაურობით ცისის მცველებს ესხმის თავს, ჟლეტს მათ და ფართოდ აღებს ციხის კარებს.

„აბა, გამოდით! — ისმის ნავეის ხმა, — გაუმარჯოს თავისუფლებას!“ დილეგის ზღურბლს ვაბიჯებ და ნავეის ეხვევი. ძალიან ჰგავს ჩემს ძმას, უგზოუკვლოდ რომ დაშეკარგა. ო, რა ტუბილია იმედი, თანაც არსად ისე არ ესალბუნება იგი გულს, როგორც ციხეში.

ჩემთვის რომ ეთქვა ნავეის: აილე იარაღი და ჩვენთან წამოდი, ჩვენ ერთი მტერი გვეყავსო. — არც კი დაფიქრდებოდი, ისე წაუვიდოდი საბრძოლველად მისი მეთაურობით. თუნდაც მცოდნოდა, რომ მტრის პირველივე ტყვია გამიხვრეტდა გულს.

ზომ გაგიგონია ანდანა, ძვირფასო შარახ: „წყალწალეული ხავსს ეჭიდებოდაო“, ნამდვილად ასეა.

თვეში ერთხელ პატიმრები სასეირნოდ გავყავდით, მაგრამ გადალაპარაკებას გვიკრძალავდნენ. თუ ვინმე გაბედავდა ხმის ამოღებას, მეორე გასეირნების უფლებას დაეკარგავდა. ერთი პირობა დამლამობით, სამარისებური სიჩუმი რომ ჩამოვარდებოდა. შესმოდა როგორ მძიმედ ოხრავდა მეზობელ საკანში მისი უვადო მდგმური. გულამოგლეჯილი ახველებდა და ხმამაღლა კვნესოდა.

შემდეგში ყურსაც კი ვადებდი კედელს, მაგრამ ბაიბურიც არ ის-  
მოდა. სული განუტევა, ალბათ, საცოდავმა.

და აი, ერთ ღამეს, თავის ტკივილით რომ ვიყავი გაწამებული  
და ძილი არ მეკარებოდა, ცხადად შემომესმა ნაღვლიანი სიმღერა.  
პირველად გაფიქრე, მეჩვენება-მეთქი. აბა ვინ უნდა იმღეროს  
აქ აფხაზურად კრილობის სიმღერა? მაგრამ ეს ზმანება არ იყო.  
აღელვებულს საკუთარი ტკივილი დამავიწყდა, ცივ კედელს ავე-  
კარი და მივაყურადე. ღამურასავით მახვილი გამიხდა სმენა. არა,  
ეს სმენის მირაჟი არ იყო, ნამდვილად მღეროდა ვიღაც ნაცნობ  
სიმღერას ყრუ, ტკივილისაგან ნაწამები ხმით. ხანდახან სიმღერას  
გულისწამლები ხველა აწყვეტინებდა, ან, შეიძლება, დროდადრო  
გონებას კარგავდა. შემდეგ ისევ მესმოდა ნაღვლიანი, მაგრამ  
ვაეკატური სიმღერა. ყველა სიტყვა არ მესმოდა, მაგრამ მაინც  
მივხვდი, რას მღეროდა მეზობელი კედლის მიღმა. გათენებამდე არ  
: მომიხუტავს თვალი.

დღე მოლოდინში გაილია და როცა შორეული ვარსკვლავი ისევ  
აციმციმდა მწვერვალის თავზე, კვლავ მოაღწია სიმღერამ ჩემამ-  
დე. აფხაზი დედისგან მახსოვდა, რომ ამ სიმღერას სასიკვდილოდ  
დაჭრილი კაცი მღეროდა ხოლმე. ჩვენი ადამი მავალებდა დახმა-  
რების ხელი გამეწოდებინა, მაგრამ, როგორ, რანაირად? გულმოწ-  
ყალება მეთხოვა ჩაფრისათვის? მერედა რომელი ჩაფარი გამიგებ-  
და? აქ ხომ ყველას სამუდამო პატიმრობა გვექონდა მიტყილი? ჰო-  
და, ჰიკვდილი ყველასათვის სანატრელი იყო. მოკლედ, ის იყო ამ  
ტანჯვისაგან ერთადერთი მხსნელი. ბედნიერ ტყვედ ის ითვლებო-  
და, ვინც ადრე ეყრებოდა ამ წუთისოფელს.

დაჭრილის სიმღერა... წებელდა გამახსენდა. ექ დედის ნათესა-  
ვები ცხოვრობდნენ. უკვე მოზრდილი ბიჭი ვიყავი, დედაჩემის  
ერთ-ერთი ძმა მძიმედ რომ დაჭრეს, სიკვდილს ებრძოდა, ახლობ-  
ლები და მეზობლები ყოველდღე გროვდებოდნენ მის სარეცელთან  
და დაჭრილის სიმღერას უმღეროდნენ. ბიძაჩემი კენესით აყოლებ-  
და ხმას. კედლის მიღმა წამებულსაც არ უჩანდა სასიცოცხლო  
პირი. აფხაზური წესის მიხედვით ვალდებული ვიყავი მისი ან-  
დერძი მომესმინა და სიკვდილის მერე თვალები დამეხუტა მისთვის.<sup>1</sup>

მეორე დღეს, თანამოძმე ისევ რომ ამღერდა, მე მოძახილი  
ავაყოლე, თანაც ისე ხმამაღლა, რომ ჩაფარმა კარი გააღო და დი-  
ყრანტალა: „რა გაღრიალებს პატიმარო?“ ციხის ზედამხედველის

შენიშვნა არად ჩავაგდე და სამჯერ ვიმღერე დაჭრილის სიმღერა.  
მეხსიერებაში აღვადგინე მისი სიტყვები:

უა — რაილა, რა კაცია;  
ვინც სატკივარს ვერ დაითმენს.  
იგი რალა ვაჟაკაცია.  
ვინც ჭრილობას კენესით ამხელს.

ხმას თანდათან დავუწიე და ყური ჯედელს მივადე. ასე გავიმეორე სამჯერ. და უცბად დავრწმუნდი, დაჭრილმა აფხაზმა გარეონა ჩენი ხმა; ახლა ის აყოლებდა ხმას ჩემს სიმღერას. ნამდვილად აყოლებდა. ო, როგორ გამიხარდა. განა საოცარი არ არის, ძვირფასო შარახ, რომ სასიკვდილოდ დაჭრილს სიხარული უგრძნო? ასეთი რამ, ალბათ, არასოდეს მომხდარა, მაგრამ მე და ჩემი მეზობელი გახარებული ვიყავით, ერთმანეთის ხმა რომ გავიგონეთ. მე დავამთავრებდი სიმღერას და ის დაიწყებდა. ის დაამთავრებდა და მე უიწყებდი.

დავიქანცებოდით და ჩავგვიძინებოდა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე ლამეს. მალე მეზობელ საკნიდან დანიშნულ დროს ხმამ ელარ მოაღწია, „მორჩა, ალბათ. წვალეხას, საცოდავი“. — გაღაფწყვარტე მე.

მეორე ღღეს გასეირნება გვქონდა. ადამიანები კი არა, ლანდები დადიოდნენ ციხის ეზოში და ერთ-ერთმა ლანდმა ჩამიჩურჩულა: გარეთ დიდი მღელვარებაა, მალე თევზის კასრივით დატენიან ამ რწყილების ბუდეს. ერთადგილიანში ორ-ორს ჩააგდებენ.

ნავეისა და მის ამხანაგებს რომ ვაკვირდებოდი, აღრეც ვხვდებოდი, რომ გარეთ რაღაც ცვლილებები ხდებოდა.

სამი ღღეც არ გასულა და ჩაუანგული კარი ჭრილით გაიღო. მედილეგებმა ჩემს საკანში ჯერ ხის ტახტი შემოათრიეს და მერე პატიმარი შემოიყვანეს.

— მიიღეთ სტუმარი! — პირქუნაღ იხუმრა ერთმა. მჭრქალ შექზე მაღალი კაცი დავინახე, თითქმის ჭერს ეხებოდა თავით. შუბლზე ხშირი თმა ჩამოშლოდა, ჭადარა რომ არ გაკარებოდა ჯერ. ჩაცვნილ ლაწვებზე კი ეკალივით მოდებოდა წვერი. გინახავს, შვილო, როდესმე მთის ტბები მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალების ახლოს? ისინი ისეთ ღურჯ ფერს დაიკრავენ, ცის ნაგლეჯები ეგონება კაცს. აი ასეთი ფერის თვალები ჰქონდა პატიმარს. ფიცარივით იყო გამხმარი და ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ სისუსტის მიუხედავად, ცდილობდა გამართული მდგარიყო.

— დღე მშვიდობისა, — ხელისგული მკერდზე მიიღო და მომე-  
სალმა. თანაც ნაღვლიანი დაცინვით დაუმატა: — თუმცა ასეთ დღე-  
ებს ციხეში რა უნდა. მითხარი, მეგობარო, შენ ხომ არ იზიარებდი.  
ჩემს ტკივილს და დაკრილის სიმღერას ხომ არ მიმღეროდი? აფ-  
ხაზი ხომ არა ხარ წარმოშობით?

მისმა გამოჩენამ გამოაგნა, კედელს რომ არ მივეყრდნობოდი,  
უსათუოდ წავიქცეოდი.

— შენი მოსვლა ჩემი დღესასწაულია, — ვუპასუხე მე და შეე-  
წუხდი: — დგომა გაგიჭირდება, დაჯექი, დაჯექი.

ის ტახტის კედელზე ჩამოჯდა, ისე რომ სახეზე სარკმლიდან  
შემოსული შუქი დაეცა. გული გამეყინა მწუხარებისაგან: ლურჯ-  
თვალეზას სახეზე უკვე სიკვდილის ჩრდილი ეფინა.

— მე უბიხი ვარ, მაგრამ დედა-მყავს აფხაზი, — სისუსტემ მძლია  
და ცრემლების ულაპვით განწირულს გადავხედე.

თითქოს რაღაცამ გააოცა და გაკვირვებით დამაცქერდა:

— ბავშვობაში ერთ კაცს წვიცნობდი, ზაურყან ზოლაკი ერქვა.  
ძალიან ჰგავხარ იმას, მაგრამ ცოცხალი რომ იყოს, ის უფრო ახალ-  
გაზრდა იქნებოდა.

თვალეზი ცრემლით ამევსო.

— მე ზაურყან ზოლაკი ვარ, მაგრამ მითხარი, შენ თვითონ ვინა  
ხარ, ჩემო ძვირფასო?

— ო, ღმერთო დიდებულო, — ჩაიჩურჩულა მან და ძლივგასა-  
გონად ამოიკენესა, ხალხი კი ამბობდა ჩამოახრჩვესო. ნუთუ სე-  
ლამ-ფაშას მოკვლის დღიდან აქ ზიხარ?

— თითქმის...

მაშინ მე პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ თვალეზით გიცანი... თვალე-  
ზი...

მეტის თქმა ვეღარ შეძლო. სულის შემხუთველმა ხველამ ლამის  
გული ამოუგდო. შევეშველე, ტახტზე წამოვაწვიხე და წყალი მივა-  
წოდე. როცა ხველამ უკლო და სული მოითქვა, მკითხა:

— ოსმან-ქოი არ დაგვიწყებია, ზაურყან, თქვენს მეზობლად  
აფხაზი — საზი აბხუბა მზაუჩი ცხოვრობდა. მახსოვს, კეთილი მე-  
ზობლობა გქონდათ ერთმანეთში. მზაუჩის ბიჭი, პატარა შოუდიდი  
კი თქვენს ეხოში უფრო ხშირად იყო, ვიდრე თავისაში. გახსოვს,  
სათამაშოებს უკეთებდი. ხოლმე...

უბედური მთიელი ქოშინებდა და ხელს გულზე იჭერდა. თით-



ქოს ეშინოდა, ის წყეული ხველა ისევ არ ამივარდეს და არ მომკუდლოსო.

— მაშ, შენ შოუდიდი ხარ? მზაუჩის შვილი შოუდიდი? — წამოვიძახე მე.

— გამოიცანი, ზაურყან.

— ღმერთო ჩემო, რა შეუძლია დროს!

აბხუბა მზაუჩის შვილი თურქეთში დაიბადა, სამსუნში და სახელი მამაჩემმა დაარქვა: შოუდიდ! ასე ეწოდებოდა აფხაზეთის ერთ-ერთ მაღალ მწვერვალს. ცხადია, შოუდიდს ისეთს ვეღარ წარმოვიდგენდი, როგორც მაშინ იყო, მაგრამ იმის დაჭერება, რომ ჩემ წინ ახლა შოუდიდი იდგა, ის შოუდიდი, ოდესღაც ხელში აყვანილი რომ დამყავდა, თითქმის შეუძლებელი იყო.

მკერდი ტყვიით ჰქონდა დაკოდილი. დაჩირქებული ჭრილობა მთელ სხეულს მომაკვდინებელ ცეცხლს უკიდებდა, ძალ-ღონეს აცლიდა. ო, რა ნეტარებით მივცემდი ჩემს სიცოცხლეს, თუნდაც ცოტა ხნით რომ გამეხანგრძლივებინა მისი სიცოცხლე. კარგად იცოდა, რომ კვდებოდა და მაინც არ ემღუროდა ბედს, ვაჟაკურად ეჭირა თავი. ლაპარაკი არ შეიძლებოდა, მაგრამ ამას არად დაგიდევდათ, უნდოდა ეამბნა რა დაემართა მის ოჯახს, სელიმ-ფაშას სიკვდილის მერე.

— ჩვენმა ოჯახმა ოსმან-ქოი მივატოვეთ და ადაპაზარის მიდამოებში გადავსახლდით, სადაც საზების კვალდაკვალ, დალელები წებელდელები და გუმელებიც დასახლდნენ. თანამემამულეები სახლის აშენებაში მოგვეხმარნენ. მე მექბეთში მიმბარეს. ნიჭიერი გამოვდექი და, მექბეთის დამთაერების შემდეგ სტამბულს მდრესში გამგზავნეს. ორი წელი ვისწავლე იქ, დამთაერება კი ვერ შეეძელი, ფული აღარ ეყო მამას. ამ ორი წლის განმავლობაში სამი ენა შევისწავლე და ცოტაოდენი ცოდნა შევიძინე. სტამბულში ტაპირს შევხვდი, ჰამიდას შვილიშვილს. ის მასწავლებელია. უბინები რომ გაასახლეს ოსმან-ქოიდან, ტაპირიც თან გაჰყვა. წერილებს ეწერდით ხოლმე ერთმანეთს. სადღაც შორეულ სოფელში ასწავლის წერა-კითხვას უბინ ბავშვებს. ღირსეული ადამიანია, შარდინის, ალოუს ძის მემკვიდრე კი მანსოუ, მიუხედავად იმისა, რომ ტაპირის გვერდით იზრდებოდა, დროსტარების მოყვარული გამოდგა: ქეიფი, ბანქო, ქალები... პირწავარდნილი მამაა..

შოუდიდს ჰაერი არ ყოფნიდა, თანაც წყურვილი კლავდა. მთე-

ლი დოქი წყალი რომ მიგეცა, გამოცლიდა. ცოტა რომ დაესვენა, საუბრის სადავეს მე ვიგდებდი ხოლმე ხელთ. ჩემს პატიმრობაზე ვუამბობდი, ისიც ეუამბე, შმათის ოჯახს როგორ დავუმეგობრდი.

აბხუბას ვაჯიშვილს არც მაინცდამაინც გაჰკვირვებია, იარაღით რომ დაიკვა ნავეიმ თავისი სახლი. თურმე ნუ იტყვი და გარეთ დიდი ამბები ხდებოდა. გაუთავებელი ომებითა და აურაცხელი გადასახადებით განადგურებამდე მისული თურქი გლეხები უფრო და უფრო ხშირად გამოდიოდნენ იარაღით ხელში სულთნის ძალაუფლების წინააღმდეგ. არც რუსეთში იყო სიმშვიდე... შოუდიდისაგან შევიტყვე, რომ მამამისი ჭამლათ-ფაშას მეტრძოლებს მიკედლებოდა, რომ როგორმე კავკასიაში მოხვედრილიყო, სამშობლოში.

გამგზავრებისას ასე დამიბარა: „დედას გაუფრთხილდი და არ იფიქრო, რომ რუსებთან საბრძოლველად მივდივარ. გემიდან გადავალ თუ არა, ჭამლათ-ფაშას მივატოვებ. ესეც ღაიმახსორე, შვილო: „შეიძლება სამშობლომ დაგივიწყოს, მაგრამ შენ ვერასოდეს დაივიწყებ მას!“ გადავიდა თუ არა მამა კავკასიის სანაპიროზე, გაეცა ჭამლათ-ფაშას და თან მსროლელთა ასეული გაიყოლია. მერე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. დედა ისე მოკვდა, რომ სასიკეთო ამბის გაგებას ვერ ეღირსა. მამაჩემი თურმე ცოცხალი ყოფილა. წერილი მივიღე მისგან. მოხუცი სოფელ ჭგერდაში ცხოვრობს. თავისკენ მიხმობს, მაგრამ მორჩა, მამის ნახვა აღარ მიწერია...

შოუდიდმა თვალები დახუჭა. გავარვარებულ შუბლზე ხელისგული დაეადე. წყალი მომთხოვა, ჯამით მივეტანე. ხარბად სვამდა. გულმკერდში კი ყველაფერი უხრიალებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ განაგრძო თხრობა:

— მამაჩემის წერილის მიღებამდე ერთი კვირის თავზე მძიმე გადასახადებისა და აუტანელი შრომისაგან გაწამებული აფხაზი მუჰაჯირები აჯანყდნენ და თავადების — მარშანების მოურავი მოკლეს. რისთვისაც მწირ მიწებზე ან სირიაში გასახლება ელოდათ. ჰოდა, სამშობლოში, აფხაზეთში დაბრუნება გადაწყვიტეს. გემი უნდა დაეჭირავენბინათ, მაგრამ საამისო ფული არ გააჩნდათ. ან საიდან უნდა გვექონოდა ამოდენა ფული?! სწორედ ამან გვიბიძგა ბოროტმოქმედებისაკენ. შევადგინეთ გეგმა: საფოსტო ეტლი უნდა გაგვეძარცვა, რომელსაც სახელმწიფო ფული გადაჰქონდა. მე ჩასაფრებული ვიყავი. ჩვენდა საუბედუროდ, იმ დღეს ეტლს ცხუ

ნოსანთა გაძლიერებული დაცვა ახლდა. დაიწყეს სროლა. ტყვიამ მკერდი გამიხვრიტა. მერე გამასამართლეს... ველარ მოვესწარი ჩემი სამშობლოს ხილვას. შენ თუ გარგუნებს ბელი მის ნახვას, ზაურყან, ჩემს მაგივრადაც ეცი თაყვანი... მე მჭერა, შენ ისევ მოესწრები თავისუფლებას! უა-რაიდა, უა-რაიდა, — ჩამქრალი ხმით წამოიწყო მან დაჭრილის სიმღერა.

ეს სიმღერა შეეყინა ბაგეზე. ხელში ჩამაკვდა. ცრემლად ვიღვრებოდი და თან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვაყოლებდი ხმას მის სიმღერას. მერე თვალები დაუხუჭე. არ ვიცოდი მისი სიტყვები წინასწარმეტყველური თუ იქნებოდა. გარშემო ყველაფერი გუგუნებდა და აჯანყებული სულის სურვილისამებრ იცვლებოდა. ჩამოაგდეს ავბედითი სულთანი აბდულ-ჰადი და ძალაუფლება „ახალგაზრდა თურქების“ ხელში გადავიდა. ახალმა ხელისუფლებამ მანიფესტი გამოსცა. ბევრს გაუღეს ციხის კარები და რაკი ჩემი დანაშაულის ჩადენიდან დიდი დრო იყო გასული, შემიწყალეს.

## რა შეუძლია დროს...

— წუხელ როგორ გეძინა, ძვირფასო შარახ? — ისე შეწუხებულმა მკითხა მოხუცმა ამ დილით, რომ შემრცხვა, მეპასუხა — მკვდარივით მეძინა-მეთქი.

— იმას რა სჯობია, კარგი ძილი თუ იცის კაცმა. მე კი, დავიწყებ თუ არა წარსულზე ფიქრს, მოგონებები ზღვის ტალღებივით გამიტაცებს და თითქოს ზღვის ნაპირიანო, ისე მაქანავებს ძილის შორიანლო. იცი, ძვირფასო შარახ, რაზე ვფიქრობდი დღეს დილაადრიაანად? სანამ ჩემი სტუმარი, ჩემი ბიძა დედაჩემის მხრიდან ჩემთანაა, მე არც დავიწყებული ვარ და აღარც უთვისტომო, მაგრამ მერე რა მეშველება, როცა წავა-მეთქი! ამას ყოველდღე ვფიქრობ, რაც შენ ჩემი კარის ზღურბლს გადმოაბიჯე. დღეს კი მომეჩვენა, თითქოს ჩვენმა მოხუცებმა სითმა, საულაჰმა და ჩვენგან წასულმა კიდევ ბევრმა სხვამ მიბრძანეს — შენმა წასვლამ არ შემაშინოს.

„როცა შენი სტუმარი წავა, თან შენი სული გაატანე; — მითხ-

რეს მათ. — დაე. სამშობლოს დაუბრუნოს იგი, ჩვენი სულე-  
ბიც ხომ უკვე დიდი ხანია იქ არიან. შენი ბებერი ძელები კი ვის  
რაში სჭირდება. ჩვენი ძელებივით ჩაიშალოს აქ“.

ასე მიიხრეს. შენ რომ გეძინა და მე ვფხიზლობდი, და თუ  
ისინი მართლები არიან, რომც ვერ მოვასწრო სულის მოცემა. ის  
თვითონ წამოგყვება. როგორც ვატყობ, არც დიდი ხნის ლოდინი  
დასჭირდება. ეს წყეული სიბერე! ნუ გეწყინება და დღეს ველა-  
რაფერს გაამბობ. ერთი ადგილი უნდა მოვინახულო, მერე კი, რომ  
მოვბრუნდები, იქნებ დავიძინო. ზოგჯერ თავს არ ეძინება,  
მავრამ დალლილი ფეხები ეხმარებიან და აიძულებენ...

ზაურყანმა თავისი კვერთხი აიღო და შინიდან გავიდა. ნეტავ  
სად წავიდა? იქნებ ძველი საფლავებისკენ გაუწია გულმა?

ბირამი, როგორც ყოველთვის, შუადღისას მოვიდა, მოხუცი,  
რომ არ დახვდა, არაფერი უკითხავს. სუფრასთან დამსჯა, გამიმას-  
პინძლდა და წავიდა. მარტო დავრჩი ჩემს ფიქრებთან. კმაყოფი-  
ლიც კი ვიყავი ამ მოულოდნელი საჩუქრით — მარტოობით. წუ-  
რის დროს ფიქრს ველარ ვასწრებ. ზაურყან ზოლაკის ბიოგრაფია,  
მისი სისხლიანი ისტორია დაჭრილის კვალივით მისდევს უბიხი  
ხალხის ტრაგედიას. და უკვე მერამდენედ მოოცებს ამ ასი წლის  
კაცის მეხსიერება. მისი ნაამბობი და ისტორიული თარიღები ყო-  
ველთვის ემთხვევა ერთმანეთს. უბიხებმა 1864 წელს მიატოვეს  
კაუკასიის სანაპირო. თუ მაშინ ზაურყან ზოლაკი ოცდაოთხი წლის  
ყო, ეს კი ნათლად ჩანს მისი ნაამბობიდან, მაშინ ის 1840 წელს  
დაბადებულა. ახლა 1940 წელია და ზაურყან ზოლაკი ასი წლისაა,  
ეს სრული ჭეშმარიტებაა.

„ხუთ-ექვს წელზე მეტხანს არ ვყოფილვარ უბიხებთან სამსუნ-  
ში გადმოსახლების შემდეგ, ოსმან-ქოიში გატარებულ წლებსაც  
ვეულისხმობ“. — მიამბობს იგი. ამის მიხედვით მან თავისი დების  
გულისთვის 1869 თუ 1870 წლებში იძია შური სელიმ-ფაშაზე.  
ხოლო ციხიდან რომ გააპარეს და მონად გაჰყიდეს, მისი სიტყვე-  
რით: „რვა წელიწადი დადიოდა დღე და ღამე ბანცალ-ბანცალით  
აფრიკის უდაბნოში“. მიუხედავად მისი პოეტური ფორმისა, ნათქვა-  
მის ძირითადი არსის მიხედვით, თუკი ზაურყანმა რვა წელი დაჰ-  
ყო აფრიკის უდაბნოში, მაშინ სტამბულში ნამდვილად 1877 წელს  
დაბრუნდებოდა, სწორედ იმ დროს, როდესაც აფხაზებს ძალდატა-

ნებით ასახლებდნენ თურქეთში, რამაც თავისი კვალი დაამჩნია მის ასაკოვან მეხსიერებას.

ამის შემდეგ ცოტა ხანს თავისუფალი იყო და მისი მოგონებების მიხედვით, ძნელი გასაგებია, როდის მოხვდა ზაურყანი ისევ ციხეში. სამაგიეროდ ადვილი მისახვედრია, როდის განთავისუფლდა პატიმრობიდან. „მლადოთურქული“ რევოლუცია 1903 წელს მოხდა, სწორედ მაშინ გადმოაგდეს ტახტიდან პირსისხლიანი სულთანი აბდულ-ჰამიდი, რომელსაც სიძულვილით იხსენიებს მოხუცი.

მართალია, სამუდამო პატიმრობამისჯილი ზაურყანი უიმედო წლებს ატარებდა ციხეში, მაგრამ რუსეთის პირველი რევოლუციის ნაპერწკლებმა ციხის სქელ კედლებშიც შეაღწია და მთელ სამყაროს მოწყვეტილ მის საკნამდეც მივიდა. გავიხსენოთ მოხუცის ნაამბობი, „ჭრილობის საგალობლით“ რომ დავასათაურეს. საიდან უნდა სცოდნოდა დატყვევებულ მთიელს, რომელიც წლების მანძილზე ციხის ქუქრუტანიდან უთვალთვალებდა რომელიმე თურქი გლეხის ოჯახის ცხოვრებას, რომ მის თვალწინ გაზრდილი, ნაკვივლ მონათლული ბიჭი, ათასობით სხვა თურქთან ერთად იარაღით ხელში აჯანყდებოდა სულთნის მძიმე უღლის წინააღმდეგ. ან სულთანი რას წარმოიდგენდა, რომ ის სამხედრო პირებიც არ გამრდგებოდნენ საიმედონი, რომლებიც თავის ტახტისა და ძლიერების ბურჯად მიაჩნდა. რომ სწორედ იმ წლებში — ეს მოხუცმა არ იცოდა, მაგრამ სამაგიეროდ მე ვიცი შესანიშნავად, მისწერა წერილი ოცდარვა თურქმა ოფიცერმა უშიშარი რევოლუციონერის ლეიტენანტ შმიდტის დას. ეს წერილი სტუდენტობის დროიდან მახსოვს ზეპირად: „ვფიცავთ ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე წმიდათა-წმიდა თავისუფლებისათვის, რომლისთვისაც მრავალი ჩვენი საუკეთესო მოქალაქე დაეცა. ვფიცავთ, რომ ძალღონეს არ დავიშურებთ და ვეცდებით გავაცნოთ თურქ მოსახლეობას რუსეთში მომხდარი ამბები, რათა საერთო ძალით მოვიპოვოთ ადამიანური ცხოვრების უფლებები...“

საიდან უნდა სცოდნოდა ზაურყან ზოლაკს ერთი მოვლენის მეორესთან და შესამესთან კავშირი — 1905 წლის რევოლუცია. ლეიტენანტ შმიდტის სიკვდილით დასჯა, თურქი ოფიცერების წერილი, აბდულ-ჰამიდის ტახტიდან ჩამოგდება, თვით მისი ციხიდან განთავისუფლება? არა, ცხადია, ეს არ ეცოდინებოდა, მაგრამ

ყოველივე ამის კვალი საოცარი, ზოგჯერ ფანტასტიკური ფორმითაც კი გასდევდა მის ნაამბობს.

ჭერჭერობით ამ ადგილასა ვართ მე და ზაურყანი შეჩერებულნი, მაგრამ არც შემდეგში დარჩება მისი ცხოვრების ამბავი ისტორიის გამოძახილისადმი გულგრილი. ჯერ ხომ წინა გვაქვს მსოფლიო ომიცა და რუსეთისა და თურქეთის რევოლუციებიც. მე ჯერ არ ვიცი, მაგრამ რატომღაც მჯერა, რომ ყოველივე ეს, თუნდაც გავვრით, ოდნავ მაინც შეეხებოდა, უფრო სწორად არ შეიძლებოდა, არ შეხებოდა უბიხების ისტორიასა და ამ ღრმად მოხუცებული კაცის ბედს.

ღღევანდელი შესვენება ერთის მხრივ მახარებს და მეორეს მხრივ მალეღვებს — ჩემი გამგზავრების ღღე ახლოვდება და ვინ იცის, რის ჩაწერას მოვასწრებ და რისას — ვეღარ.

ზაურყანი მობრუნდა. არ უთქვამს სად იყო. ორივემ უბრად ვივახშმეთ. მერე ადგა და ჩემზე ადრე დაწვა. მისი ნათქვამი: დაღლილი ფეხები თავს დაძინებაში ეხმარებიანო, წმინდა წყლის სიმართლე გამოდგა. ღამით მისი წამოდგომის ხმა არ გამიგია. დილით კი ავდექი თუ არა, თითქოს ჩემს შიშს მიხვდაო, თხოვნისათვის არ დაუცდია, ისე დაიწყო თხრობა.

ციხის ზღურბლს გადმოღმა დიდხანს ხეტიალი. მელოდა. „ღმერთმა გაგაჩინა და სარჩოსაც ღმერთი მოგცემსო“, — ეს ისეა ნათქვამი, თორემ მუქთად არაფერს არაფერს იძლევა. თუნდაც სულ მცირე მოთხოვნილება გქონდეს და ბევრის ამტანი იყო, უპუროდ მაინც ვერ იცოცხლებ, ასე არ არის, შარახ! რომელი გზის მტვერში არ ეფლობოდა ჩემი ფეხები, რა აღარ ვიყავი? ქირით ვმწყემსავდი ცხვრის ფარას, მტვირთავად ვმუშაობდი იზმიდის პორტში, მდიდარი ვაჭრის ღუქნის დამლაგებელიც ვიყავი და მიწასაც ვთხრიდი რკინიგზის მშენებლობაზე. და აი ასე მოვალწიე შათ-იპამდე, სადაც აფხაზი მუჰაჯირები ცხოვრობდნენ. დედაჩემის ახლო ნათესავები ცოცხლები აღარ იყვნენ, მაგრამ გარეშე ბიძამ კონსოუმ შემეიკედლა და თითქმის ორ წელიწადს ვიცხოვრე მის ჰერკვეშ. შათ-იპას სასაფლაოზე ორი სამარე მიჩვენა ბიძაჩემმა. ერთში დედაჩემი განისვენებდა, მეორეში — მამაჩემი. სასთუმალთან ორივეს გაუთლელი ქვა ედო. საფლავებზე ბალახი გაბურღულიყო. სხვა რისი გაკეთება შემეძლო და საფლავები შემოვლობე. ერთი რამდა

მჩებოდა სანუგეშოდ — თავიანთი ბოლო საყუდელი ახლობ-  
ლებში რომ მოეძიათ. გინდა გაიგო, შარახ, როგორ მოხვდნენ ჩე-  
მი მშობლები შათ-იპაში? სელიმ-ფაშა რომ მოვკალი, მატა თვალს  
მიეთარა. ჭკვიანი ბიჭი იყო და ხელად იაზრა, აყალმყალის ატენ-  
ვამდე უნდა გადაერჩინა დედ-მამა. ხსნა კი მხოლოდ ერთში იყო:  
ოსმან-ქოიდან უნდა გაქცეულიყვნენ. აი, ასე გადასახლდნენ ჩვენე-  
ბი შათ-იპაში. აქ კი დედაჩემის ძმამ — მაშინ ის ცოცხალი იყო,  
— მისცა თავშესაფარი. ქალიშვილების უბედურებამ და ჩემმა და-  
პატიმრებამ საწყალ დედაჩემს ხელი მოუთავა და ერთ წელსაც ვე-  
ლარ იბოგინა ამ ქვეყანაზე. ხუთი წლის შემდეგ კი მამაჩემიც გამო-  
ესალმა წუთისოფელს.

მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მატამ სახლის აშენება და საყუ-  
თარი მეურნეობის მოწყობა გადაწყვიტა, მაგრამ ახლა ჯარში  
გაწვევა გამოაცხადეს და სხვა წებელდებებს მატაც მიაყოლეს.  
სამხედრო ნაწილი, რომელშიც მატა მოხდა, მარშით გაემართა  
არაბეთისკენ. მის მერე მისი ალი-კვალიც ვერ გავიგეთ. არავინ  
უწყის ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ.

ჩემი დებიც უგზო-უტკვლოდ დაიკარგნენ. სელიმ-ფაშას სიკვდი-  
ლის შემდეგ მისმა ნათესავებმა ჰარამხანა მიაყიდეს ფაშას ცოლე-  
ბიანად და ხარკებიანად. ახლა ეშმაკიც ველარ გაიგებდა სად იმ-  
ყოფებოდნენ ჩემი დები და ფელდიში, ან საერთოდ ცოცხლები  
კი იყვნენ?

შენ ალბათ გიკვირს, ჩემო მომთმენო შარახ, ასე ადვილად  
რომ გიამბობ ჩემი ახლობლების სიკვდილსა და დაკარგვაზე. რას  
იზამ? მის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. დრო ტკივილს აყუჩებს,  
ცრემლს აშრობს და მეხსიერებას დავიწყების ჩალმას ახვევს. დრო  
დიდი მანუგეშებელია და ეს მოვალეობა რომ არ ეკისრებოდეს  
მას, ალბათ, კაცობრიობის ნახევარი შეიშლებოდა. მაშინ რაღა სა-  
ჭიროა წარსულის გახსენება, მისი აფუტკვნა და წინაპართა აჩრ-  
დილების შეწუხება? — იკითხავ შენ. ჭკუის სასწავლად, შვილო.  
სიკეთის გულისათვის, სხვებს რომ ავაშოროთ მომავალში საშინელი  
შეცდომა და მერე მწარე სინანული.

შეიძლებოდა შათ-იპაში მეცხოვრა, მაგრამ უბიხური სიტყვის  
გაგონება მომენატრა, თანაც ერთ ადგილას ყოფნასაც გადა-  
ჩვეული ვიყავი. მომეწყინა და გზისკენ გამიწია გულმა. ნათქვამია:  
„რა გზითაც მოსულხარ, იმ გზით წადიო“. ნელა მივდიოდი, მან-

პილიც ცოტა მკონდა გავლილი. მაგრამ მიწა საოცრად შეიცვალა. ფერფლს დაემსგავსა. ზევით ნაცარი იყო, ქვეშ კი ისევ შენახულყო ლადარი. თვალსაწიერზე არაფერი მოჩანდა. ქარმა წაძოქროლა. მტვერი მოხვეტა და ბოლქვა-ბოლქვა ამისვეტა გზაზე. გარშემო თითქოს ყველაფერი ჩამკვდარიყო და მე მარტოდმარტო ვიყავი შთენილი ამ მოქუფრულ, უკაცრიელ სამყაროში, სადაც ქარი ღმუოდა და დროდადრო მეც მიხდოდა ღმუილი ამ თავზარდამცემი მარტოობის გამო.

თვალეებზე ხელისგული მოვიჩრდილე და უცბად ნაცრისფერ ღურღოში რალაც შავი წერტილი შევნიშნე. პირველად ეკალბარდი მეგონა. წერტილი იზრდებოდა, მიახლოვდებოდა და საშინელი ამინდის სტვენასა და სისინში ადამიანის ხმა გავარჩიე, შემოდგომის ფოთოლივით რომ ცახცახებდა. ვილაც ნალვლიანად და გაბმით მღეროდა. სიმღერა ეთქმოდა, თორემ ტირილს, მოთქმასა და წყევლა-კრულვას უფრო მოჰგავდა. ქარი ხან მთლიანად ახშობდა მას, ხან შორს იტაცებდა, ხან კი პირდაპირ ჩემკენ მოჰქონდა და თითქოს აძლიერებდა. ვირზე შემჭდარი კაცი გავარჩიე. მოხუცი იყო. შვით დამწვარი სახე იმ დანაოქებულ მიწას მიუგავდა, რომელზეც მისი ვირი მიაბიჯებდა. ცოცხალი არსების დანახვამ გამამხნევა. რომ გამისწორდა, ხელისგული შუბლზე მივიდე და მივესალმე. მხედარს თვალეები მღვრიე ცისკენ აღეპყრო და ვერცი კი შემნიშნა, ისე იყო მოჯადოებული თავისივე ნალვლიანი სიმღერით. ჯერ იყო და ვიფიქრე, ალბათ, მოხუცი ადათის მიხედვით ნამაზს ასრულებს-მეთქი. მაგრამ მისი სიმღერა ლოცვას არ ჰგავდა, თუმცა ცისკენ იყო მიმართული. ისე ჩამიარა, არც კი მოუხედავს. თითქოს უნდოდა ეთქვა: „მე მეჩქარება, მოგზაურო, დაე ჩემმა სიმღერამ გამცნოს ჩემი ამბავი“.

ვიდექი და გავცქეროდი. შემობრუნებულმა ქარმა ჩემამდე მოიტანა თურქის ბაიათის ხმა. დაქანცულ. პირუტყვს აჩქარებდა მოხუცი და თან მღეროდა, ამ ვირის და სიბერის გარდა, არაფერი გააჩნდა და თავის ყურპარტყუნა მეგობარს მიმართავდა:

მიდი, მატარე დარდის ზილივით,  
ფლოქვით დაფშენი კლდეების კაეი,  
იქ ბრძოლის ველზე, მთათა პირიქით,  
მარხია ჩემი ოთხივე ვაეი.  
გულში მიღვივის ლადარი, ღველფი,  
მღუღარე ცრემლით მეწვის თვალეები.



მხედარი შორეთში დნებოდა, მისი სევდიანი სიმღერაც უფრო და უფრო ყრულ მოისმოდა, სანამ ძაფივით არ გაწყდა. მრცხენია ამის თქმა, და იმ სვეგამწარებული მოხუცისაც შემშურდა, რადგან მას სიმღერით მაინც შეეძლო, ცოტაოდენი შვება მიენიჭებინა თავისი სულისათვის.

ო, მეც რომ ამ დაობლებული თურქივით შემძლებოდა სიმღერა ყოველივე იმაზე რაც გადამხდა, გუფიცები, ქვის კაცებსაც კი ვაფრქვევინებდი ცრემლს, მაგრამ მე კვლავ უბიხად ვრჩებოდი და აბა რომელი უბიხი იმღერებს მარტო ჭრილობის საგალობლის გარდა? არა, სიმღერისათვის მარტო აფხიარცა როდი მაკლდა. მსმენელებიც მჭირდებოდა, ჩინჩნლებდაყრილი მაგარი თუ თაფლიანი ღვინით სავსე თასებივით რომ აიტაცებდნენ ხმას და ამყვებოდნენ. ჩვენ, უბიხები ამაში მთებსა ვგავდით: დაიწყებს ერთი სიმღერას და ექოსავით გამოეხმაურებიან დანარჩენები.

— შენ შეგკამა მამალმა მგელმა, ბოლომდე უნდა გამოწოვო? — ჯოხით ეცა ჯმუხი მოხუცი ძროხის ჭიქანზე მიწებებულ ხბოს. სტაცა ხელი წაბლა ღორმუცლას, თეთრი ვარსკვლავი რომ უკიაფებდა შუბლსა და კუდზე და დედას მოაშორა. ჭიშკარს ფეხი ჰკრა და ეზოში შეაგდო ხბო.

— ჯერ მზე არ ჩასულა და შენ შინ მოიზლახნე, ბალახის წაწკნუც რომ გეზარება! — ახლა ნაწვიმარი მწიფე ქლიავივით ლურჯ-თვალემა ძროხას დაუწყო საყვედური მოხუცმა.

მოხუცის ლანძღვა საოცარ კეთილ მისალმებად მეჩვენა, რადგან უბიხურად ილანძღებოდა.

სხვა დროს, ალბათ, სიხარულისაგან თავბრუ დამეხვეოდა და ცრემლები დამიგორდებოდა ლაწვებზე, მაგრამ ახლა უკვე გაუხეშებული მქონდა სული. და მოულოდნელი სიხარულის აგრერივად განცდის თავი აღარ მქონდა.

ღმერთო ჩემო, უბიხების ენა! იმის გაფიქრებაც კი საშინელებაა. რამდენ ხანს აღარ გამიგონია იგი. ეს ერთ-ერთი მივარდნილი სოფელი იყო, სადაც სულის მოსათქმელად და ღამის გასათევად შეუზხვიე. ჭიშკარში მოკაკულმა დედაბერმა გამოჰყო თავი.

— ამ ოხერს ვერაფერს მოუხერხებ კაცი! გუშინაც ასე გაძვრა

გაოეთ, აღარაფერი რომ არ დაეტოვებინა ჯიქანში, მეტი გზა არაა, უნდა დავბათ...

ხომ კამეჩივით გაუხეშებული მქონდა კანი და მაინც ამებურძ-  
გლა: ჩემი მკვიდრი მამიდის — ხიმეაუის ხმა ვიცანი, „ეს მოხუცა  
კი ხომ სითია, მამიდაჩემის ქმარი. ეს რა მომივიდა, მაშინვე რო-  
გორ ვერ ვიცანი? — გამიელვა გონებაში.

ფიქრებმა წამილო. ვიდექი და ვიგონებდი რამდენი წელი არ  
გვენახა ერთმანეთი. გარინდებიდან პატარა ამლაკმა ძაღლმა გამო-  
მიყვანა, გაავებული ყეფით რომ გამოვარდა ეზოდან.

— გამარჯობათ, — მივესალმე მე.

მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს. გაოცდნენ, უცნობი კაც-  
უბიხურად რომ ვლაპარაკობდი.

— კეთილი იყოს შენი სტუმრობა, — მიპასუხა სითმა და სახეზე  
ღამაცქერდა.

— ვინ არის ეს უბედური? — შეშფოთება არ დაუფარავს, ისე  
ჩაუჩურჩულა მამიდამ ქმარს.

— მისი ძონძების მიხედვით, უსათუოდ უფლისწული უნდა  
იყოს!

მამიდა ხუმრობას ვერ მიუხვდა და დაბნეულად ჰკითხა:

— რომელი უფლისწული?

ახლა კი ველარ მოვითმინე და ხელები გავუწოდე:

— ხიმეაე მამიდა, საყვარელო, ნუთუ ვერ მიცანი? — ზაურყანი  
ვარ!

— ზაურყანი? — ამოიოხრა მან და თითები პირზე მიიჭიჩა,  
თითქოს ეს რა წამომცდაო და ღონეგამოცლილი ზურგით მიეყრ-  
დნო ჭიშკარს.

— ო, ალაჰ, ამას ვის ვხედავ! ამოიკენესა სითმა და ტირილით  
გადამეხვია.

— სით, ვინ არის ეს? — ისევ ამოიჩიფიჩა მოხუცმა.

— შე საცოდავო, თვალი გაახილე, ზაურყანია, ზაურყანი! შენი  
ძმისშვილი!

— ზაურყანი? ჩემი ძმისშვილი? — და მამიდაჩემი ჩემკენ წა-  
შობუსხუსდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა თუ არა, თვა-  
ლები გადმოქაჩა და ფეხები მოეკვეთა.

მამიდა ხელში ავიტაცე და სულს ცუბერავდი, მაგრამ ვერაფერს  
გაეხდი, გულწასული იყო, ხელში აყვანილი შევიყვანე მოხუცი შინ

და ტახტზე დავაწვინე. სითმა პირსახოცი დაასველა ცივ წყალში და საფეთქლებზე უსვამდა ცოლს.

— იმქვეყნად წასვლა თუ გადაგიწყვეტია, უკეთეს დროს ვერც იპოვიდი: შენი ძმისშვილი დაგაყრის მიწას.

მე მართლა შემეშინდა, ღმერთმა დაიფაროს, მამიდას რომ რამე დაემართოს, ჩემს უნებურად მე ვიქნები-მეთქი ამის მიზეზი.

— ნუ გეშინია, ზაურჩყან, არ მოკვდება, ეს პირველად კი არ ემართება, მალე გადაუვლის, — მშვიდად ჩაიქნია ხელი სითმა. — შენ კი რა ხანია მკვდრად გთვლიდით, შინაურებმა გამოგიტირეს, მაგრამ აი, გაგვიცოცხლდი. დამაცა, ერთი კარგად შემოგხედო, შეილო! ეჰ, დროს მიაქვს სილამაზე, მიაქვს! მთვარესავით გათეთრებულიხარ. მერედა, განა ისე დიდი ხანი გავიდა შენი ბიჭობიდან? დედაშენსა და მამაშენს ცოცხალი რომ ჰგონებოდი, სიკვდილის აღარ შეეშინდებოდათ. დაჯექი, შეილო, დაჯექი, დაისვენე, ფეხები გიბეუის, ალბათ, დაღლილობისაგან, — და ცოლისკენ ისე გადაიხედა, თითქოს ბოდიშს იხდისო, — ამაზე ნუ დარდობ, მოეგება გონს.

მართლაც, მამიდამ თვალი გაახილა, ოხვრით წამოდგა, ფეხები ძირს ჩაუშვა:

— ახლოს დამიჯექი, ჩემო სიცოცხლევ!

შავი თავსაფრიდან ჩამოწეწილი ჰალარა თმა შეისწორა.

მე დაბალ სკამზე ჩამოვჯექი მამიდას ახლოს. ის ნაზად მისვამდა ხელს თავზე, ოხრავედა და ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა ჩათეთქვილ ლოყებზე. მერე სუფრა გაშალა და ვახშამს მიეუხსხედით, გული რომ გადაგვეშალა ერთმანეთისთვის, მოგვეგონებია მკვდრები, როგორც აუხდენელი იმედების აღაპზე.

სითის ბრტყელსახურავიანი სახლი წივისაგან იყო აშენებული. იმ სოფელში ყველას ასეთი სახლი ჰქონდა. კედლები შიგნიდანაც და გარედანაც თიხით ჰქონდა შელესილი. სახლი ორი ოთახისაგან შედგებოდა. ერთ-ერთ მათგანში მე მეძინა. რომ გავიღვიძე, მზე კარგა მალლა იდგა, აივნიდან ქალებისა და მამაკაცების ხმები ისმოდა, ჩემს სახელს ახსენებდნენ. „მეზობლები იქნებიან, — მოვისაზრე მე, — ალბათ ჩემი დაბრუნება მოულოცეს სითსა და ხიმუაქს“. სწრაფად ჩავიცვი და გარეთ გავედი. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, მუაში მომიქციეს და ძმურად მეხვეოდნენ.

— გამარჯობა დაუდ! რა ხანია არ მინახიხარ, მურატ!

— გახსოვართ, ზაურყან?

— აბა, როგორ არ მეხსოვებით, ყველანი ისევ ისეთი ვაყა-  
ცები ხართ, როგორებიც დაგტოვეთ, — ვუპასუხე მე, თუმცა  
ძლივძლივობით ვიციანი ძალზე მოტეხილი ძმები: ჰაფიზი და ხატხვა.

შუა ეზოში ცეცხლზე ქვაბი იდგა და ხორცი იხარშებოდა.  
სუნზე მივბვდი, თხის ხორცს ხარშავდნენ, ეტყობა გულუხვ სითს.  
ვალთ ეყიდა თხა. უბიხური სტუმარმასპინძლობა გაიხსენა. მამა-  
კაცები სუფრას მივუსხედით, საპატიო ადგილი მე დამითმეს. ჩად-  
რიანი ქალები ზღურბლს გარეთ დარჩნენ. მარტო ხიმქაყი იდგა  
კარში და სიყვარულით სავსე თვალებს არ მამორებდა. მეზობ-  
ლებს კერძიანი თეფშები კარამდე მოჰქონდათ და ერთ მკვირცხლ  
ბიჭს აწოდებდნენ, ის კი სტუმრებს უდგამდა წინ. წინათ უბი-  
ხებს ასეთი ჩვევა არ ჰქონიათ. ქალები სახეს არ იფარავდნენ და  
მამაკაცებთან ერთად შეეძლოთ სუფრასთან ჯდომა, ცეკვა და თა-  
მაში. სტუმრებს მხოლოდ ახალგაზრდა ქალები ემსახურებოდნენ  
ხოლმე. რაც შეეხება ჰაბუკებს, უკაცრავად, ისინი ტოლებივით  
ვერ მიუსხდებოდნენ სუფრას უფროსებთან ერთად. მათ საუბარ-  
ში ხომ ვერა და ვერ ჩაერეოდნენ. ახლა კი დროც გამოცვლილი-  
ყო და ხალხიც. მოხუცებში ახალგაზრდებიც ისხდნენ, ხმამაღლა  
ლაპარაკობდნენ, იციოდნენ. ზოგჯერ უფროსებს სიტყვასაც კი  
აწყვეტილებდნენ. წინათ სუფრის წევრებს ხორცს მათი ღირსების  
მიხედვით უნაწილებდნენ; უფრო პატივსაცემ სტუმრებს უკე-  
თეს ნაჭრებს სთავაზობდნენ: ბარკალს, ბექს ან შუაზე გაჭრილ  
თავს. ხორცის გამანაწილებელი ზუსტად წესის მიხედვით ირჯებო-  
და და არც არავის წყდებოდა გული. ახლა კი ნაჭერ-ნაჭერ დაეჭ-  
რათ თხის ხორცი, დიდ ლანგარზე დაეწყოთ და ყველა იმას იღებდა.  
რომელი ნაჭერიც უყვარდა. ღომი კი, რომლის გახსენებაც ნერწყვს  
მგვრიდა, სუფრაზე არ ჩანდა, მის ნაცვლად გამხმარი პურები ეწყო.  
ღვინოს თაფლგარეული წყალი გვიცვლიდა.

პირველი სიტყვა სითმა წარმოთქვა:

— პატივცემულო სტუმრებო, ძმებო და მეზობლებო! დღეს  
ჩემს დაობლებულ ჰერქვეშ ზეიშია. ყველა კარგად ხედავთ:  
ზაურყანი დაგვიბრუნდა. თითქოს იმ ქვეყნიდან დაბრუნდა! მადლო-  
ბელი ვარ თქვენი, რომ მოხვედით და ეს მოულოდნელი სიხარუ-

ლი გაიზიარეთ. ახლა პარტივი დაგვდეთ და მიირთვიეთ, რაც კეთილი გულით მოგვიტანია სუფრაზე. თუ ყველაფერი ისე ვერ არის, როგორც საჭიროა, ნუ დაგვძრახავთ. ალაჰმა გვაკურთხოს!

სითმა განზავებული თაფლი მოსვა და საჭმელს მისწვდა. ყველამ სითს მიბაძა. მზიარული ყაყანით, სიცილითა და ხუმრობით აივსო სახლი. ყველაზე მეტს ახალგაზრდები უბედობდნენ. ხმაძალა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და მოურიდებლად ხარხარებდნენ. მე ვუყურებდი დაბებკილ, გაქეჟილ ჩოხიან ჩემს ძველ ნაცნობებს და ნაღვლიანად ვფიქრობდი: „როგორ გაულევიადროს, მერედა რა გოლიათები იყვნენ ერთ დროს“.

ესეც გავიფიქრე: „თავის ქვეყანაში რომ მოეწვია სითს სტუმრები, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. მთელი ხარი რომ მოეტანა სუფრაზე, მაინც ბოდიშს მოუზღიდა სტუმრებს მცირე მასპინძლობისათვის, ისე რომ ვერ დახვდა, როგორც ეკადრებოდათ. ხის ლანგრით ჯერ თითო სირჩა არაყს ჩამოარიგებდა ყელის გასასველებლად. მერე თამადას აირჩევდნენ. თამადად ისეთ კაცს აირჩევდნენ, ვისაც ჭკუისა და ღირსების სესხება არ დასჭირდებოდა. დაიწყებოდა სადღეგრძელოები და კუჭი კი არ აუღლი დაუკმაყოფილებოდათ. მერე კი თითქოს ციდან დაეშვებოდა სიმღერა. მოხდენილი ბიჭები წვრილ წელზე დონიჯს შემოირტყამდნენ და ცეკვას გააჩაღებდნენ. მორცხვი ქალწულებიც გამოგოგმანდებოდნენ წრეში და ქაღარაულვაშიან მოხუცებს გაიწვევდნენ საცეკვაოდ, ისინიც თავსლავს არ დაისხამდნენ და დაამტკიცებდნენ, რომ ჯერ საფანელი არ გამოლევიათ.“

სითს თავის ქვეყანაში ოქროპირისა და ოხუნჯის სახელი ჰქონდა, ფრთიანი სიტყვა ემარჯვებოდა. ახლა კი თითქოს თითოეულ სიტყვას ჯიბეში ეძებდა და ხშირად ვერ პოულობდა. ერთ დროს პეწიან ეაყკაცს გაქეჟილი, ათასნაირად მიკერილ-მოკერილი ჩოხა ეცვა. ერთადერთი, რაც დროითა და ბედით დაუნდობელ კაცს უცვლელი შემორჩენოდა, კეთილი გული იყო.

სითის თანატოლებსაც მხოლოდ წარსულთ შეეძლოთ სიცოცხლე. ახალგაზრდებს კი, ვინც თურქეთში დაბადებულიყვნენ, წარმოდგენაც არ შეეძლოთ, რა ვაყკაცები და არწივები იყვნენ ერთ დროს ეს წელში მოკაკული მოხუცები. როცა ფეხზე წამოდგარმა ჰაფიზმა ძველებური მრავალყამიერი წამოიწყო, ახალგაზრდებმა

ყურიც არ ათხოვეს. ისინი წკლაპუნით ჰამდნენ თნის ხორცს და რალაც მათთვის საინტერესო ამბებზე კამათობდნენ.

— ეჰ, ჩემო კარგებო, თქვენი წინაპრები ასე არ იქცეოდნენ, — სკადა ჰაფიზმა ახალგაზრდების თავზედური ყაყანის დაჯაბნა, — სტუმარი რომ ეწვეოდათ, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარეც კი ავიწყებოდათ. სტუმრის სადიდებელს მღეროდნენ და ცეკვით ატობდნენ.

— კარგი რა, თუ ღმერთი გწამს; „წინაპრები და წინაპრები“. — მოიგერიეს ახალგაზრდებმა ჰაფიზი.

„ჰოო, — გავიფიქრე მე, — ასეთი უბიხები ჯერ არ მინახავს“.

მაგრამ ჰაფიზს ახალგაზრდების უნებშობისთვის ყურადღება არ მიუქცევია და ძველებური უბიხური სუფრული წამოიწყა:

ჰეი, გმირები ვახსენოთ,  
ღმერთმა დალახვროს ლაჩრები,  
სულ ერთად ვიყოთ ბიჭებო,  
როგორც წერილთვალას მარკვლები.

ორმა-სამმა ხნიერმა კაცმა, მათ შორის მეც, ავიტაცეთ ნაცნობი სიმღერა. ჩემი ხმა მე თვითონ მაოცებდა: თითქოს დუმილის ბორკილები დაწყვიტაო, თავისუფლად და შეწყობილად ჟღერდა.

ჰეი, სტუმარი ღვთისაა,  
რჭულით თაყვანსაცემი,  
სტუმრების საკეთილდღეოდ,  
ყველამ დავცალოთ ყანწები.

სიმღერა ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო, ერთი წუთით მაინც ვაიძულეთ ახალგაზრდები, დაჩუმებულებიყვნენ და ყური დაეგდოთ ჩვენთვის — მშობლიური ცეცხლის უკანასკნელი ფარეშებისათვის.

შმათმა ცრემლი მოიწმინდა და გამიღიმა:

— ჩემი ცხოვრების დასალიერზე, შენი წყალობით, ზაურყან, თითქოს მშობლიური მწვერვალები მოვიარეთ.

ქალები კარში შეჩაგუფებულებიყვნენ; თავსაფრის ბოლოები პირზე აეფარებინათ და გაოცებულები მიცქეროდნენ. ასე ცოტა ხანს გაგრძელდა, მერე ისევ მიწაზე დავეშვიტ.

მე სითთან დავრჩი საცხოვრებლად. მისი ბიჭები კი ოსმან-ქოიდან რომ წაიყვანეს ჯარში, უგზო-უკვლოდ დაკარგულიყვნენ.

მოხუცებმა მთელი სიყვარული და მზრუნველობა ჩემზე გადმოიტანეს...

აი, აქედან, ჩემო საყვარელო სტუმარო, სწრაფმავალი რომ გავიდეს სამხრეთისაკენ, ორი კვირა დასჭირდება კარინჯ-ოვასამდე მისაღწევად, რაც „ქიანჭველების დაბლობს“ ნიშნავს. ადვილი შესაძლებელია, რომ უბიხების გამოჩენამდე იქ ქიანჭველების გარდა ძეხორციელი არ ცხოვრობდა. ეს მიწის ვიწრო და შიშველი ზოლი იყო, ძაღლის ენას მიაგავდა და წვერი ჩრდილოეთისკენ მიექცია. მისი დასაწყისი ახლაც ამშორებულ ქაობებშია შეჭრილი, სადაც ბოლქვა-ბოლქვა დარიალებენ მალარიის კოლოები, წვერი კი ქვიან მთებშია შეჭრილი. ზაფხული იქ, როგორც წესი, ყოველთვის სულშემხუთველი და ხორშაკიანია და მინდვრები მოურწყავად რომ დატოვონ, ბირკა რა არის, ბირკაც ვერ იხარებს. ზამთარი კი, პირიქით, მკაცრი იცის, ქარიანი და თითქმის უთოვლო უარეს ადგილს კატორღისთვისაც კი ვერ იპოვი. მხოლოდ შიშთანს შეეძლო შავ პარასკევს მოეცა რჩევა, სწორედ ამ უსიცოცხლო ადგილას გადაესახლებინათ უბიხები. თუ გადარჩებოდნენ, გადარჩებოდნენ, თუ დაიხოცებოდნენ, მეტი სადარდებელიც არ ექნებოდათ. ჰოდა, ადგნენ და გადაასახლეს უბიხები.

კაცს შუა ზღვაში რომ წამოეწევა ქარიშხალი, თანაც გემის ჩაძირვის შემდეგ, ჯერ საკუთარი ვაჟკაცობის, საკუთარი ხელების იმედი უნდა ჰქონდეს და მერე ღმერთის. უბიხებმა დაბლობის განაპირას აირჩიეს შედარებით ნაკლებად გამოფიტული მიწის ნაკვეთები და მეურნეობას მოჰკიდეს ხელი. უფანჯრო, ბრტყელსახურავიანი წივის სახლების ოცდაათი სოფელი გაჩნდა. კარგად დაუფიქრდი, დად, წივის სახლების! ეს ხომ ბედის დაცივნა იყო. წინათ უბრალო ქოხი რომ აეშენებია, უბიხი შქერის ძელებს ხმარობდა, თხმელას გვერდს უვლიდა და წაბლის ნივნივებს იყენებდა, სახლს ოქროსფერი ჩაღით ან ნაძვის ყავრით ხურავდა. არც ჭის ამოდება სჭირდებოდათ უბიხებს. მაცოცხლებელი წყაროებით იკლავდნენ წყურვილს. კარინჯ-ოვასში კი ათეული საჯენის სიღრმეზე უნდა ამოეჭრათ უსიცოცხლო მიწა, მღვრიე წყალი რომ ამოსულიყო. და ვერც უსაყვედურებდი ახალგაზრდებს, შქერის ქალებისა და მთის ვერცხლისფერი ნაკადულებიდან ძაღზე შორს რომ დაბადებულებიყვნენ, რატომ უბიხურ სიმღერებს არ მღერით, გაფიცებული დოლის ხმაზე რატომ საცეკვაოდ არ გად-

შოღობათ, რატომ ისე არ აქენებთ ცხენებს, როგორც თქვენი მამები აქენებდნენო ერთ დროს.

იცი, აქ მთელი სიცოცხლე რაზე ვოცნებობდი, ჩემო შარახ? ჩემი უსაზღვრო სურვილი იყო, თუნდაც ერთი ღამე გამეთია უბიხურ ფაცხაში. ო, რა ჯადოსნური სიმბრები ესიმბრება იქ კაცს. როგორი ცხელი ზაფხულიც არ უნდა იყოს, ფაცხაში არასოდეს ღაიხუთება ჰაერი. მის მოწულ კედლებში ისე ატანს სიო, როგორც ფრინველის ფრთებში. ღამღამობით ყი იგივე ქუქრუტანებიდან მთვარის შუქი შემოდის და სახეზე გელაციცება. გარედან კრიპინობელები გიმღერაიან ნანას. ო, რა ნეტარებაა!

ახლა კერიას არ იკითხავ? რომელი უბიხი წარმოიდგენდა საცხოვრებელ სახლს კერიის გარეშე? ის წმიდათაწმიდასავით ინახავდა ცეცხლს და ცეცხლიც არასოდეს ქრებოდა კერიაზე, „ღმერთმა გაგიცივოს კერია“ — ამაზე საშინელი წყევლა არ არსებობდა. და შგონი ეს წყევლა მართლა დაატეხა ვილაცამ უბიხებს თავზე, დაატეხა და აუსრულდათ კიდევ. ახლა უბიხებს მიწის იატაკის შუაგულში ორმო ამოეთნარათ, რასაც თანდირს ეძახდნენ და იქ დაეებუდებიანთ ცეცხლი, საკმელსაც აქ ამზადებდნენ და პურსაც აქ აცხობდნენ.

## სიღმინის ბუკი

ზაფხულის შუაღლეა, პაპანაქება. ქათმები ხის ჩრდილქვეშ შექძვრალან და საწყალობლად დაუღიათ პირები. ყველაფერს ხორხოშელა მტვერი ადევს. გზებზე მტვერი ისეა გავარვარებული, რომ ჩექმებშიც კი ატანს მისი სიმხურვალე. სახურავები, მეჩხერი ხეების ფოთლები, ქიშკრები და კევის გაუთავებლად მღექავი აქლემებიც მტვერითაა დაფარული. ხელს შემოპკრავ აქლემს ფერდზე, ან ქიშკარს შეაღებ და ბოლქვა-ბოლქვად ავარდნილი ნაცარი დაგფარავს. თითქოს სოფელი ჩამკვდარაო. ძაღლებიც კი არ ყუფენ. უფანჯრო ბინებში შეყუყუელი ხალხი ავრილებას ელოდება: მზის ამოსვლამდღე დგებიან და შრომობენ, სანამ ჰაერი არ გავარვარდება. მერე ისევ საღამოს ელოდებიან, სამუშაოს რომ მიუ-



ბრუნდნენ. ზაფხულში სხვანაირად არ ხერხდება. მე დროებითი მდგმურივით ვცხოვრობ კარინჯ-ოვასში. ყოველ შემთხვევაში ყველას ასე ჰგონია. „რაკი მოვიდა, წავა კიდევ“. — ასკენიან მეზობლები.

სოფლის შუაგულში მეჩეთია აღმართული. დღეში ხუთჯერ ადის მეუძინი მინარეთზე და მართლმორწმუნეებს ნამაზის შესრულებას მოუწოდებს. ისევ და ისევ გაისმის მისი ხმა: „არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა!“

კარინჯ-ოვასის აღმოსავლეთით შემოდგომობით ჯამხასარები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, რომელიღაც მოხეტიალე ტომის წარმომადგენელი. ისინი თავიანთი მკაცრი ადათის მიხედვით. კარჩაეტილი ცხოვრობდნენ და სხვა ტომის კაცს ახლოს არ იკარებდნენ, ის კი არადა, უცხო ტომებთან სავაჭრო საქმეებსაც მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში თუ მიმართავდნენ. გარეგნულად, როგორც უნაგირზე დაბადებული ყველა მოხეტიალე, წარმოსადგები, ძარღვმაგარი და შავგვრემანები იყვნენ. ისინი მეცხოველეობას მისდევდნენ: თხის არვეებსა და ცხვრის ფარას ერეკებოდნენ საძოვრიდან საძოვარზე. როცა ჯამხასარები ზაფხულის მიწურულს უბიხების ახლოს დასახლდნენ ცოტა ხნით, მათი ცხვრის ტყავისაგან გაკეთებული შავი კარვები დასასვენებლად ჩამომსხდარი ყვავების გუნდს მოაგონებდა კაცს, რომლებიც ყოველ წუთს შეიძლებოდა აშლილიყვნენ და გაფრენილიყვნენ. ჯამხასარების წინამძღოლნი ჯავად-ბეი იყო. ქუში და გულჩახვეული მოხუცი. მიუხედავად იმისა, რომ ჰარამხანაში უბიხი ქალები ჰყავდა, გადმოსახლებულ უბიხებს არ ზოგავდა. ის კი არადა, თავს ესხმოდა და ქალებსა და პირუტყვს სტაცებდა მათ.

რალა თქმა უნდა, ასეთ დროს მუჰაჯირები იარაღს იღებდნენ ხელში და თავის ღირსებასა და ქონებას იცავდნენ. ასეთ დროს ყოველთვის სისხლი იღვრებოდა. მაგრამ ამაზე წინასწარ ვინ იფიქრებდა, წინდაუხედავად ეკვეთებოდნენ ხოლმე მომხდურს.

შიშველი მწვერვალის დასავლეთით შარაულები ცხოვრობდნენ. სალმიანი, თავაზიანი, ჰკეიანი, ანგარიშიანი და ცოტა ცბიერი ხალხი იყო. მხოლოდ ერთ საქმიანობას ეწეოდნენ. დიდი და პატარა ვაჭრობდა. არა მარტო ახლო-მიახლო, შორეული ბაზრებიც კი ხელთ ეპყრათ.

შარაულელი დედა შვილის აკვანს არწევდა და თან ასეთ ნანას უმღეროდა:

ნანა, ნანა ჩემო ბიჭო,  
ჩერ პაწიას ძილი ვიჯობს.  
გაიზრდები, მამას შეცვლი,  
რომ მოიგო ოქრო-ვერცხლი.

გამოჩნდნენ თუ არა უბიხები, ლამის მეორე დღესვე მოაწყდნენ შარაულებელი კარინჯ-ოვასს.

— აბა, ჭადი ვის უნდა, ჭადი!

— ნავთი, ნავთი! — გაისმა ახალმოსული მეწერილმანეების შე-  
ძახილები.

მალე ერთმა მარიფათიანმა შარაულელმა ფარდული გახსნა უბიხების დასახლებაში... მეორემ — კაფე, მესამემ პატარ-პატარა თანხის გასესხება დაიწყო პროცენტებით. მეჩეთი რომ გაიხსნა, მოლადაც შარაულელი პაჯი დადგა, სოფლის მამასახლისად კი მისი ბიძაშვილი. ამბობდნენ, რომ თვით ვალი — გუბერნატორიც ძუნ-  
წი შარაულელების გვარისააო.

უბიხებსა და ამ ვაჭართა ფენის ნაშეირებს შორის თანდათან მარტო სავაჭრო ურთიერთობა კი არა, ნათესაობითი კავშირიც დამყარდა. საზრიანსა და მოხერხებულ ჭაბუკებს საბაზრო დღეებიც ავიწყდებოდათ, საარფიანი საქმეებიცა და მევალებიც, როცა ლა-  
მაზ უბის გოგობებს მოჰკრავდნენ თვალს. ამიტომაც გაისმოდა სა-  
ქორწილო სადღეგრძელოები ორ ენაზე, უფრო ხშირად კი თურ-  
ქულზე, რათა მოწვეული სტუმრებისთვისაც გასაგები ყოფილი-  
ყო. უბიხი საცოლვე ბიჭებიც სიამოვნებით თხოულობდნენ ქალი-  
შვილებს, ვისაც ვაჭრობითა და მევახშეობით ჰქონდათ შეგროვი-  
ლი მზითვი. ასეთი ქორწილების წყალობით, ღვთის გაჩენილ მიწა-  
ზე, ბავშვები ჩნდებოდნენ და რომელ ეროვნებას განეკუთვნე-  
ბოდნენ, თვითონაც არ იცოდნენ.

შენ ტაპირი ხომ არ დაგავიწყდა, დად შარახ, მოხუცი ჰამი-  
დას შვილიშვილი? აი, იმ ჰამიდასი, მდინარე ჭოროხის ტალღებში  
რომ გადაეშვა. ჩერ კიდევ ციხეში მიაბზო მზაუჩ აბხუბას შვილმა,  
ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, რომ ტაპირი ნასწავლი კაცი  
გახდაო, მაგრამ ოსმან-ქოიდან გადასახლებულ უბიხებს ისიც თან  
გაჰყვაო. მართლაც ასე იყო, ტაპირი მასწავლებლობდა, მშობლი-

ურ ენაზე ასწავლიდა ბავშვებს წერა-კითხვას. კარგად მოგეხსენებათ, ასეთი კეთილშობილური საქმიანობისათვის წიგნებია საჭირო. უბიხებს კი აბა წიგნები საიდან ექნებოდათ და აი, ტაპირმა თვითონ შეადგინა უბიხური ანბანი. ეს, რა თქმა უნდა, ხელნაწერი წიგნი იყო და ალბათ ერთადერთი ჩვენს ისტორიაში. მოლას ცხადია, არ გამოპარვია „ჩერქეზის“ ასეთი საძრახისი საქციელი. „რატომ უნდა იცოდნენ ბავშვებმა რაღაც ეშმაკისეული ენა? მაშინ როცა მე მოლა ვარ და თურქულ ანბანს ვასწავლი, აბრები რომ წაიკითხონ და ჭარში გასაწვევ უწყებებს ხელი მოაწერონ. გარდა ამისა, რაკი მექბეთში დადიან, არაბულიც უნდა იზეპირონ, ყურანი ხომ არაბულადაა დაწერილი. ისლამის ქვეყანაში ლოცვები ზეპირად უნდა დაიმახსოვრონ. იმ ენის შესწავლა კი, რომელზეც ვერც ლოცვებს წაიკითხავ და ვერც სულთნის სახელს, მკვებლური წამოწყებაა. მასწავლებელ ტაპირის თვითნებობაზე თვალს თუ დაეხუჭავთ, ვინ იცის, იქნებ ამ ყაჩაღების ნაშვირებმა გულმოდგინეობა გამოიჩინონ და უბიხური წერა-კითხვა ისწავლონ. მერე კი მიდი და არკვიე, რას წერენ და რას აკეთებენ. ალაჰმა დაგვიფაროს, ისედაც ბევრია შფოთისთავი“.

ეკვიანობით იხეთქავდა მოლა თავის ჩერჩეტ თავს და თანდათან რწმუნდებოდა, რომ აქ ძალის თავი იმალებოდა.

საიდან გაჩნდა ეს მეცნიერებაში ჩახედული ტაპირი? სტამბულიდან. სტამბულში სად იზრდებოდა? მოლაღატისა და კაცისმკვლელის შარდინის, ალოუს ძის ოჯახში. აი, თურმე რა ყოფილა! და მოლაც თავის უფროსს ახსენებდა: „გაცნობებთ, რომ ეს უწმინდური ტაპირი იმასაც არ სჯერდება, ღვთის საგმობ ენას რომ ასწავლის სხვა ტომის ბავშვებს. შფოთისთავებსა და ავაზაკებს მფარველობს. მაგალითად, არად ჩააგდო სულთნის ირადა და ერთმორწმუნეთ მოუწოდა, ბეგარა არ გადაეხადათ ალი ხაზრეთფაშასათვის. მუხტარზეც წერდა საჩივრებს და ფაშა ჰუსეინ ეფენდის მოურავზეც. ეს საჩივრები, უფრო სწორად ცილისწამება, რომელიც ვითომდა ხალხის დაწერილი იყო, რამდენჯერმე თვითონ მიიტანა დიდი ვეზირის სასახლეში“.

რაც მართალი, მართალია. შვილო, ტაპირი მართლა იყო ხალხის დამცველი და მფარველი. მაგრამ გაზაფხულის თოვლივით აღელვებდა დიდ ვეზირს ჩვენი სადარდებელი. ყურიც არ გაუპარტყუნებია. ეს იყო, რომ გაიოცა: „უბიხებია? ნუთუ ამდენ ხანს

არ გავლენილან ან არ აღრეულან? თქვენ თვითონ ყოფილხართ დამნაშავე“. და ტაპირის ყოველგვარმა მონდომებამ და ცდამ ამოდ ჩაიარა.

მოლა კი თავისას აკეთებდა, ბავშვებისათვის უბიხური ენის სწავლება სამუდამოდ აუკრძალეს ჰამიდას. შვილიშვილს: ეს სწორედ კარინჯ-ოვასში ჩემი ჩასვლის წინა დღეს მოხდა... ტაპირის ნახვა მინდოდა. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვახერხე. სტამბულს გამგზავრებულიყო თანასოფლელების დასაცავად...

შენ თვითონაც ხედები, ძვირფასო შარახ, რომ სითს სარჩენად ჯერ დავაწვებოდი კისერზე. პოდა, გადავწყვიტე მჭედლობა და ბეწყო, რაც დავითის შვილმა შემასწავლა. მაგრამ მარტო კეთილი სურვილი სამჭედლოს ვერ ამიშენებდა და ვერც უროს, გრდემლს, მაშებსა და სხვა საჭირო ნივთებს გამიჩენდა. სითისაგან ვისესხებდე ფულს, მაგრამ აბა საიდან ექნებოდა? „ჩიბეში თაგვები მიტყავინანო“, მწარედ ხუმრობდა ხოლმე. ამ გადახრიოკებულ უტყეო დაბლობზე ნახშირსაც ვერ იშოვიდა კაცი ცოტა იაფად. რა უნდა შექნა? პურის თესვაში ვეხმარებოდი მოხუცებს. მაგრამ აბა რა მოსავალი უნდა მოგვესლოდა ამ გვალვისაგან გამოფიტულ მიწაზე? ისიც არ დავაეციწყდეს, რომ სითისა და მამიდა ხიმეაყის ნაკეთს ერთი ნაბადი გადაწვდებოდა. ბამბის მოყვანაც დავაპირეთ, მაგრამ მის მოსარწყავ წყალს სად ვიშოვიდით და გადავიფიტრეთ. ერთხელ გარეული გოგრის თესლი ვიშოვეთ. ყელიან გოგრას ეძახდნენ. დაეთესეთ და ჩვენს გოცებსას საზღვარი არ ჰქონდა, ისეთი გოგრა გაიზარდა. სიღარიბე რას არ გასწავლის; გაეახმე გოგრა და ლამაზ სახელურიანი ჩამჩები. საწურები, ფიალები და ათასნაირი ჭურჭელი გავაკეთე. გამხმარი გოგრიდან ბავშვის სათამაშოების კეთებაშიც ხელმარჯვენი გამოვდექით: ფრინველის ბუმბულით მორთულ თოჯინებს ვაკეთებდით, მატყლის ულვაშიან ნიღბებს და რა ვიცე, რას—არა. მიგვქონდა ჩვენი ნაქანირევი და ბაზარზე ვყიდდით. ამ საქონელში აბა ბევრ ფულს ვინ მოგვაშავებდა და ჩვენც მხოლოდ სპილენძის ფული მიგვქონდა შინ.

მადლობა ღმერთს, რომ მამაჩემი არ მოესწრო ამ სამარცხვინო დღეს, მზენელად და მთესველად დაბადებული მისი შვილი ამ ხარახურით ხელში რომ არ ნახა ბაზარზე.

ერთხელ პაპანაქება სიცხისაგან გასავათებული და ბუზებისა-

გან გაბეზრებული მთელ დღეს ვეგდე ბაზარზე. წინ ჩემი ნახელავი სათამაშოები მქონდა გაშლილი. მზის ჩასვლისას ნავაქრი ფულით მარილი, ნავთი, პური ვიყიდე და გზას გაუდექი. ცულ ხასიათზე ვიყავი; ჩემი საქმიანობა ჰეშმარიტ კავკასიელს არ ეკადრებოდა. თანაც ყურმოკრული ამბებიც მათორიაქებდა. ხალხისაგან გაეგვი, რომ ახალ ომს ვერ ავცდებოდით. ამბობდნენ საბერძნეთის ჭარბები იზმიდში ვადმოსასხამად ემზადებიანო. მერსინის რეიდზე საფრანგეთის გემებმა ჩაუშვეს ღუზა. სტამბულში კი ინგლისელები კარნახობენ თავის სურვილს დამოუკიდებლობაწართმეულ სულთანს და სისხლიან საქმეებში ითრევენო. შინ რომ მივედი, სითს მოვეუყუევი გაგონილი ამბები და შიშიც გამოვთქვი უბიხეთის ბედზე.

— ეჰ, ბატონი და ქალბატონი რომ წაეჩხუბება — ერთმანეთს. მოსამსახურეს მოხედება ხოლმე, — ნაღვლიანად გამომეხმაურა მოხუცი.

პარასკეობით მეჩეთში დავიწყე სიარული. არ იფიქრო, ზურყან ზოლაკი მაჰმადიანური საჩუქნოებისკენ მიიქცაო. ამას მხოლოდ იმიტომ ჩავდიოდი, რომ სითი და მამიდა ნიშეაყი არ დამეღუპა. აბა რას ეტყოდნენ, მათ ჰერქვეშ შეფარებული კაცო უღმერთო რომ გამომდგარიყო?

უნდა გითხრა, ძვირფასო შარახ, რომ სანამ მე აფრიკაში დავეხეტებოდი და ციხეებში ვეგდე, ყველა უბიხმა ისლამი ირწმუნა. ამ ამბავმა ცოტათი როდი განმაცვიფრა. ის კი არადა, ისინი უფრო მეტ ღვთისმოსაობას ავლენდნენ, ვიდრე ადგილობრივი შარაულელები.

ყოველ პარასკევს დიდი და პატარა მეჩეთში მიდიოდა. ახლაც ჩემი თანამემამულეები მუსულმანური კალენდრის მიხედვით მარხულობდნენ, რასაც ღარაბი კაციც ადვილად შეასრულებდა. დღესასწაულებზე არ მუშაობდნენ. განსაკუთრებით ურაზისა და ნავრუზის დღეებში. ახლა ცისკენ ხელაპყრობილნი აღარ იძახდნენ „ღმერთო გვიშველეო!“ მიტყუებული ხელისგულები მკერდზე მიედოთ და ისე ამბობდნენ: „ალაჰ, გვიშველე!“ რამაც ყველაზე მეტად გამაოცა, ის იყო, რომ წვეთ სასმელს აღარ უშვებდნენ პირში. ჰო, უკვე აღარაფრით ჰგავდა ეს ხალხი უბიხებს...

შენ ბითხაზე მეკითხები, ძვირფასო შარახ? სწორედ იმაზე უნდა შეამბნა ახლა. ეს სალოცავი ისევ არსებობდა და მოხუცებ-

კვლავაც სცემდნენ თაყვანს. არც უხდა გაგიკვირდეს. ახალგაზრდობაში მინახავს, როგორ ლოცულობდნენ შაფსულები მსხლის ზეზე, რომელზეც, ჯვარი იყო გამოსახული, თუმცა შაფსულები წარმართებად ითვლებოდნენ. ის კი არადა, ჩერქეზებსაც ორი თუ სამი სარწმუნოება ჰქონდათ: ერთნი ქრისტეს სცემდნენ თაყვანს, მეორენი ისლამს აღიარებდნენ, ზოგს კი უფრო პატარ-პატარა ღვთაებები გააჩნდათ, თითქოს ერთად. შერწყმული ქრისტიანული წმინდანები და წარმართული ღვთაებები, როგორც მაგალითად მერისია, ფუტკრის მფარველი ღვთაება. ჩერქეზების ეს ნაწილი ირწმუნებოდა, რომ ერთ ზამთარს ყველა სკა დაიღუპა და მხოლოდ ერთადერთი ფუტკარი გადაარჩა, იმიტომ რომ უცოდველი მერისის სახელოში შეიმალა. ამ გადარჩენილი ფუტკრისაგან აღსდგა ისევ თავლის მკეთებელთა ჯიშო.

ბითხაჲ ქურუმი ისევ საულაჲ იყო. ის უკვე ისეთ ასაკში გახლდათ, მე რომ ვარ ახლა.

და აი, ერთხელ სითი მეუბნება:

— საულაჲ შეუძლოდაა, წამოდი, — მოვინახულოთ, შეილო! სამწუხაროა, აქამდე რომ ვერ მოახერხე მისი ნახვა.

დავემორჩილე და ავადმყოფ ქურუმთან გავწიეთ. ჩემი თანამგზავრი ისე იყო გამოწყობილი, თითქოს სადღესასწაულო ყრილობაზე მიდიოდა. ჩოხა ეცვა, ჩოხის ქვეშ ბეშმეთი; ქამარზე ხანჯალი ეკიდა, ხელში კი რკინის ბუნიკიანი კვერთხი ეჭირა. ქურუმის გასახარებლად გამოეწყო ასე.

შემხვედრები გვესალმებოდნენ:

— სალამ ალეიქუმ!

სითი კვერთხის წვერს მიწაში არკობდა და ყველას ერთნაირად პასუხობდა:

— ვაალეიქუმ ასალამ!

არც ერთი ძველი უბიხური მისალმება? „დილა მშვიდობისა“ და „გამარჯობის“ ნაცვლად „სალამ ალეიქუმ“ და „ვაალეიქუმ ასალამ!“ ასე რატომ უნდა მომხდარიყო? სითს შევეციოთხე და მან მოკლედ მიპასუხა:

— შევეჩვიეთ.

გზაზე ბიჭები „დანობიას“ თამაშობდნენ. გვერდით რომ ჩავუარეთ, არც ერთი არ წამომდგარა, გზა რომ დაეთმოთ. თითქოს არც კი შეუმჩნევიათ ქალარაშერთული გამველელები, აზარტუ-

ლად განაგრძობდნენ ფოლადის დანის მიწაში ჩარკობას. ჩვენ თვითონ ავუარეთ გვერდი. ერთმა შავთმიანმა ბიჭმა, ცოტა უფროსი რომ ჩანდა, თამაშს თავი მიანება და სითს დაუძახა:

— ეგ მატყლი მოიშორე, პაპაჩემო, ძელები გაინიავე!

მოთამაშეები ახარხარდნენ. სითს არც კი მიუხედავს. ეტყობა, პირველად არ იგდებდნენ მასხარად სირცხვილდაკარგული ბიჭები მოხუცებს. ახალ ღროს ახალი ჩვევები მოეტანა.

— ეჰ, ნეტა არ დავბადებულიყავი, — ჩაიბურტყუნა მოხუცმა და რალაცაზე ჩაფიქრდა. იქნებ თავის ჭაბუკობა გაიხსენა უბიხეთში. ოჰ, იქ ყველაფერი სხვაგვარად იყო!

„ცხენი“ — დაიძახებდა ჰალარა წვეროსანი მოხუცი და პატარა სითი თვალისდახმამებაში მოჰკვრიდა მერანს. სითს მანამ ეჭირა უზანგები, სანამ პატვისსაყემი მხედარი ცხენზე არ შეკდებოდა. თუ პტივს დასდებდნენ და ცხენით გააყოლებდნენ სტუმარს, ოდნავ უკან ჩამორჩებოდა და მარცხენა მხარეს გაჰყვებოდა, შეაჩერებდა მოხუცი ცხენს ჩამოსაქვეითებლად და სითი უკვე ძირს იყო. ცალი ხელით აღვირი ეჭირა და ცალით — უზანგი. მერე წინ გაუსწრებდა და კიშკარს გაუღებდა. სუფრას მიუხსდებოდნენ მოხუცები და სითი წყალს, ტაშტსა და პირსახოცს მიუტანდა ხელუბის დასაბანად. სამი დღე და ღამეც რომ მსხდარიყვნენ უფროსები სუფრასთან, არ ჩაიშუხლებდა, ისე მოემსახურებოდა. თუ არაფერს შეეკითხებოდნენ, ხმას არ ამოიღებდა, ეჰ, გაფრინდა წლები და ახლა თვითონ არის მოხუცი, ახალგაზრდობა კი სხვანაირი მოვიდა. ის ლაწირაკები, ახლა დანობიას რომ თამაშობენ, სისხლითა და ხორციით უბიხები არიან, მაგრამ უბიხური აღზრდის ნიშანწყალიც არ ეტყობათ. უბიხები არიანო — ლიტონი სიტყვებია; ღმერთმა იცის, ვინ არიან...

სახლის ეზოში რომ შევედით, სადაც საულაჰი ცხოვრობდა, თავიდან ფეხებამდე თეთრებში გამოწყობილი ქურუმი დავინახე, თითქოს ლოცვაზე მიდიოდა. დაბალ სკამზე იჯდა და ალაბაში<sup>1</sup> ეჭირა. ფერფლისფერი წვერი ქამრამდე წვდებოდა. აქეთ-იქიდან ადგილობრივი მოხუცები უსხდნენ. საულაჰმა მიცნო, წამოღგა და გადაამეხვია.

— ღმერთმა დალოცოს ის სახლი, რომელმაც შენ შეგიფარა.

<sup>1</sup> რკინის ბუნიკიანი კვერთხი.

დაჭდა და გვერდით მომისვა. მე კი ვერ გავებედავდი სუფრაზე ასეთ საპატიო ადგილას დაჭდომას. მოხუცს თავის ტკივილი აწუხებდა. მაგრამ ახლა თითქოს დავიწყნოდა. მისი თხოვნით ჩემს ხეტიალსა და პატიმრობაზე ვუამბე, ნაამბობმა ააღელვა.

— ჩემო ძმანო, — მიმართა საულაჰმა გარშემო მყოფთ, — თქვენ რომ არ მოსულიყავით დღეს, მე თვითონ მოგიწვევდით. ზაურყანის აქ ყოფნაც ზედგამოკრილია, გადავწყვიტე, ქურუმის მოვალეობა მოვიხსნა.

ასეთმა მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ გაგვაოცა.

— ეს დიდი ხანია, გადაწყვეტილი მაქვს, მაგრამ გამხელას ვაყოვნებდი. ვიცოდი, რომ თქვენთვის — უკანასკნელი უბიხი მოხუცებისთვის მძიმე იქნებოდა ამის მოსმენა.

— შეგვინდე, მაგრამ ამის უფლება არა მაქვს. გონება და ნებისყოფა არ შეგცვლია და აჩქარება არ ეგების, ხალხისაგან დაცხრებული მოვალეობა იოლი არ არის, მაგრამ ჩვენი თანამემამულეების სულიერად დაცემის დროს, შენი გადაწყვეტილება ნაჩქარევია, — შეშფოთების დაუფარავად შენიშნა სითმა.

— სულის სიმტკიცესთან სხეულის სიძაბუნე რა მოსატანია, — შენიშნა დაუთმა.

— წინამძღოლი რაღა საჭიროა, როცა ისინი აღარ არიან, ვისაც უნდა გაუძღვე, ფესვებს თუ გადაუჭრი, ხე ველარ იცოცხლებს. ვის რაღად უნდა ისეთი სალოცავის ქურუმი, რომელიც რა ხანია დავიწყებისთვის მიუციათ? — თქვა მწუხარედ თავჩაქინდრულმა საულაჰმა.

— არა, პატივემულო საულაჰ, სანამ წმინდა ბითხას თუნდ ერთადერთი თაყვანისმცემელი მაინც იარსებებს, შენს მოვალეობაზე უარის თქმა არ ძალგიძს, — სითის მხარე დაიჭირა მისმა თანატოლმა თათლასტანმა.

— ნათქვამია, პატივი ხანდაზმულსაც უნდა სცე და ახალგაზრდასაცო. აღსრულდეს ნება თქვენი, — წარმოთქვა საულაჰმა. როცა თავის ტკივილმა გადაუარა. შევეიკრიბოთ და ჩვენი ძვალთ ვნახოთ, ბევრია ისეთი, ვინც ბითხას მფარველობას ეძებს?

— მათი რიცხვი კი შემცირდა, მაგრამ მთლიანად არ მოსპობილა ჯერ, — გულის სიღრმეში თვითონაც არ იყო დარწმუნებული, ისე დაამედა დაუთმა მოხუცი.

ქურუმს გონება კვლავ ფხიზელი ჰქონდა და დაუთის სიტყვებშიც იგრძნო მის გულისგასაკეთებლად მონაგონი.



— ადდგომა და ხვალეო, დიდი ხნის ლოდინი არ მოგვიწევს. პირველსავე ხუთშაბათს მოუხმეთ ხალხს. თუ შეიკრიბებიან...

— ე-ე-ეჰ, შინ რომ ვყოფილიყავით, ერთს ჩავებრავდეთ ბუკს და ყველანი როგორც ერთი, ისე მოვიდოდნენ, — ამოიოხრა სითმა.

ჩვენ წასასვლელად წამოვდექით, მაგრამ საულაჰმა გვთხოვა: ცოტახანს შეიცადეთო, მან თავის ცალხელა ავადმყოფ შვილიშვილს მოუხმო და რაღაც ჩუმად უბრძანა. შვილიშვილმა თავი დაუქნია და შინ შევიდა. ერთი წუთის შემდეგ იშვიათი ძველგზური ქამარ-ხანჯალი და სპილენძის წმინდა ბუკი გამოიტანა.

საულაჰი სწრაფად წამოდგა (რამდენადაც ძალა შესწევდა), ალაბაში მიწაში ჩაასო და წვერზე ხელი ჩამოისვა:

— ძმებო, — მოულოდნელი სიფიცხით მოგვმართა მან, — იცოდეთ, რომ ეს ხანჯალი მაშინ არის გამოქვდილი, როცა უბიხების ქვეყანა ჰყვოდა და დიდებით იყო მოსილი. ის ჩემი მამაპაპათა ნაქონია და მისი პატრონები ნამდვილი ვაჟკაცები იყვნენ. მათი ხელისგული ამ ბასრი მახვილის გაგრძელება იყო. ეს ბუკი კი ხალხის მაცნე იყო. მათი სიხარულისა და მწუხარების მაუწყებელი. მთებიც კი იმეორებდნენ მის ხმას. მე უკვე სამარის პირას ვარ მისული. ჩემი შვილიშვილი კი, როგორც იცით, ავადმყოფი და გამოუტყდელი კაცია, — საულაჰი მე მომიბრუნდა, — ზაურყა: ზოლაკ, ჩემო შვილო, შენ აქ დამსწრეთაგან ყველაზე უმცროს ხარ, გაჭირვება კი ყველაზე მეტი გადაგიტანია. სულიერად სუსტი გაჭირვება ანადგურებს, ძლიერებს კი — აწრთობს. ამიტომ ხოლოდ შენ მიმაჩნიხარ ღირსად, ეს ნივთები რომ გიანდერძო, რომლებსაც ჩვენი ბედის ანაბეჭდი ადევს ზედ.

— ამას ნუ დამაკისრებ, — დავიბენი მე, — შემიძლია კი მათი პილება? მე ხომ უდანაშაულო საიდის სისხლი მადევს: თანაც სულს ვიწყმედ ზოგჯერ, რადგან რწმენის გარეშე დავდივარ მეჩეთში...

— დამმორჩილდი, შვილო! ეს მე უფრო ვიცი, — თქვა მოხუცმა.

დამსწრეებმა მომილოცეს ამხელა პატივი. საულაჰმა მარცხენა მხარზე ხელი დამადო და ბრძანა:

— ხუთშაბათ დილით წმინდა სალოცავზე მიხვალ, ბორცვის, წვერზე შედგები, ბუკს პირთან მიიტან და ჩაჰბერავ. დაე, მისმა ხმამ გაახსენოს უბიხებს ვინ არიან ისინი. დაე, სულიერად და-

ცემულები აღსდგნენ, დაე. ჰკოვონ თავნი თვისნი. და თუ მოლად არ აულია ლმერთს ჩვენზე ხელი, ხალხი შეგროვდება.

მოსუცები გამხნევდნენ, თითქოს ათ-ათი წელი ჩამოიბერტყესო მხრებიდან. მე კი ვიდექი მათ წინ და არ ვიცოდი რა მექნა, გამხარებოდა თუ მეტირა.

## ჩვენი ქარუშის აღსასრული

ოთხშაბათი დადგა. ამ დღეს გულისკანკალათ ევლოდებოდით ხანდაზმულები. ცა ჩაქუფრულიყო შემოდგომის მძიმე ღრუბლები-საგან, უგზო-უკვლოდ რომ მიეჭანებოდნენ საღდაც. ჰაერში წვიმის სუნი ტრიალებდა, მაგრამ გზებზე ისევ იბოლქვებოდა მტვერი. ჯამხასარებს ცხვრის ფარები მთიდან ჩამოერეკათ და ახლა ჩვენი მინდვრებისკენ მოიწევდნენ. შეიარაღებული უბიხი მზირები ღამლამობით მოხეტიალეთა მხარეს ისროდნენ, ჩვენებს არც ჯამხასარებო ჩამორჩებოდნენ და გუშაგებს ტყვიას უშენდნენ.

როგორც ნაბრძანები მქონდა, დილაადრიანად ავედი გორაკზე. თავზე გვირგვინად რომ ადგა გამოფიტული რცხილა. ეს რცხილა კარინჯ-ოვასში. გადმოსახლების პირველსავე წელს დარგეს უბიხებმა. ეტყობა ნიადაგი ძალზე გამოფიტული იყო და იმიტომ გაიზარდა ხე ასეთი სუსტი და უსუსური. ამ უშნო ხის ქვეშ, ქვის ნიშაში ქორის ხატებიანი ბითხა იყო დასვენებული. მოპირდაპირე მხარეს ვიდექი და რატომღაც ვერ ვბედავდი ბუკის ჩაბერვას. „შემწევს კი იმხელა ძალა, იმდენი ჰაერი ჩავისუნთქო, ბუკს ჩაბერო და ისე ავაგუგუნო, რომ ასეულობით კაცმა გაიგონოს? — ვფიქრობდი მე. მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. ბუკის სატუჩეს პირი მივადე და ჩემდა გასაოცრად მისი ცეცხლოვანი ყელიდან გამშული გუგუნი გავუშვი. ვირწმუნე რა ჩემი ძალა. უფრო გამეტებით ჩავებრე ბუკს. ჯერ აღმოსავლეთისაკენ მქონდა პირი. მერე საწინააღმდეგო მხარეს მივბრუნდი, ისე რომ ბუკისთვის პირი არ მომიშორებია. მალე ჩრდილოეთი იდგა ჩემს ზურგს უკან. მერე კი სამხრეთი. მე ვუბერავდი და ვუბერავდი ბუკს, სულს მოვითქვამდი და ისევ ვუბერავდი. საფეთქლებში სისხლი მომაწვა.

მთებში ამ ბუკს სხვანაირი ხმა ჰქონდა. იქ მათგან უმთავრესად და ბანს აძლევდნენ, აქ კი მის მომწოდებელ ხმას შიშველ ქეჩისავედ. წვებოდა სქელი ღრუბლები და ხელად გულავდა. წვიმა დაიწყო ფილტვებგაბერილი ვუბერავდი და ვუბერავდი ბუკსა და სახიდას ჩამონადენი ოფლის წვეთები წვიმას ერთვოდა. ბუკი კი არ მღეროდა, გემის საყვირივით ითხოვდა: შეველას.

დავიქანცე და ხის ქვეშ ჩამოკეცვი, ბუკი ხელმარჯვნივ დავიდე. წვიმამ გადაიღო და გაწიწილი ღრუბლებიდან მზემ გამოაჰყიტა. ხალხი შუადღისას უნდა შეკრებილიყო და მე დრო მრჩებოდა, შინ წავსულიყავ და დანიშნულ დროზე მოებრუნებულყავ. მაგრამ მე მარტოობა მეწადა, ფიქრებთან მარტო დარჩენა. ჰოდა, მეც აღარ წავედი.

ნეტა, მოაღწია ბუკის ხმამ უბიძებამდე? თუ მოაღწია და ნეტა რას ფიქრობენ? ან თუ შეგროვდებიან, მოუსმენენ საულაჰს? აფორიაქებული სული თანდათან დამიწყნარდა და ნეტარი სიმშვიდე დამეფულა, რაღაც საოცარი თვლემა მომერია. ნახევრად მოხუკული ქუთუთობებიდან დილის ბურუსში გახვეული მთები დავინახე. წვეტიანი ქედები პირველქმნილი სითეთრით ბრწყინავდა. გრანიტოვანი კლდეებიდან თეთრი, ქაფმოდებული მდინარე სოკი ეშვებოდა. აი, დაბლობს მოაღწია და გამჟვირვალე გახდა, დინებას უკლო. ფსკერზე მოფენილი კენჭებიდან მზე ირეკლებოდა. იმ ადგილას, სადაც კალაპოტი ვიწროვდებოდა, ნაპირები ამალღებულიყო. მდინარეს უნაგირივით ედგა ვიწრო ხიდი. მე ხიდზე ვიდექი, წყალში ვიხედებოდი და ჩემს ახალგაზრდა უწვერო სახეს დავცქეროდი. უცბად ლერწმების ფრთხილი შრიალი გაისმა. მოვიხედე და სამი შველი დავინახე. დამფრთხალნი აცეკებდნენ თვალებს და წყლის დასაღევად ჩამოდიოდნენ. ო, რა მშვენიერი თვალები ჰქონდათ, გრძელი წამწამებით შემოჭარული, ასეთი თვალები მთიელი ქალწულებისთვის მინახავს ხოლმე. ჩემი კაციანი თოფი თან მქონდა, მაგრამ გასროლა საცოდაობა იყო და იარაღი გვერდზე გავწიე. ნეტა ასე ცივი რატომ არის? ო, ღმერთო ჩემო, ეს ხომ ბუკია... და გამოეფხიზლდი კიდეც. ჩემ წინ ყვითლად დაფორუქებული მიწა იყო. ულაზათო რცხილამ, როგორც სალოსმა, რაღაც ჩაიშრიალა სველი ფოთლებით და შიშმა ამიტანა. სად ვიყავი სულ რაღაც ერთი წუთის წინ? ნუთუ ჩამეძინა? არა, არა, თვალის არ მომიხუჭავს! არადა, ეს სიზმრის მსგავსი მოჩვენება

ნება საიდან გამომეცხადა? ნუთუ თვალდაუხუტავადაც შეუძლია კაცს სიზმრის ნახვა?

ფიქრები გორაკისკენ მომავალმა მგზავრმა გამიფანტა. ყოველი შემთხვევისათვის ცას ავხედე: მზე ჯერ ზენიტზე არ იყო, ეს კაცი თუ ჩემი ბუკის ხმაზე მოიჩქარის, რაღაც ამბავს უსწრებს წინ. უქედოლაა. ხალათი და ჩექმები აცვია. აი, მის სახესაც ვარჩევ. უცნობია შექალარავებული თმა უკან გადაუვარცხნია. მომიახლოვდა და გაიღიმა:

— დღე მშვიდობისა! წარმატებას. გისურვებ, ზაურყან! რომ იყოლე, რა მიხარია! — უცნობი გადამეხვია.

— შენც ყოველივე სიკეთეს გისურვებ, უცნობო.

— უცნობი რაღა ვარ? ჩვენ შესანიშნავად ვიცნობთ ერთმანეთს! განა შენ არ მიყოფდი ლუკმას, შენს ოჯახში რომ ვცხოვრობდი?

გაოცებისაგან სახტად დავრჩი:

— ტაპირ, წმინდა ბითხას გეფიცები, მართლა ძმად მიმაჩნობარ! — და ქალარაშერთულ კაცს გადავეხვიე, გაფიქრებისაც კი მეშინოდა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტი იყო გასული, ხელში აუჯანილი რომ მიგვყავდა მე და მატას ობლად დარჩენილი ბიჭი ოსმან-ქოის გზაზე. ტაპირი მართლა ჩვენთან ცხოვრობდა, სანამ შარდინმა, ალოუს ძემ არ გააგზავნა თავის მემკვიდრესთან ერთად! ტამბულს. ო, რა ცხარე ცრემლით ტიროდა დედაჩემი, პატარა ტაპირს რომ ემშვიდობებოდა. ერთმანეთს მივჩერებოლით და ერთმანეთის ცქერით ვერ ვძლებოდი. რაც უფრო მეტად ვაკვირდებოდი ახლანდელ ტაპირს; მით უფრო მკაფიოდ აღვიდგენდი პატარა ტაპირის სახეს. ჰო, ჰო, ეს მისი სწორი ცხვირი... ეს კი მისი თვალებია, ისევ ისეთი ლურჯი.

— შევხვდით და მერე სად შევხვდით ერთმანეთს, ბითხასთან. ქეშმარიტად წმინდა ადგილია, — ვთქვი მე.

გაცისკროვნებული ლურჯი თვალები მოედრებლა ტაპირს.

— წმინდა ადგილი ზღვის იქით დარჩათ უბიხებს... წუხელ სტამბულიდან დაბრუნებულს ცოლმა მახარა შენი აღდგომა. გვიანი იყო და შეწუხება ველარ გაგიბედე. დილით კი სითმა მითხრა, აქეთ რომ იყავი წამოსული. მერე ბუკის ხმაც გავიგონე. ბიძაშენმა მართალი თქვა: „თუ ოდესმე ვინმე აღმდგარა მკვდრეთით, ეს, ჩვენი ზაურყანია“. იმ დალოცვილ დროს რომ დაბრუნებულიყავი

შინ და ამდენი რამე გქონოდა გადატანილი, კავკასიაში სიმღერებს შეთხზავდნენ შენზე და აფხიარცაზე დაამღერებდნენ. შენ ბრალი როდია, ზაურყან, აფხიარცაზე დამკვრელები რომ გადაშენდნენ და აღარავინ თხზავს სიმღერებს გმირებზე. მაგრამ უბიხებისათვის, იმათთვის, ვინც უბიხობს, შენი დაბრუნება დიდი მოვლენაა. შენ ძველი თქმულება გაახსენე თანამემამულეებს: „ერთხელ მთებს უბედურება დააწვათ მხრებზე. მთებმა მის სიმძიმეს ვერ გაუძლეს და ეს უბედურება ადამიანის მხრებზე გადაიტანეს. ადამიანები კი წელშიც არ მოხრილან ამ სიმძიმისაგან“. შენი სახელი სულიერ ძალას მატებს ღონემიხილთ, მამაცობასა და მოთმინებას ასწავლის.

ის ლაპარაკობდა, მე კი მოხიბლული მიეჩივებოდი. ფართო მხრებზე სურის ყელივით აზიდვოდა მზემოკიდებული კისერი, მაღალსა და სუფთა შუბლზე ნაჭრილობებივით აჩნდა ერთადერთი ნაოკი. ჭაღარაშერთული უღვაშები მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი და ზედა ტუჩს ძლივს უფარავდა. წარბებს კი ჭერ ვერ მორეოდა სითეთრე, ისევ შავი ჰქონდა.

— ძალიან გამიხარდა, ტაპირ, ხალხის ქომაგი რომ ყოფილხარ, ყოჩაღ! სტამბულიდან რა ამბები ჩამოიტანე?

— ცუდი ამბები, ზაურყან, უბიხებისთვის არავის სცალია. უთანხმოება და უნებისყოფობა გამეფებული ზედა ფენებში. მთელი დღე ვუტრიალებდი სახელმწიფო უწყებათა ეზოს. ყურიც არავინ ათხოვა ჩემს თხოვნას. რითაც წავედი, იმითვე დავბრუნდი. განწირულები ვართ და ეგ არის...

შუადღე ახლოვდებოდა.

— როგორ ფიქრობ, შეგროვდება ხალხი? — ვკითხე მე.

— მოხუცები კარდაკარ დადიოდნენ და ხალხს ეძახოდნენ. ბუკის ხმაც გაიგონეს, ალბათ ნაწილი მაინც მოვა. — მიპასუხა ტაპირმა. იგი წინ და უკან მიდი-მოდიოდა.

— უბიხები მართლმორწმუნე მუსულმანები გახდნენ. — ტაპირმა ბითხასკენ მიმითითა. — ამის თაყვანისცემა წარსულს ჩაბარდა, ახლა სხვა სალოცავი უფრო სჭირდება ამათ.

— რა სალოცავი?!

— თავისუფლების რწმენა! მაგრამ მის თაყვანსაცემად მაგარი მუხლი და იარაღია საჭირო.

— ერთი მუჟა ხალხი მთელ სახელმწიფოს როგორ უნდა ეომოს?

— მართალი ხარ, ერთი მუჟა ხალხი ვერაფერს გახდება, მაგრამ თავისუფლების სურვილით ყველა ჩაგრული უნდა განიმსკველოს. ხალხებს შორის განხეთქილება ადამიანის ბუნებიდან როდი მოდის, ეს ხელისუფალთა მოგონილია. ღარიბი ღარიბს ყოველთვის გაუგებს, სულ ერთია, რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ. მიწის ბატონ-პატრონი ის უნდა იყოს, ვინც მის დამუშავებაზე ოფლს ღვრის. უკეთესი მომავალი ბავშვივით უნდა იზადებოდეს ურთიერთშეთანხმებით.

— ალბათ ეს შეთანხმება არ არის ადამიანებისათვის დამახასიათებელი. სადაც დღეა, იქ ღამეცაა. სადაც სიმდიდრეა, იქ სიღარიბეცაა. ერთი ბედნიერია და მეორე ცრემლებს ღვრის. ერთი ქვეყნიერებას მოევლინა და „გამარჯობაო“ მიესალმა, მეორე კი „შვიდობითო“ ეთხოვება წუთისოფელს. არა, ადამიანებს არ ძალგვიძს ამ ყოფის შეცვლა, ტაპირ!

— სიკვდილ-სიცოცხლის, დღისა და ღამის საკითხს ვერ შევცვლით, მაგრამ ადამიანების ბედის შეცვლა კი შეგვიძლია. იქნებ არ გაგიგია, რომ რუსეთში მეფე გადმოაგდეს?..

— ყრუ კი არა ვარ...

რევოლუცია ზღაპარი არ გეგონოს. ქმობის კანონი რუსეთში ძალაში შევიდა და ახლა იქ ძლიერთა უფლებები კი არ არის გამეფებული, ყველა ხალხს ერთნაირი უფლებები აქვს. შენს თვისტომებს დედაშენის მხრიდან — აფხაზებს ახლა თავიანთი სახელმწიფო აქვთ. აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი შარშან თურქეთში იყო.

ხომ ხვდები, ძვირფასო შარახ, რა დღეში ჩავვარდებოდი. ბითქას მოსალოცად მოვედი და ასეთი სიტყვები მოვისმინე. როგორ არ ვცდილობდი სიყრმიდანვე ნაცნობი აფხაზეთი ისეთი წარმომედგინა, როგორსაც ტაპირი მეუბნებოდა. მაგრამ არაფერი გამომივიდა. ჩემი წარმოსახვა უძლური იყო.

— რუსეთში მომხდარი ამბების ექომ ჩვენამდეც მოაღწია. სულთნის ძალაუფლება ბიწუზე ჰკიდია... აქაც ამოდრავდება ხალხი და მაშინ...

— რა მაშინ?

— ყველაფერი შეიცვლება ზაურყან, მომისმინე, მინდა ერთი რჩევა გკითხო: ხალხი რომ შეიკრიბება, რა იქნება. მე რომ ვიქადაგო ყოველივე იმაზე, რაზეც ახლა ვსაუბრობდით?

— აბა, რა ვიცი, უხერხული ხომ არ იქნება? ვშიშობ, ხლათორთი არ აიტეხო. უბიხებს შორის რა ხანია ერთი პირი აღარ არის. გაგანია შუადღე იყო. ბორცვისკენ ორ-ორად და სამ-სამად მოდიოდა ხალხი. ქალების ქაჰანება არ იყო. მაჰმადიანურ ადოსს ფეხი მოეკიდა.

ორ ქაბუკს გაკოჭილი თეთრი თიკნისათვის ფეხებშუა ლატანი გაეყარა და ისე მოჰყავდათ. უკან მოხუცები მოჰყვებოდნენ ქურუმის წინამძღოლობით. მე და ტაპირი გორაკიდან ჩამოვედით, რადგან პარაკლისის გადახდის დღეს მწვერვალზე დგომის უფლება არავის ჰქონდა ქურუმის გარდა. ჩემი ვარაუდი გამართლდა: ცოტა ხალხი შეიკრიბა. პარაკლისის შემდეგ ქურუმმა შეწირული თიკანი დაკლა. ახალგაზრდებმა არ იცოდნენ, როგორ გაეტყავებინათ დაცლული პირუტყვი და ისევ მოხუცმა თათლასტანმა იკისრა ეს საქმე. გაატყავა თიკანი, ხორცი დაჩეხა და ქვაბში ჩაყარა. წინათ, იმ დღით კურთხეულ დროში ყველა გვარის ხალხს ცალ-ცალკე მოჰყავდა შესაწირავად თხა. ახლა კი ბითხას თაყვანისცემლებს ამ ერთი თიკნის საყიდელი ფულიც ძლივს შეეკოწიწებინათ.

წინათ, ასეთ დროს ჭადრის ფართო ფოთლებზე აწყობდნენ ხოლმე მოხარშულ ხორცს და ისე გვახლებოდნენ. აქ კი ათ ვერსზეც ვერ ნახავდა კაცი ხის ნასახს. ჰოდა, რამდენიმე კაცი სიმინდის ფოთლების მოსატანად წავიდა. ეს თავყრილობა დიდი მოსაწყენი რამ იყო იმათთვის, ვისაც თავის დროზე ჰქონდა ნანახი ბითხასთან შეკრება. სად დაიკარგნენ მალალი და წარმოსადეგი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი შაებოხოხიანი ჭიგიტები? სად გაქრა მოხუცების დარბაისლური საუბარი და ახალგაზრდების თავაზიანობა? სად არიან ის მარჯვე ცხენოსნები, ლოცვის შემდეგ დოღს რომ მართავდნენ ღვთაების პატრესაცემად? სად არიან კოჭებამდე ნაწნავებჩაშეებული ქალწულები, ფრთებივით რომ გაშლიდნენ ხელებს და ფეხის წვერებზე დაგოვმანობდნენ? ან ის ფიცხი ბედაურები სად გადაიკარგნენ, მოუთმენლად რომ აცეცებდნენ თვალებს, ფლოქვებით რომ თხრიდნენ მიწას და ლაგამს ღეჭავდნენ. ერთადერთი გაქუცული აქლემი ძოვდა ბალახს შორიახლო, ეგ იყო და ეგ. დაქანცული, არაქათგამოცილილი ხალხი რაზე აღარ ლაპარაკობდა, წმინდა ბითხას გარდა. ტაპირი რომ დაინახეს, შემოეხივივნენ და სტამბულის ამბების გამოკითხვა დაუწყეს.

მაგრამ აი, ქათქათა ტანსაცემელში გამოწყობილი საულაჰი

მოჩვენებასავით გადმოდგა გორაკის წვერზე. მარჯვენა ხელში ტირიფის ტოტი ეჭირა, რომელზეც შამფურივით წამოეგო თხის ოხშივარადენილი მოხარშული გულ-ღვიძლი. მოხუცებმა ქულები მოიხადეს და მუხლი მოიყარეს. მეც მათ მივბაძე. ჩემდა გასაოცრად ტაპირმაც დაიჩოქა. „საკუთარი ქადაგების წარმოთქმას კი აპირებდა“, — გაეფიქრე მე.

დამსწრეთა უმრავლესობა ისევ ფეხზე იდგა. ის კი არადა, ზოგიერთები აბოლებდნენ კიდევ.

— ო, ყოვლისშემძლე ღმერთო, — დაიწყო საულაჰმა. სიჩუმე გაშეფდა და მოხუცმა აქანკალებული, უღონო ხმით გალობასავით განაგრძო: — *ო, ქორის სახიანო წმინდა ბითხა, ჩვენო მფარველო და შემწევ, გვაკურთხე, შეგვინდე ცოდვები გზასადენილებს და უბიწო გზაზე დაგვაყენე. შესაწირავის სიმცირისათვის ნუ შეგვრისხავ. მუხლმოყრილი გევედრებით და მთელ იმედებს შენზე ვამყარებთ. გვისმინე, ყოვლადმოწყალო...*

ძლივს მოვასწარი იმის გაფიქრება, რომ წინაპრები ტყუილად როდი თვლიდნენ-მეთქი ბითხას ყოვლისშემძლედ, ალბათ იცავდათ კიდევ და ეხმარებოდათ-მეთქი, რომ უკანა რიგში ყურისწამლები სტვენა გაისმა. ყველამ მივიხედეთ. ასკერის გახუნებულ ტანსაცმლიან კაცს ოთხი თითი ჩაეყო პირში და გამწარებული სტვენდა. ხალხი აუყვირდა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ყურიც არ გაუპარტყუნებია.

— რაც თავი მახსოვს, სულ ელოცულობთ, მაგრამ აბა რა-ხეირი გვაქვს? პაპაჩემიც ლოცულობდა და მამაჩემიც დამბლადაცემულივით მუხლებზე დაჩოქილი მაგის წინ, — ბითხასკენ გაიქნია თავი, — მერე რა სიკეთე მოგვიტანა? სამი წელი სულთნის სადიდებლად ტილებს კვებავდი ბალკანეთში და სისხლით ვრწყავდი მიწას. დავბრუნდი და აღარც მამა დამხვდა ცოცხალი და აღარც დედა. აი, ასე ცარიელ-ტარიელი დავრჩი. მითხარი, პატრივემულო მოხუცო, რამ დააბრმავა და დააყრუა წმინდა ბითხა ისე, რამ ვერაფრით დამეხმარა უდანაშაულო კაცს? — გადააფურთხა და ხელი ჩაიქნია. — ყოველივე ეს სიცრუეა და მეტი არაფერი.

— შენ რა, გაგიჟდი? — დაუყვირა ღვთისგმობით გაბრაზებულმა სითმა.

— მეჩეთში ხმას არ გალებინებენ, აქაც ენას კბილი დააპირო,



შეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია, — მკვახედ თქვა ჯარისკაცის ამხანაგმა.

— ხმა გაიკმინდეთ, მკრეხელებო! — იყვირა მოხუცმა დაუთმა, მაგრამ ჯარისკაცსა და მის ამხანაგს აინუნშიაც არ ჩაუგდიათ მისი ყვირილი.

— ბითხა დიდი ხანია განისვენებს და შენც ამოდ გიკირავს მის წინ. ჯოხზე წამოცმული გულ-ღვიძლი... — წამოიძახა ჯარისკაცმა მეორემ კი დაცინვით დაუქირა მხარი:

— თუ შენი ბითხას გარეშე მაგ გულ-ღვიძლის გემოს ვერ გაიგებ?

ატყდა ხმაური, შეხლა-შემოხლა უფროსებსა და ახალგაზრდებს შორის.

— რა მოგივიდათ, ლოცვის ჩაშლა ხომ არ განგიზრახავთ? — იძახდა ახალგაზრდებისკენ მიბრუნებული თათლასტანი და კვერთხს იქნევდა ჰაერში.

ტაპირი გორაკის მწვერვალისკენ წავიდა, ეტყობა. გადაწვიტა, ხალხისთვის ეთქვა თავისი გულისნადები. ამ დროს ქურუმმა ლოცვა შეწყვიტა და თხის გულ-ღვიძლასხმული ტრტი ბელიდან გაუვარდა. თითქოს ზეწარი მოგლიჯაო ქარმა თოკიდან. ხელები ჩამოუცივდა და თავით ფეხამდე თეთრებში გამოწყობილი ბითხას წინ დაეცა.

მოხუცი ბელებზე გადაიწვინეს და შინ წაიყვანეს. გონზე არც მოსულა, ისე გარდაიცვალა ქურუმი საულაპი იმავე ღამეს.

## მანსოუ, შარდინის ვაჟი

ო, ჩემო შარახ, თავი თუ არ მოგაბეზრე, ჩემი მეხსიერების ხის რამდენიმე ნაყოფი კიდევ უნდა იგემო.

ყველაზე ძალიან ქვეყანაზე შარდინი მძულს, ალოუს ძე. ჩვენი ოჯახისა და უბიხების ყველა უბედურებას მის სახელს ვუკავშირებ. ეს მკრეხელი იყო ჩემი დების შერცხვენისა და დაღუპვის მიზეზი. მისმა მოწამებრივმა სიკვდილმაც ვერ დამიცხრო

შურისძიების წყურვილი. შარდინის მოსისხრად ვრჩებოდი ისევ. წეტავ საიჭიოშიც ხიშტებზე წამოცმული ატარონ ეშმაკებმა.

კარინჯ-ოვასში რომ დაესახლდი და გავიგე მანსოუ — მამაჩემის ძუძუმტის ნაშიერი არხეინად ცხოვრობსო, გავეოციდი. მამულს გლეხები უმუშავებდნენ ბეგრით. სახელმწიფო ბოროტმოქმედის შვილს სულთნის თურქეთის უბრალო ქვეშევრდომად თუ დატოვებდნენ, ესეც დიდი სიკეთე მეგონა, თორემ ისევ სხვის ხარჯზე თუ იცხოვრებდა, ამას როგორ წარმოვიდგენდი. მაგრამ ნუ იტყვი, ჩემო შარახ, და დიდგვაროვნებისთვის სხვა კანონები არსებობს თურმე. ვინმე ჩემნაირი გაჭირვებული თუ ჩაიდნენ დანაშაულს, მთელ ოჯახს ამოუძირკვავენ. ასეთსავე დანაშაულს ჩაიდნენ დიდგვაროვანი და მის მემკვიდრეს არაფერს ავნებენ — შვილი მამაზე პასუხს არ აგებს. ჰოდა, მანსოუზეც იზრუნეს. აბა რა სათქმელია, ქარაფშუტა და უჭკუო ყმაწვილია, მაგრამ აზნაურთა შთამომავალია. ჰოდა, აბა აზნაური ხომ არ დახნავს მიწას? ასე რომ მოხდეს, ერთ მშვენიერ დღეს მდაბიონი ადგებიან და ატყვიან, რომ ამ ქვეყანაზე წესრიგი ალაპს კა არა, ეშმაკს დაუმყარებიაო და დიდგვაროვნებისადმი ძველებურ პატივისცემას მთლად დაკარგავენ.

შარდინი, ალოუს ძე რომ გამოასალმეს სიცოცხლეს, მანსოუს დედას ცოტა წვალება როდი დასჭირდა, მემკვიდრე საფრანგეთში რომ გაემგზავრებინა. მის დაბრუნებას კი ვეღარ მოესწრო, ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა... დარდიმანდი, თავნება და კარგი გარეგნობისა იყო მანსოუ. ვაჭრობას მოჰკიდა ხელი, შუღერებს დაუახლოვდა და ლამეებს კაზინოში ათენებდა. ერთხელ, დანაშაულზე რომ წაისწრეს, მაშინ გაიხსენა უბიხები და კარინჯ-ოვასში გამოცხადდა. „მე თქვენი თავადი ვარ, — მოაგონა მან ხალხს, — გთხოვთ შემეყვაროთ და წყალობის თვალით გადმოხედოთ.“ რასაკვირველია, მიიღეს, მოხარული ვართ პატივი რომ დაგვედეთო და დაემორჩილნენ კიდევ.

ეჰ, უბიხები, უბიხები, რა არ აწვნიათ ცხოვრებამ და ძველი დვრიტა მაინც მტკიცედ ჰქონდათ გამჭდარი ძვალსა და რბილში. კისრები მოიდრიკვს და მოგეხსენებათ, მოდრეკილ კისერზე უღლის დადგმას დიდი ჯაფა არ სჭირდება. მთავრობაც გულუხვად მოექცა — ჰარბად მიუზნობა მიწა, იცხოვრე, იბატონე და ინეტარეო. მანსოუ მაქინაცრებში დახელოვნდა და უბიხების ახლადგა-

მომცხვარმა წინამძღოლმა ბაშბის ყიდვა-გაყიდვას მოჰკიდა ხელი. საქმე კარგად წაუვიდა და მალე ამ ლატაკმა ქონებაც დაიგროვა. მისი სახლი ახლომახლო პირველი სახლი იყო თვით ალი ხაზრეთფაშას გულის გასახეთქად. თავისი თანამემამულეების ბედი და გაჭირვება მანსოუს, უბრალოდ რომ გითხრა, ფეხებზე ეკიდა. ერთადერთი რაც აინტერესებდა, ის იყო, რომ უბიხებს ვირებივით ემუშავათ მის მამულში და თავი არ დაექვრინათ შთამომავლობითი მორჩილებიდან. დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, ხომ გაგიგონია? მამამისის ზნე და მიღრეკილებები პირწმინდად გადაიღო მანსოუმ. მე როგორც შემეძლო, თავს ვარიდებდი შარდინის ნაშიერს, მაგრამ ერთხელ სითი ავად გახდა და მის მაგივრად უნდა მემუშავა მანსოუს მამულში კვირაში ერთხელ. ხან უნდა მეთოხნა და ხან პირუტყვზე მომემწყემა. მახსოვს, ჭამხასარებსა და უბიხებს შორის ახალი დავა ატყდა. მათ წინამძღოლს ჭავად-ბეის ათი ცხვარი დაეკარგა და ვალისთან იჩივლა: ცხვრები ალბათ უბიხებმა დაკლესო. სამი უბიხი ჭაბჭვი დაიჭირეს, დაჰკითხეს, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთი რომ ვერაფერი ნახეს, უბრალოდ გაამათრახეს და გამოუშვეს. ჭავად-ბეი გაცოფდა, როგორ, ცხვრები დაიკარგა და გამტაცებელი არ ჩანსო? და ჩვენს მინდერებსა და ყანებში აქლემების ჯოგი შეჩვენა. უბიხებმა სროლა აუტეხეს აქლემებსაც და მათ მარეკებსაც. სამი დღე და ღამე უშენდა ორივე მხარე ერთმანეთს ტყვიებს. ერთ მშვენიერ დღეს დავინახეთ. ჭავად-ბეი მხედრების თანხლებით მანსოუს სახლისკენ მიაჭენებდა ცხენს. სუფრას უსხდნენ, ქეიფობდნენ, ერთმანეთის სადღეგრძელოებს სვამდნენ და ტრაბახობდნენ, ვისმა ხალხმა რამდენი კაცი მოკლა ამ შეტაკებაში.

სითის სახლში შეგროვილმა მოხუცებმა სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, მე დამავალეს, მანსოუსთან წავსულიყავი და შევხვეწნოდი, რომ ჭავად-ბეის მოლაპარაკებოდა და სისხლისღვრა შეეწყვიტა.

— მე რა გასაგზავნი ვარ, — ვეწინააღმდეგებოდი მოხუცებს.

— თქვენი მამები ძუძუმტეები იყვნენ და აბა, სხვა ვინ უნდა გავაგზავნოთ? — მარწმუნებდნენ ისინი.

ისე გაუმართლოს, დად შარახ, უნეს მტრებს, როგორც მე გამიმართლა მაშინ. შევალე თუ არა რაღაც უცნაური ღვლარჭინი

ლობით შემკული რკინის ქიშკარი, თითქოს მიწიდან ამოძვარაო, დარაჯი ამესვეტა წინ.

— შენ აქ რა გინდა?

— მე ზაურყან ზოლაკი ვარ, ბატონის ნათესავი და საქმეზე მოვედი.

— ნათესავი? ზაურყან ზოლაკი? ენას მოიტეხს კაცი ამ სახელის სათქმელად. „ზაურყან ზოლაკი“, ასეთი ნათესავი რალაც არ გამოგონია. — დაექვებულმა ჩამათვალეირა თავიდან ფეხებამდე და მობრძანა:

— აბა, ზურგისაკენ, სულელო, ნაბიჯით იარ!

— იცოდე პატრონისაგან მაგრად მოგხვდება, ასე რომ ექცევი მის ახლობლებს.

— ბატონს არ სცალია, საჩინო სტუმრები ჰყავს, შენი ტოლი იქ არავინ არის. ალი ხაზრეთ-ფაშა და ფრანგი გენერალი ეწვივნენ. აბა აქედან მოუსვი, ვის ვუბნები, მოუსვი-მეთქი.

რა უნდა მექნა? ცოტა ხანს კიდევ ვიწრიალე და წამოვედი. ვამოვედი თუ არა ეზოდან, მხიარული ლაპარაკი შემომემსმა, რკინის ლობეს ავეკარი და ოთხი კაცი დავინახე. წინ მომღიმარი მანსოუ იდგა, ამის გამოცნობას დიდი ამბავი არ უნდოდა: პირწავარდნილი მამა იყო. მარცხნივ კასრივით ჩამრგვალებული, ბრჭყვიალაპოლეტებიანი თურქი ედგა, ჩიბუხს ეწვოდა. „ალი ხაზრეთ-ფაშა“ — გავიფიქრე მე. მარჯვნივ ხელჯოხიანი ხმელ-ხმელი პატონი ედგა, მკერდზე საპატო ნიშნები უბრწყინავდა და ისეთ ენაზე წამოიძახებდა ხანდახან რალაცას, რომ არაფერი მესმოდა. „როგორც ჩანს, ეს არის ფრანგი გენერალი“. მოშორებით კი ჯავად-ბეი იდგა, წარმოსადეგი თეთრი მოსასხამით. სწორედ ასეთი ამიწერეს. ვისაც ნანახი ჰყავდა.

კაცები სუფრას შემოუსხდნენ, რომელზეც ხილი და თხილი იყო მორთმეული. „ტბილად ცხოვრობენ მევენახეები, — გამიელვა თავში, — მამლების ჩხუბილა აკლიათ“, — გავიფიქრე მე და მაშინვე თითქოს ჯადოსნური ზღაპარიად, ორი მსახური გამოჩნდა მამლებით ხელში. გაუშვეს თუ არა ფრინველები, წითელი მაშალი გააფთრებით ეცა თეთრ მამალს, ეცნენ და სულ ბღღვირი აღინეს ერთმანეთს. მერე განცალკევდნენ, აფხორილებმა ფრთები ჩამოუშვეს, ნისკარტი მიწაზე აიღესეს, თავები დალუნეს, ერთი წუთით ბორბტად ახამხამებდნენ თვალებს და ისევ ეკვეთნენ

ერთმანეთს. ბიბილოები დაუსისხლიანდათ, წითელ მამალს თეთრი ბუმბული ჰქონდა ნისკარტში და თეთრს — წითელი. სტუმრები და მასპინძელი სიცილით იჭაჭებოდნენ და მოჩხუბართ აქეზებდნენ: უსტვენდნენ და თხილებს ესროდნენ.

გული ამერია, ღობეს მოვეცილდი, ხელები მოვმუშტე და ცოდვას გავერიდე.

„ჩვენც ამ მამლებივით გვაჩხუბებენ ერთმანეთთან“, — ვფიქრობდი, უკან რომ ვბრუნდებოდი. ფრინველები დასახიჩრდნენ და ესენი კი იციინიან, ხალხი ეჩხუბება ერთმანეთს და ესეც გართობაა ამათთვის, ის კი არადა, მოგებაცაა. „არ დაზოგოთ ერთმანეთი, ბნელებო, თქვენს ერთმანეთთან აყალმაყალს ჩვენთვის სიკეთე მოაქვს“.

მეორე დღეს, გავიგე თუ არა, სტუმრები წავიდნენო, ისევ მივადექი რკინის ჰიშკარს, ღმერთმა დალაზეროს მისი ჰიშკრობა. შეველე თუ არა კარი, ახლა სხვა დარაჯი დამიდგაწინ:

— აქ რისთვის მოსულხარ?

აფუხსენი: მანსოუს, შარდინის ძის ნახვა მინდა, მამაჩემის ძუძუმტის შვილია-მეთქი.

— ვერა ხედავ შეკაზმულ ცხენს? ბატონი სანადიროდ მიდის და შენთვის არა სცხელა.

— დიდხანს არ გავაჩერებ, სულ რაღაც ორთხელე სიტყვა მინდა ვუთხრა.

— ვერ გაგატარებ. ნაბრძანები მაქვს, არავინ შემოვუშვა.

სანამ მე დარაჯს ვეჩიჩინებოდი, აივნიდან მანსოუ ჩამოვიდა. ჩექმები მუხლის თავებს უფარავდა, ჰილის ქული ეხურა და მხარზე ორულლიანი თოფი ეკიდა.

მე ჩოხა-ახალუხი მეცვა, წელზე, ქამარ-ხანჯალი მერტყა. თურქებისთვის უჩვეულო ტანსაცმლიანი უცნობი რომ დაინახა, მანსოუ მომიახლოვდა.

— დღე მშვიდობისა, — მივესალმე უბიხურად.

მანსოუმ კი მოსალმების ნაცვლად თურქულად მკითხა:

— ვინა ხარ?

— დამაკვირდი, იქნებ გამიხსენო!

— დასაკვირვებლად არა მცალია.

— ზაურყან ზოლაქა ვარ. ჩვენი მამები ძუძუმტეები იყვნენ.

— ა-ა, მუხტარმა მითხრა შენზე... — მათრახი ჩექმის ყელზე

შეძახილია და გაიღრიალა. — სახელოვანი ფაშა რომ მოჰყალი, ისა ხარ, არა?... —

— ეს პირველი შემთხვევა არ არის ჩვენს მოდგმაში, — ვერ მოვიტოვებ და მამამისზე გადავუყარო. სერასკირი რომ მოკლა — მანფესტმა შემოიწვალა.

— მანფესტმაო? მანფესტი რას გიშველის, მკვლელი ხარ და სისხლიანი ხელები გაქვს. — მანსოუმ, შარდინის ძემ შუბლი შეიკმუნა.

— მე ჩემი გასაჭირისათვის არ მოვსულვარ...

-- ნათესავეები ვართო, ამბობ?

-- ჩემი ბებია მამაშენის ძიძა იყო.

-- ო. ღმერთო ჩემო, როდისდღე ამბავს იხსენებ. იმ დრომ ჩვენი პირი წაიღო. ახლა ეს მითხარი, ჩემთან რა საქმე გაქვს?

— მაპატიე რომ გაცდენ, მე მხოლოდ შუაჯაცი ვარ.

— ვისი შუაჯაცი?

— შენი თანამემამულეების.

— რაო, რა გვინდაო შენმა თანამემამულეებმა?

-- გთხოვენ ჭავდა-ბეის მოელაპარაკო, გაათავოს ჩვენთან მტრობა, მდინარესავით მიედინება სისხლი...

— შენ რაში გენადვლება დაღვრილი სისხლი.. თავი დაანებონ უბიხებმა ქურდობას და ყველაფერი თავისთავად მოწესრიგდება. ასე გადაეცი იმათ, ვინც აქ გამოგაგზავნა.

შეკანძული ცხენისაკენ წავიდა და ამით მაგრძნობინა, საუბარი დამთავრდაო. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, შემობრუნდა და მკითხა:

— შენ რომელ დღეებში მუშაობ ჩემთან?

— ორშაბათობით და სამშაბათობით.

— რაკი მამაჩემის სახელი მიხსენე, კვირაში ერთი დღე შენთვის მიჩუქებია, მხოლოდ ერთ დღეს იმუშავებ ჩემს მამულში. დღეს კი რაკი უკვე მოსული ხარ, მსახურს მოეხმარე. ეი, ჰასან, აჩვენე რა უნდა გააკეთოს.

მანსოუ ცხენზე შეჯდა, გზაზე გავიდა და მტერის კორიანტელში მიიშალა. „ნეტავ ფეხი მომტეხოდა და ამ დაწყვეტილ ეზოში არ მოვსულიყავი“, — გადავაფურთხე გაბრაზებულმა.

ჰასანი შავთვალა, ბრვე კაცი იყო. ერთიანად დაფარული იყო ხშირი ჭაგრით. შემის გროვასთან მიმიყვანა და მითხრა:

— აბა, ხელისგულზე დაიფურთხე და საქმეს მოეკიდე!

შეშა რომ დავჩეხე, კამეჩუა პასანმა ბალჩაში — შემოყვანა და ფოცხი მომცა ხელში:

— თევა შეაგროვე!

მზე ზენიტზე იდგა. შიმშილისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი. როგორმე ჩქარა გავსულიყავი ამ ეზოდან, ესლა იყო ჩემი ოცნება. მაგრამ აი, ისევე გამოჩნდა თავებუბასიებული პასანი და საძაღლებოში წამოყვანა.

— ძაღლები უნდა ვაბანაოთ. აბა ხელები დაიკაპიწე! მე წყალს დაგისხამ დოქიდან.

რა არ გამოიკეთებია ცხოვრებაში, მაგრამ ძაღლების ბანაობისა რა მოგახსენო... ეს არასოდეს გამოიკეთებია. ჩაცმული ისე ვიყავი, მთების შეიღს რომ ეკადრებოდა, ხანჯალიც მიმშვენებდა წელს. ეშმაკსაც წაუღია ყველა ძუენაცა და ხვადიც! ჩემს სიცოცხლეში ახლოსაც არ გავკარებია მათ და ახლა აბანავეო.

— შენ რა, დაყრუვდი თუ რა დაგემართა? სახელოები დაიკარწახე, მაწანწალავ! — დაიღრიალა მოდგვლეშელსახიანმა პასანმა.

— არ შემოძლია.

— ჭირსაც წაუღია შენი თავი, არ შემოძლია რას მიქვია! — და მუშტი მომიღერა.

მუშტის მოღერება როგორ უნდა, მე გიჩვენებ-მეთქი და ხანჯალი-ვიშიშვლე. უნდა გენახათ ეს შენი ექვსფუთიანი პასანი, მისი გასვენების დროს თიქარი რომ ჩამოუვიდოდათ ნათესავეებს, ჰებელაზე უმსუბუქესად რომ მიფრინდა სამზადის კართან და შიგ გაუჩინარდა. მე საჩქაროდ დავტოვე ეზო, ღმერთმა ქურდები ნუ გამოუღიოს მას. და გზას დავადექი.

ყველაზე მეტად შორს, უბიხურ მიწაზე დამარხულ ბებიაჩემზე მომდიოდა ბრაზი. „ეკალბარდმა დაფაროს შენი სამარე, — ვწყევლიდი ბებიაჩემს გუნებაში. — რატომ ხელები არ მოგტყდა მაშინ, რქის ვარცლში წყლის მაგივრად რძეს რომ ასხამდი და შიგ შენ შვილობილს აბანავებდი. მისმა ნაძირალა შვილმა კი ძაღლების ბანაობა დამაველა. ეშმაკმა დალახვროს მისი თავი თავის ძაღლებიანად.“

მწვეარივით შევარდნილი მუცელი არ ვიცი შიმშილისაგან და არ ვიცი ბებიაჩემზე გაბრაზებისაგან ამტკივდა.

რაც უფრო ვფორდებოდი მანსოუს მამულს, მით უფრო იმღეროდა ჩვენს შორის წყალი. „ოღონდ არსად შემხვდებოდეს და მეტი არაფერი მინდა“, — ცნატრობდი გუნებაში.

## ასტან ზოლაკი

— გადარჩა ვინმე ცოცხალი ზოლაკების გვარიდან? — ვკითხვამიდა ჩემს კარინჯ-ოვასში ჩასვლის მეორე დღესვე.

— ერთი კაცი გადარჩა, რომელიც იმ ჯორსა ჰგავს, რომ ჰკითხეს „შენი დედა ვინ არისო“ და „ცხენიო“ უპასუხა:

— რომელი ზოლაკია?

— შეიძლება გახსოვს კიდევ, თუმცა თურქეთში რომ გადმოვსახლდით, პაწია იყო. ასტანი ჰქვია, აფხიარცის ოსტატის-საკუტის შვილიშვილია. მაგისი ბრმა ბაბუა, ღმერთმა აცხონოს და, სამსუნში მოკვდა. შვილიშვილი კი ცოცხალია.

ის კი გითხარი, დად შარახ, საკუტი სამსუნში მოკვდა-მეთქი. მაგრამ დამავიწყდა მეთქვა, რომ საკუტიც ზოლაკი იყო. ადრე ნათესავეების მეტი რა მყავდა, მაგრამ ახლა ორი ზოლაკიდა ვეყავით დარჩენილი კარინჯ-ოვასში ჩვენი მრავალრიცხოვანი გვარიდან: მე და საკუტის შვილიშვილი ასტანი. ახალი ამბავი ქვეყანას მოედება ხოლმე და არ შეიძლებოდა, ასტანს ჩემი კარინჯ-ოვასში ჩამოსვლა არ გაეგო. ჩემზე უმცროსი იყო, მაგრამ არ მოურბენია სითის სახლში და არ უთქვამს: „ჩემო ერთადერთო მოგვარევე, რა მიხარია შენი დაბრუნებაო“. მაგრამ მთა თუ არ მიდის მაჰმადთან, მაშინ მაჰმადი მივა მთასთან. ზაფხული იდგა. მზეს ჯერ კიდევ არ დაეცხუნებია მთელი ძალით, ასტანის ეზოში რომ შევედი. ქარვისფერი ნაყოფით დახუნძლული ატმის ხის ტოტები ღობეს დაბჯენოდა, თიხით შელესილი გადაფერდებულ ქოხის თავზე კერიის კვამლი მიიკლავებოდა. მოშორებით ბოსელი მოჩანდა, პატარა სარკმლის წინ დიდი ხნის გაუტანელი ნაკელის გროვა იდგა. ხნიერი, მჩხვლეტავ-წარბებიანი ხმელ-ხმელი ბერიკაცი ხის ქვეშ იჯდა და წალდს ლესავდა სალესავ ქვაზე.

— დღე მშვიდობისა, ჩემი მოგვარის ასტან ზოლაკის ნახვა მინდოდა, — ხმამაღლა ვუთხარი უბიხურად.



მოხუცმა ხელისგულით შუბლი მოიჩრდილა და წუთით შემათვალეირა. თავაზიანობა მოითხოვდა, ფეხზე წამომდგარიყო, მისი მტერი და ორგულიც რომ ვყოფილიყავი, მაგრამ რატომღაც ასე არ ინება.

— გამარჯობა, მე გახლავარ ასტან ზოლაკი, მაგრამ თვითონ შენ ვინა ხარ? — გამომელაპარაკა თურქულად.

— ვერა მცნობ? აბა, დაფიქრდი, იქნებ ვინმე ზაურყანი გაიხსენო, ზოლაკების გვარიდან?

ასტანმა წალდი გვერდზე გადადო და დამფრთხალმა მიიხედ-მოიხედა:

— ზაურყანი? კი, იყო ერთი აბრაგი. მან დანით დაკლა თავისი დების გამტაცებელი და შეურაცხმყოფელი ფაშა. სიკვდილით დასაჯეს ის სულელი.

— სიკვდილით თუ დასაჯეს, მაშინ იმ ქვეყნიდან მოვსულვარ. აბა, შეხვდი შენს ძმას.

— ნუ სულელობ, დად, მე არც ძმა მყავს და არც დები. ყველანი დაიხოცნენ...

— ესე იგი, ვერ მიცანი არა? თვითმარქვია ხომ არ გგონივარ?

— მკვდრები არ ცოცხლდებიან, ეს გიაურებმა მოიგონეს. რომ ვითომ მაშინ მაცხოვარი აღსდგა.

— თუ გინდა ქალაღს გაჩვენებ, სადაც სწერია, რომ მე ვანთავისუფლებული ვარ სულთნის მანიფესტით. თვალები მოისრისე. შენც შენი ბაბუა საკუთრით ხომ არ დაბრმავდი? გინდა ის სიმღერა გაგახსენო, შენი ბაბუა რომ მღეროდა, როცა უბიხეთს ვტოვებდით? მაშინ პატარა ბიჭი იყავი, უსინათლო ბაბუას გამძლოლი:

შეჩერდეთ, ძმებო, და მთებს მიეხედოთ,  
მათ არ იციან საით მივდივართ.

გამოვეთხოვოთ და დავეტოვოთ  
ჩვენი სიმღერა და ჩვენი სუნთქვა.

როცა შეიღები დედას ტოვებენ,

განა მშობელი დამნაშავეა?

გამოვეთხოვოთ და დავეტოვოთ

დამნაშავეა განა ეს ზეცა?

— ჩემო შეიღებო, რატომ მიდიხართ,

რა დაგიშავეთ, ჩემო შვილებო?..

მოთქვამს, მოგვტირის მშობელი მიწა

და გვივარდება ფეხქვეშ ქვითინით.

—ო, გვაპატიე მიწავ, ტანჯულო,  
გზაბანეულებს და უბედურებს.  
ველარ დაერჩებით ბელით დენილნი,  
სამაგიეროდ სულს დაგიტოვებთ.  
ჩვენ სამუდამოდ გტოვებთ, მივდივართ..  
სული კი რჩება მარადიული...

— ღმერთმა აცხონოს ამ სტრიქონების შემთხვევლი. მსუბუქი  
იყოს მისთვის სამსუნის მიწა, იმ ერთადერთი რცხილის ქვეშ.  
ასტანს სახე მოუღება. ისიც კი მომეჩვენა, საცაა წამოხტება  
და გულში ჩამიკრავს-მეთქი.

შენც არ მომიკვდე, ვითომც არაფერი, ისევ ისე იქდა ასტანი  
სალესავი ქვის წინ.

— გაგონილა, სიკვდილმისცილი კაცი ცოცხალი რომ გადარჩე-  
ნილიყოს? მომილოცავს, ზაურყან, მაგრამ ნუ გეწყინება და შენი  
მღება არ შემოძლია. ვისთან ცხოვრობ?

— სითის სანლში ვარ, თუმცა ჩვენი ადათი შენ გავალღებს, ქერი  
რომ შემომთავაზო, თუნდაც კატორლიდან ვიყო გამოქცეული.

— ადათი ხარის კუდივითაა, ჩემო ზაურყან. ხარი მოკვდა და  
ტყავიც კუდიანად გააძვრეს.

— მე რომ სიკვდილით დავესაჯე, შენ ადათის მიხედვით შუ-  
რი უნდა გეძია.

— ეჰ, შენ მართლა ციდან ჩამოფრენილხარ. მე მამაჩემის  
შკვლელობისათვისაც ვერ ავიღებდი სისხლს. თუ გინდა სამოთხის  
კარი დამიხშონ იმისთვის, რომ დღენიდაგ მხოლოდ ერთს ვფიქ-  
რობ: თავი დამანებონ, სანამ ცოცხალი ვარ. არავისი არაფერი არ  
მმართებს.

— დამშვიდდი, მე შენგან არაფერი მინდა. უბრალოდ მინდო-  
და მენახე. უცხოები ხომ არა ვართ...

რომ გაიგო არაფრის თხოვნას არ ვაპირებდი, ასტანმა შეგებით  
ამოიხუნთქა...

— შადლობა ღმერთს, ხელებიცა გაქვს და ფეხებიც... იქნებ მი-  
წაც მოგცენ, დასახლდები და ამოიხუნთქეგ...

— მე და შენ ზოლაკების ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი ვართ  
და მისი გაწყვეტა არ ივარგებს.

— შე ჩემო გვარი, — ასტანმა დაუსტვინა, — ეშმაკს გავატანე  
და ჩემი ცოლბს — შარაულელი ქალის გვარზე გადავედი.

— მაგრამ საამაყო საქმე გიქნია. სად გინახავს. რომ ქმარი ცოლის გვარზე გადადიოდეს?

— სისულელეა. ადამიანი გოგრასა ჰგავს. გვარი კი მისი თესლე. როცა გოგრისგან ხაპიას აკეთებენ, თესლს ყრიან.

— ნუ მკრეხელობ. შე მართლა ხაპია!

გვარგამოცვლილმა უბიხმა ნაღვლიანად გაიცინა:

— ჰა, ჰა, ჰა! ეს საამაყოს ბრალია, ყოყლოჩინობა. შინ რომ ვიყავით, მაშინ გეშვენოდა. მახსოვს, გოგრუქას ყუნწი რომ მოწყდებოდა, უვარგისიანო და ძროხას აკმევდნენ. საღამოს სუფრიდან აღებულ ხორცს საუზმეზე აღარ მიართმევდნენ სტუმარს— ნარეუნებიაო. უღირსი გვარის ქალს თუ მოიყვანდა მთიელი ცოლად, ან უკან უნდა გაეშვა, ან თვითონაც მასთან ერთად უნდა გადაკარგულიყო. სტუმრის სუფრას არაფერი უნდა მოჰკლებოდა, თუნდაც მერე მთელ წელიწადს გეშიმშილა.

უბიხები ხელისგულზე ვეტეოდით, მაგრამ ჩვენს ქედმაღლობას ნუ იკითხავთ: ახლა ხედავ, როგორ შეტრიალდა ყველაფერი?

— თავს ნუ იმართლებ! შენზე უფროსი ფეხზე ვდგავარ და შენ დაჯდომაც კი არ შემოგითავაზებია.

— ვინ დაგიშალა, ჩამოჯექი, ორივეს გვეყოფა ადგილი.

— იფ, რა ატმები ასხია ხეებს! შენ კი არც მოგიწოდებია. ძუნწო.

— მოწყვიტე, მიირთვი!

— ეზოში გაგიჩერებვიარ და შინ არ მეპატიეები.

— შინ დახუთულია... რაკი სიკვდილით არ დაუსჯიხარ, ალბათ დიდხანს იყავი არა, გამომწყვდეული ოთხ კედელშუა.

— ცოლი მაინც გაგეცნო...

— ცოლი ორი მყავს. ორივე შარაულელეებია.

— სად არიან?

— სახლში, საქმიანობენ და ჩხუბობენ, როგორც ყოველთვის.

— განა რა ქონების პატრონი ხარ, ორი ცოლი რომ შეგიერთავს?

— ოდესღაც ქონებაც მქონდა, მაგრამ გამიღნა, ცოლები კი შემრჩა. გამაცანიო რომ მეუბნები, საჩუქრები მოუტანე?

— რა საჩუქარი შეეძრება ნათესავის გაცნობას?!

— თუ ასეა, ოთახის დახუთული ჰაერით შეეძრება ამ სუფთა ჰაერს? — გაიცინა ასტანმა და თითქოს სიმართლე მის მხარეს ყოფილიყოს, შემრიგებლურად დაუმატა: — ცოტა ხანს ჩამოჯექი.

დიასახლისები პურს გამოაცხოვენ, ყავას მოადუღებენ, მოხუც მეზობელ მახმედსაც დაუძახებ. ყველაფერს თავისი რიგი აქვს.

— შვილები ბევრი გყავს?

— ორი, თითოსგან თითო ბიჭი.

— და ორივენი დედების გვარს ატარებენ?

— დედების კი არა, ჩემს ახალ გვარს ატარებენ — კაზანჯი ოღლის. აქაურების ყურთასმენასაც ატკობს და ექვის თვალი-თაც არავინ მიუყურებს...

— სად არიან ეგ შენი კაზანჯი ოღლები?

— ერთისგან აგერ წელიწადია, ბაიბური არ იხსნის. ქურდების ბრბოს აპყვა სულელი, ვინ იცის, იქნებ ჩასვეს, ან სულაც მოკლეს კიდევ. ეშმაკსაც წაუღია შისი თავი. მეორე გზაზეა დამდგარი: ქალაქ კონიაში ერთ მელუქნესთან მუშაობს, თავს ირჩენს. დაოჯახებულია, მაგრამ მე არც მისი ცოლი ვიცი და არც შვილები.

— საწყენია შვილიშვილები რომ არ გახვევია გარს და სიბერეს არ გილამაზებენ. აქ რომ ბავშვები დაცქრიალებდნენ, ასე დაობლებული აღარ იქნებოდა შენი ეზო.

— ეჰ, ზაურყან, ბავშვებზე ხლაფორთი და იმის ფიქრი ხვალ რა ვაჭამო-მეთქი, სად შემიძლია, დარდის მეტი რა მომემატება... კარგად იყვნენ და სადაც უნდათ იქ იყვნენ. ღვთის ნება თუ იქნება, დაიზრდებიან და ადამიანები გამოვლენ.

— შენ თვითონ რითი ირჩენ თავს?

— ჰუსეინ ეფენდის ბატებს ვმწყემსავ. სამი მწყემსი ვართ და სამ დღეში ერთხელ გვიწევს მუშაობა.

— სად გინახავს, რომ მამაკაცს ბატები მოემწყემსოს? ცხვრის ფარა და ცხენების რემა რომ იყოს, მესმის, მაგრამ ბატები?!

— ეგ ქედმაღლობაა და მეტი არაფერი. გიქამია როდისმე ბატის ხორცი? თითებს ჩაიკენეტ. მისი მწვადების გახსენებაზე ნერწყვი მომდის. ახლა ბუმბულს არ იკითხავთ? ჩალა არ გეგონოს. ამ ბატებიდან სუფთა ოქრო მიჩხრიალებს ჰუსეინ ეფენდის ჯიბეში. ბენტერა ბატების მწყემსვა ადვილი არ არის, მაგრამ მივეჩვიეთ უკვე.

და ასტანმა ისეთი ნეტარებით დამიწყო ბატებზე საუბარი, თითქოს ბედაურებზე ლაპარაკობსო. ამ დროს სახლიდან ჩადრი-

ანი ქალი გამოვიდა, ფიჩხი ამოიღლია და ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე შებრუნდა შინ.

თვალი გავაყოლე და ასტანს მივუბრუნდი:

— არ გიკვირს, ასტან, რომ მე და შენ — ორი უბიხი სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ? მე უბიხურზე და შენ თურქულზე. თუ მშობლიური ენა აღარ გახსოვს?

— ასე ჩათვალე. ყველაფერი მესმის, რასაც ლაპარაკობ, ის კი არაა, ფიქრითაც უბიხურად ვფიქრობ, მაგრამ ლაპარაკი თურქულად უფრო შეადვილება. ცოლებიც ამ ენაზე ლაპარაკობენ და ჩხუბობენ და მე ხომ შერევილივით ჩემს თავს არ დაუწყებ უბიხურად ლაპარაკს? ზოგჯერ ჰუსეინ ეფენდის გართობა რომ მოუნდება, უბიხურად მალაპარაკებს ხოლმე და სიცილით კვდება: „ფრინველების ენაა, აბა, ცოტა ხანს კიდევ იყიპყიპე“. აი, შენ ხანჯალს ატარებ, ალბათ ლიბრი გადაიკრა და დაიჟანგა უკვე, ზედმეტი ბარგი გახდა. ჩვენს ენასაც ასე დამართა და მკაცრ მსჯავრს ნუ დამდებ... |

ქარქაშიდან ხანჯალი ამოეზიდე და მზის შუქზე ავალაპლაპე. ასტანის მთელი მიხლეწილი კარმიდამო და თვით ასტანიც ადვილად მოთავსდა ხანჯლის ლაპლაპა პირზე. და ჩემს გარშემო ყველაფერი საოცრად პატარა მეჩვენა იმ წარსულთან შედარებით, რომელსაც თოვლიანი მწვერვალივით ელვარე სატეფარი მახსენებდა.

გულისცემა გამიხშირდა, ასე მემართებოდა აფრიკაში შუადღისას, პაერი რომ დაიხუთებოდა და სუნთქვა მიჭირდა.

„უნდა გამოემშვიდობო და წახვიდე, რაც შეიძლება, ჩქარა უნდა წახვიდე“ — მიცემდა საფეთქლები.

— ნუ დაგავიწყდება, ასტან, რომ ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ. თუ დაგჭირდებ, სითის სახლში მიპოვნი, შემოიარე, ძმაო, ახლა კი მშვიდობით.

— მშვიდობით! — დამიქნია თავი და ისევ წალდს მოჰკიდა ხელი გასალესად.

მაგრამ ამ წალდით კი არა, სულ სხვა უხილავით გადაჭრა ასტანმა ჩვენი ძმობის ხის ფესვები და მისი გამხმარი ტოტები მშვილად შეეძლო დაეყარა აბრიალებულ კერიაზე ჩადრიან ქალს, ვის გვარსაც ახლა ასტანი ატარებდა.

„ღიახ, დაიღუბა ცხენოსნებისა და მეომრების გვარი, მთელ

უბიხეთში განთქმული ზოლაკების გვარი, დაიღუპა, — გავიფიქრე  
"უ. — ასტანის სახით კი სამარცხვინოდ დაიღუპა. ამბობენ, ყველა-  
ვერი მდგომარეობაზეა დამოკიდებულიო. თუ ასეა, მაშინ მარტო  
ასტანს რომ დავდო ბრალი, სისულელეა. ასტანი მსხვერპლია, მდგო-  
მარეობა კი მის კისერზე აღმართული ნაჭახი. ბედისწერას ვერ-  
საით გაექცევი. მე კი რა სარგებლობის მოტანა შემიძლია, ვინა  
ვარ, რა ვარ? ოჯახი მე არა მაქვს და შვილები მე არა მყავს. მე-  
დაცემულ დახავსებული მუხასავით ენრჩოლავ. დავიფერფლები  
და აღარაფერი დარჩება. ჩემგან. უკვალოდ გაქრება ზოლაკების  
სახელოვანი გვარი, ვითომც არც არასოდეს არსებულა. ამას რას  
ვამბობ, როგორ უნდა გაქრეს მთელი ტომი, როგორ უნდა გაქ-  
რეს მისი მრავალსაუკუნოვანი ენა? ენა, რომელზეც განადიდებ-  
დნენ თუ გმობდნენ ერთმანეთს. ლაპარაკობდნენ პურზე — ჩვენი  
არსობის წყაროზე. მღეროდნენ იავნანას. იწყევლებოდნენ თუ  
ლოცულობდნენ.

ნეტავ ეს ბედმა განსაზღვრა თუ ვინმეს წინდაუხედაობის  
საბედისწერო შედეგია? და განა ჩვენს ხალხს ეს დაემართებო-  
და, თუ მისი ყველა შვილი ისეთი იქნებოდა, როგორიც ტაპირია?  
არა, რა თქმა უნდა, არა, მაშინ დალუპვაც ავცვდებოდა“.

ჩემი ფიქრები უღრან ტყეში გზააბნეულ მგზავრს მაგონებდა.  
გზააბნეული, აფორიაქებული და აწრიალებული ერთი პატარა  
სახლის წინ აღმოვჩნდი. მტკრიანი შუკის ბოლოს რომ იდგა,  
ჩემს გამტანჯველ კითხვებზე პასუხის მიღება მხოლოდ ამ წყნარ,  
უწრალო შეთეთრებულ ალიზის კოხში შემეძლო. თავისი ხელით  
რომ აეშენებია ტაპირს.

## გაზეთი აზხაჯეთიდან

ტაპირის სახლი, როგორც ყველა გლეხკაცის სახლი, უწნო და  
პატარა იყო. მაგრამ ერთი დღე რა არის, ერთი დღეც არ გავიდო-  
და. შიგ ხალხი რომ არ ყოფილიყო. აქ ყველას გულიანად ხვდებოდ-  
ნენ. რადგან გულიდან წამოსული სიტყვა ისევ გულს ხვდება ხოლ-  
მე. აბა მუხტართან ნახავს კაცი რამე ხეირს? არა, იქ მისვლას  
აზრი არ ჰქონდა. ტაპირის სახლის კარი კი დღენიადაგ ღია იყო:

მობრძანდით, მასპინძელი რჩევას მოგცემდა, თხოვნასაც დაგიწერდა, რაც მთავარია, მოვისმენდა და თუ დაეა იყო ატეხილი, მონამართლესავით სამართლიანად განსჯიდა. სამკურნალო ბალახებისთვისაც კი ტაპირთან მიდიოდა ხალხი. თუმცა აქიმობა არ უსწავლია სტამბულში, მაგრამ მდგომარეობა ავალდებულებდა და ძველი ექიმბაშური წიგნებიდან წამლების აკვარგიანობას სწავლობდა. მუხტარს შურდა და ეზიზღებოდა ტაპირი, აცოფებდა, რომ ვილაც ვიგინდარა უბიხს, რომელსაც არავითარი თანამდებობა არ ჰქონდა, ასე პარტივისცემით ეპყრობოდა ყველა მუჰაჯირი. მოლა კი არ ყოფილა მათი მოძღვარი, არამედ მასწავლებლობაში გამძვრალი ვილაც მდაბიო, ვისი დედ-მამაც კი არავეს ახსოვს. ო, ასეთებზე თვალ-ყური უნდა მეჭიროს! ისიც ადგა და მეთვალყურეები მიუჩინა ტაპირს, საჩივრებს თითხნიდა ალი ხაზრეთ-ფაშასთან. ტაპირმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ უკან არ იხევდა. არ ეშინოდა და არაფერს უთმობდა.

ეზოში შესული რომ დამინახა, ზღურბლთან შემომხვდა:

— ზაურყან, ცოტა ხანს ჩრდილში ჩამოჯექი, ძვირფასო, ახლავ გაეთავისუფლდები, ხალხია საქმეზე მოსული.

— რას ვიზამ. სტუმარი მასპინძლის ხელშია. — ეუპასუხე და ჩრდილს შევეფარე.

ტაპირის მკვირცხლმა ცოლში გულიზარმა ყავა მომართვა-სტამბულელი თურქი ქალი წარმოსადეგი, შვეგერემანი, გულდია იყო, სახეს ჩადრით არ იფარავდა და არც მამაკაცებს ემალებოდა. რაღაცით ფელდისს მაგონებდა. ყოველთვის გული ჩამწყდებოდა ხოლმე, იმას რომ დავინახავდი. გულიზარს ჩვენი ენა ესმოდა, ოღონდ ლაპარაკი არ შეეძლო. გვიან შეირთა იგი ტაპირმა, მაგრამ ორი მემკვიდრე შეეძინა. ბიჭები იმათ როდი ჰგავდნენ, ერთხელ რომ გიამბე, დანობიას თამაშობდნენ-მეთქი. მთის ადათების მიხედვით იყვნენ გაზრდილები. მალე თანასოფლელები გააცილა ტაპირმა და მიმიპატავა:

— შინ შემოდი, ზაურყან, მამაკიე, ამდენხანს რომ გალოდინე; არზას ვუწერდი გლახებს.

მასპინძელმა პატარა ოთახში გამატარა და მომიჯნავე მოზრდილ ოთახში შევედი. პირველად ვიყავი აქ და გავვოციდი, წიგნებით ჭერამდე დაფარული კედლები რომ დავინახე. უბიხის სახლში წიგნების ნახვა ოდითგან იშვიათობას წარმოადგენდა. აქ კი უამ-

რავი წიგნი იყო. შენ, რა თქმა უნდა, დიდი მწიგნობარი ხარ, შარახ, პაგრამ მე ხომ ბრმა ვიყავი, აზრი არ ჰქონდა, თუნდაც ერთ წიგნში რომ ჩამეხედა და გადამეფურცლა. ცხვარივით გამოშტერებული მიეჩნებოდი წიგნებს. ერთმა აზრმა კი გამიელვა თავში: ეს წიგნები რომ წამეკითხა, ნებისმიერ ვეზირს ჩავისვამდი ჯიბეში:

— ამ წიგნებში ზაურყან, უძველესი და იშვიათი თხზულებანიც არის. ჩვენ — უბიხები სარეველა-ბალახი როდი ვართ. დიდებული წარსული გვაქვს. ჩვენს წარსულს სწავლული ხალხი წერდა ძველბერძნულზე, არაბულზე, თურქულსა და სხვა ენებზე. ასე უკუღმა რომ დატრიალდა ჩვენი ბედის ბორბალი, ეს ჩვენი მოსყიდული წინამძღოლების ბრალია, მუჰაჯირობისკენ რომ არ ებიძგებოდათ ხალხისთვის, ახლა აყვავებული ქვეყანა გვექნებოდა.

— ეს წიგნები როგორ ჩაგივარდა ხელში?

— შარდინი, ალოუს ძე ფულს არ აკლებდა მანსოუს, არ ძუნწობდა. სწავლის წლებში მე იმ უგნური ბიჭის მესაიდუმლე ვიყავი. ის მაძლევდა ლირებს წიგნების შესაძენად, იმიტომ რომ მე ჩემს მაგივრადაც უნდა მესწავლა და იმის მაგივრადაც. მანსოუ მოქეიფე ბიჭი იყო და წიგნებში ჩასახედად არ ეცალა. ჰოდა, მე უუყვებოდი ხოლმე შინაარსს და ისიც მიხდიდა. აი, ასე შევიძინე ეს საუნჯე, ახლა რომ უცქერი. — ტაჰირმა სკამი გამოსწია და მაგიდასთან დამსვა, რომელზეც სქელი ხელნაწერი იდო. — ეს კი ზაურყან, უბიხების ისტორიაა შორეული წარსულიდან დღემდე. დიდი ხანია ვწერ, თუ ვიცოცხლე, დავამთავრებ შრომას. ყოველგვარი ცოცხალი იცვლება და ცვალებადი ცოცხლობს. ვინ იცის, იქნებ ისეთი დროც დადგეს, რომ ჩვენ როგორც ხალხი აღვიგავოთ, გავქრეთ და მოგონებათა ვიქცეთ. ჩემი წიგნი კი ქვეყანას ამცნობს ჩვენს ამბავს, ჩვენს ალზევებისა თუ ღაცემის ამბავს.

— წმინდა საქმეა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მახსოვს, ჩვენი მამები, მაშინაც კი, ბრძოლას რომ წააგებდნენ, სიმღერებს მღეროდნენ გმირებზე. ეს ალაფრთოვანებდათ და რისხვად აწყდებოდნენ მტერს. შენი წიგნი გმირების სიმღერებს ჰგავს. ეს თუ არ დაიწერა, ჩვენი ხსოვნაც დაიკარგება. სიტყვა კი მარადიულია, წაიკითხავენ და პატივისცემით განიმსჭვალებიან: „სადაც არ ყოფილან, სიმართლისთვის არ უღალატიათო.“

— მადლობთ, ზაურყან!



ტაპირმა ისე გადაუსვა ხელი ხელნაწერს; მკაცრი მამა რომ მოეფერება ხოლმე საყვარელ ვაჟიშვილს. მე კი გონებაში ერთმანეთს შევეადარე, რაც აქ მოვისმინე და რაც ასტანის ეზოში გავიგონე. იქ სული სულთათნას მღეროდა, აქ კი — მრავალყამიერს. იქ უფსკრულში ჩაქანებულიყო სული, აქ კი მწვერვალს მოვლებოდა თავზე. ტაპირმა წამახული კალამი აიღო მაგიდიდან.

— იცი, ეს რა არის?

— კალამი, რითაც წერენ.

— დამიჯერე ზაურყან, ის ყველა ხმალზე უფრო მჭრელია. მაგალითად, ჩვენც ქართველებივით რომ გვცოდნოდა დამწერლობა, ისეთი იარაღი გვექნებოდა, ხელიდან რომ არასოდეს არ გავვივარდებოდა. ღრმადა მწამს, არაფერი იმის მსგავსიც არ დაგვემართებოდა, რაცა გვჭირს. ვინც სწავლაში მარჯვეა, ის არ დაიკარგება. ჩვენს მამა-პაპათ დაედოთ ცოდვად ჩვენი ახლანდელი უბედურება. თურქეთში მოხვედრილი ბევრი მთიელი, მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოეგო გონს. აფხაზებმა ანბანი შეადგინეს, სწავლულები უნდათ გახდნენ, ცდილობენ თავიანთი მექთებები გახსნან. ადილელებიც ასე იქცევიან. ტაპირმა ნაწერი ქალღვლების დასტა მიიწია, — მეც შევადგინე უბიხურა ანბანი, — პირველი გვერდი გადაშალა და თქვა: — აი, შეხედე, ეს ასოებია: ა, ბ, ვ...

— ეეჰ, დად ტაპირ, ასე პატარა კი არა, სპილოს ხელა რომ იყოს ეს ასოები, მე მაინც ვერას გავხდები. ტყუილა ნუ წვალობ, აწი სათვალეც ველარ მიშველის.

— მარტო შენ რომ იყო ამ დღეში, ვიტყვოდი სამწუხაროა-მეთქი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ყველანი ამ დღეში ვართ. ამას უბედურების გარდა ვერაფერს დავარქმევ. მთავრობა რომ დამრთავდეს ნებას, ჩემს სახლს უბიხი ბავშვების სკოლად ვაქცევდი, მშობლიურ ენას შევასწავლიდი ბავშვებს, უფასოდ ვიმასწავლებლებდი და პირველი გაკვეთილი ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღე იქნებოდა.

ხელნაწერი ანბანი ხელისგულზე დავიდე და ახალშობილი ბავშვივით გავანანავე:

— შენი წიგნი, ალბათ, ძვირფასი რამაა, მე კი ჩემი უვიცობის გამო ღირსეულად ვერ შევაფასებ შენს შრომას. მაპატიე, მაგრამ უბიხურ ლაპარაკს რომ მოისმენდნენ, თურქები მეუბნებოდნენ,

ამ ენის ქალღმერთზე გადატანა არ შეიძლებაო, ფრინველების ყრან-ტალს ჰგავსო. ჰუსეინ ეფენდიმაც „მხეცების ენა“ უწოდა ჩვენს ენას.

— ჰუსეინ ეფენდის მხრებზე თავის მაგივრად გოგრა აბია. წე-რა-კითხვა ყველა ენაზე შეიძლება. ოჰ, ანბანი რომ დამაბეჭდვი-ნა და მექთები გამახსნევიან... მე მაინც მაქვს იმედი, სულიერად არ ვეცემი.

— ასეც უნდა, სწორი ხარ. — ტაპირმა ორივე ხელნაწერი აიღო, ფურცლები გაასწორა და კუთხეში მიდგმულ ზანღუკში ჩაწო. გულიზარმა ცეცხლიდან იმწუთას ჩამოდგმული ორთქლიანი შავი ყავა მოგვართვა ფინჯნებით.

ტაპირს ხელისგული თავზე შემოედო და ხგნდახან აგრეხილ უღვაშებზე ჩამოისვამდა ხოლმე. მე ყავას ვწრუჟავდი. ისე მყუდ-როდ და მშვიდად ვგრძნობდი თავს, თითქოს მშობლიურ ფაცხაში ვმჭდარიყავი. ტაპირმა კი სათუთუნე გახსნა, ეწეოდა და კვამლის ფთილებიდან მოფრენილ სიტყვებს ვისმენდი:

— დღენიდაც უბიხეთზე ვფიქრობ, ჩემი ყრმობის: ჯადოსნურ სიზმარივით რომ მახსოვს. უკვე გითხარი, რომ რუსეთში და კავკა-სიაში სახალხო ხელისუფლებაა. წარმოგიდგენია, ეს რას ნიშნავს? იქ უკვე საბოლოოდ აქვს მოღებული ბოლო ძმათა შორის ომსა და ხალხებს-შორის შუღლს. ეჰ, ფეხის ხმას რომ არ აყვოლოდით და აქ არ გადმოვხვეწილავაყვით, იცი რა ცხოვრება გვექნებოდა? ჩვენზე მწარე სინანული ნაკლებად თუ განუცდია ვინმეს ქვეყანაზე, ახლა რაღა დაგვრჩენია? თითზე კბენანი.

ღა კი არ ამოიოხრა, თითქოს ამოიქვეითინა და სევდის ღრუ-ბელმა დაუფარა სახე.

— ამას ვერ დავიჯერებ. წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რომ ისეთმა კაცმა, ალი ხაზრეთ-ფაშა რომ არის, ჩემისთანას გაუყოს მიწა და მგელი ცხერად გადაიქცეს.

— თავისი ნებით დიხაბაც რომ არ მოგცემდა, მაგრამ როცა ყვე-ლა მხენელი, ყველა მჭედელი, ყველა მენახირე, მესაჭურვლე და მტვირთავი გაერთიანდება, მაშინ ალი ხაზრეთ-ფაშასნაირი ვეფ-ხეები კატებად გადაიქცევიან ხოლმე.

— სულს ნუ მიწეწავ, თავისუფალ ცხოვრებაზე ნუ მესაუბ-რები ძველ კატორღელს.

— ბოლოს რომ ვიყავი სტამბულში, პორტში ერთი ბერძენი

გავიციანი. სოხუმიდან ათენში მიდიოდა გემით. წარმოშობით კავკასიელია რომ გაიგო, აფხაზურად დამიწყო საუბარი. მითხრა, აფხაზეთი ახლა თავისუფალი სახელმწიფოაო და გამოთხოვებისას გაზეთი მაჩუქა.

— გაზეთი თურქეთშიც გამოდის, — ეჭვი მე.

ტაპირმა ზანდუკს თავი ახადა, სადაც ცოტა ხნის წინ ხელნაწერი შეინახა და გაზეთი ამოიღო.

— ეს უბრალო გაზეთი არ გეგონოს, შენი დედის თანამემამულეების გაზეთია, სახელად „წითელი აფხაზეთი“ ჰქვია. „წითელი“ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღვრილი სისხლის პატივსაცემად დაარქვეს. აი, სურათს ხედავ? ესენი გლეხები არიან, ვისაც თავადების მიწები გადაეცათ. შეხედე, იქნებ ვინმეს იცნობ მათში?

— ეს ვინ არის? — თითი დავადე ვილაც კაცის სურათს.

— ეს აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელია. ხალხის წინაშე სიტყვას ამბობს.

— ღმერთო დიდებულო, — ამომხდა გულიდან, — მადლობელი ვარ შენი, ამ დღეს რომ მომასწარი უსამართლობა იქნებოდა, აქამდე რომ მოვმკვდარიყავი, — და გაზეთს ვემთხვიე. ვინც ჩემ დღეში არ ყოფილა, ის ვერც გამიგებს. — ო, ჩემო სულის ამფორიაქებელო, თუ, გულმოწყალე დედისაგანა ხარ ნაშობი, მადლი ჰქენ და როცა მოკვდები, ეს გაზეთი დამადე გულზე. მასთან ერთად დამმარხე, ვითომ გაზეთი კი არადა დედულეთის მიწა დაგეყაროს ჩემთვის გულზე.

ცრემლებმა იწვიმა ჩემი თვალებიდან. საიდან გაჩნდნენ? რა ხნის ამომშრალი მეგონენ და... თუ მოთმინება არ მეყო? ზოგჯერ, დად შარახ, ძალზე დაკვირვებული ლარი მოულოდნელად გაწყდება ხოლმე. გვიანობამდე დავყავი ტაპირთან, მაგრამ თხოვნაზე — ჩვენთან გაათიეო ღამე, უარი ვუთხარი.

— ხვალ დილას მანსოუსთან ვართ. დაბარებულნი, — მითხრა ტაპირმა, ქუჩაში რომ გამოვედით.

— მისი დანახვაც არ მინდა.

— მეც სიკვდილივით მეზარება მასთან წასვლა. მაგრამ ეტყობა, საქმე ყველა უბიხს ეხება და გინდა თუ არა, უნდა წავიდეთ.

ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ და შენვედრის ადგილი და დრო დავთქვით. მთელი ღამე ჩაბნელებულ და ჩაჩუმებულ ქუჩაში

დავეხეტებოდი ლობის მიღმა. ტაპირის ნაჩუქარი გაზეთი უბეში  
შედო. ვინმე რომ შემფეთებოდა, იფიქრებდა, გიჟია და თავის  
თავს ელაპარაკებოდა. ზოგჯერ არ გძინავს, სიზმარს ხედავ. და აი,  
ახლა მესიზმრებოდა, ვითომ იმ მიწაზე დავაბიჯებდი, სადაც დედა-  
ჩემის ძმები ცხოვრობდნენ. წებელდის ქედები, პიანჯის მთა, მი-  
სი მწვერვალებიდან კი ხელისგულივით მოჩანს მთელი აფხაზეთი.  
ზევით კვანახიორის კლდე ელავს მზეზე. ქვევით კი, ქვის ვიწრო-  
ებში მოქცეული კოდორი ბობოქრობს. ჩუ, ყურებს ვცქვეტ და  
დალის მხრიდან მხედრული სიმღერა, ცხენების თქარუნი და სრო-  
ლის ხმა მესმის.

მაგრამ აი, ვიღვიძებ და ჩემ წინ სითის სახლს ვხედავ. ვერანდა-  
ზე ავდივარ, ხის. ტახტზე ვწვები და ვისმენ როგორ ეხმაურებიან  
ერთმანეთს ყვილით გათენების მაუწყებელი მამლები.

### მოკირდაკირე ნაკირეზე

რკინის ალაყაფის ჰიშკარი შევალეთ და მე და ტაპირი თავად  
მანსოუს, შარდინის ძის ეზოში შევედით, ჩვენდა გასაოცრად  
მცველის შედახილი არ გაგვიგონია „აქ რა გინდათო“. სიჩუმე  
გამეფებულებო ირგვლივ. არც მცველები იდგნენ და არც მსახუ-  
რები ფუსფუსებდნენ სახლის წინ.

— ამოწყდნენ თუ რა მოუვიდათ? — ჩაეჩურჩულე ტაპირს.

— შენს პირს შაქარი.

მოედანზე რომ გადავიდოდი, რომელიც ცოტა ხნის წინათ მამ-  
ლების ბრძოლის ველს წარმოადგენდა, გასისხლიანებული ფრინ-  
ველები წარმომიდგა თვალწინ და გაქსუებული ბატონების ხით-  
ხითიც შემომმესმა. „აქ არაფერი კარგი არ გველოდება“ — ასეთი  
წინათგრძნობა შემეპარა გულში. სახლის ახლოს, თითქოს მიწიდან  
ამოძვრაო, მსახური აისვეტა. როგორც კი ეუთხარა, მანსოუს დაბა-  
რებულები ვართ-მეთქი, მოკრძალებით მოგვახსენა:

— მობრძანდით, გელოდებიან.

დახვეულ კიბეზე მიგვითითა. ავედით თუ არა მეორე სარ-  
თულზე, ფართო დარბაზში აღმოვიჩნდით. იატაკზე რბილი ხალიჩა

ევო. მანსოუს ხალვათი თურქული ხალათი ეცვა, ფეხი ფეხზე გადაედო და დიენის ბალიშზე გადაწოლილი ქარვის ჩიბუხით სიგარეტს აბოლებდა.

— ოო, შემოდით, შემოდით და დასხედით, — მეგობრულად მიგვიპატიეთა მან.

ჩვენ მოპირდაპირე მხარეს დავსხედით სავარძელში. მე სახლის პატრონს დავუწყე თვალეირება. პირველად რომ ვნახე, მონადირული ტანსაცმელი ეცვა და წარბებამდე ჩამოფხატული. ჩალის ქუდი ეხურა. ის ჯერ მხნედ გამოიყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამოცი წლისა გახლდათ. მოკლედ შეკრეტილ თმაში ქაღარაც კი ვერ შევნიშნე. ქუთუთოები მაგრად შესიებული ჰქონდა, თვალები კი პატარა და ღრმად ჩამჯდარი. პატარაობისას მყავდა ნანახი. მის მერე ათას წყალს ჩაველო და ბავშვობის ნიშანწყალიც აღარ შერჩენოდა პირსახეზე. ხალათის განიერი სახელოებიდან გამოყოფილი ხელები თითქმის უსისხლო ჰქონდა და ყვითელ ფერს დაიკრავდა, ჩრდილში ამოსული სიმიანდის ღეროსავით. გამხდარ თითზე ბეჭედი უბრწყინავდა.

— როგორ მიდის ცხოვრება, ახალი რა იცით? — იკითხა ყოფილი სულთნის ცოლისძმის ვაჟიშვილმა, უკანასკნელად მოქაჩა და ყალიონიდან ნამწვევი გადმოავდო.

— მე ერთი უბრალო გლეხი ვარ და მიწურში ვცხოვრობ, მეორე-სართულიდან უკეთესად არ დაინახავ ყველაფერს? — უპასუხა ტაპირმა.

— თავს ნუ ისულელებ, რომელი გლეხი შენა ხარ, ყველანი ალიმს გეძახიან. სახლი წიგნებითა გაქვს გატენილი და კალამს არ უშვებ ხელიდან.

— რაც მართალია მართალია, ანბანი შევადგინე და უბიხების ისტორიას ვწერ, მაგრამ იმით ვსაზრდობ, რაც დამითესია და ზომიმიკია.

ერთიც და მეორეც თურქულად ლაპარაკობდნენ.

— შენ ძალიან ნიჭიერი კაცი ხარ, ეს სტამბულიდანაც მახსოვს. მაგრამ ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია. წიგნებმა აგირია გზაკვალი, სატირალიც არის და სასაცილოც ღრვის დინების საწინააღმდეგოდ ცურვა.

— ყველა თავისი ჭკუითა და სინდისით ცხოვრობს...

— ჯიუტი სწავლული ვირზე უარესია. ერთი მითხარი, რისი

შეცვლა შეგიძლია? გარემოება შენზე ძლიერია. ქვის კედელ<sup>ს</sup> შუბლით ვერ გაარღვევ. უკეთესი იყო, საკუთარ თავზე და შეი-  
ლებზე გეფიქრა...

— დიდი სიამოვნებით მივიღებდი ამ რჩევას, შენ რომ იფიქ-  
რებდე შენსაკვე ქვეშევრდომებზე.

მანსოუმ ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო და ერთიანად გაოფ-  
ლიანებული სახე მოიწმინდა. მეჩუ ვერცხლის სათუთუნე გახსნა და  
მოგვაწოდა:

— მოწიეთ!

— არ გვინდა, — ორივეს მაგივრად იუარა ტაპირმა.

მანსოუმ ისევ გააბოლა და განაგრძო:

— რა საჭიროა, მდიდრებსა და ღარიბებს შორის შუღლის  
დათესვა? ეს ხალხს ვერაფერს უშველის. განა ისეთ ადამიანებს  
როგორც შენა ხარ, ტაპირ, შეუძლიათ ადამიანის ბუნების შეც-  
ვლა? პატივმოყვრული თავდაჯერებაა და მეტი არაფერი. მარტო  
შენ რომ იღუპავდე თავს შენი წინდაუხედაობით, კიდევ ვი, მაგ-  
რამ შენ ხომ მთელ ხალხს აბუნტებ და არ უფიქრდები, რომ ამით  
შეიძლება ბევრი დაღუპო, — და თითქოს ჩემგან მხარდაჭერას ელო-  
და; გადმომხედა და თქვა: — ხომ სწორი ვარ, ზაურყან?

— ტაპირს ხალხის დახმარება სწადია და რასაც აკეთებს, წმინ-  
და გულით აკეთებს. არც ანგარება ამოძრავებს და არც რაიმე  
წინასწარგანზრახვა. მაპატიე გულახდილობა, მანსოუ, და შენთან  
ხომ ვერ მოვა ხალხი რჩევის საკითხავად, ან უსამართლობაზე სა-  
ჩივრით. ისე კი შენ უნდა გვევალეოდეს კარინჯ-ოვასში მცხოვ-  
რებ ყველა უბიხზე ზრუნვა.

მასპინძელმა ჩაიციინა:

— შენც ჩაგწვეთებია ამ შინ გამოჩეკილი მქადაგებლის შხამი,  
— მანსოუმ ტაპირისკენ გაიქნია თავი, — თუ ციხეში დააგროვე  
ტილებთან ერთად ეგ ჰკუთავონება?

— ციხე და გაჭირვება რას არ გასწავლის კაცს.

მანსოუს, შარდინის ძეს თავი ჩაექინდრა და რაღაცას წონიდა  
გონებაში. დივნის თავზე დაკიდებულ სურათს ავხედდე და მოუ-  
ლოდნელობისაგან შევხტი კიდევ: უსირცხვილოდ გამოშვლებული  
ულამაზესი მძინარე ქალი დავინახე. გადანდილი საბანი დაუდევ-  
რად ეგდო ხალიჩაზე, საწოლის ახლოს, სადაც მიშველი ხარკა გა-  
ნისვენებდა. ხელები ისე ამოეწყო თავკევეში, რომ ოქროსფერი ბუ-

სუსიანი ილღიები მოუჩანდა. ფეხი ფეხზე ჰქონდა მიდებული. შეეცბუნდი და თვალი მოვაშორე სურათს. იმ ქვეყანაში, სადაც ალაპი ადამიანების გამოსახვას კრძალავდა საერთოდ, სადაც ქალები სახეს იფარავდნენ, ასეთი სურათის ქონება მკრეხელობა და დიდი ცოდვა იყო. „მანსოუ, შარდინის ძე ნალდად ბიწიერი კაცია“; გადავწყვიტე მე.

— ლობე-ყორეს მოდება რაში გვჭირდება, მანსოუ, — გაისმა ტაპირის ხმა, — პირდაპირ მითხარი, რატომ დაგვიბარე?

მსახურმა, ქვევით რომ შემოგვეფეთა, ლანგრიტ სამი ფინჯანი ყავა მოგვართვა და გაგვერიდა.

— უბიხები გადმოსახლების დღიდანვე ლიბრივით გადაეკვრნენ თურქეთს თვალზე, — შეუცბუნებლად და დინჯად დაიწყო მანსოუმ, შარდინის ძემ.

ტაპირს მეტი მოთმინება უნდა გამოეჩინა და საშუალება მიეცა მასპინძლისათვის ბოლომდე ამოედერა სათქმელი, მაგრამ ზოგჯერ გამოცდილ მსროლელსაც ავიწყდება ხოლმე ჩახმახის ჩაკეტვა:

— ლიბრი მიზეზი კი არა, შედეგია!

მანსოუს თითქოს არც გაუგონია თანამოსაუბრის ენამწარობა.

— ამ სახელმწიფოს მმართველი ალაპის წარმოგზავნილ კაცად ითვლება, მისი ნაცვალია დედამიწაზე. ამიტომ ყველა ქვეშევრდომი ვალდებულია, სისხლით ხორცამდე მუსულმანი იყოს. ხელი-სუფლებისათვის ერთი რაშ ცხადია: რწმენა თუ დაიკარგა, არეულობა დაიწყება. უბიხები კი მხოლოდ თვალის ასახვევად დადიან მეჩეთში.

— სულთანს ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ უნაკლო ქვეშევრდომები არ არსებობენ, ასეთებს მხოლოდ სამოთხეში თუ ნახავს, სადაც მას შავთვალა ჰურეები ელოდებიან. გარდა ამისა, მინდა მოგახსენო, რომ მაჰმადი, ძალადობის ნებას არ რთავდა მათ მიმართ, ვინც რწმენის მიღებაზე ჯიუტობდა, თუკი ისინი უსიტყვოდ ემორჩილებიან მის საერო ძალაუფლებას და ხარკს იხდიან. და განა ჩვენ კი არ ვიხდით გადასახადს?

— წინასწარმეტყველის მოძღვრებაზე მსჯელობა მხოლოდ სულთანს შეუძლია, შენ კი ჯერ ვეზირიც არა ხარ. დროა, უბიხებიც მუსულმანეთს შეუერთდნენ ნახევარმთვარიანი მწვანე დროშის ქვეშ. თავიანთი სახელები და გვარები თურქულად შეიცვალონ და ოსმალებად ჩაეწერონ.

— უმრავლესობამ ისედაც დაივიწყა თავიანთი ბითხა. თურქულად ლაპარაკობენ, მეჩეთში დადიან და ახლა სახელებიც გამოიცივალონ? ეს უკვე მეტისმეტია...

— ასე მოითხოვს კანონი. ვინც ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრობს, ოსმალთა უნდა იყოს და მინდა გაგაფრთხილო, ტაპირ, შფოთს ნუ ტეხავ, ფრთხილად იყავი, თორემ თავსაც დაილუპავ და სხვებსაც დალუპავ. ასანთი, რომლითაც მეჩეთის დაწვა უნდათ, მეჩეთზე უფრო ადრე იწვის. მიეცი უბიხებს მაგალითი და გვარი გამოიცივალე.

გვერდითმა კარმა გაიჭრიალა და ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. გრძელი მოკლესახელოებიანი თეთრი კაბა ეცვა, მკერდი ღრმად ჰქონდა ამოჭრილი. შემოვიდა და ამბრისა და ვარდის სურნელებით გააბრუა იქაურობა. რატომღაც ასე გავიფიქრე: „ნეტა ეს ხომ არ არის სურათზე გამოხატული?“ მე და ტაპირი მაშინვე წამოვდექით და მივესალმეთ. ლამაზმანმა გაგვიღიმა, მანსოუსთან მივიდა და ჩემთვის უცნობ ენაზე რაღაც უთხრა. მასპინძლის სახლი რომ დავტოვეთ, ტაპირმა-მითხრა: დიასახლისი ფრანგულად ლაპარაკობდაო. სასეირნოდ მიდიოდა და ალი ხაზრეთ-ფაშას ნახვას აპირებდაო.

— სალამოს ჩემი მოკითხვა არ დაგავიწყდეს, — გაიხუმრა ახალგაზრდა დიასახლისმა. წასვლისას ხელი გაუწოდა ტაპირს, მერე მე მომიახლოვდა, გოცებით შემომხედა და თქვა: — ოი, ლა-ლა-ლა, კაჯკასია!

ფრთხილად შეახო ხელი ჩემს ქამარ-ხანჯალს, ჩოხის ქილებს და სახეზე შიში და ალტაცება გამოეხატა ერთდროულად!

— ოჰ!

ქალმა ისევე მოულოდნელად დაგვეტოვა, როგორც გამოჩნდა. ტაპირმა მანსოუს, შარდინის ძეს შენიშნა:

— შენ დიდ ცოდვად არ მიგაჩნია, შენი ცოლი მუსულმანივით რომ არ იფარავს სახეს?

— ის ხომ ფრანგია, კათოლიკე...

— ალაპი მართლმორწმუნეებს ადამიანების გამოსახვას უკრძალავს, შენ კი შიშველი ქალის სურათი გიკიდიო... აბა, რომელიმე უბიხს დაეკიდა ასეთი სურათი...

— ერთად რომ ესწავლობდით, შენ ლათინური ნათქვამი მომიყვანე მაგალითად: „ის, რაც იუპიტერისათვის დასაშვებია, ხარის-



თვის იკრძალება“. მე არც უბიხი ვარ და არც თურქი, მე ევროპელი ვარ.

— ბატონი ევროპელი რატომ იწუხებს თავს ჩვენი ქუჩის ღარიგებით, ან რატომ ცდილობს საფრთხე რომ აგვაცილოს თავიდან?

— სიკეთე მინდა თქვენთვის და იმიტომ.

— სიკეთე თუ გინდა, მაშინ არ შეგეძლო შენი სიმდიდრის პატრონს ჩვენთვის მექთები ავეშენებინა, ან თუნდაც ჩემი ანბანის გამოცემისთვის გაგელო თანხა?

— კი შემეძლო, მაგრამ ვის რაში სჭირდება? გაიგე, ეს სისულელეა. დიდი ერი თუნდაც ძალდატანებით რომ იშველიებს ხოლმე პატარა ერს, დროის კარნახით ხდება ხოლმე. უბიხური ენა კი შენმა შვილებმაც არ იციან. თურქული ენა გაცილებით მეტს მისცემს მათ, ვინემ ოთხ კედელს შუა/გამომწვევდელი უბიხური. ახლა ლათინურზეც აღარ ლაპარაკობენ, მერედა რა წიგნები იწერებოდა ამ ენაზე!

— ასე თუ წავიდა საქმე, მაშინ ყველაზე ადვილი ის იქნება, მთელი მსოფლიო ერთ ენაზე რომ დაიწყებდეს ლაპარაკს, თუნდაც ფრანგულზე. ახლა ლათინურზეც მოვახსენებ, — დაუმატა კამათით გაცხარებულმა ტაპირმა, — ის საუკუნეების მანძილზე ცოცხლობდა, მიუხედავად იმ იმპერიის დაცემისა, რომლის სახელმწიფო ენასაც თვითონ წარმოადგენდა.

— აბა, ერთი-გონების თვალი გადაავლე, ჯოტო ტაპირ, უბიხების ისტორიას და თუნდაც ერთი გამოჩენილი პიროვნება დამისახელე. ვერ დამისახელებ და იცი რატომ? იმიტომ, რომ ასეთი პიროვნება არ არსებობს, პოდა, რითი შეგიძლია იამაყო? არაფრით. ვისზე უნდა უამბო შვილებს? თარეშების წინამძღოლებზე? გაბურძენილ მოსისხარებზე. თავზე ხელაღებულ ყაჩაღებზე? ბავშვები მაინც შეიბრაღე. შეიგნე, რომ უბიხების ბედი თვით ისტორიამ გადაჭრა და მისი ბორბლის შეფერხება სასაცილო და უშედეგოა. რაც უფრო ადრე მიეკედლებიან უბიხი ახალგაზრდები ოსმალოებს, უფრო მოიგებენ, რადგანაც სწავლა-განათლებით, კულტურით თუ ხელოსნობის განვითარებით თურქები მრავალი საფეხურით მაღლა დგანან, ვიდრე ბევრი პატარა ერი, უბიხებზე რომ აღარაფერი ვთქვა.

მე ველარ მოვითმინე.

— უფრო მარტივად თქვი, მგლებთან თუ ვცხოვრობთ, მგლები იცნავენ უნდა კვიმტვლოთ, არა?

საიკარი იყო: მანსოუ, შარდინის ძე გაცოფებული არ წამოხტება, აუღელვებლად განაგრძობდა ჩვენს დამოდღერას:

— უბრალოდ გადარჩენა თუ უნდათ უბიხებს, სხვა გამოსავალი არა აქვთ, გარდა იმისა, რომ სულთანის ძალაუფლებას მიანდობთ თავიანთი ბედი. ალი ხაზრეთ-ფაშა, ვისაც ეს სამფლობელოები ემორჩილება, რაზმებს კრებს აჯანყებულების წინააღმდეგ, პოდა. უბიხი ქაბუკებიც დაირაზმონ სულთნის დროშის ქვეშ.

— კი მაგრამ, საიდან შეაგროვებ უბიხ ქაბუკებს, განა ბევრი მათგანი დაბრუნდა ბალკანეთიდან? ვინც დაბრუნდა, ისინიც ხეიბრები და ავადმყოფები არიან.

— შენ და ზაურყანი თუ მოუწოდებთ, უბიხები იარაღს აისხამენ.

— ღმერთმა აცხონოს დედაშენი, და ტაპირი მართალს ამბობს, ჩვენ რაღა დახმარება შეგვიძლია, — ვთქვი მე.

— რაც არ უნდა იყოს, სულთანს თუ არ მოეხმარებით ქემალ-ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში, ლალატად ჩავითვლით და არაფრით არ ვაპატიებთ. ჩემი დახმარების იმედი კი ნუ გექნებათ, თუ ალი ხაზრეთ-ფაშა მტრის თანამზრახველებად ჩავთვლით და ჯარით გამოილაშქრებს თქვენზე, აქედან აგყრით უბიხებს და თქვენს სახლებს ბანების შესანახ ბეღლებად გადააქცევს.

— მაშინ ველარც შენ იცხოვრებ აქ, თავი ველარ შევიკავე მე.

— ვიცი, ასე იქნება, — მშვიდად დაშეთახმა მანსოუ. ფეხზე წამოდგა და სარკესთან მივიდა. — მაგრამ მანსოუზე ნუ დარდობთ, — წარბებზე თითი გადაისვა, — ჰუსეინ ეფენდის უნდა ჩემი სასახლისა და მიწის ყიდვა. მე სიმამართან მივემგზავრები საფრანგეთს. შამშანის პროვინციაში ულამაზესი კუთხე მელოდება ვენახებითა და მარნებით. იქ შეგვკამ სულთნის მომხრე თურქების სადღეგრძელოს და თქვენი სულების გასანათლებელსაც, თუ არ დამიჯერებთ.

— პო, შენ იქ ყურძენს დაწურავ, ჩვენ კი აქ გაგვსრესენ, — ზიზლით აღმოხდა ტაპირს.

— მე თამაშიდან გავდივარ, შემეძლო არც კი გამეფრთხილებინეთ და ისე წავსულიყავ, პასუხს მომთხოვდით თუ რა...

— სადაც არ უნდა წახვიდე, უბიხების ნაღველი მაინც მოგძებნის და ყელში წაგიჭერს.

— გვეყოფა კინკლაობა უბიხების ბედს გულგრილად რომ არ ვუყურებ, იმიტომ გაგაფრთხილეთ. — მერე ტაპირს მიუბრუნდა და მკვახედ უთხრა: — გახსოვდეს, გუშინდელი დღის მოქადაგე. ჩემს რჩევას ფეხებზე თუ დაიკიდებ, ნულარ ინანებ! ახლა კი მშვიდობით!

მანსოუმ თავი დაგვიქნია და დარბაზიდან გავიდა.

იმ საღამოს ზაურყანმა ჩვეულებრივზე აღრე შეწყვიტა თხრობა. დიდხანს დუმდა დაქანცული, მერე საყოფაცხოვრებო საკითხებზე დაიწყო ლაპარაკი. ცუდ ხასიათზე იყო: რომელიღაც სიტყვა ვერც უბიხურად გავიხსენე და ვერც აფხაზურად. ბოლოს და ბოლოს გაშირიკვა, რომ ეს სიტყვა ტაფა იყო.

— რა უბრალო სიტყვაა, — ბრაზობდა ზაურყანი, — და რამდენი წელია არავის უხსენებია უბიხურად, არც აქ და არც მეზობლებში. თითქოს სამარეში ვცხოვრობ. მავიწყდება და მავიწყდება სიტყვები.

ის კიდევ დიდხანს იჯდა ფრთებჩამოყრილი და დუმდა. ხელები თავზე შემოეჭლო. მე კი შინდოდა თუ არა, ვიჭექი და მივჩერებოდი და იმ ტრაგედიაზე ვფიქრობდი, რომელთანაც ამ სახლში შემახვედრა ბედმა.

ჩვენი შეხვედრის პირველ დღეებში ზაურყანს თითქოს არ სჯეროდა, რომ შეიძლება უბიხური ენა დაილუპოს, მარწმუნებდა, რომ უბიხური მის სამშობლოში, უბიხეთშია შენახული, რომ მისი გაქრობა ისევე არ შეიძლება, როგორც მთების, ტყეებისა და მდინარეების. მე არ ვედავებოდი, ეს იყო, რომ მისი სიკერაე შაოცებდა.

და უცბად იმ ღამეს მივხვდი, რომ მოხუცი მარტოდმარტო ცხოვრობდა იმ ენასთან ერთად, რომელიც არავის არ სჭირდებოდა მის გარშემო, ცხოვრობდა, როგორც ერთადერთი ცოცხალი მკვდრებში და საკუთარ თავს ინუგეშებდა. და ეს რალაციით მკვდრების იმ სუფრას მოჰგავდა, ჩვენი შეხვედრის პირველ დღეს რომ გაშალა.

ზაურყან ზოლაკმა არ იცოდა სიტყვა „პრობლემა“, მაგრამ ცხოვრებამ მრავალგზის დააყენა მის წინაშე ენის პრობლემა, რომელსაც ვერსად გაეჭეოდა.

წლების მანძილზე მხოლოდ თავის თავს ელაპარაკებოდა უბიხურად, ენატრებოდა მშობლიური ენა, როგორც იმქვეყნად

გამგზავრებული ახლობლები. რამდენჯერ მიწვდომია მის სმენას შორიდან ხალხის გაურკვეველი ლაპარაკი და იმედოვნებდა, იქნებ მშობლიური ენაც გავიგონო. მერე კი, როცა ამდენი ხნის შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, ისევ დაუბრუნდა თავის ხალხს, აუტანელი იყო ის მწარე სინამდვილე, დღითიდღე რომ მცირდებოდა მოხუცების რიცხვი, ვისაც ბავშვობიდან უბიხურ ენაზე ელაპარაკებოდა, ისმენდა მათ საუბარს მშობლიურ ენაზე. სამაგიეროდ მრავლდებოდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც ცუდად ან სრულებით არ იცოდნენ ეს ენა.

ჰოდა, თვითონ ცხოვრებამ შეაჯახა ზატურყანი ამ პრობლემასთან. სამშობლოში რომ ყოფილიყო, წარმოდგენაც კი არ ექნებოდა, არასოდეს არ იფიქრებდა, მისთვის უბრალოდ არც კი იარსებებდა ეს პრობლემა.

ჩემთვის? ჩემთვის, როგორც მშობლიური ხალხის შვილისთვის, ეს პრობლემა გადაჭრილია, რადგან თვით ხალხის ცხოვრებაში იგი გადაჭრილი.

სამაგიეროდ ეს პრობლემა — უბიხური ენის შესწავლა, როგორც მეცნიერ-ფილოლოგისათვის, პირდაპირ არის დაკავშირებული ჩემს სპეციალობასთან. ჩემთვის ეს ალტერნატივაა იმ გზაზე, რომელსაც ჩვენ დავადექით მშობლიურ ქვეყანაში. მწარე ალტერნატივაა, რომელთან შერიგებაც ძალზე ძნელია, რომელ ხალხსაც არ უნდა ეხებოდეს იგი. მაგრამ ეს რომ არ მალეღვებდეს, არც ზღვას გამოვცურავდი და ამ შიშველი დაბლობის განაპირას ველარ შევხვდებოდით ერთმანეთს ასი წლის ზატურყანი და მე — ოცდაათი წლის ახალგაზრდა, ორივენი თავისებურად რომ განვიცდით ამ პრობლემას.

## ბითხას დაპარგვა და ტაპირის სიკვდილი

იცი, ძვირფასო შარახ, რითი ჭანსხვავდება მეხსიერება ქალისგან? როგორც ვხედავ, არ იცი. ნუ იტეხ თავს ამის გამოსაცნობად, სულ უბრალო რამ არის: ქალი მხოლოდ მაშინ თუ უღალატებს კაცს, ახალგაზრდა რომ არის, მეხსიერება კი მაშინ დაიწყებს

ლალატს, როცა დაბერდება. ჰოდა, ნუ გაგიკვირდება, შვილო, უფრო და უფრო თუ დამიწყებს ლალატს ჩემი მესხიერება.

მუსტაფა ქემალს რომ ფაშის წოდება ჩამოართვეს, იმ წელიწადს ბამბის უხვი მოსავალი მოვიწიეთ. გახარებული უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ისეთი დრო იდგა, რა გაგვახარებდა. ომი იყო და ბაზრისკენ მიმავალი გზები მტრულად განწყობილ ჯარებს ჰქონდათ გადაკეტილი. ერთ მხარეს საფრანგეთის, ინგლისისა და საბერძნეთის ძალაუფლებაში ნებით თუ უნებლიეთ მოხვედრილი სულთნის ჯარი იყო და მეორე მხარეს ქემალის მომხრეებისა, რომელთაც ფიცი ჰქონდათ დადებული, გაენთავისუფლებინათ სამშობლო. გადაწყვიდელები ტურებშივით დაწანწალებდნენ ვილაიებში, ჩალის ფასად იძენდნენ ბამბას, ფრონტის ხაზს იქით გზავნიდნენ და სამაგად ყიდდნენ. მერედა, ვის შესჩივლებდი რამეს? თვითონ ჰუსეინ ეფენდი ცოტა ფულს როდი შოულობდა ამ საქმიანობით. მასთან კანონსა და სამართალს ვერ იპოვნიდი კაცი, სტამბულში კი, ხმებს თუ დაუჯერებდი, სულთანი უცხოელების ტყვე გამხდარიყო და თითქმის არავითარი ძალაუფლება აღარ გააჩნდა. მან გაუსამართლებლად გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი ქემალსა და მის მომხრეებს. დედაქალაქში ყოველდღე ხანძრები ჩნდებოდა, ფეთქდებოდა თოფის წამლის საწყობები, იწვოდა სამხედრო საქურვლით დატვირთული გემები გალატის ხიდთან. სულთნის სასახლის ილიზ-კიოსკის ახლოს კი განუწყვეტლივ ისმოდა სროლის ხმა. სულთნის მიერ აჯანყებულების წინააღმდეგ გაგზავნილი ასკერები ხშირად გადადიოდნენ სტამბულში სიკვდილმისჯილი ქემალის მხარეს, რომელიც ანკარაში უპირველეს კაცად იყო მიღებული. ქვეყანა ორ კაცზე მოხურულ ტყაბუქს ჰგავდა, ჩვენი სოფელი კარინჯ-როვასი კი ქარავენ-ფარდულს დაემსგავსა: ვინ აღარ ირეოდა იქ. ფრანგებსაც ვხვდებოდით, ბერძნებსაც და სულთნის ბაშიბუზუეებსაც. არც სირცხვილი გააჩნდათ და არც ნამუსი არც ერთს. ყველა პოსტზე მდგომისთვის საქმელი უნდა გექმია. შენ თუნდა გარეთ ვაგეთია ღამე, მისთვის ბინა უნდა დაგეთმო. ამას თავი დაანებე და ჩვენი უბიხი ბიჭები ნარდს თამაშობდნენ და წარამარა კინკლაობდნენ. ერთხელაც აპყვენენ ერთმანეთს და საქმე სისხლამდე მივიდა. ერთ-ერთ მათგანს კრილობა დაეტყო სახეზე. დაზარალებული ნაგვეალების დიდგულა გვარისა იყო და ისეთი

ამბავი ატეხეს, თითქოს საიქიოს გაესტუმრებინოს ვინმეს ძათი თანამემამულე.

— თვალი თვალისა წილ! ასეთი ნაქრილობევით მშვიდად ვერ ვიცხოვრებთ. შეურაცხყოფა შურისგებას მოითხოვს.

ბიქს, რომელმაც სახეზე ნაწიბური გაუჩინა თავის ყოფილ ამხანაგს, ფარხათი ერქვა, ჩიზმაას გვარიდან იყო. ნათესავეებმა იყნოსეს, რომ ეს სისხლი უბრალოდ არ ჩაივლიდა, მაგრამ არ შეშინდნენ, პირიქით, ნაგვავლებთან შერიგებაზე უარი თქვეს.

— შერიგებაზე თუ დავიწყებთ მოლაპარაკებას, ეს მშიშარა ნაგვავლები იფიქრებენ, რომ ჩვენ დავსუსტდით, — ამტკიცებდა ერთი, მომავლის მჭკრეტელად რომ მოჰქონდა თავი, ღმერთმა იცის საიდან და რატომ.

— ფარხათი ჩუმად უნდა გავამგზავროთ შარაულელებთან და ვთხოვოთ, თვითონ ჰუსენი ეფენდიმ შეიფაროს. — რჩევას იძლეოდა მეორე, რომლის ჰკუა-გონებაც, როგორც მაშინ ბორტოტი ენები ამბობდნენ, თვით მაშინდელ დიდ ვეზირს თევფიკ-ფაშასაც კი შეშურდებოდა.

ჰოლა, ადგნენ და ფარხათი შარაულელებთან გაგზავნეს. მან შვილივით მიიღო ფარხათი, მოეფერა, შეაიარაღა და ჩაფრებში ჩარიცხა, ალი ხაზრეთ-ფაშას ქონებას რომ იცავდნენ. იარაღსხმული და ფიცხ ცხენზე ამხედრებული ფარხათი არაფრით არ განსხვავდებოდა ქურდი და მყვირალა დელიბაშებისაგან, რომლებისთვისაც, როგორც თვით ჰუსენი ეფენდისთვის, უმწეო კაცისა და წიწილას მოკვლა ერთი და იგივე იყო. მართლაცდა, ემირის ძალი თვით ემირზე უარესია. ზოგჯერ ამ თავზეხელაღებულების რაზმი, რომელშიც ფარხათიც იყო, კარინჯ-ოვასშიც გამოჩნდებოდა და ყოველი მათი გამოჩენა თარეშს ჰგავდა.

ალი ხაზრეთ-ფაშა შორიდან მყავდა ნანახი. მანსოუს მამულში და ახლა ჩვენთან რომ გამოჩნდა, ხელად ვიცანი. შავ არაბულ აჯილ-ლაზე იჯდა და ცალი ხელით წინა კეხს ჩაფრენოდა, თითქოს ეშინოდა, უნაგირიდან არ გადმოვევარდეთ. გვერდით თეთრ მერანზე ამხედრებული მაღალ-მაღალი და ლატანივით თხელი ფრანგი გენერალი მოჰყვებოდა. თავზე კაჰკაჰის კუდივით ედო კოკარდიანი ქუდი. მათ უკან კი ნალივით მორკალულიყო ცხენოსანი ამაღა. მუხტარი ხალხს გამოიყვო და მხედრებს მიუახლოვდა, ქუდი მოი-

ხადა და მიესალმა, მაგრამ ფაშამ, ადგილზე რომ აცეკვებდა ცხეს, ყურადღება არ მიჰქცია. ის ხალხს მიუბრუნდა:

— ქარინჯ-ოვასის პატივცემულ მოციქვლებო, მე არ მჯერა, რომ თქვენ ფიცი გაგეტეხათ და დიდი სულთნის, დედამიწაზე ალაჰის ნაცვლის მხარდაჭერაზე უარი გეტყვით. მე არა მჯერა, რომ თქვენ თქვენივე დიდებული თანამემამულის ანზაურ-ფაშას გულის-მოკვლა გინდოდეთ. თურქეთმა თავისი მიზნებით როდი განიცადა დიდი დანაკლისი მსოფლიო ომში. ამით სარგებლობენ თვითმარქვეთი მხედართმთავრები და შფოთსა და უთანხმოებას თესავენ, მაგრამ სულთანი კვლავ მოუგრებს მათ კისერს, თანაც ოქვენ სულთანი მარტოდმარტო არ გეგონოთ. აბა შეხედეთ! ჩემს გვერდით ფრანგი გენერალი დგას. ეს მამაცი მხედართმთავარი თავისი ჯარით მოვიდა, დიდი სულთნის — ქვეყნის კანონიერი მმართველის დასახმარებლად. მარტო ბრწყინვალე ფრანგმა მეომრებმა როდი გაუწოდეს სულთანს მეგობრული ხელი, ინგლისელები და ბერძნებიც სულთნის მოკავშირეები არიან. ჰოდა, ვინ აღუდგება წინ ასეთ ძალას? მამაცო უბიხებო, გაიხსენეთ, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილებს თურქეთის ხელისუფლების შესვეურებმა რომ მოგცეს თავშესაფარი და ათასნაირი წყალობა გიბოძეს. საზიზლარი თვითმარქვეთიები კი ჩირქს გცხებენ, ხმებს ავრცელებენ, თითქოს თქვენ უარს ამბობთ დიდი სულთნის ჯარში სამსახურზე.

ხალხს სითი გამოეყო, მხედრებს მიუახლოვდა, ქული ამოიღო-ავა, თაყვანი სცა და დაიწყო:

— მოწყალეო ფაშა, შენ მართალი ხარ, სულთანთან მტრულად არა ვართ განწყობილი, მაგრამ ჯომრები საიდან შევაგროვოთ მისი ჯარის შესავსებად? ერთი ბეწონილა დავრჩით. ახალგაზრდები თითქმის ყველანი ბრძოლებში დაიხოცნენ...

ალი ხაზრეთ-ფაშამ მოულოდნელად შეაწყვეტინა:

— არ გეკადრება, მოხუცო, ჩემი მოტყუება. ეი, მუხტარ, წვევამდევლების სია-მომამწოდ!

მუხლებში მოკაკულმა მუხტარმა ფაშასთან მიიბრინა, უბიდან ამოღებული ქაღალდები ქარმა აუფრიალა.

— აი, ხედავ, მოხუცო, რამდენი წერია? ამ სიაში შეტანილები ვალდებულნი არიან, საჭიროების დროს მიიღანზე გამოცხადდნენ. ვინც გაწვევაზე უარს იტყვის, სამხედრო სასამართლოს გადაეცემა. როგორც ვხედავ, თქვენში შფითისთავეები გაჩენილან, რომლე-

ბიც შულს თესავენ და გაბუნტებენ. ეი, მუხტარ, შენ რა, სამ-  
შობლოს მტრებს მფარველობ? რატომ არ შეგვაცობინე სოფელ-  
ში მტრის მსტოვრები რომ გაჩენილან?

შიშისაგან აცახცახებული მუნტარი ფაშას წინაშე მოიდრია  
და ჩაიბუტბუტა!

— მე ჰუსეინ ეფენდის მოვახსენე!

— ჰოო, გამახსენდა, გამახსენდა... რომელიღაც სწავლული ამღ-  
რევს აქ წყალს...

— სწორია, ჩემო ბატონო, სახელად ტაპირი ჰქვია.

— სად არის ის მოლაღატე?

— ის მოლაღატე არ არის, ფაშა, მას მთელი ხალხი პატივს  
ცემთ, — წამოიძახა სითმა და ქუდი დაიხურა.

— გეკითხებით, სად არის-მეთქი!

— სტამბულს გაემგზავრა.

— რატომ?

— ჰუსეინ ეფენდის უჩივის.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე!

— უკანონოდ არათერს აკეთებს, თანაც სტამბულს გაემგზავრა,  
სხვაგან ხომ არა.

— ვამედოვნებ, რომ, — ისევ მოუბრუნდა ფაშა ხალხს, — მამაცი  
უბიხები კვლავაც ისახელებენ თავს სულთნისა და ხალხისათვის  
ბრძოლებში.

— მეკითხები რითი დამთავრდაო თქვენი შეხვედრა ფაშასთან,  
ძვირფასო, შარახ? არაფრით. სხვაც ბევრი ჰქონდა სახლაფორთო  
ფაშას და წავიდა. სანამ ხალხს სულთნის არმიისათვის აგროვებდნენ,  
ჩვენი ბიჭების უმრავლესობა უკვალოდ გაქრა. ზოგიერთი შოუ-  
ხერხბელი კი მაინც წაიყვანეს, გაქცევა ვერ მოასწრეს და იმი-  
ტომ. მაგრამ ვისაც ღმერთი არ წყალობს, ასე ემართებათ ხოლმე,  
უდროო დროს აჩქარდებიან და უდროო დროს შეფერხდებიან...

ერთ დილას, მზე კარგა ხნის ამოსული რომ იყო, სოფლის გზა-  
ზე მტრის კორიანტელი დადგა და მხედარი მოვარდა. იგი შეუკაზ-  
მავ ცხენზე იჯდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰყვიროდა:

— ხალხოო, თქვენი სალოცავი დაიკარგა! ბითხა გაქრა!

— როგორ თუ დაიკარგა, როგორ თუ გაქრა?! — საკუთარ ყუ-  
რებს არ უჯერებდა ხალხი.



— გორაკის ძირას მიდით! ყველანი წადით, ყველანი! თქვენი თვალით ნახეთ.

ქარისაგან წაღებული ნაპერწკალივით მოედო მთელ სოფელს საშინელი ამბავი. ხალხი გორაკისაკენ გაიქცა. სითი შეუძლოდ იყო, მაგრამ ბითხას დაკარგვა რომ გაიგო, ავადმყოფობა დააიწყდა, ჩაიცვა და კვერთხზე დაყრდნობილმა გორაკისაკენ გასწია. ძლივს ვეწოდი. გორაკის ძირას იმდენი ხალხი შეგროვილიყო, წინათ რომ გროვდებოდნენ ხოლმე შორწმუნენი. მოხუცები გორაკის მწვერვალზე ავიდნენ და თავისდა გასაოცრად დარწმუნდნენ, რომ ბიჭი, მთელი სოფელი რომ ააფორიაქა, მართალს ამბობდა. ქვის ნიშა, სადაც ქორის ხატებიანი ბითხა იყო დასვენებული, დაენგრიათ. ერთადერთი რცხილა კი მოკლული გუშაგივით ეგდო ძირში გადაჭრილი. ხალხი ხმას არ იღებდა. მოხუცი სითი დიდხანს ათვალიერებდა ქვის ნატეხებს, ნაჯახის ნაკვალევს ხის დაკორძილ ძირზე. თითებით სრესდა დამკვნარ ფოთლებს. მერე წელში გასწორდა, ხალხს თვალი მოაელო და თქვა:

— ბოროტებაა ჩადენილი! ვილაცამ მოიტაცა ჩვენი სალოცავი, მაგრამ ეს არც დღეს მომხდარა და არც გუშინ. ფოთლები ჩამპალა და ნაჯახის ნაკვალევიც ჩამუქებულია.

ხალხი აყაყანდა. ბევრ მათგანს ძველებური რწმენა აღარ ჰქონდა, მაგრამ მკრეხელობამ შეურაცხყო. იმ წუთებში სისხლმა გაახსენათ, ვინც იყვნენ და მრისხანებამ ყველანი ისევ ერთად შეაკავშირა. ზოგჯერ დიდი ხნის დამღურებული ნათესავებიც ასე ურიგდებიან ხოლმე ერთმანეთს ვინმეს სატირალში.

დამიჯერე, შარახ, ისე ვიყავი, თითქოს. სასიკვდილო ჭრილობა მოეყენებინოს ვინმეს. დამნაშავე რომ დამენახა, მაშინ საკუთარი ხელებით დავახრჩობდი.

— ვინ გაბედა ასეთი მკრეხელობა? ო, ყოვლისშემძლე ბითხა, მეხად და ელვად დაატყდი თავს იმ ბოროტმოქმედს. წყეულიმც იყოს უკუნითი უკუნისამდე მთელი მისი მოდგმა! — ქუდი მოეხადა და ცისკენ აცახცახებულ ხელიბაპყრობილი იწყევლებოდა მოხუცი თათლასტანი.

— ამინ! — გამოეხმაურნენ ხალხიდან.

„ამას უბიხი არ ჩაიდენდა,“ — გავიფიქრე მე, მაგრამ თურმე ხმამაღლა გამიფიქრია და ვილაცამ ხალხიდან მიპასუხა:

— სწორია, ზაურყან! ეს ჩვენი მტრის ჩადენილია.

მაგრამ ტაპირის მელოტმა, უგვანო და ელამმა მეზობელმა (სამ-  
წუხაროა, სახელი რომ აღარ მახსოვს) გაიცინა და დაიძახა:

— სხვაზე დაბრალება ადვილია, ვინმე ჩვენიანმა თუ ჩაიღინა  
ეს?

— ნუ სულელობ! — ხმა გააკმენდინა ელამს დაუთმა.

— რატომ ადრე ვერ შევნიშნეთ, ბითხა რომ აღარ იყო თავის  
ადგილას? — იკითხა შევთავსაფრიანმა ქალმა. მისი შეკითხვა ყვე-  
ლა მამაკაცისადმი საყვედურად გაისმა.

თითქოს მოხუცებს ბრალდება მოხსნაო, ახალგაზრდებისაკენ  
გაიქნია თავი დაუთმა და უპასუხა:

— გასაკვირი რა არის? უბიხებმა კარგა ხანია ზურგი შეაქციეს  
თავის სალოცავს და სხვას სცემენ თაყვანს. ტყუილა კი არ გვადა-  
რებენ ქარქვეტას.

განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, თქვენ თვითონ რომ ილე-  
სავდით კბილებს ქურუმ საულაძზე სწორედ ამ ადგილას? ღმერთ-  
მა გაანათლოს მისი სული.

— უცეცხლოდ კვამლიც არ არის. ქურდს სხვა სოფლებში ეძებ-  
დნენ და იმას კი თავის სოფელში ეძინა მშვიდად... — ისევ გაისმა  
მელოტის ხმა.

ხალხმა ყურები დაქვეიტა:

— თუ ვინმეზე ეჭვობ, ბარემ პირდაპირ თქვი! — მოითხოვა ხალხ-  
მა.

— თქმას რა ჭკუა აქვს, უნდა დაამტკიცო, — გააფრთხილა მე-  
ლოტი სიტმა.

— მოწმეები მოიძებნება, — გაიღრიჭა მელოტი.

ხალხი შემჭიდროვდა და იმწამსვე გაისმა შეძახილი:

— გამატარეთ!

ხალხმა გზა დაუთმო და თეთრებში გამოწყობილი, მუცელზე  
სათის ძეწკვჩამოკიდებული რახმანი გამოვიდა წინ თავისი ვაჟი-  
შვილით. ეს კაცი რა ხანია ვაჭრობისა და საბაზრო საქმეებს აწარ-  
მოებდა ჩვენთან. თვითონ არ იყო ვაჭარი, მაგრამ ხშირად ეწე-  
ბებოდა გამვლელ ქარავნებს და ქარავანბაშის დავალებებს ასრუ-  
ლებდა. მოკლედ, უტყუარი ყნოსვა ჰქონდა და სადაც არ უნდა წა-  
სულიყო, ვაჟიშვილიც თან მიჰყავდა. გეშავდა თავის ლეკვს.

— ო, უბიწო და ყოვლისშემძლე ბითხავ, — ლაღდებდა დაჩო-  
ქილი რახმანი. წინ ჩალის ქუდი ეღო. — თუ მე ცრუ მოწმე ვიყო,

დაე შენი რისხვა მხოლოდ მე და ჩემს ერთადერთ ვაჟიშვილს დაატყდეს თავზე. აქვე გაექვავე, ერთი სიტყვაც თუ არა ცოტეა მართალი.

— მელამ თავისი კუდი მოიყვანა მოწმედ, — თქვა თათლასტანმა.

— ჩემი თვალით ვნახე, — თქვა ჩახმანის ვაჟიშვილმა.

— ბითხა, ტაპირმა მოიპარა! — თითქოს წამებით ათქმევინესო, ისე აღმოხდა ჩახმანს.

ხალხი გაშრა.

— ეს შეუძლებელია, ცილს სწამებენ! — მუქარით აღმართა კვერთხი სითმა.

— ვიცი, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სიმართლეს ვერსაით გაექცევით.

— ტყუილი ტყუილს გააჩნია, კინწისკვრით გააგდეთ აქედან!

— კინწისკვრით გააგდეთო, ადვილი სათქმელია, მაგრამ მართლს თუ ამბობს, — გაისმა ხალხიდან.

— ეჰ, რა არ ხდება ხოლმე, — ისევ შეაწია ხმა მელოტმა, — ზოგჯერ მოლას ქალიშვილიც კი შეცდება, აცადეთ მამა-შვილს, თქვან, რაც იციან.

— პატივცემულნო, ჩვენს გატაცებულ სალოცავს, სადაც არ უნდა იყო ის იგი, კვლავ შესწევს შურისგების ძალა. თუ მე ტაპირს ცილს ვწამებ, ბითხას რისხვა მე თვითონვე დამატყდება თავს... ათიოდე დღის წინათ მე და ჩემი ვაჟი ერთ ქარავანს გავყევით, რომელიც კონიაში მიდიოდა. საქმეები მოვაგვარეთ და უკან რომ ებრუნდებოდით, გადავწყვიტეთ რალაც-რალაცები გვეყიდა ჩვენთვის. სავაჭრო გზას რომ გავცდით, შემთხვევით იმ ფარდულთან აღმოვჩნდით, სადაც ქვის, მინისა და სპილოს ძვლის ძვირფას ნივთებს ჰყიდიან. ეხედავთ, ფარდულიდან ტაპირი გამოვიდა. დავუძახეთ, მაგრამ ვერ გაიგონა, ან ისეთი სახე მიიღო, ცითომ ვერ გაიგონა და ხალხს შეერია. ვიცოდით, რომ ტაპირი ჩვენს წამოსვლამდე გაემგზავრა სტამბულს ჰუსეინ ეფენდიზე საჩივლელად, ის კი ქალაქ კონიაში იყო. მე და ჩემმა შვილმა იმ ფარდულში შევიხედეთ, სადაც უბრალო ხალხს არაფერი ესაქმებოდა და საიდანაც ტაპირი გამოვიდა. შევიხედეთ და თითქოს ცუდი სიზმარი ვნახეთ: სამი ნოქარი დახლზე დადებულ ქორისხატებიან ბითხას ათვალაიერებდა.

ეს რომ გაიგონეს, ხალხმა ამოიგმინა. ჩახმანს კი ისე დაეწყო

წინ ხელები, როგორც მუსულმანებმა იციან ხოლმე ნამაზის წინ და განაგრძობდა:

— ბითხას ბაზალტის სხეული თითქოს ჩაშავებულიყო, მოოქრული თვალები მრისხანედ უელავდა და ბრქვალეებიდან თითქოს სისხლი სდიოდა.

„მგონი ამ ჩერქეზმა გაგვაცურა? — თქვა ერთ-ერთმა ნოქარმა, ბითხას რომ ათვალეირებდა. მეორემ კი გაიცინა და მხარზე მოუხათუნა ხელი:

— ნუ დარდობ, ეს ნივთი ძვირფასი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ იშვიათია, ასე რომ, ბარიბარში ფართ.

მე და ჩემი ბიჭი იქვე ფარდულში დავეცით მუხლებზე ბითხას წინაშე, მაგრამ ნოქრები მოგვეცივდნენ და გარეთ გვიკრეს თავი.

— რატომ ვეარგავთ დროს ტყუილად? ყველაფერი ცხადია, ახლა უკვე ვიცით, ვინ არის ქურდი. დაგვიბრუნოს ტაპირმა ჩვენი სალოცავი, თორემ ტყავს გავაძრობთ, — დაიძახა გაბრაზებულმა ჭაბუკმა, რომელიც უკანასკნელი ლოცვის დროს, ქურუმ საულაპის სიკვდილის დღეს, აქვე, ამ ბორცვზე უსტვენდა.

ხალხი მერყეობდა, ზოგს რახმანის გაგლეჯა უნდოდა, ზოგს — ტაპირის სახლზე იერიშის მიტანა.

— თუ გინდათ, ამკუწით და ამ ვაჭრუკანის არ მჭერა! ტაპირის კი საკუთარი თავივით მჭერა! — წამოიძახა სითმა.

— ყველას ვერ ამოუკერავთ პირს! — დაიყვირა მელოტმა, — კრაზანა გვეყოლია შემძვრალი უბეში. სტამბულში წავიდა და კონიაში კი ამოჰყო თავი!

მე და კიდევ რამდენიმე კაცმა ვიცოდით, რომ ტაპირი სტამბულში კი არა, ანკარაში გაემგზავრა, ჩვენს საქმეებზე რომ მოლაპარაკებოდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს, რომელიც, ხალხის ხმას თუ დაეუჭერებდით, უკვე მისულიყო ქემალ-ფაშასთან. ტაპირს უნდოდა შეეტყო: შეეძლოთ თუ არა სამშობლოში დაბრუნება იმ უბიხებს, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა.

ყველას რომ სცოდნოდა ტაპირის ადგილსამყოფელი, სახიფათო იყო. ხალხში ალბათ ჰუსეინ ეფენდის ჯაშუშები იქნეზოდნენ და მყისვე აცნობებდნენ ბატონს. ეს სულთამხუთავი კი არ დაახანებდა და მაშინვე დააპატიმრებდა ტაპირის ოჯახს.

მე წინ გამოვედი:

— მატყუარებმა ხმა გაიკმინდონ! შალე თვითონვე დარწმუნ-

დებით, რომ რახმანის ნაამბობი სიცრუეა. მას ტყუილა ვგონივართ დიდყურა ვირები. არავითარ კონიაში არ ყოფილა ტაპირი!

მელოტმა ჩემთან მოიბრინა და დაიწკავეწკავეა:

— შეთქმულები ხართ, შეთქმულები! ორივენი ერთნაირი ოხრები ხართ. მე ხანჯალი ვიშიშვლე:

— ნაწლავებს დაგაყრევინებ ახლავე და ყელზე შემოგახვევ! მელოტი ქარივით გაქრა, კოტრიალით ჩაგორდა ფერდობზე.

ჭორს ვერსად გაექცევი და ისიც უბიხების მთელ სოფლებს მოედო. ერთმა მოიტყუა, მეორემ გაიმეორა, მესამემ თვითონ წაუმატ-წამოუმატა რალაცები და ყველაფერი აამტუტა. გველი გარედანაა ჭრელი, ადამიანი კი შიგნიდან. ისინი, ვინც გუშინ ტაპირს აღმერთებდნენ და მის თითოეულ სიტყვას კანონად მიიჩნევდნენ, დღეს ჭორს აპყვნენ და ამ კეთილშობილ კაცს ქურდს ეძახდნენ და შხად იყვნენ, თავი წაეცალათ. კარინჯ-ოვასში და მის ახლომახლო მიდამოებში ყველა ბითხას მოპარვაზე ლაპარაკობდა. მე, როგორც ტაპირის სხვა მეგობრები, მოუთმენლად ვლოდი მის დაბრუნებას. ერთი სული შქონდა გამეგო, ვინ მთიპარა - სინამდვილეში ბითხა და ვინ წააქეზა რახმანი და მელოტი ტაპირის წინააღმდეგ.

მაგრამ ტაპირი არა და არ ჩანდა და მე და დაუთმა გადავწყვიტეთ, რახმანს მოვლაპარაკებოდით. ეზოში შევდით. კაცი-შვილი არ ჰაჰანებდა. ქათმებიც კი არ კრიახობდნენ.

— სად არის რახმანი? — ვკითხეთ მეზობელს.

— ის იმავე საღამოს წავიდა ოჯახიანად, ბითხას დაქარგვა რომ გაიგო. მთელი ავლადიდება ოთხთვალაზე დააწყო, უკან ძროხა გამოაბა და გაემგზავრა.

— სად წავიდა?

— ვინ იცის? ფარხათ ჩიზმამ ინახულა წინა დღეს.

„აჰა, აი, სად მარხია ძაღლის თავი“. — გავიფიქრეთ ჩვენ, მაგრამ საუბედუროდ თურმე ჭერ სად ვიყავით...

ცხენები იყო და საჭინიბო არა, საჭინიბო გაჩნდა და ცხენები აღარ იყო...

ფუჭი გამოდგა ალი ხაზრეთ-ფაშას იმედი, სულთნის ასკერებად რომ გაეხადა უბიხები. ტყუილებრალოდ დაჰენაობდნენ ფაშას ცხენოსანი მაცნეები სოფელ-სოფელ და გაჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს სულთანს!“

როგორც უკვე ვითხარი, შარახ, საქმეს ბარაქა ვერ დაატანეს.

ალი ხაზრეთ-ფაშამ ეს რომ გაიგო, სულ ცოფები ჰყარა თურმე. წყალში ჩაგდებული გავარვარებული რკინის ნატეხივით აუქაფიანდა ენა. რანაირად აღარ გვაგინებდა. ფაშა. რა წყევლა-კრულვას არ უთვლიდა ცოდვილ უბიხებს! მაგრამ ყველაფერი მხოლოდ წყევლა-კრულვით რომ დამთავრებულყო, რა გვიქირდა. ფაშას ყაჩაღები მისი განკარგულებით გვიცვივდებოდნენ ბინებში. ყველაფერს გვართმევდნენ, რაც მოეწონებოდათ, ერეკებოდნენ პირუტყვს, აუპატიურებდნენ ქალებს და თუ სადმე წააწყდებოდნენ ავადმყოფ ახალგაზრდებს, ან ისეთებს, ვინც ავადმყოფოვანს იგონებდა, ხვრეტდნენ, როგორც დეზერტირებს.

— ლა ილაპა ილა-ლლაპი! გაუმარჯოს სულთანსა  
ღვთის სახელით ბოროტების ჩადენა შეიძლება და კანონის სახელით უკანონობისა.

— ასტაგფურალლაპ! — შეელას თხოულობდა ხალხი.

ისინი ხვდებოდნენ, რომ კარინჯ-ოვასში აღარ დაედგომებოდათ, სხვაგან გადასახლებდნენ. ოპ, ეს გადასახლება ბოროტი ბედით გვდევდა თან უბიხებს.

უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევია... ტაპირი ისე მობრუნდა უკან, ანკარამდე არ მიუღწევია. გარშემო გუშაგები, კორდონები იდგნენ, გზები გადაეკრათ. ხიდებთან და გადასასვლელებთანაც დარაჯები იდგნენ. მოკლედ ნამდვილი ომი იყო. საწყალი გულიზარი შინ. მობრუნებულ ქმარს ყელზე რომ ჩამოეკიდა ცრემლების ფრქვევით, შუალამე იყო.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ტაპირმა.

გულიზარმა უამბო, როგორ დააბრალებს ბითხას მოპარვა. ძლივს მოასწრო ამის თქმა და ტაპირსაც დაუძახეს ქუჩიდან:

— მასპინძელი შინაა? — იკითხა ვიღაცამ უბიხურად.

— არ გახვიდე, დაიმალე, — ეცა ტაპირს ცოლი.

— ნუ გეშინია, ეს რომელიმე ჩვენთავანია, ალბათ, — თქვა ტაპირმა და ჭიშკრის გასაღებად წავიდა.

გაისმა სროლის ხმა და ტაპირი დაეცა.

ოთხი შეიარაღებული კაცი ცხენებიდან ჩამოქვეითდა და სახლში შეიჭრა. ეცნენ გულიზარს, საშველად რომ უხმობდა ხალხს, პირი ამოუჩურთეს და ხელ-ფეხი შეუკრეს. დაფეთებული ნამკ

ძინარევი ბავშვებიც გათოკეს, სამივენი უნაგირებზე გადაიწვინეს, სახლს ცეცხლი წაუქიდეს და გაიქცნენ.

მე და სოთმა ტაპირის სახლთან მივირბინეთ, მაგრამ ახრჩოლებული მუგუზლების გარდა, აღარაფერი დაგვჩვედრია. დაშოშმინებული ცეცხლი ხანდახან ისევ მოიქნევდა ხოლმე წითელ ჩინჩხლებიან ენას. კვამლი, ფერფლი და ჰვარტლი აქეთ-იქით მიჰქონდა ქარს. გასისხლიანებული ტაპირი პირქვე ეგდო ეზოში. მე პირველად მკედარი მეგონა, მაგრამ ცოცხალი იყო, ოღონდ სასიკვდილოდ დაჭრილი.

თვალი რომ გაახილა, ძლიერგასაგონად მკითხა:

— ცოლი და ბავშვები სად არიან?

— ცოცხლები არიან, ცოცხლები! — არ ვიცოდი რა მეთქვა და ისე ეუპასუხე. სიმწრისგან მზად ვიყავი, ღრიალი დამეწყო. მივხვდი, რომ ტაპირმა არ ირწმუნა ჩემი სიტყვები, ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

თავი წამოუწიე და ვკითხე:

— ვინ გესროლა?

— ფარხათ ჩიზმამ.

მოვარდა ხალხი; ყველამ იქ მოიყარა თავი, ვისთვისაც ტაპირი ძვირფასი და ახლობელი იყო, ვინც ტაპირზე ამყარებდა იმედებს. დახოცილები იყვნენ დარდისგან. დაჭრილი სახელდახელოდ გაკეთებულ ფარდულში გადავიყვანეთ. მივჩერებოდი საყვარელ ვაჟკაცურ სახეს, თანდათან რომ ეპარებოდა სიკვდილი და არნახული უმწეო ნაღველი გულს მიწურავდა. ტაპირი კვდებოდა. ცეცხლმა შთანთქა ყველაფერი, რასაც მან მთელი სიცოცხლე შესწირა. უკვე აღარავინ დაწერს უბიძგების ისტორიას, აღარავინ შეაღგენს ანბანს უბიძგ ბავშვებისათვის.

ტაპირმა ოდნავ შეანძრია უღონო ხელი და ჩაიჩურჩულა:

— შინ დაბრუნდით! კავკასიაში... ყველანი... შინ..

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, მისი ანდერძი. მზის ამოსვლამდე დალია ტაპირმა სული. მთელი სოფელი შეგროვდა მის დასატირებლად, მოლაც კი მოვიდა, სულ ცოტა ხნის წინ გაიურს რომ ეძახდა ტაპირს. რახმანის გაპარვა და ტაპირის მკვლელობა უტყუარი საბუთი იყო, რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ბითხას დაკარგვასთან. ვინც რახმანის მონაჭორი

სიმართლედ ჩათვალა, ახლა დარცხვენილი ნანობდა, ცრემლს ღვრიდა და პატიებას თხოვდა განსვენებულს.

— ვაიმე, ნან, ჩემო ტაპირ, — მოთქვამდა განსვენებულის თავთან თმაგაშლილი მამიდა ხიმჭაჯი, — გადმოიხედე, ნან, რამდენი ხალხი შეგროვდა შენს პატივსაცემად!..

ქვითინებდნენ ქალები და მძიმედ ოხრავდნენ მამაკაცები.

მანსოუც მოვიდა სიყრმის მეგობართან გამოსამშვიდობებლად!

— ცოდვას, ნამდვილი სწავლული იყო. ტყუილა დაიღუპა თავი და ოჯახიც დაღუპა. ვაფრთხილებდი და არ დამიჯერა... ნეკით უნდოდა ქვის კედლის დანგრევა... მეოცნებე...

შორიახლო მდიდრული ეტლები გაჩერდნენ. სანამ ჩაჯდებოდა, მანსოუ ჩვენთან — მოხუცებთან შოვიდა:

— ღმერთმა სიკეთე ნუ მოგაკლოთ! თქვენს ამაგს არ დაეიოცნებებ, დიდი მადლობა. ალბათ ერთმანეთს ველარასოდეს ვნახავთ. მამული გავყიდე და საფრანგეთში მივდივარ, ცოლის სამშობლოში. როგორც ამბობენ, ძველს ვინც გაგისენებს, ვაჟკაცი არ არის, მაგრამ არ დაგიმალავთ და ნაწყენი ვარ თქვენზე: ხალხის წმიდათაწმიდა სალოცავი ჰუსეინ ეფენდის ხელით რომ გაუგზავნეთ ალი ხაზრეთ-ფაშას. განა მე არ ვიყავი ამ საჩუქრის ღირსი? თავის გამოსყიდვა გინდოდათ? მერედა, ამ ყაჩაღებთან საქმის დაქერა შეიძლება? უფრო ჭკვიანური იქნებოდა სულთნის მხარეს ყოფილიყავით. მაგრამ როგორადაც არ უნდა მომქცეოდით, მე მაინც არ დამეიწყებია, რომ მამაჩემი უბიხი იყო, დიას, პატივემულნო, არ დამეიწყებია. და იცით რა ვქენი? არ ვიძუნწე და ალი ხაზრეთ-ფაშასაგან თქვენი საჩუქარი გამოვისყიდე. ახლა თან მიმაქვს ბითხა, იქნებ მე მაინც მომიტანოს ბენდიერეშა უცხოეთში. მშვიდობით... აუგით ნუ მომიხსენიებთ!..

მანსოუ, შარდინის ძე ეტლში ჩაჯდა და მტერის კორიანტელში გაუჩინარდა.

ტაპირი გორაკზე დავსაფლავეთ, იმ გორაკზე, სადაც წინათ ბითხა იყო დამარხული. ჩამავალმა მშემ უკანასკნელი სხივებით გააცისკროვნა ახალი საფლავი.

ხალხი დაშლას არ ჩქარობდა. თავები ჩაექინდრათ და ნაღვლიანად ფიქრობდნენ. მაშინ მე გორაკზე ავედი, ტაპირის საფლავთან დავდექი, პირთან ბუკი მივიტანე და უდაბნოს უბიხეების ბუკის გაწამებული ხმა მოეფინა, ის ტაპირის საფლავს დაჰქვი-



თინებდა და უბიხების ქვეყნისკენ — სამშობლოსკენ მოგვიწოდებდა.

ავადყოფები საკაცებზე, ჩვილი ბავშვები ზურგზე, ნაჯახები და ხანჯლები ქამარში... თუნდაც სისბლიანი გზა იყოს, ჩვენ მაინც წავალთ, წავალთ, რადკან ვინც სამშობლო დაკარგა, მას ყველაფერი დაუკარგავს.

ასე ნაღვლიანად ხმანობდა ბუკი, სანამ არ დაეჯანცე და ხელი არ ჩამომივარდა.

ბინდი უფრო და უფრო ეფინებოდა არემარეს. ცისკიდურზე, აქა-იქ ციალებდა ვარსკვლავები, თითქოს ზეცა ცივ ცრემლებს აფრქვევდა. ეს იყო უბიხების უკანასკნელი ღამე იმ მიწაზე, რომელზეც ფეხი ვერ მოიკიდეს.

### უკანასკნელი გზა

კვირაზე მეტი იყო, რაც ყველანი, ვისაც იარაღის ტარება არ შეგვეძლო, უბიხური ცამეტი დასახლების მოხუცები, ქალები და ბავშვები გზას ვადექით ჩვენი ავლაღიღებით. სახლკარდამწვრებს, ბოშებსა და ფრონტის ხაზიდან გამოქცეულებს ეგავდით. სამი ათასი ეზო აიყარა. აიყარა, მართალია არა მამაპაპისეულ, მაგრამ მაინც შეჩვეული ადგილებიდან. მერედა, სწმი ათასი განა ცოტაა? მშრალი, ხორშაკიანი ზაფხული იდგა: დღე ისე ცხელოდა, რომ ტვინი გვიღულდა. ღამე კი სიცივისაგან გვაძაგძაგებდა. ზუსტად ისე იყო, როგორც აფრიკის უდაბნოში ისმაილ საბახის მექარავენედ რომ ვიყავი ერთ ვაივავლახსა და ჭაპანწყვეტაში, არც მეტი და არც ნაკლები. იმ ქვეყნადაც ნუ მოუშალოს ღმერთმა ისმაილ საბახს ჭოჯოხეთის ცეცხლზე დადაგვა.

თითქოს განსვენებული ტაპირის სურვილს ვასრულებდით, გეზი კავკასიისკენ გეჰქირა. ვინ იცის, სირიის, ან არაბეთის გზას რომ დავდგომოდით, იქნებ ალი ხაზრეთ-ფაშას ხელი ჩაეჭნია და ეთქვა: „უბიხების გარდაც ყელამდე მაქვს საქმეო“, მაგრამ ჩვენ სამშობლოსკენ გავემართეთ, სადაც ახლა ქემალ-ფაშასთან მეგობრულად განწყობილი ხელისუფლება იყო. „გველი გვეოლია-

ამდენ ხანს უბეში, — ბრაზობდა ალი ხაზრეთ-ფაშა, — ყველა ეს კავკასიელი მუჰაჯირი მოლაღატე, გამცემი, სულთნის მტერია. დამაცადონ, მე მაგათ ვუჩვენებ სეირს!“ და სიტყვებს საქმეც მოაყოლა; ამ სულთნის დამქაშის დამსჯელი რაზმები მგლების ხროვასავით გვესხმოდნენ თავს და ახალ და ახალ სიცოცხლეს სწორავდნენ თავის საშველად გაქცეული ხალხიდან.

იქნებ ვცდები, მაგრამ მჯერა, უფრო მეტი ძალა და იარაღი რომ გვექონოდა, ალი ხაზრეთის მიუზრიდებსაც დავაღწევდით თავს და ბერძნებსაც, ხან რომ გამოჩნდებოდნენ ამ ადგილებში და ხან მიიძალებოდნენ. და ბოლოს და ბოლოს, ჩვენს სიჭიუტეს დიდბალს იქნებ კავკასიაში დაბრუნება ელირსებინა ჩვენთვის. მაგრამ არც ძალა გავაჩნდა და არც იარაღი. ცოტა მაინც თუ მოგვეძევებოდა, ისიც იმიტომ, რომ გზადაგზა ჩვენი ბიჭები გვიერთდებოდნენ, ხან აქეთ მხარეს რომ იბრძოდნენ და ხან იქით. ან უბრალოდ მთებში აყენენ დამალულები. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ და, როგორც შეეძლოთ გვიცავდნენ.

გაძარცული მკვდარივით შიშველ კონიის დაბლობზე მივდიოდით. ათეული ვერსის მანძილზე არც ხე ჩანდა და არც კა. ტყუილა კი არ ამბობდნენ თვითონ თურქები: „აქაურობას აქლემითაც ვერ მოერევიო.“

ძლივს მიათრევდნენ ფეხებს. თითქოს ძვლებს გაუდის ხრჭილიო, ისე კრიალებდნენ ურმები, ბავშვები და ავადმყოფი და დაუძლურებული მოხუცები რომ იწვნენ ზედ. ჩვენ ვჩქარობდით, დახოცილებს სასწრაფოდ ვმარხავდით და გზადაგზა ვტიროდით. დაჭრილებს გონება უბნელდებოდათ სიმწრისაგან, მაგრამ რაკი ფეხზე დგომა შეეძლოთ, ურემზე დაწვენას არ თხოულობდნენ. მარტო ისინი მიჰყავდათ ურმებითა და საკაცეებით, ვინც სიკვდილ-სიცოცხლის შუა ქანაობდა. ხან წინ და ხან უკან ისევ გაისმოდა სროლის ხმა. უიარაღო ხალხისთვის ტყვიის დაშენა ვაუკაცობა არაა, მაგრამ ერთი რამ ნაღდი იყო: თითოეული ბრმა ტყვია მსხვერპლს მიაგნებდა. ჩვენს ბიჭებს კი თუმცა მიზანში სროლა თან ჰქონდათ დაყოლილი, უჭირდათ — მღვერები ცხენებზე ისხდნენ და შაითნებივით დაქროდნენ აქეთ-იქით, დაცლიდნენ თოფებს და გაიფანტებოდნენ.

ალი ხაზრეთ-ფაშა მოგზავნილების პირით გვემუქრებოდა:

— თუ არ გინდათ, სათითაოდ რომ ამოგწვიტოთ, იარაღო

დაჰყარეთ და უკან დაბრუნდით, სანამ გვიანი არ არის! ვფიცავ ალაჰს, ვინც სულთნის მტრებთან აპირებს გადახვევას, ჩემი წყალობით უშალ სიკვდილს გადაეხვევა. ჩვენ არარა მუქარის არ გვეშინოდა. მდინარე ზღვისკენ ილტვის, რკინა მაგნიტისაკენ და ადამიანი მშობლიური მიწისკენ. რაკი წავედით, დაბრუნება აღარ გვინდოდა, რადგან სამშობლოს ძახილს, როგორც ქვეშაობის ძახილს, ვერსად წაუხვალ. სულიერად დაცემულები რომ გაგვემხნეებინა, მოხუცები ხანდახან ძველებურ ლაშქარულს წამოვიწყებდით ხოლმე:

ღე, ჭრილობიდან გვდიოდეს სისხლი,  
სისხლი სისხლისა წილ!  
წინ! მტერს დავატუდო მებაღ და რისხვად,  
წინ, მამაებო, წინ!..

ახალგაზრდებს უკვე აღარ ესმოდათ ამ სიმღერის სიტყვები, მაგრამ მაინც მოსწონდათ, რომ ვმღეროდი. დამღუპველი დაბლობის ნახევარი უკან მოვიტოვეთ და ახალ-ახალი უბედურება დაგვატყდა თავს: სურსათის ღარიბული მარაგი გამოგველია. შიმშილობა ბავშვების ტირილით დაიწყო, სხვა გამოსავალი არ იყო: ჯერ ხარები დავკალით, მერე ცხენებს დავუშინეთ ტყვია, გაგიგონია როდესმე, ძვირფასო შარახ, მომაკვდავი ცხენების ჰინინი? ოთხთვალეები რომ დაეწვიო შეშად, ახლა აკენებს მი, ვადექით. სხვა აღარაფერი გავაჩნდა ხის, თოფის კონდახების გარდა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ გვჭირდებოდა...

„ღე, ჭრილობიდან გვდიოდეს სისხლი...“ ეს სიმღერა სულის საბჭენი კვერთხით იყო, მაგრამ შიმშილის გარდა წყურვილიც გვიჰერდა ყელში ხელს. შიმშილი და წყურვილი ორი ცოფიანი მგელივით გვეცა ერთად და ვერც ვერაფრით ვუშველიდით თავს, გარშემო არც წყარო იყო და არც ჭა.

— წყალი, დედა, წყალი! — ჩანახშირებული ტუჩებით ჩურჩულებდა ბავშვი.

დედას კი ცრემლები გაშრობოდა. სისხლიც კი არ სდიოდათ დაჭრილებს. მაშინვე შავად მიაცხვებოდა ჭრილობას. წყლის საძებნელად წასული რაზმი აღარ დაბრუნდა. ხალხის ნაკადი კი არ მიდიოდა. მიხობავდა. შიმშილი პურის ერთი ნატეხისთვის, ერთი ყლუბი წყლისთვის ტუჩდა ჩხუბს. გზადაგზა იშვიათად გამოჩენილ ბალახს ედებოდა ხალხი საჭმელად. თავის დაქერას თუ მოახერხებდა ვინმე, ბედნიერი იყო.

ველს ნუ გარტებთ, ცა კეთილია  
და ამაღმე დაუშვებს წვიმა.

ემლეროდით მოხუცები, იმედი რომ მიგვეცა ხალხისთვის, მაგრამ ეს სომღერა კი არა, გოდება იყო.

და უცხად თითქოს ზეცამ ჩამოგვძახა:

— აქ ახლოს ქაობია, ქაობი! — მთვრალივით ბანცალებდა და ხრიალებდა, ღმერთმა იცის, საიდან გამოჩენილი კაცი. თითქოს მკვდრეაიკ კი წამოდგნენ ამ სიტყვების გასაგონად.

ვინ სირბილით, ვინ ნაბიჯით და ვინ ხოხვით წავილა იქითკენ, საითაც ეს კაცი გვიჩვენებდა. დიდებმა პატარა ბავშვები აიტაცეს ხელში, ცოტა მოზრდილებმა კი უფროსებს გაუსწრეს. ზოგმა გონება დაკარგა და გადაწვიფებულ ნესვის ქერქივით დახეთქილ, გავარვარებულ მიწაზე მოადინა ზღართან. ნაპირზე ამოგდებული თევზებივით პირდაღებული ეყარნენ ძირს. ყურადღებაც არავის მაუქცევია მათთვის. მალე ფეხქვეშ კოლობხები აკყაპუნდა. ქაობი ვრცელი იყო. მოლიბულ ნაპირებზე ლერწმები აშოლტილიყო. ჰენჯყოს საშინელი მყრალი სუნი ადგა თავს. მიწასა და ბალახს თითქოს მარილი ჰქონდა მოფრქვეული. ვილაც ყვიროდა:

— მოერიდეთ ამ წყალს, მოერიდეთ!

რას ამბობ, ვინ დაგიდევდა, ერთმანეთის ჯიკავ-ჯიკავით, ქშენით ეცემოდა ხალხი მუხლებზე და მღერიე და ამყრალბულ წყალს ეწაფებოდა. წყალი თბილი და წებოვანი იყო. შიგ ლიფსიტები, თავკომბალები და წურბელები ფუთფუთებდნენ, მაგრამ ჩვენ ისე ხარბად ვსვამდით, მშობლიური მთის წყაროს წყალიც კი არ დაგვილევია არასოდეს. რომ იტყვიან, ყელამდე ავიესეთ წყლით, მაგრამ მაინც ვერ ვშორდებოდით ქაობს. საშინელი ხორშაკის მიუხედავად, ხალხი ცახცახებდა, წყურვილის შიშს ჰყავდა ატანილი, როგორც ცოფიან ძაღლებს აქვთ ხოლმე წყლის შიში. სული მოითქვეს და მერე მოიძიეს ახლობლები. ეცნენ, ვისაც წყლამდე ვერ მოედწია, მაგრამ ზოგი მათგანი უკვე მკვდარი იყო.

ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთ, წყურვილი მოვიკალით და ახლა ისევ შიმშილი დაგვატყდა თავს, მეორე დღეს ბედმა გაგვიღიმა: ჩვენმა ორმა მზებერავმა რამდენიმე ვერსით რომ გვისწრებდნენ წინ, ცხენების რემას მოჰკრა თვალი: ბიჭები არ დაიბნენ და მთელი რემა ჩვენსკენ მორეკეს თოფის სროლით. გაგიგონია, ძვირფასო შარახ, ადამიანებსა და ცხენებს შორის ომი? თუ

არ გაგიგონია, მე მომისმინე. ეს ომი იმ დაწყევლილი ჭაობის ნაპირებზე მოხდა. ვისაც თოფი ჰქონდა, ტყვია დაუშინეს ცხენებს, ვისაც ხანჯალი -- ხელჩართული ბრძოლა გაუმართა ცხენებს. ნაჯახებიანი ისე შევარდნენ ცხენების არეულ-დარეულ რემაში, თითქოს ტყეში არიანო, ერთმანეთში აირია დასისხლიანებული ცხენების შეშლილი ქიხინი და ხრიალი, გაცოფებული ცხენები გათქერილი ადამიანების კენესა და გოდება, ეცემოდნენ თავგაჩეხილი, მუცელგამოფატრული ცხენები და, ქვეშ იტანიებდნენ ფლოქვებით დაბეგვლ ადამიანებს, დაჭრილ ცხენებს სიკვდილს არ აცდიდნენ. ცოცხლად ხდიდნენ ტყავს და ნაკრებად კრიდნენ. მოჭრილი და დამტვრეული ლერწმებისაგან მყრალი ცეცხლი დაანთეს და შემწვარი ცხენის ხორცის სუნი დატრიალდა. ნახევრად უწვავი ხორცი სული რომ მოიბრუნეს, ისევე მოწყურდათ და ისევ ჭაობს მიაშურეს. მუქებით ხერკდნენ ლუყურტ წყალს. მერე ცხენებთან ბრძოლაში დაღუპულები დავმარხეთ და ჭაობის გარშემო ხშირ ლერწმოვანს წავუკიდეთ ცეცხლი. „დაე მტერმა იცოდეს, რომ ჩვენ კიდევ ვანთებთ კოცონებს“.

კოცონებიდან აღმოცენებულმა იმედმა ისევ დაგვიბრუნა ძალა, ოღონდ მცირე ხნით. როგორც იქნა ორ უბედურებას დავაღწიეთ თავი და მესამეს გადავეყარეთ: ქოლერამ იფეთქა. პირველად სამი შვილის დედა გახდა ავად. ხელები მუცელზე შენოვქორა, ტუჩები და ქუთუთოები ჩალურჯებოდა, ციებცხელებიანივით კანკალებდა და გაღარღარებულ ქვიშაზე გორაობდა. მერე კრუნახვები დაეწყო და რამდენიმე საათში გათავდა კიდევ. სენი მის შვილებსაც გადაედო. ხალხი საშინელებამ მოიცვა. ზოგი შევლას შესთხოვდა ღმერთს და ზოგი წყევლა-კრულვას უთვლიდა. მე მიხდოდა თუ არა, მესაფლავედ ვიქეცი, მალე ჩემი ორი უახლოესი ადამიანი მივაბარე მიწას: მამიდა ხიმეაყი და სითი. ხიმეაყი რომ, მოკვდა, სითმა მითხრა:

— მეც ავად ვარ, ზაურყან, ხიმეაყის გვერდით დამსაფლავე: არ მინდა მარტო დავტოვო ამ წყევულ მიწაში.

თვითონ ამოთხარა საფლავი ცოლის გვერდით, სიკვდილის წინ დიდხანს არ უტანჯია. თავზე ვადექი მათ ძვირფას საფლავებს და თუმცა თვალები რა ხანია ამომშრალი მქონდა, დაწვებზე მაინც დამიგორდა ტრემლი. ასე გაჩნდება ხოლმე კლდეებზე ცივი წვეთები, მუხტედავად იმისა, რომ ცა მოკრიალებულია. მეც ამ

კლდეებივით ვტიროდი და ცრემლები დანაოქებული ლაწვეებიდან  
ჟონავდა.

უცბად ჩვენში ყველაზე ხნიერი თათლასტანის ხმა გავიგონე:

— ჯერ არ დაეხოცილვართ და საფლაეში ვწევებით. აბა, ას-  
წიეთ ჩაქინდრული თავები! ახაირა, ხაირა! დაუქართ ტაში! სა-  
ცეკვოდ გამოდით, საცეკვოდ! — და თათლასტანმა საცეკვაო  
სიმღერა წამოიწყო, თითქოს ჩვენში ყველაზე უფრო ჯანსაღი ყო-  
ფილიყოს, უცბად ჩამოიბერტყა მხრებიდან ნახევარი საუკუნე.  
მე გაოცებული ვიყავი: „ხომ არ შეიშალა?“ მაგრამ თათლასტანს  
გონჯაეც სღო ჰქონდა და მეხსიერებაც.

— განა არ გინახავთ, სწორედ ჩაქრობის წინ უფრო ძლიერად  
რომ აპარპალდება სანთელი? მოდით, მოწყვეტილი ეარსკვლავი-  
ვით, არა, ეარსკვლავივით კი არა, ელვასავით ავკაშქაშდეთ სიყ-  
დილის წინ!

თათლასტანი ხან ერთთან მიდიოდა, ხან მეორესთან და უფრო  
და უფრო ძლიერად ურტყამდა ერთმანეთს ხელისგულებს:

— ახაირა, ახაირა!

და მართლა სასწაული მოხდა: არავის არ დაუძახნია „უკუაზე  
ხომ არ შეიშალე, გონს მოდიო!“ პირიქით, ღონეგამოცლილმა  
ხალხმა ფეხზე ძლივს რომ იდგნენ, ან გასავათებული ეყარნენ  
ძირს, ჯერ ჩურჩულით ააყოლეს ხმა, მერე თანდათან აუწიეს  
და ზოლოს მთელი ხმით შემოსძახეს მამაპაპური საცეკვაო და  
ტაშიც დასცხეს.

— ეს მიწა დაყრუედა და ჩვენი შვილების ტირილი არ ესმის,  
დაბრმავდა და ჯერ ხედავს, როგორ ვიღუპებით. მაშ მოდი და  
ვიცეკვოთ, ისე ვიცეკვოთ, რომ ჩვენი ფეხის ხმა გუგუნად ჩაეს-  
მას. დაე იცოდეს, რომ ჩვენ კვლავაც ვცოცხლობთ და დანებებას  
არ ვაპირებთ, — მოგვიწოდებდა თათლასტანი.

ნელ-ნელა წრე შეიკრა. ოპ, შვილო, იმ წრეში მდგარი ადა-  
მიანების სახეები რომ დაგენახა: წარმოგიდგენია გაღიმებული  
მკვდრები? თათლასტანი კი საკუთარ თავს შეუძახებდა ზოლმე ხან-  
დახან:

— ეპ, თათლასტან, თათლასტან, სად გაქრა შენი სიმკვირცხლე?  
აბა დაამტკაცე, რომ საპირისწამლეში ჯერ თოფის წამალი არ გა-  
მოგლევია. ოდესღაც, უბიხეთში ხომ პატარა სუფრაზეც შემეძ-  
ლო ცეკვა. თავბრუსხვევამდე ვცეკვავდი ცერულს, ახაირა! ახაირა!

არც სუფრა ირხეოდა და წვეთიც კი არ იღვრებოდა ღვინით სავსე ჭიქებიდან. აბა ერთი ახალგაზრდობა გაიხსენე!

თათლასტანმა დოინჯი შემოირტყა და ცეკვა დაიწყო.

ყველაფერი ერთმანეთში აირია: „ახაირას“ ვაჟკაცური შეძახილი, ცრემლი და ღიმილი. ღამის გაგოჟდა ხალხი. მეც ჰაშიშ-შონაწვევივით თავგამოდებით ვუკრავდი ტაშს.

— ახაირა, ახაირა!

თათლასტანმა კი ცალ მუხლზე ჩაბუქნაც სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

„ბებერი ძვლები აღარ ემორჩილებიან“, — გავიფიქრე მე. ყველა ცეკვას თავისი ასაკი აქვს, მაგრამ მაინც საიდან მოიკრიბა ამხელა ძალა? ჭეშმარიტად ქალის ასაკს მისი სახე გასცემს და კაცი-სას ხასიათი. უდაბნოში მომხდარმა ამ ამბავმა ერთი ნათქვამი გამახსენა. ეს ჩემს წინაპრებს უთქვამთ დიდი ხნის წინათ, ჩემს დაბადებამდე: გარდაცვლილებსაც მოვიწვევთ მეჯლისში და მკვდრებსაც კი ავაცეკვებთ!“ გამახსენდა და შევკრთი: „ნუთუ წინასწარ განსკვირტეს თავიანთი შთამომავლობის საშინელი აღსასრული?“.

უცბად თათლასტანი ცეკვის შეუწყვეტლად გამოვიდა წრიდან და ყველანი ტაშისცემით გაგვიყოლია. საცაჲ სული გაეყრებოდა მოხუცს. დალილობისაგან ენას ველარ აბრუნებდა და მხოლოდ თავის ქნევით ანიშნებდა. ხალხო, უკან მომყევითო. ხალხიც დაემორჩილა. თითქოს თოკი გამოებას თათლასტანს მათთვის, ისე ექაჩებოდა იმ მხარისაკენ, საიდანაც უცბად მამლის ყვირილი ჰოისმა. სულ ახლოს, ჩვენს გვერდით, სოფელი იყო.

შემდგეში რა მოხდა, ზაურყანს ცუდად ახსოვდა. ვერც ის გაიხსენა, რამდენ ხანს იყვნენ უბიხები გზაში, არც იმ ქაობის სახელი ახსოვდა, სადამდეც მიღწიეს, არც ის, რამდენი გადარჩნენ ცოცხალი, დღეს ერთს ჰყვება და ხვალ მეორეს, ყველაფერს ერთმანეთში ურევდა.

იმ დღეებში თვითონ შეყროდა ქოლურა. და ალბათ, ამის გამო უღალატა მესხიერებამ. ერთი რამ კი ცხადი იყო: მოხუცს კომმარაული რამ გადაეტანა. თხრობის დროს შეაყრეოლებდა ხოლმე, სახე ექუფრებოდა და ხმა უწყდებოდა. ნეტავ მაინც სად მოხდა ეს?

თუკეთის რუკა ავიღე და მოხუცს მივუჩუქე. თითოთ ვუჩვენე კონიის დაბლობი და ქაობები მწვანე წერტილებით რომ იყო აღნიშნული, მაგრამ მოხუცმა ვერაფერი ახალი ვერ წაუმატა თავის ნაამბობს.

რუკაზე ეს წერტილები ახლოს იყო იმ ადგილთან, სადაც ამაჟამად ვიმყოფებოდით მე და მოხუცი. როგორც ჩანს, სანამ აქ მოვიდოდი, ის ადგილები გამოვიარე, სადაც ქოლერით დახოცილი უბიხების ძვლები განისვენებს.

ეს სადაც სულ ახლოსაა, აქვია და ზაურყანის წარმოდგენა, რომ ისინი ძალიან დიდხანს მოდიოდნენ და გზას დასასრული არ უჩანდა, ჭეშმარიტებისაგან შორს არის. სინამდვილეში უბიხებს საზოციო-ოთხმოცი ვერსი თუ ექნებოდათ გავლილი, მაგრამ აბა, ვინ დაადანაშაულებს მოხუცს, რომ საშინელმა მწუხარებამ დღეებიც დააგრძელა და ვერსებიც მის მესხიერებაში?

ჩვენ ისევ ერთად ვსხდებოდით და მოხუცი წვალებით აკოწიწებდა დაფანტულ მოგონებებს.

რომ იტყვიან, ორ ცუცხლს შუა აღმოჩნდით: წინაც მოჭრილ გვექონდა გზა და უკანაც. გარშემო სოფლების მცხოვრებნი მთებში გაუბრუნდნენ ქოლერას და თან სურსათის მარაგი მიჰქონდათ, პირუტყვსაც მიერეკებოდნენ. შინ მხოლოდ ისინი რჩებოდნენ, ვისაც უკვე შეყროდა სენი. საცა არ უნდა ყოფილიყო ჭექა-ქუხილი. მეხი მაინც უბიხებს მოგვნახავდა ხოლმე. ქოლერის გავრცელებაში ოსმალოებმა ჩვენ დაგვდეს ბრალი, ვინც ავადმყოფების მოსაველეად დარჩენილყვნენ, ან ვისაც უკვე გადაეტანა მძიმე სენი, იარაღით ხელში გადაგვიდგნენ გზაზე.

პოლიციელებს მკაცრი ბრძანება ჰქონდათ მიღებული სტამბულიდან: „გადაულობეთ უბიხებს ყველა გზა: ნუ მოერიდებით იარაღის ხმარებას. მკვდრები დაწვიო!“.

სოფელს რომ მივუახლოვდით და განაპირა სახლებთან მივედით, ვიღაც გლეხი გამოვიდა და ყველაზე წინ მიმავალ თათლასტანს თოფი ესროლა, თათლასტანი დაეცა, მკვლელები გაუჩინარდა.

— აი, მეც გამომასალმეს. წუთისოფელს, ზაურყანი ვაჟყაცო თუ ხარ, ისე დამმარხე, რომ თავი უბიხების მიწისკენ მქონდეს.

თათლასტანი მოკვდა, მე კი ტანში შემამცივნა. ძველი სიმღერის სიტყვები გამახსენდა: „ქოლერის ემს მერცხლებიც კი არ



დაფრინავენ," ცას ავხედე და მართლა არ ჩანდნენ მერცხლები. შორეთი ბინდში ჩაიძირა. შუბლზე ხელისგული გადავისვი, ცოტა ხნით გაიფანტა წილი, მაგრამ ისევ ჩამოწვა, თათლასტანს ვადექით თავზე და ვერაფრით ვერ მომესაზრებინა. საითკენ იყო უბიხეთი. მისი დამარხვა ვერ შევძელი — ღონე აღარ მქონდა. ხის ქვეშ დავასვენე და თვალები დავუხუჭე, ეს იყო და ეს. უარესად და უარესად ვხდებოდი, მუცელი მტკიოდა, ხვეის პირას მდგარი სახლისაკენ წავბანცაღდი, თავზე ტყვიებმა გადამიარეს სტვენით, მაგრამ ყურიც არ მითხოვებია.

თათლასტანის ძმისშვილმა და კიდევ რომელიღაც ჰაბუკმა შიშველი ხანჯლებით ჩამირბინეს, მოხუცი თათლასტანის მკვლელს ეძებდნენ.

— მიწაში რომ ვერ ჩაძვრებოდა! — ყვიროდა ერთ-ერთთ მათგანი.

— ალბათ. რომელიმე სახლში დაიმაღა.

ჭიშკარს რომ მივუახლოვდი, ქალის გულისგამგმირავი კივილი გავიგონე, უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და შინ შევედი. შეშინებული ქალი თათლასტანის ძმისშვილს კუთხეში მიემწყვდია და მკერზე ხანჯალი მიეხრჩინა:

— თქვი, სად დაიმაღა მკვლელი? ვიცი. ამ სახლში რომ შემოვიდა. რას აკაწკაწებ კბილებს? მიჯასუხე-მეთქი, გეუბნები, თორემ შენსა და შენს შვილსაც ახლავე გამოგიყვანთ წირვას, — მე ავადმყოფ ბიჭს გადავხედე, საწოლში რომ ბორგავდა.

— ვფიცავ ალაჰს, აქ არავინ შემოსულა. თუ გინდათ, სახლო გაჩხრიკეთ, ნუ დაგვბოცავთ უდანაშაულოებს, ობოლი ბიჭი მყავს. მამამისი. ოთხი წელია, რაც მოკვდა, — პასუხობდა შეშინებულ ქალი და საბრალო ბიჭისკენ გაძვრომას ცდილობდა.

— აქედან მოწყდით! — დავიღრიალე მე.

ჩემი ხმა, ალბათ, მომაკვდავი მხეცის ღრიალს ჰგავდა.

გამმაგებულმა ბიჭებმა ხანჯლები ჩააგეს. ამ დროს ქუჩაში სროლის ხმა გაისმა, ერთს მეორე მოჰყვა და ისინიც ქუჩაში გავარდნენ, მეც უნდა გადამეხიჯებინა ზღურბლისათვის. მაგრამ ქალს ორივე ხელით ჩამაფრინდა:

— ნუ წახვალთ, გვედრებით, ნუ წახვალთ, მარტო თუ დავრჩებით, ისინი მობრუნდებიან და ამოგვბოცავენ, შეგვიბრალებთ! — ქალმა ბიჭისკენ მიმითითა.

ამ ქალსაც რომ არ შევეჩიერებინე, შორს მაინც ვერ წავიდო-  
დი. მალე თვალეში ყველაფერი ამერია, ქალმა ტახტზე მიმაწვი-  
ნა და გონებაც დავკარგე.

რამდენ ხანს ვბორგავდი და ვბოღავდი, რამდენ ხანს ვიყავი  
უჯვონოდ. თვითონაც არ ვიცი, გონება რომ დამიბრუნდა, და-  
ცინახე. რომ უცხო სახლში ვიწეკი.

— სადა ვარ? — ეს იყო ჩემი პირველი სიტყვები. საიქიოს შუა  
ვნიდან რომ მოვბრუნდი, თავთან ქალი მედგა.

— საკუთარ სახლში იგულეთ თავი.

— თქვენ ვინა ხართ, ხანუმ?

— კარგად თუ შემომხედავთ, იქნებ გაიხსენოთ?

მომეჩვენა, რომ ქალმა გაიღიმა. მივაჩერდი. პირმრუვალი იყო,  
დიდი შავი თვალეები ღიმილის მიუხედავად ნაღვლიანი ჰქონდა,  
თმაში ჰქალარა გარეოდა, მეხსიერება დავძაბე: „ვინ უნდა იყოს?“

ისევ ქალმა მიკარნახა:

— გახსოვთ, ორ თქვენებურ ახალგაზრდას ჩემი და ჩემი ბიჭის  
შოკელა რომ უნდოდათ? თქვენ გადაგვარჩინეთ. მერე წასვლა  
გინდოდათ, შეგეხვეწეთ, დარჩით-მეთქი. უკვე ავად იყავით და  
ტახტზე დავაწვინეთ. დღევანდლამდე სამარის პირას იყავით,  
მაგრამ მადლობა ალაჰს, გადარჩით.

თანდათან გამინათდა გონება და ერთიმეორის მიყოლებით ჩა-  
შიარა უბიხების უკანასკნელი გზის ჩვენებებმა: მკვდრები...  
მკვდრები... მკვდრები... მოცეკვავე თათლასტანი... და ბოლოს  
გამახსენდა, როგორ მოვხედი ამ სახლში. სიმხნევე დავიბრუნე და  
საწოლში წამოჯდომა ვცადე.

— დაწეკით. დაწეკით, ჯერ საშინლად სუსტად ხართ. — ქალმა  
შზრუნველად მომწმინდა გაოფლიანებული სახე და ბალიშზე და-  
შადებინა თავი. მერე ჩაი მოიტანა და დამალევინა.

— ესე იგი ამ ხელებმა გამომტაცეს სიკვდილს? — ხელი გადა-  
უუსვი ხელზე.

— თქვენ თვითონა ხართ ჩვენი მხსნელი, მართალია, მიჭირდა  
ორის მოვლა: აქეთ თქვენი და იქით ბიჭის, მაგრამ ალაჰის წყა-  
ლობით ორივენი გადარჩით. — ის კართან მივიდა, გამოაღო და  
დაიძახა: — ბიარამ, შემოდი შეილო, შინ!

ჩრდილივით ჩუმად შემოვიდა და წინ დამიდგა თხუთმეტოდე

წლის ბიჭუნა. სახე ისე გატეტკვილი ჭონდა, ალბათ, სისხლის ნატამალიც არ გააჩნდა.

— აი, ბირამ, ჩვენმა მხსნელმა ძიამაც მოიკეთა. — სიყვარულით სავსე მზერა არ მოუშორებია, ისე უთხრა დედამ. — მიდი, შვილო, დაელაპარაკე, ოღონდ ცოტა ხნით, არ დაღალო.

ბიჭი ტახტთან მოვიდა, შვილის კეთილი თვალებით შემომხედა და ჩაიხურჩულა.

— დიდებან ალაქს, დიდება ალაქს!

დედამ თავზე ხელი დაადო შვილს და იმედინად ამოიოხრა.

— იქნებ, ჩვენც გაგვითენდეს ბედნიერი დღე.

ძვირფასო, შარახ, ეს იმ სახლში მოხდა, სადაც ჩვენ ვზივარო ახლა. მე სწორედ ამ ადგილას ვიწექი, სადაც ახლა მიღვას საწოლი. ის კი იქ იჯდა. სადაც შენ ზიხარ, და მიცქეროდა...

ვიცი, რომ მისი სახელის თქმა არ შემფერის, უბიხებიც ხომ აფხაზებით ცოლის სახელს არ ახსენებენ, მაგრამ შენ უნდა იცოდე იმ თურქი ქალის სახელი, ცინც გადამარჩინა: სალიმა ერქვა.

ჩემო ძვირფასო, ჩემო მომთმენო, გააფწვალე ჩემი ნაამბობით, თითოეულ სიტყვას სისხლისა თუ მწუხარების დაღი რომ ამჩნევია. სამშობლოში დაბრუნების მსურველი ყველა უბიხი დაიღუპა, ზოგი ქოლერით და ზოგი — ტყვიით. ვინც გადარჩა, უბიხობას თავი დაანება. თუმცა ასეთები ცოტანი იყვნენ.

მეკითხები: სალიმას რა მოუვიდაო? იშვიათი გულის ქალი გამორღვა. სიკვდილის ანგელოსს რომ გამომტაცა ბრკყალებიდან, მაშინ ოთხმოცისა ვიყავი, მაგრამ სალიმამ მითხრა: „დარჩი, სად უნდა წახვიდე, დღეიდან ეს იქნება შენი სახლი“. მიუხედავად ასაკისა. მაინც მხნედ ვიყავი, დავრჩი და ვცხოვრობდით როგორც ცოლ-ქმარი.

გავიდა რამდენიმე თვე. ქოლერაზე უკვე აღარ ლაპარაკობდნენ სოფელში. მთებში გახიზნულები დაბრუნდნენ. ოღონდ საფლავის ქვები მომრავლდა იმ წელიწადს სოფლის სასაფლაოზე. ათ წელიწადსაც არ გაჩნდებოდა ამდენი საფლავი მშვიდობიანი ცხოვრების დროს.

მოულოდნელად სალიმა გახდა ავად. მეერდს იტკიებდა. რას არ ვაკეთებდი მის გადასარჩენად. მაგრამ ვერაფერს გავხდი. სიკვდილის წინ ეს მითხვა:

— ბირამს ნუ მიატოვებ, მამობა გაუწიე.

მეორე დღეს დავეკრძალე სალიმა. აქედან ახლოსაა, გორაკის ფერდობზე. კარეთ რომ გავალ ხოლმე, იქითკენ გამიწევს გული. ასე მგონია, მარტო ის კი არა, ყველა ჩემი ახლობლები იქ არიან. უკვე დიდი ხანია, გავაფრთხილე ბირამი, რომ მეც იქ დამკრძალოს, მის გვერდით!

სანამ გაიზრდებოდა, ბირამი განუყრელად ჩემთან იყო, ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ. მამაც მე ვიყავი და ჭკუის დამრიგებელიც. ცოლი რომ შეირთო, ცალკე დასახლდა თავის ოჯახით, ხალხში კარგი ხმა დადის ბირამზე: პატიოსანი და შრომისმოყვარე კაცია, მარჯვე მჭედელიაო. ღმერთია მოწამე და შენც ხედავ, რომ შვილი არ მივიწყებს. თითოეული დღე ახლა შეიძლება ჩემი უკანასკნელი დღე იყოს ამ უცხო მხარეში, სახლში, რომელიც საკუთარი ხელებით არ ამიშენებია. მე, ზაურყან ზოლაკი უკანასკნელი უბიხი ვარ ამ დაწყვეტილ ქვეყანაზე და მრცხვენია კიდევ, აშდენ ხანს რომ შემოვრჩი.

არ, ყველაფერი, რაც ზაურყან ზოლაკისაგან მოვისმინე. თვალს ვავლებ ჩემს ჩანაწერებს და ისევ და ისევ მაოცებს ამ კაცის სიცოცხლისუნარიანობა. თავისი ხალხის მიწის პირისაგან აღგვის მოწმე ვახდა და მაინც ეყო ძალა ხმამაღლა გაეხსენებინა თითოეული დღე ჩემი თანდასწრებით.

— შვილო შარახ, ნუ გამკიცხავ და უნდა დავწვე, თავბრუ მესხმის. — მითხრა მან იმ უკანასკნელ საღამოს, ადგა და გამომემშვიდობა.

მე კი ჩემს ოთახში შევედი, სანთელი ავანთე, ხელნაწერი გავშალე და ჩავფიქრდი. თვალწინ ისევ უბიხების უკანასკნელი გზა მედგა. ისევ მესმოდა სროლისა და ყვირილის ხმა. მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი ხელნაწერი იცლებოდა სისხლისა და ცრემლებისაგან.

ისტორიამ ცოტა მაგალითი როდი იცის უბიხებზე. გაცილებით დიდი ერების უკვალოდ გაქრობისა, მაგრამ უბიხები ხომ სულ ახლახან აღიგავნენ პირისაგან მიწისა. ყოველივე ეს ერთი კაცის მეხსიერებამ აღბეჭდა. თუმცა, ცხადია, ეს ამბავი არც ერთ დღეში მომხდარა და არც ერთ წელიწადში.

უბიხებმა იმ დღიდან გაწირეს თავი დასაღუპად, როცა სამოთხის მიწის ხილვის იმედით თურქეთს გაემგზავრნენ. გემებო.

ასიმილაციის პოლიტიკა იყო და დარჩა კიდევ თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკად აბულ ჰამიდის მეფობის დროსაც და „მლადოთურქების“ ძალაუფლების დროსაც.

ასიმილაციის ძლიერმა და მღვრიე მდინარემ მრავალი სხვა შეცნებებით ჩაითრია უბიხები. „მლადოთურქები“ ოცნებობდნენ მთელ დედამიწაზე მუსულმანების დასახლებას. რა თქმა უნდა, კავკასიაზეც ოცნებობდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ შექმნილ ოსმალეთის დიდ იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად ისლამი იქნებოდა, საერთაშორისო ენად — თურქული ენა. პატარა ხალხს ისლა დარჩენოდათ, ამ ერთიან მდინარეში ჩანთქმულიყვნენ. იმათ კი, ვინც ამის მომხრენი არ იყვნენ, ტაპირის ბედი არ აცდებოდათ.

რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ მთელი მსოფლიო შესძრა. მათ შორის თურქეთში მცხოვრები მთიელი მუჰაჯირებიც, ვისაც გულის სიღრმეში ისევ ჰქონდა შემონახული მშობლიური ქვეყნის სიყვარული. როცა გაიგეს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კავკასიაში მცხოვრები თანამომენი წინაპართა მიწების სრული ბატონ-პატრონი გახდნენო, მუჰაჯირები აღელდნენ და ბევრმა მათგანმა მიტოვებულ კერებთან დაბრუნება გადაწყვიტა. ეს მათ მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს მოახსენეს, რომელიც 1921 წელს თურქეთში მოგზაურობდა.

ამიტომ, მაინცდამაინც არ გამკვირვებია ზაურყან ზოლაკის ნაამბობი ტაპირზე, მიუხედავად საშინელი სახიფათო გზისა, ანკარამდე მიღწევას რომ ცდილობდა, რათა საბჭოთა კავშირის რომელიმე წარმომადგენელს შეხვედროდა.

ტაპირის მსგავსად, ვისი ოცნებებიც აუხდენელი დარჩა, თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირების სხვა მოწინავე ადამიანებიც ცდილობდნენ, რაღაც მაინც გაეკეთებინათ თავიანთი ენის, თავიანთი ზნე-ჩვეულებებისა და ეროვნული არსებობისათვის.

1919 წელს მუსტაფა ბუტბამ — აფხაზი მუჰაჯირების შთამომავალმა, სტამბულში გამოსცა აფხაზური ანბანი ლათინურ ენაზე დაყრდნობით. აქა-იქ აფხაზური სკოლებიც კი გაიხსნა, სადაც ამ ანბანით სწავლობდნენ...

მაგრამ ეს პირველი და სუსტი ღიშები ასიმილაციამ წააღწია. ამოწვევრვასაც ვერ ასწრებდნენ და ასიმილაცია ისევ მიწაში მარხავდა მათ.

ომით გამოწვეულმა არეულ-დარეულობამ, ბოლოს, აფხაზის ერთი ნაწილი თურქეთიდან საბერძნეთის ტერიტორიაზე დახვეწა. ჩემი თვალთ წავიკითხე საბერძნეთიდან სოხუმში მოგზავნილი სასოწარკვეთილი წერილი აფხაზეთის მთავრობის მი: „სამი წელია ვცხოვრობთ მაკედონიაში, უსაშინელეს განსაცდელსა და გაჭირვებაში, ჩვენთვის აუტანელ კლიმატურ პირობებში. ყოველთვის, ჯერ კიდევ თურქეთში ცხოვრებისას, ჩვენი მზერა მშობლიური აფხაზეთის აულებისაკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო: ძველ წესწყობილებას არ სურდა ჩვენი დაბრუნება მშობლიურ მთებთან... ახლა აფხაზეთი თავისუფალია, თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ჩვენ — ბედისწერიო უცხოეთში გადაკარგულ აფხაზებს ყველაზე მეტად ახლა მოგვიწევს გული თავისუფალი მთებისა და მშობლიური ოჯახებისკენ — ჩვენი ძმებისკენ, აფხაზებისკენ. ჩვენ ყველანი ერთი იდეითა და ოცნებითა ვართ გამხნევებული და აღფრთოვანებულნი: ვემსახურებით თავისუფალ აფხაზეთს. შევიკრიბეთ რა საერთო კრებაზე, ერთხმად დავადგინეთ: ვთხოვთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისარიატს, ნება დაგვართოს საბერძნეთში მცხოვრებ შვილას აფხაზს, ოჯახებიანად დავბრუნდეთ თავისუფალ აფხაზეთში“.

ვიჩეკი ზაურყან ზოლაკის სახლში მარტოდმარტო და ვფიქრობდი. ამ წერილზეც ვფიქრობდი, რომლის უკან მარტო აფხაზების კი არა, ბევრი სხვა ხალხის მწარე ისტორიული ბედიც იდგა. ვფიქრობდი და შენიშვნები შემქონდა ჩემს ხელნაწერში.

მომიჩნავე ოთახიდან მთელ ღამეს ისმოდა ზაურყანის ხველა და ყრუ კენესა. გამთენიისას ჩაეძინა. რომ ავდექი, ზაურყანი აიღო დამხვდა, ლოგინიდან ადგომა არ შეეძლო. თავს იკავებდა, არ კენესოდა, მაგრამ ეტყობოდა, უჭირდა ტკივილის მორევა, ჩაცვივნილი თვალები ტანჯვით ჰქონდა სავე. ჰამა არ შეეძლო, წყალს წრუბავდა ხანგამოშვებით და თამბაქოს ეწეოდა. სამ დღეს არ მოვშორებივართ მე და ბირამი ავადმყოფს, ვცდილობდით როგორმე შეგვემსუბუქებინა მისი მდგომარეობა, მაგრამ აბა ისეთ სენთან რას გავხდებოდით, რომელსაც სიბერე ჰქვია.

მე უკვე აღარ შემეძლო აქ დარჩენა; ჩემს უცხოურ პასპორტს ვადა გაუვიდა.

ჩემი გამგზავრების დღეს დილიდანვე მიმიხმო ზაურყანმა: ჩემო ძვირფასო შარახ, შეგიძლია დამშვიდებული წახვიდე.

ზბათ მოვრჩები... თუ არადა, რომ დავინახავ სააქაოს პირი-  
რა მაქვს, აუღლევებლად შევხვდები სიკვდილს, მე შევხვდი აფ-  
ს, ნათესავს დედაჩემის მხრიდან, იმ ხალხის შვილს, რომ-  
ს სხეულიდანაც წარმოშობილი, ვარ და მოვასწარი მეამბნა  
წველაფერი, რაც გადავიტანე. შენ კი ბედნიერი ამბავი მომიტანე-  
ვითხარი, რომ აფხაზეთი და აფხაზები თავისუფალნი არიან.

მოხუცმა ბირამს დაუძახა და რაღაც ჩაუჩურჩულა, ბირამი  
წავიდა და სპილენძის ბუკითა და დიდი კავკასიური ხანჯლით  
დაბრუნდა. მოხუცს აცახცახებული ხელებით ეჭირა ისინი და  
დიდხანს ათვალეირებდა.

— ძვირფასო შარახ, გადაშენებული უბიხებისაგან ესლა დარჩა.  
წაიღე ისინი აფხაზეთში! ბირამისათვის ისინი უტყვენი არიან: შენ  
კი ბევრ რამეს გაამბობენ. ვინ იცის, ჩემი სიკვდილის შემდეგ  
ვის ჩაუვარდებათ ხელში, შენი წყალობით კი მშრობლიურ მიწას  
დაუბრუნდებიან.

მადლობა გადაუხადა და ძვირფასი საჩუქარი ჩამოვართვი,  
რა არ ვიღონე, ზაურყანი ლოგინში რომ გამეჩერებინა, მაგრამ ყური  
არ მათხოვა და წამოდგა. თავისი ძველი ჩონა-ახალხნი ჩაიცვა,  
ბონონი დაიხურა, კვერთხი დაიჭირა და ჭიშკრამდე მიმაცილა.  
გადამეხვია, გადამკოცნა და ბედნიერი მგზავრობა მისურვა.

ბირამმა გზამდე მიმატანინა ბარგი, ნელა მივეუყვებოდით  
დაბლობს. უკან რომ მივიხედე, გორაკზე ძველი ციხე-სიმაგრის  
უკანასკნელი ნანგრევით მდგარი ზაურყან ზოლაკი დავინახე...

მერე აღარ მიმიხედავს. დაე, ასე ჩამრჩეს მესხიერებაში. წარ-  
სულის უკანასკნელ ამაყ ნანგრევად იხილავენ მას სხვებიც ჩემს  
ვიგნში, რომელსაც უსათუოდ დავწერ ზაურყან ზოლაკზე მისივე  
ნაამბობის მიხედვით.

## გოლოსიტჰვაობა

ამ სიტყვებით მთავრდებოდა ახალგაზრდა ენათმეცნიერის შა-  
რახ ჭეაძბას ხელნაწერი. მას არც სათაური ჰქონდა და არც თავე-  
დად იყო დაყოფილი. გამოსაცემად რომ გავამზადე, მე თვითონ  
დავყავი თავებად და დავასათურე კიდეც. წაკითხულის შთაბეჭ-  
დილებით წიგნს „უკანასკნელი უბიხი“ ვუწოდე.

Шинкуба Баграт Васильевич

ПОСЛЕДНИЙ УБЫХ

Роман

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»

пр. Руставели, 42.

Тбилиси, 1987

რედაქტორი ნ. ფხაკაძე  
მხატვარო ს. მელქაძე  
მხატვრული რედაქტორი ნ. ნაჩიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი დ. ბაციაშვილი  
კორექტორები: ნ. ლომაძე, ე. ჩიკაშვილი  
გამომცემები ნ. ხეთასი

წაბარდა წარმოებას 9.12.85 წ. ხელმოწერილია საბეჭდოდ 1.12.86 წ. ფორმატი  
60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ქალაქი საბეჭდო № 2. გარნიტურა ჩვეულებრივი კორპუსი. ბეჭდვა  
შალალი. პირ. ნაბ. ფურც. 17,67. საად.-საგამ. ფურც. 15,47. პირ. სად. გატ. 17,9,  
ტირაჟი 30.000 შეკვ. № 8776

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის 42.  
თბილისი, 1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და  
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის  
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება  
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 33.  
Кутапское полиграфическое производственное объединение  
Государственного комитета по делам издательства, полиграфии  
и книжной торговли Грузинской ССР  
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе 33